

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი
ილია //

ეპისტოლენი

წიგნი //

თბილისი
2009



სარჩევი

1994 წ. საშობაო ეპისტოლე	9	1994 წ. სააღდგომო ეპისტოლე	25
1995 წ. საშობაო ეპისტოლე	39	1995 წ. სააღდგომო ეპისტოლე	53
1996 წ. საშობაო ეპისტოლე	65	1996 წ. სააღდგომო ეპისტოლე	79
1997 წ. საშობაო ეპისტოლე	91	1997 წ. სააღდგომო ეპისტოლე	105
1998 წ. საშობაო ეპისტოლე	119	1998 წ. სააღდგომო ეპისტოლე	135
1999 წ. საშობაო ეპისტოლე	149	1999 წ. სააღდგომო ეპისტოლე	165
2000 წ. საშობაო ეპისტოლე	179	2000 წ. სააღდგომო ეპისტოლე	191
2001 წ. საშობაო ეპისტოლე	205	2001 წ. სააღდგომო ეპისტოლე	219
2002 წ. საშობაო ეპისტოლე	231	2002 წ. სააღდგომო ეპისტოლე	241
2003 წ. საშობაო ეპისტოლე	257	2003 წ. სააღდგომო ეპისტოლე	269
2004 წ. საშობაო ეპისტოლე	281	2004 წ. სააღდგომო ეპისტოლე	291
2005 წ. საშობაო ეპისტოლე	303	2005 წ. სააღდგომო ეპისტოლე	317
2006 წ. საშობაო ეპისტოლე	331	2006 წ. სააღდგომო ეპისტოლე	343
2007 წ. საშობაო ეპისტოლე	355	2007 წ. სააღდგომო ეპისტოლე	369
2008 წ. საშობაო ეპისტოლე	383	2008 წ. სააღდგომო ეპისტოლე	397
2009 წ. საშობაო ეპისტოლე	409	2009 წ. სააღდგომო ეპისტოლე	429

საშობაო
და
სააღდგომო
ეპისტოლენი

1994-2009 წწ.

საშობაო ეპისტოლე

1994 წ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის
ღვთივაურთხეულ შვილებს:

„მცირე ხნით მყავდი მიტოვებული და
წყალობითა დიდითა შეგიწყალებ შენ“
(ეს. 54, 7).

 ოვლადუსამღვდელოეს მღვდელმთავრებს, მოძღვრებს, დი-
 აკვნებს, მოღვაწე ბერ-მონაზონებს, ქრისტესმიერ დებსა და
ძმებს, საქართველოს მკვიდრთ და სამშობლოს საზღვრებს გარეთ
მცხოვრებ ჩვენს საყვარელ თანამემამულეთ: მშვიდობა, სიყვარული
და ღვთის კურთხევა იყოს თქვენ ზედა და შორის თქვენსა.

უფლის წყალობით კვლავ გავხდით ღირსნი ქრისტეს შობის

ზეიმისა. ისევ დადგა დღე ღვთის განხორციელების საიდუმლოზე განსაკუთრებული დაფიქრებისა. ეს ღვთისა, შემოქმედი და განმგებელი ხილული და უხილავი სამყაროსი, ბეთლემის გამოქვაბულის ბაგაში იშვა, – „სიტყვა იგი ხორციელ იქმნა“.

პირველნი, ვისაც ეუწყა ყრმა ღმერთის ამქვეყნად მოვლინება, იყვნენ უბრალო ბეთლემელი მწყემსები და არა ძლიერნი ამა სოფლისანი, არც მოძღვრები ძველი აღთქმისა.

და დედამიწას მოეფინა საგალობელი: „დიდებად მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშვდობად და კაცთა შორის სათნოებად“.

ღვთის უსაზღვრო და უნაპირო სიყვარული, ერთი მხრივ, და ღვთაებრივი სიმდაბლისა და მორჩილების საოცარი მაგალითი, მეორე მხრივ, – მთელი თავისი სიდიადით განცხადდა ქრისტეს შობით. „რადგანაც ღმერთმა ქრისტეში შეირიგა ქვეყანა, და არ შეურაცხა ხალხს მისი ცოდვანი, და მოგვცა ჩვენ შერიგების სიტყვა“ (2 კორ. 5, 19).

სიყვარული და თავმდაბლობა, – ეს ის თვისებანია, რომლითაც შემკული უნდა იყოს ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანი. ადამიანს შეიძლება მაღალი თანამდებობა ჰქონდეს ან გამოირჩეოდეს მეცნიერული მოღვაწეობით, მაგრამ ჭეშმარიტად დაფასებული იგი მაშინ იქნება, თუ სიყვარული და თავმდაბლობა აქვს, მაშინაა იგი ღვთისთვისაც და ხალხისთვისაც ახლობელი და გამორჩეული.

თითოეული ჩვენგანი სამი დროით ცხოვრობს: წარსულით, ანმყოთი და მომავლით. წარსულს ვერ შევცვლით და ვერც დავაბრუნებთ, მომავალი კი დღევანდელი დღით განისაზღვრება და მისგან გამომდინარეობს.

მეოცე საუკუნე, რომელმაც შვა ორი მსოფლიო და მრავალი სამოქალაქო ომი, რომლის დროსაც ჩამოყალიბდა მანამდე არნახუ-

ლი ტოტალიტარული რეჟიმი, ისტორიაში შევა არა მარტო როგორც სოციალ-პოლიტიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევათა ხანა, არამედ, უფრო მეტად, როგორც საშინელი ძვრების, არაადამიანობის, აგრესიულობის, გულგრილობის, აპათის, შურის, ბოროტების საუკუნე.

რა არის ეს, ბუნებრივი პროცესი თუ ქაოსი „პირდაღებული უფსკრულისა?“, – როგორც უწოდებდნენ ცხოვრებას ანტიკურ დროში. ეს ყოველი შედეგია არასულიერობის, ურწმუნოებისა და ნიკილიზმისა.

თავის დროზე პიროვნებამ დაკარგა რწმენა ღვთისა. ახლა იგი კარგავს რწმენას ადამიანისა, ანუ თავის ძალისა და შესაძლებლობებისა, რაც მოსალოდნელი იყო, მაგრამ თუ ადამიანი ჭეშმარიტ სარწმუნოებას დროზე არ დაუბრუნდა, ეს პროცესი მეტად საშიშ ფორმებს მიიღებს, რადგან სულიერი თვითგვემა უკვე თავზეხელაღებულობამდე მიდის.

ხანდახან გვვინია, რომ მთელი სამყარო ბნელითაა მოცული და ცხადდება ჩვენზე ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები: „თქვენი უკეთურებანი იყო გამყოფი თქვენსა და თქვენს ღმერთს შორის და თქვენმა ცოდვებმა დაფარეს მისი სახე თქვენგან და აღარ ესმოდა მას, რადგან თქვენი ხელები სისხლით არის შებღალული და თითები თქვენი – უკეთურებით; თქვენი ბაგეები სიცრუეს მეტყველებენ, თქვენი ენა სიბილნეს ლაპარაკობს“ (ეს. 59, 2-3).

ჭეშმარიტად, უღმერთოების მიზეზით დაბნელდა სულიც და გონიერაც ჩვენი. ადამიანმა დაკარგა უნარი თეთრისა და შავის, სიკეთისა და ბოროტების გარჩევისა და იქცა იარაღად ეშმაკისა.

ყოველგვარ სიკეთეს მოკლებულმა ბოროტმა ძალამ შურის გამო სინათლე წაართვა ადამიანებს და ცდილობდა და ცდილობს მის ჩაქრობას, რასაც კეთილი ნების დათრგუნვა მოჰყვა. ნაცვლად იმისა,

რომ ნათლით გაბრწყინებულიყო, ადამიანი ბოროტის სადგურად იქცა. ღვთის ნიშანდებული, ამპარტავნებისა და თვითდაკერებულობის გამო ეშმავის მიერ ცდუნდა, ეშმავისა, რომელსაც ასე მიმართავს წმიდა ესაია: „როგორ ჩამოემხე ციდან, მთიებო, ძეო განთიადისა! მიწას დაენარცხე, ხალხთა მტარვალო! გუშინ ამბობდი: ცად ავხდები, ღვთის ვარსკვლავთა ზემოთ ტახტს დავიდგამ და დავჯდები საკრებულო მთაზე, ჩრდილო კალთებზე. მაღლა ღრუბლებში ავიჭრები, უზენაესს გავუტოლდებიო! მაგრამ შავეთში ჩადიხარ, ქვესკნელის უფსკრულებში“ (ეს. 14, 12-15), ხოლო მაკარი დიდი ბრძანებს: ეშმაკმა, დაიპყრო რა ადამიანი, დასვარა და დაატყვევა სული მისი ქვესკნელის ძალებით და არ დატოვა მისი ერთი ნაწილიც კი თავისი ძალაუფლების გავლენის გარეშე; აზრები, გონება, სხეული, შავი პორფირით დაფარა... და გახდა სხეული ტანჯული და ხრწნადი. ძველი აღთქმის კაცი განიმოსა სრულყოფილების სამოსისაგან და ატარებს ჭოჭოხეთის ტანსაცმელს, ტანსაცმელს შეურაცხყოფის, ურწმუნოების, უტიფრობის, ამპარტავნების, პატივმოყვარეობის, ვერცხლისმოყვარეობის, გარყვნილებისა და სხვა არაწმინდა და საზიზღარი ძონძებისა.

მაცხოვარი ბრძანებს: „ხალხმა უფრო მეტად შეიყვარა ბნელი, ვიდრე ნათელი, ვინაიდან ბოროტნი იყვნენ მათი საქმენი, რადგანაც ყველა ბოროტმოქმედს სძულს ნათელი, და არ მიღის ნათლისაკენ, რათა არ გამჟღავნდეს მისი საქმენი“ (იოან. 3, 19-20). მაგრამ არ შეიძლება ეს პროცესი ასე გაგრძელდეს; უნდა მოხდეს ხალხის გონების და შემდეგ სულის განკურნება და ღმერთთან დაბრუნება. ჩვენ უნდა დავეხმაროთ მოყვასს ფეხზე დადგომაში.

მოვლენების რეალური შეფასების, ზნეობისა და მორალური კრიტერიუმების კატასტროფული დაცემის მიუხედავად, უნდა შევძლოთ ადამიანში ღვთის ხატების დანახვა, ადამიანურ გადახრათა

ამპლიტუდის შეცნობა, რათა ვაღიაროთ ჭოჭოხეთამდე დაცემული სულის ცამდე ამაღლების რეალურობა.

უნდა შევძლოთ სიკეთის მარცვალი დავინახოთ ყოველ გზა-საცდენილში, ბოროტმოქმედსა და მკვლელში. ამასთან აუცილებელია მათში არა მარტო ამ მაცოცხლებელი ნაპერწკლის აღმოჩენა, არამედ მისი გაღვივებისა და აღორძინებისათვის გზების ძიება.

განსაცდელი – მრავალრიცხოვანი და მძიმე – აი, ჩვენი ხალხის გადარჩენის გზა. მხოლოდ მათი წყალობით შეძლებს ერი და თი-თოეული ჩვენგანი დაინახოს სიღრმე ჩვენი დაცემისა, გაიცნობიეროს ხასიათის თავისებურებანი, მისი სისუსტენი და გამოფხიზლებულმა მოიძიოს გზა გადარჩენისა.

ამიტომაც განსაცდელში ჩვენ ღვთის დიდ სიყვარულსა და ზრუნვას ვხედავთ. „განსაცდელგამოვლილი მიიღებს სიცოცხლის გვირგვინს, რომელიც ღმერთმა აღუთქვა თავის მოყვარეთ“ (იაკ. 1, 12), – ვკითხულობთ წმიდა წერილში.

მთავარია, დავინახოთ ჩვენი ნაკლოვანებანი, ჩვენი ცოდვები და ღვთის იმედით აღვსილნი სინაულისა და გამოსწორების გზაზე დავდგეთ, სულიერი ფერისცვალებისთვის მოვემზადოთ.

მაცხოვრის მაღლით, მორწმუნე ადამიანის გონება განახლების პროცესს განიცდის. იგი განეშორება სიცრუეს, თავს იკავებს სიფიცხისა და მრისხანებისაგან. გაურბის ბოროტებას, ავსიტყვაობას; ის კეთილი, სიმართლის მოყვარული და თანამგრძნობელი ხდება და სულ სხვანაირად აღიქვამს თავის თავს.

დღეს ახალგაზრდებში უკვე იგრძნობა ეს პროცესი შემობრუნებისა. რა თქმა უნდა, ჩვენ გარშემო ჭერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებაა: ქურდობა, მკვლელობა, ამორალურობა, ძალადობა და სხვა, მაგრამ კარგის მაგალითებიც უნდა დავინახოთ.

მრავალმა ახალგაზრდამ შესწირა თავი სამშობლოს დაცვას,

მრავალმა მოქალაქემ გაიღო წვლილი ომში წასულთა თუ გაჭირვებულთა დასახმარებლად, ბევრმა ოჯახმა შეიფარა ლტოლვილნი. ხალხს ესმის ქვეყნის მძიმე მდგომარეობა და უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად, მოთმინებით იტანს ცხოვრების სიმძიმეს. ამასთან შექმნილია მართლმადიდებელ ქრისტიანთა ჭგუფები, რომლებიც საკუთარი მიწა-წყლიდან დევნილებს ეხმარებიან, უვლიან დავრდომილებს, დაჭრილებს, დადიან საავადმყოფოებსა და ციხეში; აგროვებენ ტანსაცმელს, პროდუქტს, მედიკამენტებს, რომ დაეხმარონ გაჭირვებულებს; და ყოველივე ამას აკეთებენ სრულიად უანგაროდ, რნენითა და კაცთმოყვარეობით.

შორეული, მაგრამ ღვთისაგან შეყვარებული და კურთხეულია ივერია; წმიდა წინასწარმეტყველი ესაიას სიტყვებით ასე მოგვმართავს უფალი: „ნუ გეშინია, რადგან მე გიხსნი შენ, შენი სახელით მოგიწოდე, ჩემი ხარ შენ“ (ეს. 43, 1). „აღმოსავლეთიდან მოვიყვან შენს ნატამალს და დასავლეთიდან შემოგვრებ. ვეტყვი ჩრდილოეთს: გაუშვი! და სამხრეთს: არ დააკავო! მოიყვანე ჩემი ვაჟები შორეთიდან და ჩემი ასულები – ქვეყნის კიდიდან“ (ეს. 43, 5-6).

ბნელისაგან ნათლის დაბადება – საიდუმლოებით მოცული მოვლენაა, რომელიც ღვთის მაღლის უშუალო მონაწილეობით ხდება ჩვენში. ამიტომაც საჭიროა გაძლიერებული ლოცვა, რომ დავაჩქაროთ ბოროტისაგან ჩვენი საზოგადოების განთავისუფლების პროცესი.

სინათლის მატარებელი პიროვნება თვითონ ხდება მანათობელი, რაზეც ბრძანებს წმიდა მათეს სახარება: „ნათობდეს თქვენი ნათელი კაცთა წინაშე, რათა ისინი ხედავდნენ თქვენს კეთილ საქმეებს“ (მათ. 5, 16). დიახ, სათნო ადამიანები სიკეთეს ასხივებენ. მათი გარემოც ნათელი და მოწესრიგებულია.

ორ მაგალითს მოვიყვანთ ანტიკური ისტორიიდან: ფილოსო-

ფოს სოკრატეს დროს ცხოვრობდა ვინმე ალკიბიადე, გენიალური, მაგრამ, უზნეო ათენელი. იგი შეხვედრისას ასე მიმართავდა ხოლმე ფილოსოფოსს: „სოკრატე, მე მძულხარ, რადგან, როცა შენ მიყურებ, ვხედავ ჩემს თავს“. და მართლაც, იგი სოკრატეში ხედავდა სინათლეს და თავის თავში – ცოდვით სავსე პიროვნებას.

ერთხელ ფილოსოფოს პლატონთან მივიღდა არქიტექტორი და შესთავაზა აშენება ისეთი სახლისა, სადაც არც ერთ ოთახს ქუჩის მხარეს არ ექნებოდა ფანჯარა. პლატონმა უპასუხა: „მე გადაგიხდი ორმაგს, თუ შეძლებ იმგვარი სახლის აგებას, სადაც ყოველ ადამიანს შეეძლება თითოეული ოთახის დანახვა-დათვალიერება“.

ჩინელები გამოყოფენ ხუთ სიკეთეს, რაც აუცილებელია ადა-მიანისათვის. ესენია: მოკრძალება, ზრდილობა, სიმართლე, გამ-ჭრიახობა, სიკეთე.

თუ ადამიანი მოკრძალებულია, მას არ შეიძულებენ, ზრდილო-ბიანს მხარს უჭერენ, გონებამახვილი – წარმატებებს მიაღწევს, სიმარ-თლისმოყვარეს დაუჭერებენ, ხოლო კეთილი გამოიყენებს სხვებს, გვასწავლის ეს სიბრძნე.

მაგრამ ყველაზე მთავარი ღმერთთან ყოფნაა. „მიენდეთ უფ-ალს უკუნისამდე, რადგან უფალი ღმერთია საუკუნო კლდე“ (ეს. 26, 4).

როდესაც საქართველოს მომავალზე ვფიქრობთ, უპირველესი ყურადღება განათლებას და ცოდნის ამაღლებას უნდა მივა-ქციოთ: „იყავით თქვენ სრულქმნილნი, როგორც სრულქმნილია მამა თქვენი ზეციერი“ (მათ. 5, 48), – მოგვიწოდებს მაცხოვარი.

ეს არის ერთ-ერთი უდიდესი კურთხევა უფლისა. ეს არის მო-წოდება მუდმივი წინსვლისა და სრულყოფისაკენ, უსაზღვროებასთან მიახლებისაკენ.

ძალიან ხშირად ცოდნასა და რწმენას უპირისპირებდნენ ერ-

თმანეთს, რაც მეტად უარყოფითად მოქმედებდა როგორც რწმენაზე, ისე მეცნიერებაზე. ცოდნა და რწმენა თვითმიზანი კი არ არის, არამედ გზაა ჭეშმარიტებისა და ღვთისაკენ მიმავალი. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს დიდი მისტიკოსისა და ფილოსოფოსის, მაქსიმე ალმსარებელის სიტყვები: „ცოდნა, ღვთის შიშისაგან აულაგმავი, შობს ქედმაღლობას“.

ვფიქრობ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებს, რომლის პროგრამებიც კარდინალურ ცვლილებებს მოითხოვს.

სკოლებშიც და ინსტიტუტებში სრულიად არ ექცევა ყურადღება ახალგაზრდობის ზნეობრივ აღზრდას. ჩვენი გოგონები და ყმაწვილები მოკლებულნი არიან ელემენტარულ სარწმუნოებრივ და მორალურ აღზრდას, არ იციან ეთიკური ნორმები, ოჯახსა და საზოგადოებაში ქცევის წესები.

ძველ დროს ამ საკითხებით მშობლები იყვნენ დაკავებულნი, ახლა დედაც და მამაც მსახურობენ და არა აქვთ დრო შვილებისათვის, ანდა თვითონაც არ ყოფნით დონე სათანადო აღზრდის მისაცემად.

დღეს ჩვენს ახალგაზრდობას ძირითადად ქუჩა აყალიბებს, რის სამწუხარო შედეგსაც უკვე იმკის თითქმის ყველა ოჯახი.

მთავრობის ხელმძღვანელობით, მიმაჩნია, უნდა შეიქმნას მეცნიერთა კომპეტენტური კომისია, რომელიც, თავის მხრივ, ჩამოაყალიბებს ცალკეულ ქვეპეტუონებს სასწავლო პროგრამების შესადგენად. ასეთი კომისიები, აღბათ, უკვე არსებობენ, მაგრამ ისინი უნდა გაძლიერდეს და მათი მუშაობის ეფექტურობა შემოწმდეს.

უპირველეს ამოცანად ასევე მიგვაჩნია როგორც საშუალო, ისე უმაღლესი სასწავლებლებისთვის ღრმა აზროვნების კურსის შედგენა.

გულის კარნახს, რომელიც ჩვენს ხალხში ხშირად ბატონობს

გონების განსკაზე, ხშირად მივყავართ გაუთვალისწინებელ და მძიმე შედეგებამდე.

დღეს, როდესაც ასე ბევრი სიძნელეა გადასალახი, აუცილებელია ღრმა, აბსტრაქტული და ანალიტიკური აზროვნება, რაც მოგვცემს საშუალებას განვჭვრიტოთ შესაძლო კოლიზიები ამა თუ იმ მოქმედებისა და თავი ავარიდოთ არასწორ გადაწყვეტილებებს.

დაწყებით და საშუალო სკოლებში მეტად სასურველია იკითხებოდეს სულიერი და ზნეობრივი კულტურის კურსი, რომელიც შეეხება ღმერთს, სარწმუნოების, სიყვარულის, ბოროტებისა და სიკეთის, ამპარტავნების, თავმდაბლობის, მიტევების, შერიგების, ადამიანებთან ურთიერთობის საკითხებს ან ნებისმიერი ნორმალური ადამიანის ცხოვრების ყოვლადაუცილებელ ნორმებს.

ყველა უმაღლეს სასწავლებელში კარგი იქნებოდა, რომ ის-ნავლებოდეს ზნეობრივი ფილოსოფიის კურსი. არ არსებობს ისეთი ღვთისმეტყველი ან ფილოსოფოსი, რომელიც არ ეხებოდეს ადამიანის ზნეობის საკითხებს. ამ ფილოსოფოსთა განსკის გაცნობა მეტად გაამდიდრებს ჩვენი ახალგაზრდობის სულიერ სამყაროს.

სკოლებში აუცილებელია ესთეტიკური კურსის შეტანა. ხალხში თანდათან იკარგება სილამაზის გრძნობა. ადამიანი იმდენად გაუხეშდა, რომ აღარც ბუნების აღქმის უნარი აქვს, არც მუსიკის განცდისა. კულტურა სულიერებისაგან დაიშრიტა, უღვთო და უსულო გახდა. ხელოვნება, რომელმაც უნდა აღზარდოს ადამიანები და სულიერი ამაღლებისა და ზნეობრივი სრულყოფის კიბეზე აიყვანოს ისინი, უშინაარსო გასართობად იქცა.

შევძლებთ ამ წინააღმდეგობების გადაღახვას? შევძლებთ შევაღოთ ახალგაზრდების შინაგანი სამყაროს კარი, რათა დაიწყოს იქ ფერისცვალების დიადი პროცესი? ძნელია ეს, მაგრამ ყოვლადაუცილებელი.

ამისთვის არ უნდა დავიშუროთ ჩვენი მწირი შესაძლებლობანი

და გავაკეთოთ ყველაფერი ჩვენი მომავალი თაობის, ქვეყნის ხვალ-ინდელი დღის სწორი აღზრდისათვის.

ჩვენს ხალხში კიდევ ერთი დადებითი გამოვლინება შეიმჩნევა: ნელ-ნელა, მაგრამ მაინც ხდება საზოგადოების დეპოლიტიზაცია, ამასთან მოსახლეობამ სერიოზულად დაიწყო ფიქრი შრომაზე.

პოლიტიკა ნამდვილი პოლიტიკოსების საქმეა და არა მასისა. მიტინგებისა და დემონსტრაციების დონეზე წარმოებული პოლიტიკა პოლიტიკა არ არის და არც პიროვნების ორატორული ნიჭი ნიშნავს ქვეყნის მართვის უნარს. დღეს აუცილებელია მშვიდი, ფრთხილი დიპლომატია. ხშირად კი ჩვენ მითების სამყაროში ვცხოვრობთ და გვავიწყდება მკაცრი რეალობა. აუცილებელია არა მარტო ცალკეული ფაქტების გათვალისწინება, არამედ მოქმედების მთელი სისრულით წარმოდგენა, რეალური სიტუაციის ანალიზი და სინთეზი, ყველა შესაძლო ასპექტის გააზრება, როგორც აწმუნოს, ისე მომავლისათვის.

უნდა ვიჩქაროთ ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი დიპლომატიური სკოლის შექმნა. საქართველოს ამ მხრივ როგორც წარსულში, ისე ახლა დიდი შესაძლებლობები და გამოცდილება აქვს. მთავარია, დავიწყოთ შრომა; შრომა ყველა მიმართულებით. ჩვენ კი ხშირად არ გვესმის მისი არსი და მძიმე უღლად მიგვაჩნია იგი. შრომის გარეშე არაფერი გამოვა: არც სულის განწმენდა და არც შინაგანი ჰარმონია მიიღწევა და არც ცათა სასუფეველი მოიპოვება.

აუცილებელია მოღვაწეობა, აუცილებელია მარხვა და ლოცვა, სარწმუნოებრივი საქმიანობა, რამეთუ სარწმუნოება თვინიერ საქმისა, მკვდარია. „ცათა სასუფეველი ძალით იღება, და მოძალა-დენი მიიტაცებენ მას“ (მათ. 11, 12).

შრომას აკურთხებს ღმერთი თავის მცნებაში: „ექვს დღეს იშრომეთ და აღასრულეთ ყოველი საქმე“. ადამიანი უნდა დაუბრუნდეს შრომას, თუ სურს იყოს ბედნიერი. განცხრომა მისთვის არაბუნებრივი

მდგომარეობაა (წმიდა ბასილი დიდი). ღმერთმა შექმნა ადამიანი შრომისათვის და განუწესა ამისთვის სხვადასხვა ორგანო. მხოლოდ ზარმაცი არღვევს ღვთაებრივ წესრიგს და არარაობად აქცევს თავის ყოფას (წმიდა იოანე ოქროპირი).

ცალკეული ადამიანი, რა თქმა უნდა, უნდა იღვწოდეს თავის ადგილზე, მაგრამ არის შრომა, რომელიც საჭიროა ყველასათვის – ეს არის მიწაზე მუშაობა. მიწა არა მარტო საზრდოს აძლევს კაცს, არა-მედ კურნავს კიდეც მას. როდესაც უფალმა აკურთხა ადამის მოდგმა ოფლით თვისით მოეპოვებინა პური არსობისა, ეს იყო არა დასჭა, არამედ – დალოცვა. შრომის დროს ადამიანი აუხსნელ სიამოვნებას განიცდის, რასაც მედიცინის ენაზე კუნთების სიხარული ჰქვია.

მაგალითი მონასტრული ცხოვრებიდან: სინას მონასტრის წინამძღვრად იყო ცნობილი მოღვაწე ღირსი სილუანი. ერთხელაც აქ მოვიდა სხვა ბერი, დაინახა შრომაში გულმოდგინედ ჩაფლული ძმები და განიკითხა ისინი სახმართმოყვარებისათვის, რადგან თვითონ ფიქრობდა, რომ ბერისათვის აუცილებელი იყო მხოლოდ სულიერი ღვაწლი: ლოცვა, მარხვა, ღვთის მჯვრეტელობა და არა ფიზიკური გარჭა. ამან წინამძღვარი სილუანი არ გაანაწყენა და მისცა კურთხევა სტუმრისათვის გამოეყოთ ცალკე საკანი. როცა ბერებმა დაამთავრეს მუშაობა, გაემართნენ სატრაპეზოსკენ და დანაყრდნენ. სტუმარი ფანჯრიდან იყურებოდა და უცდიდა, როდის მოუხმობდნენ მასაც სადილად, მაგრამ არავინ ეძახდა. შიმშილმა რომ შეაწუხა, იგი იღუმენთან წავიდა და ჰკითხა, მისცეს თუ არა საზრდელი იმ დღეს ბერებს; წინამძღვრისაგან დასტური რომ მიიღო, ეწყინა, მე რატომ არ გამაგებინებსო; – შენ სულიერი კაცი ხარ და საჭმელი რად გინდა. ჩვენ ხორციელნი ვართ, კვება ჩვენთვის აუცილებელია, ამიტომაც ვშრომობთ, შენ კი იკითხე წიგნები, ისაზრდოვე სულიერი სიტყვებით, – უპასუხა იღუმენმა.

ბერს შერცხვა თავისი ამპარტავნებისა და მუხლმოდრეკილმა სთხოვა პატიება წმიდა სილუანს. ასე რომ, ფიზიკური შრომა ყველა-სათვის აუცილებელია.

ეკონომიკურმა პრობლემებმა ბევრი საფიქრალი გაგვიჩინა. ჩვენ არ უნდა შევეჩვიოთ სხვებისგან მოწვდილ ჰუმანიტარულ დახ-მარებებს, არამედ ჩვენ თვითონ უნდა ვიპოვოთ გამოსავალი შექმ-ნილი მძიმე მდგომარეობიდან.

კატასტროფა, რასაც ხშირად ახსენებდნენ მტრები თუ მოყ-ვრები, არ მოხდება – ხალხი შრომას იწყებს. ოღონდ ერთი რამ ყვე-ლას უნდა გვახსოვდეს: სხვისი შრომის ნაყოფის მითვისება მხოლოდ ცრემლსა და მწუხარებას მოუტანს კაცს, რადგან ღვთის კანონით, ვინც სხვისას იჩემდებს, ის თავისასაც კარგავს და ჭოჭოხეთისთვის განიმზადებს უკვდავ სულს.

მხოლოდ კეთილსინდისიერი შრომით მოპოვებული ქონებაა სიკეთის მომტანი. იყავით გაბედულნი, შრომისმოყვარენი და კე-თილნი, ვითარცა ჩვენი წინაპარნი.

ვფიქრობ, აუცილებელია რამდენიმე სიტყვით შევეხოთ ეკ-ლესის როლს დღევანდელ ჩვენს ცხოვრებაში. ზოგიერთნი უვიცობის ანდა მცირედმორნმუნეობის გამო მართლმადიდებელ სარწმუნოებას სხვა რელიგიებთან ათანაბრებენ. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეკლესია იესო ქრისტეს – ღმერთის მისტიკური სხეულია და იგი თვით უფლის მიერ არის დადგინებული. „კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიად ჩემი, და ბჭენი ჭოჭოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“ (მათ. 16, 18), – ბრძანებს მაცხოვარი. მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლე-სიის მადლით არის შესაძლებელი აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან მიახლება, სულიერი სრულყოფის კიბეზე ამაღლება, ოდენ იგი იცავს განუყოფელი სამოციქულო ეკლესიის რწმენასა და ტრადიციებს. წმიდა ირინეოს ლიონელი ამბობს: „სადაც ეკლესიაა, იქ სულიწმიდაა და სადაც სულიწმიდაა, იქ ეკლესიაა მისი სრული ჭეშმარიტებით“.

ჩვენში ვერ მოხდება ფერისცვალება, თუ ეკლესიის ცოცხალი წევრნი არ გავხდით. ეკლესია თავის წიაღში აერთიანებს ადამიანებს და მერე ღვთის გზით მიჰყავს ისინი. იგი გარდაქმნის მათ სულებს და ქრისტეს სხეულის ნაწილად ჰყოფს.

სარგებლობენ რა დღეს საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით, დემოკრატის ლობუნგს ამოფარებული მრავალი უცხო რელიგიისა და პროტესტანტული სექტის წარმომადგენელნი (იელოველები, ბაპტისტები, კათოლიკები, კრიშნას მიმდევარნი, ორმოცდაათიანელები, ე. წ. ხსნის არმიის წარმომადგენლები და სხვანი) რელიგიური ექსპანსიის განხორციელებას ცდილობენ.

ისინი ფულით, პროდუქტებით, ტანსაცმლით იპყრობენ ადამიანთა სულებს, ამცირებენ და შეურაცხყოფენ საქართველოს ეკლესიას, მის წმინდანებს, სასულიერო პირებს, ჩვენს ტრადიციებს. ასეთი სექტები თესავენ ანტაგონიზმსა და შუღლს ადამიანებს შორის, ეს ბოროტი ძალის მანქანებია და მას კავშირი ღმერთთან არა აქვს. მოციქული პავლე გვათრთხილებს: „სული ცხადად მეტყველებს, რომ უკანასკნელ ჟამს რწმენისაგან განდგებიან ზოგიერთნი, და შეუდგებიან მაცდურ სულთა და დემონთ მოძღვრებას“ (1 ტიმ. 4, 1).

ის, ვინც ტანსაცმლის, საჭმლის ან სხვა მატერიალურ მიზეზთა გამო განუდგება მართლმადიდებელ სწავლებას, აღვილად უღალატებს ღმერთს, სამშობლოს, მშობლებს, ოჯახს და, რა თქმა უნდა, დაღუპავს თავის უკვდავ სულს.

მე ვაფრთხილებ ჩვენს ხალხს, ჩვენს მორწმუნეთ: იყავით დაკვირვებულნი და ყურადღებიანნი: ნუ დაკარგავთ ჭეშმარიტებას, ნუ დაკარგავთ ჩვენს სარწმუნოებას, მიწიერ საცდურჩე ნუ გაცვლით მარადიულ ცხოვრებას, თორემ მერე გვიან იქნება, რადგან ჟამი ახლო არს.

გახსოვდეთ: „ვისთვისაც ეკლესია დედა არ არის, მისთვის არცა ღმერთია მამა“ (წმიდა კვიპრიანე).

ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ ჩვენს ხალხს შესწევს უნარი სულიერი და ზნეობრივი განახლებისა. ეს პროცესი, ღვთის წყალობით, უკვე დაწყებულია, სინათლე თანდათან იკაფავს გზას. გვწამს, ქართველი ერი არ დარჩება განხეთქილების, ამპარტავნების, ბოროტებისა და მწვალებლობის ტყვეობაში, რადგან ღმერთი ჩვენთანაა.

ამ იმედით აღვსილი მორჩილებით ვიდრევ მუხლს ბეთლემის სიდიადის წინაშე და შევსთხოვ ახლადშობილ ღმერთს – იესო ქრისტეს: ნათელო ჭეშმარიტო, განანათლე და განაბრწყინე ყოველი კაცი ამქვეყნად მომავალი. დე, აღიბეჭდოს ჩვენზე სისპეტაკე შენი სახისა, რათა ვცნათ მასში მიუწვდომელი ნათელი.

ძმანო და დანო, სიყვარულით ყველას გილოცავთ ქრისტეს შობის ბრწყინვალე ზეიმსა და ახალ წელს. ღვთის წყალობით იყოს იგი მშვიდობისა და სიყვარულის, სიხარულისა და ერთიანობის წელი. განიშმინდოს ადამიანთა გულები ბოროტებისაგან, ამპარტავნების, ურნმუნოების, სიძულვილისა და შურისაგან და განიკურნოს დასერილი გულები ჩვენი.

სიყვარულისა და თანადგომის სიტყვებით მივმართავ ყველა ახლად შესვენებულის ოჯახს. უფალმა დააპესოს თქვენი გარდაცვლილების უკვდავი სულები სავანესა მართალთასა.

სიყვარულისა და იმედის სიტყვებით მივმართავ აფხაზეთიდან და შიდა ქართლიდან ლტოლვილთ: არ დავარგოთ რწმენა, იმედი და სიყვარული, არ დაბრკოლდეთ, ილოცეთ და უფალი აუცილებლად შეისმენს თქვენს თხოვნას. გვჰერა, მალე მშვიდობა იზეიმებს და თქვენ თქვენს მიწა-წყალს დაუბრუნდებით.

მოგმართავთ ყველა ქართველსა და არაქართველს საქართველოში მცხოვრებს: საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრია

და თქვენ მისი საფარველით ხართ დაცულნი. იშრომეთ და იცხოვრეთ მშვიდად, პატივი ეცით და შეიყვარეთ ერთმანეთი. ნაციონალური შოვინიზმი და სეპარატიზმი უპირველესად საშიშია იმ ხალხისათვის, სადაც ეს მოძრაობა ჩნდება, რადგან ეს ომის, სიკვდილის, განსაცდელის გზაა; ღმერთმა გვაშოროს იგი.

საქართველო იყო და იქნება ერთიანი და დამოუკიდებელი – ასეთია ნება ღვთისა.

გახსოვდეთ უფლის სიტყვები:

„თქვენ მწუხარენი იქნებით, მაგრამ წუხილი სიხარულად გექცევათ“ (იოან. 16, 20). „აპა, შერცხვება და მიიმალება ყველა შენი მრისხველი, არარად იქცევიან და დაიღუპებიან-მეთქი შენი მოდავენი, რადგან მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, შენი მარჯვენის განმამტკიცებელი, მთქმელი შენდა მიმართ: ნუ გეშინია, მე შეგეწევი“ (ეს. 41, 11,13).

ქრისტეს შობა

თბილისი, 1994 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

1994 წ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის
ერთგულ, ღვთივაურთხეულ შვილებს:

უფალი ბრძანებს: „ნეტავ ყურადგედო ჩემი
მცნებები! მაშინ მდინარესავით იქნებოდა
შენი სიმრთელე და ზღვის ტალღებივით –
შენი სიმართლე“ (ეს. 48, 18).



ოვლადუსამღვდელოესნო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო,
დიაკონნო, ბერ-მონაბონნო, უფლისგან დალოცვილი საქარ-
თველოს მკვიდრნო და სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო
ჩვენო საყვარელო თანამემამულენო,

ქრისტე აღდგა!

პასექი ქრისტესი დღესასწაულია სიხარულისა. სიხარული, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს ჩვენს გულებს და ჩვენც, ამ გრძნობით გაბრწყინვებულნი, სულ სხვანაირად აღვიქვამთ სამყაროს, რადგან ეს სიხარული არამინიერი სიყვარულიდან მომდინარეობს, რომლის უშრეტი წყარო უფალი ბრძანდება. ამიტომაც წერს წმიდა იოანე ღვთისმეტყველი: „ღმერთი სიყუარული არს“ (1 იოან. 4, 16).

ჩვენ რეალურად უნდა აღვიქვათ სამყარო, მაგრამ ეს ხედვა აუცილებლად სიყვარულით უნდა იყოს გამსჭვალული, რადგან თვით სამყარო მთელი თავისი არსით ღვთაებრივი სიყვარულის ნაყოფია.

ცნობილი ფილოსოფოსი ი. პავლოვი წერდა: „ცხოვრება მკვეთრად გამოყოფს ადამიანთა ორ ძირითად სახეს: მხატვრებს და მოაზროვნეთ. მათ შორის დიდი განსხვავებაა. მხატვრები სრულად, მთლიანად, ყოველგვარი დანაწილებისა და ჩამონაჭრების გარეშე იწოვენ სინამდვილეს. მოაზროვნენ კი – ყოფენ, აცალკევებენ მას და შემდეგ ამ ნაწილებს აერთებენ და ცდილობენ ასეთი სინამდვილე ხელახლა გააცოცხლონ“ (ტ. 3. გვ. 213. 1951 წ.). როგორც ერთი, ისე მეორე მხარისათვის აუცილებელია სიყვარულით ცხოვრება.

ადამიანი და, საერთოდ, ყოველი ხილული თუ უხილავი – ღვთის ქმნილებაა. ამიტომაც ვალდებულნი ვართ სულიერი თვალით მოვიძიოთ და დავინახოთ შემოქმედი ჩვენი და მივსდიოთ მას.

წმიდა ირინეოსი გვარიგებს, არ შევენინაღმდეგოთ ღვთის ნებას, მის მოქმედებას, რათა ვიყოთ „მორჩილი თიხა მის ხელში“.

„მიუძღვენი ღმერთს გული ღმობიერი და დამჯერი, გაუფრთხილდი ამ ხელოვანის მიერ ბოძებულ ხატებას შენში. შეინარჩუნე სირბილე, რომ არ გაუხეშდე და არ დაკარგო ანაბეჭდი მისი თითისა.

მისმა ხელმა შექმნა შენი არსება, თუ მის ხატებას დაიცავ, სრულყოფილებას მიაღწევ, რადგან უფლის ხელოვნება ადვილად გამოძერნავს შენში არსებულ თიხას. ბაჭაღლო ოქროთი და ვერცხლით სრულად განგვამშვენებს იგი და მოგროვს ისე, როგორც ინებებს მეუფე შენი სილამაზისა“ (ტ. 4. 39, 2).

ყველამ უნდა იცოდეს, ვინ არის იგი, რისთვისაა მოწოდებული, საით მიდის, რისკენ ისწრაფვის? ჩვენი ცხოვრების მიზანი და გზა შეიძლება იყოს სულიერიც და მიწიერიც.

ერთი ცნობილი ფილოსოფოსი თავის ნაშრომში მსჯელობს მიზნის თავისებურ განუსაზღვრელ მრავლობითობაზე, „ათას და ერთ მიზანზე“. დაახლოებით ასეთ მდგომარეობაში ვართ ჩვენც დღეს. მიზნები უთვალავი გვაქვს, გეგმები – უდიდესი, ხოლო კონკრეტული – არაფერი. ყველა დიდი საქმე კი მცირედით, მაგრამ რეალურით იწყება; გზა რომ განვლო, ჰერ პირველი ნაბიჭი უნდა გადადგა.

საპატრიარქოში ხშირად მოდიან ცნობილი უცხოელი ბიზნესმენები, რომლებიც უკვე კარგად იცნობენ ჩვენს ყოფას, ჩვენს საქმიან წრეებს; ისინიც კონკრეტულობას მოკლებულ ჩვენს აზროვნებაზე გამოთქვამენ შენიშვნებს.

ეს მეტყველებს ჩვენს მოუმზადებლობაზე, ჭარბ მაქსიმალიზმზე. ამიტომაც ვექცევით გრანდიოზული აჩრდილებისა და ილუზიური მისწრაფებების ტყვეობაში და ვეღარ აღვიქვამთ, ვეღარ ვხედავთ არსებით, ნამდვილ საქმეებს.

პასკალი შენიშნავდა, რომ ზოგი ადამიანი თავის თავს აღემატებაო. შეიძლება ამით აიხსნას ჩვენთვის დამახასიათებელი სწრაფვა გრანდიოზულობისაკენ.

ხშირად ადამიანები, ერთსა და იმავე ფაქტებსა და პრობლემებს ერთსა და იმავე სიტუაციაში განსხვავებულად აფასებენ. ზოგიერთნი თითქოს ჰიპნოზის გავლენის ქვეშ იმყოფებიან, ხედავენ,

მაგრამ ვერ აღიქვამენ იმას, რაც სხვათათვის აშკარაა. ცხადია, ეს ფაქტი არ აიხსნება ინტელექტის ნაკლებობით ან დაბალი კულტურით. აქ უფრო ღრმა სულიერ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

ადამიანი, როგორც წესი, კეთილი ან ბოროტი ძალის გავლენის ქვეშ იმყოფება, მაგრამ ამავე დროს, თვითონ არის თანამონაზილე და მიზები ამა თუ იმ ენერგიის გავლენისა.

ზოგჯერ პიროვნება გრძნობს თავის არასწორ მოქმედებას და მისგან გამომდინარე ცოდვას, მაგრამ ძალა არ შესწევს წინააღმდეგობა გაუწიოს თავის სულში ფეხმოკიდებულ ბოროტებას.

მოციქული პავლე სიმბოლოა ორი დაპირისპირებული ძალის – სიკეთისა და ბოროტების ბრძოლისა. რომაელთა მიმართ ეპისტოლეში იგი წერს: „არ მესმის რას ვაკეთებ: იმიტომ, რომ იმას კი არ ვაკეთებ, რაც მსურს, არამედ იმას, რაც მძულს“ (რომ. 7, 15).

მოციქული აშიშვლებს თავის სულს და გვიჩვენებს გაორებას მისი პიროვნებისა, ანუ ისეთ მდგომარეობას, როცა გრძნობ, ერთ სხეულში თითქოს ორი ადამიანი სახლობას.

იმ მომენტში წმიდა პავლე ხედავდა, რა იყო სიკეთე, მაგრამ არ შეეძლო ეკეთებინა იგი; მას სძულდა ბოროტება, მაგრამ თავს ვერ იკავებდა, რომ არ ემოქმედა მისი კანონებით. საოცარია, თითქოს ეს დიდი მოციქული თანამედროვე ადამიანებზე წერს, ჩვენზე საუბრობს.

ამით მოციქული გვაჩვენებს, რომ ცოდნა სიკეთისა და ბოროტებისა და უნარი მათი გარჩევისა, არ ცვლის ჩვენს ცხოვრებას, არ ანიჭებს ადამიანს ღვთის სათნო ბუნებას; აუცილებელია მტკიცენებისყოფა, გამბედაობა და უფლის შეწევნა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უფლის შეწევნა, რამეთუ მის გარეშე ყოველივე განწირულია დასაღუპად.

გავიხსენოთ მოციქული პეტრე. თავის ერთგულებაში დარწ-

მუნებულმა უთხრა მან მაცხოვარს: „შენთან ერთადაც რომ მიწიოს სიკვდილმა, არასოდეს უარგყოფ შენ“ (მათ. 26, 35). იესო ქრისტემ აჩვენა მას, რომ ღვთის დახმარების გარეშე ვერ შეძლებდა ნათქვამის შესრულებას და მართლაც, სამჯერ უარყო წმიდა პეტრემ უფალი და მოძღვარი თვისი.

აუცილებელია, გავაანალიზოთ არა მარტო ჩვენი მოქმედება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი აზრები, რადგან ესა თუ ის კეთილი თუ ბოროტი სურვილი ჰერ აზრობრივად ყალიბდება და მერე იქცევა იგი მოქმედებად.

თუ კეთილი რამ განიზრახე, მაინც კარგად დაფიქრდი, მრავალი კუთხით განიხილე იგი და განსაზღვრე მისი შემდგომი განვითარებაც. დაიმახსოვრე, კეთილი ფიქრი ისაა, თუ განხორციელების შემთხვევაში სიხარულს მოუტანს არა მარტო მას, რომელ ადამიანშიც იგი იშვა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სხვებს, – მის გარშემო მყოფთ. მსგავსად ამისა, ბოროტი განზრახვაც პირველ რიგში ზიანს აყენებს თვითონ ამ ადამიანს, ანგრევს მის სულიერ ტაძარს, შეურაცხყოფს და ბილნავს მას.

თუ უმსგავსო ფიქრს იმთავითვე არ მოვიკვეთოთ და არ განვაგდებთ, იგი გულში გადავა, მოიცავს ჩვენს სულიერ და ფიზიკურ სამყაროს და გამოვლინდება ბოროტ სიტყვაში, ცუდ ქცევასა და მოქმედებაში.

უნდა მივეჩიოთ გონების მობილიზაციას, ყურადღების მოკრებას, უნდა ვისწავლოთ აზროვნების კულტურა.

თუ განსჭის საგანზე შევაჩერებთ გონებას და მოვახერხებთ აზრების ერთ ფოკუსში თავმოყრას, თუ შევძლებთ გარეშე, მეორეხარისხოვანი ფიქრებისა და ცუდი ზრახვებისაგან თავის დაღწევას, მოვიპოვებთ დიდ წარმატებებს და გამოვიმუშავებთ უნარს მობილიზებული ღრმა და სწრაფი აზროვნებისა.

ადამიანი, რომელიც ადვილად არჩევს დახვავებულ ფუქტ იდეებს ჭეშმარიტისაგან, სერიოზულს – არასერიოზულისაგან, რეალურს – არარეალურისაგან, უკვე ღრმა აზროვნების გზაზეა დამდგარი.

გონიერების ერთ-ერთი ნიშანი სიდინჯეცაა.

ვთქვათ, ვიმყოფებით ახლობელთა წრეში, ან თუნდაც „მტრების“ გარემოცვაში, სადაც მწვავე კამათია რაიმე საკითხის გამო. შენ მოკამათეს არ ეთანხმები, საპირისპირო აზრებს ვეღარ იტევ და მზად ხარ, შეესიტყვო და მიაგო ოპონენტს შენი სათქმელი. შეჩერდი, ნუ აჩქარდები, აუწონავი შენი ნათქვამი შენს წინააღმდეგვე მობრუნდება. მიეცი მოკამათეს საშუალება, ბოლომდე თქვას სათქმელი. დადუმდი, მაგრამ იფიქრე მთავარზე, მთავარ თემაზე, განაგდე შენგან ის ფიქრები, რაც პირადად გეხება, ამბიციებზე მოქმედებს და თავმოყვარეობას გილახავს. ვიდრე მოწინააღმდეგე ლაპარაკობს, სთხოვე უფალს, იყოს შუამავალი შენსა და შენს მოპასუხეს შორის, იყოს კეთილად წარმმართველი თქვენი გონებისა. წრფელი გულით ნათქვამს უფალი აუცილებლად ისმენს, მუდამ შენთან იქნება და არ მიგატოვებს.

თუ მოწინააღმდეგე შენს მიმართ იყო უხეში და შეურაცხმყოფელი, უპასუხე სიმშვიდით, შესაძლო კორექტულობით, პატივისცემით და გამარჯვება, ნამდვილი გამარჯვება შენი იქნება.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს ცალკეული ადამიანები, ისევე როგორც მთელი კაცობრიობა, გახდა ძალიან ემოციური, ადვილად აგზნებადი, აგრესიული, რომელსაც სადღაც ძალიან მიეჩქარება.

მოულოდნელი პოლიტიკური და სოციალური ცვლილებები, გადატრიალებები, ომები მეტად ართულებენ პიროვნებებს, ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს, რაც შედეგად იწვევს პესიმიზმსა და გულგატეხილობას.

ზოგიერთნი ვეღარ უძლებენ დაძაბულობას, ცხოვრების მძიმე ტვირთს და სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებენ. ის კი არ იციან, რომ დაუსრულებელი ტანკვისთვის წირავენ სულს.

თავის მოკვლა არის საშინელი დანაშაული, რომელიც სულინმიდის გმობად ითვლება და იგი არავის ეპატიება. ამ ცოდვის ჩამდენი ჭოჭოხეთის მსხვერპლი ხდება.

სახარებაში ვკითხულობთ: „ყოველი ცოდვა და გმობა მიეტევება ადამიანებს, მაგრამ სულინმიდის გმობა არ მიეტევება მათ“ (მათ. 12, 31).

ღმერთმა ყველა დაიფაროს ამ უმძიმესი დანაშაულისაგან.

იმედი არასოდეს არ უნდა დავკარგოთ.

ღვთის წყალობა უნდა ვეძებოთ და ვიპოვით კიდეც გზას ერთი შეხედვით უნუგეშო მდგომარეობაშიც კი. გამოსავალი ყოველთვის არსებობს, ოღონდ საკითხი არ უნდა დავსვათ ასე: ყველაფერი ან არაფერი. უნდა დავიწყოთ ძალიან მცირედან, ყოველდღიურიდან, ჩვეულებრივიდან. ანტონი დიდის ცხოვრება ამ მხრივ ბევრს გვასწავლის.

როდესაც ეს ღირსი მამა მძიმე განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა და ეჭვიც კი შეეპარა არჩეული ყოფის სისწორეში, გულმხურვალედ დაინყო ვედრება უფლისადმი, რომ რჩევა მიეღო მისგან. და მოევლინა წმიდა ანტონს ანგელოზი, რომელმაც უთხრა, რომ ყოველი ადამიანისათვის, თუნდაც იგი განდეგილი და მარტოდმყოფი იყოს, აუცილებელია ლოცვა და შრომა.

ლოცვას აქვს უდიდესი სასწაულთმოქმედი ძალა. ყოველი ნამდვილი კეთილი საქმე, რომელიც ღვთის სასოებითა და ლოცვით იწყება, წარმატებით მთავრდება.

თვით უფალი ბრძანებს: „ყველაფერი, რასაც ლოცვაში ითხოვთ რწმენით, მოგეცემათ“ (მათ. 21, 22).

მინდა გავიხსენო ცნობილი ფაქტი ბიბლიიდან:

ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა გადაწყვიტა კერპთა უარყოფისათვის სამაგალითოდ დაესაჭა ახალგაზრდა წინასწარმეტყველნი: ანანია, აბარია და მისაელი. ბრძანა ხელ-ფეხი შეეკრათ მათთვის და გავარვარებულ ღუმელში ჩაეყარათ. ცეცხლის ალი იმდენად ძლიერი იყო, რომ ბრძანების აღმსრულებელნი იმსხვერპლა. ჭეშმარიტი ღვთის მადიდებელნი უშიშარი ყრმანი კი უვნებლად მიმოდიოდნენ შუაგულ ცეცხლში, დაუღალავად უგალობდნენ ღმერთს და აკურთხებდნენ უფალს. მათთან ერთად იყო ანგელოზი უფლისა.

„მაშინ გაოცდა მეფე ნაბუქოდონოსორი და შეშინებული წამოვარდა. მიუგო და უთხრა თავის მრჩეველთ: ჩვენ სამი შეკრული კაცი არ ჩავაგდეთ ღუმელში? მიუგეს მათ და უპასუხეს მეფეს: ჭეშმარიტად ასე იყო, მეფეო! მიუგო მან და თქვა: აჲა, ოთხ ხელ-ფეხ გახსნილ კაცს ვხედავ, შუაგულ ცეცხლში მიმოდიან ისინი უვნებლად; მეოთხე შესახედაობით ღვთის შვილს ჰგავს“ (დან. 3, 91-92). მომხდარმა ისე შეძრა ეს გორობი მეფე, რომ სასწრაფოდ გაათავისუფლა დასჭილნი, აღიარა ჭეშმარიტი ღმერთი და გახდა მისი თაყვანისმცემელი.

ახლა რაც შეეხება შრომას. დღეს ჩვენ მოდუნებულნი ინერციით ვცხოვრობთ. მუდმივად ველით დახმარებას სხვებისგან: ზოგნი დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისაგან, სხვანი სამანეთო ზონიდან... მაგრამ თუ ჩვენ თვითონ არ მივხედეთ საკუთარ თავს, ვერვინ გვიშველის. ყველა ქვეყანას, მათ შორის ეკონომიკურად ძლიერსაც, თავისი პრობლემები აქვს და არც მოწყალებას იღებს ვინმე უანგაროდ და უმიზნოდ.

ჩვენ უნდა ვისწავლოთ შრომა, შრომა დაუღალავი და თავდადებული, მსგავსად იმ ქვეყნის მოქალაქეებისა, რომელთა ყოფასაც შევნატრით.

ხშირად მეკითხებიან: რა ვქნა, შესაძლებლობები არა მაქვს, რომ სერიოზულ საქმეს მოვიდო ხელიო. გზის დასაწყისშივე სერიოზული ნაბიჭების გადადგმა არც არის სწორი. გადავხედოთ ისტორიას.

თითქმის ყველა დიდმა ადამიანმა თავისი მოღვაწეობა უბრალო საქმით დაიწყო. გავიხსენოთ თუნდაც ამერიკის პრეზიდენტი გარფილდი, რომელიც ამ თანამდებობაზე 1880 წელს აირჩიეს.

გარფილდი 19 წლისა იყო, ინსტიტუტში სწავლა რომ გადაწყვიტა, მაგრამ რადგან ლარიბი ოჯახიდან იყო და სწავლის ქირის გადახდის საშუალება არ ჰქონდა, ინსტიტუტის აუდიტორიების დალაგება არ ითავიდა. ამასთან, ყოველ დილით ხუთ საათზე ზარს რეკვიტი. როცა სასწავლებლის დირექტორმა პკითხა: გაქვს თავის იმედი, რომ ზუსტად შეასრულებ ამ საქმესო? ყმაწვილმა ორი კვირის საგამოცდო ვადა ითხოვა.

გარფილდმა თავისი მოვალეობა მშვენივრად შეასრულა, ინსტიტუტი წარმატებით დაამთავრა და გახდა რესპუბლიკელთა პარტიის ხელმძღვანელი, შემდეგ კი ამერიკის პრეზიდენტი. გვახსენდება მაცხოვრის იგავის სიტყვები: „...კეთილო მონავ! რაკი მცირედში სანდო იყავ, დიდს განდობ შენ; შემოდი შენი პატრონის სიხარულში“ (მათ. 25, 23).

პრეზიდენტ გარფილდისა და სხვა ცნობილ პიროვნებათა ცხოვრების მაგალითმა ჩვენს ახალგაზრდებს უნდა შეახსენოს, რომ ადამიანის ღირსების დამამცირებელი შრომა არ არსებობს, რომ შრომა აკეთილშობილებს პიროვნებას და სხვათა თვალშიც ავტორიტეტს მატებს მას.

გარმაცი კაცი კი ხშირად არასმქონე და უბედურია. „ყარიბივით მოგადგება შენი სიღარიბე და იარაღასხმული კაცივით – შენი გაჭირვება, – გვარიგებს ბრძენი სოლომონი, – მიდი ჭიანჭველასთან, მცონარავ, დააკვირდი მის ქცევას და ჭკუა ისწავლე. არა ჰყავს მას არც უფროსი, არც ზედამხედველი, არც ბატონი. გაფხულობით იმარაგებს თავის პურს, აგროვებს თავის საზრდოს მოსავლის აღებისას“ (იგავ. 6, 11, 6-8).

ექვსი დღე იშრომე და ოფლით შენით ჭამე პური შენი არსო-

ბისა, – გვიბრძანებს უფალი. ეს დასჭა კი არა, კურთხევაა ღვთისა.

გახსოვდეთ, ლოცვისა და დაუღალავი შრომის გარეშე ღვთის სათნოს ვერაფერს გავაკეთებთ: ვერც მიწის ნაყოფს მოვიპოვებთ, ვერც ნამდვილ სრულ ცოდნას შევიძენთ, ვერც სულიერ ცხოვრებაში მივაღწევთ რამეს. ღვაწლის გარეშე წარმოუდგენელია იმ ზნეობრივი თვისებების შეძენა, რაც აუცილებელია ჩვენი უკვდავი სულისათვის.

სიყვარულით მოგმართავთ ჩვენო ახალგაზრდებო: ნუ ეძებთ იოლ გზებს; ისინი მხოლოდ დაღუპვისაკენ გიბიძგებენ. ნუ გახდებით მეწვრილმანენი და მოვაჭრენი; ყიდვა-გაყიდვა და მასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობანი აფუჭებს და ამახინჯებს ადამიანის სულს. ჩვენი წინაპრებისათვის XIX საუკუნეშიც კი ეს ხელობა არასა-სურველ საქმედ ითვლებოდა.

მიხედეთ მიწას; მიწა დაგაპურებთ და გაგათბობთ. ბუნებასთან კავშირი აჭანსაღებს კაცის სულსა და სხეულს. ყველაფერი უნდა გავეთდეს, რომ შეიცვალოს ჩვენი დღევანდელი ყოფა, ამაღლდეს ზნეობა, ამუშავდეს ჩვენი წარმოებები, ქარხნები, ფაბრიკები, აყვავდეს მეურნეობები.

მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული ცენტრ „ძლევაის“ საქმიანობას. მართალია, ჰერ ერთი წელიც არ არის გასული მისი მოღვაწეობიდან, მაგრამ უკვე სერიოზულ საქმეებს ჩაეყარა საფუძველი. ახლახან ამ ცენტრმა მოაწყო საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია დევიზით „ქრისტიანობა და კულტურა“, რომლის სხდომებიც ჩატარდა სულხან-საბას სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სამხატვრო აკადემიაში, სამედიცინო უნივერსიტეტში, კულტურის ინსტიტუტში, სასულიერო აკადემიაში, პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, ხოლო დასკვნითი სხდომა – სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კონფერენციამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მონაწილეობდა

სამოცდაათი მომხსენებელი. გამოვლინდა თორმეტი გამარჯვებული მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

სასიხარულოა, რომ მიუხედავად სამოცდაათნლიანი ათეისტური რეჟიმის ბატონობისა, ჩვენი ახალგაზრდები ძირითადად სწორად აზროვნებენ. „ძლევაის“ გადაწყვეტილი აქვს, მსგავსი კონკურსი მოაწყოს ყოველწლიურად, ოლონდ უკვე საქართველოს მასშტაბით. შედგება სავარაუდო გეგმა თემატიკისა, რომ სტუდენტებს გაუადვილდეთ მათთვის სასურველი მასალის დამუშავება.

ვფიქრობთ, ეს ხელს შეუწყობს ჩვენს ერში სულიერობის ამაღლებას და მეცნიერების სწორი გზით განვითარებას.

მაღლობა ღმერთს, ნიჭიერი ადამიანები არ გვაკლია; ოღონდ მათ უნდა მიეცეთ სწორი ორიენტაცია და საშუალება შესაძლებლობების გამოვლენისა.

ცალკეული ადამიანი ისევე, როგორც მთელი კაცობრიობა დროის ორი განზომილებით ცხოვრობს: წარსულითა და მომავლით. ახლანდელი დრო თითქმის არ არსებობს. იგი, რაც აწმყოდ იწოდება, ერთ წამში წარსულად იქცევა. დრო ულმობლად ისწრაფვის წინ და მის მსვლელობას ვერავინ შეაჩერებს. დრო უძვირფასესი საჩუქარია ღვთისგან ბოძებული, ჩვენ კი მას ვერ ვიყენებთ.

ხშირად წარსულით ვამაყობთ, გუშინდელი დღით ვცხოვრობთ, მაგრამ მარტო წინაპართა დამსახურების გამო თვითვმაყოფილებას არ შეიძლება მივეცეთ. ჩვენ დღეს უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, თითოეულმა თავის ადგილზე უნდა იშრომოს და ყველამ ერთი დიდი მიზნისაკენ ისწრაფოს. ასე რომ არ ვცხოვრობდით, ამიტომაც მოხდა ის, რომ ორი საუკუნის განმავლობაში ვიფიქრეთ, ვიოცნებეთ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობაზე, ხოლო როცა დრო დადგა, ამას მოუმზადებელნი შევხვდით. ჩვენს თავს თვითონვე შევუქმენით გადაულახავი წინააღმდეგობები და პრობლემები; ეს იმიტომ, რომ

ჩვენში ზნეობისა და სულიერობის დონე დაბალია; ღვთის კანონებით რომ გვეცხოვრა, ამდენ უბედურებას ავცდებოდით.

ნაბუქოდონოსორის მიერ დასჭილი ცეცხლში ჩაყრილი, მა-გრამ უვნებლად გადარჩენილი ყრმა წინასწარმეტყველთა სიტყვე-ბით მოგმართავთ, ღმერთო: „ყველაფერში ვცოდავდით და ყურს არ ვუგდებდით შენს მცნებებს; არ ვიცავდით მათ და არ ვასრულებდით ისე, როგორც შენ გვიძრძანე, რათა სიკეთე მოგვნიჭებოდა. ყვე-ლაფერი, რაც კი ჩვენ შეგვამთხვიე... სამართლის მიხედვით მოგ-ვიზღე... ახლა ჩვენ მოგყვებით მთელი გულით, გვეშინია შენი და დავეძებთ შენს სახეს; ნუ შეგვარცხვენ, არამედ მოგვექეცი შენი კაცთმოყვარეობისამებრ... გვიხსენი შენი სასწაულებით და მიეცი დიდება შენს სახელს, უფალო“ (დან. 3, 29-31, 41-43).

მადლობა ღმერთს, მიუხედავად ყველაფრისა, წინსვლის პროცესი მაინც იგრძნობა. განსაცდელის გავლით ხალხი ნელ-ნელა უახლოვდება ღმერთს; ადამიანებმა დაიწყეს ლოცვა, შრომა, ფიქრი მარადიულ ცხოვრებაზე.

მთავარია, ვძლიოთ ამპარტავნობას, ეგოიზმს, სხვებისთვის ტკივილის მიყენების, დაუმსახურებელი კეთილდღეობის სურვილს, ვძლიოთ ქედმაღალი ბაბილონის ცოდვას – „მე ვარ და ჩემს მეტი არავინ არის“ (ეს. 47, 10).

ვინც კი ამ პრინციპით განლია დღენი ამ მზისქვეშეთში, ცა-ლკეული პიროვნებები თუ სახელმწიფოები, ყველა წარწყმდა და აღიგავა პირისაგან მიწისა.

მოვიტან ორ მაგალითს:

ცხოვრობდა ერთი მდიდარი კაცი, რომელსაც ყველაფერი უხვად ჰქონდა და პრობლემები არ აწუხებდა. მეზობლებთან არ კადრულობდა დაახლოებას და რომ არ შეეწუხებინათ, ჭიშვარზე აბრა გააკრა წარწერით: სახლში არავინ არის. ყველამ იცოდა, რომ

ეს სიცრუე იყო და ისიც იცოდნენ, რომ მათი მდიდარი მეზობელი ამას სიხარბის გამო აკეთებდა, რადგან არ უნდოდა ვინმეს დაერღვია მისი სიმშვიდე, რაიმე ეთხოვა და იძულებული გახსადა ხელი გაემართა. ცოდვა დიდხანს არ დარჩა დაუსკელი. გაჩნდა ხანძარი, რომელმაც იმსხვერპლა ეს მდიდარი კაციც და მთელი მისი ქონებაც. წავიდა იგი ამ სოფლიდან შერცხვენილი და უსახელო.

მსოფლიო ისტორიაში გამოჩენილი ადგილი უჭირავს ალექსანდრე მაკედონელს. ეს გენიალური ადამიანი მომავლის დიდი რწმენით იყო დაჭილდოებული. როდესაც ლაშქრობისთვის ემზადებოდა, წესად ჰქონდა ქონების დარიგება. მეფური გულუხვობით გასცემდა თითქმის ყველაფერს, რაც ჰქონდა. ერთხელ ერთმა ახლობელმა უთხრა: მეფეო, თქვენთვის აღარაფერია, რომ დაიტოვოთო. ალექსანდრემ უპასუხა: მე დამრჩა ყველაზე დიდი რამ – იმედი.

ჩვენ ყველანი ღვთის წინაშე დავდივართ. იგი ხედავს როგორც ჩვენს საქმეს, ისე ჩვენს ფიქრებსა და აზრებს. ყოვლისმხედველი თვალი უფლისა მუდამ თანა გვდევს და მოგვაგებს დამსახურებისამებრ.

მოციქული პავლე მოკლედ იძლევა დარიგებას, თუ როგორი უნდა იყოს ქრისტიანის ცხოვრების წესი:

„დაე, უორგულო იყოს სიყვარული; განეშორეთ ბოროტს, მიეახლეთ კეთილს. ძმური სიყვარულით გიყვარდეთ ერთმანეთი; ერთიმეორეს ასწრებდეთ ურთიერთპატივისცემას. გულმოდგინება ნუ დაგზარდებათ; სულით მდუღარენი იყავით; ჰმონებდეთ უფალს. გიხაროდეთ სასოებით; მომთმენნი იყავით ჭირში, ხოლო ლოცვისას – მოუღლელნი. შეეწიეთ წმიდათა გასაჭირს: სტუმართმოყვარეობა გქონდეთ წესად. აკურთხეთ თქვენი მდევნელნი; ნუკი სწყევლით, არამედ აკურთხეთ. გიხაროდეთ მათთან ერთად, რომელნიც ხარობენ, და ტიროდეთ მათთან ერთად, რომელნიც ტირიან. ერთმანეთის

თანამოაზრენი იყავით; ქედმაღლობას ნუკი სცდილობთ, არამედ ემსგავსეთ მდაბალთ; ბორჯენკაცებად ნუ მოგაქვთ თავი. ბოროტის წილ ნურავის მიაგებთ ბოროტს; ყოველი კაცის წინაშე იზრუნეთ სიკეთისათვის... ნუ იძლევი ბოროტისაგან, არამედ სიკეთით სძლიე ბოროტს“ (რომ. 12, 9-17, 21).

თუ ამას ყოველივეს შევასრულებთ, გავხდებით ღირსნი მარა-დიული ნეტარებისა, რომელიც მაცხოვრის ჭვარცმისა და აღდგომის მადლით მიენიჭა კაცობრიობას.

ქრისტეს აღდგომა არის დღესასწაული ბოროტებაზე სიკეთის გამარტვებისა და იმედისა, ზეიმი სიცოცხლისა, სიკვდილის დამ-თრგუნველისა.

ღვთაებრივი სიყვარულით აღვსილი ყველას ვიდევ ერთხელ სიხარულით გილოცავთ პასექის დიად დღესასწაულს. სიყვარულმა, მშვიდობამ და კეთილდღეობამ დაისადგუროს სრულიად საქართ-ველოში, ყოველ თქვენგანში; ვადიდოთ უფალი, ჭოჭოხეთის შემ-მუსვრელი, ვადიდოთ მეუფე მშვიდობისა, ვარსკვლავი ბრწყინვალე განთიადისა.

ქრისტე აღდგა, ჭეშმარიტად აღდგა!

აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 1994 წ.

საშობაო ეპისტოლე

1995 წ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმოყვარესა
და ღვთივკურთხეულ შვილებს:

უფალი ბრძანებს: „გააძლიერეთ ღონემიხდილი
ხელები და მოკვეთილი მუხლები გაიმაგრეთ!
უთხარით გულშემდრკალთ: გამაგრდით, ნუ გეშინიათ!
აჰა, ღმერთი თქვენი, მოვა შურისგება, ღვთის
საზღაური; ის მოვა და გიხსნით თქვენ“ (ეს. 35, 3-4).

 ოვლადუსამღვდელოესნო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო,
 დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, დალოცვილი და წმიდა ივერიის
მკვიდრნო, გვნამს, ღვთის შეწევნით, მწუხარება ჩვენი სიხარულად
შეიცვლება და მშვიდობა და კეთილდღეობა იზეიმებს ჩვენს სამშობ-
ლოში.

დღეს მთელი მსოფლიოს ქრისტიანთა გული და გონება მი-
მართულია ბეთლემის გამოქვაბულისკენ, სადაც თითქმის 2000 წლის
წინ დაიბადა ღვთაებრივი ყრმა – უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

სამყაროს ღრმა ძილით ეძინა, როცა ბეთლემელ მწყემსებს
ესმათ ანგელოზთა გალობა – სადიდებელი ახლადშობილი მაცხო-
ვრისა: „დიდებად მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშვ-
დობად და კაცთა შორის სათნოებად“.

ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ მხოლოდ ჭეშმარიტი თაყვანისცემა
ღვთისა არის სათავე ქვეყნად მშვიდობისა და კეთილდღეობისა,
ადამიანთა შორის კეთილგანწყობისა და ურთიერთგაგებისა.

თუ წარმართნი ასწავლიდნენ, რომ „ომი მამაა ყოვლისა, მეფე
ყოველთა“ (ჰერაკლიტე ეფესელი), ხოლო ებრაელნი – „თვალი
თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“ (გამ. 21, 24), მაცხოვარმა დე-
დამიწაზე სიყვარული და შერიგება მოიტანა.

ადამიანმა, და მით უმეტეს, ქრისტიანმა სიყვარულის კანონით
უნდა იცხოვოროს და განაგდოს თვისგან სიძულვილი და წინააღმდ-
ეგობის სული. წმიდა იოანე ღვთისმეტყველი წერს: ვისაც სძულს ძმა
ანუ მოყვასი თვისი, ბნელსა შინა არს. მართლაც, მტრობის, სიძუ-
ლვილისა და მრისხანების ტყვეობაში მყოფისგან ნათელი განშორ-
ებულია. ამიტომაც იგი გარე სამყაროს არასწორად აღიქვამს და ვერ
გრძნობს, რომ სხვისი მტრობით, სინამდვილეში ბოროტად საკუთარ
თავს ექცევა, რადგან ამ დროს გაცილებით დიდ ვნებას თავის სულს
აყენებს.

ზოგჯერ მსოფლიოსა თუ ცალკეულ ქვეყნებში ვხედავთ, რო-
გორ ზეიმობს უსამართლობა, გაუტანლობა, ბანდიტიზმი. შორს
წასვლა არ დაგვჭირდება. შეხედეთ, ჩვენ გვერდით ადამიანები რო-
გორ ადვილად სჩადიან დანაშაულს: არ ერიდებიან მკვლელობას,
ძარცვას, ქურდობას. იქმნება ტერორისტული პგუფები, ფულის თუ

თანამდებობის გამო სიცოცხლეს უსწრაფებენ ერთმანეთს. შემდეგ კი ბოროტების ჩამდენნი თვითონაც ისეთივე საშინელი სიკვდილით კვდებიან, როგორიც სხვას განუმზადეს, უფრო მეტიც, ისინი არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ სულიერადაც იღუპებიან.

არ შეიძლება ძარცვით და ადამიანის სისხლის ფასით მოიპოვო პური არსობისა. გახსოვდეთ, დანაშაული დაუსკელი არ რჩება ამქვეყნად. უფალი მკაცრად მიაგებს ყველას საზღაურს. ცოდვა მძიმე ტვირთად აწვება არა მარტო ბოროტების ჩამდენთ, არამედ მათ შვილებს, ახლობლებსა და შთამომავლობას.

ჩვენ ჩვენი ცხოვრებით გარეულ ბეთისხილს დავემსგავსეთ, რომელიც, მართალია, ნაყოფს იძლევა, მაგრამ ნაკლებად ვარგისს. ასეთი ყოფა ბევრს უკარგავს საკუთარი ხალხისა და, საერთოდ, ადამიანის რწმენას. მაგრამ ამ დროს გვავიწყდება, რომ ყოველი ადამიანი ღვთის ხატებაა და უფლის ბეჭედი ყველაზე დაცემული მდგომარეობიდან წმიდანად და დიდ მოღვაწედ ამაღლების შესაძლებლობას აძლევს, რა თქმა უნდა, თუ ამას თვითონ მოინდომებს.

გავიხსენოთ ისიც, რომ თითქმის ყველა ღირსეულსა და სულიერობით გამორჩეულ შვილს ამა თუ იმ ქვეყნისა ხშირად გასტეხია გული თავისი ხალხის გამო. მოვიგონოთ პავლე მოციქულის სიტყვები რომაელთა მიმართ ეპისტოლედან: „ვამბობ: ნუთუ ღმერთმა განიშორა თავისი ხალხი? არამც და არამც... არ განუშორებია ღმერთს თავისი ხალხი, რომელიც წინასწარ იცნო. ან, იქნებ, არ იცით, რას ამბობს წერილი ელიასათვის? როგორ შესჩივის იგი ღმერთს ისრაელის გამო: უფალო, შენი წინასწარმეტყველნი მოკლეს და შენი საკურთხეველნი დაანგრიეს; მეღა დავრჩი, და ეძიებენ ჩემს სულს.

მაგრამ რას ეუბნება მას პასუხი ღმრთისა? – მე დავიტოვე შვიდი ათასი კაცი, რომლებსაც არ მოუყრიათ მუხლი ბაალის წინაშე. ასე, ამჟამადაც მადლისმიერი არჩევანით გადარჩა ნაშთი“ (რომ. 11, 1-5).

უფალი არასდროს მიატოვებს თავის ქმნილებას, რადგან უყვარს იგი. სინამდვილე უნდა დავინახოთ, მაგრამ სასოწარკვე-
თილებას არ უნდა მივეცეთ. უნდა გვახსოვდეს, რომ მიწა სამოთხე
როდია, არამედ ადგილი სამოთხიდან განდევნისა, – როგორც ეს
ერთმა ღვთისმეტყველმა ბრძანა.

ვიდრე დედამიწა და კაცობრიობა იარსებებს, სიკეთე და ბო-
როტება, მწუხარება და სიხარული, სასოება და იმედგაცრუება, ომი და
მშვიდობა ყოველთვის გვერდიგვერდ იქნება, რადგან პიროვნებაში
ბნელი საწყისის მთელი ძალაა დაფარული და მასშივეა მთელი
ძალა ნათლისა (შელინგი). დღეს ჩვენი ქვეყანა ნათელსა და ბნელს
შორის ბრძოლის ასპარეზია. დიდი მსხვერპლი იქნა გაღებული, მა-
გრამ, მადლობა ღმერთს, უფლისა და მრავალრიცხოვან წმიდანთა
შეწევნით ბოროტების არტახებისგან თანდათან ვთავისუფლდებით.
ეს ყოველივე უნდა გაგვევლო, რადგან ჩვენი ცხოვრებით დავიმსახ-
ურეთ იგი.

დამდაბლებით, ცხოვრების ქურაში გატარებით, ამპარტავნე-
ბისა და პატივმოყვარეობის ცოდვისგან გვკურნავს მაცხოვარი და
გვეხმარება, რომ თავმდაბლობა, შინაგანი სიმშვიდე და წონასწო-
რობა მოვიპოვოთ.

შევეცადოთ ნათლის მსახურნი გავხდეთ, რამეთუ სადაც ნა-
თელია, იქ ღმერთია და სადაც ღმერთია, გზაც არის. „მე ვარ გზა და
ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოან. 14, 6), – ბრძანებს უფალი.

მაგრამ ამ სიმაღლეზე რომ ავიდეთ, აუცილებელია გვქონდეს
ღრმა სინანული.

რა არის სინანული? სინანული განმწმენდია, განმწმენდის გა-
რეშე კი ვერ მივუახლოვდებით ღმერთს.

სინანული, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ სულში ჩაღრმავე-
ბაა, ეს არის სწრაფვა სულისა აღიქვას საკუთარი თავი ისეთად,

როგორიც იგი სინამდვილეშია, შეიცნოს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ჩვენ კი ხშირად თვალს ვარიდებთ ჩვენს სულში დაბუდებულ უარყოფით თვისებებს, და თუ აღმოვაჩენთ მათ, ადამიანური სისუსტით ვამართლებთ. ასეთი განსჭა არასწორია და აშკარა დაღუპვისკენ გვიბიძგებს.

შენ არათუ უნდა ხედავდე შენში არსებულ ცოდვას, არამედ უნდა გძულდეს იგი და ებრძოდე, ხოლო თუ ცოდვა არ გაღელვებს და დაუმეგობრდი მას, მაშიც იცოდე, სული შენი განსაცდელშია და მარადიული სიკვდილის საფრთხე ემუქრება.

სინანულის გამოვლენის მეორე საფეხურზე ადამიანი ცხოვრების შეცვლის გადაწყვეტილებას იღებს. ცხოვრების შეცვლა! სათქმელადაა ადვილი, ხოლო განხორციელება მისი მეტად ძნელია.

უპირველეს ყოვლისა, უფალს გონების განკურნება და ჩვენი ფიქრის სიკეთისკენ წარმართვა უნდა ვთხოვოთ, რადგან აზროვნებაზე მეტად ბევრი რამაა დამოკიდებული. ცოდვა ხომ ჰერ გონებაში იბადება და თუ მას თავიდანვე არ შევებრძოლეთ, გულში გადავა და მთელ ჩვენს არსებას მოედება.

ჭეშმარიტი სინანული კი ადამიანის არა მარტო აზროვნებას, არამედ მოქმედებასაც ცვლის.

თითოეულ ჩვენგანსა და მთელ ერში სინანულმა უნდა გაიღვიძოს. სინანული აუცილებელია არა მარტო ჩვენთვის, ქართველებისთვის, არამედ ყველა ხალხისათვის. მის გარეშე ერიც და ქვეყანაც სულიერად კვდება, ფიზიკურად აღიგვება პირისაგან მიწისა და მოისპობა, ვითარცა სიცოცხლის ხისთვის უვარგისი, გამხმარი ტოტი. სინანული გადარჩენაა, რასაც მრავალი მაგალითი გვიდასტურებს.

დღეს ბევრს მსჯელობენ, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის განვითარების გზა, საითვენ უნდა წარიმართოს იგი: აღმოსავლეთისკენ თუ დასავლეთისაკენ.

დასავლეთი არის სამყარო, სადაც ყველაფერი ნებადართულია და სადაც ძალმომრეობა ბატონობს. იგი მატერიალურად ძლიერია, მაგრამ სულიერად მნირი, რადგან ფული იქ კერპადაა ქცეული. მიწიერმა კეთილდღეობამ არ უნდა მოგვხიბლოს. წარსული ბევრი რამის მასწავლებელია. ჭერ კიდევ ძველი ბერძნები და რომაელები ამბობდნენ, სიმდიდრეში დიდი საფრთხე დევსო. პოეტი პროპერციუსი წერდა: „მე ვხედავ რომს, ამაყ რომს, უდროოდ სიკვდილის სარეცელზე მნოლს, თავისი აყვავებული ცხოვრების მსხვერპლს“. დაახლოებით იმავეს ამბობდა სატირიკოსი იუბენალი: „ფუფუნებამ, ომზე უფრო საშიშმა, მოიცვა რომი... მას შემდეგ, რაც რომში აღარ არის ღატაკი, იგი ვნებასა და ცოდვაში დაინთქა“.

რა თქმა უნდა, ევროპაში კარგიც ბევრია, მაგრამ ეს კარგი ჩვენთვის უცხოა და ძნელად მისაღები.

სულიერად ასევე უცხოა ჩვენთვის აღმოსავლეთი. ჩვენი მწუხარება და სიხარული ვერ ერგება მისი აზროვნების წესს, თუმც მიმზიდველია მისი კულტურა და უძველესი ფილოსოფია.

მაღალი კულტურა და განვითარებული ტექნიკა ხალხის ბედნიერებისთვის არ არის საკმარისი; არის ღირებულებანი, რომელიც ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში საუკუნეობით იქმნებიან და ყალიბდებიან და რომელთა დავარგვაც დანაშაულია. ჩვენთვის ასეთია: მართლმადიდებელი სარწმუნოება, მოციქულთაგან ბოძებული, მუსიკა, – ყველას რომ აღაფრთოვანებს, ჩვენი ენა და დამწერლობა, იდუმალებით სავსე და დიდებული; გასაოცარი ხელოვნება, ხატწერა, არქიტექტურა, ჩვენი მშვენიერი წეს-ჩვეულებანი.

აღმოსავლეთის ან დასავლეთის რომელი ტრადიციები შეედრება მათ? სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ ვაცნობიერებთ, რა სიმდიდრის მფლობელნი ვართ.

ჩვენი ხელოვნების უიშვიათესი შედევრები და სულიერი სა-

განძური დანაწევრებული და გაბნეულია. მათზე სრული წარმოდგენა ჩვენც კი არა გვაქვს, რომ აღარაფერი ვთქვათ უცხოეთიდან ჩამოსულ სტუმრებზე.

მიმაჩნია, რომ ჩვენი ხალხისა და განსაკუთრებით ახალგაზრდობის სულიერი აღზრდისა და ამაღლების მიზნით უნდა დაარსდეს კულტურის დიდი ცენტრი, სადაც ბინას დაიდებს სასულიერო და საერო ხელოვნების გამორჩეული ნიმუშები, მოენცობა დროებითი და მუდმივი გამოფენები თანამედროვე ქართველი და უცხოელი ოსტატებისა.

კულტურის ამ ცენტრში ცალკე ადგილი უნდა დაეთმოს ქართულ არქიტექტურას, უნდა დაარსდეს მინანქრის, ჭედურობის, ხეზე კვეთის, ქარგვის, ქსოვის, ქვის დამამუშავებელი სახელოსნოები. ყოველივე ამისთვის, ვფიქრობ, შესაფერისი რუსთაველის პროსპექტზე მდებარე ყოფილი მთავრობის სასახლის შენობა იქნება. ამ შემთხვევაში იგი არა მარტო საგამოფენო ადგილად, არამედ ჩვენს სულიერ და ზნეობრივ სკოლადაც იქცევა.

როდესაც ჩვენი კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე ვლაპარაკობთ, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საკუთარ ნაჭუქში ჩავეტვა გვსურს და სხვისგან აღარაფრის სწავლა აღარ გვჭირდება. არა, ჩვენ გონიერ შრომისმოყვარე ფუტკარს უნდა დავემსგავსოთ, რომელიც ნექტარს მხოლოდ იმ ყვავილებისგან აგროვებს, რომელიც თაფლისთვისაა გამოსადევი.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ საქართველოში დაარსდა საერთაშორისო ცენტრი „აღმოსავლეთ-დასავლეთი“, რომლის პრეზიდენტიც სახელმწიფოს მეთაური, ბატონი ედუარდ-გიორგი შევარდნაძე ბრძანდება. მიმაჩნია, რომ ეს ცენტრი ბევრს გააკეთებს მიმდინარე პროცესების შესწავლითა და გაანალიზებით და, რაც მთავარია, გამოქებნის გზებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის

ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობისათვის.

დღეს ჩვენი ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე მწვავედ დგას საკითხი, თუ როგორ დავძლიოთ სულიერი, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები და როგორ დავალწიოთ თავი შექმნილ ვითარებას.

და მაინც, ყველაზე საშიში სულიერი კრიზისია, რადგან ტოტალიტარულმა რეჟიმმა ღრმა კვალი დაგვიტოვა: ურნმუნოება, სულიერობის ნაკლებობა, დანგრეული ტაძრები და მონასტრები, ადამიანთა დამახინჯებული შინაგანი სამყარო, რომელიც განმაცოცხლებელ ხელს ელოდება.

გაცილებით ადვილია ეკლესის აგება და ეკონომიკის აღდგენა, ვიდრე სულის დარღვეული ტაძრის აშენება. ჩვენი მიზანია, ადამიანი უფალთან მივიყვანოთ, დავუბრუნოთ მას რწმენა არა ზოგადად ღმრთისა და აქედან გამომდინარე, საერთოდ რელიგიისა, არამედ ჭეშმარიტი მართლმადიდებლური სარწმუნოება, რომლითაც ცხოვრობდნენ და ცხონების ღირსი ხდებოდნენ ჩვენი დიდი წინაპრები.

ზოგიერთი ფიქრობს, რომ ამ საკითხებისთვის ზრუნვა მხოლოდ სასულიერო პირთა საქმეა. ის კი ავიწყდებათ, რომ ხალხი და ეკლესია, რომლის თავიც უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანდება, განუყოფელია.

ამიტომაც ამ პრობლემის მოგვარებისთვის ზრუნვა ერსაც მართებს, ბერსაც, და, რა თქმა უნდა, ხელისუფლებასაც. ჩვენი გაუკუდმართებული ცხოვრების წესს ტელევიზორის ეკრანი კიდევ უფრო მეტი სიმდაბლისკენ უბიძგებს. შერყეულია ოჭახის საძირკველი, ცხოველურ ინსტინქტებამდეა დასული უფაქიზესი გრძნობები, მოდებულია ნარკომანია, რაც პიროვნების დაცემასა და დეგრადაციას უწყობს ხელს. საშიშროებას ისიც აღრმავებს, რომ აღმოსავლეთიდან

თუ დასავლეთიდან ჩვენი ქვეყნისაკენ (და არა მარტო ჩვენი ქვეყნი-საკენ) სხვადასხვა სექტისა და რელიგიის წარმომადგენელთა დიდი ნაკადი დაიძრა. ისინი ხელგაშლილად ფინანსდებიან საზღვარგარეთ არსებული მათი ცენტრებიდან. ჩვენთვის უცხო მქადაგებლები საჩქრებით იტყუებენ მართლმადიდებლებს და თავს სხვადასხვა ცრუ სწავლებას ახვევენ.

ისინი უარყოფენ ეროვნულობას, სამშობლოს, სარწმუნოებას, სიწმიდეს, ტრადიციებს, განმკითხველი კი არავინა ჩანს.

ის, ვინც ჭეშმარიტ რწმენას განუდგება და ვინც თავისი დაუფიქრებლობით სულიერ ღირებულებებს მიწიერ სიკეთებები გაცვლის, ღვთისა და მამულის წინაშე მოღალატეა.

განა შეიძლება მშვიდად ვუყუროთ, რელიგიური დაპირისპირების ნიადაგზე თუ როგორ ირღვევა ოჭახები საქართველოში? განა შეიძლება დავდუმდეთ მაშინ, როცა ამ მიზეზით სისხლი იღვრება? თუ ეს პროცესი სასწრაფოდ არ შეჩერდა, იგი აუცილებლად შემაძრნუნებელ შედეგებს გამოიღებს. მარტო ჩვენ ამ საშიშროებას ვერ გავუმკლავდებით, საჭიროა მთელი ძალების კონსოლიდაცია. მე დიდი პატივისცემით მივმართავ ჩვენს ხელისუფლებას, კულტურის მუშაკებს, ჩვენს ინტელიგენციას, ახალგაზრდობას, – დაფიქრდით საქართველოს ხვალინდელ დღეზე, თუ ეს შემოსევა დროზე არ აიღაგმა, თუ არ დაწესდა კონტროლი პრესაზე, ტელევიზიასა და რადიომაუწყებლობაზე, და თუ დროზე არ გადაიკეტა გზა ცრუ სწავლებათა გავრცელებისა, ჩვენი ხალხი ომის გარეშეც დაიღუპება.

დიდი გასაჭირია ეკონომიკის სფეროშიც. შიმშილმა, სიღატაკემ და სიცივემ უკვე მრავალ ოჭახში დაისადგურა. განსაკუთრებით დამძიმდა ქალაქის მოსახლეობის მდგომარეობა, რადგან იგი ხელფასსა და პენსიაზე ცხოვრობს და მიწის პატარა ნაკვეთიც კი არა აქვს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტები მოიყვანოს. სიღარიბე მძიმე

ტვირთად დააწვა ყველას, მაგრამ მდგომარეობიდან გამოსასვლელი გჩების ძებნაც მანვე გვაიძულა.

ქართველები გლობალურად ძალიან კარგად ვაზროვნებთ, ვადგენთ გენიალურ გეგმებს, მაგრამ, როგორც წესი, ვერ ვახორციელებთ მათ, რადგან სწორად საქმის დაწყება, დიდისგან მცირის, მაგრამ მნიშვნელოვანის, გამოყოფა ვვიჩირს. ჩვენში, როგორც ჩანს, თეორიული აზროვნება სჭარბობს პრაქტიკულს.

ჩვენი გონება, ძველებურად ტოტალიტარული რეჟიმის პრინციპებით მუშაობს, ვერ ვთავისუფლდებით მისი გავლენისგან, ვერ ვიჩენთ ინიციატივას, არ ვეძებთ ახალ გზებს, ველოდებით რას გვიკარნახებენ სხვები და რით დაგვეხმარებიან....

ფილოსოფოსი ბულგაკოვი წერს: „მტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ სამეურნეო საქმიანობა არასდროს არ არის ინდივიდუალური. ცალკეული ადამიანი, როგორც გენეტიკური არსება მემკვიდრეა მასზე წინ არსებულ თაობათა სამეურნეო გამოცდილებისა და ამავე დროს მუშაობისას თანამედროვე კაცობრიობის გავლენასაც განიცდის“ („მეურნეობის ფილოსოფია“, გვ. 275).

ამიტომ ჩვენც გვმართებს გამოვიძიოთ, რას საქმიანობდნენ ჩვენი წინაპრები. დღეს, როცა ნედლეულისა და მანქანა-დანადგარების ნაკლებობა ასე მწვავედ იგრძნობა, ფაბრიკა-ქარხნები ერთ დღეში ვერ ამუშავდება. კრიზისიდან გამოსვლისთვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დამუშავდეს მიწა, ჩვენი მარჩენალი. ხალხი ჭერ შიმშილისგან უნდა ვიხსნათ, შემდეგ კი შეგვეძლება წარმოების თანდათანობით აღდენასა და განვითარებაზეც ვიფიქროთ. ამის უგულებელყოფა შეუძლებელია.

ყველა გრძნობს, რა ძნელია მიწის გამოყენების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, მით უმეტეს მძიმეა მიღება მიწის პრივატიზაციის კანონისა.

ვთიქრობ,ჩვენ ამ სავითხში იმ ქვეყნების გამოცდილება უნდა გავიჩიაროთ, რომელთაც მსგავსი პერიოდი გაიარეს. თუ მათ რჩევას დავეყრდნობით, ჰერ მიწის დროებითი მფლობელობის 10-15 წლიანი გარდამავალი პერიოდი უნდა გამოვაცხადოთ. ამ გარდამავალ პერიოდში მიწა სოფლისა და ქალაქის მოსახლეობას გაყიდვის უფლების გარეშე უნდა დაურიგდეს. საქართველოს იმ რაიონებმა, რომელიც მიწის ნაკვეთებით მდიდარია, უნდა გამოყოს და ქალაქელებს გადასცეს ფართობები დროებითი სარგებლობისთვის. ნაკვეთი იმხელა მაინც უნდა იყოს, რომ ოჯახი სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ერთი წლის განმავლობაში უზრუნველყოს. ამასთან, ასეთი მიწის მფლობელებს გაერთიანების უფლებაც უნდა ჰქონდეთ, რათა მიწა შეერთებული ძალით დაამუშაონ.

ეკონომისტებმა და სხვა სპეციალისტებმა უნდა შეიმუშაონ და მოსახლეობას მარტივი და კონკრეტული რეკომენდაციები მიაწოდონ, რათა მიწაზე შრომას შეუჩვეველ ადამიანებს სწორი ორიენტაციის არჩევაში დაეხმარონ.

მინდა მოვუწოდო ყველას: წარსულით ცხოვრება არ გამოგვადგება, ბრძენნი გვარიგებენ: „ნუ იტყვი: წარსული დროება აწმყოს რად სჭობდაო, რადგან სიბრძნე არ ახლავს ამ კითხვას“ (ეკლ. 7, 11). ნუ შეგეშინდებათ სიძნელეების, ნუ დაიწყებთ ცხოვრების იოლი გზების ძიებას, რადგან ის, რაც ადვილად მოიპოვება, არა მხოლოდ ადვილადაც იკარგება, არამედ ხშირად კაცისთვის ზიანიც კი მოაქვს.

დოკლათის შექმნა ყველამ უნდა ისწავლოს. გამოიჩინეთ ინიციატივა, სრულად გამოავლინეთ ღვთისგან თქვენთვის ბოძებული ნიჭი, გონიერამახვილობა. ნუ დაელოდებით სხვის შეწევნას, პირიქით, თუნდაც გიჭირდეთ, მაინც მიეხმარეთ სხვას, ვინც თქვენზე კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფება და გახსოვდეთ ბიბლიური სიბრძნე: გამცემი ხელი ცარიელი არ დარჩება, „ზარმაცის ხელს სიღ-

არიბე მოაქვს, მუყაითისას ვი – სიმდიდრე“ (იგავ. 10, 4).

მინდა განსაკუთრებით მივმართო მათ, ვინც იოლი გზების ძიების სურვილით დღეს საქართველოს ტოვებს და საცხოვრებლად საზღვარგარეთ მიდის: თქვენ დიდ შეცდომას უშვებთ, რადგან იქ უკეთესი ხვედრი არ გელოდებათ. მიუხედავად ყველაფრისა, უცხო გარემოში თქვენ მაინც უფრო ნაკლებად იქნებით დაცულნი, რადგან სამშობლოში ახლობლები, ნათესავები, მეგობრები გყავთ, რომელ-ნიც განსაცდელის ჟამს გვერდში დაგიდგებიან, იქ ვინ იქნება თქვენი გულშემატკივარი?

აუცილებლად დადგება დრო უკან დაბრუნებისა და დაგისვამენ ვითხვას: სად იყავით მაშინ, როცა სამშობლოს უჭირდა?

საზღვარგარეთ შეიძლება სასწავლებლად ან საქმიანი ვიზ-იტით წასვლა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში აქაური სიძნელეებისთვის თავის არიდების მიზნით, – ეს მოქალაქისთვის უღირსი საქციელია.

არ შეიძლება სულით დაცემა, შენში და შენ გარშემო მხოლოდ ცოდვის მორევის დანახვა და ვერ შემჩნევა სიწმინდისა; არ შეიძლება ერის სულიერი ამაღლების რწმენის დაკარგვა, არ შეიძლება ღალატი და უმოქმედობა.

მოციქული იოანე ღვთისმეტყველი სიცოცხლის ბოლო წლებში ხშირად შეაგონებდა მსმენელებს: შვილებო, გიყვარდეთ ერთმანეთი. როდესაც ჰკითხეს, რატომ იმეორებდა ამ ფრაზას ასე ხშირად, უპა-სუხა: სახარების მთელი აზრი ამ სიტყვებშია ჩადებულიო. ამიტომაც ბრძანებს იგი: „ღმერთი სიყვარული არს“ და ამით საცნაურ ყოფს სიყვარულს, როგორც უფლის უპირველეს თვისებას.

შემოქმედებითი უნარი მხოლოდ იმ პიროვნებებში გამოვლინდება სრულად, ვის გულშიც მოყვასის სიყვარული მეფობს. მიუძღვენით ერთმანეთს სიყვარული, „ურთიერთარს სიმძიმე იტვრთეთ და

ესრეთ აღასრულეთ შტკული იგი ქრისტესი“ (გალ. 6, 2).

ჩვენ კი, ჩვენი არასწორი საქციელით, ხშირად ტვირთის შემსუბუქების ნაცვლად ერთმანეთს ჭვარს კიდევ უფრო ვუმძიმებთ. არა-და როგორი მყიფეა ადამიანი, როგორი ნაზია მისი უკვდავი სული. ომისდროინდელ ერთ მაგალითს მოვიყვან: ფაშისტებმა სხვებთან ერთად ერთი პიროვნებაც დააპატიმრეს. არ დაუკლიათ მისთვის წამება, ცემა, დამცირება, ბოლოს საკონცენტრაციო ბანაკშიც მოათავსეს, მაგრამ მისი სიმტკიცე ვერ გატეხეს. ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ ამ კაცმა შემთხვევით გაიგო, რომ ციხეში საკუთარი შვილის დასმენით მოხვდა; ამ ფაქტმა მასზე ისე იმოქმედა, რომ სულიერად დაიმსხვრა და მოულოდნელად გარდაიცვალა.

მთელი ცხოვრების მანძილზე ჩვენ სიკეთისა და ბოროტების არჩევანის წინაშე ვდგავართ, საით წავიდეთ მარჯვნივ თუ მარცხნივ: „ადამიანის წინაშეა სიცოცხლე და სიკვდილი და, რომელსაც მოისურვებს, ის მიეცემა“ (ზირ. 15, 17).

წმიდა მეთოდიოს ოლიმპიელი წერს, რომ ყველაზე დიდი სიკეთე, რაც ღვთისგან ადამიანს მიენიჭა, თავისუფალი ნებაა, რომელიც მასზე რაიმე ძალდატანებას გამორიცხავს.

სამოთხის მცნება კაცს იმისთვის მიეცა, რომ მისი თავისუფალი ნება გამოცდილიყო. უფლის მორჩილების შემთხვევაში იგი იმაზე მეტს მიიღებდა, ვიდრე მანამდე ფლობდა, ანუ კიდევ უფრო დიდ ზნეობრივ სრულყოფას მიაღწევდა.

ადამიანური ყოფის მთელი აზრიც ზნეობრივ ამაღლებასა და სრულყოფაშია, რაც ღმერთთან და მოყვასთან კავშირით უნდა განხორციელდეს. სწორედ ამ ერთობის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს პავლე მოციქული ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში: „იარებოდეთ, ისე, როგორც შეშვენის ხმობას, რომლითაცა ხართ ხმობილნი; მთელი ქედმოდრეკილობით, თვინიერებით და დიდსუ-

ლოვნებით; სიყვარულით შეიწყნარეთ ერთმანეთი. ეცადეთ შეინარჩუნოთ სულის ერთობა მშვიდობის საკვრელით“ (ეფეს. 4, 1-3).

თუ გვსურს დღევანდელ რთულ და მძიმე დროს გავუძლოთ და არ დავკარგოთ მშვიდობა ჩვენს სულში, შინ და გარეთ, და გვინდა დავძლიოთ ყველა წინააღმდეგობა და გავუმკლავდეთ მოსალოდნელ განსაცდელს, – ამ კანონით უნდა ვიცხოვროთ.

ქრისტესმიერ საყვარელნო დანო და ძმანო, საქართველოში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელნო, საზღვარგარეთ მცხოვრებნო ქართველნო, ჩვენი მეოხის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მფარველობას მინდობილი, ყველას გულითადად გილოცავთ ქრისტეს შობის დიად ზეიმს და დამდეგ ახალ წელს. დაე, იყოს იგი ჩვენთვის და მთელი მსოფლიოსათვის წელი მშვიდობისა და სიყვარულისა, კეთილდღეობისა და ურთიერთგაებისა.

მჯერა, მალე გადაივლის შავი ღრუბელი, საქართველო და ქართველი ხალხი გამთლიანდება, მოხდება ჩვენი სულიერი ფერისცვალება და ვიტყვით იმ დღეს: „გმადლობ, უფალო, რომ განმირისხდი; რომ დაცხრა შენი რისხვა და მანუგეშე. აპა, ღმერთია ჩემი ხსნა... უფალია ჩემი ძალა... ის იყო ჩემი მხსნელი“ (ეს. 12, 1-2).

„იყავნ, უფალო, წყალობად შენი ჩუენ ზედა, ვითარცა ჩუენ გესავთ შენ“ (ფსალმ. 32, 22). ამინ!

ქრისტეს შობა
თბილისი, 1995 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

1995 წ.

საქართველოს მართლმადიდებელი წმიდა
ეკლესიის ღვთივაურთხეულ ერთგულ შვილებს:

„უფალო ღმერთო,... ან მომეც მე სიბრძნე და
მეცნიერებად“ (2 ნეშტ. 1, 9-10).



ოვლადუსამღვდელოესნო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო,
დიაკონნო, მონაზონნო, დანო და ძმანო, მთავრობავ და მხე-
დრობავ ჩვენო, მეცნიერებისა და კულტურის მსახურნო, მუშავნო,
მეურნენო, ჭაბუკნო და ქალწულნო, ყრმანო, – ყოველნო მკვიდრნო
ივერიის დალოცვილი მიწისა და სამშობლოს საზღვრებს გარეთ
მცხოვრებნო ჩვენო საყვარელნო თანამემამულენო,

ქრისტე აღდგა!

კვლავ იმედითა და სიხარულით ვეგებებით მაცხოვრის აღდგომის დაუღამებელ დღეს, ვეგებებით მას, როგორც ზეიმს სულიწმიდისა, ზატიკს სიყვარულისა, დღესასწაულს სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებისა.

როგორც ღამის მნათობნი უფერულდებიან მზის სინათლეზე, მსგავსად ამისა, ჩვენს მწუხარებას, გასაჭირს, განსაცდელსა და სევდას განაქარვებს წმიდა პასექის დღე, რადგან მარადიულობა გაცილებით ღრმა და დიადია, ვიდრე ჩვენი მინიერი, წარმავალი და ყოველდღიური განსაცდელით სავსე ყოფა.

აღდგომა ქრისტესი არის მიუწვდომელი სასწაული, ღვთის ყოვლისშემძლეობის არაჩვეულებრივი გამოვლინება. ეს ზეიმი განსაკუთრებულია იმითაც, რომ ჩვენ ვხდებით მონაწილენი ამ ღვთაებრივი იდუმალებისა. წმიდა იოანე ღვთისმეტყველი აპოკალიფსში წერს: „ნეტარია და წმიდა, ვისაც წილი უდევს პირველ აღდგომაში. მეორე სიკვდილს არა აქვს ხელმწიფება მათზე“ (გამოცხ. 20, 6).

სწორედ ამისთვისაა თითოეული ჩვენგანი მოწოდებული. ესაა ეკლესიის უპირველესი დანიშნულებაც, რომ აღდგომის თანაბიარად ჰყოს ადამიანი და იხსნას იგი მეორე, ანუ მარადიული სიკვდილისაგან.

ჩვენი ცხოვრება მსგავსია იმ გზისა, ეგვიპტიდან აღთქმული მიწისკენ – ისრაელისაკენ მიმავალმა ებრაელებმა რომ განვლეს. ჩვენც უნდა გადავლახოთ მრავალი მწუხარება, იმედის გაცრუება, გაჭირვება, მაგრამ მაინც უნდა ვიყოთ ღმერთთან და არ დავკარგოთ მისი იმედი, თუ გვსურს მარადიული ნეტარების – აღთქმული მიწის ღირსნი გავხდეთ.

XX საუკუნე გამოირჩევა სწრაფად ცვალებადი ცხოვრების

წესით. დიდი ხანი არ არის, რაც წარმოიშვა სამყაროს რაღაც ახალი ხედვა. მეცნიერების, ხელოვნების, ჩვენი ყოფის, კოსმოსის... თავისებური აღქმა, რომლის მიხედვითაც ყოველივე ადამიანის მიწიერი, მდაბალი მოთხოვნილებებით განიზომება.

წარსულმა ათწლეულებმაც დიდი დაღი დატოვეს: პიროვნებამ დაკარგა ნათელი აზროვნება, სულიერობა, ჭეშმარიტი რეალობის შეგრძნების უნარი. მისი სურვილები დავიწროვდა და გაუხეშდა, დაირღვა ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის. ახალგაზრდობა მოსწყდა ოჭახურ კერას, ტრადიციებს და ბედნიერების ძებნა მის გარეშე დაიწყო.

სად არის აქ ხსნა, სად არის გამოსავალი?

როცა ვუყურებთ წინააღმდეგობებით სავსე ჩვენს აწმყოს და ვცდილობთ დავინახოთ არცთუ ისე დიდი იმედის მომცემი ხვალინდელი დღე, აშკარად იგრძნობა, რომ თუ სულიერობისა და ინტელექტუალური აზროვნების წარმომადგენლები ერთმანეთს არ დაუახლოვდებიან, მსოფლიო დადგება გაუთვალისწინებელი, საბედისწერო კატაკლიზმების წინაშე.

დღეს უკვე მოწმენი ვართ სახელმწიფოთა, პარტიათა, ხალხთა და პიროვნებათა შორის დაუნდობელი, შეურიგებელი დაპირისპირებისა. სამოქალაქო ომები, სეპარატისტული მოძრაობანი ნიადაგს უმზადებენ ბელადთა ან ამა თუ იმ პარტიათა დიქტატურას. კაცობრიობა ვულკანს ემსგავსება, რომელმაც ყოველ წუთს შეიძლება ამოხეთქოს.

ჩვენ, მართალია, არ უნდა ვიყოთ პესიმისტები, მაგრამ რეალობას მოკლებული ოპტიმიზმიც დამღუპველია. დღეს ძლიერნი ამა სოფლისანი გავლენის სფეროებისთვის იბრძვიან, მთავარი კი ავიწყდებათ. როცა ხედავ სიძულვილისა და ზიზღის უკუნი სიბნელე როგორ ცდილობს შეაღწიოს ადამიანის გულსა და გონებაში, ერთი

იმედიღა რჩება – ღმერთი, გამაერთიანებელი და დამამშვიდებელი მადლი უფლისა, უძლურთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი. მხოლოდ მასში პოვებს ადამის მოდგმა დაკარგულ მთლიანობას.

ღმერთი არის სათავე და მიზები ყოვლისა, წყარო სიცოცხლისა, სადაც ცხრება ვნებები, წყნარდება შეურიგებელი, დაპირისპირებული ენერგიები, რადგან შემოქმედისაგან ყველას მიენიჭება მისი კუთვნილი ადგილი, უფლება და ღირებულება.

ჩვენს ცხოვრებაში ღვთის ნება, ღვთის განგებულება გამოვლინდება ჭეშმარიტი რელიგიით – მართლმადიდებელ ეკლესიის სწავლებით; იმ ეკლესიისა, რომლის შესახებაც მაცხოვარი ბრძანებს: „კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიად ჩემი, და ბჭენი ჭოჭოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“ (მათ. 16, 18).

ეყოფა ჩვენს ხალხს ძალა, რომ იპოვოს გჩა ტაძრისაკენ მიმავალი?

ამ სასიცოცხლო ნაბიჭის გადადგმაში მას განსაკუთრებული დახმარება უნდა გაუწიოს ჩვენმა მრავალტანჯულმა, მაგრამ სულით გაუტეხელმა ინტელიგენციამ. ეს მისი მოვალეობაა.

საქართველოს კულტურული, ინტელექტუალური, თუნდაც მატერიალური პოტენციალის აღორძინება სულიერი ამაღლებით უნდა დაიწყოს. მეცნიერების და მის წარმომადგენელთა სულიერობა იქნება სათავე ჩვენი ქვეყნის განახლებისა.

ინტელიგენციაში დიდი პოტენციური ძალაა. წარსული დროის უმძიმეს პერიოდებშიც მოაზროვნე ფენა ჩვენი ქვეყნისა ხალხში ნერგავდა განათლებისა და სოციალური პროგრესის მაღალ იდეალებს, ცდილობდა მიახლოვებოდა ღრმა ფილოსოფიურ საკითხებს და აბსოლუტური ჭეშმარიტების პრობლემას. ერთადერთი, რაც მას აკლდა, ეს იყო ჭეშმარიტი სარწმუნოების სრული გააზრება. თავისი

ფუნქციის სწორად შეფასებასა და შესრულებას ინტელიგენცია შეძლებს მხოლოდ მაშინ, თუ თავის ცოდნას რწმენას დაუკავშირებს. ოდენ ამ შემთხვევაში მიაღწევს ის დიდ და სასურველ შედეგებს.

II საუკუნის ცნობილი მეცნიერი, კლიმენტი ალექსანდრიელი არის საუკეთესო მაგალითი ცოდნისა და რწმენის შერწყმისა. მას უწოდებდნენ „დაბადებიდანვე პროფესორს“, „უპირატეს მისიონერს“, „პირველ ქრისტიან მეცნიერს“ ... იგი მღვდელი იყო, მაგრამ მხოლოდ სამოძღვრო საქმიანობით არ იფარვლებოდა. გამორჩეულ სულიერ ცხოვრებასთან ერთად ის გულდასმით სწავლობდა სიბრძნეს, ჰქონდა მჭიდრო კავშირი ალექსანდრიის საღვთისმეტყველო და ფილო-სოფიურ სკოლებთან.

თუ ტერტულიანეს დევიზი იყო: „იერუსალიმი და არა ათენი“ – ანუ განშორება მეცნიერებისაგან, კლიმენტი ალექსანდრიელი მთელი თავისი ცხოვრებითა და ნაშრომებით აღიარებდა რწმენისა და მეცნიერების სინთეზს – ანუ „იერუსალიმსა და ათენს“. ოღონდ ჰპირველეს მნიშვნელობას რწმენას ანიჭებდა, შემდეგ კი რწმენაზე აგებულ მეცნიერებას.

ერეტიკულმა მიმდინარეობამ, გნოსტიციზმმა, დააბრკოლა პირველი ქრისტიანები ჭეშმარიტი გნოსისის – ცოდნის მიმართ; იმ სიმაღლეების მიმართ, რასაც მიაღწია კაცობრიობამ ანტიკურ ფილო-სოფოსთა და მოაზროვნეთა საშუალებით.

პირველი, ვინც წინ აღუდგა ამ მიმართულებას და ანტიკურ ლოგოსს – სიტყვას ქრისტიანული სული შთაბერა, იყო წმიდა მოციქული იოანე ღვთისმეტყველი. გავიხსენოთ როგორ იწყება მისი სახარება: „პირველითგან იყო სიტყვად“ (ლოგოსი) (იოან. 1, 1).

ამიტომაც კლიმენტი ალექსანდრიელი ითვლება მოციქული იოანე ღვთისმეტყველის მონაფედ და მიმდევრად. მისი წიგნი „სტრომატები“ არის მეცნიერული ნაშრომი, რომელშიც ავტორი იცავს

ჭეშმარიტ ფილოსოფიას და მიიჩნევს მას მაღალ სულიერ და ინ-ტელექტუალურ ღირებულებად.

კვლევრები კლიმენტი ალექსანდრიელის ნაწერებში ხედავენ ერთ მთელად ქცეულ სამ ძირითად საწყისს, რომელმაც მშვენიერი შედეგი გამოიღო: 1) წმიდა წერილი, 2) ღვთისმეტყველური გონიერი დანახული და გაანალიზებული ძველი ფილოსოფია, 3) პირადი სულიერ-მისტიკური მოღვაწეობა.

კლიმენტი ალექსანდრიელის აზრით, ღმერთი და ჩვენი ყოფის ღვთაებრივი აზრი რწმენისა და გონიერის გადაკვეთაზე უნდა ვეძიოთ. მას აქვს ასეთი შესანიშნავი გამოთქმა: „როგორც წმიდა ზეთი იღვრებოდა აარონის თავიდან წვერზე და მისი სამოსლის ბოლოებზე, ასევე ჭეშმარიტების ღვთაებრივი მირონი ლოგოსისგან – მარადიული პირველმღვდელმსახურისგან თავდაპირველად გარდამოედინებოდა მის რჩეულ ერზე, შემდეგ კი გავრცელდა ბერძნულ ფილოსოფიაზეც“.

II საუკუნის აპოლოგეტების მსგავსად, კლიმენტი ხშირად აღნიშნავდა, რომ პლატონის მასწავლებელი მოსე წინასწარმეტყველი იყო.

კლიმენტი ალექსანდრიელი, თანახმად სახარებისა, ქრისტიანებს ორ ჭგუფად ყოფს: I - მონანი ღვთისა. ეს ენი არიან რწმენის შესახებ პრიმიტიული ცოდნის მქონე მორწმუნენი, რომელნიც მარტივად განიხილავენ წმიდა წერილს, არ უღრმავდებიან მის საკრალურ აზრს და კმაყოფილდებიან იგავთა და სიმბოლოთა პირდაპირი გაგებით.

მეორე ჭგუფს მიეკუთვნებიან გნოსტიკოსები – მეცნიერები, რომელნიც რწმენითა და ცოდნის წყალობით ადიან მაღალი სულიერი და მისტიკური ჭვრეტის საფეხურებზე. მათ ეს ღირსეული მამა უფლის მეგობრებს უწოდებს. ასე რომ, ადამიანმა უნდა განვლოს სრულყ-

ოფის გზა ღვთის მონიდან ღვთის მეგობრამდე, თუ სურს გააცნობი-
ეროს თავისი ნამდვილი ადგილი და დანიშნულება ამ ქვეყანაზე.

კლიმენტის აზრით, არ არის საკმარისი ოდენ ცოდნა. პირო-
ვნება აუცილებლად უნდა ესწრაფოდეს სიკეთის ქმნას, რომ შეძლოს
აღასრულოს ღვთის მცნებანი და თანდათანობით მიემსგავსოს შე-
მოქმედს.

ასეთი ადამიანისათვის მთავარი მამოძრავებელი ძალა არის
არა ჭილადოს მიღების სურვილი ან სასკელის შიში, არამედ ღვთ-
ისა და სიკეთის ქმნის უანგარო სიყვარული. ამგვარი პიროვნება
თანდათან თავისუფლდება შურის, სასოწარკვეთილების, შიშის, ბო-
როტებისა და სხვა ვნებებისაგან. მას უყვარს ყველა და ცდილობს,
დაუახლოვოს ისინი ღმერთს. ამასთან, მუდამ ახსოვს იოანე ღვთის-
მეტყველის სიტყვები: „ღმერთი სიყვარული არს“ და თვითონაც სიყ-
ვარულის მადლით ამყარებს მუდმივ, ლოცვით ერთობას უფალთან
და მოყვასთან.

ინტელექტუალები – სხვადასხვა შეხედულებისა და მიმარ-
თულების მოაზროვნენი არიან. მათ აქვთ თავიანთი მიზანი – იდეალი,
რომელსაც ემსახურებიან მთელი სიცოცხლის მანძილზე; მაგრამ, სამ-
წუხაროდ, ეს იდეები ზოგჯერ მეტად მიწიერი, ვიწრო და რაციონალუ-
რია. მათი მსჯელობაც ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის შესახებ
ხშირად ადამიანური, პირადი გრძნობებით არის ნაკარნახევი.

მართალია, ყოველი ჩვენგანი თავისებურად აღიქვამს ჭეშ-
მარიტებასაც და სამართლიანობასაც, მაგრამ უნდა არსებობდეს
ავტორიტეტი, აუცილებელია საერთო საფუძველი, რომელსაც დაე-
ყრდნობა ჩვენი ფიქრები, ჩვენი ნააზრევი. ასეთი ავტორიტეტი ერთა-
დერთია – ღვთის განჩინებანი, ჩვენი ჭეშმარიტი სარწმუნოება, ჩვენი
სულიერი საგანძუროი. ამის გარეშე ნებისმიერი იდეა და გამოგონება
ჩვენს საწინააღმდეგოდვე მობრუნდება.

წარსული ათწლეულების ძირითადი სიმძიმე ეკლესიასა და ინტელიგენციას დააწვა, რადგანაც ისინი განსაზღვრავენ ერის სულიერ და გონიეროვან პოტენციალს. ამიტომაც დიდი იყო სურვილი მათი დამონებისა ან განადგურებისა.

ჩვენი ინტელიგენცია ამჟამად სულ უფრო იკრებს ძალას. ახალგაზრდული კადრები ემატება მის რიგებს და ახალი ძალით ავსებს მას.

სასიხარულოა, რომ ბევრმა მათგანმა ეკლესიაში იპოვა ღმერთი და თავისი თავი, რითაც ხელი შეუწყო თავის გარშემო მრავალთა მოქცევას, ერთიანი ეროვნული სხეულის აღმშენებლობას. ამას დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან საქართველო იქცა ასპარეზად ჩვენთვის უცხო და მიუღებელი იდეოლოგიების, რელიგიებისა და სექტების თარეშისა. ინტელიგენცია სულ უფრო ნათლად აცნობიერებს რელიგიური დაპირისპირების საშიშროებას. აცნობიერებს, რომ მართლმადიდებელი სარწმუნოების გარეშე ირღვევა საფუძველი ჩვენი კულტურისა, იკარგება ჩვენი ტრადიციები, ჩვენი ეროვნული სახე. ამიტომაც იგი თანდათან აქტიურად ებმება ეკლესიის ცხოვრებაში, მის მეცნიერულ-საგანმანათლებლო, საქველმოქმედო და სხვა საქმიანობაში.

სულიერმა და ინტელექტუალურმა ძალებმა ერთმანეთისკენ დაიწყეს სვლა და ეს ჩვენ დიდ იმედს გვისახავს. ღვთის ძალით ჩვენი ხალხი ძნელად, მაგრამ მაინც თავისუფლდება ბოროტი ძალებისაგან. სადღაც შორს უკვე ჩანს სინათლის შუქი.

მისასალმებელია, რომ ჩვენს მეცნიერთა წრეში გაჩნდა სურვილი და მოთხოვნილება გელათის აკადემიის, როგორც სამეცნიერო ცენტრის, აღდგენისა იმ სახით, როგორც ეს იყო დადგინდებული წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის მიერ. ცნობილია, რომ დავით მეფის მეცადინეობით გელათის აკადემია იქცა ახალ იერუსალიმად და მეორე

ათენად, ანუ სულიერობისა და მეცნიერული კვლევის ცენტრად, რითაც მან გააგრძელა კლიმენტი ალექსანდრიელის გზა.

ჩვენ მხარი დავუჭირეთ ინტელიგენციის ამ იდეას და გადავწყვიტეთ, საქართველოს საპატიო მფარველობით და ხელისუფლების აქტიური თანადგომით ქუთაისში დაარსდეს გელათის მეცნიერებათა აკადემია, სადაც არჩეულ აკადემიკოსთა ხელმძღვანელობით დამუშავდება დიდი სპექტრი სულიერი თვალით დანახული სამეცნიერო თემებისა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ბიბლიოლოგიას, ღვთისმეტყველებას, ქართველოლოგიურ და ენათმეცნიერულ კვლევას, კულტურული, ფსიქოლოგიური, ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული და სხვა საკითხების გაშუქებას. აქ ერთად იმოღვაწებენ ჩვენი ცნობილი საერო მკვლევარნი და სასულიერო პირნი.

ეკლესიის ცხოვრებაში იყო გამორჩეული პერიოდები, როცა განსაკუთრებულად ღვივდებოდა საღვთისმეტყველო აზრი. ასეთ დროს სხვადასხვა ადგილზე ჩნდებოდა ხოლმე სულიერ-ინტელექტუალური კერები. ვფიქრობთ, გელათის აკადემიაც მსგავს სავანედ იქცევა.

გელათის აკადემია უნდა იყოს მოწოდებული არა მარტო სა-მეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის, არამედ სულიერი მოღვაწეობისათვისაც. მან უნდა მისცეს ხალხს ცოდნა ადამიანის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მოვალეობებისა, გაუღვივოს მას სინანულისა და განწმენდის სურვილი და მოამზადოს მარადიული ცხოვრები-სათვის.

წმიდა ბასილი დიდი წერს: „ხარ შენ ფრიად მდიდარი, ძლიერი სახელმწიფოს მოქალაქე, ხარ შენ ჭანმრთელობითა და სილამაზით დაჭილდობული, დაფასებული დამსახურებისამებრ? – მუდამ გახსოვდეს, არსებობს მიწა და მიწად მიიქცევა ყოველი. ვითარცა

ყვავილი და ბალახი, განქარდება ის, რითაც ამაყობ. გადახედე წარსულს: მრავალნი იყვნენ ჩინებულნი, მაგრამ სადღა არიან რჩეულნი გმირნი ან დიდებულ სამეფოთა განმგებელნი, სად არიან ბრძენი და დიდვაჭარნი, გავლენიანი თავადები, ცხენის რემათა მფლობელნი, უძლეველი მებრძოლნი, სახელოვანი სარდლები, სად არიან მეფენი; განა მიწას არ მიებარნენ ყოველნი?

ამიტომაც, არათრით არ უნდა იამაყო. სხეული შენი – მიწაა, მიწიერი დიდება ყვავილივით დაჭვნება... სული და სხეული და-ძმანი არიან, ღვთის მცნებათა დარღვევა ორივეს ერთნაირად ამძიმებს; მაშ შევინანოთ, რათა უფლისაგან ცოდვათა შენდობა მივიღოთ და მის წინაშე მადლი ვპოვოთ” (დარიგებანი, 26 იანვარი).

ღირსი მაქსიმე ბრძანებს: სუფთა გულში, რომელმაც სიწმინდისა და უბრალოების მწვერვალებს მიაღწია, როგორც სუფთა წიგნში, ღმერთი თავის კანონებს წერს.

ღირსი დიონისე კი ასე გვარიგებს: სიბრძნე გონებას მჯვრეტელობით უნარს ანიჭებს, მჯვრეტელობით ცოდნა მოიპოვება. ჭეშმარიტი ცოდნით კი ჭეშმარიტებას ვეზიარებით. სიბრძნე არის გონების ძალა და უნარი. თუ გონება ფილოსოფიურია, იგი იწყებს სამყაროს აღქმას რწმენით და ამთავრებს უფრო დიდი და ჭეშმარიტი რწმენით.

ქრისტეს აღდგომის ზეიმი სწორედ ასეთი მაღალი მჯვრეტელობისა და შემეცნებისაკენ მოგვიწოდებს. იგია ღვთაებრივი სიხარულის დღესასწაული, რომელსაც ადამიანი ვერ იტევს. ის, ვითარცა კეთილსურნელოვანი მირონი, იღვრება გარშემო და ავსებს ყველას სიყვარულით.

ღვთაებრივი სიყვარულის ამ წმიდა დღეს აღვავლენთ ლოცვებს ჩვენი სამშობლოს მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის გამთლიანებისა და აღორძინებისათვის. აღვავლენთ ლოცვებს ტვირთმძიმეთა და ჭირთა შინა მყოფთათვის,

სნეულთა, ღატაკთა და ტყვეთათვის, აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ლტოლვილთათვის.

ჩვენ განსაკუთრებულად აღვავლენთ ლოცვებს მათთვის, რომელთა გულებიც სავსეა ბოროტებით, შურითა და ღვარძლით. შევსთხოვთ უფალს, ყველა განწმიდოს და გაათავისუფლოს ამ საშინელი ცოდვებისაგან, მაცხოვარმა მოგვმადლოს მიმტევებლობის ნიჭი და შინაგანი მშვიდობა.

გახსოვდეთ, არცერთ მტერს არ შეუძლია ისეთი ზიანი მოგვაყენოს, როგორსაც ჩვენ მივაყენებთ საკუთარ თავს. სძლიე შენს თავს, შენს ეგოიზმს და იქნები გამარჯვებული ყველგან და ყოველთვის.

ქრისტესმიერ საყვარელო დანო და ძმანო, გულითადად გილოცავთ პასექის დღეს.

ქრისტე აღდგა!

დაე, მუდამ თან გდევდეთ აღდგომის სიხარული, დაე, ღმერთმა შეიიწყნაროს თქვენი ყველა კეთილი ლოცვა და ვედრება. სევდის ნაცვლად სიხარულმა შემოაბიჭოს თქვენს გულებში, თქვენს ოჯახებში და დაივანოს იქ.

უფალი ბრძანებს: „გითხარით თქვენ, რათა ჩემი სიხარული თქვენში დარჩეს და სრულ იყოს თქვენი სიხარული“ (იოან. 15, 11), – ეს აღსრულდება, თუ ღვთის გზით ვივლით, მისი მცნებებით ვიცხოვრებთ.

უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.

ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე!

აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 1995 წ.

საშობაო ეპისტოლე

1996 წ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის
ღვთივაურთხეულ შვილებს:

„ჰე, მოდი, უფალო იესო!“ (გამოცხ. 22, 20).

 ოცლადუსამღვდელოესნო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო,
დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ძმანო და დანო, ყოვლადწმიდა
ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს მკვიდრნო და ჩვენი
დალოცვილი სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო ძვირფასო
თანამემამულენო:

მშვიდობა და კურთხევა თქვენდა ღვთისა – მამისა და ძისა და
წმიდისა სულისა, სამებისა ერთარსებისა და განუყოფელისა.

„იყავით ჩემში, და მე ვიქნები თქვენში, როგორც ნასხლავი

თავისთავად ვერ გამოიღებს ნაყოფს, თუკი არ შერჩება ვაჩს, ასევე თქვენც, თუკი არ დარჩებით ჩემში“ (იოან. 15, 4), – ბრძანებს მაცხოვარი.

მთელი ჩვენი ცხოვრება – ეს არის უფალთან შეხვედრისათვის მზადება. თუ ადამიანში არ ხდება პროცესი სულიერი განწმენდისა და ფერისცვალებისა, ეს შეხვედრა სამწუხაო შედეგით დამთავრდება. მიუხედავად იმისა, სწამს თუ არა ღმერთი პიროვნებას, უნდა მას თუ არა წარდგომა წინაშე უფლისა, ეს შეხვედრა აუცილებლად მოხდება; მან პასუხი უნდა გასცეს შემოქმედს ყველა თავისი საქციელის გამო, რათა საუკუნო ნეტარება ან მარადიული ტანჯვა დამსახურებისამებრ მიეგოს.

გვიახლოვდება ქრისტეს შობის სიხარულით აღსავსე ბრწყინვალე დღესასწაული. ეს არის ზეიმი, რომელიც მორნმუნე ქრისტიანის სულს სიყვარულით ასხივოსნებს და გულს იმედით განათბობს, რადგანაც მასში იშვება ქრისტე – სასოება ჩვენი.

სახარებაში ვკითხულობთ: „და იყვნენ იმ მხარეში მწყემსები, რომლებიც ველად იდგნენ და თავიანთ ფარას დარაჯობდნენ ღამით. და აპა, უფლის ანგელოზი წარუდგა მათ და გამოუბრწყინდა მათ დიდება უფლისა, და შეშინდნენ ისინი დიდი შიშით. და უთხრა ანგელოზმა მათ: ნუ გეშინიათ; აპა, მე გახარებთ დიად სიხარულს, რომლითაც იხარებს მთელი ხალხი. რადგან დღეს, დავითის ქალაქში, დაიბადა თქვენი მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი. და აი, თქვენი ნიშანი: იპოვით ყრმას შეხვეულს და მწოლარეს ბაგაში. და ანაზდად გაჩნდა ანგელოზთან ციურ მოლაშქრეთა სიმრავლე, ადიდებდნენ ღმერთს და ამბობდნენ: დიდება მაღალთა შინა ღმერთს და მშვიდობა ქვეყნად, და სათნოება კაცთა შორის“ (ლუკ. 2, 8-14).

საოცარია, უფლის განხორციელების შესახებ პირველად უბრალო მწყემსებს ეუწყათ და არა მეფეთ ან სხვა დიდებულთ ამა ქვეყნისა.

ებრაელი მწიგნობრები დასცინოდნენ და ამცირებდნენ მწყემსებს, რადგანაც მათ ცხოვრების განსაკუთრებული პირობების გამო მოსეს კანონის დარღვევა უხდებოდათ. სწორედ ჩინებულთაგან დაწუნებულნი გახდნენ ღირსნი სხვათა უწინარეს ეცათ თაყვანი ღვთაებრივი ყრმისათვის.

იუდეველთა ტრადიციით იმ ოჯახში, სადაც ვაჟი ღაიბადებოდა, ნათესავები იკრიბებოდნენ და ახალი წევრის შემატებას საგალობლებით, სიმღერითა და მხიარულებით აღნიშნავდნენ. მაცხოვარს არათუ ეს წესი დააკლდა, არამედ სახლიც კი არ მოიძებნა მისი შობისათვის. იგი ქვეყნიერებას მოევლინა გამოქვაბულში, იქ, სადაც უამინდობისას მწყემსები საქონელს აფარებდნენ ხოლმე. ამ სოფლისაგან ყოველგვარ პატივს მოკლებულ ახალშობილ ძე ღვთისას ზეციური საგალობელი ანგელოზებმა უგალობეს.

წმიდა იოანე ღვთისმეტყველი ღვთის განხორციელების გონებით მიუწვდომელ ამ მოვლენას ასე გადმოგვცემს: „და სიტყუად იგი ჰორციელ იქმნა და დაემკვდრა ჩუენ შორის, და ვიხილეთ დიდებად მისი, დიდებად ვითარცა მხოლოდშობილისად მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა“ (იოან. 1, 14).

მადლი და ჭეშმარიტება – როგორი ახლობელი და ამავე დროს შორეულია ისინი ჩვენთვის. მადლის შესახებ ლოცვაში ვკითხულობთ, რომ იგი არის ძალა „სწეულთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი“.

წყარო და უშუალო სათავე მადლისა არის ყოვლადწმიდა სამება. მადლი ღვთისა იცავს და განათბობს მთელ ხილულ და უხილავ სამყაროს, ხოლო მადლი ყოველ მორწმუნე ქრისტიანს მისი ღირსებისა და სულიერი სიმინდის შესაბამისად მიეცემა, ოღონდ, პიროვნებამ მისი მოპოვება უნდა მოინდომოს და გული მისი მიღებისათვის განიწმინდოს. ამიტომაც არ უნდა ვითიქროთ, თითქოს მადლის მონიჭება ჩვენი ნების გარეშე ხდება.

სწორედ მადლი უდევს საფუძვლად კათარჩისის, განწმენდის პროცესს, გონების გაბრწყინება-გაცისკროვნებას, სულიერ მჯვრეტე-ლობას. წმიდა მამები ამბობენ, რომ მადლი მადლობის შენირვისას, მადლიერებით აღვსებისას, თავმდაბლობის, მსხვერპლის გაღების, მოთმინებისა და სიმშვიდის გამოვლენისას გვეძლევა.

მადლი და ჭეშმარიტება – ეს არის საუნცე, რომლის მოხვეჭა ყველა ადამიანისათვის აუცილებელია. მხოლოდ მათი წყალობით მოვიპოვებთ ნამდვილ თავისუფლებას და მხოლოდ ამ გზით ვეზიარებით უფალს. მოციქული პავლე წერს: „უფალი სულია; ხოლო სადაც არის სული უფლისა, იქვეა თავისუფლება“ (2 კორ. 3, 17). თუ ჭეშმარიტებას შევიცნობთ, თავისუფლებისაკენ მიმავალი გზაც გაგვეხსნება. მაცხოვარი ბრძანებს: „და შეიცნობთ ჭეშმარიტებას, და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ“ (იოან. 8, 32). ჭეშმარიტება! როგორი სასურველი და აუცილებელია იგი თითოეული ჩვენგანისათვის. ჭეშმარიტება გვახარებს და აღგვიძრავს სევდას, აღგვაფრთოვანებს და გვანაღვლიანებს.

კაცთა ცნობიერებაში ჭეშმარიტება ყოველთვის ღვაწლისა და თავდადების შარავანდედით იყო მოსილი. დიახ, ვიწრო და ეკლიანია ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზა. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რა მრავალფეროვანი და რთულია ცხოვრება. ჩვენი ყოველდღიური ყოფა ნათლად გვიჩვენებს, რომ ის, რაც მისაღები და სასარგებლობა ზოგიერთებისათვის, სხვათათვის ზიანის მომტანია. ღირსი მამა ანტონ დიდი ბრძანებს: „იღოცეთ, რომ მოგცეთ უფალმა მადლი, ნათელი ხედვა და გონიერება, რათა სიკეთე და ბოროტება, უცდომელად განასხვაოთ“. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი ნაცვლად ჭეშმარიტების შეცნობისა, ხშირად პირიქით იქცევა, თავისი ბნელი მიზნებისათვის სახეს უცვლის და ამახინჯებს მას.

ასე რომ, ადვილი არ არის სწორად ცხოვრება. მაგრამ, „რაც

არ უნდა ძნელი იყოს ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზა, მას ყოველთვის მოაქვს შვება და თავისუფლება“. ფილოსოფოსები ამბობენ, რომ ჭეშმარიტება მსგავსია სინათლისა, რომელიც ავადმყოფ თვალებს აღიზიანებს. ადამიანებმა შეიძლება სიმართლეზე თვალი დახუჭონ, დაიხშონ გონება და გული, შეიძლება სასიკვდილოდ გასწირონ სიმართლის პირში მთქმელი, მაგრამ თვით სიმართლეს ვერავინ მოსპობს და იგი ბოლოს მაინც გამარჯვებას იჩეიმებს. კაცობრიობის ისტორია ამისი ნათელი დადასტურებაა.

საიდუმლოება დროისა – რამდენი რამ არის მასში აუხსნელი, ჩვენთვის დაფარული. ცნობილი რუსი ფილოსოფოსი პეტრე ჩაადაევი ამბობდა: „ღმერთს არ შეუქმნია დრო, მან ამის უფლება ადამიანებს მიანიჭა“ . მაგრამ ხშირად ნათლად აღვიძვამთ იმასაც, რომ ზოგიერთი მოვლენა თითქოს თავისთავად, ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ ვითარდება.

ეს იმიტომ, რომ მსოფლიო პროცესებს ღვთის ნებასთან შერწყმული ადამიანის შემოქმედებითი უნარი უდევს საფუძვლად. უფალი ყოველივეს ადამიანთან ორმხრივი კავშირით – სინერგიით წარმართავს, ოღონდ ადამიანის შემოქმედებითი სწრაფვა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ღვთის ნებას, და თუ ეს ასე არ ხდება, იწყება გზა დაღუპვისა.

ქრისტიანული სარწმუნოების ღრმა გაცნობიერება საშუალებას იძლევა ჩავწვდეთ ისტორიის ფილოსოფიურ შინაარსს, ისტორიულ მოვლენათა მისტიკურ აზრს. არ შეიძლება წარსულისა და მომავლის გარეშე მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრება. ისტორიული გამოცდილების გააზრება და გათვალისწინება ყოვლად აუცილებელია. ამიტომაც სულიერი თვალით ღრმად უნდა შევისწავლოთ წარსული, რომ სამომავლოდ სწორი დასკვნები გავაკეთოთ.

ჩვენი ცხოვრება სავსეა დაცემითა და აღდგომით. თუ ვმხი-

არულობთ, მწეხარებისთვის უნდა ვემზადოთ, თუ შეჭირვებულნი ვართ, დათის მოწყალებას უნდა ველოდოთ. სიხარული და მწეხარება მუდმივად მონაცვლეობენ ჩვენს ცხოვრებაში. ისეთი საზოგადოების შექმნა, სადაც ყველა ბედნიერი იქნება, უტოპიაა, რადგან, როგორც ნათქვამია, ქვეყანა სამოთხე არ არის, არამედ ადგილი – სამოთხი-დან განდევნილთა.

ჩვენი ხალხიც დაცემისა და აღდგომის სპირალურ გზას მი-ჰყვება. მოსახლეობამ გადაიტანა ურნმუნოებისა და ნგრევის უმძიმესი პერიოდი, რომელსაც ტოტალიტარულს ვუწოდებთ. საშინელი იყო ეს 70 წელი, მაგრამ არის აზრი, რომ რუსეთში მართლმადიდებლობა სწორედ რევოლუციის წყალობით გადარჩა. მოსახლეობამ ვაჟვა-ცურად გაუძლო რბევას, საშინელ ნგრევას, შიმშილსა და განუვითხავ ტერორს. ქვეყანა უნაპირო მკვდარ უდაბნოს ჰგავდა, რომლის ტრამა-ლებში ადამიანთა სულები უნუგეშოდ დახეტიალობდნენ. თუმცა, რაც უფრო მძიმე იყო წამება, მით უფრო იზრდებოდა სურვილი თავისუ-ფლებისა. კრძალავდნენ რა ჭეშმარიტ სარწმუნოებას, იდეოლოგები ახალი ცრუ კერპებისა და იდეალების შექმნით ხერგავდნენ გზას ჭეშ-მარიტებისაკენ, მაგრამ ყოველივე ეს სწრაფად იმსხვრეოდა, რადგან მათი საფუძველი დაჭაობებული, უმაღლო და უსულო იყო.

ცნობილი ფოლლოსოფოსი, ალექსი ლოსევი ასე აღწერს ამ პერიოდს: „ქვეყანა დაფლეთილი და ჭვარცმულია, ნაწილებად დამსხ-ვრეული, საყოველთაო და აბსოლუტური გათიშვა ერთმანეთისაგან, როდესაც A მხოლოდ არის A და მეტი არაფერი. სრული განცალკევ-ება ყოველი A-სი და მისი განირვა მარადიული მარტოობისათვის. ყოველგვარი ნათესაური კავშირის განყვეტა, მარადიული მტრობა და გაყოფა. ყოფის დამსხვრეული ნაწილების მარადიული და აუცილებელი გარეგნული სიცივე, გარეგნულ და შინაგან სულიერ სამყაროსთან სრულიად შეუთანხმებელი, რკინის ბორკილები ნათე-

საური სითბოს ნაცვლად, მექანიზმი – ცხოვრების მაგიერ, საშინელი ბედისწერა – თავისუფლების სანაცვლოდ; მარადიული უღიმღამო ყოფა და კანონთა სიმკაცრე, – აი შენი ცხოვრება, ადამიანო“ (ა. ფ. ლოსევი, 1990, გვ. 227).

ჩვენ ასეთი ყოფის მემკვიდრენი ვართ. ამიტომაც ვხდებით დღეს მოწმენი მძიმე ცოდვებით დაცემისა: მკვლელობის, ძარცვის, საშინელი ამპარტავნებისა და შურის, ოჭახის დარღვევის, მრუშობა-გარყვნილებისა და სხვა უარყოფითი ფაქტების გამოვლენისა.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ხანაში, მოზღვავებული ინფორმაციისა და სწრაფადცვალებადი მოვლენების გავლენით ადა-მიანმა თითქოს დაკარგა თავისი ადგილი, დაკარგა შეგნება თავისი ღირსებისა, როგორც ღვთის ხატებისა და დედამიწაზე მისი მადლისა და ჭეშმარიტების მთავარი მატარებლისა.

ეს მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენი საზოგადოება მადლს მო-კლებულია. უნებურად იბადება კითხვა: შესწევს კი უნარი ამდენი და-ცემისაგან გათანგულ ადამიანს კვლავ აღდგომისა და განახლებისა. ან იქნებ გამოსავალი უკვე აღარ არის?

თუ პიროვნება დამცირებისა და შეურაცხყოფის ქურაში გა-ივლის, დაინახავს თავის უღირსებას, სულიერ ჭუჭყს და გაუჩნდება სურვილი ფერისცვალებისა, დაიწყება იდუმალი და საოცარი პრო-ცესი განწმენდისა და ამაღლებისა. მხოლოდ ტკივილითა და ჩვენს თავში ჩაღრმავებით მოვიპოვებთ სიმდაბლეს, რაც არის სათავე წინსვლისა. ჩვენი ხალხი დღეს ამ ეტაპს გადის და, მადლობა უფალს, სახარებისეული უძღები შვილის მსგავსად თანდათან უბრუნდება ღმერთს.

ყოველი განსაცდელი ან გაჭირვება ღრმა აზრს შეიცავს და თავისებურ ხიბლს ატარებს. ტკივილის შემდეგ აუცილებლად მოდის შვება, მოულოდნელი სიხარული და, პირიქით, რაც აწონასწორებს

ჩვენს ცხოვრებას. ამიტომაც ამბობენ არაბები: „გამუდმებული მზიანი დღეები უდაბნოს ქმნიანო“. და მართლაც, ადამიანები, რომელნიც მწუხარების გარეშე განლევენ წუთისოფელს, ძალიან ხშირად უდაბნოს ემსგავსებიან. მუდმივი წარმატებისა და წინსვლის საფრთხე კი ის არის, რომ იგი პიროვნებაში ამპარტავნებას, დამოუკიდებლობის გრძნობას აძლიერებს და აღვივებს ცრუ აზრს, თითქოს ღვთის დახმარების გარეშე შეგვწევდეს უნარი ვიყოთ განმგებელნი ჩვენი ყოფისა.

მხოლოდ ცხოვრების მძიმე პერიოდებში და უბედურების ჟამს ვაცნობიერებთ ხოლმე, რამდენად უსუსურნი და უმნეონი ვართ და როგორ აუცილებლად გვჭირდება შეწევნა ღვთისა.

ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი წერდა: „მე ხშირად მიწევდა ღვთის წინაშე მუხლებზე დადგომა, რადგან უბრალოდ სხვაგან წასასვლელი გზა აღარ მქონდა“.

დიახ, ჩვენთვის აუცილებელია მტკიცე სულიერი საყრდენი, სულიერ რეალობაზე დაფუძნებული საძირკველი. ამ საძირკველზე იდგნენ ჩვენი დიდი წინაპრები, რომელთაც შექმნეს და დაგვიტოვეს ის განუმეორებელი სულიერი კულტურა, რომელიც დღესაც სიამაყით გვავსებს. ადამიანებს აუცილებლად უნდა დავუბრუნოთ ძალით წართმეული რწმენა და ჭეშმარიტი სიყვარული. მხოლოდ რწმენა და სიყვარული გაათბობს ჩვენს გაყინულ და გაქვავებულ გულებს.

ოცი საუკუნის წინ იესო ქრისტეს მიერ მსოფლიოს მიენიჭა ღვთაებრივი მადლი და ჭეშმარიტება. „მოვედი არა განსჭისათვის, არამედ ცხოვრებისათვის სოფლისა“, – ბრძანებს იგი. მან ახარა და უჩვენა გაწამებულ კაცობრიობას, რომ ღმერთი არის სიყვარული. ამიტომაც ვის უნდა მივმართოთ ჩვენ, სიყვარულისაგან განძარცვულებმა, თუ არა მას, ვინც დაამტკიცა, რომ იგი არის „გზა, ჭეშმარ-

იტება და სიცოცხლე“, მხოლოდ მას ძალუძს გვიწყალობოს ის, რაც ასე გაჭირდება და სასიცოცხლოდ აუცილებელია ჩვენთვის.

საკუთარი ჭვრის სიმძიმისაგან დაღლილთ ჩაგვესმის სიხარულისა და იმედისმომცემი სიტყვები უფლისა: „მოდით ჩემთან ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი, და მე განგისვენებთ თქვენ. დაიდგით ქედზე ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, რადგან მშვიდი ვარ და გულით მდაბალი, და მოიპოვებთ სულის სიმშვიდეს. რამეთუ უღელი ჩემი ტკბილია და ტვირთი ჩემი – მსუბუქი“ (მათ. 11, 28-30).

ვმადლობთ ღმერთს ჩვენზე მოღებული წყალობისათვის, იმ სიხარულისა და მწუხარებისათვის, რაც მოგვიტანა გასულმა წელმა. მართალია, 1995 წელი მძიმე იყო, – გაჭირვებამ, შიმშილმა, ავადმყოფობამ მრავალი ოჯახის კარი შეაღო, მაგრამ ამავე დროს, იგი იყო გადამწყვეტი და მეტად მნიშვნელოვანი: ჩამოყალიბდა სახელმწიფო სტრუქტურა, წინა პარლამენტმა შეძლო ძალების კონცენტრირება და მიიღო მეტად მნიშვნელოვანი კანონი – სახელმწიფო კონსტიტუცია; არჩეულ იქნა პრეზიდენტი; ახალი შემადგენლობა პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტისა; შეიქმნა ქართული ჰარი, მიმოქცევაში შევიდა ქართული ფული; ამჟავდა რიგი წარმოებებისა, გაჩნდა ჩვენი პროდუქცია, ქვეყანაში თანდათან დამყარდა წესრიგი... რაც ყველას გვახარებს და იმედს გვაძლევს.

კარგია, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ სერიოზულად მოჰკიდა ხელი ეკონომიკის შესწავლას, თუმცა შეცდომებს, ალბათ, ვერ გავეცევით.

როდესაც ახალი ტიპის მეურნეობების შექმნაზე ვმსჯელობთ, უნდა ვიცოდეთ წარმოების არა მარტო მეთოდები და შესაძლებლობანი, არამედ მოხმარების ზღვარიც. ცხოვრება უნდა დავინახოთ ისეთად, როგორიც ის სინამდვილეშია, უნდა შევისწავლოთ მისი კანონები, რათა არარეალური გეგმები არ დავსახოთ.

სერგეი ბულგაკოვი, ცნობილი რუსი ფილოსოფოსი, თავის წიგნში „მეურნეობის ფილოსოფია“ ჩვენს ყოველდღიურ საზრდელს ქვეყნიურ ხორცთან ზიარებას უწოდებს და ასე წერს: „თუ საჭმელი, მიუხედავად მისი სახისა და რაოდენობისა, არის ზიარება მიწიერ ხორცთან, ღვინისა და პურის სახით მიღება ქრისტეს ხორცისა და სისხლისა არის ზიარება მაცხოვრის სხეულთან. მატერიალური საზრდელი მიწიერ წარმავალ ცხოვრებას ახანგრძლივებს, ევქარისტიული ტრაპეზი კი მარადიულ სიცოცხლესთან გვაკავშირებს“ (გვ. 86, 1912 წ.).

ასე რომ, ადამიანისთვის, ორივე ძალიან საჭიროა, ოღონდ აუცილებელია მათი შეთანხმებული მოქმედება, რათა ჩვენი გონებისა და შრომის ნაყოფმა ჩვენს სულს ზიანი არ მოუტანოს.

მინდა მივმართო ჩვენს ახალგაზრდებს, დამწყებ ბიზნესმენებსა და ბანკირებს: მიზნად ნუ დაისახავთ ქონების დაგროვებას, აირჩიეთ ის სპეციალობა, რომელიც თქვენს შინაგან სამყაროს შეესაბამება და გიყვართ; თუ თქვენ სრულად გამოავლენთ თქვენს ინტელექტს, თქვენს გონებრივ თუ ფიზიკურ შესაძლებლობებს, სიკეთის მომტანი იქნებით ქვეყნისათვისაც და საკუთარი თავისთვისაც. დაიწყეთ მცირედით, რათა დიდს შეეჭიდოთ, თუ შეცდომას დაუშვებთ, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით, არამედ უნდა გეყოთ ძალა და ნებისყოფა ყველაფრის თავიდან დაწყებისათვის. მინდა პატარა მაგალითი მოგიყვანოთ:

ერთ საქმიან ადამიანს უბედურება დაატყდა თავს; მთელი მისი წარმოება ერთ დღეში დაიწვა და განადგურდა. ის სასოწარკვეთილი დაბრუნდა სახლში, დაჭდა მაგიდასთან და მწარედ ატირდა. თავის ქალიშვილს შეკითხვაზე, თუ რას განიცდიდა ასე ძალიან, მამამ უპასუხა: „შვილო, ყველაფერი დავკარგე, ყველაფერი ცეცხლმა შთანთქა“. გოგონამ უნდოდ შეხედა და უთხრა: „როგორ თუ ყველა-

ფერი დაკარგე, განა მე და დედა შენთან არა ვართ და ეს ცოტაა შენთვის?“ კაცი მიხვდა, რომ მწუხარებას აზვიადებდა და შერცხვა შვილის, მუხლი მოიყარა ხატების წინაშე, მადლობა შესწირა უფალს და დამშვიდდა.

კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ მრავალი ადამიანი ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას, აშენებს ტაძრებს, აღადგენს მონასტრებს, ესმარება გაჭირვებულთ. მათი ყურადღება მინდა მეცნიერებისა და კულტურის მსახურებს მივაპყრო. ინტელიგენციამ მძიმე ტოტალიტარული რეჟიმის დროს სულიერი დეგრადაციისაგან იხსნა ჩვენი ხალხი. სამწუხაროდ, დღევანდელ რთულ პირობებში, ყველაზე დაუცველი სწორედ ეს ფენა აღმოჩნდა და ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს მასზე ზრუნვა; რა თქმა უნდა, არ უნდა დაგვავიწყდნენ პენსიონერები, მარტოხელები, უსახლვარონი, ობლები...

ჩვენს ეკლესიასთან ფუნქციონირებს რამდენიმე უფასო სასა-დილო. მარტო კარის წმიდა გიორგის ეკლესიის ეზოში მდებარე მოწყალების სახლი ყოველდღიურად უფასოდ 3000-მდე ადამიანს აპურებს. ამ ღვთისსათნო საქმეს ხელმძღვანელობს ოჭახი, რომელ-მაც ორი სათაყვანებელი შვილი დაკარგა, მაგრამ ღვთის შიში და სიყვარული შეიძინა.

ეკლესიას განსაკუთრებით აწუხებს უპატრონოდ დარჩენილ იმ მოზარდთა ბედი, რომელთაც თავიანთი ცხოვრება ქუჩას დაუ-კავშირეს. ფერისცვალების მონასტრის ახალგაზრდა წინამძღვარს, იღუმენია მარიამს, მის სულიერ დებს და მორწმუნე ახალგაზრდებს ასეთი ბავშვების მოძიება და მოვლა-პატრონობა აქვთ დავალებული. მცხეთის რაიონის სოფ. ძეგვში მდებარე შენობაში მათ უკვე 40-მდე მოზარდი შეიკედლეს, მშობლიური მზრუნველობით უვლიან მათ და ცდილობენ ცხოვრების უფსკრულის პირას მდგარი პატარები სწორ გზაზე დააყენონ.

ბათუმში გახსნილია უპატრონო მოხუცებულთა სახლი.

სამცხე-ჯავახეთის გაჭირვებულ ოჯახებს დიდ დახმარებას უწევს საპატრიარქოსთან არსებული საქველმოქმედო ცენტრი „ლა-ზარე“, რომელსაც ამერიკული მართლმადიდებლური ქრისტიანული ორგანიზაცია „IOCC“ აფინანსებს.

საქართველოში ფუნქციონირებს ორი სასულიერო აკადემია, ოთხი სასულიერო სემინარია, საეკლესიო გიმნაზიები და სასწავლებლები.

წარსული წელი საქართველოს ეკლესიისთვის მეტად მნიშვნელოვანი, და, შეიძლება ითქვას, ისტორიული იყო: სახელმწიფოს მეთაურის და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ერთობლივი დადგენილებით, ეკლესიის ეგიდით შეიქმნა გელათის მეცნიერებათა აკადემია, მის პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა – ცნობილი მეცნიერი მაგალი თოდუა, აკადემიკოს-მდივნად – ბატონი მიხეილ ქურდიანი, ახლადარჩეულ აკადემიკოსთა შორის არის პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი. ვიმედოვნებთ, ეს აკადემია ხელს შეუწყობს ჩვენი სამეცნიერო საზოგადოების დაახლოებას ეკლესიასთან, განამტკიცებს ცოდნისა და რწმენის კავშირს და კეთილისმყოფელ გავლენას იქონიებს ფართო საზოგადოებაზე.

ფრიად სასიხარულო მოვლენაა, თბილისში წმიდა სამების სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის დაწყება, ხოლო 18-19 სექტემბერს სვეტიცხოველში გაფართოებული საეკლესიო კრების ჩატარება (45 წლის შემდეგ), რომელმაც მიიღო და დაამტკიცა ახალი საეკლესიო დებულება და სხვ.

ასე რომ, წარსული წელი, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა და ტკივილისა, ჩვენი ერისა და ეკლესიისათვის მაინც მეტად ნაყოფიერი იყო, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ დავკმაყოფილდეთ მიღწეულით, არა, წინ მრავალი საქმე გველოდება.

ჩვენ მომავალს იმედით ვუყურებთ, რადგან ივერია ყოვლად-ნმიდა ღვთისმშობლის საფარველით არის დაცული და მაცხოვრის კვართით კურთხეული. მთავარია ჩვენს გულში იშვას უფალი და გაიღოს კარი მის მისაღებად.

ღმერთმა ძე თვისი გამოგვიგზავნა, რათა მისი არცერთი მო-რნმუნე არ დაღუპულიყო, არამედ მოეპოვებინა მარადიული ცხო-ვრება, რადგან „ქრისტეში არის სიცოცხლე და სიცოცხლე იგი არის ნათელი კაცთა“ (იოან. 1, 4). ეს ნათელი განვგაშორებს ბნელს; იგია ნათელი იმედისა და სიხარულის მომტანი, და ამავე დროს, მამხილე-ბელი, განწმენდისაკენ მომწოდებელი. იესოსმიერი ნათლით უნდა შევხედოთ ჩვენს თავს და გამოვიკვლიოთ იგი, თუ გვსურს სწორად ვიცხოვროთ, სწორად შევაფასოთ მოვლენები და თვით ჩვენ გავხდეთ ძე ნათლისა.

უფლისმიერი სიხარულით აღვსილნი ყველას გულითადად გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულსა და ახალ წელს. ჩემი მისალმება და სიყვარული მინდა გადავცე ყველას, – საქართველოს მკვიდრთ და სამშობლოს გარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეთ. ამ დიდებულ დღესასწაულს ვულოცავ სამაჩაბლოს მკვიდრ ჩვენს ნატანჯ სულიერ შვილებს; ვულოცავ აფხაზეთიდან დევნილ და აფხ-აზეთში მყოფ ჩვენს დებსა და ძმებს – ქართველებს, აფხაზებს, რუსებს, ბერძნებს, სომხებს...

პირადად ჩემთვის აფხაზეთი მეტად ძვირფასია, თერთმეტი წლის მანძილზე ვიყავი მღვდელმთავარი ამ ეპარქიისა და კარგად მახსოვს ის სითბო, ურთიერთპატივისცემა და მეგობრობა, რაც სუ-ფევდა ქართველებს, აფხაზებსა და სხვა ერის წარმომადგენელთა შორის. ამ სიყვარულის მოსპობას ვერავითარი მტრული ძალა ვერ შეძლებს, რადგან იგი ხელოვნურადაა შექმნილი, ის ურთიერთობები კი – ბუნებრივად აღმოცენებული.

მამობრივი სიყვარულით ვუღოცავ ყველა გაჭირვებულს: ავად-მყოფს, ქვრივ-ობოლს, პატიმარს, მშიერს, განსაცდელში მყოფს.

გახსოვდეთ, უფალი მოწყალეა; წმინდანებისა და პირადად თქვენი ლოცვით მიიღებთ, რასაც წრფელი გულით ითხოვთ. მთავარია, არ დაკარგოთ სასოება, სიყვარული და რწმენა და არ დაივიწოთ მაცხოვრის სიტყვები: „ითხოვეთ და მოგეცემათ; ეძებეთ და ჰპოვებთ; დააკაკუნეთ და გაგიღებენ“ (მათ. 7, 7).

„ღამე იგი განგუეშორა და დღე შემოგუეახლა“ (რომ. 13, 12).

დროა გავიღვიძოთ.

გიხაროდეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

ქრისტეს შობა

თბილისი, 1996 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

1996 წ.

საქართველოს მართლმადიდებელი
ეკლესიის ღვთისმოყვარე და ღვთივაურთხეულ შვილებს

„მოიშორეთ ყველა თქვენი შეცოდება, რაც ჩაგიდენი-
ათ; შეიქმნით ახალი გული და ახალი სული... რად-
გან არ მახარებს მე მოკვდავის სიკვდილი, ამბობს
უფალი ღმერთი, აბა, მოიქეცით და იცოცხლეთ“
(ეზე. 18, 31-32).

 ოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დი-
აკონნო, ბერ-მონაზონნო, ღვთივაურთხეულნო შვილნო ივ-
ერიის სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისა, მკვიდრნო
საქართველოსა და ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხო-

ვრებნო თანამემამულენო: „ესევდით მას ყოველი კრებული ერისად, განპფინენით მის წინაშე გულნი თქუენი, რამეთუ ღმერთი მწე თქუენდა არს“ (ფსალმ. 61, 9).

ღვთის შემწეობით ჩვენ განვვლეთ მაცხოვნებელი დღენი დიდი მარხვისა, – ჟამი თვითჩაღრმავებისა და თვითანალიზისა, კიდევ უფრო ღრმად შევიცანით აზრი ჩვენი ცხოვრებისა და საქმიანობისა, მისტიკური და ღვთაებრივი შინაარსი მომხდარი მოვლენებისა და ჩვენი როლი ამ მოვლენებში. ჩვენ წინაშე ფრიად ძნელი ამოცანა დგას: ამ რთულსა და წინააღმდეგობებით სავსე სამყაროში, ყოველივე იმას, რაც ახლა ხდება, აუცილებლად ზუსტი და სამართლიანი შეფასება უნდა მივცეთ, რათა ვიცოდეთ, საით წავიდეთ.

ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი სიტყვა, ჩვენ მიერ თქმული, ან დადებით, ან უარყოფით ენერგიას შეიცავს, რომელთაც არა მხოლოდ ჩვენ ვატარებთ, არამედ ჩვენ გარშემოც, ჩვენს მახლობლებსა და ნაცნობებზეც ვავრცელებთ. რა ხშირად არ გვაქვს ჩვენ ეს შეგნებული და უაზროდ წარმოთქმულ სიტყვებში ვიძიორებით, გვავიწყდება რა სიტყვები მაცხოვრისა: „ყოველი სიტყუად უქმი, რომელსა იტყოდიან კაცნი, მისცენ სიტყუად მისთვს დღესა მას საშტალისასა. რამეთუ სიტყუათა შენთაგან განპმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჭო“ (მათ. 12, 36-37).

ამიტომ დიდი ყურადღება და სიფრთხილე გვმართებს იმის მიმართ, თუ რას ვამბობთ ან ვაკეთებთ. ყოველი ჩვენი სიტყვა და მოქმედება ჩვენი მაცხოვნებელი უნდა იყოს და ამავე დროს სამყაროს წინაშე ჩვენს რწმენას ღვთისას, რწმენას მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვრისას, უნდა გამოხატავდეს. რაც არ უნდა მძიმე ცხოვრება პქონდეს, დღესასწაულს წმიდა პასექისა მორწმუნე ქრისტიანისათვის ყოველთვის განსაკუთრებული სიხარული მოაქვს. ამ არამიწიერი სიხარულით აღსავსე ყველას სიყვარულით გილოცავთ დიდ დღესას-წაულს სიხარულისა და სასოებისა:

ქრისტე აღდგა!

ჩვენ გვიხარია, რომ იძლია სიკვდილი და რომ მაცხოვრის სიკვდილითა და აღდგომით აღსრულდა დიდი საიდუმლო – გამოსყიდვა კაცთა მოდგმისა; გვიხარია, რომ ყოველ ჩვენგანს შეუძლია პაცლე მოციქულთან ერთად გაიმეოროს სიტყვები: „სადა არს, სიკუდილო, საწერტელი შენი? სადა არს, ჭოჭოხეთო, ძლევად შენი?“ (1 კორ. 15, 55). ამიტომაც ვისმენთ ასეთი სიხარულით აღდგომის დიდი კანონის სიტყვებს: „სიკვდილითა სიკვდილისა შემუსრვასა ჭოჭოხეთისასა დღეს ვდღესასწაულობთ, დასაბამსა და მიზეზსა ახლისა ცხოვრებისასა ვუგალობთ“ (გალობა 8. პასექისა).

სიკვდილი სხვადასხვა სახისაა: ხორციელი სიკვდილი, რომელიც ჩვენ ერთმანეთს დროებით განგვაშორებს, იგი ამავე დროს კარიბჭეა ახალი, მარადიული ცხოვრებისა. ყოველ ადამიანს უნდა ახსოვდეს, რომ ეს დღე და წუთი ელის და მისი მოსვლისთვის უნდა ემზადებოდეს. სწამე ადამიანს თუ არა, სურს მას ეს თუ არა, სიკვდილის ზღურბლიდან ახალი, მარადიული ცხოვრება იწყება, რომელშიც იგი სამაგიეროს დამსახურებისამებრ მიიღებს. ვათ, რომელნიც მიწიერ ტკბობათა გამო სულიერ სიკვდილს ეზიარებიან, რომელსაც წმიდა წერილი მეორე სიკვდილს უწოდებს: „ნეტარ არს და წმიდა, რომელსა აქუნდეს ნაწილი აღდგომისა მას შინა პირველსა. მათ ზედა მეორესა მას სიკუდილსა არა აქუს ჰელმწიფებად“ (გამოცხ. 20, 6).

ადამიანის სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ მისი გონება და გრძნობები საითვენაა მიმართული.

ადამიანის შემმეცნებელნი უნარნი – გონება და გრძნობა, ერთმანეთისაგან არა მხოლოდ თავიანთი ფუნქციებითა და შემეცნების სფეროებით, არამედ იერარქიული მდგომარეობითაც განსხვავდე-

ბიან. გონებამ, როგორც უფრო მაღალმა საწყისმა, გაბატონებული მდგომარეობა უნდა დაიკავოს, ყველა ჩვენი გრძნობისმიერი მოძრაობა გააკონტროლოს და იმ საზღვრებში მოაქციოს, რომელიც მათ ღმერთმა დაუდგინა.

წმიდა აბბა თალასე წერს: „გრძნობა გონებას მიეც მსახურად და არ მისცე მას დრო, რათა იგი გაართოს“ (სათნოებათა სიყვარული, 3, 316).

საკითხი გონებისა და გრძნობების ურთიერთმიმართებისა ფრიად აქტუალურია ჩვენთვის, ჩვენი ხალხისათვის, რადგან ჩვენ ბუნებით ზედმეტად მგრძნობიარენი ვართ. სამწუხაროდ, გონებამ და გრძნობებმა ადგილები გაცვალეს, ამიტომ ხშირად ჩვენში თავდაუჭრელი და აულაგმავი გრძნობები გონებაზე ბატონობენ და იმონებენ. სწორედ ამის გამო მოგვდის ამდენი შეცდომა. ამიტომაც კვლავ ვუბრუნდები იდეას, რომელიც ერთხელ უკვე გამოვხატე: ჩვენმა საშუალო სკოლებმა და უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებებმა ლოგიკური და ფილოსოფიური აზროვნების კურსი უნდა შემოიღონ. ამ გზით ჩვენი ახალგაზრდობა ლოგიკურ აზროვნებას ისწავლის და ის შეცდომები აღარ მოუვა, რომელნიც ხშირად საბედისწერონი ხდებიან. ჩვენმა მთავრობამ და განათლების სამინისტრომ ეს საკითხი სერიოზულად უნდა შეისწავლონ. ქრისტიანული იდეალი არის არა პასიური, არამედ – აქტიური გონება. აუცილებელია ძიებანი, განათებანი და აღმოჩენანი. ადამიანს ყოველთვის უნდა ჰქონდეს გრძნობა დაუკმაყოფილებლობისა და სწრაფვა სიახლისაკენ.

უნებლიერ მახსენდება სიტყვები წმიდა მოციქულის, იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებიდან: „თქუა მჭდომარემან მან საყდარსა ზედა: აპა ესერა, ყოველსავე ახალ-ვჟყოფ“ (გამოცხ. 21, 5). ახლად დაბადებისა და განახლებისათვის ყოველი ქრისტიანია მოწოდებული, პავლე მოციქული მოგვიწოდებს: „განიძარცუეთ ძუელი

იგი კაცი საქმით მისითურთ და შეიმოსეთ ახალი იგი, განახლებული მეცნიერებად მსგავსად ხატისა მის დამბადებელისა მისისა“ (კოლ. 3, 9-10).

ხელახლა დაბადება – ეს განუწყვეტელი განახლება, წინს-ვლითი, პროგრესული მოძრაობაა, მაღლითა და მეცნიერებით ადამიანის შეუნელებელი ზრდაა სულიერი და ინტელექტუალური თვალსაზრისით, ვიდრე იგი, როგორც ხატი ღვთისა, სრულყოფას მიაღწევდეს. პავლე მოციქული განახლების პროცესს ასე წარმოგვიდგენს: „შეიმოსეთ უკუე, ვითარცა რჩეულთა ღმრთისათა, წმიდა-თა და საყუარელთა, მოწყალებად, შეწყნარებად, სიტკბოებად, სიმ-დაბლე, სიმშვდე, სულგრძელებად, თავს-იდებდით ურთიერთარს და მიჰმადლებდით თავსა თვსთა, უკუეთუ ვისმე აქუნდეს ვისთვსმე ბრალი. ვითარცა-იგი ქრისტემან მიგმადლა თქუენ, ეგრეთცა თქუენ მიჰმადლეთ მათ. და ამას ყოველსა ზედა სიყუარული, რომელ-იგი არს სიმტკიცე სრულებისად“ (კოლ. 3, 12-14). შემთხვევითი როდია, რომ პავლე მოციქული სრულყოფის პროცესს მოწყალებით იწყებს. ჩვენი სულიერი აღმასვლა სწორედ მისგან უნდა დავიწყოთ: მშიერი უნდა დავაპუროთ, მტირალს ნუგეში ვცეთ, სწეულნი მოვინახულოთ, უსახლვარონი შევიფაროთ.

სულიერი სრულყოფის გზაზე მეორე ნაბიჭად პავლე მოცი-ქულს სიტკბოება (სახიერება) მიაჩნია. ეკლესიის ძველი მამების გა-ნმარტებით, სიტკბოება იმგვარი სათნოებაა, რომლის მფლობელისთ-ვისაც მეზობლის სიკეთე ისევე ძვირფასია, როგორც საკუთარი. ისტორიკოსი იოსებ ფლავიოსი ამ სიტყვას ძველი აღთქმის პატრიარქ ისაკის დასახასიათებლად იყენებს, რომელიც უდაბნოში ჭებს თხრიდა და სხვებს აძლევდა (დაბ. 26, 17-25), რათა მეზობლებთან ომი არ მოს-ვლოდა. ამ შემთხვევაში არა თუ შური არ არსებობს, არამედ სხვების მიმართ იმგვარი კეთილგანწყობილებაა გამომჟღავნებული, როცა

მეორე ადამიანის სიხარული საკუთარ სიხარულად აღიქმება.

შემდეგი საფეხური სიმდაბლეა. ძველად ბრძენი ადამიანები ამბობდნენ, რომ ქრისტიანობის საფუძველი სიმდაბლეა. ქედმაღლობის საპირისპიროდ ბრძენთა სიმდაბლე იმის შეგნებას გულისხმობს, რომ ღმერთი შემოქმედია, ხოლო ადამიანი – ქმნილება. როგორ გვაკლია ჩვენ სიმდაბლე და როგორ გვჭირდება იგი! წმიდა მამები სიმდაბლის გზაზე მიგვითიერებენ: „იღვაწე იმისთვის, რომ შენი გულის ზრახვანი დაამდაბლო და ღმერთი გულის თვალებს აგიხელს, რათა ჭეშმარიტი ნათელი იხილო. თავმდაბლობის გარეშე ჭეშმარიტი მოღვაწეობა შეუძლებელია“ (ბარსონოფი და იოანე, 1885 წ., 3. 207).

ადამიანის სულიერი თუ მორალური დაცემის მიზეზს ამპარტავნება წარმოადგენს. იგივე წმიდა მამები გვასწავლიან, რომ დიდი აბრი, რომელსაც წინ თავმდაბლობის სიმშვიდე არ უძღვის, არა ღვთისაგან, არამედ ეშმაკისაგან მომდინარეობს. უფალი ჩვენთან სიმშვიდის ჟამს მოდის, ხოლო ყოველივე მტრული შფოთითა და ამბოხებით აღესრულება.

სრულყოფის შემდგომი საფეხური სიმშვიდეა. ეკლესიასტე წერს: „თვინიერს დიდი ცოდვებიც მიეტევება“ (ეკლ. 10, 4), ხოლო მაცხოვარი ამბობს: „ნეტარ იყვნენ მშვდნი, რამეთუ მათ დაიმკვდრონ ქუეყანაზ“ (მათ. 5, 5). ბედნიერია ადამიანი, რომელიც ღვთისგან ამგვარი სათნოებით შეიმოსა.

შემდეგ პავლე მოციქული სულგრძელებისკენ მოგვიწოდებს, ოღონდ არა უბრალოდ მოთმინებისაკენ, არამედ ჭეშმარიტად სულგრძელებისაკენ, რადგან მთელი ჩვენი ცხოვრება გამოცდას წარმოადგენს. ადამიანი, რომელსაც სულგრძელება აქვს, ყოველგვარ ტანჯვას დაითმენს. ბრძენი მეფე სოლომონი წერს: „სულგრძელი კაცი დიდ არს გონებითა, ხოლო სულმოკლე ძლიერად უგუნურ“ (იგავ. 14, 29). ყოველგვარი უსიამოვნება, რომელიც კი სულგრძელ ადამიანს

ატყდება თავს, სწრაფად ქრება. ის, ვინც სულგრძელია, სიმშვიდეს ყოველთვის ინარჩუნებს: უკუეთუ ზიანს აყენებენ, მტკიცეა ვითარცა კლდე, ხოლო უკუეთუ შეურაცხყოფენ, ურყევია ვითარცა სვეტი და ამ შეურაცხყოფაზე მაღლა დგება. სულგრძელი ადამიანები, რომელნიც შინაგან, სულიერ სიმშვიდეს ყოველ უამს ინარჩუნებენ, ბრძენი არიან და ხშირად დიდად იწოდებიან. ადამიანური სულგრძელება ღვთის სულგრძელებას უნდა ემსგავსებოდეს, რომელიც ჩვენს ცოდვებს არა თუ ითმენს, არამედ გვპატიობს კიდევაც, თუ მოვინანიებთ.

როგორც პავლე მოციქული გვასწავლის, სრულყოფის სრულყოფილებას სიყვარული წარმოადგენს. რა ბევრს ვლაპარაკობთ მასზე და რა ცოტა ვიცით მის შესახებ! იოანე ღვთისმეტყველის თქმით, „ღმერთი სიყვარულია“. ადამიანი რაც უფრო შორდება ღმერთს, მით უფრო შორდება სიყვარულსაც.

წმიდა იოვანე ოქროპირი წერს, რომ სიყვარული მსასოებელია, სჭერა და ითმენს, ხოლო წმიდა ეფრემ ასური შეგვაგონებს: „ნეტარია ადამიანი, რომელშიც ღვთის სიყვარული სუფევს, რადგან იგი ღმერთშემოსილია. ვისშიც სიყვარულია, ის თავის თავს არავისზე მაღლა არ აყენებს, არავის ექიმება, არც არავისი შურს და არც სიძულვილით იმზირება, არც სხვისი დაცემა უხარია, ხოლო დაცემულს კი არ შეურაცხყოფს, არამედ თანაუგრძნობს... გასაჭირში ჩავარდნილი მოძმე არ ეზიზდება, პირიქით, მფარველობას უწევს და მზადაა მისთვის თავი გაწიროს“.

თავგანწირული სიყვარულის რამდენი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია ჩვენი ისტორიიდან! ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებაც ამგვარი მაგალითებითაა აღსავსე. ადამიანები განსაკუთრებით გასაჭირში შეიცნობიან. 1886 წლის 10 იანვარს ბისკაის ყურეში ძლიერი ქარიშხლის დროს დაიღუპა ინგლისური ხომალდი „ლონდონი“, რომელზეც ორასზე მეტი კაცი იმყოფებოდა. ხომალდი ნელა

იძირებოდა, მგზავრთა შორის ამტყდარ შფოთსა და ხმაურში ლოცვის სიტყვებიც გაისმოდა. ბოლო წუთებში, როცა ხომალდს უკანასკნელი ნავიც მოხსნეს, რათა რამდენიმე კაცი მაინც გადარჩენილიყო, საოცარი რამ მოხდა: ადამიანები ერთმანეთს ნავში ადგილს უთმობდნენ, მაგრამ ამას კიდევ უფრო საკვირველი ფაქტი მოჰყვა: ერთმა ქალმა, რომელიც ხომალდზე დარჩა და დასაღუპად იყო განწირული, პალტო გაიხადა და ნავში მყოფთ გადაუგდო სიტყვებით: მე ეს უკვე აღარ მჭირდება, ცივა, რომელიმე თქვენგანმა ჩაიცვასო. ამ ქალში იმის განცდამ, რომ თვითონ იღუპებოდა, ხოლო სხვა ცოცხალი რჩებოდა, შური ვერ აღძრა და მასში სასოწარკვეთილების ნაცვლად სიყვარულმა იმძლავრა (ე. ბერსიე, „რჩეული საუბრები“). ეს გასაოცარი და ამაღლელვებელი გმირობა მუდამ იცოცხლებს, როგორც მაგალითი თავგანწირული სიყვარულისა; რა მშვენიერია ადამიანი და რა დიდ სულიერ სიმაღლეს შეუძლია მიაღწიოს!

ჩვენი სამყარო მრავალფეროვანი და წინააღმდეგობებით აღსავსეა; ერთი მხრივ, შთამაგონებელი მაგალითები ჭეშმარიტი რწმენისა, ერთგული და თავგანწირული სიყვარულისა, მაგალითები სიკეთისა და სამართლიანობისა, ხოლო, მეორე მხრივ, სამწუხარო მაგალითები ურწმუნოებისა და მისგან გამომდინარე შედეგებისა, მაგალითები სულიერი და ზნეობრივი დაცემისა, სრული გამიწიერებისა და მხოლოდ საკუთარი ცხოველური ინსტინქტებისათვის არსებობისა. აქედან გამომდინარეობს სხვადასხვა ინტერესი, მისწრაფება და გაუგებრობა ადამიანთა შორის. გაითიშნენ არა მხოლოდ ადამიანები, არამედ ადამიანის შინაგანი სამყაროც გაიყო. პავლე მოციქული წერს, რომ იგი ხშირად აკეთებდა იმას, რაც არ უნდოდა. ადამიანის შინაგანი სამყაროს გაყოფას ჩვენს ცხოვრებაში აქტიურად შემოჭრილმა სეკულარიზმმაც შეუწყო ხელი, ჩვენი ცხოვრება რელიგიურ და საერო ცხოვრებებად სწორედ მან გათიშა.

დღევანდელი მსოფლიო ხშირად ადამიანის ღირსებებს მისი ხელფასით აფასებს: ჩვენ ხშირად გვიფიქრია იმაზე, არსებობს თუ არა გამოსავალი ამ ჩიხიდან? არსებობს! ამისთვის აუცილებელია შინაგანი სიმშვიდე, ღმერთთან მიახლოვება, დამორჩილება მდაბლისა ამაღლებულისადმი და წარმავალისა წარუვალისადმი. თქმა ამისა ადვილია, მაგრამ გაკეთება – ძნელი. ამიტომაც გვეუბნება მაცხოვარი, რომ სასუფეველი შრომით, საკუთარი თავის იძულებით მიიღწევა. არ შეიძლება ყოველივეს მატერიალური მოგების თვალით შევხედოთ; ადამიანის ცხოვრება ჭეშმარიტებისა და ჩვენი სიცოცხლის აზრის მუდმივ ძიებას უნდა წარმოადგენდეს; ყველა ჩვენი საქმე ღვთისკენ უნდა იყოს მიმართული. პროფესიის არჩევანის, ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობის, მეგობრობის მნიშვნელობის, მტრობის დამღუპველობის ღრმად გააზრებამ ადამიანი ღმერთთან უნდა მიიყვანოს. სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას არა მატერიალური ინტერესებით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, მაღალი სულიერი ღირებულებებით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ჩვენ ტოტალიტარული რეჟიმი გადავიტანეთ, რომლის დროსაც ადამიანი მხოლოდ შემსრულებელს წარმოადგენდა. იგი მოკლებული იყო ღვთისგან ბოძებულ თავისუფლებას, რადგან რაიმე პირადი ინიციატივის გამოჩენა არ შეეძლო; მისი პირადი ინტერესები მთლიანად საზოგადოებრივს ექვემდებარებოდა, ხოლო საზოგადოებრივი ადამიანთა მცირე ჯგუფს ემსახურებოდა. ამ რეჟიმის მესვეურებს ჩვენი სოციალურ-პოლიტიკური სისტემის მონებად გადაქცევა სურდათ.

ყოველივე ეს შედეგი იყო რევოლუციისა, რომელსაც ძველის ნგრევით თითქოსდა უსამართლობისა და უკანონობის მოსპობა სურდა, სინამდვილეში კი საკუთარ შვილებს იწირავდა. გავიხსენოთ, რომ უფალმა ეკლესია მაშინ დააარსა, როცა რომის იმპერიაში მონობა და ჩაგვრა ბატონობდა. ეკლესიას ხალხისათვის რევოლუციისა და

მეფეთა ჩამოგდებისაკენ არ მოუწოდებია, არამედ იგი ადამიანებს სინანულსა და ფერისცვალებას უქადაგებდა. მიუხედავად ამისა, ეკლესიის სულიერი ზეგავლენისა და ადამიანურ ღირებულებათა გადაფასების შედეგად მონობა თავისთავად შეუძლებელი გახდა. ამერიკელმა მართლმადიდებელმა ღვთისმეტყველმა დეკანოზმა ალექსანდრე შემემანმა შესანიშნავად თქვა: ამ სამყაროში ერთად-ერთი ჭეშმარიტი რევოლუციონერი წმიდა ადამიანიაო.

არ უნდა ვიქცეთ ტყვეებად ძველისა, აუცილებელია ახალი იდეების წარმოშობა და მათი ცხოვრებაში განხორციელება. იდეა შინაგანი ხედვაა, ყველა ის სიკეთე და ბოროტებაა, რომელიც შიგნიდან მომდინარეობენ.

თუ ადამიანი ღმერთშემოსილია, მასში კეთილი იდეები იბა-დება, ხოლო თუ მისი შინაგანი სამყარო ბოროტი ძალითაა აღსავსე და თავის თავში ეშმას ატარებს, მაშინ იგი ბიწიერ იდეებს შობს, რომელთაც ფილოსოფიაში „დაცემული იდეები“ ეწოდება.

კეთილსა თუ ბოროტ იდეებს ადამიანი სიტყვებით გამოთქვამს და ეს სიტყვები უკვე დადებითი ან უარყოფითი ძალებითაა აღსავსე. აი, ამ დროს სრულად ვლინდება ღვთისგან მინიჭებული თავისუფლება ადამიანისა: მან ბოროტება უნდა განაგდოს და სიკეთე აირჩიოს, განხორციელებული კეთილი იდეები პირველ რიგში თავისი თავის, ხოლო შემდეგ სხვების მიმართაც კეთილისმყოფელია. ზუსტად ასევე, ბოროტი, სატანისეული იდეები, პირველ ყოვლისა, თავის თავზე, ხოლო შემდეგ სხვებზეც უარყოფითად მოქმედებს. ადამიანმა სიბ-ნელისაგან თავის დასაღწევად სანთლები უნდა მოძებნოს, ამ დროს იგი თავისი ნებით ხდება სინათლის ან სიბნელის მატარებელი. პავლე მოციქული ქრისტიანებს ასწავლის: „რამეთუ იყვენით ოდესმე ბნელ, ხოლო ან ნათელ ხართ უფლისა მიერ; ვითარცა შვილნი ნათლისანი, ვიდოდეთ“ (ეფეს. 5, 8). ნათელი საშუალებას გვაძლევს გავარჩიოთ, რა არის სათნო ღვთისათვის და რა – არა. ქრისტეს ნათელი წყლულს

არა მხოლოდ წარმოაჩენს, არამედ კურნავს კიდევაც, რის შედეგადაც ადამიანის განახლება ხდება.

პროცესი განახლებისა ბავშვობაში უნდა დაიწყოს, რისთვისაც განსაკუთრებული ყურადღება ოჯახს უნდა მივაჭიოთ. ძველ დროში სულიერობას საფუძველი ოჯახში ეყრებოდა. ბავშვი ხედავდა და ისმენდა როგორ ლოცულობდნენ მშობლები, იმახსოვრებდა საალერსო სიტყვებს დედისას, აფასებდა მათ პატიოსნებას; საღამოობით, როცა მთელი ოჯახი შეიკრიბებოდა, ლიტერატურული საღამოები ეწყობოდა; აღფრთოვანებით ისმენდნენ ზღაპრებს, უსმენდნენ მუსიკას, კითხულობდნენ წმინდანთა ცხოვრებებს. შაბათ-კვირას მშობლებს შვილები ყოველ მიზეზს გარეშე ტაძარში მიჰყავდათ. გარდა ამისა, ოჯახის ყველა წევრს თავისი მოვალეობა ჰქონდა. დღეს ეს ყოველივე მოშლილია და აღდგენას საჭიროებს. სასკოლო პროგრამაში აუცილებლად უნდა შევიდეს კურსი საოჯახო ეთიკისა. ამით ჩვენს ბავშვებს წესრიგს, პატიოსნებას, პირად ჰიგიენას, სამუშაოს გეგმაზომიერად განაწილებას შევასწავლით.

ბავშვი უნდა შევაჩვიოთ, რომ თავისთვის სამუშაო გეგმა შეადგინოს: წლიური, თვიური და კვირეული. მან ყრმობიდანვე უნდა შეაგროვოს წიგნები და იკითხოს. ყოველ ოჯახს თავისი ბიბლიოთეკა უნდა ჰქონდეს. არიან ადამიანები, რომელნიც მთელი წლის მანძილზე წასაკითხოების წიგნთა კატალოგებს წინასწარ ადგენენ. ტელევიზორი თითქმის სრულიად ნთქავს ჩვენს თავისუფალ დროს, რადგან ხშირად უსარგებლო გადაცემებსაც ვუყურებთ. მშობლებმა ბავშვებს ტელევიზორის ყურების დროც უნდა გაუკონტროლონ და განუსაზღვრონ. ტელეგადაცემები ხომ, სამწუხაროდ, ჩვენს ბავშვებს არა თუ ზრდიან, არამედ სულიერად ასახიჩრებენ. ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ, მაგრამ მოსაუბრეს ცოტას ვუსმენთ და კიდევ უფრო ცოტას ვაკეთებთ.

ზოგჯერ განმარტოებითაც უნდა დავტვიდეთ, რათა ყურადღება

შინაგან ცხოვრებაზე გადავიტანოთ და უმაღლესი რეალობის არ-სებობა ვიგრძნოთ. სწორედ საკუთარ თავთან განმარტოებისასაა შესაძლებელი ურთიერთობის დამყარება ღმერთთან, სწორედ ამგვარი მარტოობისას იბადება დიდი იდეები. ახლა ადამიანის განახლების, ახლად დაბადების ფრიად რთული პროცესი მიმდინარეობს. მაცხოვარი ნიკოდიმოსთან საუბარში ამგვარ პროცესს მეორედ შობას უწოდებს (იოან. 3, 3).

ღვთის შემწეობით უნდა აღდგეს ჩვენი გონებისა და ნების ფუნქციები, რომელიც ჩვენს სულს უნდა დაექვემდებარონ. როგორც ღირსი ისავი ამბობს, სულისა და გონების შერწყმა უნდა მოხდეს. მადლობა ღმერთს, ეს პროცესი ჩვენს ხალხში უკვე დაწყებულია. მაცხოვრის ჭვარზე სიკვდილითა და აღდგომით ადამიანის ღმერთთან, ქმნილებისა შემოქმედთან შერიგება და განახლება მოხდა.

ყველას გულით გილოცავთ წმიდა აღდგომის უდიდეს დღე-სასწაულს.

ქრისტე აღდგა!

მკვდრეთით აღდგომილმა მაცხოვარმა, ვარსკულავმა ბრწყინვალე განთიადისა (გამოცხ. 22, 16), დაე, ყველა განგვაახლოს და მშვიდობა, სიყვარული, სიხარული და კეთილდღეობა მოგვანიჭოს.

„პირველი იგი წარწდა, აჰა ესერა იქმნა ყოველივე ახალ“ (2 კორ. 5, 17).

ღმერთი მშვიდობისა და სიყვარულისა იყოს თქვენთანა.

ამინ!

აღდგომა ქრისტესი

თბილისი, 1996 წ.

საშობაო ეპისტოლე

1997 წ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის
ღვთივეურთხეულ შვილებს:

„შეჰდადადეს უფალს თავიანთი მწეხარების
ჟამს და გაჭირვებიდან იხსნა ისინი. და
დააყენა ისინი სწორ გზაზე“ (ფსალმ. 106, 6-7)

 რისტესმიერ საყვარელნო ყოვლადსამღვდელონო მღდელ-
მთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ძმანო
და დანო, საქართველოს სამოციქულო წმიდა ეკლესიის ღვთისათნო
შვილნო,
ჩვენთან არს ღმერთი!

„აპა, მოვა უფალი ღმერთი ძლიერებით და იხელმწიფებს მისი მკლავი, აპა, საზღაური მასთანაა და მის წინაშეა გასამრკელო. როგორც მწყემსი, დამწყსის თავის ფარას“, – ბრძანებს ესაია წინასწარმეტყველი (ეს. 40, 10-11).

დასასრულს უახლოვდება მეორე ათასწლეული, – რთული და წინააღმდეგობებით სავსე დრო, დრო, როდესაც შეიძლება ბევრი რამ ადვილად შეიძინოს კაცმა და შეიძლება, ყველაფერი ერთბაშად დაკარგოს. მთავარია, არ დავივიწყოთ, რომ ჩვენი მიწიერი ყოფა დასაწყისია მარადიული ცხოვრებისა. ამიტომაც ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, ამქვეყნადვე დავუახლოვდეთ უფალს, ყოვლადწმიდა სამებას გავუღოთ გულის კარი, რათა დაივანოს მასში და იყოს ჩვენთან განუშორებლად. მხოლოდ ამ შემთხვევაში გავხდებით თანაბიარნი სინათლის, მშვიდობის, სიხარულისა და ნეტარებისა.

დღეს ყველანი დიდებული ზეიმის – ქრისტეს შობის მონაწილენი ვართ.

როგორც ვიცით, აქ ღვთისას ამქვეყნად მოვლინების პირველი მაუწყებელი იყო უჩვეულოდ ნათელი ვარსკვლავი, რომელმაც უწინამძღვრა ბრძენ მოგვებს აღმოსავლეთიდან, ვიდრე ბეთლემის გამოქვაბულამდე.

საზიმო სიჩუმე და სიწყნარე იდუმალი ღამისა დაარღვია ელგარე ნათლით მოსილმა ანგელოზთა საგალობელმა: „დიდებად მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშვიდობად და კაცთა შორის სათნოებად“ (ლუკ. 2, 14), რომელიც ყოველთა უწინარეს მწყემსებმა გაიგონეს.

ღვთაებრივმა სიყვარულმა შესაძლებელი გახადა უფლის განკაცება. „სიტყვად იგი ჰორციელ იქმნა და დაემკვდრა ჩუენ შორის... სავსე მაღლითა და ჭეშმარიტებით“ (იოან. 1, 14), – ვკითხულობთ სახარებაში, რაც ერთხელ კიდევ გვახსენებს იმ რეალობას, რომ სი-

ტყვა ღვთისა მთლიანად მოიცავს მადლსა და ჭეშმარიტებას; და რომ უფალი ამავე დროს ამ ნიჭით აჭილდოებს ყველას, მასთან რწმენით და სიყვარულით მიმავალს. სამწუხაროდ, ადამიანები ხშირად თავისი ნებით ამბობენ უარს მადლსა და ჭეშმარიტებაზე, რადგან ჩაფლულნი არიან ცოდვის ჭაობში და აღარ ძალუდთ იქიდან გამოსვლა.

ყველა გონიერ ადამიანს აღელვებს და აინტერესებს არა მარტო საკუთარი ბედ-იღბალი, არამედ თავისი ხალხის და, საერთოდ, მთელი მსოფლიოს აწმყო და მომავალი. როდესაც უყურებ მიმდინარე პროცესებს, ზოგჯერ გულგატებილობა გეუფლება; გეჩვენება, თითქოს კაცობრიობა სადღაც უძირო უფსკრულისაკენ მიექანება და აღარ არსებობს ძალა, რომელიც მოახლოებულ ტრაგედიას შეაჩერებს. მაგრამ ეს ასე არ არის. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ის, რაც კაცთათვის შეუძლებელია, ღვთისათვის არის შესაძლებელი, ოღონდ მთავარია, სწორ გზაზე დავდგეთ და სწორად ვიცხოვოთ.

ხშირად მთელ ჩვენს ძალებს ვახმართ ფუჭ და ამაო საქმეს, რაც კიდევ უფრო ამყარებს ჩვენს ეგოიზმს; გვავიწყდება კი, რომ ასეთი ცრუ შინაგანი სიმტკიცე დამღუპველია და, პირიქით, მოყვასის სიყვარულით, ჩვენი „მე“-ს, ჩვენი ეგოისტური სურვილების უარყოფით, ვაღწევთ უმაღლეს სულიერ სიძლიერესა და სიმტკიცეს. სულიერი აღმასვლის ამ კიბეზე მთავარი მამოძრავებელი ძალა სიყვარულია.

ცნობილი ფილოსოფოსი ვლადიმერ სოლოვიოვი წერს: „სიყვარული ნიშნავს თვითუარყოფას, სხვისთვის მსხვერპლის გაღებას. ამასთან თვითუარმყოფელ პიროვნებაში ხდება უმაღლესი თვითდამკვიდრება. სიყვარულის ანუ თვითუარყოფის უარყოფა, ე. ი. ეგოიზმი, არ არის ნამდვილი თვითდამკვიდრება, იგი უნაყოფო, დაუკმაყოფილებელი სწრაფვა და ძალისხმევაა თვითდამკვიდრებისათვის, რომლის შედეგად იბადება ეგოიზმი, რომელიც იქცევა ყველა განსაცდელის სათავედ. ჭეშმარიტი თვითდამკვიდრება კი მხოლოდ

საკუთარი თავის უარყოფით მიიღწევა. ასე რომ, როდესაც ვამბობთ: აბსოლუტური პირველსაწყისი არის ერთიანობა საკუთარი თავისა და საკუთარი ნების უარყოფისა, ამით უფრო გასაგები ენით ვიმეორებთ მოციქულის სიტყვებს – „ღმერთი სიყუარული არს“ (1 იოან. 4, 16). მაშასადამე, რაკი ეგოიზმის დამამარცხებელი ძალა მხოლოდ ნამდვილი სიყვარულია, ეგოიზმის დაძლევით მიიღწევა ჭეშმარიტი თვითდამკვიდრება.

აი, ამ მიმართულებით უნდა აღვჩარდოთ და განვავითაროთ, ჩვენი ხალხი, ჩვენი ახალგაზრდობა.

სიყვარულის სხვადასხვა სახე არსებობს. ყველაზე მაღალი მათ შორის არის შემოქმედის სიყვარული როგორც მთელი სამყაროს, ისე ცალკეული პიროვნების მიმართ. ღვთის ყველა ქმნილება, მათ შორის ადამიანიც, არის ნაყოფი უსაბღვრო და უნაპირო სიყვარულისა. ეს სიყვარული სარკის მსგავსად აისახება მატერიასა და ყოველ ცოცხალ ორგანიზმი და განსაკუთრებული ძალით გამოვლინდება ადამიანში.

ადამიანურ სიყვარულთაგან უპირველესი არის სიყვარული ღვთისადმი, რომელიც აუცილებლად ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე უნდა იყოს დაფუძნებული. ჭეშმარიტი რწმენა საძირკველია ჩვენი სულის შენობისა. იგია განმსაზღვრელი ჩვენი დამოკიდებულებისა ღვთის, ადამიანისა და, საერთოდ, სამყაროს მიმართ. თუ პიროვნებას ჭეშმარიტი სარწმუნოება არა აქვს, მასში ყველა მოვლენა დამახინჭებულად აირევლება და შედეგიც ასეთივე ექნება.

სიყვარული ღვთისა – ეს არის ცხოვრება ღმერთში და ღვთის არსებობა ჩვენში. ადამიანი მხოლოდ მაშინ მოიწევს ნაყოფს ჭეშმარიტი სიყვარულისას, როცა გახდება ღვთის მატარებელი, ღმერთშემოსილი. წმიდა ისააკ ასური ბრძანებს: „ღვთის სიყვარული ლოცვით მოიპოვება და შედეგია მისი. სიყვარული უფლისა არის სამოთხე, ხე სიცოცხლისა, მეუფება ღვთისა, იგია „ღვინო“, რომელი

ახარებს გულსა კაცისასა და ნეტარია, ვინც იგემებს მას. შესვეს იგი განლაღებულთ და დაირცხვინეს, იგემეს ცოდვილთ და დაუტევეს გზა წარწყმედისა, იხმიეს მემთვრალეთ და შეუდგნენ მარხვას, შესვეს მდიდართა და ისურვეს სიღარიბე, მიიღეს გლახაკთა და განმდიდრდნენ სასოებითა, დალიეს სწეულთა და განძლიერდნენ, იგემეს უვიცთა და იქმნენ ბრძენი“ (სიტყვა 83). ამიტომაც ვამბობთ: მხოლოდ ჭეშმარიტ რწმენასა და ღვთის სიყვარულს შეუძლია შეცვალოს და მთლიანად გარდაქმნას ჩვენი ყოფის უღიმღამო რეალობა, ჩვენი დროის დაუნდობლობა და სისასტიკე, რაც არის შედეგი ურწმუნოებისა და სულიერი სიცარიელისა.

სამწუხაროდ, ღვთის რწმენისა და სიყვარულის დაკარგვით დაიკარგა მიწიერი სიყვარულიც. სიყვარული, რომელიც უფრო მეტს გასცემს, ვიდრე იღებს – ანუ მშობლების სიყვარული შვილებისადმი და პირიქით, დაიკარგა ან დამახინჯდა შვილების სიყვარული მშობლებისა და წინაპრებისადმი. იმის გამო, რომ დედ-მამა არ უყვართ, ბავშვები ხშირად ბედნიერებას ოჭახის გარეთ ეძებენ და, სამწუხაროდ, მეტნილად იქ, სადაც იგი საერთოდ არ არის. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ოჭახებში ნამდვილი სიყვარული არ სუფევს. მხოლოდ ეგოიზმის დაძლევით შეიძლება ცოლ-ქმრის სიყვარულით ცხოვრება და მათი ოჭახის ბედნიერება და კეთილდღეობა.

გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალგაზრდები, რომელნიც ამთავრებენ საშუალო სკოლას, თუნდაც უმაღლეს სასწავლებელს, საერთოდ არ არიან მომზადებულნი იმ ფრიად საპასუხისმგებლო საიდუმლოსათვის, რომელსაც ქორწინება ჰქვია. ახალგაზრდამ არათერი იცის ოჭახზე, არ იცის, როგორ შექმნას იგი და როგორ მოუფრთხილდეს მას. ბიბლიიდან ვიცით, რომ ქორწინება ღვთივდადგენილია. ქორწინებით, ჰერ ერთი, ხდება გამრავლება და გადარჩენა კაცთა მოდგმისა (დაბ. 1, 27-28) და მეორეც, მეუღლეები

სიყვარულის საფუძველზე შეეწევიან ერთმანეთს მიწიერი ცხოვრების სიძნელეთა დაძლევაში (დაბ. 2, 18).

მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოში ვკითხულობთ: „ქორწინება არის საიდუმლო, რომლითაც ეკლესია აკურთხებს სასიძოსა და სასძლოს კავშირს ეკლესიასთან ქრისტეს სულიერი კავშირის მსგავსად და ითხოვს მათთვის მადლს ერთსულოვნებისას შვილთა შობისა და ქრისტიანულად აღზრდისათვის“.

ზოგიერთები ქორწინებაში ხედავენ რაღაც არაწმიდას, ცოდვისმიერს, რაც არასწორია. რა თქმა უნდა, ოჭახურ ცხოვრებაშიც შეიძლება იყოს დიდი ცოდვები, მაგრამ თუ ქორწინება კანონიერია, ღვთივკურთხეულია და შეესაბამება ქრისტიანულ ნორმებს, იგი წმიდაა და შეუბილნავი. უფალი იესო ქრისტე თვითონ დაესწრო ქორწილს კანას გალილეაში, აკურთხა იგი და მოახდინა პირველი სასწაული – წყალი ღვინოდ შეცვალა.

აი, რას ბრძანებს მაცხოვარი მეუღლეთა შესახებ: „ვინც გაეყრება თავის ცოლს სიძვის მიზეზის გარეშე, და სხვას შეირთავს, მრუშობს“ (მათ. 19, 9). ამიტომაც ადამიანებს სერიოზული დაფიქრება მართებთ ცხოვრების თანამგზავრის არჩევისას. სოლომონ ბრძენი გვასწავლის: „სახლი და დოვლათი მამის დანატოვარია, გონიერი დედაკაცი კი – უფლისგან არის“ (იგავ. 19, 14).

ახალგაზრდებმა, რომლებიც ოჭახს ქმნიან, უნდა იცოდნენ, რომ მათი ცხოვრების გზა ყოველთვის ია-ვარდით მოფენილი არ იქნება, რომ წინააღმდეგობები ბევრი შეხვდებათ და მზად უნდა იყვნენ მათ დასაძლევად. მთავარია, ურთიერთსიყვარული და თანადგომა ჰქონდეთ და არ დაკარგონ იმედი და, აქედან გამომდინარე, რწმენა მომავლისა.

ხშირად მეუღლენი ჩივიან ერთმანეთის მძიმე ხასიათის გამო და ამ მიზეზით არღვევენ ოჭახს. თუ ერთ-ერთ მათგანს აქვს კეთილი

თვისებები და რწმენა და სიყვარული ამოძრავებს, იგი შეძლებს მთლიანად შეცვალოს თანამეცხედრის შინაგანი სამყარო.

მინდა მოგიყვანოთ შესანიშნავი მაგალითი ერთი ბედნიერი ოჯახის ცხოვრებიდან: წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის დედა, ნონა, იყო შვილი ქრისტიანი მშობლებისა. იგი მტკიცე სარწმუნოებით და მორჩილი ხასიათით გამოიჩინა. როდესაც გათხოვების დრომ მოაწია, მისი ნების საწინააღმდეგოდ მშობლებმა ნონა ახალგაზრდა წარმართს გააყოლეს. აქედან დაიწყო მისი მძიმე გამოცდა. მეუღლებს ერთმანეთის არ ესმოდათ, მათი ინტერესები და მისწრაფებანი სხვადასხვა იყო. როდესაც ნონა ოთახში ხატების წინ ლოცულობდა, მისი მეუღლე მეორე ოთახში წარმართულ ადათებს ასრულებდა. ნონა იმედს არ კარგავდა და დღემუდამ გულმხურვალედ შესთხოვდა უფალს, შინაგანი თვალი აეხილა მისი მეუღლისათვის, რათა მასაც ეცნო ჭეშმარიტება. და აი, ერთხელ ნონას ქმარს ძილში გამოცხადება ჰქონდა: იგი გალობდა მისთვის უცნობი დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნის სიტყვებს: „გავიხარე, როცა მითხრეს: უფლის სახლში წავიდეთ“ (ფსალმ. 121, 1). ამ ხილვის შემდეგ სრულიად შეიცვალა ნონას ქმრის ცხოვრება. ამ დღიდან დაიწყო მისი სვლა უფლის სახლისაკენ. იგი გახდა არა მარტო კარგი ქრისტიანი, არამედ სასულიერო პირიც – მოძღვარი; უფალმა განსაკუთრებული მადლი მოიღო ამ ოჯახზე, ეკლესიის მნათობად გამობრწყინდა მათი შვილი, დიდი გრიგოლ ღვთისმეტყველი, მთავარებისკოპოსი კონსტანტინოპოლისა. ასეთია შედეგი რწმენის, სიყვარულის, სასოებისა და მოთმინებისა. ამიტომაც ყოველმა ჩვენგანმა ჩვენი ახალგაზრდები ოჯახური ცხოვრებისათვის უნდა მოვამზადოთ. ამ საკითხით სახელმწიფოც, ეკლესიაც, ოჯახიც და სასწავლებელიც უნდა დაინტერესდეს. მტკიცე ოჯახი – მტკიცე სახელმწიფოა.

სამშობლოს, შენი სახელმწიფოს წინაშე მოვალეობის გრძნობა

ერთ-ერთი ყველაზე მაღალი და საუკეთესო თვისებაა ადამიანისა. ბიბლიაც და ჩვენი ქვეყნის ისტორიაც სავსეა მამულისა და ქვეყნისა თავდადებული სიყვარულის მაგალითებით. ძველ აღთქმაში ვკითხულობთ მოსე წინასწარმეტყველის, ისუ ნავეს, სამუელის, მეფე დავითის, ელიას, ძმათა მაკაბელთა და სხვათა შესანიშნავ ცხოვრებებს; ისინი სამშობლოსთვის სანთლებად იწვოდნენ და მზად იყვნენ, ყოველ წესს გაეწირათ სიცოცხლე თავიანთი ხალხის დასაცავად.

რა მგზნებარე სიყვარულის გრძნობაა ჩადებული ფსალმუნის ამ სიტყვებში: „თუ დაგივიწყო შენ, იერუსალიმო, დამივიწყოს მარჯვენამ ჩემმა. მიეკრას ჩემი ენა ჩემს სასას, თუ არ გაგიხსენო, თუ არ დავაყენო იერუსალიმი ჩემი მხიარულების სათავეში“ (ფსალმ. 136, 5-6), ასე ეფიცებოდნენ ბაბილონის ტყვეობაში მყოფი ებრაელები სამშობლოს ერთგულებას. ისინი მარტო კი არ იფიცებდნენ და გოდებდნენ, არამედ იბრძოლეს და გაიმარჯვეს კიდეც, თავისი ხალხი იესო ქრისტესაც უყვარდა.

ჩვენი ქვეყნის წარსულიც მამულის თავგანწირული სიყვარულის მრავალი მაგალითითაა სავსე: მოწამეებმა დავითმა და კონსტანტინემ, მეფეებმა არჩილმა და ლუარსაბმა, დიმიტრი თავდადებულმა, ქეთევან დედოფალმა, და ათასობით სხვამ თავი დადეს რწმენისა და სამშობლოსათვის და როგორც მისაბაძნი მაგალითნი, ჩვენი ხალხისა და ეკლესიის ისტორიაში დიდ წმინდანებად შევიდნენ.

ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდა ამ მიმართულებითაც უნდა გაძლიერდეს. ბავშვებს მამულის სიყვარულის, სულის სიძლიერის და ვაჟვაცობის გრძნობა, პირველ ყოვლისა, მშობლებმა უნდა ჩაუნერგონ; ეს უნდა ასწავლონ სკოლაშიც; ამ თემაზე უნდა დაიწეროს წიგნები და სპექტაკლები და კინოფილმები შეიქმნას.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში ეკლესიას ეკისრება.

ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, რომ მომავალი თაობა ამავე დროს მშვიდობისა და მეგობრობის სულისკვეთებით აღვგარდოთ. ეს გრძნობები ჩვენი ხალხისათვის ოდითგანვე ახლობელი იყო, მაგრამ ურწმუნოებამ ბევრი რამ დაამახინდა და ამიტომაც ეგოიზმს აყოლილი ჩვენი ახალგაზრდები ხშირად ავლენენ დაუნდობლობას მოყვასის მიმართ.

სამართლიანობა და სიყვარული მთავარი პირობაა ადამიანებს შორის მშვიდობისა. კაცობრივი რეჟიმი თვისებაა და იგი ღვთისგან ნაბოძები დიდი წყალობაა. ადამიანი ესწრაფვის სხვასთან დაახლოებას, რადგან ამით გარკვეულწილად ივსებს სიცარიელეს, იღებს ენერგიას, ებადება ახალი აზრები და იდეები; ასეთი ურთიერთობით ერთმანეთს ვეხმარებით ამქვენიური ცხოვრების ჭვრის ზიდვაში. წმიდა პავლე მოციქული წერს: „ურთიერთარს სიმძიმე იტკრთეთ და ესრეთ აღასრულეთ შტული იგი ქრისტესი“ (გალ. 6, 2).

თუ გვსურს, ადამიანებთან მშვიდობა გვქონდეს, აუცილებელია მშვიდობა დავამყაროთ საკუთარ თავთან, მოვიპოვოთ სულის სიმშვიდე, ეს კი ისევ და ისევ ეკლესიურობით, ვნებებთან და ცოდვებთან ბრძოლით, ღვთის მცნებებისა და მისი ნებისადმი ერთგულებით მიიღწევა.

ჩვენ ხშირად ვფიქრობთ ეკლესიის დანიშნულებაზე და მის საიდუმლო ცხოვრებაზე, თუმცა ბოლომდე ვერ ვწვდებით, ვერ ვაცნობიერებთ მის არსს. მრწამსში ვკითხულობთ: „მრწამს... ერთი წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია...“ ეკლესია ღვთით დადგენილი ის წიაღია, სადაც ხდება საოცარი ფერისცვალება ძველი კაცისა ახალ ადამიანად, რომლის დროსაც თითოეულ ჩვენგანში იშვება ქრისტე. ხელახლადშობის პროცესი მძიმე და რთულია. იგი „მშობიარობის ტკივილებში“ ანუ საკუთარ თავთან, ხილულ და უხილავ ბოროტ ძალებთან, მიწიერ ვნებათა და საცდურთა წინააღმდეგ ბრძოლაში

გამოვლინდება და სულიერი დაღუპვისაკენ მიმავალი ფართო გზის უარყოფას ნიშნავს.

ეკლესია მადლმოსილია არა მარტო იმიტომ, რომ მან მაცხოვრის ჭვარცმიდან ორმოცდამეათე დღეს მიიღო სულიწმიდის მადლი, არამედ იმიტომაც, რომ ეს მადლი დღემდე გადადის თითოეულ მის წევრზე და სიახლით, სიცოცხლის ძალითა და სინათლით ავსებს მთელ სამყაროს. ბედნიერნი ვართ, რომ სულიწმიდის ეკლესიის წევრები ვართ. ეკლესია სულის განსაკურნებელი სავანეა. აქ მოდიან ყველანი: კეთილნი და ბოროტნი, ქვრივნი და ღატაკნი, მდიდარნი და მრუშნი, მკვლელები; მოდიან ცხოვრებით დაღლილნი, მოდიან ტვირთმძიმენი და სნეულნი, კეთილშობილნი და ბოროტი ძალით შეპყრობილნი. მოდიან, რათა უკეთესი გახადონ თავიანთი ცხოვრება, გამოასწორონ ჩადენილი დანაშაული, ჩამოიბანონ ბინი სულისა. ეკლესია ყველას აძლევს საშუალებას განწმენდისა და სულიერი ფერისცვალებისა, ოღონდ უნდა იყოს ჭეშმარიტი სინანული და დიდი სურვილი ცოდვისაგან განთავისუფლებისა.

არაეკლესიური ადამიანები ხშირად განიკითხავენ ეკლესიას იმის გამო, რომ აქ ცოდვებით დამძიმებულ ადამიანებს ხედავენ. მათ ავიწყდებათ მაცხოვრის სიტყვები: „არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“ (მათ. 9, 13).

ჭერ კიდევ ძველ აღთქმაში ღმერთმა უბრძანა დავით მეფეს და სოლომონს აეგოთ ტაძარი – სახლი უფლისა. ახალ აღთქმაში ტაძრის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. ზეცა მიწაზე, – ასე უწოდებს ეკლესიას დიდი მამა, წმიდა გერმანე – პატრიარქი კონსტანტინოპოლისა. და მართლაც, აქ ხდება შეერთება ზეციური და მიწიერი ეკლესიისა. ზეციური ეკლესია, რომელიც არის ანგელოზთა, მოციქულთა, წმინდანთა და ჩვენს დიდებულ წინაპართა მთელი დასი, ლოცვისა და წირვის დროს უკავშირდება მიწიერ ეკლესიას,

რომელსაც წმიდა მამები მებრძოლ და მოგზაურ ეკლესიას უწოდებენ და იქმნება ერთიანი განუყოფელი სხეული ქრისტესი. ამით სრულდება აღთქმა მაცხოვრისა, ამაღლების შემდეგ რომ დაუდო თავის მოწაფეებს და მათ მიმდევართ: „მე თქუნ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“ (მათ. 28, 20). საბრალონი არიან, რომელნიც სიცოცხლეს ეკლესიის – ქრისტეს სხეულის გარეშე განლევენ, ამქვეყნად ვერაფერი ვერ შეავსებს იმ სიცარიელეს, რასაც ადამიანი არაეკლესიურობით კარგავს. ეკლესია, მართალია, განსაზღვრულია დროით და სივრცით, მაგრამ იგი მიმართულია ზეცისკენ და თავისი შვილები ნეტარი მარადიულობისაკენ მიჰყავს.

საეკლესიო დღესასწაულები არა მარტო იმ ღირსშესანიშნავ წმიდა მოვლენებს გვახსენებენ შორეულ წარსულში რომ მოხდა, არამედ გვაახლოებენ იმ სულიერ სიწმინდესა და რეალობასთან, რომელიც უჟამოა, დროზე მაღლა დგას და სულიერ ძალას გვმატებს.

ქრისტეს შობისას იგალობება საგალობელი: „ქრისტე იშვა ბეთლემს...“ ბეთლემი – ეს ჩვენი გულია. ჩვენს გულში არათუ უნდა დაიბადოს ქრისტე, არამედ უნდა სუფევდეს განუშორებლად. მისი მარადიული სიყვარული უნდა ავსებდეს და ათბობდეს ჩვენს სულს ამქვეყნადაც და იმ სოფელშიც. ამისთვის ვართ ჩვენ მოწოდებულნი.

ცნობილი ღვთისმეტყველი და მღვდელმოწამე მეთოდიოსი ქრისტიანებს ასწავლის, როგორ უნდა მოამზადონ გულები სულიწმიდის მისაღებად; „უფალო განწმინდე გული ჩემი და ქმენ იგი სავანედ სულისა წმიდისა“, – ეს სიტყვები მიგვანიშნებს, რომ თუ გვსურს შევიმოსოთ სულიწმიდის მაღლი, უპირველეს ყოვლისა, გული უნდა განვიწმინდოთ, რაც ეკლესიის გარეშე შეუძლებელია.

ეკლესია ერთადერთი ადგილია ჩვენი გადარჩენისა; იგი კარიბჭეა მარადიული ნეტარი ცხოვრებისა. არ შეიძლება დაგვიანება, დაუშვებელია სულიერი განწმენდის კიბეზე ზეაღსვლის სამომავლოდ

გადადება. არავინ იცის, რას გვიმზადებს ხვალინდელი დღე. მაშ, ნუ დავაყოვნებთ, გავხდეთ წევრნი ქრისტეს ეკლესიისა და ვეზიაროთ იმ სიწმინდეთ, რასაც იგი ნათლობის, მირონცხების, აღსარების, ზიარებისა და სხვა საიდუმლოთა მადლით გვთავაზობს.

ღირსი ანტონი დიდი ბრძანებს: „ილოცეთ, რომ უფალმა მოგანიჭოთ მადლი, რათა ყოველივეს ნათლად ხედავდეთ, სწორად განსჭიდეთ და შეუცდომლად განარჩევდეთ, რა არის სიკეთე და რა ბოროტება“. თუ ვიქებით ეკლესიურნი და გავხდებით ღირსი ამ მადლისა, მაშინ აღარც ჩვენ წინაშე მდგარი პრობლემების შეგვე-შინდება.

სკეპტიკოსები, როდესაც დიდ წინააღმდეგობებს აწყდებიან, ამბობენ: ამის გაკეთება შეუძლებელია; მორწმუნის პასუხი კი ასეთია: კაცთათვის შეუძლებელი ღვთისათვის შესაძლებელია.

როგორ შეძლო ყრმა დავითმა დაემარცხებინა გოლიათი? როგორ შეძლო საქართველომ გაეძლო მრავალრიცხოვან მტერთა შემოსევებისათვის? ჩვენთან იყო, არის და იქნება ღმერთი! მთავარია ჩვენ არ განვუდგეთ მას, არ მივატოვოთ იგი.

საიდუმლო ნამდვილი წინსვლისა და გამარჯვებისა სულიერ ძლიერებაშია. იმარჯვებს არა გონება, აზროვნება და ფიზიკური ძალა, არამედ ძალა ღვთისა, რომელიც ღვთის სათნო შვილთ, ღვთის საყვარელ ერს მიენიჭება. მტერზე გაიმარჯვებთ „არა ძალითა და ძლიერებით, არამედ ჩემი სულითო, ამბობს უფალი საბაოთ“ (გაქ. 4, 6).

ჩვენი ხალხი დღეს სიმბოლურად სინას უდაბნოში მოგზაურობს. ეს არის დრო განწმენდისა, დრო ჩვენი რწმენისა და გამდლეობის გამოვლინებისა.

ღვთის წყალობით, იმედი მაქვს, რომ გავუძლებთ ამ გამოცდას და „აღთქმულ ქვეყანაში“ შევალთ.

რწმენით, სასოებითა და სიყვარულით აღვსილი ყველას გულითადად გილოცავთ ქრისტეშობის დიდებულ ზეიმს. გვწამს, რომ გავხდებით ბედნიერი მონანილენი ბოროტებაზე სიკეთის გა-მარჯვებისა; გვწამს, უფლის წყალობით, საქართველო ერთიან და ძლიერ სახელმწიფოდ იქცევა და მშვიდობითა და კეთილდღეობით გავიხარებთ.

მაშ, სასოებით შევსთხოვოთ შემოქმედს: „აკურთხე გვირგვინი წელიწადისა სიტვბოებითა შენითა, უფალო“!

კურთხეულია ღვთისმშობლის წილხვედრი ივერია, – „უფალი გეყოლება საუკუნო მნათობად და ღმერთი შენი დიდებად შენდა“ (ეს. 60, 20). ამინ!

ქრისტეს შობა
თბილისი, 1997 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

1997 წ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის
ღვთივკურთხეულ ერთგულ შვილებს:

„ნეტარია და წმიდა, ვისაც წილი უდევს
პირველ აღდგომაში. მეორე სიკვდილს არა აქვს
ხელმწიფება მათზე“ (გამოცხ. 20, 6).



რისტესმიერ საყვარელნო ყოვლადსამღვდელონო მღვდე-
ლმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ჩვენო
სულიერო შვილებო, ღვთივკურთხეული ივერიის მკვიდრნო და სამ-
შობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო!

„...ღმერთმან მშვიდობისამან, დაე, წმიდა გყოთ თქვენ ყოვ-
ლითა სრულებითა და ყოვლითა სიცოცხლითა, და თქვენი სული და

სამშვინველი და სხეული უბინოდ დაცულ იქნეს მთელი სავსებით უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მოსვლისას“ (1 თეს. 5, 23).

ამ სურვილით და იმედით აღვსილი ყველას გულითადად გილოცავთ წმიდა პასექის ბრწყინვალე დღესასწაულს,

ქრისტე აღდგა!

აღდგა ძე ღვთისა და ძე კაცისა და შემუსრა ბჯენი ჭოჭოხეთისა; ვერ შეაკავა იგი ვერც დაბეჭდულმა საფლავმა, ვერც მცველთა სიმრავლემ, მის სამარხს რომ დაუყენეს.

აღდგომით მაცხოვარმა კაცობრიობას მარადიული სიცოცხლე მოანიჭა და გახსნა გზა უსასრულო ნეტარებისა, რადგან დაძლია და დაამარცხა ყველაზე საშინელი და დაუძინებელი მტერი ადამის მოდგმისა და მთელი სამყაროსი – სიკვდილი.

ქრისტეს აღდგომას ანგელოზნი უგალობენ, ზეიმობს ზეცა და დედამიწა, იშვებს ადამი და იხარებს ევა, ღვთისმშობელი და მოციქულთა დასი, წმიდათა კრებული და მათთან ერთად ყოველნი მორწმუნენ და მადიდებელნი ქრისტესნი, ანუ იგინი, ვისაც წილი უდევს პირველ აღდგომაში.

წმიდა ანდრია, მთავარეპისკოპოსი კესარიისა, წერს: „რომელთა აქვნდეს ნაწილი პირველსა მას აღდგომასა შინა, – ესე არს აღდგომა ბოროტთა გულისსიტყუათაგან და მკვდართა მათ საქმეთა, – იგინი სანატრელ არიან, რამეთუ არა მიიღოს მათ ზედა მეორემან მან სიკვდილმან ხელმწიფებად, რომელ არს საუკუნოდ სატანჭველი; პირველ აღდგომასთან კავშირი არა აქვთ მათ, რომელნი არა ქრისტეს თანა მომკუდარ და აღდგომილ იყვნენ ნათლისღებითა, არამედ ცოდვათა სიღრმესა შინა დადგრომილ იყვნენ, არა ცხონდებიან იგინი ქრისტეს თანა ათასსა მას წელსა...“ (გამოცხადების განმარტება, გვ. 561).

მაღლობა ღმერთს, მისი წყალობით თანდათან ვთავისუფლდებით ცოდვის მონობისაგან, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენისა და ამპარტავნებისაგან. და ჩვენი ხალხიც იმ ებრაელთა მსგავსად, მოსე წინასწარმეტყველმა ეგვიპტიდან რომ გამოიყვანა, ნელა, მაგრამ მაინც წინ მიიწევს აღთქმული მიწისავენ – სულიერი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ.

მონობიდან განთავისუფლების პროცესი მეტად რთული იყო და არის დღესაც, რადგან იგი ფართო მასების დიდ შინაგან გარდატეხას მოითხოვს. მოსე წინასწარმეტყველს ყველაზე მეტად თანამემამულეთა აბროვნების შეცვლა გაუჭირდა; გაუჭირდა მათი დარწმუნება, რომ ისინი აღარ არიან მონები, არამედ არიან თავისუფალნი, რომ მათ აუცილებლად უნდა შეძლონ დამოუკიდებლად ცხოვრება, თვითონ უნდა შეიქმნან კეთილდღეობა და ბატონად ფარაონი კი აღარ უნდა ჰყავდეთ, არამედ – ღმერთი.

ღმერთია ჩვენი პატრონი, ერთადერთი იმედი და ნუგეში ჩვენი. ჩვენ კი იგი მხოლოდ ხანდახან, ისიც გაჭირვების ჟამს, გვახსენდება, მაშინ, როცა თუ სწორად ცხოვრება გვსურს, მუდამ უნდა ვიყოთ მასთან, მუდამ უნდა გვქონდეს განცდა მისი სიახლოვისა. ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრებისადმი ჩვენი დამოკიდებულება უნდა შევცვალოთ. ჩვენ ხომ ზედმეტად თვითდაჭერებულნი ვართ და ხშირად ვფიქრობთ, რომ წარმატება ან წარუმატებლობა ჩვენზე ან გარკვეულ მიწიერ გარემოებებზეა დამოკიდებული და მიზეზ-შედევობრივ ანალიზს არ ვაკეთებთ. აუცილებელია როგორც ისტორიის, ისე ჩვენი ცხოვრების სულიერი მხარის გაგება, რაც, ამავე დროს, საკუთარი თავის შეცნობას გაგვიადვილებს.

ადამიანი შესაქმის ყველაზე დიდი და გამოუცნობი საიდუმლოა. თითოეული პიროვნების სულიერ სამყაროში ორი მიმართულება უპირისპირდება ერთმანეთს; მასშია მსგავსება ღვთისა და ცოდვით დაცემული ბუნება კაცისა, მასშია სიმაღლე და სიმდაბლე, თავის-

უფლება და მონობა, ძალა დიდი სიყვარულისა, თავდადებისა და ასევე მდაბალი გრძნობა უნაპირო ეგოიზმისა და დიდი სისასტიკისა; მასშია აღდგომისა და ამაღლების უნარი და დაცემისა და ყოველივეს განადგურების შესაძლებლობა. არჩევანის უფლება ღმერთმა ჩვენ მოგვანიჭა. ჩვენზეა დამოკიდებული, რომელ გზას გავყვებით.

უფალო, „რა არის ადამიანი, რომ ასე განადიდე და მისკენ მიგიპრია გულისყური? რომ მოინახულებ ყოველ დილით და გამოსცდი ყოველ წამს?“ (იობ. 7, 17-18). ვინ არის იგი, რატომ ცხოვრობს დედამიწაზე და საით მიდის? – აი, კითხვები, რომელნიც აუცილებლად შეგვახსენებენ თავს.

გოგიერთს ჰგონია, რომ ისინი არსად არ მიდიან და, აქედან გამომდინარე, მათი სიცოცხლე მიწიერ არსებობასთან ერთად ქრება. მათ შესახებ მოციქული იაკობი ასე ბრძანებს: „რა არის თქვენი სიცოცხლე? კვამლი, რომელიც ცოტა ხანს ჩანს, და მსწრაფლ განქარდება“ (იაკ. 4, 14).

ჩვენ კი, მართლმადიდებელ ქრისტიანებს, გვწამს, რომ ადამიანი შექმნილია ღვთის ხატად, ხოლო მსგავსებას უნდა მივაღწიოთ ჭეშმარიტი სარწმუნოებით, სიყვარულით, სასოებით, კეთილზნეობით... და მოვიპოვოთ მარადიული ნეტარი ცხოვრება.

გვწამს, რომ ამქვეყნიური ყოფა მხოლოდ დროებითი მოვლენაა, იგია გამოცდა ჩვენი სულისა, მოსამზადებელი საფეხური მარადიულობისა, რომელთანაც თითოეული განვლილი დღე სულ უფრო გვაახლოებს.

ჩვენი ცხოვრება უდაბნოში მოგზაურობას ჰგავს, სადაც ჩვენ მხოლოდ მდგმურის უფლებით ვსარგებლობთ. გავიხსენოთ ერთი ადგილი ბიბლიიდან: ფარაონმა ჰკითხა ძველი აღთქმის პატრიარქს იაკობს, რამდენი წლის ხარო. იაკობმა მიუგო: „ასოცდაათ წელს ითვლის ჩემი მდგმურობის ხანი“ (დაბ. 47, 8-9). ასე შეეძლო ეპასუხა

მხოლოდ არაჩვეულებრივ ადამიანს; ასე აზროვნებს ის, ვინც ღმერთან ცხოვრობს და მარადიულობის განცდას რეალურად ატარებს.

„მიუახლოვდით ღმერთს, და მოგიახლოვდებათ; გაისუფთავეთ ხელები, ცოდვილნო, და განიწმინდეთ გულები, ორგულნო... დაიმდაბლეთ თავი უფლის წინაშე, და აგამაღლებთ თქვენ“ (იაკ. 4, 8,10), – გვარიგებს მოციქული.

სიმდაბლე, შემუსვრილობა ამპარტავნებისა, უდიდესი სათნოებაა ღვთის წინაშე. ამის საუკეთესო მაგალითია მოსე წინასწარმეტყველი. რატომ გამოირჩია იგი უფალმა და შეიყვარა განსაკუთრებით? პირველ რიგში იმიტომ, რომ იგი იყო ყველაზე მშვიდი და თვინიერი კაცთა შორის (რიცხ. 12, 3). ამიტომაც მიეგო მას პატივი ეგვიპტის ტყვეობიდან ებრაელთა ერის გამოხსნისა და სინას მთაზე კაცობრიობის დასამოძღვრად ათი მცნების მიღებისა. ასეთივე სათნო თვისებებით გამოირჩეოდნენ სხვა წმინდანებიც, რომელთა ცხოვრება მისაბაძია ჩვენთვის.

ადამიანისთვის აუცილებელია, იყოს ჭეშმარიტი სარწმუნოების მიმდევარი, აუცილებელია გონიერება, რომ განასხვაოს ერთ-მანეთისგან სიკეთე და ბოროტება და შეძლოს მის გარშემო არსებული სიტუაციიდან სწორი არჩევანის გაკეთება. „ხოლო თუ რომელიმე თქვენგანს აკლია სიბრძნე, – ვკითხულობთ წმიდა წერილში, – დაე, სთხოვოს ღმერთს, რომელიც ყველას უშურველად მიაგებს მას, და მიეცემა. მაგრამ, დაე, სთხოვოს რწმენით, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ვინაიდან მეჭველი ზღვის ტალღასა ჰგავს, ქარით ღელვილსა და მიმოტაცებულს“ (იაკ. 1, 5-6).

სიბრძნე თავისით არ მოდის. იგი წყალობაა ღვთისა, რომელიც ეძლევა ღვთის მორწმუნე და მოშიშ ადამიანს.

მეფე სოლომონი, ყველაზე ბრძენი ბიბლიური კაცი და მეფე, წერს: „უფლის შიში ცოდნის სათავეა. სიბრძნე და შეგონება ბრიყვებს

არ უყვართ“ (იგავ. 1, 7). „უფალი იძლევა სიბრძნეს და მის ბაგეთაგან არის ცოდნა და გონიერება, ...მაშინ მიხვდები, რა არის სიმართლე, სამართალი და სამართლიანობა – ყოველი კეთილი საქმე. თუ სიბრძნე შევიდა შენს გულში და ცოდნა ეტკბო შენს სულს, გონიერება დაგიფარავს და შეგნება დაგიცავს, რომ გიხსნას ბოროტების გზიდან“ (იგავ. 2, 6, 9-12).

როგორ მნიშვნელოვანია ადამიანისათვის ცოდნა და გონიერება, ჩვენ კი თითქმის არ ვზრუნავთ მისი შეძენისათვის, ნამდვილი ცოდნისა და სიბრძნის მოპოვებისათვის.

ცოდნის დაგროვება დაბადებიდანვე იწყება. ჩვილ ასაკშივე ბავშვს ურთიერთობა აქვს მშობლებთან, ახლობლებთან, გარემოსთან, საიდანაც იძენს იგი ე. წ. ემპირიულ ცოდნას. სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, მეცნიერული მოღვაწეობა... აფართოებენ და აღრმავებენ პიროვნების თვალსაწიერს, იბადება ახალი იდეები, ჩნდება ახალი სიღრმეები. ცოდნის გაფართოება უნდა გაგრძელდეს. მაგრამ ეს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ხდებოდეს წიგნების კითხვით, თვითანალიზით, დიალოგის გზით და არა ტელევიზიის გადაცემებით, – რომლებიც მხოლოდ ზედაპირულ ინფორმაციას გვაწვდის.

ჭეშმარიტი ცოდნა და ჭეშმარიტი მეცნიერება აუცილებლად მიიყვანს ადამიანს ღმერთთან. სამწუხაროდ, ხდება ისეც, რომ ზოგიერთი მთელი ცხოვრება ეძებს, მაგრამ ვერ იძენს ჭეშმარიტ ცოდნას, ანუ იმ ცოდნას, რომელიც მას ღმერთთან დააახლოებს. მოციქული პავლე ამბობს: „ის, ვინც მთელი ცხოვრება ეძებს და ვერ პოულობს, მისი სამსკავრო უკვე შემდგარია“. არადა, რამდენი ადამიანი წავიდა ამქვეყნიდან ისე, რომ ჭეშმარიტებას არ შეხებია; ეს იმიტომ, რომ ან საერთოდ არ ეძებდნენ მას, ანდა არ ეძებდნენ იქ, სადაც მისი პოვნა შეიძლებოდა.

ჩვენი ცხოვრებისა და საქმიანობის ყველაზე საიმედო საყრ-

დენი და ორიენტირი არის მართლმადიდებელი სარწმუნოება. მე ხახს ვუსვამ მართლმადიდებელ სარწმუნოებას, რადგან სწორედ არასწორი სარწმუნოება აშორებს ყველაზე ხშირად ადამიანს ჭეშ-მარიტებისაგან და საბოლოო ჭამში ღუპავს მას. უნდა გვახსოვდეს, ჭეშმარიტების ძიება რთული პროცესია; რუდუნებით სავსე, სულიერი, ინტელექტუალური და ფიზიკური შრომაა, რომლისათვისაც ყრმობი-დანვე უნდა მოვამზადოთ მომავალი თაობა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვების რე-ლიგიურ აღზრდას. მათში ნამდვილი ქრისტიანული სულის გაღ-ვივებას. მით უმეტეს დღეს, როდესაც ჩვენი გარემომცველი სამყარო საპირისპირო მიმართულებით ვითარდება.

მოზარდს თავიდანვე უნდა გავუღვივოთ წმიდა წერილისადმი მოწინება და სიყვარული, ეკლესიური ცხოვრების სურვილი. დავა-ნახოთ ცოდვა და ცოდვითი მიღრეკილებანი, ვასწავლოთ გარჩევა სიკეთისა და ბოროტებისა, ვასწავლოთ სინანული, შერიგება, უნარი დანაშაულის აღიარებისა, სიმართლის დაცვისა. ისინი უნდა მივაჩვი-ოთ სიყვარულით ცხოვრებას, სხვისი ტკივილის გათავისებას, ზრუნვას გაჭირვებულისა და ავადმყოფების მიმართ და, საერთოდაც, უნდა აღვგარდოთ მათში სურვილი იცხოვრონ და იღვაწონ ღმერთთან, მოყვასთან და ბუნებასთან თანხმობასა და კავშირში.

როდესაც ვლაპარაკობთ სასწავლო პროგრამების რეორგა-ნიზაციაზე, აუცილებლად უნდა ვიფიქროთ შრომის სწავლებაზეც, რათა აღვგარდოთ ისეთი პიროვნებები, რომელთათვისაც შრომა იქნება ბუნებრივი სასიცოცხლო მოთხოვნილება. სამწუხაროდ, არც ოჯახში, არც სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში ამ მიმა-რთულებით დღესდღეობით არაფერი კეთდება. ტელევიზითა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით მიღებული მსწრაფლ-ცვალებადი ყოველდღიური ინფორმაციები და სუსტი შთაბეჭდილე-

ბები კი გულმოდგინე შრომისა და მუყაითობის სურვილს უკარგავს ახალგაზრდებს. უფრო მეტიც, საზოგადოებაში უკვე გაჩენილია უარყოფითი დამოკიდებულება შრომისადმი და მის სანაცვლოდ ბატონობს სურვილი ცხოვრების იოლი გზების ძიებისა.

შრომა, როგორც წერია ბიბლიაში და ჩვენი ყოფაც ნათლად მოწმობს, არის ადამიანის მიწიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. იგია კურთხევა ღვთისა, რომლის შედეგიც არის სიუხვე, სიხარული და მშვიდობა. უფალი ბრძანებს: „პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე“ (დაბ. 3, 19). და ეს ეხება ყველას: დიდს, პატარას, მუშას, ახალგაზრდას, გლეხს, ინტელიგენტს...

ბევრმა არ იცის, რაოდენ სასიამოვნოა შრომით დაღლა, თუ მისი ნაყოფი სიკეთის მომტანია და სიხარულს ანიჭებს სხვებს.

ადამიანში, რომელიც არ შრომობს, ენერგია ლჰება და იხრნება, რაც შემდეგ იწვევს საერთო გულგრილობას, ნიჰილიზმს, სასოწარკვეთილებას. ეს კი საბოლოო ჭამში ფიზიკურ ან სულიერ დაავადებებში გამოვლინდება.

ამიტომაც მშობლები, რომლებიც ფიზიკური შრომისათვის ვერ იმეტებენ პატარებს, სინამდვილეში დიდ ბოროტებას სჩადიან, რადგან შვილებს, როგორც ოჭახისთვის, ისე, საერთოდ, ცხოვრებისათვის მოუმზადებელს ზრდიან. კარგ ოჭახში თითოეულ მის წევრს თავისი საქმე აქვს განსაზღვრული. პატარებმა მაგალითი, პირველ რიგში, მშობლებისაგან უნდა აიღონ. სახელმწიფოში კი ყოველ მოქალაქეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავისი შრომის აუცილებლობა საერთო დოკუმენტის შესაქმნელად.

ადამიანი, რომელსაც შეუძლია და არ შრომობს და სხვის ხარჯე ცხოვრებას ამჭობინებს, გაკიცხვასა და განსჭას იმსახურებს.

როდესაც ინტელექტუალურ თუ ფიზიკურ შრომაზე ვსაუბრობთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ერთი საშიშროება:

დღეს, როცა ბევრს ლაპარაკობენ კაპიტალისტური ცხოვრების წესსა და კაპიტალის დაგროვების გზებზე, ვხვდებით ისეთ საპირისპირო შემთხვევებსაც, როცა ადამიანი იმდენად ეფლობა ყოველდღიურ საქმიანობაში, რომ ავიწყდება მარადიული ღირებულებები, თავისი უკვდავი სული, ავიწყდება, რომ იგი წუთისოფლის სტუმარია და მარადიული ცხოვრებისათვის არას არგებს მხოლოდ სიმდიდრის შეძენასა და დაგროვებაზე ზრუნვა. ამიტომაც აუცილებელია პიროვნების ჰარმონიული განვითარება, მისი სულიერი და ფიზიკური სრულყოფისათვის ზრუნვა.

როგორც თქვა ერთმა ღვთისმეტყველმა, ცხოვრება სამოთხე არ არის, არამედ სამოთხიდან განდევნილთა ყოფა, – ამიტომაც ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ სხვადასხვა მწუხარებისა და განსაცდელისათვის; არასოდეს არ უნდა ჩავვარდეთ სასოწარკვეთილებაში, რადგან უფალი იმაზე მეტ ტვირთს არ მოგვცემს, რისი აწევაც არ შეგვიძლია; არ უნდა დავვარგოთ ღვთის იმედი, რადგან იგი მუდამ ჩვენ გვერდითაა.

ზოგჯერ, როცა ადამიანს მწუხარება ეწვევა, იგი იმდენად იბეჭვა, რომ ხსნას ვეღარ ხედავს. მის წარმოდგენაში ისე მძიმდება გარემო, რომ გამოსავალს თვითმკვლელობაშიღა ხედავს. ურწმუნოების გამო ჰგონია, თითქოს ამით განსაცდელისაგან იხსნის თავს, სინამდვილეში კი სულს სწირავს მარადიული ტანკვისათვის, რადგან თავისი ნებით აბარებს ეშმავს. თვითმკვლელისათვის (თუ იგი შეურაცხადი არ იყო) ლოცვაც კი არ შეიძლება, არ შეიძლება პანაშვიდის გადახდა და წესის აგება. უნდა გვახსოვდეს, გაჭირვების ჟამს სულით არ უნდა დავეცეთ, რადგან ნებისმიერ სიტუაციაში გამოსავალი მაინც მოიძებნება, ოღონდ კეთილგონიერებას უნდა მოგუხმოთ და ღმერთს მივენდოთ.

ორ მაგალითს მოვიყვან:

ცნობილი დიდი მოღვაწის, ანტონ დიდის ცხოვრებაში ვკითხულობთ, რომ მასთან იყო ერთი ბერი, რომელიც ვერაფრით ვერ თავისუფლდებოდა სევდისა და გულგატეხილობისაგან. ლირსმა ანტონმა ურჩია მას, ავადმყოფების მოვლა დაეწყო. ბერმა თავიდან არ დაუჭერა და ეს რჩევა ხუმრობად ჩათვალა, მერე კი მაინც გადაწყვიტა, მოძღვრის ნათქვამი შეესრულებინა. როდესაც მან დაინახა სხვისი ტკივილი და მწუხარება, მათმა თანაგრძნობამ და დახმარების სურვილმა საკუთარი განსაცდელი დაავიწყა. იგი გათავისუფლდა მოწყინებისა და გულგატეხილობის ცოდვისგან, რისთვისაც გულმხურვალედ მადლობდა უფალსა და მოძღვარს.

მეორე მაგალითი:

ერთ ქალაქში ცხოვრობდა მდიდარი კაცი, რომელსაც ცილი დასწამეს მეფის წინაშე და ამიტომაც მძიმე ხვედრი ელოდა. ამ კაცის მეუღლემ სთხოვა ერთ ბერს, ელოცა მისი ოჯახის მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის. მოძღვარმა უპასუხა, რომ მართალია, ის ილოცებს, მაგრამ აუცილებელია მეფესთან დაახლოებული პირების შუამდგომლობაც და ამ მიზნით მოითხოვა გარკვეული თანხა მათთვის დასარიგებლად. ბერს საკმაოდ დიდი რაოდენობის ოქროს თუმნიანები შესთავაზეს. მან ამაზე უარი თქვა, აიღო მხოლოდ ვერცხლის ფული და წავიდა.

საღამოს კი დიდებულის სახლში დაბრუნებულმა განაცხადა: მეფესთან დაახლოებულმა პირებმა დახმარება აღგვითქვეს, დამშვიდით და ელოდეთ სასიხარულო ამბებსო. იმ დღესვე სამეფო კანცელარიიდან მოვიდა შეტყობინება, რომ საქმე გაისხნა და ცილისწამება არ დადასტურდა. ოჯახმა გაიხარა და მადლობდა ბერს. მან კი უთხრა, რომ იგი მთელი დღე დადიოდა ქალაქში და წაღებულ ფულს ღარიბ-ღატავთ ურიგებდა და თან სთხოვდა, ელოცათ ცილისწამებისაგან დიდებულის გასათავისუფლებლად. ასე რომ,

სამადლობელი მათაც ეკუთვნით, ისინი არიან ღმერთსა და მეფესთან ახლო მდგომნი, რომლებზეც გელაპარაკებოდითო.

მოწყალების გადება დიდი მადლია და შეენევა მას, ვინც გულით გასცემს შესაწირს.

ჩვენ ვცხოვრობთ გრანდიოზულ ისტორიულ გარდატეხათა პერიოდში და ამიტომაც მრავალი სიმძიმე დაგვაწვა: პოლიტიკური. ეკონომიკური, აღმზრდელობითი, დემოგრაფიული, სარწმუნოებრივი, პრობლემა შიმშილის, და სხვა მრავალი, რომელთა წინაშეც უძლურნი და მოუმზადებელნი აღმოვჩნდით. ხანდახან გვეუფლება განცდა ეპოქის დასასრულის მოახლოებისა. ამას ემატება უპრეცედენტო გრძნობა ამპარტავნებისა, სურვილი ყველაფრის შეცვლისა და საკუთარი ინტერესებისთვის მისი გამოყენებისა. ცალკეული ხალხები და ქვეყნები, რომლებიც ესწრაფვიან კაცობრიობის დამორჩილებასა და მსოფლიო ბატონობას, ქმნიან მასობრივი განადგურების ახალ იარაღსა და საშუალებებს. გრძნობ, რომ ადამიანმა, რომელმაც დაკარგა რწმენა ღვთისა და განუდგა მის ნებას, თანამედროვე მოვლენების სახით თვითონ შექმნა ასეთი კრიზისი. ჩვენი მიზნები და სწრაფვანი დაუპირისპირდა ღვთისას. ადამისა და ევას ცოდვით დაცემის შემდეგ ღმერთთან წინააღმდეგობა ყოველთვის იყო, მაგრამ ჩვენს დროში მან უმაღლეს ზღვარს მიაღწია.

ამ პრობლემების სიმძიმიდან გამომდინარე, ვსვამთ კითხვას: როგორ ვიცხოვროთ? როგორ მოვიქცეთ მოვლენათა ამ უჩვეულო ცვალებადობისა და განსაცდელთა სიმრავლეში?

პასუხი ერთია: უნდა ვიპოვოთ უფლისკენ მიმავალი გზა, გზა დარჩენისა. „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტკრთმძიმენი, და მე განგისუენო თქუენ, – მოგვმართავს უფალი თითოეულ ჩვენგანს, – აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვდვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოვოთ განსვენებად სულთა თქუენთად,

რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტვრთი ჩემი სუბუქ არს“ (მათ. 11, 28-30).

ცნობილი რუსი ფილოსოფოსი კონსტანტინე ლეონტიევი, რომელმაც დიდი სულიერი და მორალური ტკივილი გადაიტანა და სიკვდილის წინ ბერად აღიკვეცა, წერდა: „მე შევიყვარე ცხოვრება მთელი მისი წინააღმდეგობებით და თანდათან წმიდა მსახურებად ვაღიარე ჩემი მხურვალე მონაწილეობა მიწიერი ყოფის ამ დრა-მაში“.

ჩვენც ამ რწმენით უნდა ვიაროთ და თან უნდა გვახსოვდეს, რომ ღვთის გზით მავალმა ადამიანმა ამ ქვეყნად განვითარების სამი საფეხური უნდა გაიაროს: მონობის, დაქირავებული მსახურისა და შვილობისა.

მონაა ის, ვინც ემორჩილება უფალს შიშის გამო.

დაქირავებულია ის, ვინც შრომობს და მორჩილებს მას სანა-ცვლო ანაზღაურების იმედითა და სურვილით.

შვილია იგი, ვინც ცხოვრობს და მოქმედებს სიყვარულის კა-ნონებით.

როგორი ახლობელი და ამავე დროს მიუწვდომელია შვი-ლობის საფეხური. ეს არის საიდუმლო ყოველდღიური მსხვერპ-ლშენირვისა, ეს არის პიროვნების მიერ საკუთარი მეობის უგუ-ლებელყოფა, სრული უარყოფა საკუთარი სურვილებისა და მის-წრაფებებისა ანუ ცხოვრება სხვისთვის.

როგორი ტკბილი და ამაღლებულია ეს მდგომარეობა!

ღვთის ძეობის საუკეთესო მაგალითი თვითონ იესო ქრისტემ გვიჩვენა, უპირველეს ყოვლისა, თავისი ჭვარცმით, აღდგომითა და ამაღლებით.

ნუ შეგვაშფოთებს და სასონარკვეთილებაში ნუ ჩაგვაგდებს დღევანდელი ჩვენი მძიმე ყოფა, რადგან ხშირად განსაცდელი მშ-

ვიდობისა და კეთილდღეობის ნინამორბედია. გავიხსენოთ, როგორ შეცვალა სიხარულმა მაცხოვრის ჭვარცმით გამოწვეული მწეხარება, დამცირება დიდების საწინდრად იქცა, სიკვდილმა უკვდავებას დაუთმო გზა.

ჩვენც ასეთი ფერისცვალების მოწმენი ვიქნებით, თუ სწორად ვიცხოვრებთ; მხოლოდ უფალს შეუძლია მოგვანიჭოს სულის სიმშვიდე და სასოება, მხოლოდ მას ძალუძს დააცხროს ჩვენი აბორგებული გული და შინაგანი სამყარო.

გვპერა, ჩვენი ხალხი თავის თავში პოვებს ძალას უფალთან მისასვლელად.

ამ იმედით, სიყვარულითა და რწმენით აღვსილი შევსთხოვ აღდგომილ მაცხოვარს, მოანიჭოს ჩვენს ერსა და ქვეყანას ერთობა, მშვიდობა, კეთილდღეობა და მთლიანობა; აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთ – მშობლიურ კერაზე მაღე დაბრუნება, მშიერთ, ტვირთმძიმეთა და სწეულთ – ნუგემისცემა, თითოეულ ჩვენგანს კი – სიხარული და ღვთის ლოცვა-კურთხევა.

ყველას კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ დღესასწაულთა დღესასწაულს – ბრწყინვალე პასექს.

ქრისტე აღდგა!

ღმერთი მშვიდობისა და სიყვარულისა იყოს თქვენთანა, განუშორებლად, ამინ!

აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 1997 წ.

საშობაო ეპისტოლე

1998 წ.

საქართველოს ეკლესიის ღვთივკურთხეულ სულიერ შვილებს

„შობამან შენმან, ქრისტე ღმერთო, აღმოუბრნყინვა
სოფელსა ნათელი მეცნიერებისა...“
(შობის ტროპარი)



ობა ქრისტესი – ეს არის ზეიმი დედამიწაზე ცათა მბრძანებ-ლის დაბადებისა. მარადიული ღმერთი, მეფე მეფეთა და უფალი უფლებათა განხორციელდა და იშვა ჩვენ შორის დაახლოებით 2000 წლის წინ. მიწიერი განზომილებით ხანგრძლივია ეს დრო, მაგრამ მორწმუნე ადამიანი ყოველთვის სულიერად დიდ სიახლოვესა და სიხარულს განიცდის მსოფლიო ისტორიაში მომხდარი ამ უდიდესი მოვლენის მიმართ.

ღმერთი იგი კაც იქმნა, რათა კაცი ღმერთამდე ამაღლებულიყო. ამ უდიდეს მოვლენას თითქოს უნდა შეეძრა მთელი სამყარო, ქვეყანა არნახული ზეიმით უნდა შეგებებოდა კაცობრიობის საოცარი განახლების დასაწყისს, მაგრამ ცისა და ქვეყნის შემოქმედმა, ნაცვლად გარეგნული ბრწყინვალებისა, დიადი უბრალოება და გასაოცარი თავმდაბლობა ირჩია. ბაგაში იშვა მაცხოვარი ქვეყნისა, მიტოვებული გამოქვაბული იქცა განხორციელებული სიტყვის პირველ საცხოვრისად; თავიდან ოდენ ზეციური სამყარო შეპხაროდა მის ამქვეყნად მობრძანებას. მბრწყინავი ვარსკვლავი დაპნათოდა ახლადშობილ ყრმას და ანგელოზთა დასი უგალობდა ძეს ღმრთისას: „დიდებად მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშვდობად და კაცთა შორის სათნოებად“.

ღვთის განკაცების მიუწვდომელ საიდუმლოს მხოლოდ ის შეიგრძნობს, ვინც ჭეშმარიტი რწმენითა და სიყვარულით შეიმოსება, რადგანაც ღმერთი სიყვარულია და რომელი სიყვარულით მყოფობს, ღმერთი მასთანაა და იგი ღმერთთან, ხოლო ღმერთი მასში (1 იოან. 4, 16). ამავე დროს ღმერთი ნათელია ჭეშმარიტი „რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად“ (იოან. 1, 9) და ჰყოფს მას ძედ ნათლისა.

როგორი სიღრმეა სინათლისა და სიყვარულის ერთობაში და რაოდენ ბედნიერია ის, ვინც მონაწილეა ამ იდუმალი კავშირისა.

„გაუფრთხილდით დროს, – გვარიგებს პავლე მოციქული, – ვინაიდან უკეთურნი არიან დღენი... ნუ იქნებით უგუნურნი, არამედ შეიმეცნეთ, რა არის ნება ღმრთისა“ (ეფეს. 5, 16-17). მართლაც, დრო სწრაფად გადის. ჩვენი ამქვეყნიური სიცოცხლე ხომ წამისყოფაა იმ მარადიულ ცხოვრებასთან შედარებით, რომელიც გარდაცვალების შემდეგ იწყება. თითოეული წუთი უძვირფასესია. არავინ იცის, ხვალ ვინ წარდგება უფლის სამსჯავროს წინაშე. ამიტომაც ჩვენი მთავარი

საფიქრალი უნდა იყოს ზრუნვა ამ წამის ღირსეულად შეხვედრი-სათვის.

ადამიანები ხშირად გაურბიან სიკვდილზე ფიქრს, რაც არას-წორია. სიკვდილი გარდაუვალი რეალობაა. იგი ახალი სიცოცხ-ლის დასაწყისია და ღმერთთან შეხვედრის საწინდარია. ვაი მას, ვინც არ ემზადება ამისთვის, ვისაც არ ახსოვს თავისი ამქვეყნიური დანიშნულება და ოდენ მიწიერ გულისთქმათა და ზრახვათა დაკმაყ-ოფილება გაუხდია ცხოვრების მიზნად.

სიკვდილი ადამის ცოდვით დაცემის შედეგია. მანამდე ადამიც და ევაც უკვდავნი იყვნენ და მინიჭებული ჰქონდათ თავისუფალი ნება ღვთის მორჩილებისა. აკრძალული ხის ნაყოფის მიღებით მათ დაარ-ღვიეს უფლის მცნება და რამდენიმე ცოდვა ჩაიდინეს; გამოავლინეს: ამპარტავნება, ურნმუნოება, უმადურობა, ღვთისაგან განდგომა.

ნეტარი ავგუსტინე წერს: „მათ მოქმედებაში იყო ამპარტავნება, რადგანაც ადამიანმა ღვთის ნების წინ თავისი ნების დაყენება მოინ-დომა; შეურაცხყოფა სიწმიდისა, რადგანაც არ დაუკერეს ღმერთს; კაცის კვლა, რადგანაც უფლის გაფრთხილება დაივინყეს და თავი სიკვდილისთვის გასწირეს; სულიერი გახრწნა, რადგან ადამიანის სულის სისუფთავე გველის რჩევის მიღებით შეირყვნა; ქურდობა, რადგან იგემეს აკრძალული ხის ნაყოფი; სიხარბე, რადგან მოინ-დომეს იმაზე მეტი, ვიდრე ეკუთვნოდათ“.

ასე შეილახა პირველი ადამიანის სული გარეგნულად ერთი, მაგრამ სინამდვილეში ბევრისმომცველი ცოდვისაგან. გადიოდა წლები, საუკუნეები, მრავლდებოდა ადამის მოდგმა და მასთან ერთად ცოდვა თავისი ათასნაირი სახითა და გამოვლინებით. სულ უფრო და უფრო შეიბილნა პიროვნების შინაგანი სიწმინდე, ის მადლი, რაც მას ღმერთთან აკავშირებდა; სული გაუხეშდა, ცხოველური მიდრევილე-ბებით აღივსო, დაეცა, ცოდვის მონა გახდა და დაკარგა თავისუფლება

ანუ უფლება-შესაძლებლობა, ყოფილიყო უფალი თავისი შინაგანი სამყაროსი, მსგავსად ღმერთისა უბინო და ძლიერი, მაღლმოსილი და უკვდავი მარადიულ ნეტარებაში.

რომაელთა მიმართ ეპისტოლეში ვკითხულობთ: „ვინაიდან როგორც ერთი კაცის მიერ (იგულისხმება ადამი) შემოვიდა ცოდვა ამ ქვეყნად, და ცოდვის მიერ – სიკვდილი, ისე სიკვდილიც გადავიდა ყველა კაცში მის მიერ“ (რომ. 5, 12).

ეს სიკვდილი ადამიანისთვის იქცა არა მარტო ფიზიკურ მოვლენად, არამედ მარადიული სატანჯველის დასაწყისად, რადგან მაცხოვრის ამქვეყნად მოვლინებამდე ყველა გარდაცვლილის სული ჭოჭოხეთში მიდიოდა. თვით ისეთმა დიდმა წინასწარმეტყველებმა, როგორებიც მოსე, დავითი, სოლომონი, ილია, ენუქი და სხვანი იყვნენ, იცოდნენ, რომ გარდაცვალების შემდეგ ცათა სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებდნენ, რადგან მათი პიროვნული სულიერი სისუფთავე არ იყო საკმარისი, დაეძლიათ ცოდვათა ის სიმრავლე, რომელიც წინაპართაგან მემკვიდრეობით ჰქონდათ მიღებული.

იმიტომაც ელოდა მოუთმენლად კაცობრიობა მესიას, რომ გარდაცვლილ მართალთა სულნიც ცხონებულიყვნენ და ცოცხალთაც გახსნოდათ გზა ცხონებისა.

უფალი იშვა ამქვეყნად, რათა ჩვენს სულებს მისცემოდათ საშუალება ეკლესიის წყალობით მარადიული ნეტარებისთვის შობილიყვნენ ცათა შინა.

ეკლესია სხეულია ქრისტესი. მისი დანიშნულება სწორედ ისაა, რომ ადამიანის ცოდვათაგან დამძიმებულსა და დასნეულებულ სულს უმკურნალოს. სულიერი ფერისცვალება მხოლოდ ეკლესიაშია შესაძლებელი, რადგან სულინმიდა აქ მოქმედებს მთელი ძალით და აქ აღესრულება საიდუმლონი, რომელიც განწმენდენ და განანათლებენ მორწმუნეთ.

მაგრამ მარტო ეკლესიაში სიარული არ არის საკმარისი. ამასთანავე აუცილებელია, რომ პიროვნებამ აქტიური ქრისტიანული ცხოვრებით იცხოვონ და სიტყვით თუ საქმით სიკეთის თესვას ეცადოს.

მოციქული ბრძანებს: „სარწმუნოება თვინიერ საქმეთა, მკვდარ არს... ვინაიდან როგორც სხეული მკვდარია სულის გარეშე, ასევე რწმენაც მკვდარია საქმის გარეშე“ (იაკ. 2, 17,26).

სათნოებანი მრავალია. ერთ-ერთი დიდი მადლია შემცოდეთა ცოდვების მიტევება. უფლის ლოცვა ყოველდღიურად გვახსენებს, რომ როგორ მოწყალებასაც გამოვიჩენთ ჩვენთან დანაშაულის ჩამდენთადმი, უფალიც ისევე მოიღებს მოწყალებას ჩვენზე, გვაპატიებს („მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა“).

ესწრაფეთ სიკეთის ქმნას და ყველაფერი აკეთეთ არა მხოლოდ მოვალეობის მოხდის გრძნობით, არამედ სიყვარულით.

ერთი იგავი მინდა შეგახსენოთ: სიკვდილის პირას მყოფ ავადმყოფს სამი მეგობარი არ შორდებოდა; ცდილობდნენ შეემსუბუქებინათ მისი მდგომარეობა და ნუგეში ეცათ. ერთმა უთხრა: ნუ გეშინია, ღვთის წინაშე რომ წარდგები, მე შენ სანთელს აგინთებო; მეორე შეპეირდა, რომ საფლავამდე მიაცილებდა და იგლოვებდა; მესამემ კი ჩასჩურჩულა, რომ არასოდეს განეშორებოდა, საფლავშიც ჩაყვებოდა, ღმერთამდე მიაცილებდა და მასთან იქნებოდა განუშორებლად.

და მოკვდა კაცი. მართლაც, მის მიერ დანატოვარი ფულით სანთლები აუნთეს, მეუღლემ სამარის კარამდე გააცილა. მხოლოდ მის მიერ დათესილი კეთილი საქმეები ექცნენ განუყრელ ერთგულ მეგობრად და მეოხად ღვთისა და კაცთა წინაშე. ამიტომაც ბრძანებს ცხრა ნეტარების ერთი მუხლი: „ნეტარ არიან მოწყალენი, რადგან

იგინი შეწყალებულნი იქნებიან“. ხოლო „მსჯავრი უწყალო იქნება მისთვის, ვისთვისაც უცხო იყო გულმოწყალება“ (იაკ. 2, 13).

მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს მოწყალების დიდი ძალის შესახებ:

იყო ერთი მდიდარი პურისმცხობელი, სახელად პეტრე. იგი ეკლესიაში არ დადიოდა, ღვთის შიში საერთოდ არ ჰქონდა, დროს განცხომაში ატარებდა და მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავდა. საოცარი იყო, ცხოვრობდა ისე, რომ მოწყალება არა-სოდეს ჰქონდა გაცემული.

ერთხელაც იმ მხარის ღარიბ-ღატაკნი ქუჩაში ისხდნენ და ერთმანეთში საუბრობდნენ. საუბარი მეპურე პეტრესაც შეეხო. ყველამ აღნიშნა მისი საოცარი სიძუნწე. ერთმა გლახაკმა მოულოდნელად იკითხა: რას მომცემთ, რომ შევძლო და დღეს მას მოწყალება გავაღებინოთ? გახალისებულმა თანამოსაუბრეებმა მცირედი თანხა შეაგროვეს ჭილდოსთვის.

გლახაკი პეტრეს სახლისკენ გაემართა. იგი სწორედ იმ დროს მივიდა, როცა პეტრე ჭიშკრიდან გადიოდა პურით დატვირთული. მათხოვარი გულმოდგინედ შეევედრა, დახმარება გაეწია მისთვის და არაფრით არ მოსცილდა, ვიდრე გაბრაზებულმა მეპურემ ბოლოს ერთი პური არ გადაუგდო. გახარებული მათხოვარი თავისი თანამოძმეებისაკენ გაიქცა.

მალე პეტრე მძიმედ დაავადდა. სასიკვდილო სარეცელზე მწოლს ჩვენება ჰქონდა: თითქოს მისი სული სამსჯავროს წინაშე იყო წარმდგარი, სადაც მის საქმეებს განიხილავდნენ. სასწორის ერთ მხარეს მისი ცოდვები იდო, ხოლო მეორეზე – პური, რომელიც მან ცოტა ხნის წინ იძულებით გასცა. პეტრეს სული შიშით ელოდა განაჩენს. მოხდა საოცრება. პურმა გადასწონა და გაისმა ხმა: შეხედე პეტრე, უკეთუ მცირედი სიკეთე მრავალ ცოდვას აღხოცავს, როგორი

მაცხოვნებელი იქნება უხვად გაღებული მოწყალება.

ამ ჩვენების შემდეგ მეპურე პეტრე მალე გამოჰანმრთელდა. ის მიხვდა, რომ ჩვენება უფლისაგან პქონდა, რათა მას ცხოვრების წესი შეეცვალა. და მართლაც იგი სრულიად გარდაიქმნა; გახდა საოცრად მოწყალე და სიკეთის მთესველი; მაგრამ მისი სულიერი ზესვლა ამით არ დამთავრებულა.

ერთხელ პეტრემ ტანსაცმლის სათხოვრად მისულ გლახაკს თავისი საუკეთესო სამოსი აჩუქა. გლახაკმა კი იგი გაყიდა და ფული მოიხმარა. როცა პეტრემ თავისი ჩასაცმელი სხვა კაცზე ნახა, გული დასწყდა.

მას სიზმარში ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: პეტრე, შენ გლახაკისთვის გაიღე ტანსაცმელი. ნუ ნაღვლობ, რომ იგი სხვას აცვია, ცათა შინა შენს სამოსს მაცხოვარი ატარებს.

ასე ნელ-ნელა ადიოდა სრულყოფის საფეხურებზე ეს ერთ დროს მდიდარი ძუნწი, რომელიც შემდეგ დიდი სასულიერო მოღვაწე და მეუდაბნოე გახდა.

ჩვენი დრო რთული დროა, იმიტომ, რომ საცდურნი მეტად მრავალმხრივია, სულიერი ღირებულებანი კი – დაკნინებული. ჭერ კიდევ პირველი საუკუნეების წმინდა მამები წინასწარმეტყველებდნენ, რომ ბოლო ჟამს მეტად დიდი იქნებოდა ბოროტი ძალის შემოტევა და ადამიანებს ძალზე გაუჭირდებოდათ ჭეშმარიტების გზით სიარული, რადგან ათასგვარ გასართობსა და მიწიერ მოთხოვნილებებს აჰყვებოდნენ და ნაკლებად იზრუნებდნენ სულის ცხონებისათვის. მამები წინასწარმეტყველებდნენ იმასაც, რომ ბოლო ჟამს ადამიანები ძირითადად მწუხარებითა და ავადმყოფობით ცხონდებოდნენ, რადგან ყველაზე ნათლად ასეთ მდგომარეობაში მყოფნი აანალიზებენ სიცოცხლის ნამდვილ დანიშნულებას, ეძიებენ მიზეზს თავიანთი გასაჭირისა, აცნობიერებენ ცხოვრებისეულ შეცდომებს და ღვთის

იმედითა და შენევნის სურვილით ივსებიან.

დღეს ბევრი ოჯახი განიცდის დიდ მწუხარებას, ბევრი ახ-
ალგაზრდა წავიდა ჩვენგან, ბევრმა მშობელმა დაკარგა შვილი,
ახლობელი, მეგობარი. მრავალ სახლში ტკივილმა სიდუხჭირის
სახითაც შეაბიჭა, მათ შორის ისეთ ოჯახებშიც, რომლებიც ადრე
შეძლებულებად ითვლებოდნენ. მაგრამ ეს არ არის ნამდვილი
ტრაგედია, რადგან, როგორც ვთქვით, ეს ყოველივე ბევრისთვის
სულიერი ფერისცვალების დასაწყისად იქცა. მართლაც, მრავალმა
სხვა თვალით დაინახა სამყარო, სხვა თვალით შეხედა საკუთარსა
და თავისი ახლობლების ცხოვრებას, გაეხსნა სულიერი ხედვა და
დაიწყო ზრუნვა მარადიული ცხოვრებისათვის. ფრიად სამწუხარო ის
არის, რომ ამ პროცესს თან დაერთო უამი სულიერ ფასეულობათა
მსხვრევისა, რაც პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით, თვალნათლივ
თუ შეფარულად ხორციელდება. დიდია საშიშროება იმისა, რომ
მრავალი ცდუნდეს, რომ ბევრმა ვერ გაარჩიოს ავი და კარგი, რად-
გან დღეს ჭეშმარიტ რწმენას ურწმუნოება კი აღარ უპირისპირდება,
არამედ ცრუ სარწმუნოება, რომელსაც ჭეშმარიტების დიდი პრეტენ-
ზია აქვს. ნამდვილ თავისუფლებას თვითნებობა და თავაშვებულობა
ცვლის, რომელიც ასევე ურცხვად იჩემებს თავისუფლების სახელს.
ცენტრიდანული ძალები ცდილობენ დაშალონ ქვეყანა და მისი
გამაერთიანებელი, შემაკავშირებელი ძალა გაანადგურონ. დაქუც-
მაცების ტენდენცია დემოკრატიის სახელით სარგებლობს და ერის
დაშლის პროცესს ახალი ცხოვრების აღმშენებლობის პოლიტიკასთან
აიგივებს. შეიღახა სიწმინდე, ზნეობა, ყველაფერი დიდი ეჭვის ქვეშ
დადგა. ამასთან მიმდინარეობს პროპაგანდა ძალადობისა და აღ-
ვირახსნილობისა. ბოროტის მანქანებამ თავისი შესაძლებლობები
ეკლესიის წიაღშიც გამოავლინა. პირადი ამბიციებით შეპყრობილი,
ერისა და სარწმუნოების მოღალატე ადამიანები ცდილობენ დე-

დაეკლესიის შეურაცხყოფის საშუალებით ხალხის ნინაშე სიწმინდისა და სიმართლის დამცველებად წარდგნენ.

დრო, რა თქმა უნდა, ყველას და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, მაგრამ საბრალონი არიან ისინი, რომელიც გაურკვევლობის გამო სწორ გზას აცდებიან და სამარადჟამოდ დაიღუპებიან.

ყოფის ასეთ სიმძიმეს ბევრი ვერ უძლებს, განსაკუთრებით კი – სუსტი და ფაქიზი ბუნების ადამიანი. ისინი ხშირად ვარდებიან სასოწარკვეთილებაში და სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებენ. თვითმკვლელობა საშინელი ცოდვაა. ესაა დანაშაული, რომელიც ჭანსაღი ფსიქიკის ადამიანს ღვთისგან არ ეპატიება. მისი შედეგი მარადიული სატანჯველია. უნდა გვახსოვდეს, რომ უფალი იმაზე დიდ ტვირთს არ მოგვცემს, რისი ტარებაც არ შეგვიძლია. ვისაც არ შესწევს უნარი გააანალიზოს შექმნილი სიტუაცია და ვერ ახერხებს კრიტიკულ მდგომარეობაშიც კი დაინახოს მოვლენის მეორე, სულიერი მხარე, ეუფლება დაუძლეველი დეპრესია და თვითმკვლელობით სულს ეშმაკს უთმობს, ვერ აცნობიერებს რა, რომ ამ ნაბიჭით თავს მუდმივი, აუტანელი სატანჯველისათვის წირავს.

მე ერთხელ კიდევ ვაფრთხილებ ჩვენს ახალგაზრდებს, ჩვენს სულიერ შვილებს და, საერთოდ, ყველას, არ გადადგათ ეს საშინელი ნაბიჭი; თქვენივე სულისთვის, თქვენი და თქვენი ახლობლების სიკეთისათვის არ დაუშვათ ბოროტის ზემი; ბოლომდე მიიღეთ ცხოვრებისეული გამოცდა; გახსოვდეთ, მწუხარების ჟამს განსაკუთრებულ სულიერ შვებას აუცილებლად პოვებთ ეკლესიაში. გულმხურვალე ლოცვა, აღსარება და ზიარება საუკეთესო წამალია დაჭრილი სულის განსაკურნებლად. საერთოდაც, არცერთი ადამიანი, ვისაც სურს გადარჩეს, არ უნდა დარჩეს ეკლესიის გარეშე. ეკლესია ხომალდია, რომელიც უშიშრად და დაუბრკოლებლად მიაპობს ცხოვრებისეული ოკეანის აზვირთებულ ტალღებს. იგია ერთადერთი

საიმედო სიმაგრე. ეკლესიაში აღსრულებულ საიდუმლოთა წყალობით ადამიანი იძენს დიდ შინაგან ძალასა და სიმხნევეს, უახლოვდება ღმერთს და ყოველთვის გრძნობს მის არსებობას. ასეთი პიროვნება არასდროს და არსად არ არის მარტო და უფლისმიერი შინაგანი მშვიდობა და სიხარული მუდამ მასთანაა.

ვინც მიხვდა სიცოცხლის არსს და ღმერთთან სიახლოვე სურს, სიყვარულით უნდა დაემორჩილოს უფალს და დაამყაროს მასთან ლოცვითი კავშირი; შეიყვაროს მოყვასი, ვითარცა თავი თვისი და მას შეძლებისდაგვარად დაეხმაროს; უნდა ამაღლდეს ფიზიკური და სულიერი შრომით და მიწიერი სურვილები და ხორციელი მდაბალი მიღრეკილებები დაძლიოს.

მხოლოდ ამ შემთხვევაში ვიქნებით ჩვენ ნამდვილი ქრისტიანები, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ჭეშმარიტი თავისუფლების მოპოვება და ღვთის სათნო სულიერი მდგომარეობის აღდგენა.

უფალი ბრძანებს: „ყოველი შემცოდე ცოდვის მონაა“ (იოან. 8, 34). „თუ გიყვარვართ, დაიცავით ჩემი მცნებანი“ (იოან. 14, 15). „მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოან. 14, 6). „თუ შეიცნობთ ჭეშმარიტებას, ჭეშმარიტება გაგათავისუფლებს თქვენ“ (იოან. 8, 32).

„უფალი სულია; ხოლო სადაც არის სული უფლისა, იქვეა თავისუფლება“ (2 კორ. 3, 17).

„თავისუფლებისთვის ხართ, ძმანო, ხმობილნი, – გვარიგებს მოციქული, – მაგრამ ხორციელი განცხრომისთვის ნუ მოიხმართ თავისუფლებას“ (გალ. 5, 13), „რადგან ხორცს სულის საპირისპიროდ სურს, და სულს – ხორცის საპირისპიროდ“ (გალ. 5, 17). „ხორცის საქმენი აშკარაა; ესენია: სიძვა, უნმიდურობა, ბილწება, კერპთმსახურება, მწამვლელობა, მტრობა, შუღლი, შური, რისხვა, განხეთქილება, მწვალებლობა, სიძულვილი, მკვლელობა, მემთვრალეობა,

ლირწება და სხვა მისთანანი“ (გალ. 5, 19-21).

„რასაც დათესს კაცი, მასვე მოიმკის. ხორცში მთესველი ხორცისაგან მოიმკის ხრნილებას, ხოლო სულში მთესველი სულისაგან მოიმკის საუკუნო სიცოცხლეს“ (გალ. 6, 7-8). „ვინაიდან ცოდვის საზღაური არის სიკვდილი, ხოლო ღმრთის ნიჭი – საუკუნო სიცოცხლე უფლის ჩვენის ქრისტე იესოს მიერ“ (რომ. 6, 23).

წმინდა მამები გვმოძღვრავენ, თუ როგორ განვეშოროთ ცოდვას:

1) უნდა ვერიდოთ იმ ადგილებს, იმ სიტუაციებსა და ადამიანებს, ვინც და რაც ჩვენში არანმინდა გრძნობებსა და განწყობილებებს აღძრავს და ცოდვით მიდრევილებებს გვიმძაფორებს.

2) მუდამ უნდა გვახსოვდეს სიკვდილი, საშინელი სამსჯავრო, აღდგომა ქრისტესი და მარადიული ცხოვრება.

3) სულ უნდა გვქონდეს განცდა ყველგან და მარადჟამს ღვთის მყოფობისა.

4) ყოველდღიურად უნდა ვლოცულობდეთ და ვთხოვდეთ უფალს შეწევნას.

5) ყურადღებას უნდა ვამახვილებდეთ საკუთარ თავზე, ყოველ ჩვენს ქცევაზე, სიტყვაზე, გრძნობაზე, მოქმედებასა და სურვილზე.

6) ხშირად უნდა ვთქვათ აღსარება და ზიარების მადლით განვიწმიდოთ.

7) რეგულარულად უნდა დავდიოდეთ ეკლესიაში და ვკითხულობდეთ სასულიერო წიგნებს, ვშრომობდეთ ფიზიკურად.

8) უნდა ვესწრაფოთ სულიერ და მორწმუნე ადამიანებთან ურთიერთობას, ხოლო ბოროტ და უზნეო კაცთაგან – თავის გარიდებას.

9) წესად უნდა ვაქციოთ ყოველდღიურად რაიმე კეთილი საქმის კეთება.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჰერ კიდევ ძალიან დიდია მათი რიცხვი, რომელნიც ასეთ სიმაღლეებს ვერ სწოდებიან და ცხოვრების მიზნად გაუხდიათ საკვებებები ბრუნვა, გართობა, შვილებისთვის მატერიალური კეთილდღეობის შექმნა, ძალაუფლების მოპოვება და განცხრომით ცხოვრება, ეს კი მათ ცხოველურ დონემდე ამდაბლებს, რადგან ამგვარი ყოფა ინსტინქტებითა და მიწიერი მოთხოვნილებებით განისაზღვრება.

ასეთ ადამიანებს ოჯახის შექმნა სასურველად მხოლოდ იმიტომ მიაჩნიათ, რომ შთამომავლობა იყოლიონ. მათი შვილებიც არსებობენ იმიტომ, რომ გახდნენ მშობლები მომდევნო თაობისა, ეს მომდევნო თაობები – შემდგომი თაობისა და ა. შ. გამოდის, რომ ამგვარად მოაგროვნე ადამიანები თავიანთი ცხოვრების გამართლებას ოდენ ახალი თაობის დაბადებაში ხედავენ.

ნუთუ ნებისმიერი თაობა (თუნდაც ცალკეული ინდივიდი) არსებობს მხოლოდ იმიტომ, რომ უაზროდ მოკვდეს ყოველი ახალი თაობის მოსვლის შემდეგ, რომელმაც ზუსტად იგივე ბედი უნდა გაიზიაროს, როცა შემცვლელად მისი შთამომავლობა მოვა?

ნუთუ პიროვნების, გვარის, ტომის, ერის არსებობა ნიშნავს უმიზნოდ მცხოვრები ადამიანების თუ თაობების ცვლას?

ვინც ამგვარად ფიქრობს და ცხოვრობს, მარადიული სიკვდილისთვის წირავს თავს და ასეთი დამოკიდებულებით სიცოცხლეს საშინელ ტყუილად და დიდ უაზრობად აქცევს. ეს კი არის უდიდესი დანაშაული ღვთისა და საკუთარი თავის წინაშე.

ვიმეორებთ, ჩვენ სიკვდილისა და გაქრობისთვის ნამდვილად არა ვართ გაჩენილნი. თითოეული ჩვენგანის მიზანი მარადიული სიცოცხლის მოპოვება, უფალთან მიახლებაა, ღმერთში სიცოცხლე და საუკუნო ნეტარებაა. ამქვეყნიური ცხოვრება კი არის გამოცდა ჩვენი სულისა.

მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადამიანისთვის საკმარისი არ არის პიროვნული გადარჩენის გზის ჩვენება, აუცილებელია შესაბამისი საზოგადოებრივი ყოფაც.

ქრისტიანობამ არსებობის ნამდვილი მიზანი უჩვენა საზოგადოების უმაღლეს გამოვლინებას – სახელმწიფოსაც. ქრისტემდე კაცობრიობა ძირითადად მის ორ ტიპს იცნობდა: აღმოსავლურსა და დასავლურს (ბერძნულ-რომაულს). აღმოსავლური სახელმწიფო დაფუძნებული იყო მონობასა და ხელისუფლების განუკითხავ, სრულ მორჩილებაზე. ბატონობდა პრინციპი: მართალია ის, ვინც ძლიერია. დასავლეთშიც სახელმწიფო სტრუქტურას მონობა ედო საფუძვლად, მაგრამ მას თან ერთვოდა სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა დაუცხრომელი ბრძოლა გავლენის მოპოვებისათვის. ეს კი აყალიბებდა ცხოვრების ისეთ წესს, სადაც სახელმწიფო კი არ იყო მბრძანებელი, არამედ პოლიტიკურ ძალთა გამაწონასწორებელი საყოველთაო კანონი, რომლის განმახორციელებელიც ხელისუფლება იყო.

საბოლოოდ ძველ აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა დესპოტური სახელმწიფო, დასავლეთში კი – იმპერია, რომელმაც თავისი ყველაზე სრული გამოვლენა რომის სახელმწიფოში პოვა. წარმართული დასავლეთისათვის ძლიერი სახელმწიფოს შექმნა იყო ცხოვრების აზრი და მიზანი, ადამიანური გონისა და სიმართლის გამოვლინება. როცა ეს მიზანი განხორციელდა და რომი ყოვლისმომცველ იმპერიად იქცა, ნათელი გახდა ამ გარეგნული სიდიდის უაზრობა და არარაობა და სახელმწიფომ ლპობა იწყო.

მაშინ კი მთელი სიმძაფრით დაისვა კითხვა: რა საჭირო იყო ეს ყველაფერი, რა მოგვცა ამან? რა არის სახელმწიფოს არსებობის ნამდვილი მიზანი?

ამ კითხვებზე პასუხი მხოლოდ ქრისტიანობამ გასცა. მან

დაგვანახა, რომ როგორც მხოლოდ მიწიერი სურვილებით გატაცება დიდი ცოდვა და უაზრობაა, ასევე უაზრობაა სახელმწიფო ინტერესების შემოფარგვლა მარტო ყოფითი პრობლემებითა და მიწიერი საკითხებით; დაგვანახა, რომ თუ ხელისუფლებას სურს, არც თვითონ ჩაეფლოს ამაოების ჭაობში და არც თავისი საზოგადოების წევრები განიროს უმიზნო ყოფისთვის, მას (ისევე როგორც ცალკეულ პიროვნებას) ყოველთვის და ყოველ საქმეში ორიენტირად ცათა სა-სუფეველი უნდა ჰქონდეს და ყველგან და ყველაფერში ქრისტიანული ცხოვრების წესის დამკვიდრებას ცდილობდეს. ასეთი სახელმწიფოა სიცოცხლისუნარიანი, სულით ძლიერი და გაუტეხელი... ასეთი ქვეყანა ღვთის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშაა.

თავისი არსით საერო ხელისუფლება განსხვავდება სასულ-იეროსაგან. ამიტომაც მათ შორის ურთიერთობა უნდა იყოს თა-ვისუფალი, მაგრამ ერთიან ქრისტიანულ ზნეობრივ ნორმებზე დამ-ყარებული.

ჩვენთან დომინირებს აზრი სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის აუცილებლობის შესახებ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეკლესია უნდა განუდგეს საზოგადოებრივ ცხოვრებას, ხალხის სოციალურ თუ კულტურულ ყოფას. ამასთან აუცილებელია, რომ საქართველომ, როგორც ძველმა ქრისტიანულმა სახელმწიფომ, ქრისტიანული ეთიკით იხელმძღვანელოს და ჩვენს ტრადიციებზე და მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე დაყრდნობით ეროვნული სახელმწიფო ააშენოს. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა მსგავსია ადამიანის სულისა და ხორცის ერთობისა, სადაც ორივეს თავისი ადგილი აქვს და მათ პარმონიულ ყოფას კეთილგანწყობა და გონიერება წარმართავს.

დროა, ყველამ გააცნობიეროს ისიც, თუ რა საფრთხეს უქმნის ჩვენს ქვეყანას უცხო რელიგიებისა და ტოტალიტარული სექტების

თარეში. ამ რამდენიმე წლის გამოცდილებამ ნათლად გვიჩვენა, რომ ისინი უარყოფენ და შეურაცხყოფენ ჩვენს ეროვნულ გრძნობებს, ჩვენს წარსულს, ჩვენს ისტორიასა და სინმინდეთ და ათასობით ადამიანს ჭეშმარიტების გზას აშორებენ.

მართალია, თითოეულ პიროვნებას აქვს უფლება თავისუფალი არჩევანისა, მაგრამ სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას თავისი მოქალაქე სულიერი აგრესიისაგან, მით უმეტეს, რომ სექტების მოქმედება უკვე ანტიეროვნულ, ანტისახელმწიფოებრივ სახეს იღებს.

ჩვენ გვესმის, რომ ეს ყველაფერი გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი მოვლენებია, მაგრამ ქვეყნისთვის საშიში ტენდენციები თავიდანვე უნდა აილაგმოს და ძირითადი მიმართულებები გამოიკვეთოს.

თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოზარდთა სწორ აღზრდასა და ახალგაზრდობის პრობლემებს. მეტი სითბოს გამოჩენა გვმართებს ინტელიგენციის, მეცნიერებისა და კულტურის მსახურთა, ექიმებისა და პედაგოგების მიმართ.

რა თქმა უნდა, ქვეყნისა და ხალხის წინაშე დიდი მისია აკისრია ეკლესიას. ბოლო ოცი წლის მანძილზე ბევრი რამ გავეთდა: გამრავლდა სასულიერო პირთა რიცხვი და ეპარქიები, გაიხსნა ახალი ეკლესია-მონასტრები, სასულიერო გიმნაზიები, სემინარიები, აკადემიები. გამოიცა ჟურნალები, გაზეთი, საღვთისმეტყველო ლიტერატურა, ჩამოყალიბდა საპატრიარქოს ახალი განყოფილები, გაფართოვდა ეკლესიის მოქმედების სფერო... მაგრამ საქმე კვლავ ძალიან ბევრია. ამ გზაზე იყო დიდი წინააღმდეგობებიც, შეცდომები, უხეში ძალის ჩარევაც, მაგრამ ეკლესიამ გაუძლო დროის სუსსა და გამოცდას და შეძლო მნიშვნელოვანი ადგილის დაკავება ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

უფლის შეწევნით ალბათ ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაღრ-

მავდება და გაძლიერდება, რაც არის სანინდარი საქართველოს და თითოეული ჩვენგანის გადარჩენისა.

ის, რისი გაკეთებაც ხელისუფლებამ დღემდე შეძლო, მომავლის რწმენას გვინერგავს და ხვალინდელი დღის იმედით გვავსებს. შორს აღარ არის ის დრო, როცა ჩვენი მწუხარება განქარდება და ყველანი გავიხარებთ ერთიანი, მთლიანი, ძლიერი საქართველოს ხილვით.

ქრისტესმიერ საყვარელნო ძმანო და დანო, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მკვიდრნო, საზღვარგარეთ მცხოვრებნო ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო, უფლის წყალობით კვლავ ღირსნი გავხდით შევგებებოდით დიად ზეიმს – შობის დღესასწაულს. ცაზე კვლავ ბრნინავს ახალი ცხოვრების მაუწყებელი ვარსკვლავი, ანგელოზნი კვლავ გალობრენ ზეციურ საგალობელს და კვლავ თავისკენ გვიხმობს ახალშობილი ყრმა – იესო ქრისტე.

2000 წლის წინათ მას თაყვანისცემად კაცთაგან პირველი მიეახლნენ ყველაზე უბრალონი და წრთელნი – მწყემსები და ყველაზე ცნობილნი და ბრძენი – აღმოსავლეთის მეფენი – მოგვნი.

მაშ ჩვენც, განურჩევლად ჩვენი მდგომარეობისა, შეუვრდეთ ახლადშობილ „მზეს სიმართლისა“, მას, რომელმან ცანი მოდრიკა სიმდაბლით და გარდამოხდა ქვეყნად ცოდვის ათასწლოვანი საკვრელის გასაწყვეტად, ჩვენს დასახსნელად და საცხოვნებლად. ძღვნად მივართვათ მას ჩვენი უშურველი სიყვარული, ერთგულება და სიკეთე: გავუღოთ გულის კარი ცათა მეუფეს, რათა შემობრძანდეს ჩვენს სულში, დაივანოს იქ განუშორებლად და აღგვაცსოს მადლითა და წყალობითა თვისითა.

ქრისტე იშვა, გიხაროდეთ!

ქრისტეს შობა
თბილისი, 1998 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

1998 წ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის
ღვთისმოყვარე ღვთივეკურთხეულ შვილებს:

„პლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიად ჩემი, და
ბჯენი ჭოჭოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“
(მათ. 16, 18).

 რისტესმიერ საყვარელნო შვილნო საქართველოს სამოცი-
ქულო ეკლესიისა, ღვთისმშობლის წილხვედრი ივერიის
მკვიდრნო და სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამე-
მამულენო,

აღსრულდა უდიდესი საიდუმლო ქრისტეს აღდგომისა – სი-
ცოცხლის მომნიჭებელმა უფალმა შემუსრა ჭოჭოხეთი და დაამარცხა
სიკვდილი.

ქრისტე აღდგა!

გიხაროდეთ, დადგა ჟამი ზეიმისა!

აღდგომა ქრისტესი არის საფუძველი ჩვენი რწმენისა და სიყვარულისა; იგია იმედი და სასოება ჩვენი, რადგან მისი მადლით მოვიპოვებთ მარადიულ ნეტარებას; ამიტომაც გულმხურვალედ ვუგალობთ უფალს: „პასექმა სამოთხისა კარნი განგვიღო ჩვენ“...

დღეს უფრო ნათლად ვაცნობიერებთ წმიდა პავლე მოციქულის სიტყვების აზრს: „ითხიბლეთ, მტკიცეთ იდექით რწმენით, მხნედ იყავით და განძლიერდით“ (1 კორ. 16, 13).

ამ განცდით, ლოცვითა და სულიერი შრომით, მადლობა ღმერთს, განვვლეთ დიდი მარხვა – ჟამი სინანულისა. წმინდა ანდრია კრიტელის დიდი კანონის კითხვისას ჩვენ თვალწინ თითქოს გაცოცხლდა დაუღალავი ღვაწლისა და სინანულის შესანიშნავი მაგალითები და დიდებული ადამიანები; უწინარესად კი – ღირსი იოანე კიბისაღმწერელი, რომელმაც გვიჩვენა სულიერი კიბე, ამაო მიწიერი ყოფიდან ჩვენი ამამაღლებელი და ზეცად აღმყვანებელი, და წმიდა მარიამ ეგვიპტელი – უეჭველი მაგალითი იმისა, თუ ჭეშმარიტ სინანულს როგორ შეუძლია ფერისცვალება და განბრნყინვება ცოდვით დამძიმებული ადამიანისა.

ჭეშმარიტი სინანული სულიერი განწმენდისა და ამაღლების ხანგრძლივი პროცესის შედეგია; ეს არ არის ერთი და ორი დღის, ან თუნდაც რამდენიმე თვის შრომა; არამედ იგია ღვაწლი მთელი ცხოვრებისა. მაგალითისათვის მოვიყვან ნაწყვეტს ღირსი სისოდ დიდის ცხოვრებიდან.

მან დაუღალავი ლოცვითა და ასკეტური ცხოვრებით ისეთ სიწმინდეს მიაღწია, რომ გარდაცვლილთ მკვდრეთით აღადგენდა. როდესაც მოაწია ამქვეყნიდან მისი გასვლის ჟამმა, შეიკრიბნენ ბე-

რები, რათა გამოშვიდობებოდნენ მოძღვარს. მათ იხილეს წმინდანი განბრნყინვებული სახით, რომელიც უკვე ზეციურ სამყაროს უმზერდა და ამბობდა: „აი, მოვიდნენ, მოვიდნენ... წინასწარმეტყველნი, ღირსნი მამანი... მოვიდნენ მოციქულნი“...

მოწაფეებმა პკითხეს: აბბა (მოძღვარო), ვისთან საუბრობ? მან უპასუხა: „ანგელოზები მოვიდნენ, რათა წამიყვანონ და მე ვთხოვ, რომ ცოტა დრო კიდევ მომცენ სინანულისათვის“.

ბერებმა უთხრეს, რომ მას არ სჭირდებოდა სინანულისთვის ზრუნვა. მან კი მიუგო: „მე არ ვიცი, შევუდექი კი ამ გზას საერთოდ?“.

უცებ წმინდანს სახე გაუცისკროვნდა და აღმოხდა: აი, უფალი ბრძანებს: „მომართვით მე ჭურჭელი რჩეული უდაბნოდან“.

ამის თქმისთანავე მისი სული სხეულს გაეყარა, ელვასავით გაკვეთა და გაანათა სივრცე და დატოვა ეს დროებითი მიწიერი სამყოფელი. ბერები შიშით უმზერდნენ აღსასრულს დიდი მოძღვრისა.

ყოველი ადამიანი მოწოდებულია, რათა თავის თავთან ყოველდღიური შრომით მიაღწიოს სულიერ და ინტელექტუალურ სრულყოფას.

სულიერება მხოლოდ სულიწმიდის წყალობით ეძლევა ამა თუ იმ პიროვნებას და „სნეულთა მკურნალი და ნაკლულოვანთა აღმავსებელი“ ღვთაებრივი მადლი მხოლოდ ეკლესიაში აღსრულებულ საიდუმლოთა ძალით მიენიჭება მას.

სწორედ სულის მიერ და სულით ცოცხლობს ეკლესია. ამიტომაც, ვინც ეკლესიას განუდგება, განუდგება თვით სულიწმიდას, ხდება ღვთისმბრძოლი და მგმობელი. შედეგი კი ყოველივე ამისა არის მარადიული სიკვდილი.

სულიწმიდის მადლს მთელი სისავსით ატარებს მართლმადიდებელი ეკლესია. მართლმადიდებლობა არის ადამიანური გო-

ნებით შეურყვნელი უფლისმიერი სწავლება რწმენისა და სარწმუნოებრივი ცხოვრების შესახებ, რომელიც ჩვენ უშუალოდ წმიდა მოციქულთაგან გადმოგვეცა.

მართლმადიდებლობა ერთადერთია და შეუცვლელი, რადგან იგია მომცველი და მემკვიდრე ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის ტრადიციისა.

მართლმადიდებლობა მისტიკური სხეულია მაცხოვრისა. შემოქმედმა „ყველაფერი ფეხქვეშ დაუმორჩილა ქრისტეს; და მისცა მთავრობა ყოველი ეკლესიისა, რომელიც არის მისი სხეული“ (ეფეს. 1, 22-23), – წერს პავლე მოციქული.

ნამდვილი მართლმადიდებელი ის კი არ არის, რომელიც მხოლოდ აზროვნებს მართლმადიდებლურად, არამედ ის, ვინც კიდევაც აზროვნებს და კიდევაც ცხოვრობს ამ წესით. მხოლოდ ასეთი პიროვნება შეიმოსება სულინმიდის მადლით, რადგან მაცხოვრის სწავლება არ არის განყენებული რომელიმე ფილოსოფიური ნააზრევი, არამედ სული და სიცოცხლე. „სიტყვები, რომლებსაც თქვენ ყეუბნებით, სული არის და სიცოცხლე“ (იოან. 6, 63), – ბრძანებს უფალი.

როგორ ვიცხოვროთ სწორად?

ყოფნა-არყოფნის მარადიული კითხვა აღელვებდა ადამიანებს საუკუნეთა წინაც, აღელვებს დღესაც და ასევე იქნება, აღბათ, მომავალშიც. ურწმუნონი ფიქრობენ, თითქოს ჩვენი არსებობა შემთხვევითობაზეა დამოკიდებული, რითაც ისინი აზრს უკარგავენ მიწიერ ყოფას და უსულო, უღვთო და უგულო ცხოვრებისათვის წირავენ ადამიანებს.

ჩვენთვის, მართლმადიდებელ ქრისტიანთათვის კი, სიცოცხლე არის წყალობა უფლისა. იგია ყოვლისმიმტევებელი და ყოვლისმომცველი მარადიული სიყვარულის გამოვლინება და ამასთან ღვთისადმი ჩვენი რწმენის, იმედისა და ერთგულების გამოცდა. სი-

ცოცხლე არის მომზადება მარადიული ნეტარებისთვის, ეს არის მდგომარეობა, როცა გეძლევა საშუალება, იგრძნო ღმერთი შენში და შენი თავი – ღმერთში.

მაგრამ პიროვნებამ ამას რომ მიაღწიოს, უფლის მცნებებზე დაყრდნობილი ჭეშმარიტი სარწმუნოებრივი ცხოვრება უნდა ჰქონდეს. მაცხოვარი გვარიგებს: – „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა“. „ეს არის პირველი და მთავარი მცნება. და მეორე, ამისი მსგავსი: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი. ამ ორ მცნებაზეა დამოკიდებული მთელი რჩული და წინასწარმეტყველნი“ (მათ. 22, 37-40).

დიახ, ქრისტიანობა სიყვარულია. სადაც არ არის ჭეშმარიტი სარწმუნოება და სიყვარული, იქ არც ღმერთია. სიყვარული მადლია ღვთისა და იგი მიეცემა მას, ვინც ღირსია მისი.

ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ, რა არის სიყვარული, ის-ევე, როგორც არ შეგვიძლია განვსაზღვროთ, რა არის არსი ღვთისა. ერთი კია, იმისათვის, რომ აღორძინდეს სიყვარული, აუცილებელია, სულ მცირე, ორთა კავშირი მაინც, რადგან როცა ერთი გასცემს ამ გრძნობას, მეორემ უნდა მიიღოს იგი და თვითონაც აღივსოს საპასუხო განცდით.

სიყვარული სხვისთვის ცხოვრებაა. იგი მზადყოფნაა მოყვასისადმი არა მარტო თანადგომის, არამედ თავგანწირვისთვისაც. სახარებაში ვკითხულობთ: „არავისა აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვინც სულს დადებს თავისი მეგობრებისთვის“ (იოან. 15, 13). სიყვარული შეიძლება სხვადასხვა სახით გამოვლინდეს: არის სიყვარული ღვთისა, სიყვარული სამშობლოსი, სიყვარული მშობლებისა და ოჯახისა, სიყვარული მამაკაცისა და ქალისა, შვილებისა, სიყვარული მეგობრებისა და მოყვასისა...

სიყვარული ყველას სჭირდება; თითოეულ ჩვენგანს, ალბათ,

არაერთხელ განუცდია მარტოობის სიმძიმე და განსაცდელის სიმნარე. პიროვნებას ზოგჯერ სულის დამთრგუნველი ისეთი სიცარიელე მოიცავს, რომ სასოწარკვეთილებამდე მისული გულგატეხილობა ეუფლება.

სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, სავსეა ადამიანური მწუხარებით. მწუხარებას, რა თქმა უნდა, თავისი სახესხვაობებიც აქვს. მაგალითად, უნუგეშო სულიერი ტკივილი ძირითადად ურწმუნოების, არასულიერობისა და შინაგანი სიცარიელის შედეგია.

სტატისტიკა მოწმობს, რომ სხვებთან შედარებით ეკონომიკურად ძლიერ და ცივილიზებულ ქვეყნებში უფრო მეტად ჭარბობს სულით დაავადებულთა და სულიერად გადახრილთა რიცხვი, ასევე ბევრია თვითმკვლელთა რაოდენობა ახალგაზრდებში, რადგან ასეთ საბოგადოებაში მცხოვრები ადამიანები ძირითადად ოდენ მატერიალური ყოფით იფარგლებიან და ბედნიერებას ეძებენ იქ, სადაც იგი საერთოდ არ არის.

სამწუხაროდ, თვითმკვლელობის ფაქტები ბოლო დროს ჩვენშიც გახშირდა. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ შევხებივარ ამ საკითხს, კვლავაც მინდა, ყურადღება მასზე შევაჩერო.

ადამიანს, რომელიც ასეთ ცოდვას სჩადის, სრულიად დაკარგული აქვს რწმენა და იმედი ღვთისა. ეს დანაშაული იმდენად დიდია, რომ, საეკლესიო კანონების მიხედვით, თვითმკვლელი-სათვის ლოცვაც კი აკრძალულია.

ის, ვინც ამ საშინელ ნაბიჭვა დგამს, გმობს სულიწმიდას და უმძიმეს დანაშაულს სჩადის საკუთარი თავისა და სულის წინაშე. იგი ფიქრობს, თითქოს ამ გზით განთავისუფლდება იმ წამებისაგან, რაც მას მიწიერ ყოფაში ერგო; ავიწყდება კი, რომ თავს წირავს გაცილებით უფრო საშინელი და თანაც მარადიული სატანკველისთვის, რომლისგანაც მას უკვე ვეღარავინ იხსნის.

როგორი ტკივილიც არ უნდა შეგხვდეთ ცხოვრებაში, გახსოვ-
დეთ, არავითარ შემთხვევაში არ ჩაიდინოთ ეს დანაშაული, რადგანაც
ნებისმიერი მიწიერი განსაცდელის ჟამს გამოსავალის პოვნა მაინც
არის შესაძლებელი, თვითმკვლელის შველა კი არავის ძალუძს.

თვითმკვლელობის მსგავსი ცოდვაა ლოთობა და ნარკომანია,
რომელთაც პიროვნებები სრულ გადაგვარებამდე მიჰყავთ. თანამე-
დროვე ყოფისათვის დამახასიათებელი ეს ორი სენი განსაკუთრებით
საშიშია მცირერიცხოვანი ერებისათვის.

ექიმების, ფსიქოლოგების, მოძღვრების დაკვირვებით, წინა-
სწარგანზრახვით არავინ ხდება არც ლოთი და არც ნარკომანი,
არამედ ისინი თანდათან ყალიბდებიან ასეთებად.

ზოგიერთებს მოსწონთ თავაშვებულობა, სხვებს სურთ, იყვნენ
უფრო ემოციურნი, ახალგაზრდების ნაწილი ინტერესის მსხვერპლი
ხდება, ნაწილი კი – სხვათა ბოროტგანზრახვისა.

სამწუხაროდ, სიმთვრალის დროს ბევრნი ისეთ ცოდვას სჩ-
ადიან, რომლის გამოსწორებაც შემდეგ თითქმის შეუძლებელია.
არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა ლოთები ნარკომანობას იწყებენ
და პირიქით, „გამოსწორებული“ ნარკომანები – ლოთდებიან. ლოთიც
და ნარკომანიც, რომელიც თავს ხელში ვერ აიყვანს და ვერ დაძლევს
ამ მომაკვდინებელ ცოდვას, დაკარგული პიროვნებაა როგორც
ოჭახისათვის, ისე საზოგადოებისა და ქვეყნისათვის.

ლოთის ან ნარკომანის ოჭახი, როგორც წესი, არამყარია.
ამგვარი მშობლების შვილები შეუძლებელია არ იყვნენ დაღდას-
მულნი.

ასეთმა პიროვნებებმა უნდა გააცნობიერონ თავიანთი მდგო-
მარეობა და იფიქრონ ხვალინდელ დღეზე. ბოროტის ჩაგონებით
მათ ხშირად გულგატეხილობა ეუფლებათ და გამოსწორების იმედი
ეპარგებათ, რაც დიდი შეცდომაა.

აუცილებელია, მათ დაიჭერონ, რომ სწორ გზაზე დადგომა არასოდეს არ არის გვიან, შეიგნონ და დაინახონ თავიანთი ცხოვრების დამღუპველი შედეგი, გადაწყვიტონ მისგან განთავისუფლება და გულით სთხოვონ უფალს შემწეობა. ეკლესიაში მრავალი ადამიანია ისეთი, რომელთაც ღვთის დახმარებით შეძლეს ამ სენისაგან თავის დაღწევა და ნორმალური ოჯახური ცხოვრების აღდგენა.

ვიმეორებთ, უფალი შეგეწევათ, მთავარია გადაწყვეტილების მიღება.

საერთოდ ოჯახის პრობლემა მეტად მტკიცნეული საკითხია. ცოლ-ქმრობა სიმძიმეც არის და ნეტარებაც. მოციქული პავლე რომ ბრძანებს: „ურთიერთარს სიმძიმე იტკრთეთ და ესრეთ აღასრულეთ შტული იგი ქრისტესი“ (გალ. 6, 2), უპირველეს ყოვლისა, მეუღლეთა ურთიერთვალდებულებებს გულისხმობს.

როდესაც კაცი და ქალი კანონიერად, ეკლესიურად ქორწინდებიან, ერთმანეთის სამყაროს თანაბიარნი ხდებიან. ისინი სწავლობენ, როგორ დაუთმონ, როგორ შეეგუონ და შეეთვისონ ერთმანეთს სიყვარულის საფუძველზე; ბავშვები კიდევ უფრო ამყარებენ ცოლქმრულ კავშირს.

საერთოდ, ადამიანები ეგოისტები არიან, მაგრამ მშობლების სიყვარულს საოცარი თვისება აქვს: როგორც დედას, ისე მამას სურს, შვილები მათზე უკეთესები იყვნენ, მათზე გონიერები და ჭანმრთელები და მიაღწიონ იმას, რასაც თვითონ ვერ მიაღწიეს.

თავის მხრივ, ბავშვებიც ამქვეყნად ყველაზე კარგებად მშობლებს მიიჩნევენ და ამიტომაც ბაძავენ მათ. დედ-მამის რწმენა, სიყვარული, ურთიერთპატივისცემა, წესიერება და კულტურა დიდ გავლენას ახდენს პატარებზე.

ტრადიციულ ოჯახში ყოველთვის წესრიგია. აქ უფროსები შეუვალი ავტორიტეტით სარგებლობენ, ამასთან, ოჯახის ყოველ წევრს

თავისი ფუნქცია, სახე და მოვალეობა აქვს.

კარგი დიასახლისისათვის მთავარი ოჭახური ბედნიერებაა. ქალი, უპირველეს ყოვლისა, მოსიყვარულე მეუღლე და მზრუნველი დედაა, რომელიც შვილებს ეკლესიურად და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით ზრდის.

რა მშვენიერია ქალი, რომელიც გამოირჩევა ღვთისმოშიშებით, სინაზით, სათნოებით, პატიოსნებით, შრომისმოყვარეობით, სიფაქიზით, მზრუნველობით, კეთილგონიერებით. ასეთი ადამიანი სიკეთეს უხვად გასცემს და გარშემომყოფებზეც კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს.

მამაკაცი ბუნებით ლიდერია და ესწრაფვის იყოს წინამძღოლი ოჭახისა. მამაკაცური ძალა ძლიერია და მიზანდასახული. მამაკაცი უნდა გრძნობდეს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ღვთის, სამშობლოსა და ოჭახის წინაშე. მან ყოველგვარ მიწიერჩე მაღლა, უფლის შემდეგ, სამშობლო უნდა დააყენოს და მისი დაცვის მოთხოვნილება უნდა ჰქონდეს, გაჭირვების შემთხვევაში კი – მისთვის თავდადება უნდა შეეძლოს. ასეთი ადამიანები წარსულშიც მრავლად იყვნენ და ჩვენს დროშიც მრავლად არიან.

გავიხსენოთ თუნდაც 300 არაგველი, ბერი თევდორე, ცოტნე დადიანი, ცხრა ძმა ხერხეულიძე, გავიხსენოთ სულ ახლახან აფხაზეთსა თუ სამაჩაბლოში დაღუპული ჩვენი შვილები. მათ ხომ სამშობლოსთვის დაუნანებლად გაწირეს თავი. ან თუნდაც ის აფხაზები და ოსები, რომელნიც შეენირნენ ამ ომს და ქართველებთან ერთად მსხვერპლი გახდნენ მესამე ძალის მზაკვრობისა.

მტრის, და წებისმიერი პრობლემის, წინაშე უშიშრობა და კეთილგონიერება – აი, მთავარი და ძირითადი თვისება ღირსეული კაცისა. ნამდვილი მამაკაცი არის ძლიერი, გამბედავი, გონიერი, ნებისყოფიანი, სამართლიანი პიროვნება.

ამგვარი გოგონებისა და ვაჟების აღზრდას სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

მართალია, საქართველო დღეს მრავალი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, სულიერი და სხვა პრობლემის წინაშე დგას, მაგრამ უმთავრესი საზრუნავი მაინც ჩვენი ბავშვების სწორი აღზრდაა, რადგან ოჯახის კეთილდღეობა ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაა.

და მაინც, ვის უნდა დაეკისროს მთავარი პასუხისმგებლობა მომავალი თაობის ფორმირებისთვის?

ამ საქმის მხოლოდ მშობლებზე მინდობა არ იქნება სწორი, რადგან ისინი ხშირად სამსახურით არიან დაკავებულნი და სათანა-დოდ ვერ იცლიან შვილებისათვის. ვერც მხოლოდ სკოლა აიღებს ამ ტვირთს.

ვთიქრობ, ყველაზე ეფექტურია სამი ძალის – ოჯახის, სკოლისა და ეკლესიის შეთანხმებული მოქმედება. უნდა შეიქმნას ავტორიტეტული კომისია და გამოიკვეთოს თითოეულის პასუხისმგებლობა და მოვალეობა. დამღუპველი იქნება შედეგი, თუ აღზრდის პროგრამა და მოქმედება არ იქნება შეთანხმებული ოჯახს, სკოლასა და ეკლესიას შორის.

განათლების სამინისტრომ აუცილებლად უნდა შეიმუშაოს პროგრამა ჩვენი მომავალი თაობის სულიერი, ფიზიკური და ინტელექტუალური განვითარებისა. სკოლადამთავრებული ახალგაზრდა მომზადებული უნდა იყოს როგორც ოჯახური ცხოვრებისათვის, ისე საზოგადოებრივი პრობლემების გადასალახად.

იგივე ითქმის სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებზეც. სამწუხაროდ, ჩვენ ვერაფრით ვერ ვთავისუფლდებით ძველი სტერეოტიპებისა და სტანდარტებისაგან. განათლების პროგრამების შემუშავება კი დაუშვებელია ანთროპოლოგიის, ლოგიკის,

ფსიქოლოგიის, სოციალური ფილოსოფიის გაუთვალისწინებლად. ცნობილი ფსიქოლოგი ალექსი ლეონტიევი XX ს-ის განათლებას ახასიათებდა, როგორც სულის გაღატაკების პროცესს ინფორმაციით გამდიდრების ხარჯზე. იგივე მდგომარეობაა დღესაც.

მთავარი ის კი არ არის, თუ რა რაოდენობის საგანს ვასწავლით ახალგაზრდას, არამედ ის, თუ რა შედეგს მოგვცემს ჩვენ მიერ მიცემული ცოდნა, როგორ წაადგება ის ყმაწვილის სულიერ თუ პრაქტიკულ ცხოვრებას. ამიტომაც ვიმეორებ, აუცილებელია დაიძლიოს ზღვარი ოჭახს, ეკლესიას, კულტურასა და განათლებას შორის.

კულტურა და განათლება პარალელურ წრფეთა მსგავსი კი არ არის, არამედ ხშირად თანმხვედრი ცნებებია. კულტურისა და განათლების კავშირი ბუნებრივად ბადებს ეკლესიასა და ოჭახთან ურთიერთობის აუცილებელ მოთხოვნილებას. მხოლოდ ასეთ გარემოში შეიძლება აღიზარდოს ჰარმონიულად განვითარებული პიროვნება, მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება ადამიანს სრულფასოვანი წარმოდგენა სამყაროზე და გამოუმუშავდება უნარი კრიტიკულ სიტუაციებში სწორი გადაწყვეტილებების მიღებისა.

ყველა ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როდესაც კაცობრიობა დგას ახალი ათასწლეულის წინაშე. ვფიქრობ, როგორც მსოფლიო საზოგადოებამ, ისე საქართველომაც უკვე გადაიტანა ძველის ნგრევისა და ახლის შენების დაწყების მტკიცნეული პროცესი; სხვადასხვა რევოლუციური წამოწყება, კოლექტივიზაციის პერიოდი, „განვითარებული სოციალიზმის ხანა“ თუ სურვილი კომუნიზმის მშენებლობისა, – იყო მხოლოდ სისხლიანი და ავადმყოფური გამოვლინებანი ურნმუნო, უსულო საზოგადოებისა, რომელიც, ვითომცდა სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, სრულიად უარყოფდა პიროვნების ინდივიდუალობას.

მართალია, ამ პერიოდმა განვლო, მაგრამ დრომ ახალი სნ-

ეულებანი და პრობლემები მოიტანა, რომელთა დაძლევაც ასევე აუცილებელია.

თუ ჩვენ სერიოზულად არ მოვეკიდებით რელიგიურ-ზნეობრივ საკითხებს, თუ ჩვენ ხალხს არ დავუბრუნებთ მართლმადიდებელ ჭეშმარიტ სარწმუნოებას, ვერაფრით გავარღვევთ ჩავეტილ წრეს და ვერ შევძლებთ ადამიანების და, აქედან გამომდინარე, მთელი ერის სულიერ განახლებასა და გადარჩენას.

ესაა რეალობა, რომელსაც ვერსად გავექცევით.

ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ არ გვმართებს გატაცება მხოლოდ დასავლეთის ან აღმოსავლეთის, თუნდაც ჩრდილოეთის ან სამხრეთის კულტურით. არამედ ერთგულნი უნდა დავრჩეთ ჩვენი ტრადიციის, ჩვენი სულიერი და მატერიალური ღირებულებების. „ჩვენ ჩვენი უნდა ვშვათ მყოობადი“, – როგორც ბრძანებდა დიდი ილია. ამასთან, უნდა შევინარჩუნოთ საუკეთესო ურთიერთობები ყველასთან, მივიღოთ მათგან ის, რაც ჩვენთვის სასურველია და უხვად გავიღოთ ის, რაც მათ სჭირდებათ და რისი გაცემაც შეგვიძლია.

საქართველომ დროის გამოცდას რომ გაუძლოს, აუცილებელია ერის მთლიანობა, ერთსულოვნება, ურთიერთთანადგომა და ერთი მიზნისაკენ სწრაფვა. ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ სადაც სუფეს სიძულვილი და მტრობა, შური და გაუტანლობა, იქ ბოროტი მძლავრობს.

სიყვარულის მქადაგებელი წმიდა იოანე ღვთისმეტყველი ბრძანებს: „ვინც ამბობს, ნათელში ვარო, მაგრამ სძულს თავისი ძმა, ბნელშია აქამდე“ (1 იოან. 2, 9). „ყველა, ვისაც სძულს თავისი ძმა, კაცისმკვლელია; ხოლო თქვენ იცით, რომ არცერთ კაცისმკვლელს არა აქვს საუკუნო სიცოცხლე“ (1 იოან. 3, 15). „თუ ვინმე იტყვის, რომ უყვარს ღმერთი, მაგრამ სძულს თავისი ძმა, ცრუა; რადგან თუ არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, როგორღა შეიყვარებს

ღმერთს, რომელსაც ვერ ხედავს?“ (1 იოან. 4, 20).

„საყვარელნო, გიყვარდეთ ერთმანეთი; ვინაიდან სიყვარული ღმრთისაგან არის, და ყველა, ვისაც უყვარს, ღმრთისაგან შობილია, და იცნობს ღმერთს. ვისაც არ უყვარს, მან ვერ შეიცნო ღმერთი, იმი-ტომ, რომ ღმერთი სიყვარულია“ (1 იოან. 4, 7-8).

მართალია, ძნელია, შეიყვარო ის, ვინც ტკივილი მოგაყენა, შეურაცხეგყო, ცილი დაგწამა ან გაგიმეტა, მაგრამ ფაქტია, უყველად დამღუპველი გზით მიდის ის, ვინც შუღლს კიდევ უფრო აღრმავებს, ვინც ურთიერთდაპირისპირებას ამწვავებს და მტრობას აძლიერებს, ვინც არ აკვირდება და არ მუშაობს საკუთარ გრძნობებზე, გულსა და გონებაზე, რათა უარყოფითი დამოკიდებულება და ემოციები დადებითით შეცვალოს.

მე მივმართავ მთელ ჩვენს ერს, საქართველოს მოსახლეობას, გადადგით ნაბიჯები ერთმანეთისა და ღვთისაკენ. ეცადეთ ყოველ თქვენს მოქმედებას სიყვარული ედოს საფუძვლად, რათა იყოთ მსახური უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა.

თუ ჭეშმარიტად გვსურს ქრისტიანის სახელი გვერქვას, შევეცადოთ, მტერიც შევიყვაროთ. სიყვარული ის ერთადერთი იარაღია, რომლითაც ბოროტება დაიძლევა და განქარდება. ამიტომაც ბრძანებს მაცხოვარი: „გიყვარდეთ თქვენი მტერნი; დალოცეთ თქვენი მაწყევარნი; კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენსავ მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის. რათა იყოთ თქვენ შვილნი მამის თქვენის ზეციერისა“ (მათ. 5, 44-45).

ქრისტესმიერი სიყვარულით მივმართავ ჩვენს განდგომილ იმ სასულიერო და საერო პირებსაც, რომელნიც თავიანთი გაუთვალისწინებლობით მოსწყდნენ დედაეკლესიას და ნებსით თუ უნებლიერ ჩვენი ეკლესიისა და ჩვენი ქვეყნის მტრის იარაღად იქცნენ. თქვენ კარგად იცით წმინდა მამების გაფრთხილება, რომ განყოფის და

დაპირისპირების ცოდვას ადამიანი მოწამეობრივი სისხლითაც ვერ ჩამოირეცხავს. დრო აჩქარებულად მიდის. შეიძლება ცოტა ხანში სინანულიც კი გვიან იყოს. ჩვენ მამაშვილური სიყვარულით მივიღებთ ყველა დაკარგულ ცხოვარს, ვითარცა უძღებ შვილს.

ამასთან, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საქართველოს ეკლესია, ისევე როგორც საქართველო, ყოველთვის იყო და იქნება მართლმადიდებელი, რადგან მასშია ჭეშმარიტება. ღმერთი ერთია, ჭეშმარიტებაც ერთია, ისევე როგორც ერთია ეკლესია, რომელიც არის „ჭეშმარიტების სვეტი და სიმტკიცე“ (1 ტიმ. 3, 15). შევთხოვ შემოქმედს, ყველანი ერთად ვიყოთ უფალში და ჭეშმარიტი ეკლესიის წიაღში.

ღვთის მოწყალების იმედით აღვსილი ყველას გულითადად გილოცავთ პასექის ბრწყინვალე დღესასწაულს. დაე, აღდგომილმა მაცხოვარმა სიყვარულით შეკრას და შეაერთოს სრულიად საქართველო, რათა ერთად ვადიდოთ შემოქმედი და გავიხაროთ, რომ „ღამე იგი მიიწურა და მოახლოვდა დღე;

მაშ, განვიშოროთ ბნელის საქმენი და შევიმოსოთ ნათლის საჭურვლით“ (რომ. 13, 12).

ძმანო და დანო, გიხაროდეთ,

ქრისტე აღდგა!
ჭეშმარიტად აღდგა!

პასექი ქრისტესი
თბილისი, 1998 წ.

საშობაო ეპისტოლე

1999 წ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის
ყველა ერთგულ შვილს:

„მოდი, ნათელო ჭეშმარიტო, მოდი, ცხოვრებაო
დაუსრულებელო, მოდი, იდუმალებავ დაფარულო,
...მოდი, მარტომყოფო მარტოსულთან“ (სვიმეონ
ახალი ღვთისმეტყველი, ნაწყვეტი ლოცვიდან).



ობა უფლისა არის სათავე ჩვენი რწმენისა. სახარებაში ვკით-
ხულობთ:

„დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და
ღმერთი იყო სიტყვა... და სიტყვა ხორციელ იქმნა და დაემკვიდრა
ჩვენ შორის, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა“ (იოან. 1, 1,14).

დიახ, იესო ქრისტე ყოვლადწმიდა სამების მიერ სამყაროს ნინაშე გამოვლენილი სიტყვა, ლოგოსია.

მოციქული პავლე მას მეორე ადამს უწოდებს: „პირველი კაცი ადამი შეიქმნა ცოცხალ მშვინვად; უკანასკნელი ადამი კი – ცხოველსმყოფელ სულად. პირველი კაცი – მიწისაგან, მიწიერი; მეორე კაცი – ზეციერი... და როგორც ვატარებთ მიწიერის ხატს, ასევე ვატარებთ ზეციერის ხატსაც“ (1 კორ. 15, 45, 47, 49).

ძველი აღთქმის ხანა მესიის მობრძანებისათვის მოსამზადებელი ჟამი იყო. ძველი აღთქმის ბოლო პერიოდს მოციქული პავლე „დროის სისავსედ“, „დროის სისრულედ“ სახელდებს.

„როდესაც მოიწია დროის სისრულე, – წერს იგი გალატელთა მიმართ ეპისტოლეში, – მოავლინა ღმერთმა თავისი ძე, რომელიც იშვა დედაკაცისაგან და დაემორჩილა რჭულს, რათა გამოესყიდა რჭულის ქვეშ მყოფნი, და ამრიგად მიგვეღო ძეობა“ (გალ. 4, 4-5).

მაცხოვრის მომავალი შობის შესახებ არა მარტო ძველი ებრაელი წინასწარმეტყველები წერდნენ, არამედ მას მთელი კაცობრიობა მოელოდა. და აი, ეს ხანგრძლივი ლოდინის პროცესი დასრულდა: „ღმერთი გამოჩნდა ხორცით“ (1 ტიმ. 3, 16).

ადამიანის გონება უძლურია, გააცნობიეროს ღვთის განკაცების უდიდესი საიდუმლო – უხორცო იგი ხორციელ იქმნა, დაუსაბამოს სათავე დაედო, დაუტევნელი შემოისაზღვრა.

წმინდა კოზმა, მაიუმელი ეპისკოპოსი, წერს: „ვხედავ უჩვეულო და სასწაულებრივ საიდუმლოს: ავაზაკთა ქვაბს – ცად, ქალწულს – ქერუბიმთა ტახტად, ბაგას – უსაზღვრო და უნაპირო ღმერთის – ქრისტეს სამყოფელად“ (ძლისპირი, კანონის მე-9 გალობა).

ამსოფლად მოვლინებით მაცხოვარმა დაადასტურა თავისი უდიდესი სიყვარული და მოწყალება ადამის ცოდვით დაცემული მოდგმისადმი, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ, მართალია,

იშვა დედამიწაზე, მაგრამ ამით წმიდა სამების ერთარსობა არ დარღვეულა.

წმიდა ბასილი დიდი გვასწავლის: „ძე ღვთისა ზეცით გარდამოხდა, მაგრამ არ განშორებია მამას. დაიბადა ავაზაკთა სამყოფელში, მაგრამ არ ჩამობრძანებულა სამეფო ტახტიდან, მიიძინა ბაგაში, მაგრამ არ დაუტოვებია მამის წიაღი, ხორცი შეისხა ქალწულისაგან და იშვა უმამოდ, ვითარცა ღმერთი“.

ყოველ მოვლენას ჩვენ ორი სახით აღვიქვამთ: თეორიულად და პრაქტიკულად. თეორიულ ცოდნას მეცნიერება იძლევა, პრაქტიკულს – ყოველდღიური გამოცდილება, თეორიული ცოდნა ღირებულია მაშინ, თუ იგი ცხოვრებაშია გამოყენებული. ამასთან ნამდვილი ცოდნა ზნეობრივ და კეთილ საქმეებში ვლინდება. ამიტომაც თქვა ანტიკური ხანის ცნობილმა ფილოსოფოსმა სოკრატემ, რომ ცოდნა სიკეთეაო.

ღვთის ნებასაც ასევე ორი გზით შევიმეცნებთ: ღვთისმეტყველებით და საკუთარი სულიერი პრაქტიკული გამოცდილებით.

წმინდა მამები გვასწავლიან, რომ სუფთა გული არის ღვთის აღქმის მთავარი საშუალება. როგორც ჭუჭყიანი სარკე ვერ აირევლავს საგნებს ნათლად, ასევე ცოდვით დამძიმებული და შებღალული გული ვერ მისწვდება, ვერ შეიგრძნობს და ვერ აღიბეჭდავს ღვთის ხატებას.

ცნობილია, მსგავსი მსგავსს შეიცნობს; ამიტომაც ბრძანებს უფალი: „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“ (მათ. 5, 8).

XX საუკუნემ თავისი უხეში პრაგმატიზმით, ურწმუნოებითა და უსულოებით დაამახინჯა და დაასახიჩრა მილიონობით ადამიანთა სული.

რწმენის დაკარგვის გამო ისინი დამძიმდნენ, გაბოროტდნენ

და აღდგნენ ერთმანეთის წინააღმდეგ; მათ თავიანთი უბედურების მიზების ძებნა სხვამი დაიწყეს, მარტივი ჭეშმარიტება კი დაივიწყეს, რომ ყველაფრის სათავე ჩვენ თვითონ ვართ, რომ დანაშაული თითოეულ ჩვენგანშია, ჩვენს უმეცრებაში, სულიერ სიღატაკესა და დაცემაშია.

რაკი ხალხი ასეთი მოუმზადებელია, ეკლესიამ უნდა გამოიჩინოს მეტი მოთმინება, მორჩილება, დაიმდაბლოს თავი, შემწყნარებელი თვალით შეხედოს ადამიანთა უძლურებებს და შეძლებისდაგვარად სწორი მიმართულება მისცეს მის ყოფას. ჩვენ ყველა უნდა შევიყვაროთ და არავის არ უნდა ვკრათ ხელი; არც ლოთებს, არც ნარკომანებსა და ქურდებს, არც მეძავებს, არც ბოროტმოქმედთ, არც ურწმუნოთ. ღმერთმა ინებოს, ყველანი ჭეშმარიტი სინანულით მოვიდნენ ეკლესიაში და მიიღონ კურნება სულისა.

მხოლოდ ეკლესიაში პოვებს კაცი ცხოვრების აზრს და შინაგან მშვიდობას, რადგან აქ ხდება ადამიანის შეხვედრა უფალთან. ერთ პიროვნებას, რომელსაც დიდი განსაცდელი შეხვდა, ჰკითხეს: საიდან გაქვს ასეთი შინაგანი სიმტკიცე და ღრმა რწმენა? პასუხი ასეთი იყო: მე ეკლესიაში გავიზარდე.

მართლაც, მას, ვინც სულიერად ეკლესიაში დაიბადა და გაიზარდა, ვერ მოერევა სასოწარკვეთა, შური, ეჭვი, შიში და გაუტანლობა, რადგან უფალი არის მასთან და მადლი ღვთისა იცავს მას.

სამწუხაროდ, დღეს ძალიან ცოტას ფიქრობენ სულიერობასა და მორალზე, სამაგიეროდ ხშირად საუბრობენ სოციალურ, პოლიტიკურსა თუ ეკონომიკურ კრიზისზე.

ერთი შეხედვით ძნელია, ილაპარაკო ზნეობაზე, ამაღლებულ თემებზე, როცა ხალხს არ ჰყოფნის პროდუქტი, არ გაიცემა პენსიები და ხელფასები, არ არის სამუშაო ადგილები და მოსახლეობა მეტად გაღიზიანებულია. მხოლოდ მცირე ნაწილი უძლებს ღირსეულად დროის ამ გამოცდას.

ტოტალიტარული რეჟიმის დროს ადამიანი შეეჩვია, რომ ყველა საკითხს ხელისუფლება წყვეტდა, პიროვნება კი მისი მექანიკური შემსრულებელი იყო. ახლაც მრავლად არიან ისეთნი, რომელნიც ძველებურად სახელმწიფოსაგან ელიან მზამზარეულ რეცეპტებს და დროის მოთხოვნილების შესაბამისად ვერ მოქმედებენ. ეს არც არის გასაკვირი. ადრე კერძო ინიციატივა უცხო იყო საბოგადოებისათვის, ახლა კი, როცა დრო შეიცვალა და ამის გარეშე უკვე შეუძლებელია ცხოვრება, ადამიანებს სწრაფი გარდატეხა უჭირთ.

ჩვენი ყოფა დადებითისკენ რომ შეიცვალოს, აუცილებელია, ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს მოსახლეობის საშუალო ფენის ჩამოყალიბებას, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით მიიღწევა. ყველა კარგად ხედავს, რომ დღეს ქვეყანა ძირითადად ორი ნაწილისაგან – უკიდურესად ღარიბთა და მდიდართა ფენებისაგან შედგება, რომელთა შორის უფსკრული სულ უფრო ღრმავდება. საშუალო ფენა არის სახელმწიფოს დასაყრდენი, ამიტომაც მეწარმეობის განვითარება დროის მოთხოვნა და ჩვენი გადარჩენის საწინდარია.

მე ვთხოვ ჩვენს ხელისუფლებას, ყველას, ვისტეც არის დამოკიდებული ამ მიმართულების განვითარება, იქნებ როგორმე გამოიქვებოს საშუალება, რათა დამწყები მეწარმენი დროებით მაინც განთავისუფლდნენ გადასახადებისაგან. ეს მოუხსნის მათ წარუმატებლობის კომპლექსს და გაუღვივებს საქმის ინტერესს.

სახელმწიფომ უნდა დააარსოს მცირე ბიზნესის შემსწავლელი სკოლებიც და თუ იქ უცხოეთიდან მოწვეული გამოცდილი სპეციალისტები წაიკითხავენ ლექციებს, ეს მალე დიდ შედეგს მოგვცემს.

მეწარმეებს აქვთ ერთი ასეთი გამოთქმა: „თუ ეჭვობ, არ გააკეთო, თუ არ ეჭვობ – მოიფიქრე“. და მართლაც, ვინც წარმოების ჩამოყალიბებას გადაწყვეტს, კარგად უნდა გააანალიზოს ყოველივე,

მცოდნე ადამიანებს რჩევა ჰქითხოს, შეაკეროს მოპოვებული ინფორმაცია და მხოლოდ შემდეგ შეუდგეს იდეის ხორცშესხმას.

ყველაზე დიდი შეცდომა, რასაც ჩვენი მენარმეები უშვებენ, ის არის, რომ გრანდიოზულ გეგმებს აწყობენ, დიდ საქმეებს ეჭიდებიან და სწრაფად გამდიდრება სურთ.

სინამდვილეში ვი, წარმატებას რომ მიაღწიო, მცირედით, შეიძლება ითქვას, უმნიშვნელოთი უნდა დაიწყო, გამოცდილება თანდათან შეიძინო და საქმიანობა გააფართოო. მაშინ იქნება წამოწყება რეალური და იმედის მომცემი.

მინდა ერთი პატარა მაგალითი მოვიყვანო:

აშშ-ში ვიზიტის დროს ჩვენმა დელეგაციამ დაათვალიერა მცირე ქარხანა, რომელიც ორ ძმას ეკუთვნის. ეს ქარხანა რძითა და რძის პროდუქტებით ამარავებს ხუთ მილიონ ადამიანს. ჩვენ მეგზურობას ერთ-ერთი მეპატრონე გვიწევდა და თანაც თავისი ოჯახის ისტორიას გვაცნობდა. გვითხრა, რომ ადრე მშობლებთან ერთად ღარიბულად ცხოვრობდა გერმანიაში. შემდეგ გადაწყვიტეს ამერიკაში წასვლა. ნასესხები თანხით შეიძინეს ბილეთი და გაემგზავრნენ.

უკვე ამერიკაში ყოფნისას გაჭირვებით იყიდეს ერთი ძროხა, შემდეგ მეორე, მესამე... და გახდნენ ფერმერები. ბოლოს ფერმა გაყიდეს, შეიძინეს მიწა და ააშენეს რძის გადამამუშავებელი საწარმო (კომბინატი), რომელიც დღეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხუთ მილიონ ადამიანს აწვდის პროდუქტს.

ეს მაგალითი იმიტომ მოვიტანე, რათა ხალხმა იცოდეს, რომ დღეს არას მქონე, მაგრამ გონიერი ადამიანი, თავისუფლად შეიძლება ხვალ გამდიდრდეს. ამიტომაც გული არ უნდა გავიტეხოთ და ღვთის შეწევნის იმედი არ უნდა დავკარგოთ.

საჭიროა კეთილგონიერება, შრომისმოყვარეობა და მტკიცებასიათი.

მინდა ვუთხრა ახლადდამწყებ მეწარმეებს: არ შეუშინდეთ მარცხს. თუ ერთ საქმეში არ გაგიმართლდათ, ხელი მოჰკიდეთ მეორეს. კარგად გააცნობიერეთ თქვენი შესაძლებლობები, შეისწავლეთ თქვენივე თავი, ნუ იქნებით სხვისი დახმარების მომლოდინე, გამოიჩინეთ საზრიანობა და წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

ცნობილი ბიზნესმენი, ჰენრი ფორდი ასეთ რჩევა-დარიგებებს იძლევა:

1. „არ გირჩევთ მთავარი ყურადღება მიაქციოთ ფინანსურ წარმატებას. ყოვლისმომცველი ზრუნვა ფულის დაგროვებისათვის მოადუნებს თქვენს სიფრთხილესა და შიშს არასწორი ნაბიჯის გადადგმის გამო.

2. თუ თქვენ ვინმესგან მოითხოვთ, რომ მან თავისი დრო და ენერგია საქმეს მოახმაროს, იმაზეც იზრუნეთ, რომ ფინანსური პრობლემები მოუხსნათ. დაკვირვება გვიჩვენებს: მუშახელის მაღალი ანაზღაურება და კონტროლი საქმეში ყველაზე მომგებიანი პრინციპია.

3. როდესაც მყიდველის ან დაქირავებული პირისაგან შემოსავლის (მოგების) ამოღება სრულად ხდება, ეს საქმის ცუდად წარმართვას მოწმობს. უფრთხილდით საქონლის ხარისხის დაცემას და ხალხის განაწყენებას, უფრთხილდით ხელფასის შემცირებას.

4. წარუმატებლობა შედეგია შიშის, უმოქმედობის, უდარდელობისა და უზრუნველობის. შიშის უკუგდებით მოდის სიმტკიცე და ბარაქა. მაშ, განძლიერდით და შეუდექით საქმეს. დაე, მოწყალება სუსტებმა მიიღონ“.

უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ არ შეიძლება ყველა პრობლემის ერთბაშად გადაჭრა, რომ აუცილებელია ზუსტად გამოიკვეთოს პირველი რიგის ამოცანები, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა ვიყოთ მიზანსწრაფულნი და მობილიზებულნი. წმიდა მამები და, საერთოდ, გონიერი ადამიანები საოცრად მიზანმიმართულნი იყვნენ. ისინი დიდი

მოთმინებით ეძიებდნენ მიზნის განხორციელებისთვის ხელშემწყობ გზებს, ყოველ ნაბიჯს ღრმად აანალიზებდნენ და ყველა შესაძლო შედეგს ითვალისწინებდნენ.

ჩვენს წ. აღ-მდე V საუკუნის ჩინელი ფილოსოფოსის, ლე-ცზის ერთ-ერთ ნაშრომში ვკითხულობთ ასეთ მაგალითს:

მასწავლებელი თავის მოწაფეს მშვილდის სროლაში ავარ-ჰიშებდა. მოწაფემ მიზანს მოახვედრა და მასწავლებელს სთხოვა, ახლა სხვა დავალებანი მიეცა მისთვის. მან ჰკითხა: – იცი კი შენ რატომ მოახვედრე მიზანში? ყმაწვილმა უპასუხა: – არა. მაშინ მას-წავლებელმა მიუგო: ესე იგი, ეს ხელობა შენ ჰერ კიდევ არ იცი.

მოსწავლე სახლში დაბრუნდა და სამი წელი თავდაუზოგავად მეცადინეობდა. შემდეგ კვლავ მივიდა პედაგოგთან და უჩვენა თავისი შესაძლებლობები. ხოლო როდესაც მან იგივე კითხვა გაუმეორა, უყოფმანოდ უპასუხა: „ვიცი“.

მასწავლებელმა დიდად გაიხარა და უთხრა: აი, ახლა კი ნამ-დვილი ოსტატი ხარ. გაუფრთხილდი შენს შესაძლებლობებს და არ დაკარგო იგი. ცხოვრების ასეთი წესი დაგეხმარება არა მარტო მშ-ვილდის სროლაში, არამედ სახელმწიფოს მართვაშიც და შენს თავზე მუშაობის დროსაც, რადგან ბრძენი არა სიცოცხლეს ან სიკვდილს იძიებს, არამედ მათ მიზეზებს.

იგივე ლე-ცზი გვასწავლის, რომ ის, ვინც სილამაზის გაფუ-რჩქვნის პერიოდშია – ქედმაღალია, ვისაც ძლიერების დრო უდგას – თავაშვებული. ამიტომ ასეთებთან არ შეიძლება ლაპარაკი სი-ბრძნებე, რადგანაც რჩევას ისინი არ იღებენ, მარტოდ დარჩენილნი კი მრავალ შეცდომას უშვებენ.

„გონიერი კაცი ბრძენს დაეყრდნობა, რადგან კიდევაც რომ მოხუცდეს, არ დაჩაჩანაკდება და გონებაც რომ დაუსუსტდეს, არ დაიბნევა“, – გვასწავლის ჩინური სიბრძნე. ყოველთვის უნდა ვცდი-

ლობდეთ, ჩვენ გვერდით გონიერი ადამიანები იყვნენ, რათა მათთან ურთიერთობით ანალიტიკური აზროვნების უნარი გავიღრმავოთ, რაც უხეში შეცდომებისაგან დაგვიცავს.

XX საუკუნეს რომ ვაანალიზებთ, უწინარესად თვალს ხვდება გაამპარტავნებული და გადიდგულებული ადამიანი; მეცნიერებასა და ტექნიკაში საოცარმა აღმოჩენებმა მისი გონება უსაზღვრო სიამაყით აღავსო. პატივმოყვარეობამ ისეთ ზღვარს მიაღწია, რომ მან უარყო ყოველივე, რასაც თავისი აზროვნებით ვერ მისწვდა. გააზრებული, გამინიერებული რწმენისაკენ ლტოლვამ ერთიანად მოიცვა მისი გონება. ამ მდგომარეობას ცნობილი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი პავლე ფლორენსკი თავნებობის, სატანისეული ამპარტავნების საწყისს უწოდებს, რომლისგანაც წარმოდგება სურვილი ღმერთის უარყოფისა, რათა მისი ადგილი ადამიანმა დაიკავოს.

ამ სენით იყო ჩვენი საზოგადოება 70 წლის მანძილზე დაავადებული. სამწუხაროდ, ამ ავადმყოფობამ შეარყია ხალხში ღვთის შიში, და საერთოდაც, მის სულში ღრმა კვალი დატოვა.

მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის საოცარი ფაქტი, რომ ნასუფრალის მიღების სურვილით შეპყრობილი ადამიანები ადვილად იცვლიან სარწმუნოებას, უარყოფენ ჩვენს ისტორიას, ტრადიციებს, ჩვენს სარწმუნოებას, ეროვნულ კულტურას და ბრძა მიმდევარნი ხდებიან ამა თუ იმ სექტისა. ასეთნი ხშირად ამბობენ: ღმერთი ერთია და რა მნიშვნელობა აქვს, როგორი რწმენა გვექნება და სად ვიღოცებთო.

ღმერთი მართლაც ერთია, ჭეშმარიტებაც ერთია. არ შეიძლება არსებობდეს ათი, ასი, ათასი ჭეშმარიტება და ამდენივე ღმერთი. მათ შორის მხოლოდ ერთია ნამდვილი და მართალი. ამ ჭეშმარიტნათელს ჩვენი წინაპრები მსოფლიოში ერთ-ერთი პირველნი ეზიარნენ 2000 წლის წინ, უშუალოდ მოციქულთაგან შეითვისეს და

შეისისხლხორცეს იგი. ამიტომაც, ვინც დღეს ცდილობს ეს ნათელი დაუხშოს ხალხს და ფსევდოჭეშმარიტებით შეუცვალოს (სთავაზობს რა არჩევანის დიდ შესაძლებლობას), უზარმაზარ ცოდვას იდებს ღვთისა და ერის წინაშე.

ურწმუნოება ან ნელთბილი სარწმუნოებაა მიზეზი იმისა, რომ ასე გავრცელებულია ისეთი უარყოფითი მოვლენები, როგორიცაა ნარკომანია, ლოთობა, აბორტი, მოსახლეობის მორალური დაცემა, ოჯახის რღვევა და ა.შ.

სამწუხაროდ, ტელევიზია, პრესა და ფილმები, რომლებიც პროპაგანდას ეროტიკას, მკვლელობასა და ძალმომრეობას უწევენ, ბოლომდე არღვევენ საზოგადოების ჭერ კიდევ შემორჩენილ ზნეობრივ ჭებირს. და ეს ყველაფერი დღეს თავისუფლებისა და დემოკრატიის სახელით ინილბება.

ეს არ არის დემოკრატია; ესაა ყველაზე მდაბალი ვნებების თარეში; ეს არის ფსევდოკულტურა, რომელიც თავს მოახვიეს ჩვენს ახლაგაზრდობას.

ამ უარყოფითი მოვლენების გამო ჩვენ ყველანი პასუხისმგებელნი ვართ. და თუ რამის გამოსწორება გვინდა, ისევ ყველამ ერთად უნდა ვიმოქმედოთ. სახელმწიფო, ეკლესია, სკოლა (სასწავლებელი) თუ ოჯახი ერთი და იმავე პრობლემების წინაშე დგას.

საქართველოს ეკლესია ყოველთვის იყო და დარჩება ერის სულიერ გამაერთიანებელ ძალად, ამიტომაც ეკლესია უნდა დაეხმაროს სახელმწიფოს, – როგორც კოორდინატორს, – ყოველი სასიკეთო ნაბიჭის გადადგმისას, რა თქმა უნდა, იგივე მიმართულება უნდა ჰქონდეს სკოლასაც და ოჯახსაც.

1998 წელი მძიმე იყო. შინაური თუ გარეშე მტერი ცდილობდა არეულობა შეეტანა როგორც საერთოდ ჩვენს ქვეყანაში, ისე, კერძოდ, ეკლესიაშიც. ფაქტია, უცხო ძალა ყოველთვის პოულობდა და

პოულობს თავისი ბოროტი ზრახვების განმახორციელებლებს ჩვენ შორის.

მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო იმ სასულიერო პირებსაც, რომელნიც განუდგნენ დედაეკლესიას და ამით უარი თქვეს სული-ნმიდის მადლზე. ისინი ხის მოჭრილი ტოტებივით არიან, რომელნიც თავშესაფარს მოსკოვში, საბერძნეთსა თუ ამერიკაში (ბოსტონში) ეძებენ უმადლო მწვალებლებთან და ავიწყდებათ უფლის სიტყვები: „როგორც ლერნი თავისუფლად ვერ გამოიღებს ნაყოფს, თუკი არ შერჩება ვაგს, ასევე თქვენც“.

ეს ადამიანები დაუსრულებლად განგვიკითხავენ, გვლან-ძლავენ და შეურაცხვეყვითენ, გაოცებას იწვევს მათი ღვარძლი და გაბოროტება. ნუთუ ასეთია მათი გაგებით ქრისტიანობა?

მაგრამ ეს არ არის მთავარი; უმთავრესი და მეტად სამწუხარო ის არის, რომ მათი და მათ მიმდევართა მარადიული სული ისეთი ცოდვით იღუპება, რომლის მსგავსი არ ახსოვს საქართველოს ეკლე-სიის ისტორიას. საქმეში გაუცნობიერებელი ადამიანები ვერ ხვდე-ბიან, რომ ჰოკონეთის საშინელ ცეცხლს ეთამაშებიან. და რაოდენ სამწუხაროა, რომ მათ ეს განაჩენი თავს თვითონვე გამოუტანეს. ასეთ საერო და სასულიერო პირებზე მხოლოდ დანანებით შეიძლება იღაპარაკო.

ვაფრთხილებ ყველა მორწმუნეს: საქართველოს მართლმა-დიდებელი ეკლესიისგან განდგომილ მღვდელმსახურებს მსოფლიო და ადგილობრივი კრებების დადგენილებებისა და წმიდა მამების სწავლების თანახმად, მღვდელმსახურება აკრძალული აქვთ (ზო-გიერთი განიკვეთა კიდეც) და არავითარი უფლება არ გააჩნიათ წირვა-ლოცვის ჩატარების ან რაიმე წესის შესრულებისა. ამიტომაც მათ მიერ გადახდილი პანაშვიდი, მიღებული აღსარება, ჩატარებული ნათლობა, ქორწინება, სახლის კურთხევა თუ ზიარება და ა.შ. არის

სიცრუე, თავის მოტყუება და უდიდესი ცოდვა როგორც ამ „მოძღვრებისათვის“, ისე იმ საერო პირთათვის, ვინც მათ ამგვარ საქმეთათვის მიმართავს.

განდგომილნი ხიბლის მდგომარეობაში იმყოფებიან. ასეთი დანაშაულის ჩამდენთ, როგორც წესი, ეშმაკი მძიმე განსაცდელში აგდებს, რომლისგანაც განთავისუფლება მეტად ჭირს; ზოგჯერ კი შეუძლებელია, რადგან ერთმევათ უნარი საკუთარი თავის დანახვისა.

ამიტომაც აუცილებელია მათთვის ლოცვა, რათა თავიანთი ნამდვილი სახე იხილონ და გააცნობიერონ თავიანთი მდგომარეობა. შევსთხოვ უფალს, შეეწიოს მათ უძლურებას.

რაც შეეხება საქართველოს ეკლესიას, იგი მუდამ იყო და იქნება მართლმადიდებელი და ვერავითარი გარეშე და შინაური ბნელი ძალა ვერ შეარყევს მის საფუძველს.

ჩვენი ყოფისთვის დამახასიათებელი ყველა სიძნელის მიუხედავად, გასულ წელს მაინც იყო გარკვეული წარმატებები, განსაკუთრებით მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის დარგში. ეკლესიამაც თავისი წვლილი შეიტანა ხალხისათვის ზრუნვის საქმეში. როგორც თბილისში, ისე სხვა ეპარქიებში ფუნქციონირებდა საპატრიარქოს მიერ გახსნილი უფასო სასადილოები, გარკვეულ დახმარებას იღებდნენ მრავალშვილიანი ოჯახები. ძეგვის ბავშვთა სახლში კვლავაც პატრიარქი ქუჩიდან აყვანილ 115 უსახლვარო ბავშვს. მალე თბილისში გაიხსნება საეკლესიო საავადმყოფო გაჭირვებულთათვის.

1998 წელი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ შეივსო მღვდელმთავართა რიცხვი. ახლა უკვე 27-ივე ეპარქიას თავისი მმართველი – მიტროპოლიტი, მთავარეპისკოპოსი ან ეპისკოპოსი ჰყავს. მთელ საქართველოში მიმდინარეობს ეკლესია-მონასტრების აღდ-

გენა ან ახლის მშენებლობა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასულიერო განათლებას. საქართველოში ფუნქციონირებს ორი სასულიერო აკადემია, ოთხი სასულიერო სემინარია, გახსნილია საეკლესიო გიმნაზიები, სამრევლო სკოლები, წარმატებით მუშაობს გელათის მეცნიერებათა აკადემია.

ამ წელს ზეიმით აღინიშნა თბილისის სასულიერო აკადემიის 10 წლისთავი. ეს სასწავლებელი იძლევა თვალსაჩინო მაგალითს მაღალი სულიერობისა და ასევე მაღალი აკადემიური დონისა.

შემოდგომაზე საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტმა გამართა სამდღიანი კონფერენცია ახლაგაზრდობის აღზრდის თემაზე. წარმოდგენილი იყო დაახლოებით 50 მოხსენება, რომელთა შორის ბევრი ჩვენს ცნობილ მეცნიერებს ეკუთვნოდა.

დიდი კმაყოფილებით გვსურს აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ეკლესიასა და თავდაცვის სამინისტროს შორის 1998 წელს დადებულ იქნა ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

ამ წელსვე საპატრიარქოში შეიქმნა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფებთან ურთიერთობის განყოფილება.

მოძღვრების ხელმძღვანელობით მორწმუნეთა სახლებში მოგზაურობენ ხატები. წინასწარ შედგენილია სიები იმ ოჯახებისა, სადაც ერთი კვირის განმავლობაში დაბრძანდება ღვთისმშობლის ან წმიდა გიორგის ხატი. უკვე მრავალი ოჯახი დაიღოცა მათი მადლით და კვლავაც მრავალი დაიღოცება.

იწურება ჩვენი წელთაღრიცხვით მეორე ათასწლეული და, ბუნებრივია, ისმის კითხვა: რა როლი ეკისრება თითოეულ ჩვენგანს მესამე ათასწლეულის მიწნაზე, რა არის ჩვენი მოვალეობა?

„თითოეულმა ჩვენგანმა, – როგორც ბრძანებს ბასილი დიდი, – უნდა იგრძნოს, რომ ვართ ჭურჭელი კეთილსურნელოვანი, რომელსაც სიცოცხლე ღმერთმა მოანიჭა, ამიტომაც უნდა შევასხათ

ქება შემოქმედს. ამქვეყნად იმიტომ დავიბადეთ, რომ ღირსეულად ვადიდოთ იგი სიტყვით და საქმით.

მთელი სამყარო ჩვენ წინაშე გადაშლილი ცოცხალი წიგნია, რომელიც ღაღადებს დიდებას უფლისას და კაცთა გონიერ ნაწილს აუწყებს იდუმალ და დაფარულ ბრწყინვალებას ღვთისას“ („მაგალითები და გაკვეთილები ქრისტიანული სარწმუნოებისა“, მ., 1900 წ. გვ. 176).

ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, ნათლად უნდა განვსაზღვროთ, რისი გაკვეთება შეგვიძლია ამქვეყნად, რომელიც ღვთის წინაშე სათნო იქნება; აუცილებლად უნდა გავაცნობიეროთ, რა არის სიკეთე და რა – ბოროტება, რომელ გზას მივყავართ ცხონებისაკენ და რომელს – დაღუპვისაკენ. ჩვენ მომსწრე ვართ ორი მსოფლიო ომის, მეცნიერებისა და ტექნიკის უჩვეულო მიღწევების, უღმერთობის ხანის, გენური ინჟინერიისა და კლონირების მეთოდის დანერგვის, არნახული ზნეობრივი და სულიერი დაცემისა; დადებითიცა და უარყოფითი მოვლენებიც მთელი ძალით დაატყდა თავს ადამიანს და მის წინაშე მთელი სერიოზულობით დაისვა კითხვა: სად არის გამოსავალი? არსებობს კი იგი საერთოდ?

ესნა მხოლოდ ღმერთშია. უფალი თითოეულ ჩვენგანს უხმობს:

„მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვრთმძიმენი, და მე განგისუენო თქუენ“ (მათ. 11, 28), რადგან „თვინიერ ჩემსა არარად ძალ-გიც ყოფად“ (იოან. 15, 5).

დიახ, ესნა მხოლოდ ადამიანისა და ღმერთის ერთობაშია.

ესნა ისეთ სიყვარულამდე ამაღლებაშია, ახალი აღთქმა რომ გვასწავლის: „სიყვარული სულგრძელია და ტკბილი; სიყვარულს არ შურს; სიყვარული არ ქედმაღლობს, არ ზვაობს; არ უკეთურობს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ განიზრახავს ბოროტს; არ შეჰ-

არის უსამართლობას, არამედ ჭეშმარიტებით ხარობს; ყველაფერს იფარავს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს, ყველაფერს ითმენს“ (1 კორ. 13, 4-7). თუ მოვიპოვებთ ასეთ მადლს, ღვთის შვილობის ღირსი გავხდებით.

ღმერთი გულში ივანებს. ამიტომაც ბრძენი სოლომონი გვაფრთხილებს: „დაიცავი გული ყოველ დასაცავზე მეტად“ (იგავ. 4, 23).

რწმენით, სიყვარულითა და იმედით აღვსილი ყველას გულითადად გილოცავთ ქრისტეშობის დიდებულ დღესასწაულს.

დაე, დამდევი წელი იყოს მშვიდობის, სიკეთის, ურთიერთგაგების წელი. შევსთხოვ უფალს, თქვენი გული წმინდა ყოს და სული წრფელი მოგანიჭოთ თქვენ.

„მარადის ხარობდეთ. გამუდმებით ილოცეთ. მადლიერნი იყავით ყველაფრისათვის“ (1 თეს. 5, 16-18).

მაშ, მოდი, ნათელო ჭეშმარიტო!

ქრისტესმიერი სიყვარულით,

ქრისტეს შობა

თბილისი, 1999 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

1999 წ.

საქართველოს მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის
ყველა ერთგულ შვილს:

 ოვლადუსამღვდელოესნო მწყემსმთავარნო, მოძღვარნო,
 დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ქრისტესმიერ საყვარელნო ჩვე-
ნო ძმანო და დანო, „მარადის ხარობდეთ, გამუდმებით ილოცეთ, მად-
ლიერნი იყავით ყველაფრისათვის“ (1 თეს. 5, 16-18), რათა უფალი
მშვიდობისა და სიყვარულისა იყოს თქვენს შორის. მაშ, „იხარებდით,
მართალნი უფლისა მიერ“ (ფსალმ. 32, 1).

ქრისტე აღდგა!

კონსტანტინოპოლის პატრიარქი, წმინდა პროკლე, თავის-

სააღდგომო სიტყვაში ამბობს: „ჰვარს აქამდე წყევლისაგან არას-დროს გამოუხსნია უფლის ქმნილება; კაცობრიობის გადარჩენის საფასურად არასოდეს მიუჩნევიათ 30 ვერცხლი; უცოდველისა და უდანაშაულოს ტანკვა არასდროს ყოფილა მიზეზი ადამის მოდგმის ბრალთა გამოსყიდვისა, საფლავს არასოდეს მიუღია სიკვდილის დამთრგუნველი... მაგრამ რას ვამბობ? ეს იყო არა საფლავი, არა-მედ სასახლე ქორწინებისა“.

ეკლესია გვასწავლის, რომ, როგორც ჰვარცმული მაცხოვარი აღდგა მკვდრეთით განახლებული, განბრნყინვებული სხეულით, ასევე ყოველი მორნმუნის სხეულიც უკანასკნელ ჟამს ფერნაცვალი აღდგება საფლავიდან, რათა მარადიული დიდების თანაზიარი გა-ხდეს.

აი, როგორ წერს საერთო აღდგომის შესახებ წმიდა იოანე ღვთისმეტყველი: „და დააბრუნა ზღვამ მკვდრები, რომლებიც იყ-ვნენ მასში; და სიკვდილმა და ჰოჭოხეთმა დააბრუნეს მკვდრები, რომლებიც იყვნენ მათში. და საქმეთაებრ მისისა განისაჭა ყოველი“ (გამოცხ. 20, 13).

ადამიანის მომავალ აღდგომას ტერტულიანე ადარებს წლის სხვადასხვა დროს, რომელთაგან თითოეული ატარებს ბეჭედს სიკვდილისა და შემდგომი განახლებისა. „ამის მაგალითად, – შე-ნიშნავს იგი, – გამოდგება თუნდაც ზამთარში მცენარეთა კვდომა და გაზაფხულზე მათი გამოცოცხლება, მიწაში გახრწნა ყველა თესლისა და შემდეგ აღმოცენება მისგან შესანიშნავი, საუკეთესო ფორმებისა“ („სხეულის აღდგომის შესახებ“, თავი 12).

წმიდა იოანე დამასკელი კი ასე ამბობს: „აღდგომა არის აღ-დგინება იმისა, ვინც დაეცა. თუ სიკვდილი სულის სხეულთან გაყრაა, მაშინ აღდგომა უეჭველად არის ხელმეორე შეერთება სულისა და სხეულისა და ხელახალი აღდგინება დაცემული და დარღვეული არ-

სებისა“ („მართლმადიდებელური რწმენის შესახებ“, თავი 4).

ამ რწმენით აღვიქვამთ ჩვენც ქრისტეს აღდგომის დიად საიდუმლოს. ამიტომაცაა, რომ ვიყრით მუხლს და გამორჩეული სიყვარულითა და რწმენით განვთვენთ გულს მისი დიდების წინაშე. ეს გრძნობა უჩვეულო და არამიწიერია, იმიტომ, რომ იგი მარადიულ სიტკბოებას გვაჩიარებს და სრულყოფილი სიხარულით გვავსებს. სწორედ ამას სთხოვდა უფალი თავის ვედრებაში ზეციურ მამას: „გამოვუცხადე შენი სახელი ადამიანებს, რომლებიც მომეცი მე ქვეყანისაგან... მათთვის გევედრები, წმიდაო მამაო, დაიცევ ისინი შენი სახელით“ (იოან. 17, 6,9). „წმიდა-ყავ ისინი ჭეშმარიტებით... რათა ჰქონდეთ მათ ჩემი სიხარული სრულად“ (იოან. 17, 17,13). „მშვიდობას ჩემსას გაძლევთ თქვენ“ (იოან. 14, 27). „ეს გითხარით თქვენ, რათა ჩემი სიხარული თქვენში დარჩეს და სრულ იყოს თქვენი სიხარული“ (იოან. 15, 11).

ასე რომ, იესო ქრისტემ მოგვანიჭა სრულქმნილი მშვიდობა და სიხარული, მაგრამ თანამედროვე ადამიანი ცოდვით სავსე ცხოვრების წესის გამო თითქმის ვეღარ შეიგრძნობს, ვერ აღიქვამს ამ დიად მადლთა ცხოველსმყოფელ ძალას. მოციქული იაკობი ასე ხსნის ამ მდგომარეობას: „არა გაქვთ... იმიტომ, რომ არ ითხოვთ“ (იაკ. 4, 2). ხოლო იმისთვის, რომ სწორად ვითხოვოთ, სწორი და მტკიცე სარწმუნოება უნდა გვქონდეს.

სულიერი თვალსაზრისით ადამიანის ცხოვრება ჭაჭვური რეაქციის მსგავსია. თუ პიროვნება დაღმართხე მიექანება, მისი ყოფა სულ უფრო მძიმდება, ერთი ცოდვა მეორეს შობს, მეორე – მესამეს და ა.შ. ძალიან დიდი ნებისყოფაა საჭირო, რომ კაცმა შეძლოს შეჩერება; ხოლო გაცილებით მეტი ძალისხმევა მართებს მას, რათა დაიწყოს სულიერი კიბის საფეხურებზე ასვლა. ამ კიბის შესახებ მშვენივრად წერს ღირსი მამა მაქსიმე აღმსარებელი, რომელიც ჩვენთვის განსაკუთრებით ახლობელი იმითაც არის, რომ იგი აქ, საქართველოში,

გარდაიცვალა. მის დარიგებაში ვკითხულობთ: „ნამდვილ სიყვარულს ბადებს მიწიერ ვნებათაგან განთავისუფლება, უვნებობას შობს სასოება უფლისა, სასოებას – მოთმინება და სულგრძელება, მათ – ცხოვრების თავშეკავებული წესი, თავშეკავებულობას – შიში ღვთისა, შიშს კი – რწმენა შემოქმედისა“ („სიყვარულის შესახებ“).

ამავე სიტყვაში იგი ასეთ რჩევას გვაძლევს: „როდესაც შენ ვინმესგან შეურაცხყოფილი ან რაღაცით დამცირებული ხარ, ეცადე, განრისხების შედეგად აღძრულ ფიქრებს განერიდო, რათა მათ სიყვარულის გრძნობას არ განგაშორონ და სიძულვილის მორევში არ დაგნთქან“.

წმიდა ბასილი დიდის აზრით, სულიერი წინსვლის დაწყება შეუძლებელია ლოცვისა და მარხვის გარეშე, რადგან მხოლოდ მათი საშუალებით აღიდგენს ადამიანი დაკარგულ ღვთაებრივ „სამეუფო ხატს“ და გაიხსნის გზას უფალთან მიახლებისათვის.

წმიდა მამა ამასთან გვათრთხილებს, რომ ცოდვით დაცემა და განდგომა თავშეუკავებლობისაგან მომდინარეობს, რომ ერთი ცოდვა სხვა მრავალსა შობს, რომ ერთი შეხედვით მარტივი ცოდვისაგან, მაგალითად, ნაყროვანებისაგან, სხვადასხვა ბიწიერი გრძნობა ღვივდება: იბინდება შინაგანი სამყარო, სულიწმიდისეული მადლი თანდათან ტოვებს ადამიანს და იგი ღრმა მჭვრეტელობისთვის (სულიერი ცხოვრებისათვის) გამოუსადეგარი ხდება.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ყოველ საუკუნეს, ყოველ ათწლეულს და თვით ყოველ წელიწადსაც კი, მკვეთრად გამოკვეთილი ნიშნები აქვს და თვით დიდი მონდომების შემთხვევაშიც ვერ შევძლებთ მის სრულ სახეცვლილებას. ნათევამიც არის, დრონი მეფობენ და არა მეფენიო.

მაგრამ ეკლესიამ როგორმე უნდა მიაღწიოს იმას, რომ დროებითმა განცდებმა მარადიულობა არ დაგვავიწყოს და, ამასთან,

მარადიული ყოველთვის განსაზღვრავდეს დროებითს.

ძველი რომაელები ამბობდნენ: „დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთად“. ამ მარადცვალებად ყოფაში საზოგადოებისათვის ყველაზე მძიმე გადასატანი ყოველთვის გარდამავალი პერიოდი იყო. ჩვენი თაობა სწორედ ასეთი პერიოდის მომსწრე და მონაწილეა: ურწმუნოებისა და მონობის ხანა თავისუფლებამ და ცხოვრების ახალმა წესმა შეცვალა, მაგრამ მას ხალხი მოუმზადებელი შეხვდა. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა დღესაც არ იცის, რა არის სინამდვილეში თავისუფლება.

უნდა გვახსოვდეს, რომ თავისუფლება არ არის ყველაფრის უფლება, არამედ იგი მუდმივი თვითკონტროლი და, მისი საშუალებით, ცოდვის მონობიდან თავის დაღწევაა. მოციქული პავლე გვასწავლის, რომ მხოლოდ ღმერთში და ღმერთით შეგვიძლია ჭეშმარიტი თავისუფლების მოპოვება „თავისუფლებისათვის ხართ, ძმანო, ხმობილნი, – გვარიგებს იგი, – მაგრამ ხორციელი განცხრომისთვის ნუ მოიხმართ თავისუფლებას“ (გალ. 5, 13).

თავისუფლება მშვენიერია, სასურველი და ახლობელი, მაგრამ იგი ამავე დროს საშიშიცაა, რადგან თითოეულ ჩვენგანს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს; თავისუფლება ადამიანს აძლევს არჩევანის, ინიციატივის გამოჩენის, შეხედულებების შეცვლის საშუალებას... მაგრამ, ამავე დროს, პასუხსაც სთხოვს ყველა მის მოქმედებასა და გადაწყვეტილებაზე.

უფალი ბრძანებს: „შეიცნობთ ჭეშმარიტებას, და ჭეშმარიტება განგათავისუფლებთ თქვენ... ყოველი შემცოდე კი ცოდვის მონაა“ (იოან. 8, 32,34).

სამწუხაროდ, ჩვენს დროში ადამიანი ხშირად სწორედ ცოდვის მსხვერპლი და მისი მსახური ხდება, რასაც იგი უგუნურებით თავი-

სუფლებად აღიქვამს. წმიდა მამები ასეთ მდგომარეობას „უმეცარ თავისუფლებას“ უწოდებენ. „უმეცარი თავისუფლება, – წერს წმიდა ეფრემ ასური, – არის სათავე მიწიერ ვნებათა გამრავლებისა, ხოლო მისი შედეგი უსასტიკესი მონობაა“.

მართლმადიდებელ ქრისტიანთათვისაც კი ცოდვის საშიშ-როება მუდმივად არსებობს. იგი ჩასაფრებული კართან გვიცდის, როგორც მრისხანე გაფრთხილება სიკვდილისა, ამიტომაც სიფხიზ-ლის მოდუნება არავის მართებს.

თავისუფლებაზე საუბრისას უნებურად გვახსენდება წლები ძალადობისა და უხეში მატერიალიზმის ბატონობისა, როდესაც საქართველოს იძულებით ჩამოართვეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ხოლო ჩვენს ეკლესიას – ავტოკეფალია; გარეშე ძალები ყოველნაირად ცდილობდნენ ქართველი კაცისთვის დაევიწყებინათ მშობლიური ენა, კულტურა, საუკუნოვანი ტრადიციები...

შემდეგ მოხდა რევოლუცია და ხალხის და ეკლესიის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. ასობით და ათასობით ტაძარი და მონასტერი დახურეს და დაანგრიეს. ათასობით ერისკაცი და სასულიერო პირი აწამეს და გადაასახლეს. საზოგადოება დაყვეს ფენებად და ყველას მკაცრი კონტროლი დაუწესეს; ამასთან, ადამიანში პირადი ინიციატივა ჩავლეს და მას მხოლოდ ე.წ. გენერალური გეგმის ბრმა შემსრულებლის ფუნქცია დაუტოვეს. ყველაფერი მიმართეს იქითვენ, რომ დაემცირებინათ და სახე დაევარგვინებინათ პიროვნებისთვის, რათა მას მხოლოდ არსებობა მიეჩნია ყველაზე დიდ ბედნიერებად.

ეკლესია გამოყვეს სახელმწიფოსგან და, შეიძლება ითქვას, საზოგადოებისგანაც. მას აუკრძალეს საქველმოქმედო საქმიანობა და სოციალურ პროგრამებში მონაწილეობა. სასულიერო პირებს უფლება არ ჰქონდათ დაეარსებინათ უდედმამო ბავშვთა სახლები,

სკოლები, საავადმყოფოები, უფლება არ ჰქონდათ დახმარებოდნენ გაჭირვებულებს.

მართალია, მეოცე საუკუნის დასასრული აღინიშნა ტოტალიტარული რეჟიმის დამხობითა და ახალი ცხოვრების დაწყებით, მაგრამ სერიოზული გართულებები ამასაც მოჰყვა. გარდაქმნის მოთავეებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ ყველაზე ძნელი ხალხის აზროვნებისა და თვითშეგნების შეცვლა იქნებოდა.

ამიტომაც აუცილებელია, რომ ხელისუფლებამ დღეს მაინც შეიმუშავოს ახალი აზროვნების ისეთი პრინციპები, სადაც უმთავრესი ყურადღება ცალკეულ პიროვნებებს, მათ ყოველდღიურ სატკივარს დაეთმობა, შემდეგ კი გათვალიჩინებული იქნება საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესები.

არადა ახლა რა გამოდის?

ადამიანებს, რომლებიც ათწლეულების მანძილზე მექანიკურად ასრულებდნენ სხვათა მითითებებს, ახლა ეუბნებიან, თქვენ თავისუფალი ხართ და გეგმაც და საქმიანობაც სურვილისამებრ აირჩიეთო. მათ კი არ იციან, როგორ მოიქცნენ, როგორ ისარგებლონ ამ თავისუფლებით. პოლიტიკურ-ეკონომიკური და არსებობასთან დაკავშირებული მრავალი პროცესით გარემოცულთ ორიენტირი საერთოდ დაეკარგათ.

მოსახლეობის დაუსაქმებელი ნაწილი ფაქტობრივად განწირულ მდგომარეობაშია. მას წაერთვა იმედი მომავლისა და მისტირის წარსულს – სულიერი, ფიზიკური თუ ინტელექტუალური უძრაობის ხანას და თავისუფლებაც აღარაფრად უღირს.

ზოგიერთებს ნერვული სისტემა იმდენად გადაეღალათ, რომ გამოსავალს თვითმკვლელობაშიღა ხედავენ. ის კი არ იციან ან ავინებებათ, რომ ამით თავს საშინელი მარადიული სატანჯველისთვის იმეტებენ.

მე მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ ხალხმა უნდა იცოდეს, რომ თვითმკვლელთ (სულით ავადმყოფთა გარდა) უკვე ვეღარავინ უშველის, მათთვის ლოცვაც კი აკრძალულია, რადგან ისინი ამ ნაბიჭის გადადგმით თავიანთი წებით სულს მარადიული მონობისათვის ეშმაკს აბარებენ.

მაშ, რა ვქნათ? დავბრუნდეთ უკან, კომუნისტური ცხოვრებისა და აზროვნების წესისკენ? ამის მოსურნენი არიან, მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც. – არა, ეს დაუშვებელია; იგი ჩვენთვის განვლილი ეტაპია, გუშინდელი დღეა.

ჩვენი ხალხის მდგომარეობა ზოგჯერ ძალიან ჰგავს იმ ებრაელთა სულისკვეთებას, რომელნიც აყვედრებდნენ და განიკითხავდნენ მოსე წინასწარმეტყველს, ეგვიპტიდან მათი გამოყვანის გამო. ისინი ამბობდნენ: „...ვინ გვაჭმევს ხორცს? გვაგონდება თევზი, მუქთად რომ ვჭამდით ეგვიპტეში, კიტრები, ნესვები, პრასა, ხახვი და ნიორი. ახლა კი სული გვძვრება, არაფერია მანანის გარდა...“ (რიცხ. 11, 4-6).

უდაბნოში მიმავალ ებრაელებს დაავიწყდათ მონობა, ახსოვდათ მხოლოდ საჭმელი და ამიტომაც სურდათ ეგვიპტეში დაბრუნება! ისინი უკვე უარს ამბობდნენ თავისუფლებაზე და ტყვეობაში ყოფნას ამჭობინებდნენ. მაგრამ უფალმა მაინც შეიწყალა თავისი ერი, არ დააბრუნა ეგვიპტეში და მრავალი განსაცდელის შემდეგ აღთქმულ მიწაზე მიიყვანა.

ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ „ეგვიპტეში“ უკან დასაბრუნებელი გზა აღარც ჩვენთვის არსებობს, რომ ღმერთმა მოგვანიჭა თავისუფლება და ვალდებული ვართ, ვისწავლოთ თავისუფალ მოქალაქეთა მსგავსად აზროვნება და მოქმედება. ამასთან უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ გაქცევა თავისუფლებისაგან არის გაქცევა ღვთისაგან, რადგან „უფალი სულია; ხოლო სადაც არის სული

უფლისა, იქვეა თავისუფლება“ (2 კორ. 3, 17).

საკითხავი ერთია ოღონდ – მივდივართ კი ჩვენ „აღთქმული ქვეყნისა“ და ნამდვილი თავისუფლებისაკვენ?

ნათელია, რომ მეტად რთულ დროში გვიწევს ცხოვრება. მატერიალურ სიცუხჭირეს ისიც დაემატა, რომ ეს არის ხანა მარადიული ღირებულებების რეეფისა და მსხვრევისა. ხდება გაუფასურება საუკუნოვანი ტრადიციებისა და ცხოვრების წესისა, ინგრევა იერარქიული რიგი... ანუ ის, რასაც ეფუძნებოდა საზოგადოებრივი წყობა. წარსულის სიკეთენი უგულვებელიყოფა და მის ადგილს იკავებს ახალი, სამწესაროდ, უარყოფითი ტენდენციები, რაც თავისუფლებას დიდი ეჭვის ქვეშ აყენებს. წმიდა ისაავ ასური ამბობს: „არასრულყოფილ საუკუნეში თავისუფლება, თანაც სრულყოფილი, არ არსებობს“. და მართლაც, განა შეიძლება ჭეშმარიტ თავისუფლებაზე საუბარი იქ, სადაც უარს ამბობენ ზნეობრივ ცხოვრებაზე და მის ნაცვლად პროპაგანდა ეწევა პრინციპს „ყველაფერი ნებადართულია“. ნუთუ ნორმალური ყოფა ეთქმის იმ გარემოს, სადაც ადამიანის კატასტროფული სულიერი დაცემის პროცესს თავისუფლებისაკვენ სწრაფვად სახელდებენ და საშინელი ცოდვის მონობას ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობად აცხადებენ?!

ამიტომაც არის, რომ ყველაზე ძვირფასმა – ადამიანის სიცოცხლემაც კი დაკარგა ფასი.

რა არის მიზეზი ამ საშინელი გადაგვარებისა?

პასუხი მხოლოდ ერთია – ჩვენ ვცხოვრობთ სულიერი, კულტურული და ზნეობრივი კრიზისის პერიოდში. რამდენ ხანს გასტანს იგი, ძნელი სათქმელია; ყველაფერი მაინც ისევ ჩვენზეა დამოკიდებული.

ნუ დაგვავინყდება ისიც, რომ მოვესწარით ახალი ათასწლეულის დასაწყისს. სულ მალე იესო ქრისტეს შობის 2000 წლის-

თავთან ერთად ჩვენი ხალხი იზეიმებს სახელმწიფო ბრიობის 3000 წლისთავს, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 და საქართველოს ეკლესიისთვის დამოუკიდებლობის მინიჭებიდან 1500 წლისთავს.

როდესაც 2000 წლის ქრისტიანული ცხოვრების გადასახედიდან ვუყურებთ ჩვენი ქვეყნის წარსულს, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ აწმყოსა და მომავლის წინაშე.

საქართველო ხომ ძველი თვითმყოფადი ქრისტიანული კულტურისა და ტრადიციების ქვეყანაა, ამან გადაგვარჩინა და განაპირობა ჩვენი ინდივიდუალური სახის შენარჩუნება. აი, ამ ტრადიციებს უნდა მივყვეთ კვლავაც.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენს ნაჭერში ჩავიკეტოთ და მხოლოდ ჩვენს ინტერესებზე ვითქიქოთ. საქართველო აბრეშუმის დიდი გზის ქვეყანაცაა და ამიტომაც ოდითგანვე გავლენას განვიცდიდით როგორც დასავლეთიდან, ასევე აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდანაც.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, კომპიუტერი (ინტერნეტი)... ახალ ნოენი ნიადაგს ქმნიან მსოფლიო კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგისთვის. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ მას მრავალი უარყოფითი მხარეც ახლავს, ამიტომაც ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ჩვენმა ინტელიგენციამ, ჩვენმა ხალხმა და ეკლესიამ ღრმად უნდა გააანალიზონ, რისი მიღება შეიძლება და რისი – არა.

ჭერ კიდევ ანტიკურ დროში ფილოსოფოსი პლატონი სახელმწიფო მოღვაწეთათვის ფილოსოფიურ-ანალიტიკური აზროვნების აუცილებლობის შესახებ წერდა: „ვიდრე სახელმწიფოში ხელისუფალნი არ იქნებიან ფილოსოფოსები, ვიდრე მეფენი და მმართველნი კეთილშობილურად და ღრმად არ იფილოსოფოსებენ და ვიდრე

სახელმწიფო ხელისუფლება და ფილოსოფია არ გაერთიანდება, სახელმწიფო ბოროტებისაგან ვერ განთავისუფლდება“ („სახელმწიფო“). ეს სიტყვები დღესაც აქტუალურია.

მე ჩვენი დროის ერთ-ერთი ცნობილი ფსიქოლოგის ნათქვამიც მინდა შეგახსენოთ: „ადამიანი სუფთა ფურცელი არ არის, რომელზეც ამა თუ იმ კულტურისათვის სასურველ ნიშნებს დაწერ. მას შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს მისთვის მიუღებელი სოციალური თუ კულტურული სისტემების ძლიერ ზეგავლენასაც ვი“.

ასე რომ, თუ მოვინდომებთ, თითოეულ ჩვენგანს შესწევს ძალა, დაიცვას თავისი თავი, თავისი გარემო და საუკუნეობით განმტკიცებული ჩვენი სულიერ-კულტურული ღირებულებანი.

ზოგჯერ ადამიანები ფიქრობენ, რომ ის იდეოლოგია, რასაც ხელისუფლება ნერგავს თავის ხალხში, აუცილებელია და სწორი. ეს ყოველთვის ასე არ არის. გავიხსენოთ თუნდაც საბჭოთა იდეოლოგია, ანდა იდეოლოგია ნაცისტური გერმანიისა. ამ სახელმწიფოთა დაშლისთანავე გაუფასურდა მათი იდეებიც. ამიტომაც მე ხაჩს ვუსვამ და თქვენს ყურადღებას ვამახვილებ საუკუნეებგამოვლილ ტრადიციებზე; ებრაული სიბრძნე გვასწავლის: „მე თუ ჩემი თავისთვის არა ვარ, მაშინ ვინ იქნება ჩემთვის? ხოლო მე თუ მხოლოდ ჩემი თავისთვის ვარ, მაშინ ვინ ვარ მე? და თუ ახლა არა, მაშინ როდისლა?“

მართლაც, ვერავინ გააკეთებს იმას, რაც შენ შენი თავისთვის უნდა გააკეთო, მაგრამ, ამავე დროს, არ უნდა შემოიფარგლო მხოლოდ საკუთარი ინტერესებით, რადგან ეგოიზმი დამღუპველია და არა აქვს მომავალი. იმას, რის გაკეთებასაც შენ დღეს მოასწრებ, ნუ გადადებ ხვალისათვის. ის დღე დაკარგულად ჩათვალე, როცა ვერ შეძლებ სიკეთის ქმნას; და თუ გსურს, იყო ბედნიერი, გახსოვდეს, უანგარო კეთილ საქმეთა გარეშე მას ვერ მოიპოვებ.

ეს სწავლება ხომ ჭეშმარიტებაა. ამიტომაც გაუძლო მან სა-

უკუნებს და დღესაც თითოეული ადამიანისათვის ცხოვრების პროგრამად და იდეოლოგიად შეიძლება ჩაითვალოს.

თვითონ სიტყვა „იდეოლოგია“ ბერძნულია და ნიშნავს იდეების შესახებ სწავლებას. იდეოლოგია ისეთი „ფილოსოფიური მიმდინარეობაა, რომელიც ცდილობს, დააწესოს აღზრდის, ეთიკისა და პოლიტიკის მისთვის დამახასიათებელი წესები“ („ფილოსოფიური ლექსიკონი“, რედ. შმიდტი). საკითხავია, რამდენად სწორ არჩევანს გააკეთებს მმართველი ძალა, ანუ რა საძირკველს დაეყრდნობა ზემოაღნიშნული პრაქტიკული წესები – იქნება იგი ჭეშმარიტ ღირებულებებზე დაფუძნებული თუ ყალბ ლოგუნგებზე აგებული?

ყოველ ადამიანს, ყოველ ქვეყანას უფლისგან თავისი ჰვარი და გზა აქვს მიცემული. მთავარია, მან არ გადაუხვიოს იმ ბილიკიდან, რომელიც მას ღმერთამდე მიიყვანს.

ჩვენ შეიძლება განსხვავებული სურვილები გვქონდეს, განსხვავებული იყოს ჩვენი აზრები, მაგრამ სამართლიანობა, ღრმა ანალიზის უნარი და სიყვარული მუდამ უნდა იყოს ჩვენი თანამდევი. ესაა საფუძველი მშვიდობისა და ურთიერთგაგებისა, როგორც ცალკეულ პიროვნებებს, ისე ხალხებს შორის.

და თუ ჭეშმარიტი რწმენით, სიყვარულითა და სასოებით შევიმოსებით და მივნედობით უფალს, ყველანაირ განსაცდელს გავუძლებთ და გავიმარჯვებთ.

აბბა პალადის ასეთი ისტორია აქვს მოთხრობილი: ეს მოხდა ეგვიპტეში, ქრისტიანობის გარიერაჟზე; ერთი მოხუცი წარმართი დაიჭირეს მკვლელობის გამო. ცემისას მან ცილი დასწამა და თავის თანამზრახველად დაასახელა ერთი ახალგაზრდაც. ორივეს საშინელი სატანჯველით სიკვდილი – ჩამოხრჩობა მიუსაჭეს. ახალგაზრდის ყოველანაირმა მცდელობამ, დაემტკიცებინა თავისი უდანაშაულობა, შედეგი ვერ გამოიღო.

დასჭის ადგილზე ხალხი მრავლად შეიკრიბა. ჭერ ყმაწვილის გაყვანა ჰქონდათ გადაწყვეტილი, მერე კი მოხუცებულისა. ბედს შეგუებული ყმაწვილი იმასღა ითხოვდა, პირით აღმოსავლეთისაკენ ჩამოეკიდათ, რათა სიკვდილის წინ ლოცვა შეძლებოდა.

როცა ჰკითხეს, – რატომ აღმოსავლეთისკენო, – უპასუხა, რომ ჭერ შვიდი თვეც არ იყო გასული, რაც ღირსი გახდა წმიდა ნათლობის მიღებისა და მთელი გულით ნანობდა, რომ ვერ მოასწრო ღვთისსათნო ცხოვრება. ამ სიტყვებმა იმოქმედა მეომრებზე, მათ გადაწყვიტეს, შეესრულებინათ მისი თხოვნა და თანაც ახალგაზრდის ნაცვლად პირველად წარმართი მოხუცის დასჭა გადაწყვიტეს. განაჩენგამოტანილი მოხუცი გაბოროტდა და ღვთისმგმობელმა აღსასრულის წინ წარმართული სამსხვერპლოსაკენ ისურვა ყურება. როდესაც მოხუცის განაჩენი აღსრულდა, მეომრები ახლა ახალგაზრდისკენ გაემართნენ. ამ დროს სასწაული მოხდა – მისმა გულმხურვალე ლოცვამ შედეგი გამოიღო. უცებ გამოჩნდა ცხენზე ამხედრებული კაცი – ეგვიპტის გამგებლის წარმომადგენელი, ხელში ბარათით, სადაც ეწერა: „ყმაწვილი არ აწამოთ, არამედ უკან დააბრუნეთ“. ახალგაზრდა წარუდგინეს ბარათის გამომგზავნს, რომელმაც იგი საერთოდ გაათავისუფლა. ამ საოცარი წყალობის გამო, ღვთისადმი უსაზღვრო მადლიერების გრძნობით აღვსილი ახალგაზრდა ბერად აღიკვეცა და სიცოცხლე ღვთისსათნო ცხოვრებით განვლო („სულიერი მდელო“, გვ. 87).

გულწრფელ მხურვალე ლოცვას ასეთი დიდი ძალა აქვს. ამიტომაც თითოეულმა თქვენგანმა ყოველდღიურად სასოებით უნდა შესთხოვოს უფალს თქვენი თავის, თქვენი ოჭახისა და ჩვენი ქვეყნის მშვიდობისა და კეთილწარმატებისათვის, რათა ადამის მოდგმისთვის ხსნისა და განახლების მომნიჭებელმა მაცხოვარმა მოწყალებით გადმოხედოს საქართველოს და მკვიდრთა მას შინა.

უფალმა დალოცოს და დაამშვიდოს ჩვენი ერი, დღეგრძელობით, სიხარულითა და კეთილდღეობით გაკურთხოთ და გაგიხსნათ გზა მარადიული ცხოვრებისა და უკვდავებისაკენ.

ღვთაებრივი სიხარულით აღვსილი ყველას გულითადად გილოცავთ წმიდა პასექის დღესასწაულს, იხარეთ!

ჭოჭოხეთის დამთრგუნველი და სიკვდილის შემმუსვრელი

ქრისტე აღდგა!
ჭეშმარიტად აღდგა!

„მადლი ღმერთს, რომელმაც მოგვცა ჩვენ ძლევა“ (1 კორ. 15, 57).

პასექი ქრისტესი
თბილისი, 1999 წ.

საშობაო ეპისტოლე

2000 წ.

საქართველოს ღვთივკურთხეულთა ძეთა და ასულთა და ყოველთა ჩვენთა თანამემამულეთა:

თქვენ აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელნო, წმიდა სინოდის წევრებო, ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ძმანო და დანო, ყოველნო მკვიდრნო საქართველო-დსა და სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო ქართველნო!

უფალი გვეუბნება: „ნისლივით წარგხოცავ შენს დანაშაულს და ჭანლივით – შენს ცოდვას; დამიბრუნდი, რადგან მე გამოგისყიდე“ (ეს. 44, 22).



იდება და მადლობა შენდა, უფალო ღმერთო – მამაო სა-ბაოთ, ყოვლისა მპყრობელო, შემოქმედო და განმგებელო ცათა და ქვეყანისაო;

დიდება შენდა, ძეო ღვთისაო, მაცხოვარო ჩვენო, ჩვენი ხსნისათვის განკაცებულო, ჰვარცმულო, აღდგომილო და ამაღლებულო;

დიდება შენდა, სულო წმიდაო, ცხოველსმყოფელო, მადლისა მომცემელო, უძლურთა მკურნალო და ნაკლულევანთა აღმავსებელო.

გაქებთ, გაკურთხევთ და თაყვანსა გცემთ შენ, ყოვლადწმიდაო სამებაო, ერთარსებაო და განუყოფელო, რწმენაო, სასოებაო და სიყვარულო ჩვენო, მიზეზო ყოვლისაო, დასაბამო და დასასრულო, მიუწვდომელო სიმაღლეო და სიმდაბლეო, დიდება და მადლობა შენდა ყოვლისათვის.

მუხლმოდრეკილნი ვდგავართ, ღმერთო, წინაშე შენსა და ჩვენი წინაპრებისა და ჩვენი ერის სახელით შეგთხოვთ, შეგვინდე და გვაპატიე ყოველნი ცოდვანი და უსჭულოებანი ჩვენნი, ურწმუნოება შესცვალე ჭეშმარიტი სარწმუნოებით, ცოდვა აღხოცე და მოგვანიჭე მადლი, სიძულვილის წილ მოგვეც სიყვარული, ამპარტავნების წილ – თავმდაბლობა; განგვწმიდე ყოველნი და სულითა შენითა წმიდითა აღგვავსე, ამინ!

ქრისტესმიერ საყვარელნო ძენო ივერიისანო და ყოველნო მკვიდრნო საქართველოდასანო, იხარებდით და იშვებდით, რამეთუ „დღეს მეუფე იშვების ვითარცა ჩვილი, დედისაგან ქალწულისა“ (სადღესასწაულო). „საიდუმლო უცხო და დიდებული ვიხილოთ, ქვაბი ცათა ემსგავსა, ქალწული – ქერუბიმთა, ხოლო ბაგა სახე იქმნა სამყაროსა, რამეთუ დაიტია დღეს ქრისტე ღმერთი – დაუტევნელი, რომელსა ვადიდებთ“ (შობის ძლისპირი).

დიდება ჭეშმარიტი ღვთისა უკვე ორიათასი წელია აღევლინება ჩვენი კურთხეული მინიდან. ოცსაუკუნოვანი ისტორია ქრისტიანობისა არის საიდუმლო ჩვენი გადარჩენისა და ჩვენი ღვთაებრივი

აღმშენებლობისა. ეს არის საიდუმლო ჩვენი ცხოვრებისა ქრისტეში და მისი მუდმივი მყოფობისა ჩვენში და დასტურია იმ დიადი ჭეშმარიტებისა, რაც ბრძანა უფალმა: „აპა, ესერა, მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“ (მათ. 28, 20).

თუ არა ღვთის დიდი მოწყალება და მისი შეწევნა, საქართველო ვერ გაუძლებდა იმ ურიცხვ ქარტეხილს, რაც მას თავს დაატყდა. უზარმაზარი იმპერიები აღიგავა პირისაგან მიწისა, გაქრნენ ერები და მათი კულტურები, ჩვენ კი, პატარა ქვეყნის შვილები, ათასწლეულებია მოვუყვებით კაცობრიობის ისტორიის მდინარეს.

წარსულს თუ გადავხედავთ, უნებურად ჩნდება კითხვა: ამ ხნის განმავლობაში ვაკეთეთ კი ის, რაც უნდა გაგვეკეთებინა, დავუახლოვდით ღმერთს თუ დავშორდით მას, ვართ ჩვენ ცისანი თუ – ამქვეყნისანი?

და თითქოს გვესმის სიტყვები უფლისა:

„აპა ესერა, ეშმაკმან გამოგითხოვნა თქუენ აღცრად, ვითარცა იფქლი. ხოლო მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთვს, რადთა არა მოგაკლდეს სარწმუნოებად შენი“ (ლუკ. 22, 31-32).

დიახ, ოცსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე დროის სული ჩვენ ყოველთვის თანა გვდევდა და ეკლესიას მუდმივად უხდებოდა მასთან ბრძოლა. ყველგან და ყოველთვის მიწიერება ცდილობდა შეეღწია ჩვენში, სატანა ათასნაირ ხერხს მიმართავდა, რათა ხორბალივით განებნია ქრისტეანენი და თითოეული მათგანის სული დაესაკუთრებინა:

„მაგრამ მე ვლოცულობდი შენთვის“, – გვეუბნება მაცხოვარი. სწორედ უფლის ლოცვამ გადაგვარჩინა და მოგვიყვანა აქამდე. ამ ლოცვაზე იდგა და დგას ქრისტეს მთელი ეკლესია, ამ ლოცვაზე დგას ჩვენი ერი.

თუ ცოტა უფრო ღრმად გავაანალიზებთ მოვლენებს, დავინახ-

ავთ, რომ მას შემდეგ, რაც იესო ქრისტეს განკაცებით სათავე დაედო საოცარი გარდატეხის პროცესს კაცობრიობის ისტორიაში და ადამის მოდგმისათვის გაიხსნა ზეცის კარები, ბოროტმაც ახალი მეთოდებით დაიწყო ადამიანთა სულების მონადირება: წარმოიშვა ჭეშმარიტების პრეტენზის მქონე რელიგიები. თვით ქრისტეს ეკლესიას არაერთი ნაწილი ჩამოსცილდა და ახალ მიმართულებებს დაედო სათავე: იყო ამა თუ იმ მიზეზის გამო გაჩაღებული გრანდიოზული ომები, სა-ზოგადოების სხვადასხვა ფენის უდიდესი დაპირისპირებანი... რამაც მილიონობით ადამიანი იმსხვერპლა და შეიწირა, მაგრამ იმას, რაც განვლილ ორ საუკუნეში მოხდა, თავისი მასშტაბებითა და სულიერი დამანგრეველი ძალით ვერაფერი შეედრება; – ვგულისხმობ უღმერ-თობის ხანის დადგომას.

ბოლო 70 წლის მანძილზე ტოტალიტარული ათეისტური სახელმწიფოს არსებობა და მისი იდეოლოგია არ იყო მხოლოდ ლოკალურად გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა ხვედ-რი. ათეიზმმა სულ სხვა გზებითა და მეთოდებით ასევე მძლავრად მოიკიდა ფეხი მთელ მსოფლიოში, რამაც წარმოშვა საყოველთაო ნიპილიზმი და ინდიფერენტიზმი.

ამ პროცესების გაღრმავებას ხელი შეუწყო მეცნიერებისა და ტექნიკის უსწრაფესმა განვითარებამ. საზოგადოების სულიერი წინს-ვლა დიდად ჩამორჩა ტექნიკურ პროგრესს. ეს კი გახდა მიზეზი ღრმა უფსკრულის გაჩენისა საზოგადოებრივი ცხოვრების ამ ორ სფეროს შორის, რამაც კაცობრიობა თითქმის კატასტროფამდე მიიყვანა. და თუ დღეს მაინც მშვიდობით ვხვდებით შობა-ახალწელს, ისევ და ისევ ღვთის დიდი წყალობით.

„...მე ვლოცულობდი შენთვის...“

ჩვენმა ქვეყანამაც იგემა ბოროტის მიერ აღძრული ყველა ძა-ლის შემოტევა და როგორც სხვაგან, აქაც განსაკუთრებულად რთული

პროცესები ბოლშევიკური რეჟიმის პერიოდში განვითარდა. საბჭოთა წყობილების პერიოდი, მისთვის დამახასიათებელი ცნობილი მოვლენების გარდა, იმითაც იყო საშიში, რომ იგი ენინააღმდეგებოდა აზროვნების განვითარებას, რადგან ახალი იდეების წარმოშობა საფრთხეს უქმნიდა მის არსებობას.

ეს რეჟიმი ადამიანებს სთავაზობდა მზამზარეულ, ხშირად მკვდრადშობილ იდეებს და მათ ცხოვრებაში განხორციელებას აიძულებდა. არავინ იყო დაინტერესებული მოაზროვნეთა ფენის წინ წამოწევით, სჭირდებოდათ მხოლოდ დავალების სიტყვის შეუბრუნებლად შემსრულებელნი.

„ბოლშევიკების გზა, – წერდა პლეხანოვი, – როგორიც არ უნდა იყოს იგი, – მოკლე თუ გრძელი, – აუცილებლად გამორჩეული იქნება ისტორიის ფალსიფიკაციით, სიცრუით, დანაშაულობებით, დემაგოგითა და, საერთოდ, უღირსი საქციელით. ტერორი, რაზეც ისინი იმედს ამყარებენ, ხიშტების ძალაა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ხიშტებზე ჯდომა დიდხანს შეუძლებელია, ამიტომაც ბოლშევიკთა კრახი გარდაუვალია“ („პოლიტიკური ანდერძი“).

ეს ასეც მოხდა.

მადლობა ღმერთს, დღეს ჩვენ უკვე სხვა ცხოვრებით ვცხოვრობთ. ეს კია, რომ ერთი წყობილების მეორეთი შეცვლა იმპერიის რღვევის პერიოდს დაემთხვა, ამას თან დაერთო ომები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, რამაც ჩვენი ყოფა მეტად დაამძიმა, რადგან რამდენიმე მოვლენის გადატანა ერთდროულად მოგვიხდა.

საერთოდ, საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთი ფორმიდან მეორეში გადასვლისას ქვეყნის ცხოვრებაში დგება პერიოდი, როდესაც ხალხი ბავშვს ემსგავსება. ამის მიზები ის არის, რომ მოსახლეობის უმრავლესობა თავიდან ვერ ერკვევა სიტუაციაში, ალღოს ნაკლებად უღებს მოვლენებს და ყრმასავით უსუსური და მიმნდობი

ხდება მათ მიმართ, ვინც წინამძღვალის ფუნქციებს სთავაზობს.

დროის ამ ეტაპით ხშირად სარგებლობს სხვადასხვა ძალა და ცდილობს, არსებული სიტუაცია თავისი მიზნების განსახორციელებლად გამოიყენოს.

ესაა მიზეზი მაგალითად იმისა, რომ დღეს ასე თარეშობენ სხვადასხვა სექტის წარმომადგენლები. საქმე ისაა, რომ ათეისტური ზენოლისაგან განთავისუფლებული ხალხი მზად არის გულის კარი გაუღოს უფალს, მაგრამ, ვინაიდან ვერ არჩევს, თუ სად არის ჭეშმარიტება, ადვილად ექცევა ცრუმოძღვართა გავლენის ქვეშ და გადარჩენის ნაცვლად სულს მარადიული სიკვდილისათვის წირავს.

როგორც ეკლესიის, ისე სახელმწიფოს და, საერთოდ, ნების-მიერი მოქალაქის ვალია, წინ აღუდგეს ხალხის ამ მეთოდებით დაპყრობასა და დამონებას და საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ სულიერ აგრესიას.

დღევანდელი ჩვენი ყოფა მრავალი სხვა ასეთი მეტად მტკი-ვნეული პრობლემის მიმართ საზოგადოებისაგან სწორი პოზიციის შემუშავებასა და გონივრულ გადაწყვეტას ითხოვს.

ამჯერად ყურადღებას ერთ საკითხზე გავამახვილებთ, რადგან იგი უმნიშვნელოვანესად მიგვაჩნია.

საქმე ეხება ამ ბოლო დროს კოსმოპოლიტური იდეების ქადაგებას და ეროვნული გრძნობისადმი ზოგიერთთაგან გულგრილ, ზოგჯერ კი დამცინავ დამოკიდებულებას. დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებული ასეთი ადამიანებისათვის რატომღაც ეროვნულობა და პატრიოტიზმი კარჩავეტილობას ნიშნავს და როგორც საზოგადოებას, ისე ეკლესიას მისგან განთავისუფლებისაკენ მოუწოდებენ.

თავიდანვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანობა და თავის თავში ჩაკეტილობა ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია. ქრისტიანისთვის ყოველი ადამიანი, რა ეროვნებისა და სარწმუნოებისაც არ

უნდა იყოს იგი, მოყვასია და ღვთის წინაშე ვალდებულია უყვარდეს ის. მოწყალე სამარიტელის იგავი ამის ნათელი დადასტურებაა.

ამიტომაც, ერთი შეხედვით, სადავო არაფერი უნდა გვქონდეს მათთან, რომელნიც უარყოფენ ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი განსხვავების აუცილებლობას და მსოფლიო ერთიანი ოჯახისა და მსოფლიო მოქალაქის ცნებების დამკვიდრებას ცდილობენ.

მეგობრობის, სიყვარულისა და ურთიერთდახმარების შესახებ იდეები მათ ქრისტიანობიდან აიღეს და ისინი მართლაც ღირებული არიან, მაგრამ ეს ყველაფერი შემდეგ განსხვავებული მიმართულებით განავითარეს და სამეუფო გზიდან შორს გადაუხვიეს.

ისინი დაუსრულებლად ლაპარაკობენ კაცობრიობის სიყვარულზე, მაგრამ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ გვერდზე მყოფს. მოყვასის სიყვარული კი სწორედაც რომ ყველას სიყვარულს გულისხმობს.

მაცხოვარმა ჩვენ მოყვასის სიყვარულისკენ მოგვიწოდა და არა მსოფლიოს მიმართ ზოგადი გრძნობების გამოვლენისაკენ. მოყვასი კი მოიცავს ყველას, ვისთანაც კი რაიმე შეხება შეიძლება ჰქონდეს ადამიანს.

ბავშვისთვის მოყვასი მისი ოჯახის წევრებსა და ახლობელთა ვიწრო წრეს ნიშნავს. მოზრდილი ადამიანისთვის – „მოყვასის“ სივრცეს მისი ქვეყანა და ხალხი ავსებს . მასთანაა იგი დაკავშირებული სახელმწიფოებრივი თუ პოლიტიკურ-მოქალაქეობრივი ვალდებულებებით. საკუთარი ხალხის კულტურა, ცხოვრების წესი, თუ ტრადიცია არის მისთვის მშობლიური და საყვარელი.

უკვე სრულად განვითარებული, მაღალი ზნეობის პიროვნებებისათვის კი ნებისმიერი ადამიანი მოყვასია.

უნდა ითქვას ისიც, რომ მესამე ასაკობრივი საფეხური გულისხმობს პირველი და მეორე საფეხურის აუცილებელ არსებობას

ისევე, როგორც მეორე საფეხური გულისხმობს პირველი საფეხურის არსებობას.

აი, აქა აქვთ დაშვებული შეცდომა კოსმოპოლიტებს. ისინი მესამე საფეხურს მეორის გარეშე მოიაზრებენ და ადამიანებს არა არანსაღი, უშინაარსო, უსულო საზოგადოების შექმნისაკენ უბიძებენ.

შევნიშნავთ იმასაც, რომ ქრისტიანული პატრიოტიზმი და ეროვნულობის გრძნობა სრულიად განსხვავდება შოვინიზმისა და ვიწრო ნაციონალიზმისაგან, რომელთაც საფუძვლად ნაციონალური ამპარატავნება უდევთ; ქრისტიანული ცნობიერებისათვის კი ამპარტავნება მომაკვდინებელ ცოდვად ითვლება.

ეროვნულობა ქრისტიანობაში ნიშნავს ზრუნვას შენი ხალხის იმ ნაკლოვანებათა გამოსწორებისთვის, რაც მის ცხოვრებას თან სდევს; ნიშნავს ზრუნვას მისი სულიერი და ზნეობრივი განვითარებისათვის, ნიშნავს იმ ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების დაცვას, რაც მის თავისთავადობას, მეობას განაპირობებს და ყოველივე ეს, ამავე დროს, სხვა ხალხებისა და ქვეყნების პატივისცემასა და კეთილგანწყობას გულისხმობს.

აი, რას ამბობს ვაჟა-ფშაველა პატრიოტიზმის შესახებ: „... რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობრებს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას... ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვანლი, იმდენადვე სასარგებლო იქნება მთელი

კაცობრიობისათვის“ („კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“).

ეროვნულობის დაცვის საუკეთესო მაგალითს თვითონ ბიბლია იძლევა. მთელი ძველი აღთქმა ამ სულისკვეთებითაა სავსე. ახალი აღთქმიდანაც არაერთი მაგალითის დამოწმება შეიძლება. გავიხსენოთ თუნდაც მოციქულის სიტყვები:

„დიდია ჩემი მწუხარება, და დაუმცხრალია ტკივილი ჩემი გულისა... ვისურვებდი თავად ვყოფილიყავ შეჩვენებული ქრისტეს მიერ ჩემი ძმების, ჩემი სისხლის და ხორცის გამო, რომლებიც არიან ისრაიტელნი“ (რომ. 9, 2-4).

ანდა: „თუ ქვრივს შვილები ან შვილიშვილები ჰყავს, დაე, მათ თავდაპირველად ისწავლონ თავიანთი სახლის პატივისცემა და სანაცვლო მიაგონ მშობლებს, რადგან ეს სათნოა ღვთისათვის... ხოლო, თუ ვინმე თავისიანთა და, მით უმეტეს, სახლულთათვის არ ზრუნავს, რწმენის უარმყოფელია და ურწმუნობედაც უარესი“ (1 ტიმ. 5, 4,8).

ასე რომ, ოჭახი, ახლობელთა წრე, სამშობლო, მოყვასი, სამყარო ის კიბეა, რომლის თითოეული საფეხური მომდევნოს საყრდენია და მის გარეშე და რწმენის გარეშე წარმოუდგენელია პიროვნების შინაგანი მთლიანობის შექმნა. ამიტომაც, თუ გვსურს ვიყოთ თავისთავადნი და არა უფორმო, უსახო, საზოგადო მასის წარმომადგენელნი, უნდა ვიყოთ ეროვნული სულის ღირსეული მატარებელნი. ასე აღზრდილი ადამიანი ყოველთვის პატივს მიაგებს სხვა ეროვნების წარმომადგენელთ, სათანადოდ აფასებს როგორც საკუთარს, ისე სხვათა ღირსებასა და თავისთავადობას. ასეთი ადამიანი პიროვნებაა, რადგან მას თავისი მეობა აქვს. იგივე ითქმის ერზეც. ასეთი ადამიანებისაგან შემდგარი ერი პიროვნული სახის მატარებელია, თავისთავადია და ამით არის სწორედ დასაფასებელი.

ღვთივკურთხეულნო ივერნო, ყოველნო მკვიდრნო საქართველოდსანო!

ქრისტიანული სამყარო განსაკუთრებულად ემზადება 2000 წლის საჩემო შეხვედრისათვის. ეს წელი მთლიანად საიუბილეო წელია და მას განსხვავებული გრძნობით ხვდება მთელი კაცობრიობა. 7 იანვარს, ბეთლემში, წმიდა მიწაზე, თავი მოიყარეს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურებმა და სახელმწიფო ხელმძღვანელებმა, რათა გამოხატათ თავიანთი კეთილი ნება ერთიანობის, ურთიერთპატივისცემისა და თანადგომის შესახებ და ელოცათ მსოფლიო მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის. ეს იყო დიდი და ამასთან კანონზომიერი მოვლენა, რომელმაც საყოველთაო ყურადღება მიიპყრო.

ათასწლეულთა შესაყართან კიდევ უფრო მძაფრდება წარსულის განცდა და სურვილი ღმერთთან სიახლოვისა. ადამიანური განზომილებით ეს დრო ხანგრძლივია და მრავლისმომცველი. უფლის წინაშე კი „ათასი წელი, ვითარცა ერთი დღე“. ასე რომ, ღვთის ათვლით, მეორე დღე მთავრდება მაცხოვრის განკაცებიდან და იგი განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს.

განსაკუთრებულობა უნდა გამოვლინდეს სულიერებაში. თითოეულმა ოჯახმა, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა იგრძნოს, რომ იგი ღირსი გახდა შეხვედროდა ამ დიდებულ თარიღს და ვალდებულია, სათანადოდ მოემზადოს ამისთვის, ვალდებულია, იმ მოგვების მსგავსად, რომელთაც თაყვანი სცეს და საუკეთესო ძღვენი მიართვეს ბეთლემის ბაგაში მწოლ ახლადშობილ მაცხოვარს, თავისი შესაწირი გაიღოს მის სადიდებლად. ეს შესაწირი უწინარესად უნდა იყოს გულმხურვალე ლოცვა, ჩვენი ქრისტიანული ეკლესიური ცხოვრება, ჩვენი შრომა, ჩვენი ნამუშავევი, ჩვენი კეთილი საქმეები.

ამ თარიღის შესახვედრად საქართველოს დიდი მომზადება მართებს, რადგან ღვთისგან ბევრი მოგვეცა და ბევრიც მოგვეთხოვება. თქვენ იცით, უფლის განგებით, ჩვენთან იქნა მობრძანებული

კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ღვთისმშობლის პერანგი; იცით, რომ ჩვენი ქვეყანა ღვთისმშობლის წილხვედრია და მისი განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ იმყოფება, რომ ჩვენი ეკლესია დაფუძნებულია მაცხოვრის მოციქულების: ანდრია პირველწოდებულის, სვიმონ კანანელის, მატათას, თადეოზის, ბართლომეს მიერ და განმტკიცებულია წმიდა ნინოს, წმიდა გიორგის, წმიდა ნიკოლოზის და სხვათა ჩვენთა დიდთა წმიდანთა ლოცვითა და ღვაწლით.

ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ ათას ქარტეხილგამოვლილი საქართველო დღეს კვლავ ცოცხლობს და აღორძინების გზას ადგას და რომ ძალისაებრ ჩვენისა ვემსახურებით მის სიწმინდეს.

ძმანო და დანო, თავი მოვიდრიკოთ და მუხლი მოვიყაროთ ყოვლადწმიდა სამების წინაშე და წრფელი გულით შევთხოვოთ მამასა, ძესა და სულსა წმიდას, დაგვლოცოს, განგვწმინდოს და განგვინათლოს გული და გონება, რათა დღე ყოველ მართლად ვიდოდეთ და ურცხვენელად წარვდგეთ წინაშე მისსა, რათა თანაზიარ ვექმნეთ მარადიულ ცხოვრებას მისას და უფალთან ვიყოფოდეთ განუშორებლად. ამინ!

ქრისტეს შობა
თბილისი, 2000 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

2000 წ.

მკვიდრთა საქართველოდასა და სამშობლოს საზღვრებს გარეთ
მყოფთა ძეთა და ასულთა ღვთისათა, ყოველთა
ღვთივკურთხეულთა ივერთა:

„იყავნ თქუენ თანა მადლი, წყალობად და მშვდობად
ღმრთისა მიერ მამისა და უფლისა მიერ იესუ ქრის-
ტესა ძისა მისისა ჭეშმარიტებით და სიყუარულით“
(2 იოან. 1, 3).



რისტესმიერ საყვარელნო ძმანო და დანო,

ქრისტე აღდგა!

აღდგა ერთობა ღმერთთან და გაიხსნა კარი მარადიული სიხარულისა.

ქრისტე აღდგა!

იხარებს და იშვებს ცა და დედამიწა, ანგელოზთა დასი და კაცთა ნათესავი, სამყარო ხილული და უხილავი.

ქრისტე აღდგა!

სიცოცხლე მეფობს, რამეთუ უჭინობ ნეტარებას მივემთხვიერ.

მოვედით და შევსვათ წყარო უხრწნელებისა, ვიხმიოთ პური საჩეპურო, ტრაპეზი – სამეუფო.

მთელი სამყარო თაყვანსა სცემს ღვთის დიდებასა და მოწყალებას, რამეთუ დაიხსნა ბჯენი ჭოჭოხეთისანი, დაითრგუნა სიკვდილი და ჩვენც წმიდა პავლე მოციქულთან ერთად ვხმობთ: „სადა არს, სიკუდილო, საწერტელი შენი? სადა არს, ჭოჭოხეთო, ძლევად შენი?“ (1 კორ. 15, 55).

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს დაუტევნელი გრძნობა ვახაროთ დედას უფლისა და ანგელოზის მსგავსად, რომელმაც პირველმა მიულოცა მას მაცხოვრის აღდგომა, ჩვენც ვუგალობოთ: „განათლდი, განათლდი, ახალო იერუსალიმ, დღეს დიდება უფლისა შენ ზედა გამობრწყინდა, განსცხრებოდე და იხარებდ სიონ და ან შენცა იშვებდინ, ღმრთისმშობელო, აღდგომასა ძისა შენისასა“. ამ დღეს მისი გახსენება განსაკუთრებულად გვმართებს, რადგან წილხვედრინი ვართ ყოვლადწმიდა მარიამისა და მისი მეოხებით გავხდით ღირსნი ქრისტეს ნათლისა.

მაგრამ მოდით, გავიხსენოთ ის დრო, როდესაც ეს დიდი სასწაული მოხდა.

დიდი პარასკევი: უფლის ვნების დღე; ავაზავთა გვერდით ჰვარზე გაკრული აღესრულა მაცხოვარი; უნუგეშოდ შთენილნი, სასომიხდილნი, დამცირებულნი მოციქულნი და ახლობელნი უფლისა დაბნეულობას მოეცვა. მათი მდგომარეობა ამის საფუძველს მართლაც იძლეოდა, რადგან არა მარტო მოძღვარი დაკარგეს, არამედ ღმერთკაცის წამებაც საკუთარი თვალით იხილეს; ამასთან, იესო ქრისტე თორმეტ უახლოეს მოწაფეთაგან ერთ-ერთმა გასცა.

არას მქონეთ, უბირთ და გამოუცდელთ რისი იმედი უნდა ჰქონოდათ? თუნდ ექადაგათ, ვინ რას დაუჭერებდა?

მაშ, როგორ მოხდა რომ ამ უბრალო მეთევზეებმა სძლიეს მთელ წარმართულ სამყაროს, დაამარცხეს მეფეები და მათი ჭარები, დაიპყრეს მსოფლიო? – ეს არის ღვთის განგებულების დიადი საიდუმლოება, ეს არის ძალა და ძლიერება სულინმიდისა, უძლურთა მკურნალისა და ნაკლულევანთა აღმავსებელისა. ეს ძალა ჭვარცმიდან ორმოცდამეათე დღეს მიენიჭა მოციქულებს და, უფლის მადლით, მათ მართლაც რომ განაცვიფრეს გარშემომყოფნიც და მსოფლიოს მრავალი ქვეყანაც.

რატომ გამოირჩია ისინი უფალმა, რით დაიმსახურეს მათ ღვთის ასეთი წყალობა? – უპირველეს ყოვლისა, გულის განსაკუთრებული სიწმიდითა და სულის სიწრფელით, თავმდაბლობითა და შრომისმოყვარეობით. ამიტომაც იქცნენ ისინი სასურველ ჭურჭლებად უფლისა და დაიტიქს მათზე უხვად გარდამომავალი მადლი სულისა წმიდისა.

დღეს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს რომ ვუყურებთ, ჩანს, რომ ხალხის ნაწილი დაბნეულია და გულგატეხილობა დაუფლებია. გადაუჭრელი საკითხები მართლაც ბევრია: კორუფცია, დაუსაქმებელი მოსახლეობა, ნარკომანია, ქურდობა, სოციალურად დაუცველი ფენის გამრავლება და სხვ.

ზოგიერთნი აქედან გამოსავალს მხოლოდ უცხოურ დახმარებასა და კრედიტში ხედავენ, რაც არასწორია, რადგან უშრომელად მიღებული თანხა ბარაქას ვერ გამოიღებს. დახმარება, ინვესტიციები, კრედიტები საჭიროა, მაგრამ მთავარი არ არის. მთავარია ჩვენ თვითონ დავიწყოთ შრომა და ვიზრუნოთ იმაზე, რათა ღირსნი გავხდეთ უფლის წყალობისა, რომ იესო ქრისტეს იმედმიხდილ, დაუძლურებულ მოწაფეთა მსგავსად აღგვადგინოს, განგვაცხოველოს და განგვაპრნყინვოს უფლის მადლმა და ძალამ.

ყველამ ვიცით, რომ ჩვენმა ქვეყანამ დემოკრატიის გზით განვითარების პრინციპი აირჩია და ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯებიც გადადგა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველას არა აქვს გაცნობიერებული, რომ ცხოვრების ეს წესი უცხო ქვეყნების ყოფის ბრძანი მიბაძვას არ ნიშნავს, რომ სინამდვილეში ყველა ქვეყანას საკუთარი დემოკრატიული წყობა უნდა ჰქონდეს, დაფუძნებული ეროვნულ ტრადიციებზე, კულტურაზე, აზროვნებაზე... ბუნება თვითონ იძლევა მაგალითს მრავალფეროვნებისას. არ არსებობს ორი ერთნაირი ფოთოლიც კი, რომ არაფერი ვთქვათ ადამიანსა და მის ფსიქიკაზე; ხოლო სახელმწიფოში, სადაც მექანიკურად იმეორებენ სხვათა ნააზრევს, სხვათა ფორმულებს, ვიღებთ უსულო, დაშტამპულ, სიცოცხლის უნარდაკარგულ საზოგადოებას, რომელიც აუცილებლად დეგრადაციისათვისაა განწირული. ეს აქსიომაა.

ვინც დასავლეთის ცხოვრებას ასე თუ ისე იცნობს, მისთვის ნათელია, რომ დემოკრატიისთვის ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს: არჩევითობა, ადამიანის უფლებების დაცვა და კანონის უზენაესობა. ესაა განმსაზღვრელი დემოკრატიულობისა სხვადასხვა ქვეყანაში. ამასთან ზოგან უპირატესობა ადამიანთა უფლებების დაცვას ენიჭება, ზოგან კი – კანონს, ხოლო თვითონ შენობა დემოკრატიული წყობისა ამ საყრდენზე იგება ქვეყნის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.

დღეს საქართველოში აქცენტი ე.წ. „ვანონის უზენაესობაზე“ კეთდება, ამიტომაც როგორ კანონებსაც მიიღებს სახელმწიფო, ეს განაპირობებს ქვეყანაში მიმდინარე არა მარტო ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებს, არამედ ხალხის სულიერ მდგომარეობასაც. ეს უნდა გაითავისოს თითოეულმა ჩვენგანმა და აქტიური მონაწილეობა მიიღოს სავანონმდებლო ბაზის შექმნაში.

დემოკრატიული წყობის ერთ-ერთი მთავარი დადებითი მხარე სწორედ ისაა, რომ ასეთ ქვეყნებში განსაკუთრებულად უფრთხილდებიან სხვის ღირსებას, თავისთავადობას და ქმნიან პირობებს ადგილობრივი მოსახლეობის შესაძლებლობების სრული გამოვლენისათვის. ჩვენთან კი ზოგიერთნი სწორედ დემოკრატიის სახელით უპირისპირდებიან იმას, რაც განაპირობებს ერის ინდივიდუალობასა და თვითმყოფადობას, უპირისპირდებიან ჩვენს ტრადიციებსა და კულტურას და გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ცდილობენ ქვეყანას გადაუჭრან ის მაცოცხლებელი ფესვები, რომელიც ასაზრდოვებს ჩვენს ერს და განაპირობებს მის წინსვლას.

რატომ ხდება ასე?

ხელისუფალთა სიბრძნე, უპირველეს ყოვლისა, ის არის, რომ შეძლონ შეინარჩუნონ საზოგადოების სიჭანსაღე, რაც ღირებულებების სწორად შეფასებას, სწორ აზროვნებასა და სახელმწიფოს განვითარების სწორ ორიენტაციას გულისხმობს.

შუა საუკუნეებიდან დასავლეთში ადამიანური გონება გამოცხადდა ჩვენი ყოფის ყველაზე ღრმა საკითხების უმაღლეს მსაჯულად, – წერს ერთ-ერთი მკვლევარი, – ამასთან, წარმოიშვა კულტი მეცნიერებისა და ტექნიკისა, და სოციალური საკითხების მოგვარება აღქმულ იქნა, როგორც ერთადერთი საშუალება სულიერი პრობლემების დაძლევისათვის (ემანუილ სვეტლოვი, „რელიგია და ხელოვნება“, წიგნიდან „რელიგიის საწყისები“).

ანტიჰუმანური ნაყოფი სწორედ თვითმიზნად ქცეულმა ეკო-

ნომიკურმა პროგრესმა გამოიღო და ამ გზით მავალ თანამედროვე საზოგადოებას თვითგანადგურების საფრთხე შეუქმნა.

ერთადერთი ძალა, რომელმაც კაცობრიობის განვითარებას შეიძლება სწორი გეზი მისცეს, არის აღიარება ღვთისა, როგორც სამყაროს შემოქმედისა და ყოველივეს განმსაზღვრელისა. დღეს ამის აუცილებლობას ადრე ღმერთისადმი მტრულად განწყობილი მეცნიერებიც კი აღარ უარყოფენ.

აი, რას წერს ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგი უილიამ ჰემსი: „თანდათან ურწმუნო ადამიანად ვიქეც და აღარ მივმართავდი უფალს ბავშვობაში ნასწავლი ვედრებით; თუმცა რომ დავუკვირდი ჩემს წარსულს, აღმოვაჩინე, თურმე მასთან ხშირად მქონია ლოცვის მსგავსი ურთიერთობა. იგი იყო ჩემთან, თუ მე ვიყავი მასთან, არ ვიცი, მაგრამ ჩემი ცხოვრების კრიტიკულ მომენტებში ის მამხნევებდა და სიცოცხლის ძალით მავსებდა, რათა კვლავ შემეგრძნო მისი იდუმალი მყოფობა. მე მას აღვიქვამდი, როგორც დაუშრეტელ წყაროს სიცოცხლისა, სამართლიანობისა, ძლიერებისა, ინსტიქტურად მივმართავდი ძალების დაშრეტისას და იგიც მუდამ მევლინებოდა მხსნელად. ახლა კი ნათლად შევიგრძნი და მივხვდი, რომ უფლისკენ მიმავალი ბილიკის დაკარგვას ჩემთვის არანაირი სიკეთე არ მოუტანია“.

ეს სიტყვები შეიძლება მთელი ეპოქის აღსარებად აღვიქვათ.

მეცნიერებაცა და რელიგიაც საშუალებაა ობიექტური რეალობის შესაცნობად და ისინი ხელს უნდა უწყობდნენ ჭეშმარიტების გზით კაცობრიობის განვითარებას.

ცნობილი მკვლევარი მაქს პლანკი შეგვახსენებს: „მეცნიერება და რელიგია სინამდვილეში არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, არამედ ნებისმიერი მოაზროვნე კაცისათვის ისინი აუცილებელია ერთმანეთის შესავსებად და გასაღრმავებლად“.

ამ აზრს უძველესი დროიდანვე ავითარებდა ქრისტეს ეკლესია, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ იმავეს იმეორებს თა-

ნამედროვე მეცნიერებაც, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში თითქოს დაუპირისპირდა რელიგიას, თუმცა ეს დროებითი მოვლენა იყო და ამ ეტაპმა, მადლობა ღმერთს, უკვე განვლო.

ევროპისაგან ძალიან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ, მაგრამ ვიმეორებ, არ უნდა დავვარგოთ ის ჩვენი ტრადიციული კულტურა, რაც ჭეშმარიტად ღირებულია და ამასთან მათთვისაც მისაბაძია და დასაფასებელი. ჩვენთან მთავარია ეკონომიკური პრობლემების მოგვარება, თორემ მოსახლეობაში ღვთისადმი სწრაფვა და სიყვარული გულწრფელია და დიდი, ოღონდ მას სწორი მიმართულება უნდა მიეცეს.

ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ ქვეყანაში არსებული კანონები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ღვთისაგან დადგენილ კანონებს. სხვა შემთხვევაში სახელმწიფო, როგორი განვითარებულიც არ უნდა იყოს იგი ეკონომიკურად, აუცილებლად დიდი სულიერი პრობლემების წინაშე დადგება, რადგან ცხოვრების ასეთი წესი ნაყოფია აბსოლუტიზაციისაკენ მიმართული, ყველაფრის ლეგიტიმიზაციის მოსურნე გონებისა, რომლისთვისაც აღარაფერია წმიდა და რომელიც თავის თავს შეიძლება გაუცნობიერებლად, მაგრამ ძირფესვიანად თვითონვე სპობს. თუ გადარჩენა გვინდა, მინიერი პრობლემების მოგვარების სურვილის გარდა, იმაზეც უნდა ვიზრუნოთ, რომ მოსახლეობას არ დავაკარგვინოთ სასუფევლისაკენ მიმავალი გზა და სხვათა შეცდომები აღარ გავიმეოროთ.

დღეს ჩვენს ქვეყანაში ღმრთის არსებობასა და რელიგიის აუცილებლობაზე ყველა ლაპარაკობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ასევე ბევრს ლაპარაკობენ აღმსარებლობის თავისუფლებაზეც. რა თქმა უნდა, ყველას აქვს უფლება, სწამდეს ის, რაც მას ჭეშმარიტებად მიაჩნია. რელიგიის არჩევაში თავისუფლების შეზღუდვა არასწორია, მაგრამ სრულიად გაუგებარია ზოგიერთი იდეოლოგის მცდელობა, რომ ნებისმიერი რელიგია, სექტა თუ სხვადასხვა მიმდინარეობა

ერთ სიბრტყეზე დააყენოს და ხალხს მათი თავისუფალი არჩევის შესაძლებლობა შესთავაზოს.

აქედან მხოლოდ ის გამოდის, რომ თურმე 10, 100, 1000 ჭეშ-მარიტება არსებობს, მაშინ, როცა საშუალოზე დაბალი განვითარების ადამიანმაც კი იცის, რომ ჭეშმარიტება ერთია.

მაინც რის საფუძველზე ქადაგებენ დღეს ზოგიერთნი რელი-გიურ პლურალიზმს?

როგორც ჩანს, ისინი იმქვეყნიურ სიცოცხლეზე არც ფიქრობენ და არც სწამთ იგი, თორემ ასე როგორ გაიმეტებდნენ თავიანთ თავ-საც და ხალხსაც მრნამსის ნაირფეროვანი არჩევანისთვის? ეს ხომ მარადიული სიკვდილისათვის მათ განწირვას ნიშნავს?! ხოლო თუ არ სკერათ სულის უკვდავება, რელიგიაზე რატომღა ლაპარაკობენ? ნუთუ იმიტომ, რომ რწმენა საზოგადოების მართვის ერთ-ერთ საშუ-ალებად წარმოუდგენიათ, თვითონ კი სულით ათეისტები არიან და ხალხს განზრახ აბნევენ?

ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს სექტების დამლუპველი მოქმე-დების შესახებ და იმის თაობაზეც, რომ თუ სახელმწიფომ დროულად არ მიიღო გადამჭრელი ზომები, ხვალ უკვე ძალიან გვიან იქნება. შედეგი კი ჰერ არ ჩანს.

დღეს, მაგალითად, ე.წ. იეღოველებზე ტელევიზიაც და პრესაც ალაპარაკდნენ და შემფოთებას გამოთქვამენ, რადგან უკვე ათეუ-ლობით შემთხვევაა იმისა, რომ სისხლის გადასხმაზე უარის თქმის გამო ამ სექტის მიმდევარნი გარდაიცვალნენ. რა თქმა უნდა, ეს მეტად სამწუხარო ფაქტია და არც შეიძლება, რომ საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი არ გახდეს, მაგრამ იგივე იეღოველთა სექტა რომ ქვეყნისა და სახელმწიფოს ინტერესების მოწინააღმდეგეთა მთელ არმიას აყალიბებს, ეს საგანგაშო არ არის? ის, რომ ათა-სობით ადამიანი ფაქტობრივად სულიერად მკვდარია, როგორც საქართველოს სახელმწიფოს ინტერესების დამცველი (აღარაფერს

ვამბობთ ქრისტიანებისადმი მათ დამოკიდებულებაზე) და მათი რიცხვი ხვალ უფრო მეტი იქნება, არ არის საშიშროება ჩვენი პატარა სამშობლოსათვის, რომელსაც გარშემო ამდენი უცხო სარწმუნოების ქვეყანა ესაზღვრება?

სამწუხაროა, რომ ასეთ უარყოფით ძალას ჩვენს საზოგადოებაში ქომაგები გამოუჩნდენ, რომელნიც ვითომც დემოკრატიისა და თავისუფლების სახელით მოქმედებენ. საინტერესოა, თვითონ რა აღმსარებლობისანი არიან?

რაჭულთშემწყნარებლობის გამოვლენა მორწმუნე ადამიანისაგან კარგია, როდესაც იგი რწმენის სისავსიდან და უმაღლესი ზნეობრივი ძალის გაცნობიერებიდან მომდინარეობს, ხოლო რაჭულთშემწყნარებლობა მრწამსის არმქონე ადამიანისა კიდევ ერთი დასტურია მისი უღმერთობისა.

თუ ჩემთვის სულერთია ქრისტიანობა, იუდაიზმი, წარმართობა, ესა თუ ის სექტა... მაშინ, რა თქმა უნდა, ვიქნები შემწყნარებელი ამა თუ იმ რწმენის მიმართ, მაგრამ რაში იქნება ღირსება ჩემი შემწყნარებლობისა?!

„რელიგიური ინდიფერენტიზმი, – წერს ვლადიმერ სოლოვიოვი, – სრული უგულვებელყოფა გულის სითბოსი და სულიერობისა. ეს არის ზნეობრივი გაყინვის წერტილი, სიცივე სულიერი სიკვდილისა. ხოლო თუ უმაღლესი იდეალისადმი საზოგადოების გულგრილობისას თავს იჩენს მისი მკვეთრი ლტოლვა მდაბალი ინტერესებისა და მატერიალური კეთილდღეობისადმი, ნათელია, რომ ჩვენ წინაშეა სოციალური გახრწნის პროცესი“ (სოლოვიოვი, ტ.IV. გვ. 138). სავალალოა, რომ საქართველოს მოსახლეობა ასეთი საშიშროების ზღვარზე დგას.

უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ გამოგვიხსნა მარადიული სიკვდილის წყვდიადისაგან. გამოგვიცხადა, განგვამართლა და შეგვირიგდა გოლგოთის სამსხვერპლოზე, მაგრამ როგორც გამოსყიდვა,

ისე განმართლებაც და შერიგებაც ჩვენს მონაპოვრად უნდა იქცეს. ეს კი მხოლოდ ჭეშმარიტი რწმენით არის შესაძლებელი. რწმენით, რომელიც, ფაქტობრივად, როგორც საჩუქარი, ისე მივიღეთ უფლისა-გან. ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში ვკითხულობთ: „მადლით ხართ გამოხსნილნი რწმენის წყალობით, და ეს თქვენგან კი არ არის, არამედ ნიჭია ღმრთისა“ (ეფეს. 2, 8).

ზოგიერთს იქნებ ჰგონია, რომ მოციქულთა და წმიდა მამათა მიერ დადგენილი ქრისტიანული ღირებულებანი დროის შესაბამისად უნდა იცვლებოდეს. ასეთი ადამიანები სულიერობაში საერთოდ ვერ ერკვევიან და სარწმუნოებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მსგავსად განიხილავენ. მათ არ ესმით, რომ მართლმადიდებლობა ეს არის ქრისტეს ეკლესია დედამიწაზე. ქრისტეს ეკლესია კი არის სულინმიდის მადლით განახლებული სიცოცხლე ქრისტესთან და ქრისტეში.

ქრისტიანობაში სწორედ სათავეები უნდა ეძებოს ჭეშმარი-ტების პოვნის მსურველმა, იმ წყაროს უნდა მიაგნოს, რომელიც პირველქმნილი მადლით ავსებს მის მიმღებთ და შეურყვნელად იცავს მაცხოვრის სწავლებას.

მადლობა ღმერთს, ჩვენი ქვეყანა უკვე 2000 წელია ამ წყარო-საა დაწაფებული და უხვად საზრდოობს მისი მაცოცხლებელი ძალით. საქართველოს ეკლესია იცავდა და იცავს უძველესი, მოციქულთაგან ბოძებული, ერთიანი, განუყოფელი ქრისტეს ეკლესიის ტრადიციას.

განა ეს არ უნდა გვახსოვდეს და გვეამაყებოდეს? განა შე-იძლება ღვთისაგან ბოძებული ამ წყალობის ვერ დანახვა ან უგუ-ლებელყოფა?

დიახ, ჭეშმარიტება ერთია და მას მეტოქეობას სხვა ნახევრად-ჭეშმარიტებანი ვერ გაუწევს. ეს არ არის ამპარტავნება და სხვათა ზემოდან ყურება, რადგან ჭეშმარიტება დამსახურებისამებრ არ მოიპოვება, არამედ იგი ერს ღვთისაგან ეძლევა.

ქრისტიანობა ჭვრისმტვირთველობაა – ამასთან ვერტიკალური ხაზი მიანიშნებს ჩვენს მსახურებასა და ერთგულებას უფლისადმი, ხოლო ჰორიზონტალური – მოყვასისადმი. თუ ქრისტიანის ცხოვრება ჭვარს არ ქმნის, იგი არ ცხოვრობს სწორად.

ადამიანმა მადლობით უნდა მიიღოს ის ტვირთი, რისი ტარებაც ამქვეყნად უწევს, სანაცვლოდ კი ღირსი გახდება მარადიული ნეტარებისა. გახსოვდეთ, უფალი იმაზე დიდ ჭვარს არ მოგცემთ, რისი აწევაც თქვენ არ ძალგიძთ, ოღონდ მხოლოდ საკუთარ თავს ნუ მიენდობით, არამედ ეცადეთ, უფლის სასოება არ დაკარგოთ როგორც ყველაზე მძიმე წუთებში, ისე მაშინაც, როცა სიხარულით იქნებით აღვსილნი.

მინდა ერთი მაგალითი მოვიყვანო ჩვენი დღევანდელი ცხოვრებიდან. თქვენ იცით, ბოლო დროს ახალგაზრდების სიკვდილიანობა გახშირდა, რაც 10-12 წლის წინ დიდი იშვიათობა იყო; და, აი, იმ დროს, ერთ მეტად სათნო, სიყვარულით სავსე ოჯახში უდიდესი უბედურება დატრიალდა: ღამით, როდესაც მშობლები შინ არ იყვნენ, მათი შვილები – 14 წლის ვაჟი და 8 წლის გოგონა ძილში გაზით მოიწამლნენ და აღესრულნენ. უნაპირო მწუხარებით ელოდა დედ-მამა დაკრძალვის დღეს: მათ შვილების დასაფლავების შემდეგ თავის მოკვლა ჰქონდათ გადაწყვეტილი. დაკრძალვამდე ორი დღით ადრე საპატრიარქოში მოვიდა მათი ახლობელი რამდენიმე ადამიანი და მთხოვა, დამელოცა გარდაცვლილი ბავშვები და მათი სასოწარკვეთილი მშობლები.

ჩვენ მართლაც მივედით ამ ოჯახში, რომელსაც საერთოდ არ ვიცნობდით და ძალისაებრ ჩვენისა ნუგეში ვეცით. მოხდა სასწაული, თითქოს მაშინვე სულინმიდის მადლით აღივსო ორივე და მათი გული რწმენამ გაათბო. ღმერთმა არ დაკარგა მათი სიკეთე, მათი სიყვარული, ერთგულება და, აი, ასეთი ჭვარი მისცა: უმძიმესი ტრაგედიით მიიყვანა ისინი დიდ რწმენამდე, რომელმაც სრულიად

გარდაქმნა მათი აზროვნება. ცოლ-ქმარში ისე განმტკიცდა რწმენა, რომ ცხოვრების მიზნად მათ მხოლოდ ღვთის დიდება და მოყვასის მსახურება დაისახეს; გარშემო შემოიკრიბეს სხვა შვილგარდაცვლილი ოჯახები და მათი ტკივილისა და მწუხარების ნუგეშად იქცნენ. დღეს ასეთ ოჯახთა რიცხვი 400-მდეა, ისინი ყოველ შაბათ-კვირას დადიან ტაძარში, სპეციალურ წირვებს აყენებენ გარდაცვლილი შვილებისათვის, ხშირად ეზიარებიან, ეხმარებიან გაჭირვებულ ადამიანებს, ხელმოკლე მონასტრებს, ცდილობენ ქრისტიანულად იცხოვრონ და უფლის რწმენა განამტკიცონ სხვა ადამიანებშიც. ეს ცოლ-ქმარი ხელმძღვანელობს საპატრიარქოსთან არსებულ სასა-დილოსაც, სადაც ყოველდღიურ საკვებსა და აუცილებელ პირველად სამედიცინო დახმარებას უფასოდ იღებენ გაჭირვებული, ღატაკი ადამიანები, განურჩევლად ეროვნებისა და მრწამსისა.

სიკეთე სიკეთეს შობს, მადლი მადლს ამრავლებს. ეს ორი ადამიანი ვერაფერს შეძლებდა, რომ არ ყოფილიყო ღვთის შემწეობა და ასევე მათ გარშემო კეთილ, უფლისა და მოყვასის სიყვარულით სავსე ადამიანთა სიმრავლე, რომელთაგან თითოეულის ყოფა ცალკე ისტორიაა. მეტად საინტერესო და რთულია გზა ცხოვრებისა, რამაც საბოლოოდ ისინი განწმენდამდე მიიყვანა და სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვის სიხარულს აზიარა.

დიახ, სიცოცხლე გრძელდება და იგი ღვთის მადლით უინ-ტერესო სულაც არ არის ამ ადამიანებისათვის, პირიქით, თითქოს ისინი ხელახლა დაიბადნენ, მანამდე დაშვებული შეცდომები დაინახეს და იმასაც მიხვდნენ, თუ რა უნდა დაესახათ ცხოვრების მიზნად.

ჭეშმარიტად დიდ არს უფალი და საკვირველ არიან საქმენი მისნი.

მაგრამ აუცილებელი არ არის მაინცდამაინც დიდი მწუხარება შეხვდეს ადამიანს იმისათვის, რომ დაფიქრდეს და პასუხი გასცეს

ისეთ აუცილებელ კითხვებზე, როგორიცაა: რა არის სიცოცხლის აზრი? რისთვისაა თითოეული ჩვენგანი გაჩენილი, რა არის სინამდვილეში სიკეთე და რა ბოროტება?...

შევთხოვ ღმერთს, მოგვცეს გული წმიდა და გონიერი, მოგვცეს სიწრფელე სულისა, რათა შევძლოთ, დავინახოთ ჭეშმარიტების გზა როგორც საკუთარი სულის, ისე ქვეყნის გადასარჩენად.

ასეთია ეკლესიური ხედვა ჩვენს ქვეყანაში დღეს მიმდინარე ზოგიერთი პროცესისა. ჩვენ იმედით ვუყურებთ მომავალს და გვჰერა, რომ საქართველო გაუძლებს დროის გამოცდას, თავის სიტყვას იტყვის და დირსეულ ადგილს დაიკავებს მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოთა შორის.

აღდგომილი ქრიტეს ნათელი განაბრწყინვებს მის ეკლესიას და სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვის სიხარული სრულიად აღავსებს მას. ჩვენს შორის უხილავად იმყოფება აღდგომილი მაცხოვარი და ჩვენც, ჩვენი ეკლესიური ცხოვრებით, იდუმალად ვერთიანდებით მასში.

გუშინ შენთან ერთად დავიფალით, უფალო, და დღეს შენთან ერთად აღვდგებით და ძლევის საგალობელს გიგალობთ ზეცის თანაბიარნი.

დღესასწაულთა დღესასწაული ფართოდ აღებს მორწმუნეთა გულის კარს, და ჩვენც, არამიწიერი სიხარულით აღვსილნი, ყველას გულითადად გილოცავთ ბრწყინვალე აღდგომას – ზეიმთა ზეიმს.

ქრისტე აღდგა!
ჭეშმარიტად აღდგა!

აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 2000 წ.

საშობაო ეპისტოლე

2001 წ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის
ყველა ღვთისმოყვარე ერთგულ შვილს:
ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო,
დიაკონი, ბერ-მონაზონო, ქართლ-კახეთის, სამცხე-ჭავახეთის,
იმერეთის, სამაჩაბლოს, დიდაჭარის, აფხაზეთის, მთიანეთის,
საინგილოს, გურია-სამეგრელოს, სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის –
სრულიად საქართველოს მკვიდრნო, სამშობლოს ფარგლებს
გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო.

„მადლი ღმერთს, რომელმაც მოგვცა ჩვენ ძლევა
უფლის ჩვენის იესო ქრისტეს მიერ“ (1 კორ. 15, 57).

 ღსრულდა დიადი საიდუმლო – უფალი უფლებათა, მომ-
ნიჭებელი მშვიდობისა და სათავე სიმართლისა, მეუფე მე-
უფეთა „გამოჩნდა ხორცით“ (1 ტიმ. 3, 16). მადლობას ვსწირავთ მას

ჩვენი ხსნისათვის გაღებული უდიდესი მსხვერპლისა და იმ მზრუნველობისთვის, რასაც იგი საუკუნეთა მანძილზე იჩენდა და იჩენს ჩვენ უღირსთა მიმართ.

საქართველოს ისტორია სავსეა ღვთის უშურველი წყალობითა და დიდი განსაცდელებით, ჩვენს საწვრთნელად და გამოსასწორებლად რომ უშვებდა უფალი ჟამითი ჟამად.

დიდება და მადლობა მას ყველაფრისათვის.

როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი წყობა ორი საფუძვლიდან ერთ-ერთს ეყრდნობა – ან ღვთის განგებულებას, ან ხალხის სურვილს.

შუა საუკუნეების ევროპაში უარყო რა ტრადიციული წესები, ხალხის ნება წამოსწია წინ და წამოაყენა ლომუნგი – ძმობა, ერთობა, თავისუფლება. ერთი შეხედვით ეს მშვენიერი მოწოდება მაღლ ცარიელ ფრაზად იქცა, რადგან არ იყო გათვალისწინებული რეალობა იმისა, რომ სინამდვილეში ადამიანები არ არიან თანასწორნი და არც თვისებებითაც ერთნი; ამიტომაც ჩვენთვის დამახასიათებელ თვისებებზე დაყრდნობით სიმართლისა და სამართლიანობის მიღწევის მცდელობა მცდარია.

როდესაც დასავლეთში სოციალური რევოლუცია საბოლოოდ გაიმარჯვებს, – წერდა ჰერი კიდევ XIX ს-ში ცნობილი ფილოსოფოსი ვ. სოლოვიოვი, – დაინახავენ, რომ სინამდვილეში ამ გამარჯვებას ნაყოფი არა აქვს, რომ შეუძლებელია მიწიერ ყოფაზე დაფუძნებული, ურთიერთ შეთანხმებული საზოგადოებრივი წყობის აშენება; დაინახავენ, რომ სწორედ ადამიანის ნების დამკვიდრების სურვილი არის სათავე დიდი განსაცდელისა და პესიმიზმით შეპყრობილი საზოგადოება მოემზადება მიიღოს ჭეშმარიტი რელიგია. ეს იქნება გარდამავალი ეტაპი რელიგიური წარსულიდან რელიგიური მომავლისაკენ.

ოდენ ჭეშმარიტ რელიგიას აქვს უნარი განაახლოს ჩვენი სულიერი სამყარო, რაღაც მხოლოდ მასში არის შესაძლებელი ადამიანთა ნებაყოფლობითი დაქვემდებარება ზნეობრივი საწყისისადმი, რომელთან მიმართებაშიც ყველა თანასწორია (ტომი III, გვ. 14).

აქ იერარქია თუმცა მკვეთრადაა დაცული, მაგრამ მოქმედებს უმაღლესი პრინციპი: ვისაც უნდა პირველყოფა, იყოს იგი ყველას მსახურ (მარკ. 10, 44); იმიტომაცაა ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოება მომნიჭებელი ნამდვილი თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობისა, რომ იგი თვითდამკვიდრების უარყოფის პრინციპს ეფუძნება: „რომელმან წარინყმიდოს სული თვისი მოყვასისათვის, მან პოვოს იგი“, – ბრძანებს მაცხოვარი.

ძველ აღთქმაში ღვთისგან ადამიანისთვის ბოძებული შეუფასებელი სიმდიდრე სამოთხე იყო, რომელშიც იგი ღვთის მოწყალებით ცხოვრობდა, მაგრამ ადამიანმა ვერ შეითერა ეს საოცარი საჩუქარი და იგი თავისი ყოფის აუცილებლობად და უფლებად მიიჩნია, რის გამოც, ამპარტავნებით შეპყრობილი, მწარედ დაისაჭა. გაძევებული ადამიანის ცხოვრება იმდენად დასცილდა თავის პირველ მდგომარეობას, რომ სამოთხისეულ ყოფასთან შედარებით მისი მდგომარეობა სრულიად მიუღებელი გახდა; ამიტომაც კაცთათვის გაქრა და დაითარა ედემი და იგი ზეცაში იქნა გადატანილი. ადამიანის სამყოფელად კი იქცა მიწა, სადაც ბუნებაცა და ცხოველებიც პირველქმნილი ცოდვის ბეჭდით დაიდაღნენ.

სამოთხე დაიკარგა და ძველი სახით მისი დაბრუნება შეუძლებელი გახდა. მიწიერმა ედემმა ადამიანის სულში გადაინაცვლა და ზეციური სამშობლოს ანარეკლად იქცა. ამიტომაც უგუნურებაა საზოგადოების ნაწილის დაუსრულებელი მცდელობა, ხელოვნურად შექმნან სამოთხე დედამიწაზე. რამდენი რევოლუცია ახსოვს კაცობრიობის ისტორიას, მაგრამ ყოველი მათგანი წარუმატებელი იყო. ეს

ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ადამიანის ბუნების დაცემამ ისეთი მასშტაბური სახე მიიღო, მიწიერ სამოთხეზე ფიქრიც კი დაუშვებელია და თუ მსგავსი მსჯელობა მაინც სადმე თავს იჩენს, ის აუცილებლად გულისხმობს „სამოთხეს“, ოღონდ უღმერთოდ.

ნამდვილი სამოთხის კარი კი, არა თვითდამკვიდრების მოსურნე ადამიანის მცდელობით გაგვეღო, არამედ ამქვეყნად ჩვენი ხსნისათვის განხორციელებული ღმერთის, იესო ქრისტეს თავგანწირული სიყვარულის წყალობით.

შობა ქრისტესი არის უმთავრესი მოვლენა კაცობრიობის ისტორიისა. პატარა ქალაქი ბეთლემი იქცა არა მარტო ქრისტიანთა, არამედ მთელი სამყაროს ცენტრად. აქ საფუძველი ჩაეყარა ახალ ედემს, ზეციურ სამოთხეს დედამიწაზე, რომლის პატრონიც არის არა ადამი – ჰიოვნება, არამედ ახალი ადამი – ღმერთვაცი იესო ქრისტე.

ახლადშობილი მარადიული ყრმის დაბადებით ღმერთმა კვლავ დაიწყო ცხოვრება კაცთა შორის. ბეთლემში შეერთდა ცა და დედამიწა, მოხდა შერიგება შემოქმედთან და ამის წყალობით ერთი შეხედვით ღვთისგან მიტოვებულ და შერყვნილ ჩვენს ხორციელ სამოსში ნათლისღებით განახლებულმა სიცოცხლემ იფეთქა; ამ სასწაულს მეორედ შობა, ანუ ჩვენს სულში ქრისტეს დაბადება ჰქვია.

უნებურად გვახსენდება ამ საოცარ ადგილთან დაკავშირებული ბიბლიური მოვლენები. ბეთლემთან ახლოს არის საფლავი ძველი აღთქმის დიდი მამის, იაკობის საყვარელი მეუღლის, რაქელისა; აქვეა რამას ნანგრევები: ადგილი, სადაც სრულიად უდანაშაულო 14000 ყრმის სისხლი დაიღვარა. აი, ის მინდვრებიც, სადაც სიკეთით სავსე რუთი თავის დედამთილთან ერთად ხორბლის ნარჩენებით იორჩენდა თავს და სადაც შემდეგ მისი შვილთაშვილი – ყმაწვილი დავითი, ყრმობის წლებს ატარებდა.

ბეთლემის მთები, გამოქვაბულები და ხეობები დავითის სულით არის გაჯერებული. აქ გალობდა ის თავის საოცარ ფსალმუნებს, აქ უვლიდა ცხვრის ფარას, აქ მოიძია იგი წინასწარმეტყველმა სამუელმა და სცხო მირონი მეფობისა. ამიტომაც ეწოდა ამ ადგილს დავითის ქალაქი.

აქვე, აღმოსავლეთით მდებარეობს ის ველი, ის ადგილი, სადაც გაიგონეს მწყემსებმა ანგელოზთა საოცარი საგალობელი: „დიდებად მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშვდობად და კაცთა შორის სათნოებად“.

დიახ, ბეთლემში, დავითის ქალაქში, იშვა მესია, მხსნელი სოფლისა და აღსრულდა ძველი აღთქმის უმთავრესი წინასწარმეტყველება. მაშინ იუდეველთა სამეფოს უცხო ტომის წარმომადგენელი, კეისრის ერთგული მსახური და ამასთან მრისხანე ტირანი, პეროდე მართავდა; ქვეყანაში ზნეობა მეტად დაცემული იყო; ცოლქმრული ურთიერთობა – დარღვეული და შებილნული; შვილებისადმი მშობლების დამოკიდებულება – გულგრილი და ხშირად დანაშაულებრივი; დარიბების ყოფა – ცხოველებისაზე უარესი; იმპერატორი კი განდიდებული – ვითარცა ღმერთი.

მიუხედავად საერთო სავალალო მდგომარეობისა, ისრაელში სინმინდით გამორჩეული მორწმუნებიც იყვნენ. სწორედ მათ შორის გამოარჩია შემოქმედმა ის პიროვნებანი, რომელნიც მსოფლიოს გარდაქმნის თანამონაწილეებად იქცნენ.

თავდაპირველად ღვთის საიდუმლო ორ ოჭახში განცხადდა. ამ უდიდესი წყალობის ღირსნი გახდნენ ლევიტელთა შთამომავალნი – ელისაბედი და ზაქარია – იოანე ნათლისმცემლის მშობლები და დავითის შთამომავალნი, ნაზარეთის მკვიდრნი, მარიამი და მისი დამწინდველი მართალი იოსები.

ცოლქმრის ურთიერთობა, ოჭახის რაობა, მაცხოვრის მოვ-

ლინებამ სულ სხვა სიმაღლეზე აიყვანა. ამიტომაც ამ ეპისტოლეში განსაკუთრებული ყურადღება აღნიშნულ საკითხს მინდა მივაქციო. ოჯახის იდეალად იქსო ქრისტემ დასახა მისი და ეკლესიის დამოკიდებულება: როგორც ეკლესია ემორჩილება ქრისტეს, ასევე ცოლებიც – თავიანთ ქმრებს ყველაფერში, „ვინაიდან ქმარია ცოლის თავი, ისევე როგორც ქრისტე თავია ეკლესიისა...“

ქმრებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები, ისევე როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია, და მისცა თავი თვისი მისთვის“ (ეფეს. 5, 23-25).

სახარებიდან ნათლად ჩანს, რომ ადამიანთა შორის არცერთ ურთიერთობას არა აქვს ისეთი მაღალი დანიშნულება, როგორც ცოლ-ქმრის ურთიერთობას, რომელთა წმიდა კავშირიც უფლისაგან განუყოფელი თანაცხოვრებისთვისაა დალოცვილი.

ქალზე დიდად არის დამოკიდებული, თუ რამდენად იღბლიანი იქნება ქორწინება. ამიტომაც თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ ვის ირჩევს ადამიანი ცხოვრების თანამგზავრად. ასევე გასათვალისწინებელია ის წინაპირობანი, რაც განსაზღვრავს ამ კავშირს. თუ ოჯახის შექმნას მხოლოდ ხორციელი ვნება ან ანგარება განსაზღვრავს, ფაქტობრივად იგი თავიდანვე განწირულია დარღვევისათვის, რადგან მიწიერ, წარმავალ ღირებულებებზეა დაფუძნებული.

გარეგნულმა სილამაზემ, – წერს წმიდა იოანე ოქროპირი, – მიჩვევა იცის და დროთა განმავლობაში მის მიმართ ინტერესი იკარგება, ხოლო მშვენიერება სულისა პიროვნებას ყოველდღიურად განმაახლებელ ძალას ანიჭებს და მიმზიდველს ხდის მასთან ურთიერთობას. ამ სილამაზეს ვერც სიბერე, ვერც ავადმყოფობა ვერ წამლის.

ღვთისმოშიშება, თავმდაბლობა, სიბრძნე, კეთილგნეობა... – ის თვისებებია, რომელიც კარგი ოჯახის არსებობისთვის აუცილებელ

საფუძველს ქმნის. გავიხსენოთ ნეტარი ავგუსტინეს დედა, რომელ-საც არ უჭირდა უხასიათო მეუღლესთან საერთო ენის გამონახვა და ამიტომაც მასთან ხშირად მიდიოდნენ მეზობელი ქალები, რათა ესწავლათ, როგორ ახერხებდა იგი ქმართან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნებას.

— როცა მეუღლე უხასიათოდა, ცუდ განწყობილებაზეა, გაღიზიანებულია და რაიმეს არასწორად ამბობს, — არიგებდა იგი ახლობლებს, არ ვეკამათები, არამედ მოთმინებით ვლოცულობ, რომ ღმერთმა მოხედოს და სიმშვიდემ დაისადგუროს მის გულში. მართლაც, მალე ყველაფერი წყნარდება და პრობლემები იხსნება. ეს რჩევა ყველა დროსა და ყველა სიტუაციაში შედევის მომტანია.

ასევე აუცილებელია, რომ ქორწინება ეკლესიის (ანუ ღმერთის) მიერ იყოს ნაკურთხი, თუმცა ესეც არ არის საკმარისი. საჭიროა შემდგომში მეუღლეებმა თავიანთი ცხოვრება ისე წარმართონ, რომ ღვთის მადლი არ განეშოროთ და მათი კავშირი ურთიერთსიხარულის მოტანის ნაცვლად ათას უბედურებათა წყაროდ არ იქცეს.

მეფე და დედოფალი, — ასე უწოდებენ ჰვარდანერილთ. ეს არ არის ახლად შეუღლებულთათვის ერთი-ორი დღის ვადით მინიჭებული სახელწოდება. საერთოდ, ოჯახში მამა უნდა მეფობდეს და დედა დედოფლობდეს.

ის, რომ მამა აღიარებულია ოჯახის თავად და ავტორიტეტად, აიძულებს მას, ყოველი ნაბიჭი მოზომოს, რათა შეინარჩუნოს თავისი მდგომარეობა და შვილებისა და მეუღლის წინაშე არ დამცირდეს. ამასთან უპირატესობა ავალდებულებს, განსაკუთრებულად იზრუნოს როგორც მეუღლებზე, ისე შვილებზე და საჭიროების შემთხვევაში მათ დასაცავად სიცოცხლეც არ დაიშუროს.

რაც შეეხება უშუალოდ ცოლქმრულ ურთიერთობებს, აქ მეუღლეთა შორის თანასწორობაა. ქმარი არ არის პატრონი თავისი

სხეულისა, არამედ – ცოლი; და ასევე, ცოლი არ არის განმგებელი თავისი სხეულისა, არამედ – ქმარი. ქმარს არა აქვს უფლება განებოროს ცოლს მისი დასტურის გარეშე და ასევე ცოლს – ქმრის უნებართვოდ. შევნიშნავთ იმასაც, რომ დღეს, ზოგიერთი ფილმისა და უურნალ-გაზეთის გავლენით, ოჭახური ურთიერთობის სიწმინდე მეუღლეთა შორის დარღვეულია. არადა, გაუკულმართებული და-მოკიდებულებანი მოქმედებს ფსიქიკაზე, არღვევს ჭეშმარიტ სიყვარ-ულს და აუცილებლად იწვევს დიდ გართულებებს ცოლ-ქმარს შორის, რადგან ღმერთი სკის ადამიანებს ამ ყველაზე სათუთი და მაღალი გრძნობების შეღახვისა და შერყვნისათვის.

ღმერთი ასევე პასუხს მოსთხოვს მეუღლეთ ღალატისათვის. იგი მეორე ნახევრის წინაშე ჩადენილ ისეთ დიდ ცოდვადაა მიჩნეული, რომ წმიდა წერილი, რომელიც ადამიანებს თვით ყოვლად უხასიათო, შურიან, ანჩხლ, ლოთ მეუღლესთან შეძლებისდაგვარად მშვიდობიან თანაცხოვრებას ურჩევს, ასეთ შემთხვევაში განქორნინების ნებას იძლევა.

ოჭახში ნორმალური ცხოვრების დამკვიდრებისთვის აუცი-ლებელია უფროსის პატივისცემა, იერარქიის დაცვა, მოთმინების უნარი. ასევე უდიდესი სათნოებაა თავდადება. ღირსეული მეუღლენი ერთმანეთისა და შვილებისადმი სწორედ მსხვერპლშენირული სიყ-ვარულით ცხოვრობენ, რაც მოყვასისადმი მათ ქრისტიანულ დამოკ-იდებულებას განაპირობებს.

ოჭახში დიდი პრობლემები იქმნება, თუ მისი რომელიმე წევრი ლოთობს ან ნარკომანია. იგი, ერთი მხრივ, სასიკვდილო განაჩენს უმზადებს თავის სულს, მეორე მხრივ, გამოუსწორებელ დაღს ასვამს გარშემომყოფთა (განსაკუთრებით კი, ბავშვების) შინაგან სამყაროს. მართალია, ძნელია ამ სენისაგან განთავისუფლება, მაგრამ ღვთის წყალობით მიუღწეველი არაფერია; თუ ოჭახის სხვა წევრები შეძლე-

ბენ ცხოვრების სწორი წესის შენარჩუნებას და ურთიერთსიმძიმის ტვირთვას, ბოროტის გავლენისაგან სულის დახსნა გაადვილდება.

ნარკომანიაც და ლოთობაც დღეს ჩვენი ახალგაზრდობის ნაწილისათვის დამახასიათებელ საშინელ რეალობად იქცა. ამას სხვადასხვა გარემოება უწყობს ხელს. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი უსაქმურობაა; არადა არ შეიძლება, რომ ადამიანმა არ იშრომოს. ისეთი ცნობილი მამებიც კი, რომელნიც ათეულ წლობით განდგომილ ცხოვრებას ეწეოდნენ და პურითა და წყლით საზრდოობდნენ, შრომას თავიანთი ყოფის აუცილებელ პირობად თვლიდნენ და სხვათაც ურჩევდნენ, რაიმე ხელობას დაუფლებოდნენ, ლოცვა და შრომა ყოველდღიურ წესად ექციათ.

სამწუხაროდ, ჩვენი ხალხის დიდ ნაწილში დაკარგულია განცდა იმისა, რომ უშრომლად ნაშოვნი ლუკმა საწამლავია; რომ ის, რაც ჩვენი ოფლით არ არის მოპოვებული, არ გვეკუთვნის და ეშმაკის მიერ შემოთავაზებული თვალისმომჭრელი საცდურია. ასეთი შხამით ნასაზრდოები ცაკლეული ადამიანი თუ ოჭახი ბედნიერი ვერასოდეს იქნება.

ოჭახური ცხოვრება მეტად რთულია და მის კეთილდღეობას მრავალი სხვა პირობა განსაზღვრავს. დღეს, როდესაც სამსახურებრივი დატვირთვის გამო მამის მსგავსად დედაც გამოსულია სახლიდან, ბავშვების აღზრდაში ძალიან დიდ ადგილს იკავებს სკოლა. სკოლა და მისი გარემო მოზარდისთვის მეორე ოჭახია, სადაც, ერთი მხრივ, ხდება განმტკიცება შინ ნასწავლი ჩვევებისა და, მეორე მხრივ, გადაფასება იქ შეძენილი ცოდნისა. ამასთან, სკოლა ის ადგილია, სადაც მოზარდში ყალიბდება მოყვასისადმი დამოკიდებულების ძირითადი ფორმები.

„შეიყვარე ღმერთი ყოვლითა გულითა, გონებითა და ყოვლითა სულითა შენითა. შეიყვარე მოყვასი შენი ვითარცა თავი თვისი“,

– ბრძანებს უფალი. აი, ამ ორ მცნებაზეა დაფუძნებული ქრისტიანული გნეობისა და აზროვნების მთავარი არსი. ამიტომაც ძალიან დიდია პასუხისმგელობა პედაგოგებისა, რადგან მათ წინაშე და მათი ზედამხედველობით ათასობით ბავშვის – საქართველოს მომავლის შინაგანი სამყარო ყალიბდება. ჩვენს სკოლებსა და სასწავლებლებში კი არ ასწავლიან, მაგალითად, მოზარდები სხვადასხვა სიტუაციაში როგორ უნდა მოექცნენ მშობლებს, და-ძმებს, მეგობრებს; რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ მათ ავადმყოფთა, მოხუცთა, უცხოთა, თვისტომთა, საკუთარი მტრებისა თუ სხვათა მიმართ ავისმქმნელთათვის; არ ასწავლიან იმას, თუ რა არის სინამდვილეში ბოროტება, რა – სიკეთე; რისთვის არის ადამიანი ამქვეყნად გაჩენილი, რა უნდა იყოს მისი ცხოვრების მიზანი და რატომ?

არადა ამ კითხვებზე სწორი პასუხის გაცემა ხშირად პედაგოგებსაც არ შეუძლიათ, რაც გასაკვირი არ არის, რადგან ისინი ათეისტური ყოფის პირობებში გაიზარდნენ. ამიტომაც დღეს განსაკუთრებით დიდია როლი ეკლესიისა და მოძღვრისა; როგორც ცალკეულ ოჯახს, ისე სკოლას თავისი მოძღვარი უნდა ჰყავდეს, რათა მისი დახმარებით, სულიერი საუბრებით, ლოცვით, აღსარებითა და ზიარებით ყოველმა ადამიანმა თავისი ცხოვრებით შექმნას ჭვარი, რომლის ვერტიკალი დაუსრულებლად ლვთისაკენ მიემართება, პორიზონტალური ხაზი კი – მოყვასისაკენ.

ბოლოს თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო კაცობრიობის, ალბათ, ყველაზე დიდ ცოდვაზე – აბორტზე.

ბავშვები ხელს შეგვიშლიან, არა გვაქვს საშუალება მათი რჩენისა, ზედმეტი პრობლემები შემექმნება, მინდა ცხოვრებისაგან მეტი სიამოვნება მივიღო – აი, მიზეზები, რომლებიც განაპირობებს აბორტის გავეთებას. მაგრამ სიამოვნების ნაცვლად ამ ცოდვის ჩამდენ მეუღლეთა ცხოვრება თანდათან წამებად იქცევა: შვილები

მშობლებს აღარ ემორჩილებიან, ბავშვები ავადმყოფები ჩნდებიან, თვითონ დედ-მამას კი სხვადასხვა დაავადება ახსენებს თავს, გულ-გრილი ხდება მათი ურთიერთობაც და ღალატი ცხოვრების წესად ექცევათ. ან კი როგორ შეიძლება მშვიდობა და კეთილდღეობა მოიპოვონ ასეთი საშინელი ცოდვის საფასურად.

ხშირად აბორტს უმნიშვნელო დანაშაულად მიიჩნევენ იმის გამო, რომ ამის მოქმედნი მრავლად არიან და მიმბაძველობა დამნაშავეთ პასუხისმგებლობისაგან თითქოს ათავისუფლებს; მიაჩნიათ ისიც, რომ, რაკი ბავშვი ჰერ ისევ დედის მუცელშია და არ დაბადებულა, ადამიანის გრძნობა და თვისებები არა აქვს. ამასთან იგი აღიქმება, როგორც დედის სხეულის რაღაც მცირე ნაწილი, რომელ-საც მშობელი სურვილისამებრ შეიძლება თავისუფლად მოექცეს. ასეთი ფიქრი უდიდესი შეცდომაა.

ეკლესიის მიერ იმთავითვე აღიარებული ფაქტია და თანამედროვე მედიცინაც მეცნიერულად ამტკიცებს იმას, რომ ადამიანი დამოუკიდებელ არსებობას ჩასახვისთანავე იწყებს და იგი ამ მომენტიდან უკვე პიროვნებაა. აღარაფერს ვამბობთ 7, 10, 12 კვირის ნაყოფზე, რომლის ქმედებანიც ადამიანური თვისებების აშკარა გამოვლინებებით ხასიათდება. ამიტომაც არანაირი მნიშვნელობა არა აქვს სამი თვის (უფრო მეტის, თუ უფრო ნაკლების) მუცელში მყოფ ყრმას მოკლავს დედა, თუ უკვე გაჩენილ სამი თვის (გინდაც 10, 20, 30 წლის) შვილს. რატომ არის ნებადართული და ჩვეულებრივ მოვლენად მიღებული პირველი ფაქტი, მეორე კი დიდ დანაშაულად მიჩნეული და საერო სამართლის სასკელს დაქვემდებარებული? ეს ხომ ანომალიაა.

ტექნიკის განვითარებამ შესაძლებელი გახადა თანამედროვე ამერიკელი მეცნიერის ბერნარდ ნათანსონის მიერ გადაღებული ფილმის („უმო ყვირილი“) საშუალებით ჩვენი თვალით დაგვენახა და

გვევრდნო ის შემაძრნუნებელი შიში და ტკივილი, რასაც სიკვდილის მოლოდინში მუცელში მყოფი ყოვლად უმწეო ნაყოფი განიცდის. რა შეედრება იმ ცოდვის სიმძიმეს, როცა ესა თუ ის პიროვნება საკუთარი შვილის უმოწყალო მკვლელი ხდება; აბორტის გამო პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც დედას, ისე მამას (თუ ეს მისი თანხმობითაც მოხდა). ჩვენი საზოგადოება სავსეა შვილისმკვლელი მშობლებით და ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ მათ ცოდვის შესატყვისი განცდა არა აქვთ.

დღეს ჩვენი ქვეყანა მრავალი პრობლემის წინაშე დგას. გადაუჭრელი და გამოსასწორებელი ბევრი საკითხია, რომელიც საზოგადოებისგან სწრაფ რეაგირებას ითხოვს, მაგრამ არაფერს არ ექნება აზრი, თუ ჩვენ ამ საშინელი სენისაგან არ განვთავისუფლდებით, თუ ჩვენს მომავალზე სერიოზულად არ ვიზრუნებთ. უპირველეს ყოვლისა, უნდა დავთიქტდეთ იმაზე, თუ რა თვისების მატარებელი იქნება ის თაობა, რომლის დედაც, მამაც, ბებიაც, დეიდაც და, საერთოდ გარშემო მყოფთა წრე, უსასტიკეს მკვლელობათა ჩამდენია. ეს ცოდვა ბუმერანგივით მოუბრუნდება ყველას.

მე მჯერა, რომ სინდისის ხმა გაიღვიძებს თქვენში. არ არსებობს დედა, რომელიც ქვეცნობიერად მაინც არ გრძნობდეს ჩადენილი ცოდვის სიმძიმეს და მწუხარება და სირცხვილი არ აშთოთებდეს მის სულს.

ჩვენო დედებო, ჩვენო მშობლებო, ჩვენო საყვარელო სულიერო შვილებო, ნუ დაიდებთ შვილის მკვლელობის უსაშინლეს დანაშაულს; ნიშნად იმისა, რომ ჩვენი ერი ნელა, მაგრამ მაინც უბრუნდება ჭეშმარიტების გზას, ნიშნად ახლადშობილი მაცხოვრისადმი ჩვენი გულწრფელი სიყვარულისა, დადეთ პირობა, რომ აღარ დაუშვებთ თქვენს წიაღს შეფარებული, თქვენს იმედად მყოფი, თქვენდამი საოცარი სიყვარულით გამსჭვალული თქვენი ნაშიერის უმოწყალო მკვლელობას.

მინდა ერთი იგავი გავიხსენო: მდიდარი გავლენიანი კაცი თავის სახლში სარკმელთან ახლოს იჭდა, როცა გაიგონა ჭიშკართან მდგომი ბერის სიტყვები, დარაჯს რომ ეუბნებოდა: შემიშვი ამ სასტუმროში, ცოტა ხანს მინდა აქ გავჩერდეო. ის კი ეწინააღმდეგებოდა და პასუხობდა, რომ ეს სახლი კერძო ბინა იყო და არა სასტუმრო. მდიდარი კაცი თვითონ გამოვიდა ბერთან და მსახურის სიტყვები დაადასტურა.

ბერმა მას ჰკითხა, თუ ვისი აშენებული იყო ეს შენობა.

- პაპაჩემის, – იყო პასუხი.
- მის შემდეგ ვინ ცხოვრობდა აქ?
- მამაჩემი და მისი ოჭახი. ახლა კი მე ვარ.
- და შენს შემდეგ ვინ უპატრონებს აქაურობას?
- ჩემი შვილი.
- ჩემო ბატონო, განა ეს სახლი არ არის სასტუმრო, რომელშიც უკვე თურმე ამდენმა ადამიანმა იცხოვრა?

მდიდარი მიხვდა ბერის ნათქვამის სიღრმეს, შინ მიიპატიჟა იგი და გულითადად უმასპინძლა.

მართლაც, ჩვენი მიწიერი ყოფა მგზავრობას ჰგავს; ამიტომაც ვისაც არ ახსოვს, რომ იგი სტუმარია წუთისოფლისა და დღეს თუ ხვალ მარადიულ ცხოვრებას უნდა ეზიაროს, გამოუსწორებელ შეცდომებს უშვებს; ხოლო ვისაც შესწევს ძალა, მოსწყვიტოს თვალი მიწიერ საცდურთ და იგი ზეცას მიაპყროს, იგრძნობს, რომ „ჩვენი ბრძოლა არ არის სისხლისა და ხორცის მიმართ, არამედ... ამ წუთი-სოფლის სიბნელის მპყრობელთა წინააღმდეგ“. მაშ, ავიღოთ ფარი რწმენისა, რომლითაც შევძლებთ ბოროტის გავარვარებული ისრების მოგერიებას, ავიღოთ ჩაჩქანი ხსნისა და მახვილი სულისა – სიტყვა ღვთისა (ეფეს. 6, 12-13).

ამქვეყნად ჩვენი მგზავრობის პერიოდში დასრულდა ქრისტიანული მსოფლიოს 2000-წლოვანი ისტორია. იწყება დროის ათვლა

მესამე ათასწლეულისა. დაე, ჭეშმარიტი სარწმუნოების, უფლისმიერი მშვიდობის, ღმერთთან შერიგებისა და ერთობის, სულიერი სიხარულისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს იგი თითოეული ჩვენგანისათვის, ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოსათვის.

მწამს, რომ თუ 2000 წლის წინ ცოდვით დაცემულ ისრაიტელთა შორის აღმობრნებინდა ისეთი თვალშეუდგამი სიწმიდე, რომელმაც თავის წიაღში დაიტია უფალი ჩვენი იესო ქრისტე, გარდამქმნელი კაცობრიობის ცხოვრებისა, ჩვენს ერშიც (რომელიც ღმერთმა მოსიყვარულე გულით დააჭილდოვა), არ დაილევა კეთილგონიერ ადამიანთა და გამორჩეულ სასულიერო პირთა, ღვთის სათნო ოჯახთა სიმრავლე და მათი პირადი მაგალითითა და ლოცვით, თითოეული ჩვენგანის ზრუნვით, გადარჩება და განბრნებინდება სრულიად საქართველო.

გაიხარეთ, რამეთუ „ჩვენთან არს ღმერთი“.

შობა ქრისტესი
თბილისი, 2001 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

2001 წ.

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო,
დიაკონი, ბერ-მონაზონი, ღვთივაურთხეულნო, ღვთივრჩეულნო
შვილნო საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიისა,
უფალი მოგვმართავს თითოეულ ჩვენგანს და გვეუბნება:

„მოაწია ჩემმა დრომ; შენთან ვყოფ პასექს
ჩემს მოწაფეებთან ერთად“ (მათ. 26, 18).



კვიდრნო ივერიისა და სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხო-
ვრებნო თანამემამულენო, განიხარეთ, რამეთუ

ქრისტე აღდგა!

„პოი, პასექო, დიდო და დიდებულო, ქრისტე! პოი, სიბრძნეო და სიტყვაო და ძალო, მომეც ჩვენ სავსებით მოღება მაღლთა შენთა დაუღამებელსა მას დღესა სუფევისა შენისასა“ (ტროპარი, პასექის IX გალობა).

აღდგომა ქრისტესი უდიდესი საიდუმლოა, რომლის ჭეშმარიტ სიღრმეს ვერასოდეს შეიცნობს ადამიანის გონება. ეს არის საიდუმლო ჩვენი გამოსყიდვისა და გადარჩენისა; დღეს ზეიმობს ცა და მიწა, რადგან თავისი აღდგომით მაცხოვარმა სიკუდილი დათრგუნა. „სადა არს, საწერტელი შენი, სიკუდილო? სადა არს, ძლევად შენი, ჭოჭოხეთო?“ (ოს. 13, 14).

შეიმუსრა ქვესკნელი, დაემხო ბოროტების ტახტი, იხარებენ მართალნი და იშვებენ ქრისტესთან. „სიკუდილითა სიკუდილისა შემუსვრასა ვდღესასწაულობთ, დასაბამსა და მიზეზსა ახლისა ცხოვრებისასა, ვუგალობთ მხოლოსა კურთხეულსა, ღმერთსა მამათასა და ზესთა ამაღლებულსა“ (ტროპარი, პასექის VII გალობა).

უფალმა განგვიღო თვისი სამყოფელი და მოგვცა შესაძლებლობა, დავიმკვიდროთ ცათა სასუფეველი – ვეზიაროთ მარადიულ ცხოვრებასა და დაუსრულებელ ნეტარებას მისსა. მაგრამ, მზად ვართ, რომ მივიღოთ ეს საოცარი წყალობა? მზად არის ჩვენი გული, რომ იქცეს იგი ტაძრად სულისა წმიდისა, ტაძრად ჭეშმარიტი რწმენისა, შეურყეველი სასოებისა და უნაპირო სიყვარულისა, სიკეთისა და თანალმობისა?

ნათელი ქრისტესი განანათლებს ყოველთა, რომელთაც სურთ, ისმინონ ღვთის სიტყვა. უფლის მცნებები არის მანათობელი ჩვენი შინაგანი სამყაროსი. ისინი საშუალებას გვაძლევენ ჩავიხედოთ სულიერ სარკეში და დავინახოთ, თუ როგორნი ვართ სინამდვილეში; ავია თუ კარგი ჩვენი საქმიანობა, ჩვენი სიტყვა, ფიქრი და ზრახვა; ვართ თუ არა მართალნი საკუთარი თავის, ღვთისა და მოყვასის წინაშე.

ორი ათასი წელია კაცობრიობას საშუალება აქვს მიუკერძოებლად განსაჭოს თავისი თავი და სინანულით აღვსილმა მიიღოს შეწყალება უფლისაგან ცოდვათა გულწრფელი მონანიებით; რაოდენ ამაოა და საწყალობელია ყოფა მათი, რომელთაც ისე გალიეს ეს წუთისოფელი, რომ მხოლოდ მიწიერ სიკეთეთა (ქონების, მდგომარეობის, უზრუნველი ცხოვრების, პატივისა და თანამდებობის) მოხვეჭა დაისახეს ცხოვრების მიზნად და მარადიულ ღირებულებებზე არც კი დაფიქრებულან.

ასეთ ადამიანთა შინაგანი სამყარო დახშულია ღვთის სიტყვისათვის. იესო ქრისტეს ნათელი მათ გულამდე ვერ აღწევს და სიბნელით მოცული მათი სულიერი თვალი, ბუნებრივია, ცოდვებს ვერ ხედავს; რაც, ფაქტობრივად, ნებაყოფლობით უარის თქმას ნიშნავს მარადიულ ნეტარებაზე, გოლგოთის მსხვერპლით მონიჭებულ უფლის საოცარ ძლვენზე.

„მე ვარ პირველი და მე ვარ უკანასკნელიც. ნეტავ ყურადგელო ჩემი მცნებები! მაშინ მდინარესავით იქნებოდა შენი სიმრთელე და ზღვის ტალღებივით – შენი სიმართლე“ (ეს. 48,12,18), – ბრძანებს უფალი და გვაფრთხილებს: „უამი ჩემი ახლოს არს“.

ეს სიტყვები ეხება ყველას, თითოეულ ჩვენგანს. მაცხოვარს სურს, რომ გადავრჩეთ, ღირსნი გავხდეთ ნეტარებისა და ჩვენს გულებში პასექი იზეიმოს.

ძველ აღთქმაში პასექი ნიშნავდა ებრაელთა გამოხსნას ეგვიპტელთა ტყვეობისაგან და ამქვეყნად ღვთის ძის, მესიის მობრძანებას. ახალი აღთქმის პასექი – ესაა გათავისუფლება სიმბოლური ეგვიპტისგან – ცოდვებისაგან და სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე.

ჩვენ რომელს ავირჩევთ, ეგვიპტეს თუ აღთქმულ მინას?

„ადამიანის შინაგან სამყაროში უხილავი ბრძოლა მიმდინ-

არეობს, რომელიც მთელი ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრების მანძილზე გრძელდება. მისი შედეგი მთლიანად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვის ეკუთვნის ჩვენი სული, ვისთან და რასთან არის იგი კავშირსა და ერთობაში“, – წერს ლირსი მამა მაკარი დიდი.

ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებულიც იმავეს ბრძანებს: „აიღე გული შენი და გამოიძიე, სად არის საუნჯე მისი, რით ხარობს იგი, რა აქვს მიზნად და რა მიაჩნია კეთილდღეობად? მაშინ იხილავ, სადა ხარ შენ“.

ცოდვათა დაძლევის პროცესი ადვილი არ არის და დიდ შრო-მასა და ნებისყოფას ითხოვს, მაგრამ, ამავე დროს, ეს არის შინაგანი ნეტარებისა და მადლის მომნიჭებელი ღვაწლი, მსვლელობა ცად აღმყვანებელ კიბეზე, რომლის თითოეული საფეხურის დაძლევა გარკვეული გამოცდის ჩაბარების ფასად ხდება. ამიტომაც, არ უნდა შევუშინდეთ განსაცდელს. იგი საშუალებაა სულიერი წრთობისა და ცოდვათაგან განთავისუფლებისა. იგია ნიშანი სულიერ კიბეზე ზესვ-ლის დაწყებისა, ხოლო ვინც არ შედგომია ამგვარ ამაღლებას, იგი შორსაა სულიერი ბრძოლისა და განსაცდელისაგან.

უნდა იცოდეთ ისიც, რომ უფალი ხედავს ჩვენს ყოველ ნაბიჯს, აზრის ყოველ მოძრაობას, იცის ჩვენი შესაძლებლობანი და თუ ძალიან გაგვიჭირდება, ჩვენს ჰვარს იტვირთებს და შეგვიმსუბუქებს სიმძიმეს მისას. ქრისტეს გზა ვიწროა და ეკლიანი, მაგრამ ერთად-ერთია და გადამრჩენელი. იგი ჰვარცმაა, მაგრამ აღდგომაც არის.

ყველაზე მძიმე ბრძოლა საკუთარ თავთან გვიჩევს. ჰერ კიდევ ანტიკურ ხანაში იცოდნენ ამ ჭეშმარიტების შესახებ. დანანებით ამ-ბობს ალექსანდრე მაკედონელზე მისი ბიოგრაფი კვინტუს კურციუსი: „ის, ვინც ვერ გატეხა სპარსთა ურიცხვმა ლაშქარმა, დამარცხდა ვნებათაგან“.

ჰვარცმის (ანუ განსაცდელის) გარეშე არ არსებობს აღდგომა

და ამაღლება. და თუ ჩვენ გვსურს, ვიყოთ ქრისტიანი, ვიყოთ ქრისტეში და ქრისტესთან, უნდა განვვლოთ ვნებისა და ტანკვის გზა, რათა შემდეგ გამარჯვებულებმა უფალთან ერთად ჭოჭოხეთის შემუსვრა ვიზეიმოთ.

ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ეპოქაში, როდესაც ძალიან ადვილად მყარდება კავშირები როგორც ერთმანეთისგან შორს მცხოვრებ ადამიანებს, ისე ცალკეულ ქვეყნებს შორის. სულ რამდენიმე საათია საჭირო, რომ ფეხი დავადგათ დედამიწის ჩვენთვის სასურველ ნებისმიერ ადგილს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი გვაწვდიან ცნობებს მსოფლიოში მომხდარ ყველა მნიშვნელოვან ფაქტთან დაკავშირებით. ჩვენ თანდათან ვიწყებთ გაცნობიერებას იმისას, რომ შევედით განვითარების ახალ ფაზაში, როცა დედამიწა მრავალრიცხოვან, მრავალფეროვან ერთ ოჯახად იქცა და კაცობრიობის ყოფნა-არყოფნა, შეიძლება ითქვას, ერთგვარად დამოკიდებული გახდა მისი ყველა წევრის გონიერებასა და სიბრძნებე, რადგან დღეს ჩვენ წინაშე არსებულ სხვა გლობალურ პრობლემებთან ერთად კვლავ შეიქმნა საშიშროება მსოფლიო ომის დაწყებისა. ძლიერ ქვეყნებს შორის მიმდინარეობს ბრძოლა გაბატონებისათვის, ერთპოლუსიანი თუ მრავალპოლუსიანი სამყაროსათვის. როგორც არ უნდა დასრულდეს ეს ჭიდილი, სამწუხაროდ, შემდგომში ახალ ზესახელმწიფოთა დაპირისპირებას ვერ ავცდებით და არც იმ ქვეყნის მდგომარეობა იქნება ხანგრძლივი, რომელიც ბოლოს ერთპიროვნულ ლიდერობას მოიპოვებს, რადგან ვერ შეძლებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მუდმივ, სრულ კონტროლს. მერე მოვლენები კვლავ თავიდან დაიწყება, თუ, რა თქმა უნდა, სიცოცხლეს დედამიწაზე არსებობა კიდევ დიდხანს უწერია.

ამიტომაც, უკვე ხშირად საუბრობენ იმის შესახებ, რომ უნდა შეიქმნას უშიშროების ისეთი მექანიზმი, რომელიც აღიარებს

სახელმწიფოთა დღეს არსებულ საზღვრებს და ქვეყანათა შორის წესრიგის დამყარების მიზნით შექმნის საერთაშორისო სამხედრო ძალას, რომელსაც კონტროლს გაუწევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განახლებული სტრუქტურა, ან სხვა რომელიმე ახალი საერთაშორისო ორგანიზაცია. ისეთი პატარა ქვეყნისთვის კი, როგორიც საქართველოა, ალბათ, ყველაზე სწორი პოზიცია, ნეიტრალიტეტია, თუ, რა თქმა უნდა, იგი გარანტირებული იქნება სხვა დიდ სახელმწიფოთა მიერ.

მაგრამ ეს ყველაფერი ცარიელ ფრაზებად დარჩება, თუ კაცთა მოდგმა ვერ ჩასწოდა ჭეშმარიტებას. თუ იგი ვერ ეჩიარა ნამდვილ სარწმუნოებას, მისთვის ყოველთვის მიუწვდომელი იქნება მშვიდობაც და სხვა ისეთი დიადი ღირებულებანიც, როგორიცაა სიყვარული, სიკეთე, სამართლიანობა... რადგან ყოველივე ეს უფლისაგან მომდინარეობს. არასწორი სარწმუნოებით კი ღმერთამდე ვერ მივალთ და ვერც მის მადლს ვეჩიარებით. ამიტომაც არის, რომ ამ ღირებულებათა შესახებ მრავალნი საუბრობენ, ცხოვრებაში მათი დამკვიდრებისთვის ბევრსაც იღვნიან, მაგრამ ყოველივე ეს არარეალურ, უკეთეს შემთხვევაში დროებით შედეგს იძლევა, რადგან მისი საფუძველი ყალბი და არარეალურია.

„შეურიგდით ღმერთს“, – მოგვიწოდებს პავლე მოციქული. აი, გასაღები მშვიდობისა და სიყვარულისა. ამიტომაც წერს წმიდა იოანე ოქროპირი: „ქრისტიანი სხვებისაგან განსხვავებით მრავალი კეთილი თვისებით ხასიათდება, მაგრამ მათ შორის ყველაზე დიდი და საუკეთესოა – უნარი ჭეშმარიტი ურთიერთსიყვარულისა და გამორჩეული სიყვარული მშვიდობისა“.

მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ამა თუ იმ პიროვნებას ან საზოგადოებას, მორწმუნედაც რომ მიიჩნევდეს თავს, შეიძლება საფრთხე როი უკიდურესობიდან დაემუქროს. პირველი

— ეს არის ფანატიზმის, კარჩაკეტილობის, იზოლაციისა და თვითდა-ჰერებულობის მდგომარეობა, მეორე კი, პირიქით, მომდინარეობს თავისუფლების უგუნური გაებიდან, ზედმეტი ლიბერალიზმისა და ყველაფრის ნებადართულობის პრინციპიდან.

ორივე ეს მიმართულება სინამდვილეში ღვთისაგან გაუცხოების შედეგია. იგი თითქმის არასოდეს იყო დამახასიათებელი ჩვენი ხალხისთვის, რადგან ყოველთვის ვეძებდით და კიდევ ვპოულობდით ჩვენს ადგილს ჭეშმარიტების საზღვრებში, მაგრამ დღევანდელ ჩვენს ყოფაში შეიმჩნევა როგორც ერთის, ისე, განსაკუთრებით, მეორე უკი-დურესობის ნიშნები. ამიტომაც მასზე გავამახვილებ ყურადღებას.

თუ პიროვნებას, ხალხს, სახელმწიფოს არა აქვს სწორი რე-ლიგიური და ეროვნული იდეოლოგია, ლიბერალიზმი აუცილებლად მტრების სასარგებლოდ იმუშავებს და შინაგანად მთლიანად დაან-გრევს ქვეყანას. ის უბიძგებს საზოგადოებას ფსევდოდემოკრატიისა და ცრუ თავისუფლებისკენ, გააუთასურებს ეროვნულ ღირებულე-ბებს, დაარღვევს ფორმასა და შინაარსს სახელმწიფოებრივი ცხო-ვრებისა.

უგუნური ლიბერალიზმი, როგორც წესი, სათავეა მრავალი ნეგატიური მოვლენის, მათ შორის კორუფციის, დანაშაულთა გამ-რავლების, საერთო მიშვებულობისა და განუკითხაობისა. ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება, განათლება, ჭანმრთელობის დაცვა, კულ-ტურა... აუცილებლად უნდა ეყრდნობოდეს და გამომდინარეობდეს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან.

სამწუხაროდ, ჩვენ ჭერ კიდევ არა გვაქვს ასეთი იდეოლო-გია. ამიტომაც, უკიდურესობებში ვვარდებით და პრობლემებიც გვიათმავდება. ხომ არ დადგა დრო, საერთო სახალხო დარბაზის შექმნისა, რომელიც ყველა ფენიდან შეკრებს ჭანსაღ, გონივრულ

წინადადებებს და მასალას მოუმზადებს ხელისუფლებას იდეოლოგიის განსაზღვრისათვის?

საერთოდ, უფრო მეტად გვმართებს ანალიტიკური აზროვნების უნარის გამოვლენა, ვიდრე გულის კარნახით სიარული. ჩვენი ყოველი ნაბიჭი აწონილი და გამართლებული უნდა იყოს.

ღირსი მაკარი აღმსარებელი წერს: „სიბრძნე ის არის, რომ საგნები და მოვლენები დავინახოთ ისე, როგორც ისინი სინამდვილეში არიან, მთელი მათი შინაგანი თავისუფლებით“. მართლად ხედვის უნარი კი სუფთა გულიდან მოდის.

ღმერთმა მოგვცეს ძალა სწორი ხედვისა, ღმერთმა მოგვცეს უნარი ჭეშმარიტებასთან ზიარებისა და მაშინ ჩვენ ნამდვილ თავისუფლებას მოვიპოვებთ.

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე განსაკუთრებული პასუხისმგებლობა უნდა იტვირთოს ინტელიგენციამ და ახალგაზრდობამ. სწორედ ისინი უნდა დადგნენ ჩვენი სულიერი და ეროვნული ღირებულებების სადარაჯობები.

მსურს ერთგვარი სიამაყის გრძნობით აღვნიშნო, რომ საქართველოში ინტელიგენტთა შორის თითქმის არ ყოფილან მებრძოლი ათეისტები. მართალია, უმრავლესობამ კომუნისტურ პერიოდში ეკლესიურობა დაკარგა, მაგრამ ღვთის შინაგანი რწმენა შეინარჩუნა და მას ბოლომდე ატარებდა. ამიტომაც იყო, რომ 1977 წელს, როდესაც ღვთის განვებით საპატრიარქო ტახტზე ამირჩიეს, ეკლესიისთვის დასახმარებლად პირველად ინტელიგენცია და ახალგაზრდობა მოვიდა. დიდი მადლიერებით მინდა გავიხსენო ქალბატონი ბაბო (ბარბარე) დადიანი, ალექსანდრე (შურა) ბანქელაძე, გურამ პატარაია, ლევან ცუცქირიძე, ლამარა და გრიგოლ აბაშიძეები, ირაკლი აბაშიძე, ერასტი და ელენე ვაჩნაძეები, ნანა ხატისვაცი, მედეა ჭაფარიძე და რეზო თაბუკაშვილი, ლილი გეგელია, რეზო ჩხეიძე,

მედეა ჩახავა, ზურაბ კიკნაძე, ელგუჯა გიუნაშვილი, გიორგი ცინცაძე,
ბაჩანა ბრეგვაძე და სხვანი.

მათ უთვალთვალებდნენ, ავინროვებდნენ, უშლიდნენ ჩვენთან
სიახლოვეს, მაგრამ ისინი არ უშინდებოდნენ ზეწოლას.

მინდა შევჩერდე ახალგაზრდებზეც, რომელთა ყოფნაც ეკ-
ლესიაში მაშინ, ფაქტობრივად, თავგანწირვა იყო. რამდენი წინა-
აღმდეგობის გადალახვა მოუხდა მაგალითად ზურაბ ჭავჭავაძეს,
რომ წლების განმავლობაში შეენარჩუნებინა თანამშრომლობა და
კავშირი საპატრიარქოსთან. ცნობილი ფილოსოფოსის, ფილოსო-
ფიის ინსტიტუტის დირექტორის, ბატონ ნიკო ჭავჭავაძის შვილი
თავადაც შესანიშნავი მეცნიერი იყო. ზურაბი კომკავშირიდან გარი-
ცხეს, ცილს სწავლიდნენ, ცდილობდნენ, გავლენა მოეხდინათ მის
მშობლებზე, დაემცირებინათ და მძიმე მდგომარეობაში ჩაეგდოთ
მთელი ოჯახი.

ეს გზა გაიარა კომუნისტური მმართველობის დროს ეკლესი-
აში მოსული ახალგაზრდობის უდიდესმა ნაწილმა, რომელთა შორის
განსაკუთრებით მინდა გამოყოფილი ტრაგიკულად გარდაცვლილი სოსო
(იოსებ) წერეთელი და გიორგი ჭანტურია.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ დღესაც ინტელიგენციასა და ახა-
ლგაზრდობას სერიოზული პრობლემების გადალახვა მოუხდებათ, თუ
აქტიურად ჩაებმებიან ქვეყნის აღმშენებლობაში და მაცხოვნებელი
გზიდან არ გადაუხვევენ.

მსურს, ყურადღება გავამახვილო ჩვენი ყოფისთვის დამახა-
სიათებელ ერთ მომენტზეც, რაც უკვე რამდენიმე წელიწადია საზოგა-
დოების სენად იქცა. ეს არის საზღვარგარეთ წასვლა სამუშაოს შოვნის
იმედით, მიდიან ახალგაზრდებიც და საშუალო ასაკისანიც.

გაუგებარია, საზღვარგარეთ, ათასობით კილომეტრის და-
შორებით, სრულიად უცხო გარემოში მშობლები როგორ უშვებენ

შვილებს (თუნდაც სწავლის მიზნით) იმ დროს, როცა ყველაზე მეტად სჭირდებათ მათი ყურადღება, შეწევნა, მზრუნველობა. ვის ხელში მოხვდება ეს ახალგაზრდა, რა წრეში იტრიალებს, ცხოვრება რა გამოცდას მოუწყობს, არავინ იცის.

ჩვენი შვილები განსხვავებულ გარემოში არიან აღზრდილნი, უცხოეთში კი ისინი მრავალი ისეთი პრობლემისა და განსაცდელის წინაშე დგებიან, რისთვისაც, ფაქტობრივად, სრულიად მოუმზადებელნი არიან და, ამდენად, დაუცველნიც. ამიტომაც ვალდებული ვარ შევახსენო მშობლებს, რომ დიდ რისკს ეწევიან, როცა ასეთ ნაბიჯს დგამენ.

საშიშროება მაშინაც არანაკლებია, როდესაც საზღვარგარეთ ოჯახის უფროსები მიდიან და შვილებს, მეუღლესა თუ ახლობლებს, ფაქტობრივად, ღვთის ანაბარა ტოვებენ.

ბოლო დროს ჩვენი ქვეყნიდან წასულ ბევრ ქართველს შევხვედრილვარ ინგლისშიც, ამერიკაშიც, ისრაელშიც, გერმანიაშიც, საფრანგეთშიც. იშვიათად თუ ვინმეს გაუმართლა. ძირითადი ნაწილი მატერიალურად ჩვენზე უარეს დღეში ცხოვრობს და ამასთან ერთად, მთელ ენერგიას სრულიად უმნიშვნელო, არაფრისმომცემ საქმიანობას ახმარს. მათ რომ სამშობლოში ასე ეშრომათ, აღარ გაუჭირდებოდათ და ქვეყანასაც გამოადგებოდნენ.

ნუთუ ოჯახური გარემო, სანათესაო, სამეგობრო წრე, სამშობლო... არ სჭობს ამ გზით მოპოვებულ ფულს? განა უკეთესი არ არის, განსაცდელსა და სიდუხტირეს ყველანი ერთად გავუმკლავდეთ და ჩვენ თავად შევქმნათ საკუთარი კეთილდღეობა? ჩვენი გონებით, ჩვენი შრომით, ჩვენი ხელებით მოვიპოვოთ პური არსობისა?

მართალია, ამის განხორციელება ადვილი არ არის, რადგან დღეს მრავალმხრივი გაჭირვება და პრობლემაა საქართველოში, მაგრამ შესაძლებელია ამ პრობლემების ერთობლივი ძალისხმევით

დაძლევა, თუკი ყველანი ერთად ვიღვაწებთ ჩვენი ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის.

ისევე როგორც პიროვნების განსაცდელი, ერის განსაცდელიც ღვთისაგან მისი სულიერი ამაღლებისთვის ხდება. ახლა სწორედ ამ პროცესს გავდივართ და დარწმუნებული ვარ, ღვთის წყალობით, იგი იქცევა ზეცად აღმყვანებელ ჩვენს სულიერ კიბედ. ის კი, ვინც გაურბის ღვთისაგან დაშვებულ ამ გამოცდას და იოლ გზას ეძებს, უარს ამბობს დიდების გვირგვინზე. ამიტომაც მოვლენებს სულიერი თვალით უნდა შევხედოთ, უფრო ღრმა ანალიზი უნდა გავუკეთოთ ჩვენს ცხოვრებასა და საერთო ყოფას, რათა მართებული დასკვნები გამოვიტანოთ.

ქრისტე აღდგა, გიხაროდეთ!

მაშ, ისმინეთ უფლის სიტყვები: „აპა, მოვალ მალე. მტკიცედ იპყარ, რაცა გაქვს, რათა არავინ წარგტაცოს შენი გვირგვინი. მძლევ-ელს ვყოფ ბურჭად მამის ჩემის ტაძარში“ (გამოცხ. 3, 11-12).

იყავით მძლეველნი საკუთარი თავისა და თქვენს გულში განა-მზადეთ ტრაპეზი განწმენდისა, რათა იქ პასექი იხმიოს ქრისტემ.

იხარეთ ორსავე სოფელსა შინა;

ჩვენთან არს ღმერთი!

აღდგომა ქრისტესი

თბილისი, 2001 წ.

საშობაო ეპისტოლე

2002 წ.

ყოვლადუსამღვდელოეს მღვდელმთავრებს, მოძღვრებს, დიაკვნებს, ბერ-მონაზვნებს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა ერთგულსა და ღვთივეურთხეულ შვილს, მცხოვრებს საქართველოში და სამშობლოს ფარგლებს გარეთ მყოფ თანამემამულეთ:

„მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი
ყოველთა წმიდათა თანა, ამინ“ (გამოცხ. 22, 21).



იხაროდეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი, რომელიც ბრძანებს:

„ჩემკენ მოიქეცით და გადარჩებით, ქვეყნის ყოველი კუთხისანო, რადგან მე ვარ ღმერთი და სხვა არავინაა ღმერთი გარეშე ჩემსა“ (ეს. 45, 22).

შორეულ წარსულში, ბეთლემის ღამის სიმყუდროვეში, დედა-მინაზე პირველად გაისმა სიტყვები ანგელოზთა გალობისა: „დიდებად მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშვდობად და კაცთა შორის სათნოებად“ (ლუკ. 2, 14).

მართალია, ამ იდუმალი ღამის შემდეგ ორი ათასზე მეტმა წელმა განვლო, მაგრამ კვლავაც მთრთოლვარე გრძნობით ვხვდებით ჩვენი რწმენის, იმედისა და სიყვარულის განახლების ამ საოცარ ზეიმს.

აი, ამ დღეს აღსრულდა ცოდვით დამძიმებული ადამის მოდგ-მის ხანგრძლივი მოლოდინი, – „ღმერთი გამოჩნდა ხორცით“ (1 ტიმ. 3, 16); აღმოგვიბრწყინდა მზე სიმართლისა – იესო ქრისტე, რათა შეგვეცნო ჭეშმარიტება; მაგრამ ყველას როდი ძალუძს, ეზიაროს მის სიმართლესა და ნათელს.

ადამიანი რთული ფენომენია. მასში არის ხატება შემოქმედისა და თვისებები ცხოველისა. გვაოცებს მისი სიდიადე და სიმდაბლე, უნ-არი თავდადებული სიყვარულისა და გამაოგნებელი სიძულვილისა, შესაძლებლობა ზეცამდე ამაღლებისა და ქვესკნელამდე დაცემისა.

იგი, თავისი წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო, უპირველეს ყოვლისა, უპირისპირდება საკუთარ თავს. როგორც თავისუფალი ნებით დაჯილდოებული პიროვნება, ექებს თავისუფლებას, მაგრამ ცოდვით დაცემული ბუნების გამო აღვილად ვარდება მონობაში.

ცალკე აღებული ადამიანი – ბატონი-განმგებელი და ადამიანი – მონა-მსახური ერთმანეთის გარეშე ვერ არსებობენ. ბატონისათვის მთავარი საკუთარი კეთილდღეობისთვის ზრუნვაა. იგი ამას მსახურ-მონათა საშუალებით ახორციელებს და მათი მორჩილებით ბატონობს.

მონისთვის კი დამახასიათებელია საკუთარი ცნობიერებისა და სურვილების უარყოფა და მხოლოდ იმისი ნების აღიარება, ვინც

მას განაგებს. მონის სამყარო არის თავისი თავისაგან გაუცხოებული ადამიანის ყოფა.

მონობაც და ბატონობაც ვლინდება ყველგან და ყველაფერში: აზროვნებაში, მორალში, ხელოვნებაში, ოჯახში, სოციალურ ცხოვრებაში, პოლიტიკაში... ხშირად ისეც ხდება, რომ ერთი და იგივე ადამიანი მონაც არის და ბატონიც.

საოცარია, მონის მდგომარეობიდან ბატონის ცხოვრების წესში გადასვლა არ ნიშნავს თავისუფლების მოპოვებას, რადგან ბატონობაც სინამდვილეში მონობის სახესხვაობა და ძალადობის გამოვლენაა; ძალადობა კი იძულებას, – დამონებულსა და დამმონებელს გულისხმობს. იმპერატორი, დიქტატორი, ტირანი... მონაა ბატონობის მოთხოვნილებისა და, გარკვეულწილად, იმ ხალხისა, რომლის გარეშეც ის თავის მბრძანებლობას ვერ განახორციელებს.

ქუჩის მასების წინამდღოლიც ისეთივე მონაა, როგორც თვით მასა. მასის გარეშე მისი არსებობა წარმოუდგენელია. მასები ქმნიან იმ პირამიდას, რომლის სათავეშიც ზის მათი რჩეული; მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მასებივე ანგრევენ ამ პირამიდას და ამხობენ ბელადს.

ასე იქმნება ჩაკეტილი წრე ბატონსა და მონას, ხელისუფალსა და მასას შორის.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადამიანი შეიძლება გახდეს მონა საზოგადოებრივი აზრისა, სტიქისა, წეს-ჩვეულებისა, თავსმოხვეული სოციალური ყოფისა, ფულისა.

მონურ ყოფაში მცხოვრები საზოგადოება ორიენტირს კარგავს და ხშირად ძალადობას მიიჩნევს ძალად, რაც დიდი შეცდომაა.

ძალადობა, როგორც აღვნიშნეთ, გაბატონებული ადამიანის მანვიერი თვისებაა, ძალა კი სიდიადეა ღვთისა და გულისხმობს სიყვარულით, დარწმუნებითა და შინაგანი ერთობით ამა თუ იმ

პიროვნებაზე გავლენის მოხდენას.

მაცხოვარი საოცარი ძალის მატარებელია, მაგრამ იგი თავის დამოკიდებულებას არავის ახვევს თავს და ყველას აძლევს არჩევანის სრულ უფლებას. ამაშია მისი ღვთაებრივი თავისუფლება. შესანიშნავად წერს ნეტარი ავგუსტინე: „შენი თავისუფალი ნების გარეშე უფლის სიმართლე არ განცხადდება შენში. მან, ვინც შეგქმნა, თავისუფლებაც მოგანიჭა და ამიტომაც გადაგარჩენს მხოლოდ შენი თანხმობით“ (ქადაგება CIX, 13).

იესო ქრისტე – ძე ღვთისა და ძე კაცისა დგას ზეციური და მიწიერი ცხოვრების ცენტრში, რათა დააკავშიროს ცა და ქვეყანა, მარადიული ნეტარება და მიწიერი რეალობა; მხოლოდ მას ხელენითება, ძალა მიანიჭოს ადამიანებს მონობის მოქადოებული წრიდან თავის დასაღწევად და თავისუფლებასთან საზიარებლად.

თავისუფლების მოპოვება რთულია; მონობაში დარჩენა – იოლი, მაგრამ თავისუფლების შედეგი მარადიული ნეტარებაა, მონობისა კი – მარადიული სიკვდილი.

თავისუფლება არ მიიღწევა რეალური ყოფისაგან უბრალო განშორებით ან ამ რეალობის უარყოფით. პირიქით, ესაა მასთან მუდმივი ბრძოლის, დაპირისპირებისა და განწმენდის გზა. ამგვარი კათარგზისი სრულიად უცხო და, შეიძლება ითქვას, მიუღებელია მათ-თვის, რომელთა ყოფასაც მხოლოდ მატერიალური და ბიოლოგიური მოთხოვნილებები განაპირობებს. ამიტომაც ისინი ამქვეყნადვე სულიერი სიკვდილისათვის არიან განწირულნი.

ჭეშმარიტების შეცნობა და თავისუფლება სუფთა, უმანვო გულიდან მომდინარეობს. გული ჩვენი მესამე თვალია. რწმენა, სასოება და სიყვარული მისი უმთავრესი თვისებებია. მაგრამ ეს სათნოებანი შეღაულია ჩვენი ცოდვებით. სწორედ ცოდვით დაცემამ დააშორა ადამიანი ღმერთს. თუ გვსურს უფალთან დაახლოება, ცოდვებისა-

გან თანდათანობითი განშორებითა და ჩვენი თავის შეცნობით უნდა დავიწყოთ.

არ შეიძლება, არ ითქვას ისეთი მძიმე ცოდვის შესახებ, როგორიც ნარკომანია. ბევრი ადამიანი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა, სისუსტეს იჩენს და სხვადასხვა პრობლემისაგან თავის დახსნას ნარკოტიკებით ცდილობს; მაგრამ ეს იღუბიაა; ნარკოტიკები ცხოვრებას არ ცვლის, მისი ზემოქმედება გაივლის, პრობლემები კი ისევ რჩება და, რაც მთავარია, რჩება ამ ცოდვით დანგრეული, მიუსაფარი სული.

ზოგი იმდენად ეჩვევა ამ საშინელ სენს, რომ, სურვილის მიუხედავადაც, შემდეგში ვეღარ ანებებს მას თავს და საშინლად იტანჯება.

მხოლოდ ღმერთს შეუძლია ზოგად-ყოფითი და ჩვენი პირადი პრობლემების მოგვარება და დახმარება, თუ, რა თქმა უნდა, გავხდებით ღირსნი მისი მოწყალებისა.

სასიხარულოა, რომ უკვე ხშირია შემთხვევები, როდესაც ნარკოტიკებს მიჭაჭვული ადამიანები მოდიან ეკლესიაში, იწყებენ ლოცვას, მარხვას, შრომას, ამბობენ აღსარებას, ეზიარებიან და თავისუფლდებიან ამ საშინელი ავადმყოფობისაგან მაშინ, როცა ეკლესიის დახმარების გარეშე ამ სენისაგან თავის დაღწევა მათთვის შეუძლებელი ჩანდა.

ნარკოტიკების მიღება ცოდვაა, მაგრამ გაცილებით მძიმე ცოდვაა მისი გავრცელება. ამის ჩამდენი, ფაქტობრივად, ადამიანთა მასობრივი სულიერი და ფიზიკური მკვლელობის თანამონაწილეა და ამიტომაც ღვთისგან სასტიკად დაისჯება. მეტად შემაშთოთებელია, რომ საქართველოში ორგანიზებული ნარკობიზნესი სულ უფრო დიდ მასშტაბებს იღებს. არის საშიშროება იმისა, რომ საქართველო ნარკობიზნესის სატრანზიტო ქვეყნად იქცეს. მე თხოვნით მივმართავ

ხელისუფლებას, სამართალდამცავ ორგანოებს, პოლიტიკურ პარტიებს, ახალგაზრდებს, მთელ ერს, რათა მათ ყველაფერი იღონონ მდგომარეობის რადიკალური გამოსწორებისათვის.

დღეს ერთ-ერთი უძინესი პრობლემაა ღირებულებათა გაუფასურებაც. ადამიანებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, არწმუნებენ, თითქოს სამშობლოს სიყვარული, უფროსის პატივისცემა, პატიოსნად ცხოვრება (ენისა და სარწმუნოების დაცვა) და სხვა, ჩვენი ერისათვის დამახასიათებელი ტრადიციები, მოძველდა; არადა, როგორ შეიძლება მოძველდეს ის, რაც მარადიულ ღირებულებებს წარმოადგენს.

საზოგადოებრივი ცნობიერების გარევნა ზოგიერთს „პროგრესად“ მიაჩნია. მსგავსი აზროვნება ჩვენს ისტორიაში უკვე იყო XX საუკუნის დასაწყისში, როცა საქართველოში უცხო იდეოლოგიურმა მოძღვრებამ იწყო გავრცელება. მაშინაც მკვეთრად შეუტიეს ტრადიციულ ღირებულებებს, სანაცვლოდ კი ადამიანებს საყოველთაო კეთილდღეობას შეპირდნენ. თუ რა შედეგი მივიღეთ, ყველამ ვიცით.

ფსევდოკულტურა, რომელიც ასე ეძალება დღეს ჩვენს ახალგაზრდობას, აშორებს მას ჭეშმარიტ კულტურასა და ხელოვნებას. დაპირისპირება ამგვარ მდარე, უგემოვნო და ნამდვილ კულტურას შორის, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ქმნიდა ჩვენი ხალხი და რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო, აშკარაა. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როცა პრესაც და ტელევიზიაც საეჭვო ღირებულების უცხოურ ხელოვნებას უწევს პროპაგანდას. იმედი მაქვს, ქართველი ერი, უფლის წყალობით, ნამდვილსა და ყალბს ერთმანეთისაგან ადვილად გაარჩევს, სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს და ამით გადაგვარებისაგან თავის შინაგან „მესაც“ დაიცვას.

მინდა გთხოვოთ, რომ თავი შესაძლებლობისამებრ დაიცვათ

განვითხვის ცოდვისაგან. ეს მადლი უფრო დიდია, ვიდრე ლოცვა და მარხვა. ნუ შეგშურდებათ სხვისი, ერიდეთ განცხრომასა და გე-მოთმოყვარებას. დასძლიერ ამპარტავნება და დიდებისმოყვარება. გახსოვდეთ, როგორც გინდათ, რომ მოგექცნენ სხვები, თქვენც ისე მოექეცით მათ. ცოდვის ჩამდენი გებრალებოდეთ (რადგან იგი ამით მარადიული სატანჯველისაკენ დგამს ნაბიჭვს) და თქვენი სარწმუნოება აჩვენეთ ღვთის მცნების აღსრულებით, – არ მიაგოთ ბოროტების წილ, არამედ იღოცეთ მათვის, ვინც დანაშაული ჩაიდინა თქვენ წინაშე და მიანდეთ იგი უფლის მართლმსაჭულებას.

ნუ ჩაიდენთ შვილის მკვლელობის საშინელ ცოდვას, – აბ-ორტს. ერის დიდი ტრაგედიაა, რომ თითქმის ყველა ოჭახში, მშობლების ნებით, უმოწყალოდ მოსპობილ მუცლადღებულ ყრმათა სისხლია დაღვრილი და მისი ნაკადი კვლავაც შეუჩერებლად მოედინება. ადამიანებს გონება და გული აქვთ დახშული, იმისათვის, რათა გააცნობიერონ, რას ჩადიან; ცხოველიც კი არ არის ასეთი გულგრილი თავისი ნაშიერისადმი.

ჩვენო სულიერო შვილებო, თუ ვინმეს ეკონომიკური ან სხვა მიზეზის გამო გინევთ უარის თქმა თქვენს სრულიად დაუცველ ყრმაზე, მამაშვილურად გთხოვთ, ერთხელ და სამუდამოდ უარი თქვათ აბორტზე. შეგახსენებთ, რომ მიუხედავად მრავალი პრობლემისა, ეკლესია შეძლებს, მზრუნველობა გაუწიოს თქვენს პატარას, ხოლო თუ მომავალში გექნებათ სურვილი მშობლიური სიყვარულის გამოჩენისა, კვლავაც შეგეძლებათ მისი უკან დაბრუნება.

შეგახსენებთ, რომ მრუში, ქურდი და მკვლელი სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებს. მაგრამ იცოდეთ, შეცდომის გამოსწორება ან თუნდაც ცხოვრების წესის მთლიანად შეცვლა, არასოდეს არ არის გვიან. ცხონების გზაზე სვლა ლოცვით, მარხვითა და სიკეთის ქმნით უნდა დაიწყოთ. სიტყვით თუ საქმით, ყველგან და ყოველთვის, შესაძლე-

ბლობისამებრ აკეთეთ სიკეთე და იგი თქვენვე დაგიბრუნდებათ.

არ შეგეშინდეთ განსაცდელისა, მთავარია, თქვენი თავისუფალი ნება, თქვენი სუფთა გული და გონება მიანდოთ უფალს და ირწმუნოთ, რომ ღმერთი იმაზე დიდ ტვირთს არ მოგცემთ, რის ტარებასაც ვერ შეძლებთ. თქვენი ყველაზე დიდი მიღწევა სწორედ ცხოვრებისეულ პრობლემებსა და სიკვდილის შიშჩე გამარჯვება იქნება.

უნდა გეშინოდეთ მხოლოდ ღვთისა. შიში უფლისა არის სათავე სიბრძნისა, რადგან იგი გვიცავს ცოდვათაგან. სხვა ყოველგვარი შიში პიროვნების დამთრგუნველია და ბოროტის იარაღს წარმოადგენს. სამწუხაროდ, მიწიერი შიში ხშირად განსაზღვრავს როგორც ცალკეულ ინდივიდთა, ისე მათი გარკვეული ჰგუფების ყოფას და თვით პოლიტიკურ პროცესებსაც (შევნიშნავთ, რომ შიში აუცილებლად უნდა განვასხვაოთ სიფრთხილისა და კეთილგონიერებისაგან). შიში შობს სიცრუეს, ანუ იმას, რასთანაც ჭეშმარიტებას საერთო არა აქვს რა.

ხშირად შიში სიკვდილის მიზეზიცაა. ადამიანი კლავს სხვას, რათა შეიქმნას თავისთვის ისეთი გარემო, სადაც, მისი აზრით, ნაკლებად იქნება შიში, სინამდვილეში კი იგი სწორედ სიკვდილის შიშის გამო თესავს სიკვდილს ისევე, როგორც ბატონის ძალადობას ძალაუფლებისადმი მისი მონური დამოკიდებულება განაპირობებს.

შიში და მონობა ურთიერთკავშირშია და უმძიმესი შედეგებით ვლინდება. ამიტომაც სულიერი ფერისცვალების პროცესი აუცილებლად შიშსა და მონობაზე გამარჯვებას გულისხმობს.

ცნობილი მოძღვარი წმიდა სერაფიმე საროველი წერს: „ამქვეყნად მყოფმა ადამიანმა რომ იცოდეს, რა ნეტარება ელოდებათ მათ, ვინც გახდება ღირსი სამოთხისა, ათას წელს ტანწვითა და საშინელი წამებით ცხოვრებაზეც სიამოვნებით დათანხმდებოდა,

ოღონდ ზიარებოდა ზეციური სასუფევლის საოცრებებს“.

ღვთის მოწყალებით, წუთისოფელში ჩვენი მყოფობის ჟამი არ არის ხანგრძლივი. მართლაც, წუთია იგი მარადიულობასთან შედარებით. მაში, ვისაც გონიერება აქვს, დაიწყოს ბრძოლა ცოდვის მონობისაგან გასათავისუფლებლად და ღვთის ჭეშმარიტი ძეობის მოსაპოვებლად, რისთვისაცაა იგი მოწოდებული.

უმაღლეს ხელისუფალთაგან დაწყებულნი და სულ უბრალო ადამიანებით დამთავრებულნი არიან თანაზიარნი და შვილნი სასუფევლისა. მაგრამ უმაღლეს ხელისუფალთაგან დაწყებულნი და სულ უბრალო ადამიანებით დამთავრებულნი ასევე არიან მკვიდრნი ჭოჭოხეთისა.

დიახ, თითოეული ჩვენგანის წინაშეა თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა: ან მარადიული სიცოცხლე და ნეტარება, ან მარადიული სიკვდილი და სატანკველი! მესამე გზა, უბრალოდ, არ არსებობს.

ძენო და ასულნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, ქრისტესთან თანაზიარობით იწყება თქვენს ცნობიერებაში მანამდე არსებული ყველა ღირებულების სრული შეცვლა; ჩნდება აბსოლუტურად სხვა გაგება სიყვარულისა, სიკეთისა და ბოროტებისა, იღვიძებს სრულიად დახურული შრეები და სიღრმეები გულისა და გონიერებისა; თანდათან ქრება შიში სიკვდილისა და შემოდის მანამდე უცნობი განცდა ჭეშმარიტი თავისუფლებისა, ნეტარებისა; სინათლითა და სიხარულით ივსება სული და ისადგურებს დიადი მშვიდობა საკუთარ თავთან, გარემოსთან და ღმერთთან შერიგებისა. მაში, შესვით მარადიული სიხარულით სავსე ფიალა უფლისმიერი დიდი წყალობისა, რადგან „საგზალი ცოდვისად სიკუდილი არს, ხოლო ნიჭი ღმრთისად – ცხორებად საუკუნოდ ქრისტე იესუს მიერ“ (რომ. 6, 23).

ყველას გულითადად გილოცავთ ქრისტეშობის ბრწყინვალე
დღესასწაულსა და ახალ წელს!

გიყვარდეთ ერთმანეთი, რათა უფალმაც შეგიყვაროთ.

ქრისტეშობის მადლი გეწეოდეთ! იხარეთ ორსავ სოფელსა
შინა.

ქრისტეშობა

თბილისი, 2002 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

2002 წ.

ღვთიფკურთხეული საქართველოს ღვთისმოყვარე შვილებს:

„აღსრულდა. მე ვარ ანი და ჰოე, დასაბამი და
დასასრული. და მივცემ მწყურვალს სიცოცხლის
წყლის წყაროსგან უსასყიდლოდ. მძლეველი
დაიმკვიდრებს ყოველს, და ვიქნები მისი ღმერთი,
და ის იქნება ჩემი ძე“ (გამოცხ. 21, 6-7).



რისტეს მიერ საყვარელნო ყოვლადუსამღვდელოესნო მღვ-
დელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო,
ყოველნო ღვთივდაცულნო შვილნო საქართველოს წმიდა მართლმა-
დიდებელი ეკლესიისა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი
ივერიის მკვიდრნო და სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო
თანამემამულენო,

ქრისტე აღდგა!

ეს სიტყვები ჰიმნია უკვდავებისა, ჰიმნი ქრისტეს დიადი გამარტვებისა, რომელიც ყველას საოცარი იმედითა და სიხარულით აღგვავსებს და ჩვენც, მოციქულ პავლესთან ერთად, ვხმობთ: „სადა არს, სიკუდილო, საწერტელი შენი? სადა არს ჭოჭოხეთო, ძლევად შენი?“ (1 კორ. 15, 55).

სიკვდილზე სიცოცხლის გამარტვებას სათავე იესო ქრისტეს ჰვარცმით დაედო. თუ გვსურს, ამ გამარტვების თანაბიარნი გავხდეთ, სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოს უნდა ჩავსწვდეთ და გავაცნობიეროთ, რომ აღდგომა ქრისტესი გულისხმობს თითოეული ჩვენგანის, ზოგადად ყველა იმ ადამიანის აღდგომასაც, ვინც იცავს უფლის მცნებებს და მისი მადლითაა აღვსილი, ანუ ვინც ქრისტეში ცხოვრობს.

აი, რას წერს წმიდა იოანე ღვთისმეტყველი მაცხოვრის მიერ მონიჭებული მარადიული სიცოცხლის შესახებ: „მის თანა ცხორებად იყო და ცხორებად იგი იყო ნათელ კაცთა“ (იოან. 1, 4), „და სიცოცხლე ცხად იქმნა, და ჩვენ ვიხილეთ და ვმოწმობთ, და გაუწყებთ თქვენ საუკუნო სიცოცხლეს, რომელიც იყო მამისა თანა და გამოგვეცხადა ჩვენ“ (1 იოან. 1, 2).

ქრისტე აღდგა!

ეს საოცარი ზეიმი ემპირიული აზროვნებისათვის მიუწვდომელია, ამიტომაც იყო რომ, როცა აღმდგარი უფალი გამოეცხადა მარიამ მაგდალინელს, თავდაპირველად მანაც ვერ იცნო იგი (იოან. 21, 4), ვერც ტიბერიის ზღვასთან მდგარი იესო შეიცნეს მისმა მოწაფეებმა.

აღდგომის საიდუმლოს აღქმა მხოლოდ ეკლესიაში და ეკ-

ლესიის საშუალებით ხდება. კარგად ამბობს ერთ-ერთი ცნობილი სასულიერო პირი: „ეკლესია არის ჩვენი ზიარების საშუალება აღ-დგომილ ღმერთან“.

დიახ, მხოლოდ ეკლესიაში შეიძლება მოვიპოვოთ უძლურთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი მადლი სულისა წმიდისა; იგი მხოლოდ ეკლესიური მოღვაწეობითა და ლოცვით მოგვეცემა, რადგან სულიერი ჭვრეტის უნარი სულიერი ცხოვრებით მიიღწევა და მამინ აღსრულდება უფლის სიტყვები: „ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ; ეძიებდით, და ჰპოვოთ; ირეკდით, და განგეღოს თქუენ“ (მათ. 7, 7).

ხშირად ასეც ხდება, რომ ჩვენ ვთხოვთ ღმერთს სულინმიდის მადლს, მაგრამ კარგად არც კი ვიცით, რას ნიშნავს ეს. მოციქული პავლე გალატელთა მიმართ ეპისტოლეში წერს: „ხოლო სულის ნა-ყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, დიდსულოვნება, სიტვ-ბოება, სიკეთე, რწმენა, თვინიერება, თავშეკავება“ (გალ. 5, 22-23) და ამატებს: „თუ სულით ვცოცხლობთ, სულსავე უნდა მივსდევდეთ. ნუ ვიქნებით მედიდურნი, ერთმანეთის გამომწვევნი, ერთმანეთის მოშურნენი“ (გალ. 5, 25-26).

მოციქული პავლე ზემოხსენებული ცხრა სათნოების ჩამოთ-ვლით წარმოაჩენს, თუ როგორი უნდა იყოს სულინმიდის მადლით მოსილი მორწმუნის შინაგანი სამყარო, როგორი უნდა იყოს მისი დამოკიდებულება ღვთისა და მოყვასისადმი. აი, ამ თვისებების მა-ტარებელი პიროვნება არის ახალი ადამიანი, რომელიც ცხოვრობს ქრისტეში და ქრისტეც მყოფობს მასში.

დღეს ჩვენი ხალხის რელიგიური გამოღვიძებისა და ეროვ-ნული ღირებულებების აღორძინების საინტერესო და ამავე დროს მეტად რთული პროცესი მიმდინარეობს.

შეიძლება კი წარმოდგენა საქართველოსი და ქართველი ხალხისა ჩვენი სარწმუნოებისა და ჩვენი ურთიერთობების, ჩვენი

ტრადიციებისა და ოჯახური ყოფის გარეშე?! როგორი იქნებოდა ჩვენი ქვეყანა, რომ არ ჰყოლოდა მას ისეთი თავდადებული, ერთგული და ძლიერი დამცველი, როგორებიც იყვნენ: წმიდა მეფე მირიანი და ნანა დედოფალი, ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, მეფე თამარი, არჩილი და ლუარსაბი, დიმიტრი თავდადებული, ქეთევან დედოფალი და ათასობით და ათიათასობით სხვა მოწამე, რომელთაც თავი დადეს მამულისა და რწმენისათვის.

საუკუნეთა მანძილზე ქართველი დედა შვილს გმირად ზრდიდა, მამულის თავდადების სულისკვეთებას უღვივებდა. სწორედ ქართველი ქალის დამსახურებაა, რომ ჩვენს წინაპრებს მტკიცე სარწმუნოება და თავგანწირული სიყვარული ჰქონდათ; რომ არა ასეთი დამოკიდებულება, დღეს ჩვენი ქვეყანა და ხალხი აღარ იარსებდება. სწორედ ის ცხრა სათნოება, რომელთა შესახებაც ბრძანებს წმიდა მოციქული პავლე, იყო მთავარი ორიენტირი ჩვენი დიდებული წინაპრებისათვის. იგი ჩვენი და ჩვენი შვილების ცხოვრების საფუძვლადაც უნდა იქცეს, რაც კვლავ ქართველი ქალის მიერ უნდა განხორციელდეს, მისი ძალისხმევით ქრისტიანობის მტკიცე საძირკველზე უნდა გაერთიანდეს ეკლესიაც, სკოლაც და ოჯახიც.

ამიტომაც მინდა ამ საკითხე განსაკუთრებულად შევჩერდე.

უპირველეს სათნოებად მოციქული სიყვარულს მიიჩნევს და კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში მას ასე ახასიათებს: „სიყვარული სულგრძელია და ტკბილი; სიყვარულს არ შურს; სიყვარული არ ქედმაღლობს, არ ზვაობს; არ უკეთურობს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ განიზრახავს ბოროტს; არ შეპხარის უსამართლობას, არამედ ჭეშმარიტებით ხარობს; ყველაფერს იფარავს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს, ყველაფერს ითმენს. სიყვარული არასდროს განქარდება“ (1 კორ. 13, 4-8).

ეს საოცარი სიტყვები თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გაითავი-

სოს და თავისი ცხოვრების წესად აქციოს.

სიყვარული გადამრჩენელია და მარადიული, ამასთან იგი სათავეა სიხარულისა, რომელიც ასე აკლია თანამედროვე კაცობრი-ობას. ჭეშმარიტი სიხარულის განცდა შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც ჭეშმარიტად უყვარს.

სიხარული მეორე სიკეთეა სიყვარულის შემდეგ. სულიერი სიხ-არული არ შეიძლება იყოს ცოდვით სავსე ყოფის შედეგი, არამედ იგი ნაყოფია ღვთივსათნო, წმიდა ცხოვრებისა. იგი საერთოდ არ არის ყოფით კეთილდღეობასთან დაკავშირებული. მას ხელოვნურად, საკუთარი სურვილით ვერ გამოიწვევ. ეს ბუნებრივი მდგომარეობაა სულიწმინდით გაცისკროვნებული გულისა. ამიტომაც წერს წმიდა იოანე ოქროპირი: „ვერც ძალაუფლების სიდიადე, ვერც ფულის სიმრავლე, ვერც ძლიერება, ვერც ჭანმრთელობა, ვერც უხვი სუფრა, ვერც შესანიშნავი სამოსელი და ვერც სხვა ადამიანური უპირატესო-ბანი გვანიჭებენ ნამდვილ სიხარულს; იგი შედეგია სულიერი კეთილ-შობილებისა და სუფთა სინდისისა“.

სულიერი კეთილშობილება და წმიდა სინდისი ანიჭებს პი-როვნებას ერთ-ერთ ყველაზე დიდ ადამიანურ ღირსებას – უშურველ-ობას და სხვისი სიხარულითა და ბედნიერებით გახარების უნარს.

სულიწმიდის მადლთა შორის მესამე ადგილი მშვიდობას უკავია.

მშვიდობა ყველასათვის სასურველია, მაგრამ მისი მიღწევა არ არის იოლი. ჩვენ გარშემოც და ჩვენს სულშიც მშვიდობა რომ სუფევდეს, მშვიდობისმოყვარე გული უნდა გვქონდეს, ეს კი წყა-ლობაა ღვთისა და ამ მადლს მხოლოდ ის მოიპოვებს, ვინც ვნებებს დაძლევს. ბედნიერია ოჭახი, სადაც ღვთივკურთხეული მშვიდობით დაჭილდოებული ადამიანები ცხოვრობენ. ისინი სხვებისაგან ფა-რულად, შეუმჩნევლად თესავენ ამ სიკეთეს და დამაწყნარებლად

მოქმედებენ გარშემომყოფებზეც და, საერთოდ, საზოგადოებაზეც. მშვიდობას იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ უფალი მშვიდობისმყოფელთ ძეებად ღვთისად მოიხსენიებს.

მეოთხე ადგილზე მოციქული პავლე მოთმინებას აყენებს.

სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების წარმომადგენელთა უმრავლესობას არათუ დიდი, არამედ მცირეოდენი მოთმინების უნარიც კი აღარ შესწევს. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ყოფა სამოთხედ არასოდეს იქცევა, რადგან, როგორც წმიდა იოანე ღვთისმეტყველი ბრძანებს: „ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა დგას“ (1 იოან. 5, 19); ამ ქვეყნად პრობლემები არ დაილევა, რადგან ბოროტება ებრძვის სიკეთეს და ამ ბრძოლის მთავარი ობიექტი არის ადამიანი. დედამიწაზე განსაცდელისა და ტკივილის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია; წარმოუდგენელია პიროვნება, რომელსაც არ მოუწევს დემონებისაგან წაქეზებული ავი და გაბოროტებული ადამიანების თავდასხმებთან გამკლავება. აი, ამ დროს აუცილებელია, გამოიჩინოთ კეთილგონიერება და მოუხმოთ მოთმინებას, რომ არ მიაგოთ ბოროტი ბოროტისა წილ. თქვენი მოთმინების მტკიცე კედელი აისხლებს დემონის ისრებს, დაგიცავთ და დაგიფარავთ სულიერი დაცემისაგან. სოლომონ ბრძენიც ასე გვარიგებს: დამთმენი კაცი გონიერია, ის კი, ვინც ადვილად ღიბიანდება, სიბრიყვეს ავლენს (იგავ. 14, 29). მოთმინებასთან ერთად აუცილებელია, რომ ავისმოსურნე ან თქვენზე ავისმთქმელი ადამიანი კი არ გძულდეთ, არამედ გებრალებოდეთ, როგორც ეშმაკის ცდუნების მსხვერპლი და მისთვის ილოცოთ.

მოთმინება ერთგული რაინდივით იცავს მშვიდობას, სიხარულსა და სიყვარულს და თავადაც უხვად საზრდოობს ამ მაღლთაგან.

მაშ, თუ გსურთ, გაიმარჯვოთ, – მოითმინეთ, რადგან ვინც დაითმენს, ნამდვილად დიდ წარმატებას ის მიაღწევს ბოლოს.

პავლე მოციქული სრულყოფილების კიბის მეხუთე საფეხურზე სიკეთეს აყენებს. სიკეთე სულიერი სიმდიდრის სათავიდან მომდინარეობს და კრძალულებით არის შემკული.

კეთილ ადამიანს ყოველთვის კარგი განწყობა აქვს და მოწყალეა სხვათა მიმართ. მისთვის ახლობლებთან თუ უცხო პირებთან შეხვედრა სიხარულის მომტანია. იმერეთის ეპისკოპოსი წმიდა გაბრიელი (ქიქოძე) მთელი წლის განმავლობაში ყველას ასე ესა-ლმებოდა: „ქრისტე აღდგა“, რადგან ყოველი შეხვედრა პასექის სიხარულს ანიჭებდა. ასეთი განწყობა არ მოდის გონიერიდან, იგი გულის თვისებაა.

მოწყალება არის სულიერი კიბის შემდგომი საფეხური. გულმოწყალება ცხონებისაკენ მიმავალი ყველაზე სწორი და უმოკლესი გჩაა. იგი გულისხმობს თანალმობას, თანადგომას, სხვის დასახმარებლად საკუთარი თავის დაუზოგაობას, და საერთოდ, ცხოვრებას მოყვასისათვის. ამიტომაც ბრძანებს უფალი, რომ საშინელი სამსჯავროს დროს მოწყალენი შეწყალებულნი იქნებიან და ცათა სასუფეველს დაიმკვიდრებენ.

იოანე მოწყალის ცხოვრება ისევე, როგორც მრავალი სხვა წმინდანისა, საუკეთესო მაგალითია გულმოწყალებისა.

მოწყალების შემდეგ პავლე მოციქული რწმენაზე საუბრობს. რწმენა მხოლოდ ღვთის არსებობაში დარწმუნებას კი არ ნიშნავს, არამედ უპირველესად ცხოვრებას ღმერთში და მისი წყალობის სასოებას გულისხმობს. იგია ერთგულება და მორჩილება ღვთის ნებისადმი. „რწმენა, – წერს წმიდა იოანე ოქროპირი, – დედაა ყოველი სიკეთისა, იგია წამალი გადარჩენისა“. იოანე კიბისაღმწერელი კი ასე გვაფრთხილებს: „ვინც ჭეშმარიტი რწმენის გარეშე იქმს კეთილ საქმეთ, მსგავსია კაცისა, რომელიც წყალს გატეხილ ჭურჭელში ასხამს“. ამიტომაც გადარჩენა და ცხონება შეუძლებელია გარეშე

ჭეშმარიტი სარწმუნოებისა, რადგან სხვა გზა სულინმიდის ნიჭთა მოსახვეჭად არ არსებობს.

რწმენას მოსადევს სიმშვიდე, თვინიერება. მშვიდთა შესახებ ამბობს მაცხოვარი: „მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა“. სიმშვიდე გულისხმობს თავმდაბლობას, რადგან სწორედ თავმდაბლობა გამორიცხავს ყოველგვარ გაღიზიანებასა და მრისხანებას, ანუ მიზეზს შფოთისა. მოსე წინასწარმეტყველმა ლვთის უდიდესი მადლი იმიტომ მოიპოვა, რომ იგი იყო ყველაზე მშვიდი და თავმდაბალი დედამიწაზე იმ დროს მცხოვრებ ადამიანთა შორის.

მეცხრე სათნოება არის თავშეკავება.

თავშეკავებულობა ახასიათებდა ყველა დიდ და ბრძენ ადამიანს. თავშეკავება – გონიერებაა. იგი გემოთმოყვარებაზე, ვნებებსა და სხვა ცოდვით მიღრეკილებებზე უარის თქმაა. იგია ბრძოლა საკუთარ თავთან.

დღეს ჩვენ განსაკუთრებით გვმართებს ამ უნარის გამომუშავებაზე ზრუნვა, რადგან მთელი მსოფლიო ზნეობრივად დაეცა და იგი, ვითარცა ჭაობი, ყველას თავის გახრწნილ წიაღში ითრევს.

XX საუკუნემ თავისი მატერიალურ-ტექნიკური მიღწევებით, მსოფლიო ომებით, ლოკალური კონფლიქტებით, ახალი გადანაწილების სურვილებითა თუ სხვა პრობლემებით ადამიანებში პესიმიზმი და ხვალინდელი დღის შიში დანერგა.

მსოფლიოში რომ ამჟამად დიდი გარდატეხის პროცესი მიმდინარეობს, ყველამ ვიცით. ყველამ ვიცით, აგრეთვე, რომ გუშინდელი დღე ხვალ არ განმეორდება და ხვალინდელი დღე არც დღევანდელს აღარ გაიმეორებს.

დიახ, დრო იცვლება და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთად, ამიტომ ეკლესიამ უნდა გაითვალისწინოს ის სულიერი და მატერიალური პრობლემები, რომელთაც ახალი ცხოვრება გვთავაზობს და,

რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ მიმდინარე პროცესებს შესაძლებლობისამებრ მომზადებული შეხვდეს, რათა თაობა არ დამახინჯდეს.

ჩვენი ყოფის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი მოვლენაა ცენტრალიზებული, წინასწარ დაგეგმილი ეკონომიკის შეცვლა თავისუფალი საბაზრო ცხოვრების წესით. ტოტალიტარულ რეჟიმს შეჩვეული ხალხი, სამწეხაროდ, ადვილად ვერ უღებს ალლოს დროის მოთხოვნილებებს და დაბნეული სასოწარკვეთილებაში ვარდება.

აუცილებელია ანალიტიკური აზროვნება, ახალი იდეები, გონიერი, შორსმჭვრეტელი ადამიანები, რათა ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი რისკიც და მსხვერპლიც მაქსიმალურად შემცირდეს. ამისათვის კი, როგორც ნობელის პრემიის ლაურეატი, ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი მილტონ ფრიდმანი წერს, სახელმწიფო ნელ-ნელა უნდა დაიწყოს თავისი აპარატის როლისა და გავლენის შემცირება. ისეთ პერიოდში კი, როგორსაც ჩვენი ქვეყანა ამჟამად გადის, ეკონომიკის 50% მაინც (განსაკუთრებით სტრატეგიულ ობიექტებს) სახელმწიფო უნდა აკონტროლებდეს, ნახევარს კი საბაზრო ურთიერთობები. ამასთან, აუცილებელია წვრილი და საშუალო ბიზნესისათვის ხელშეწყობა. ჩვენთან კი ბევრი რამ არასწორად კეთდება. თავისუფალი ბაზარი ევროპაში საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბდა; საქართველოში კი ყველაფერი რამდენიმე წელში გვინდა შევცვალოთ. ვფიქრობ, დაჩქარებული ტემპები სერიოზული შეცდომების მიზეზი ხდება, რაც ისედაც რთულ მდგომარეობაში მყოფი ჩვენი საზოგადოების ყოფას კიდევ უფრო ამძიმებს.

იმის საშიშროებაც აშკარაა, რომ მთავარი ყურადღება მიპყრობილია ტექნიკური, ეკონომიკური და ფინანსური ეფექტების მიღწვაზე, ურთიერთობის ზეობრივი მხარე კი სრულიად დავიწყებულია. უფრო მეტიც, ლამის იძულებით ხდება ზნეობრიობის

გადაგვარება. ეს კი სულიერი და ფიზიკური განადგურების რეალურ საფრთხეს ქმნის. ღმერთი ნამდვილად არ გვაპატიებს თავაშვებული ცხოვრების წესის დამკვიდრებას და ეს ყველამ უნდა გაითავისოს.

სამწუხაროა, რომ ტელევიზია და მასობრივი ინფორმაციის სამუალებანიც, ყოველგვარი მორიდების გარეშე აჩვევენ საზოგადოებას სულიერი დაცემის გამაოვნებელ სცენებს, ძალადობასა და საზარელ მკვლელობებს და ამით ანგრევენ ჩვენში ღვთის მიერ დადგენილ ზღუდეებს.

ზოგიერთები ამას უკომპლექსობის დამკვიდრებას უწოდებენ, რაც, მარტივად რომ ვთქვათ, უგუნურებაა. ასეთი სახით შემოთავაზებული ჭუჭყი ქვეცნობიერად ილექტება ადამიანის, განსაკუთრებით მოზარდებისა და ახალგაზრდების ფსიქიკაში და შემდეგ საკუთარ ცხოვრებაში, ვითარების შესაბამისად, თავადაც ეფულობიან მასში. ჩვენ თვალწინ, ჩვენ მიერ ყალიბდება სულიერად დამახინჯებული ცხოვრებისა და აზროვნების წესი, პასუხისმგებლობას კი არავინ გრძნობს. მასმედიის წარმომადგენლებს შეუძლიათ თქვან, რომ თუ ისინი არ აჩვენებენ მსგავს ფილმებს და გადაცემებს, არ დაწერენ და არ გააშუქებენ ასეთ თემებს, სხვა ქვეყნების ტელევიზიები და საინფორმაციო საშუალებანი ამას მაინც გააკეთებენ (უცხო ქვეყნების გადაცემები კი მრავალთათვის ხელმისაწვდომია). ამაში სიმართლე არის, მაგრამ სიმართლეა ისიც, რომ არ შეიძლება ჩვენი მოსახლეობა ყველა პრობლემის, სულიერისა თუ მატერიალურის წინაშე, ერთბაშად დავაყენოთ, რაც დეპრესიას, ორიენტაციის დაკარგვასა და აზროვნების გადაგვარებას იწვევს.

და თუ მაინც მხოლოდ ასეთი პროდუქციის მოხმარება გვსურს, იგი ხალხს ქრისტიანული ზნეობიდან გამომდინარე სულ სხვა კომენტარებითა და სხვა ფსიქოლოგიური კუთხით მაინც უნდა მივაწოდოთ. ამის გაკეთება კი ნამდვილად არ არის ძნელი.

ფაქტი ერთია, რომ ჩვენი ახალგაზრდობა სრულიად მოუმ-ზადებელი შეხვდა „თავისუფლებას“, იმ აღვირახსნილი და თავაშვე-ბული ცხოვრების წესს, რომლის წინაშეც ასე მოულოდნელად აღმოჩნდა. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ ბევრმა ვერ გაუძლოს ცდუნებას და ავხორც ვნებებსა და ცხოველურ ინსტინქტებს დაემონოს.

ასეთნი შიშის, ჰალუცინაციების, სრული სულიერი გამოფიტვი-სა და მსხვრევისათვის არიან განწირულნი. ადრე თუ გვიან თვითონაც აუცილებლად მიხვდებიან, რომ მოლიპული გზით მიექანებიან, მთა-ვარია, თვითგამორკვევის პროცესი არ გაუჭიანურდეთ.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი, უპირველეს ყოვ-ლისა, თავად ახალგაზრდებმა უნდა მოძებნონ და თვითონ უნდა მოინდომონ ჭეშმარიტების გზით სვლა.

მჯერა, ისინი გააცნობიერებენ, თუ რა დიდი სულიერი ბრძოლა აქვთ გადასატანი. ჩვენ დიდგორის ველი გველის. თითოეულმა ჩვენგანმა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობამ, უნდა შეძლოს დავი-თობა. ოღონდ მათ თავდაპირველად უნდა სძლიონ ცოდვათა შორის უპირველეს – ამპარტავნებას, ყალბ წარმოდგენას, თითქოს ისინი უფროს თაობასთან შედარებით უფრო განათლებულნი, მრავლის მცოდნენი და გონიერნი არიან.

მართალია, თაობათა შორის წინააღმდეგობა ყოველთვის იყო და კვლავაც იქნება, მაგრამ იგი არ უნდა გადაიზარდოს უგულებე-ლყოფასა და გაუცხოებაში. ახალგაზრდებს მეტი დაფიქრება და კონკრეტული ნაბიჭების გადადგმა მართებთ: მათ უნდა იცოდნენ, რომ ტელევიზით, ინტერნეტით, მასობრივი ინფორმაციის სხვა სა-შუალებებით მიღებული ცოდნა ზედაპირულია, სიღრმე აკლია და იგი ასეთსავე ადამიანებს აყალიბებს. ძველი თაობა კი, მიუხედავად მრავალი ნაკლისა, უფრო წინდახედული იყო და უფრო ღრმად აზროვნებდა.

დიდი ჩინელი ფილოსოფოსის, კონფუცის მიერ შემოთავაზებული მაგალითი მინდა შეგახსენოთ: ერთხელ იგი თავის მოწაფეებთან ერთად სეირნობდა. მან შეამჩნია კაცი, რომელიც ჩიტებს იჭერდა; მიუახლოვდა მას და ჩიტებით სავსე მისი გალია დაათვალიერა. აღმოჩნდა, რომ იქ მხოლოდ ბარტყები იყვნენ. „დიდები სადღა არიან?“ – იკითხა კონფუციმ. კაცმა უპასუხა: „დიდები გონიერნი არიან და ფრთხილნი. ვიდრე დაგებულ მახეს მიუახლოვდებიან, გულდასმით სწავლობენ გარშემო ყველაფერს და თუ რაიმე საეჭვოს შეამჩნევენ, მაშინვე მიფრინავენ და ბარტყებიც თან მიჰყავთ: კავანათში მხოლოდ უფროსთაგან განცალკევებული პატარები ებმებიან“.

„გესმით, – უთხრა ფილოსოფოსმა მოწაფეებს, – ჩიტების დამჭერმა რა სიბრძნე გვითხრა!“

ესაა ჭეშმარიტება, რომელიც ყველგან, ყოველთვის და ყველასათვის გასათვალისწინებელია. უფლის მეხუთე მცნებაც გვაფრთხილებს: „პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა“, რაც გულისხმობს არა მარტო მშობლების, არამედ, საერთოდ, უფროსი თაობის პატივისცემას. ამ ტრადიციას ჩვენი ხალხი ყოველთვის იცავდა და იგი მომავალმა თაობამაც უნდა გააგრძელოს.

თავის მხრივ, მამებმაც მეტი ლმობიერება უნდა გამოიჩინონ შვილებისადმი, რადგან მათ ჩვენთან შედარებით კიდევ უფრო რთულ დროს მოუხდათ ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლა და გაცილებით მეტი პრობლემები და სიძნელეები აქვთ დასაძლევი.

თაობათა ერთობა და ერთსულოვნება დღეს ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ეშმაკი ჰყოფს და აპირისპირებს, ღმერთი კი აერთიანებს და არიგებს.

არ შემიძლია ორიოდე სიტყვით კვლავ არ შევეხო ნარკო-

მანიის პრობლემასაც. ისინი, რომლებიც ამ საწამლავს მიეჩვივნენ, ჩვენი ავადმყოფი შვილები არიან, რომელთაც ამ საშინელი სენისაგან თავის დაღწევაში უნდა დავეხმაროთ. ერთხელ კიდევ მივმართავ მათ მამაშვილური სიყვარულით: უწინარესად თქვენ თვითონ უნდა გაგიჩნდეთ სურვილი გადარჩენისა. ამის გარეშე სხვათაგან რაიმე მცდელობას აზრი არა აქვს. იმისათვის კი, რომ ეს სურვილი იყოს მყარი და ბოროტის მხრიდან მრავალ შემოტევას გაუძლოს, ღვთის შემწეობაა აუცილებელი, რაც მხოლოდ ეკლესიური ცხოვრებით მიიღწევა. ლოცვის, აღსარებისა და წმიდა ზიარების გარეშე ზეაღმყვანებელ სულიერ კიბეზე სვლა შეუძლებელია.

ჩვენ გვყავს ბევრი ახალგაზრდა, რომელთაც მოინდომეს და შეძლეს კიდეც წლობით გამრუდებული თავიანთი ყოფის შეცვლა, ცხოვრების ჭეშმარიტი აზრი და მიზანი გააცნობიერეს, ნარკოტიკების მიღებაზე უარი თქვეს და საკუთარ სულში სულ სხვა, მეტად საინტერესო და საოცარი სამყარო აღმოაჩინეს.

ღმერთი იყოს შემწე და აღმადგინებელი ყოველი დაცემულისა.

დაბოლოს, თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო ეკოლოგიასთან დაკავშირებულ პრობლემებზეც. მოსახლეობა ჭერ კიდევ ვერ აცნობიერებს, რამდენად მძიმეა ამ მხრივ შექმნილი სიტუაცია. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ უკანასკნელი 70-80 წლის მანძილზე ჰაერის დაბინძურება 100000-ჭერ გაიზარდა, განადგურდა და კვლავაც ნადგურდება ათასობით ჰექტარი ტყის საფარი, იწამლება წყალი, გაუდაბურდა უბარმაზარი მიწის ფართობები. რამდენად შემაშფოთებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ დედამიწაზე უკვე ყოველ საათში ისპობა ცოცხალ არსებათა ორი სახეობა, რაც გლობალური სისტემური კრიზისის მაჩვენებელია. თითოეული ჩვენგანი ვალდებულია, იზრუნოს მის ირგვლივ არსებულ გარემოზე. ეს ზრუნვაა ჩვენი

და ჩვენი შვილების კეთილდღეობისთვის.

მინდა გაცნობოთ, რომ საქართველოს საპატრიარქოსთან ყალიბდება როგორც ეკოლოგიისა და გამწვანების დეპარტამენტი, ისე ნარკომანთა რეაბილიტაციის (აქამდე არსებულისაგან სრულიად განსხვავებული) ცენტრი. ჩვენი დიდი სურვილია, შესაძლებლობებისამებრ დავეხმაროთ საზოგადოებასაც და ბუნებასაც და შევქმნათ პირობები არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ არა გვაქვს უფლება როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე მსოფლიოს ხვალინდელ დღეზე პესიმისტური დასკვნები გამოვიტანოთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანი ღვთის ხატად არის შექმნილი, რომელსაც შესწევს უნარი დააღწიოს თავი სიბრძნის წყვდიადს და აღადგინოს გაწყვეტილი კავშირი ღმერთთან. ყველაფერი მხოლოდ ჩვენზე, ჩვენს არჩევანსა და სურვილზეა დამოკიდებული. რწმენა, გონიერება, სიყვარული და ნებისყოფა იყო და არის ადამიანის ერთადერთი მკურნალი და დამცველი.

„იყავით ბრძენნი, რომ იყოთ ღმერთთან და პასექის ზეიმის სიხარული არასოდეს დაგტოვებთ თქვენ“, – ბრძანებს თეოფანე დაყუდებული.

დღეს მსოფლიო არამინიერ, უჩვეულო სიხარულს მოუცავს. იგი არ ექვემდებარება არც ანალიზს, არც რაიმე განსაზღვრებას. იგია მადლი, რომელიც უხვად იღვრება უფლის კალთიდან და აღავსებს ყოველი მართლმორწმუნის სულს. ამ სიხარულის გარეშე არ არსებობს ქრისტიანობა. იგი ეფინება ეკლესიის სრულ სისავსეს და ყველას მშვიდობითა და სიყვარულით აერთიანებს.

ისინი კი, ვინც ეკლესიის წიაღში არ იმყოფებიან, შორს არიან ჭეშმარიტი მშვიდობისა და სიყვარულის, უფლის მადლისა და სიხარულისაგან. მათვის ჭოჭოხეთი უკვე ამქვეყნიდანვე იწყება.

ამქვეყნიდანვე იწყება ღვთის სათნო ადამიანთა ზეაღსვლა ცისკენ
და ეს პროცესი მსგავსია ებრაელთა მოგზაურობისა ეგვიპტიდან
აღთქმული მიწისაკენ.

დედამიწა ცხოვრების აბობოქრებული ოკეანეა, ეკლესია –
ნოეს კიდობანი. მის გარეშე გადარჩენა შეუძლებელია.

წმიდა ირინეოს ლიონელი წერს: ეკლესია ამქვეყნიური სა-
მოთხეა. ძველი და ახალი აღთქმის წიგნები კი ამ სამოთხეში გა-
შენებული სხვადასხვა ხეხილი და ნერგი. მაშ, ვიხმიოთ ნაყოფი
საუფლო ბაღისა.

ჩვენო საყვარელო სულიერნო შვილნო, თუ ხართ ღმერთ-
თან, იქნებით ეკლესიაში, თუ ნამდვილად ხართ ეკლესის წევრნი,
იქნებით აღვსილნი რწმენით, სიყვარულითა და იმედით და მწეხარება
თქვენი, განსაცდელი და ტკივილი სიხარულით შეიცვლება. გაიხსენეთ
მაცხოვრის სიტყვები: „ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა“
(იოან. 16,33).

ქრისტეს აღდგომის მაღლით, სიხარულითა და სიყვარულით
შეერთდა დღეს ცა და დედამიწა და ჩვენც ანგელოზთა თანა ვუ-
გალობთ უფალს: „წმიდაო, წმიდაო, წმიდაო, უფალო საბაოთ, სავსე
არიან ცანი და ქვეყანა დიდებითა შენითა. ოსანა მაღალთა შინა,
კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, ოსანა მაღალთა
შინა“.

ყველას გილოცავთ სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების
დიად ზეიმს და გახარებთ მარადიული სიხარულის მომანიჭებელ
სიტყვებს:

ქრისტე აღდგა!

უფალმა დალოცოს თითოეული თქვენგანი, დალოცოს ჩვენი
ქვეყანა და ხალხი, ყოველი წევრი საქართველოს ეკლესიისა. მოგვ-

მადლოს ერთსულოვნება, მშვიდობა, სიბრძნე და კეთილდღეობა, მოგვანიჭოს ნიჭი სულისა წმიდისა, რათა ჩვენზეც აღსრულდეს წმიდა წერილის ეს სიტყვები: „ნეტარია და წმიდა, ვისაც წილი უდევს პირველ აღდგომაში. მეორე სიკვდილს არა აქვს ხელმწიფება მათზე“ (გამოცხ. 20,6). ამინ!

აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 2002 წ.

საშობაო ეპისტოლე

2003 წ.

საქართველოს სამოციქულო წმიდა მართლმადიდებელი
ეკლესიის ღვთივაურთხეულ შვილებს:

„შობამან შენმან, ქრისტე მაცხოვარ, აღმოუბრნყინვა
სოფელსა ნათელი მეცნიერებისა...“
„დიდ არს ღმრთის მსახურებისა იგი საიდუმლოდ;“
აღსრულდა! „ღმერთი გამოჩნდა ჰორცითა“
(1 ტიმ. 3, 16).

 ვეყანას მოევლინა ლოგოსი – ძე ღვთისა, აზრი და გონება
 ყოველთა ხილულთა და უხილავთა. მისი შობის შესახებ
ღირსი ეფრემ ასური ასე წერს: „ქალწული მარიამი ჩვენთვის იქცა
ზეცად – ღვთის საყდრად, რამეთუ მასზე გარდამოვიდა და მასში

და ემკვიდრა უზენაესი ღვთაება; და შეიმოსა ხორცით უფალი, რათა მის მერ მოგვნიჭებოდა ხსნა“.

წმიდა იოანე მახარებელი კი ბრძანებს: „მის თანა ცხორებად იყო და ცხორებად იგი იყო ნათელ კაცთა. და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია“ (იოან. 1, 4-5).

ეს ნათელი მარად იბრნყინებს, რადგან იგია დაუსაბამო სიყვარული, უნაპირო, ყოვლისმომცველი, მიუწვდომელი და მაცხოვნებელი; და ეფინება იგი ჩვენს ძალმომრეობითა და შიშით, სიძულვილითა და მონობით, შურითა და ბოროტებით სავსე ყოფას და ამ ჭუჭყისგან ათავისუფლებს ყველას, ვინც უფალს მიანდობს თავის გულს – თავის „დიდ გონებას“ (ასე უწოდებდა გულს დიდი ფიზიოლოგი პავლოვი). 2000 წელიდა კაცობრიობას აქვს შესაძლებლობა ამ საოცარ მაღლთან ზიარებისა და განწმენდისა, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილი აცნობიერებს ღვთის ამ უჩვეულო წყალობის მნიშვნელობას და იწყებს სვლას ზეცად აღმყვანებელ კიბეზე.

ჩვენს ცხოვრებას ძირითადად ჩვენს გულში მიმდინარე პროცესები განსაზღვრავს, აქ კი ნათელთან ერთად წყვდიადიც მკვიდრობს და მათ შორის მუდმივი დაპირისპირებაა. ხშირია შემთხვევა, როცა გვინდა ვიყოთ სიკეთის მხარეს, მაგრამ არ გვყოფნის ძალა ცოდვებთან საბრძოლველად და ვმარცხდებით. ასეთ სიტუაციაში მთავარია, არ შევურიგდეთ ცოდვას, არ მივიღოთ და არ შევიტკბოთ იგი. ცოდვა უცხოა ჩვენი ბუნებისათვის, რადგან ბოროტისაგან მომდინარეობს, და თუ გულით მოვინდომებთ, მისგან ღვთის შეწევნით აუცილებლად განვთავისუფლდებით.

ადამიანის ცხოვრება გზასა ჰგავს, რომელიც შეიძლება იყოს მოკლე ან ხანგრძლივად სასიარულო, მაგრამ ორივე შემთხვევაში უნდა ვიცოდეთ, რომ ეს გზა არ იქნება იოლად სავალი და მხოლოდ სიხარულის მომნიჭებელი. არც იმას უნდა ვფიქრობდეთ, რომ იგი

იქნება აუტანელად მძიმე და დამთრგუნველი.

მიწიერი ჩვენი ყოფა სინამდვილეში გამოცდაა და ჩვენ ვალდებული ვართ ეს გამოცდა ჩავაბაროთ. ამას კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ ვიცხოვრებთ რწმენით, სასოებითა და სიყვარულით. ეს არ არის ადვილი, მით უმეტეს დღეს, როდესაც ყველანი ვხედავთ, რომ, მიუხედავად ტექნიკური პროგრესისა, ჩვენ გარშემო ყოველდღიურად ჩნდება ახალ-ახალი პრობლემები. სულიერ კრიზისს თან სდევს პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური კრიზისი.

სამწუხაროდ, მეცნიერულ-ტექნიკურ განვითარებასთან ერთად ადამიანი ინდივიდუალურ სახეს ვარგავს, უფასურდება სიცოცხლე, იქმნება ისეთი მექანიზმებიც, რომლებიც თითქმის აღარ ემორჩილებიან ადამიანის კონტროლს და, ფაქტობრივად, მისთვის მტრულ ძალად შეიძლება იქცნენ. ყოველივე ამის პარალელურად კაცობრიობა აყალიბებს ერთიან კონტროლირებად ტექნოლოგიურ სისტემას. ამ სისტემას კი აუცილებლად სჭირდება ჭეშმარიტი სარწმუნოებით აღვსილი, სიყვარულით, ნებისყოფითა და პასუხისმგებლობის გრძნობით დაჭილდოებული ადამიანები, რაზეც ნაკლებად ფიქრობენ.

მიგვაჩნია, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა ჰქონდეს მჭიდრო კონტაქტი მეცნიერებთან და ის სასიცოცხლო და, შეიძლება ითქვას, საბედისნერო საკითხები, რომელიც აღელვებს მსოფლიოს, ეკლესიის ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს.

დადგა დრო, როდესაც თანამედროვე ცივილიზაციის პრობლემების საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური გადაწყვეტა სასიცოცხლოდ აუცილებელი შეიქნა. ამ მხრივ ჩვენს ეკლესიაში პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. ის ურთიერთობა, რომელიც ბოლო დროს ჩამოყალიბდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას,

სასულიერო და საერო უმაღლეს სასწავლებლებს, მეცნიერებათა აკადემიებსა და სხვა სამეცნიერო-კულტურულ ცენტრებს შორის იმედის მომცემია და, ვთიქრობთ, კარგ შედეგს გამოიღებს. ჩვენ მეგობრულ ხელს ვუწვდით ჩვენს ინტელიგენციას და მოხარულნი ვიქნებით, თუ შევძლებთ ერთმანეთთან ვითანამშრომლოთ ქვეყნის საკეთილდღეოდ. საზრუნავი კი მრავლადაა.

მსოფლიოს გლობალური კომპიუტერიზაციის პროცესის ფონზე ინტერნეტი და სხვა საინფორმაციო საშუალებანი ხშირად ავრცელებენ ნეგატიურ დამთრგუნველ ინფორმაციებს, თესავენ შიშს ხვალინდელი დღისა, არყევენ საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებული ცხოვრების სულიერ საფუძვლებსა და აღვიძებენ მდაბალ ინსტინქტებს. შედეგიც აშკარაა, – თანამედროვე ადამიანისათვის, რომელსაც არ აქვს ჭეშმარიტი სარწმუნოება, ყოველივე ნებადართულია: მრუშობაც, აბორტიც, მკვლელობაც, ძალადობაც და ზნეობრივი დეგრადაციის სხვა გამოვლინებებიც. მეტად სამწუხაროა, რომ ასეთი აზროვნების დანერგვას გარკვეულწილად ხელს უწყობს სატელევიზიო პროგრამები და უურნალ-გაზეთები. არის დიდი მცდელობა იმისა, რომ ამორალური ყოფა ჩვენში ადამიანური ურთიერთობების ნორმად იქცეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ სასკოლო პროგრამებში ნატურალიზმამდე დასული სექსუალური აღზრდის კურსის შეტანაც მოისურვეს. ჩვენ უნდა ვასწავლოთ ადამიანებს სულიერი აღქმა მოვლენებისა, რათა მათ დამოუკიდებლად შეძლონ სათანადო პასუხი გასცენ დროის გამოწვევებს. პირველ რიგში, უნდა დავიცვათ ადამიანის სული, მისი ფსიქიკა და შინაგანი ბუნება.

არ უარვყოფთ იმ ფაქტს, რომ ზნეობრივი სიმახინჯეები ყოველთვის იყო, მაგრამ ადრე ამ თემებზე საუბრისაც კი რცხვენოდათ; ადამიანები აცნობიერებდნენ, რომ ეს არის ცოდვა და მრავალი მათგანი ჩადენილ დანაშაულს ინანიებდა. ახლა ყოველივე ეს დაშ-

ვებულია და ლამის პროგრესულ მოვლენადაც არის მიჩნეული.

რჩება ერთი გამოსავალი: უნდა შევძლოთ ახალგაზრდებში ყოველივე ნეგატიურისა და უზნეობისადმი იმუნიტეტის გამომუშავება და მათთვის მყარი მორალური საფუძვლის შექმნა. ადრეც არაერთგზის მითქვამს, რომ დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა კავშირი ოჯახს, სკოლასა და ეკლესიას შორის. ვთიქრობ, ხელისუფლება თვითონ უნდა იყოს ამით დაინტერესებული, რადგან პროცესები თუ ასე განვითარდა, საფრთხე, უპირველეს ყოვლისა, ოჯახს და სახელმწიფოს ემუქრება.

მიგვაჩნია, რომ უნინარესად უნდა აიკრძალოს პორნოპროდუქციის ლეგალიზაცია და ყაჩაღობისა და ძალადობის სიუჟეტების მქონე ფილმების ჩვენება. ამასთან არ უნდა დავუშვათ სექსუალური აღზრდის შესახებ ცალკე საგნის სწავლება; ამ მხრივ ბავშვებს ეთიკური ნორმების დაცვით სათანადო ცოდნა შეიძლება მიეცეს ანატომიისა და ზოგადი ბიოლოგიის გაკვეთილებები.

განა არ არის დრო სერიოზულად დაფიქრდეს ხელისუფლებაც, ეკლესიაცა და ინტელიგენციაც ქვეყანაში დანაშაულებებისა და თვითმკვლელობათა რიცხვის კატასტროფული ზრდის მიზეზებზე? ჩვენ ვალდებული ვართ ვიზრუნოთ ერის მომავალზე. ვთიქრობ, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული საკონსტიტუციო შეთანხმება უნდა იქცეს ქვეყნისთვის სასარგებლო ერთობლივი მუშაობის საფუძვლად, უნდა დროულად მოხდეს ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის რეალიზება ცხოვრებაში, თუკი გვსურს ავაშენოთ განვითარებული დემოკრატიული სახელმწიფო ზნეობრივი საფუძვლებით.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ნეგატიური მოვლენებისა, პესიმიზმი არ უნდა დაგვეუფლოს. პრობლემები ყოველთვის იყო და იქნება; მთავარია, ჩვენ შევძლოთ მათი გადალახვა. „დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მათთან ერთად“, – ამბობდნენ

ძველი რომაელები. წარსული და მომავალი აწმუნშია, ეს დღე ჩვენ გვეკუთვნის, ჩვენია ეს ძნელად სავალი გზა, რომელიც ერთად უნდა განვვლოთ. არ უნდა ვაიდეალებდეთ წარსულს და არც შიშით უნდა შევყურებდეთ მომავალს. საქართველო ბევრჯერ მდგარა სრული დანგრევისა და განადგურების საფრთხის წინაშე, მაგრამ ღვთით აღვმდგარვართ და გავძლიერებულვართ. მთავარია, უფლის მოწყალება და მისი მფარველობა კვლავაც დავიმსახუროთ.

უკეთუ ჩვენში ქრისტე იქნება და ჩვენს წარსულსა და მომავალს იგი აღავსებს, ნათლად გავაცნობიერებთ ჩვენი ყოფის აზრს და იმასაც, თუ ვინ ვართ სინამდვილეში, საით მივდივართ და რა უნდა ვაკეთოთ. მშვენივრად წერს პავლე მოციქული: „...გინა თუ სოფელი, გინა თუ ცხორებად, გინა თუ სიკუდილი, გინა თუ აწინდელი ჟამი, გინა თუ მერმე იგი ჟამი – ყოველივე თქუენი არს. ხოლო თქუენ – ქრისტესნი, ხოლო ქრისტე – ღმრთისაღ“ (1 კორ. 3, 22-23). ასეთი სულიერი სიმაღლე მხოლოდ დაუცხომელი ძიებით, ტანკვით, სულიერი და ფიზიკური შრომით მიიღწევა. დიახ, მწუხარებით, გაჭირვებით, ფიზიკური და ინტელექტუალური ყოველდღიური შრომით ადამიანი სულიერად იწრთობა და მის გულში ნათელსა და ბნელს შორის მიმდინარე ბრძოლის პროცესიც სასურველი გამარჯვებით მთავრდება. ამიტომაც განსაცდელს და სხვადასხვა სიძნელეს არ უნდა შევუშინდეთ. უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ მათი დაძლევითა და ჩვენი სულიერი ამაღლებით შევძლებთ გავხდეთ მკვიდრნი ზეცისანი, ოღონდ დრო არ უნდა დავკარგოთ.

დროს უნდა ვაფასებდეთ, როგორც ღვთის წყალობას და მისი გამოყენება უნდა შეგვეძლოს. დროს უნდა აღვიქვამდეთ არა მარტო როგორც ზოგად გამოვლინებას, არამედ როგორც თითოეული ჩვენგანისათვის ამქვეყნიური ცხოვრებისათვის მოცემულ გარკვეულ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც უნდა მოვასწროთ ყოველივე

იმის აღსრულება, რის გავეთებასაც ვფიქრობთ და ვგეგმავთ, რადგან არ ვუწყით, როდის წარვდგებით მარადიულობის კარიბჭესთან. ჩვენთვის განკუთვნილი ჟამი მიწიერი ცხოვრებისა აღვსილი უნდა იყოს სიკეთით, ოჯახისა და სამშობლოსათვის სასარგებლო შრომით, სულიერებით და არა მხოლოდ გართობითა და კომერციული საქმიანობით.

ჩვენი ცხოვრება მრავალ უმნიშვნელოვანეს მხარეს მოიცავს. მათ შორის ერთ-ერთი მთავარია ადამიანთა შორის ურთიერთობის საკითხი. თანამედროვე კაცი იმითაცაა განსხვავებული, რომ ზედმეტად თვითდაკერებულია, არ ერიდება სიცრუეს, შეურაცხოფას და, ამავე დროს, მკაცრია სხვათა მიმართ. ჩვენ არაერთხელ ვართ მომსწრენი იმისა, თუ არგუმენტირებული საწინააღმდეგო პოზიციის მიუხედავად თავის აზრს ჭიუტად როგორ ამტკიცებს ესა თუ ის პიროვნება და მხოლოდ საკუთარ თავს მიიჩნევს ჭეშმარიტების მქადაგებლად. ბოროტი სულის მიერ შეპყრობილი და ამპარტავნების ცოდვით მოცული ასეთი ადამიანი უარყოფს სხვათა ყველა მოსაზრებას და მტრობისა და შეურიგებლობის ცოდვაში ეფლობა. ასეთს უფალი ტოვებს და განერიდება, რადგან სძაგს ულმობელი გული.

ყოველი ადამიანი შეცოდებათა მორევშია დანთქმული და რომ არა ღვთის დიდი მოწყალება, ცათა სასუფევლის ღირსი ვერავინ გახდებოდა. უფლის საოცარი მოწყალება ჩვენდამი გვავალდებულებს ვიყოთ მიმტევებელნი მოყვასის მიმართ და ვისაც ეს უნარი არ გააჩნია, მას წილი არა აქვს ღმერთთან. უფალი ბრძანებს: „უკუეთუ მიუტევნეთ თქუენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თქუენცა მამამან თქუენმან ზეცათამან. ხოლო უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუენმან მოგიტევნეს თქუენ შეცოდებანი თქუენნი“ (მათ. 6, 14-15). ერისკაცს და მით უმეტეს მღვდელს, რომელსაც არ ძალუძს წყენა აპატიოს და შეურიგდეს

მოყვასს, მვაცრად მოჰკითხავს მაცხოვარი.

იყო ასეთი შემთხვევა: III საუკუნეში ანტიოქიაში ორი ცნობილი ადამიანი ცხოვრობდა – მღვდელი საპრივიოსი და ერისკაცი ნიკიფორე, რომლებიც ერთმანეთთან დიდად მეგობრობდნენ; ასე რომ, ხალხს ისინი ძმებად მიაჩნდა. გავიდა ხანი და სატანის ცდუნებით მათ შორის ურთიერთობა დაირღვა და ძველი სიყვარული მალე მტრობამ შეცვალა. გარკვეული ხნის შემდეგ ნიკიფორემ შეინანა თავისი მოქმედება და შენდობა სთხოვა საპრივიოსს, მაგრამ მღვდელმა არ შეუნდო და მასზე კვლავ გულძვირად დარჩა. ამ დროს რომის იმპერატორებმა ვალერიანემ (245-259 წ.წ.) და გალიენმა (260-268 წ.წ.) ქრისტიანთა სასტიკი დევნა დაიწყეს. ანტიოქიაში სასამართლოში ერთ-ერთი პირველთაგანი მღვდელი საპრივიოსი მიიყვანეს, რომელსაც, რადგან თავი ქრისტიანად მტკიცედ აღიარა, სიკვდილი მიუსაჭეს. როდესაც საპრივიოსი განაჩენის აღსასრულებლად მიჰყავდათ, ნიკიფორე კვლავ ცრემლით სთხოვდა შენდობას და ეუბნებოდა: შენ მალე წმიდა მოწამე გახდები, უფლის გვირგვინს მიიღებ და გევედრები, ნუ დამტკვებ პატიების გარეშეო; მღვდელმა გული გაიქვავა და თხოვნა არ შეიწყნარა. აი, ამ დროს, მოწამეობრივ აღსასრულამდე რამდენიმე წუთით ადრე, მას ღვთის მადლი უცებ განეშორა და გაქრა მისი სიმტკიცეც; უფლისადმი ერთგულების გრძნობა სიკვდილის შიშმა შეცვალა; მან უარყო ქრისტე და მსხვერპლი შესწირა კერპებს.

ნიკიფორე კი, რომელმაც ყოველივე იხილა, აღივსო მადლით და უშიშრად შესძახა ჭალათებს: „მე ვარ ქრისტიანი, მე მომკალითო“. მის შესახებ სასწრაფოდ მოახსენეს მმართველს და მანაც ბრძანა, რომ საპრივიოსის ნაცვლად ნიკიფორე ეწამებინათ.

მოყვასის მიუტევებლობის გამო საპრივიოსის სული ჭოჭოხეთის სიბნელეში დაინთქა, წმიდა ნიკოფორეს ხსენებას კი ძველი

სტილით 9 თებერვალს მთელი ქრისტიანული სამყარო აღნიშნავს. აღსრულდა წმიდა წერილის სიტყვები: „უფალი ამპარტავანთა შემუსრავს, ხოლო მდაბალთა მიანიჭებს მადლს“. ეს მაგალითი განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენს დროში, როცა ირგვლივ მტრობა და სიძულვილია გაბატონებული.

მაშ, ისწრაფეთ შერიგებისა და ერთსულოვნებისაკენ, ისწავლეთ ერთმანეთის მოსმენა და პატიება, ისწავლეთ საკუთარი ცოდვებისა და შეცდომების დანახვა და სინანული და თქვენი ცხოვრება სწორი გზით წარიმართება. წმიდა იოანე ოქროპირი წერს: „უფალი არასოდეს უარყოფს წრთელ სინანულს სათნოების გზაზე დაბრუნების მსურველი, თუნდაც უკიდურეს ბიწიერებამდე დაცემული ადამიანისა. ღმერთი ზურგს არ აქცევს ასეთ ცოდვილს, პირიქით, იახლოვებს მას და ყოველივეს იქმს, რათა მას თავდაპირველი პატივი დაუბრუნოს და უმეტესიც მიაგოს“.

აქვე მინდა ორიოდე სიტყვით ვთქვა ღვთისმსახურთა შესახებაც. სასულიერო პირი, ვიდრე მას აქვს უფლება მღვდელმოქმედების აღსრულებისა, ღვთაებრივი მადლისა და ძალის მატარებელია. მას შეუძლია აკურთხოს და შეუძლია, აგრეთვე, დასაჭოს ადამიანი; შეუძლია შეუნდოს ცოდვები, შეუძლია არც შეუნდოს; ყოველივე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სინანულით მიდის მასთან ესათუ ის პიროვნება. ამის უფლება იესო ქრისტემ მოციქულებს მიანიჭა და იგი მართლმადიდებელ ეკლესიაში ხელთ დასხმით თაობიდან თაობას გადაეცემა. რაც შეეხება მოძღვრის პირადულ ცოდვებს, ისინი მღვდლობის მადლს ჩრდილს ვერ მიაყენებენ; თუმცა ცოდვების გამოსასულიერო პირს ღვთის წინაშე პასუხი უფრო მკაცრად მოეკითხება, ვიდრე ერისკაცს.

დიახ, მოძღვარი ღვთაებრივი ცეცხლის მატარებელია და ამიტომაც არ შეიძლება იხუმრო მღვდელმსახურზე, დაამცირო ან

განივითხო იგი და, მით უფრო, დასცინო მას, რადგან შენ ამით შეურაცხყოფ არა რომელიმე კონკრეტულ პიროვნებას, არამედ იმ მაღლს, რომელიც ღვთის ნებით მასზე არის გარდამოსული. მოვიყვან მაგალითს ეპისკოპოს გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრებიდან. ერთხელ ამ მღვდელმთავარს შემოხვდა სამი ახალგაზრდა, რომელთაც მისი მოტყუება განიჩრახეს. ერთ-ერთი მათგანი მიწაზე დაწვა და მიცვალებულივით ხელები გულზე დაიკრიფა, დანარჩენებმა კი მწუხარე სახეები მიიღეს. როდესაც ეპისკოპოსი მათთან მივიდა, ფულისა და მიცვალებულისათვის რაიმე გადასაფარებლის მიცემა სთხოვეს. ეპისკოპოსმა მისცა თავისი ზედა სამოსი და თანხაც. როცა უგუნურმა ახალგაზრდებმა ეპისკოპოსი გააცილეს, დასცინეს: მასში რომ უფლის სული ყოფილიყო, მიხვდებოდა, რომ მის წინაშე ცოცხალი ადამიანი იწვაო. თავისი ხუმრობით ნასიამოვნებმა ყმაწვილებმა მწოლიარე მეგობარს მოუწოდეს, რომ ამდგარიყო, მაგრამ იგი არ გაინძრა. იფიქრეს, ალბათ, ჩაეძინაო და შეანჭრიეს, თუმცა ამაოდ – იგი მართლაც გარდაცვლილიყო. ასეთი იყო სასკელი ღვთისა და მათ სიცილი ტირილად შეეცვალათ.

სულიერი ცხოვრება ძალიან რთულია, მაგრამ მაღლმოსილი. ცნობილი ათონელი მოღვაწე, ღირსი სილუანე გვარიგებს: „თუ გინდა, რომ გქონდეს სიმშვიდე, ყველა უნდა გიყვარდეს როგორც საკუთარი თავი და ყოველთვის მზად უნდა იყო სიკვდილისათვის. როდესაც სულს სიკვდილი ახსოვს, იგი ხდება მორჩილი და სრულიად მიეცემა ღვთის ნებას. მას ყველასთან მშვიდობა სურს, ყველას სიყვარულს ესწრაფის... მორჩილის სული მსგავსია ზღვისა, რომლის ზედაპირსაც ჩაგდებული ქვა წუთიერად ოდნავ თუ ააღელვებს და მის სიღრმეში დაინთქმება. ასე იძირება მწუხარებაც მორჩილის გულში, რადგან მასთანაა ძალი ღვთისა“.

სხვაგან იგივე ღირსი მამა გვმოძღვრავს: „გახსოვდეს ორი

აზრი და ერიდე მათ. ერთი ამბობს: შენ წმიდა ხარ; მეორე – შენ ვერ ცხონდები. ორივე აზრი ბოროტისგანაა და მათში არაა ჭეშმარიტება. ხოლო შენ ასე ითქირე: „მე დიდი ცოდვილი ვარ, მაგრამ უფალი მოწყალე და კაცთმოყვარეა და გულწრფელი მონანიებით მომიტე-ვებს ჩემს ცოდვებს“.

სასოებით ვისმენთ დღეს ანგელოზთა საშობაო საგალობე-ლს: „დიდებად მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშვდო-ბად და კაცთა შორის სათნოებად“. მშვიდობა და სათნოება მოიტანა ღვთაებრივმა ჩვილმა დედამიწაზე, მაგრამ მაცხოვარი ამ მაღლს იძულებით თავს არავის ახვევს. უფალი ჩვენ სრულ თავისუფლებას გვანიჭებს და არჩევანის გაკეთების საშუალებას გვაძლევს; ჩვენი სურვილით, ჩვენი ნებითა და ნებისყოფით გვრთავს ჩვენი გამოხს-ნის პროცესში. ეს არჩევანი არ არის ადამიანის მარტო ამქვეყნიური ყოფის განმსაზღვრელი. იგია არჩევანი მარადიულ სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის.

სამწუხაროდ, მრავალნი ნათელში ყოფნას ბნელში ჭდომას ამჟობინებენ და ზურგს აქცევენ უფალს; ზოგიერთნი კი საერთოდ ღვთისმბრძოლნი ხდებიან.

ჩვენმა ერმაც გადაიტანა ღვთისმბრძოლობის პერიოდი, სუ-ლიერი გამოფიტვისა და შიმშილის ჟამი. წლების მანძილზე უფლის ნათელს მოკლებული გონება შეურიგებლად ებრძოდა შემოქმედს. მაგრამ, მაღლობა ღმერთს, „ბნელი იგი განგვეშორა და დღე შე-მოგვეახლა“. ბევრი მიხვდა, რომ ჭეშმარიტ რწმენას მოკლებული რაციონალიზმი დამღუპველია როგორც ცალკეული პიროვნების, ისე კაცობრიობისათვისაც; რომ ქრისტეს გარეშე ადამიანები უფსკრული-საკენ მიექანებიან და ამიტომაც თუ სწორად ცხოვრება გვსურს, თუ გვსურს ბედნიერება ჩვენი ხალხისა და ქვეყნისა, „ნათელი მეცნიერე-ბისა“ უნდა დაემკვიდროს ყველგან: მთავრობაში, ინტელიგენციაში,

სასწავლო დაწესებულებებსა და ჭარში, გლეხობასა და უბრალო მშრომელებში.

არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ ათეისტური ხელისუფლების პერიოდშიც მრავალმა მეცნიერმა და ინტელიგენციის სახელოვანმა წარმომადგენელმა გაუძლო მძიმე წნებს. მათ არა მარტო თავად შეინარჩუნეს რწმენა, არამედ რაღაც გზებით ფარულად გადასცეს იგი თავიანთ მოსწავლეებსა და სტუდენტებს. უფალმა აკურთხოს ისინი; მე კი მადლიერებით ვხრი თავს მათ წინაშე.

ყოვლადუსამღვდელოესნო მღვდელმთავარნო, სამღვდელო
და სამონაზვნო დასწო, ყოველნო ღვთივკურთხეულნო მკვიდრნო
ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი ივერიისა, საზღვარ-
გარეთ დროებით მცხოვრებნო ძვირფასო თანამემამულენო, მშობ-
ლიური აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მკვიდრნო, – ყველას
გილოცავთ ქრისტეს შობის დიდ და მაცხოვნებელ დღესასწაულს.

წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი ამბობს: „უფალმა თვისი განხორციელებით ორი დიდი სიკეთე მოიტანა: ღვთაებრივი ბუნება კაცობრივ ბუნებას შეუერთა, რათა კაცი განეღმრთო და ადამიანში საიდუმლო მაღლით ყოვლადწმიდა სამება დაემცვიდრებინა“.

დაე, ახალი წელი ყველა ჩვენგანისთვის ღვთის დიდების, ბედნიერების, მშვიდობისა და კეთილდღეობის, საქართველოს გაერთიანების, თანხმობისა და ბარაქის მომტანი ყოფილიყოს. ყველას გისურვებთ იყოთ სიხარულის მიმნიჭებელნი ერთმანეთისათვის და ცათა შინაც მარადიული სიხარული მოგეპოვებინოთ.

იმედით შეხვდით მომავალს, ილოცეთ, იშრომეთ, დათრგუნეთ თქვენი ეგოიზმი და ვნებები, რადგან ბოროტს სძლევს მხოლოდ ის, ვინც უკვე სძლია საკუთარ თავს.

ლმერთს ებარებოდეთ.

ქრისტეშობა
თბილისი, 2003 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

2003 წ.

ღვთისმშობლის წილხვედრი კურთხეული ივერიის
ღვთისმოყვარე, მშვიდობისმოყვარე სამწყსოს:

„თუკი ღმერთი ჩვენს მხარესაა, მაშ,
ვინდაა ჩვენს წინააღმდეგ?“ (რომ. 8, 31).

 ოვლადუსამღვდელოესნო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო
დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ყოველნო ღვთივდაცულნო
შვილნო ივერიისა, საქართველოს მკვიდრნო და სამშობლოს სა-
ზღვრებს გარეთ დროებით მცხოვრებნო თანამემამულენო, ისმი-
ნეთ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს სიტყვები და ღრმად აღიბეჭ-
დეთ გულში: „ამას იტყვს წმიდად იგი და ჭეშმარიტი, რომელსა აქვს
კლიტე დავითისი, რომელი-იგი განაღებს, და არავინ დაპუშას,
გარნა განმღებელმან მან, და არავინ განაღოს დაჯშული იგი. ვიცნი

საქმენი შენნი. აპა ესერა, მიმიცემია წინაშე შენსა კარი განღებული, რომლისა დაჯშვად ვერვინ შემძლებელ არს“ (გამოცხ. 3, 7-8).

აი, ჩვენს წინაშეა გახსნილი კარი ცათა სასუფევლისა. ამ უნა-
პირო წყალობით მაცხოვარმა დაგვაჭილდოვა.

ქრისტე აღდგა!

აღდგა ღმერთი, „რომელიც მიცემულ იქნა ჩვენი ცოდვების
გამო, და აღდგა ჩვენს განსამართლებლად“ (რომ. 4, 25). გიხარო-
დე!

აღდგა სიკვდილის დამთრგუნველი უფალი, წყარო სიცოცხ-
ლისა, მომნიჭებელი საყოველთაო აღდგომისა. გიხაროდე!

სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ, – აი, მთავარი არსი და მიზები
პასექის ზეიმისა. მაშ, ფართოდ გაუხსენით მას გული და აღივსენით
არამინიერი სითბოთი და სიყვარულით, რომელიც ასე უხვად ეფინება
დღეს თითოეულ ჩვენგანს.

ქრისტე აღდგა!

ისინი კი, ვინც უფლისმიერი სიხარულის ამ განცდას და სუ-
ლინმიდის მადლს განშორებულნი არიან, უნდა ეცადონ, ეკლესიური
ცხოვრებით როგორმე მოიპოვონ იგი; როგორც წერს წმიდა ირინეოს
ლიონელი: „სადაც ეკლესია, იქ სულინმიდაცაა და სრული სისავსე
მაღლმოსილებისა. ეკლესიის და სულინმიდის გარეშე კი ნებისმიერი
ადამიანი დაუცველია და დაღუპვისათვის განწირული“, რადგან, ცხ-
ოვრების მღვრიე ტალღებს შეჭახებული, სასოწარკვეთილებაში ად-
ვილად ვარდება და ბოროტის გავლენისაგან თავის დაღწევას დიდი
ძალისხმევითდა თუ შეძლებს. სამწუხაროდ, ბევრნი თვითმკვლე-

ლობით ამთავრებენ სიცოცხლეს, რაც სულინმიდის გმობაა და არ ეპატიება ამის ჩამდენს არც ამქვეყნად და არც იმქვეყნად.

ცხოვრება ფართო არჩევანს გვთავაზობს და ეშმაკი ყოველ-ნაირად ცდილობს ცოდვებში ჩაგვითრიოს, რათა ღვთიურ მადლს განგვაშოროს და ამქვეყნიურ საცდურთა საშუალებით მარადიული სასუფეველი დაგვაკარგვინოს; ან უნდა დავამარცხოთ ჩვენი თავი და ჩვენზე გაძატონებული მიწიერი ვნებანი, ანდა ბიწიერებისა და ბოროტების მთესველად უნდა ვიქცეთ.

დიახ, თუ ჩვენს თავს ვერ მოვერევით, ვერ ვძლევთ ჩვენს სია-მაყეს, მრისხანებას, შურს, დიდებისმოყვარებას, ხორციელ ვნებებს, მომხვეჭელობას, სიძულვილს, განკითხვასა და სხვა მანკიერ თვისე-ბებს, აუცილებლად ცოდვის ჭაობში დავინთქმებით. თუმცა, როგორი მძიმეც არ უნდა იყოს ჩვენი მდგომარეობა, უნდა გვახსოვდეს, რომ დაცემას არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევეგუოთ. ახალი ცხოვრე-ბის დაწყება არასოდეს არ არის გვიან, ყველა სხვა ქვენა გრძნობასა და ინსტინქტს გადარჩენის წყურვილმა უნდა სძლიოს.

თითოეულ ჩვენგანს მძიმე, მაგრამ განმნმენდელი გზა გვაქვს გასავლელი. ეგვიპტიდან აღთქმული მიწისკენ მიმავალ ებრაელთა მსგავსად ჩვენ „სულიერი იერუსალიმისაკენ“ უნდა ვისწრაფოთ. ასე რომ, „სინას უდაბნოს“ დაძლევა მოგვიწევს და გარკვეული ხნით ფარაონიც მოინდომებს ჩვენს დევნას, მაგრამ თუ უფალი იქნა მწე ჩვენდა და მფარველ ჩვენდა, ვისა გვეშინოდეს?! (ფსალმ.). მაშ, დავით მეფის სიტყვებით შევსთხოვოთ ღმერთს: „შთამაცუ მე ძალი ბრძოლასა, შეაბრკოლენ ყოველნი, რომელნი აღდგომილ არიან ჩემ ზედა, ჩემ ქუეშე“ (ფსალმ. 17, 40).

მაგრამ ამას რომ მივაღწიოთ, უნდა ვიყოთ უფალთან, ანუ უნდა ვიყოთ წევრნი ჩვენი წმიდა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისა, რომელმაც ოცი საუკუნის მანძილზე შეურყყვნელად და-

იცვა ქრისტეს ჭეშმარიტი სწავლება და შეგვანარჩუნებინა თვითმყოფადობა, ჩვენი სული, ჩვენი მამული, ჩვენი საოცარი კულტურა.

წმიდა მამები ხშირად შეგვახსენებენ ეკლესიის მნიშვნელობას მორწმუნის ცხოვრებაში. როგორც ვთქვით, ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, მასში მოიპოვებს სულიწმიდის მადლსა და ნამდვილ თავისუფლებას, ადვილად სძლევს სიძულვილის, უნდობლობისა და გაუტანლობის ატმოსფეროს, სიმარტოვის მძიმე განცდასა და ყოველნაირ მიწიერ შიშს.

მოციქული პავლე ჩამოთვლის სულიწმიდის ნიჭთ, რომელთაც ადამიანი ეკლესიის მეოხებით ეზიარება: „სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, დიდსულოვნება, სიტკბოება, სიკეთე, რწმენა, თვინიერება, თავშეკავება“ (გალ. 5, 22-23). აი, ამ საფუძველზე უნდა დააშენოს ნებისმიერმა კეთილმორწმუნებ თავისი განსჭა და ქმედებანი, თუ სურს გახდეს თანაზიარი ცათა სასუფევლისა.

რა თქმა უნდა, ყველას სურს მშვიდი და ბედნიერი ცხოვრება, მაგრამ პრობლემებს ვერავინ გაექცევა, რადგან ჩვენი დაცემული ბუნება თვითონ შობს მათ.

არც ეკლესიის წიაღში ყოფნა ნიშნავს უზრუნველ ყოფას; პირიქით, სწორედ ესაა ის არეალი, სადაც ბოროტება დაუცხრომლად ებრძვის სიკეთეს; ოღონდ აქ აუცილებლად გამარჯვებას მიაღწევს ყველა, ვინც უფლისმიერი ვიწრო, ეკლიანი, მაგრამ ერთადერთი და გადამრჩენელი გზით ივლის.

სწორედ ბოროტან ხილული თუ უხილავი ბრძოლით და მასზე გამარჯვებით მოიპოვებთ სულიწმიდის მადლს, რომელიც შინაგანი სიმშვიდით, არამიწიერი სიყვარულითა და სიხარულით აღავსებს თქვენს შინაგან სამყაროს. ასე რომ, ნუ შეგაშინებთ პრობლემები; საცდური და განსაცდელი თვით უფალსაც ჰქონდა უდაბნოში ყოფნის დროს და უწინარესად იქ განცხადდა მისი ძალა, სიბრძნე და მადლმოსილება.

ესეც იცოდეთ, თუ მიუკერძოებლად ჩაუღრმავდებით განვლილ ცხოვრებას, აღმოაჩენთ, რომ ჩვენზე მოწევნული მწუხარებისა და განსაცდელის მთავარი მიზეზი ჩვენშივეა და ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ჩვენეული აღქმა ჩვენი შინაგანი და გარე სამყაროსი, როგორია ჩვენი დამოკიდებულება ღმრთისა და მარადიული ღირებულებისადმი. ამავე დროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება გულისა და გონების სისუფთავეს. ამიტომაც ცდილობდნენ ღირსი მამები ლოცვასა, მარხვასა და სულიერ ღვაწლთან ერთად განეწმინდათ გონება, რათა უბინო ყოფილიყო მათი ფიქრი, ხოლო აზროვნება – ღრმა (რაც უფლის შიშიდან მომდინარეობს და არა განსწავლულობიდან, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია).

ყოველივე ზემოთქმულის შესახებ საოცრად მსჯელობს იმპერატორი ნერონის თანამედროვე, რომში I საუკუნეში მცხოვრები დიდი მოაზროვნე და ფილოსოფოსი ეპიქტეტე (60-138 წწ.), რომელიც სოციალური მდგომარეობით მონა იყო, მაგრამ ყველას თავისუფალ პიროვნებად მიაჩნდა. მან მშვენივრად უწყოდა და სხვათაც უხსნიდა, თუ ბატონს როგორ აქცევს მონად მისი მიწიერი ვნებანი და, პირიქით, თვით ყველაზე მძიმე მონობისა და ტყვეობისაგან როგორ ათავისუფლებს ადამიანს შინაგანი კავშირი ღმერთთან.

იგი ამბობდა: საგნები და მოვლენები კი არ ანიჭებენ კაცს ბედნიერებას, არამედ ჩვენი დამოკიდებულება მათდამი, ამიტომაც ბედნიერება ჩვენს ხელშიაო. „იყავი მართალი და შენ იქნები თავისუფალიც და ბედნიერიც. ყველას, ვისაც სურს მოიპოვოს თავისუფლება, შეუძლია ეზიაროს მას, ოღონდ ამისთვის აუცილებლია განთავისუფლდეს ცოდვისა და ყოველგვარი სიბილნისაგან“.

„გაბატონდი შენს ვნებებზე, თორემ ისინი დაგიმორჩილებენ; თუ ცუდი აზრი მოგივა, ეცადე შეაჩერო და თავიდანვე გააანალიზო ყველა ის შედეგი, რაც მას მოჰყვება. ამასთან, მოუხმე მის საწინააღმდეგო კეთილ ფიქრებს, შეაჭერე ისინი და მხოლოდ ამის შემდეგ

მიიღე გადაწყვეტილება. იცოდე ესეც, თუ გსურს იყო მართალი, კარგად უნდა დარწმუნდე, რომ შინაგანად დაცემული ხარ“.

თითქოს საუკუნეებს გადასძახისო ეს დიადი მონა, როცა ამბობს: „მიჩვენეთ თუნდაც ერთი მაგალითი, ერთი საშუალება გამდიდრებისა ისეთი, რომელიც არ წაბილწავს სულს და მეც მივბაძავ თქვენს რჩევას“.

მეტად საინტერესოა ბრძენი ლაო-ძის დარიგებაც: „ძლიერია, ვინც სიყვარულითაა სავსე; გულუხვია, ვინც ზომიერად გასცემს; მეფობს, ვისაც მორჩილება შეუძლია.

ვინც ძლიერია და არა აქვს სიყვარული, – გაუბედურდება, ვინც გულუხვია, მაგრამ არ იცავს ზომიერებას, – გაღატაკდება, ვინც ბატონობს, მაგრამ არ იცის მორჩილება, – დაიღუპება“.

ღმერთს ყველაზე მეტად ამპარტავანი არ მოსწონს და ყველაზე მეტად თავმდაბლობას აფასებს. ამიტომაც, შინაგანი თვითკმაყოფილების გაჩენისთანავე (რაც ამპარტავნების უპირველესი ნიშანია) მსწრაფლ წვრთნის მას, ვინც უყვარს.

უდაბნოში ერთი ბერი მოღვაწეობდა და დაუცხრომელ ლოცვასა და მარხვაში იყო. ამპარტავნების ბოროტმა სულმა ნელ-ნელა იწყო მისი სულის დაპყრობა და თანდათან უნერგავდა აზრს მისი განსაკუთრებულობის შესახებ. როცა ასეთმა ფიქრებმა სერიოზულად შეაწუხეს, მას ეყო სიბრძნე, მიატოვა უდაბნო, მონასტერში დაბრუნდა და თავისი მდგომარეობის შესახებ წინამდღვარს უამბო. მან მაშინვე იგრძნო საფრთხე და უბრძანა, ჭოხი აეღო და ღორები ემწყემსა. ბერმა დაუჭერა. მისი საქციელი ბევრს გაუკვირდა და დაცინვა დაუწყო, მაგრამ მეუდაბნოებ მათ კეთილგანწყობას მორჩილება ამჭობინა. საკუთარი თავის ასეთი დამცირებით იგი გადარჩა და შემდეგნობილი მამა გახდა.

დღეს, როგორც არასდროს, ჩვენში დაჩლუნგებულია სულიერი

ხედვის უნარი; იშვიათად თუ ვინმეს აქვს სურვილი, საწყის ეტაპზევე გააცნობიეროს ის საფრთხე, რომელსაც მასში თვითკმაყოფილება უკაფავს გზას და ეს დამღუპველი გრძნობა დრობე ალაგმოს. ამიტომაცაა ყველაზე მეტად ფესვგადგმული უდიდესი ცოდვა – ამპარტავნება.

ამპარტავნება სხვადასხვა სახით გამოვლინდება. მისი ერთ-ერთი მძიმე ფორმაა სიმდაბლით ამპარტავნება. როგორც ამბობენ, ეს „თავმდაბლობა“ უარესია ამპარტავნებაზე. ვინც ამ ცოდვაშია, ხშირად თავს იმცირებს სიტყვით და აღიარებს, რომ სუსტია და მრავალი მანვიერი თვისება აქვს, მაგრამ საკმარისია ვინმესგან შენიშვნა მიიღოს, მსწრაფლ განრისხდება, განაწყენდება და უჭირს პატიება. თუ ასეთ ადამიანებს მართლაც სურთ თავმდაბლობის მოპოვება, უნდა მიეჩვიონ წყენის უდრტვინველად გადატანას; ეს აუცილებლი პირობაა.

ამპარტავნებიდანვე მომდინარეობს სხვათა განსჭის სურვილი და ვერ დანახვა საკუთარ უძლურებათა.

ერთხელ ერთმა ბერმა რაღაც ცოდვა ჩაიდინა, რის გამოც სულიერმა ძმებმა განვითხვა დაუწყეს. მას არ უცდია თავის გამართლება, ლოცულობდა, ტიროდა და ჩადენილს მწარედ ნანობდა. მონასტრის წევრებმა გადაწყვიტეს, სასჯელი დაედოთ მისთვის და ამ მიზნით მოიწვიეს მეუღაბნოე ცნობილი სულიერი მოძღვარი. იგი თავდაპირველად კრებაზე არ მოვიდა, მერე კი გამოცხადდა ზურგზე ძველი დიდი ტომრით, საიდანაც სილა იყრებოდა. ბერებმა ჰკითხეს, თუ რას ნიშნავდა ეს. მოძღვარმა კი უპასუხა: „სილა – ეს ჩემი ცოდვებია, მაგრამ მე მოვედი ჩემი ძმის დასასჯელადო“. ამით მან მიანიშნა, რომ ისინი, ვინც დამნაშავის განსჭას მოითხოვდნენ, თვითონაც ცოდვილნი იყვნენ და, ამდენად, არ ჰქონდათ მორალური უფლება სხვისი დამცირებისა. მონასტრის ძმებმა გულისხმაყვეს, რომ

არასწორად მოიქცნენ, შეინანეს დანაშაული და შეცდომილი ბერი სიყვარულით შეიწყნარეს.

ეს მაგალითები, მართალია, სასულიერო პირთა ცხოვრებიდანაა, მაგრამ იგივე და უფრო მძიმე სიტუაციაა ერში. ერისკაცთ უფრო უჭირთ გააცნობიერონ, რომ თვითონ სხვაზე არანაკლებად დაცემულნი არიან, რომ განკითხვა აბინძურებს სულს და მათ ისედაც ცოდვით სავსე ცხოვრებას ახალ სიმძიმეს მატებს და რომ ყველამ გამოსწორება სხვისგან კი არა, საკუთარი თავიდან უნდა დაიწყოს.

მინდა შევჩერდე თანამედროვე ჩვენი ყოფისათვის დამახასიათებელ ერთ მოვლენაზეც: მეტად სასიხარულოა, რომ, მიუხედავად საყოველთაო გაჭირვებისა, მთელ საქართველოში შენდება ეკლესია-მონასტრები. ალბათ, ასე მოკლე დროში ჩვენთან ამდენი ტაძარი არც არასდროს აგებულა. ეს ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ მოსწყურდა 70-წლიანი ათეისტური რეჟიმით დათრგუნულ ხალხს ღმერთი და როგორ ილტვიან მისკენ მდიდარნიც და ღარიბნიც, მართალნიც და ცოდვილნიც, ასაკოვანნიც და უასაკონიც, მეცნიერნიც და უბირნიც.

ახალი ტაძრების მშენებლობა ღვთისთვის მართლაც სათნოა, მაგრამ ხშირად ავიწყდებათ, რომ კიდევ უფრო დიდი მადლია დაბინებული ეკლესიების რესტავრაცია, ძველი ტაძრებისა და მათი ნანგრევების აღდგენა. ვინც ამას აკეთებს, უფლის წინაშე დიდად კეთილ საქმეს იქმს: ამასთან, ეს ნაბიჭი უფრო მოკრძალებულია და ამბიციურობისაგან თავისუფალი, ხოლო უფლისმიერი შეწევნა – გაცილებით დიდი, რადგან ასეთ ადამიანს და მის ოჯახს არ მოაკლდება მეოხება იმ სასულიერო და საერო პირთა, რომელნიც ამ ტაძრებსა და მონასტრებში ლოცულობდნენ და მოღვაწეობდნენ. მათი აღდგენა-განახლება წინაპართა პატივისცემისა და სამშობლოს სიყვარულის უფრო დიდი გამოვლინებაა.

საერთოდ, ძნელია გამოთქმა იმ გრძნობისა, რომელიც სა-მშობლოსთან გვაკავშირებს. თუ ვიტყვით, რომ იგი გვიყვარს, – ეს არაფრისმთქმელი ფრაზაა. არც დედამინის ულამაზეს გარკვეულ გეოგრაფიულ სივრცედ მისი აღქმა ნიშნავს რამეს. ჩვენ სისხლხორცეული ნაწილი ვართ ჩვენი მამულისა, იგი საუნჯეა ჩვენი. ჭირს გარჩევა, ჩვენ ვცხოვრობთ მასში, თუ ის მკვიდრობს ჩვენს გულებში. სამშობლო, ესაა ენა ქართული, ესაა სული ჩვენი დიდებული წინაპრებისა, ათასობით წმინდა მოწამისა, მეფეთა, კათოლიკოს-პატრიარქთა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა და დედათა, ესაა ჩვენი უთვალავი ტაძარი და მონასტერი, ჩვენი სიწმინდენი, ხელოვნება, არქიტექტურა, მწერლობა. ესაა ჩვენი ხასიათი და აზროვნების წესი; ესაა ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი. სამშობლო ჩვენი დიდი იმედია. მისდამი გრძნობა ისევე ამაღლებული და სათუთია, როგორც სიყვარული ღვთისა. ამიტომაც ამბობს ქართველი:

„როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“.

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მომივლია და მამულის ასეთი მტკიცნეული განცდა სხვაგან არსად მინახავს. ეს გრძნობა განსაკუთრებით უნდა შეინარჩუნონ უცხოეთში მყოფმა ჩვენმა თანამემა-მულებმა და ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ სამშობლოში დაბრუნდნენ, რადგან დიდხანს ფესვებს მოწყვეტილი ადამიანი ეროვნულ თვითშეგნებას კარგავს.

მახარებს, რომ საქართველოში მცხოვრები სხვა ერის შვილებიც დიდი სიყვარულით არიან განმსჭვალულნი ჩვენი მიწა-წყლისა და ხალხისადმი, თუმცა ქვეყნისადმი დამოკიდებულება ყველამ საქმით უნდა აჩვენოს. ეს უნინარესად ეხებათ პოლიტიკოსებსა და საზოგადო მოღვაწეებს, რადგან მათ ქვეყნის მართვის სადაცები უპყრიათ.

ჩვენ ვცხოვრობთ თავისუფალი, ჰუმანური და დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის პერიოდში. ერთი რამ ცხადია,

თუ მართლაც თავისუფალ სახელმწიფოს ვაშენებთ, ეს პროცესი არ მიგვიყვანს ფსევდოთავისუფლებამდე, ქაოსსა და ნგრევამდე, რადგან ჭეშმარიტი თავისუფლებით ნაკარნახევი ჩვენი აზრები და ქმედებანი არ დაარღვევს ზნეობისა და ეთიკის ნორმებს. ეს განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს ახლა, როცა გვიახლოვდება საპარლამენტო არჩევნები.

არჩევნებთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო პოლიტიკურ მოღვაწეთაც და სასულიერო პირებსაც, რომ ეკლესია არის ერთადერთი ძალა, რომელმაც უნდა გააერთიანოს ერი და, ამდენად, მისი გამოყენება ვიწრო პარტიული ინტერესებისათვის ყოვლად დაუშვებელია. სასულიერო პირებს, წმიდა სინოდის დადგენილებით, აკრძალული აქვთ უშუალოდ არჩევნებში მონაწილეობის მიღება (კენჭის ყრაზე საკუთარი კანდიდატურის წამოყენება) და ამა თუ იმ პოლიტიკური ბლოკის, პარტიისა თუ ცალკეული პირის საჭაროდ მხარდაჭერა. რა თქმა უნდა, ეს არ გულისხმობს ისეთ ეროვნულსა და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის უმთავრეს საკითხებში ჩვენს ჩაურევლობას, როგორიცაა, მაგალითად: ტერიტორიული მთლიანობა, დამოუკიდებლობა, ეროვნული ეკონომიკის აღორძინება, სოციალური პრობლემები და სხვ.

ეკლესია სულის საკურნებელი ადგილია და იგი ყველა მართლმორწმუნეს თანაბრად ეკუთვნის; ტაძარი სახლია უფლისა, ხოლო „მიკერძოება უცხოა ღმრთისათვის“ (რომ. 2, 11). როგორც ჩანს, დღესაც ხშირად უნდა გავიხსენოთ პავლე მოციქული, რომელიც მორწმუნებს დიდ შეცდომად უთვლიდა ასეთ დამოკიდებულებას: „მე პავლესი ვარ, მე აპოლოსისა, მე კეფასი, მე კიდევ ქრისტესი. ნუთუ გაიყო ქრისტე?“ (1 კორ. 1, 12-13).

არ შემიძლია არ აღვნიშნო ისიც, რომ ხშირად ჩვენ ირგვლივ არსებულ სიტუაციას შედარებით უფრო მკვეთრად უარყოფითად აღიქვამენ, ვიდრე ეს სინამდვილეშია. მართალია, მუდმივად გვაქვს

დენისა და გაზის პრობლემა, დაბალია საპენსიო და სახელფასო ანაზღაურება, მცირეა სამუშაო ადგილები, მაგრამ ეს მაინც არ არის გამოუვალი მდგომარეობა. სხვადასხვა სახის პრობლემა ყოველთვის იყო; ამაზე მძიმე დროც გვქონია, მაგრამ დღეს სიტუაციას ამძაფრებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მოვლენათა დრამატიზება და ამასთან ზნეობრივი თავაშვებულობის პროპაგანდა; ასევე ჩვენი დიდი ნაკლია დაყოფა და ურთიერთდაპირისპირება, რაც დრომაც მოიტანა.

მიუხედავად ყველაფრისა, მდგომარეობა გამოსწორებადია. მშვენივრად წერს ბრძენი: „ო, უბედურებავ, შენ ხარ სათავე ბედნიერებისა; ო, ბედნიერებავ, შენ ხარ ძირი უბედურებისა“. ამიტომაც მჟერა, ადრე თუ გვიან, ხალხი ალღოს აუღებს შემოთავაზებულ სიახლეებს, შეძლებს ავისა და კარგის გარჩევას, მოიკრებს ძალას მანკიერ თვისებათა დასაძლევად, ეკონომიკური სიტუაციის გამოსასწორებლად და ერთობისაკენ ჩვენი სწრაფვაც რეალობად იქცევა.

ამ ეპისტოლეს მინდა ვუწოდო „იმედი – შიშისა და სასოწარკვეთილების ნაცვლად“ და პავლე მოციქულის სიტყვებით დაგლოცოთ: „დაე, მოგეცეთ იმისი ნიჭი, რომ ერთმანეთს შორის თანამოაზრენი იყოთ ქრისტე იესოს მიერ; რათა ერთსულოვნად და ერთხმად ადიდებდეთ ღმერთსა... შეიწყნარეთ ერთმანეთი, როგორც ქრისტემ შეგიწყნარათ თქვენ“ (რომ. 15, 5-7).

მაშ, მიენდეთ უფალს და მისი შეწევნით ისწავლეთ პრობლემების დაძლევა.

ცხადია, თითოეულ ჩვენგანს, ჩვენს მომავალ თაობას და, ზოგადად, ჩვენს ქვეყანას რთული გზა აქვს გასავლელი. გეოპოლიტიკური მდებარეობა საქართველოსთვის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. აქ კვეთს ერთმანეთს ჩრდილოეთისა და სამხრეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი გზები. აქ გადიოდა და კვლავაც იწყებს ფუნქციონირებას დიდი აბრეშუმის

გზა. ამ მინასთან არის დაკავშირებული მრავალი დიდი და პატარა ქვეყნის ინტერესი. ამიტომაც მუდმივად ვიდექით არჩევნის წინაშე და გადარჩენისა და განვითარებისთვის ვეძებდით საშუალებებს. ჩვენი კულტურა ევროპისა და აზის კულტურული მემკვიდრეობის ჩვენეული აღქმაა და არა მექანიკურად გამეორება სხვათა ნააზრევისა. ამიტომაცაა იგი ძვირფასი. ამიტომაც შევიტანეთ ღირსეული წვლილი მსოფლიოს კულტურულ საგანძურში. მრავალფეროვნება ჩვენს თვისებად იქცა; ცალმხრივობა არც დღეს გამოგვადგება. ჩვენთვის ახლობელი უნდა იყოს ყველა; ზომიერება ჩვენი არსებობის აუცილებელი პირობაა, – ასეთია ღვთის განგებულება.

ეპისტოლე თანამედროვე ათონელი დიდი მოძღვრის, მამა გიორგის სიტყვებით მინდა დავამთავრო: „რწმენა თეორია კი არ არის, არამედ ცოცხალი განცდაა მისი. ღვთისმოყვარე გული ისე აირეკლავს უფალს, როგორც წყალი – მზეს. ჩვენ ძენი ვართ აღდგომისა. აღდგომის სიხარულის გარეშე შეუძლებელია სიცოცხლე, შეუძლებელია გადარჩენა“.

მაშ, სიხარულითა დიდითა განიხარეთ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მცხოვრებნო ძმანო და დანო, ყოველნო მკვიდრნო საქართველოდასა და მის ფარგლებს გარეთ მყოფნო თანამემამულენო, რამეთუ „სიკვდილითა სიკვდილისა შემუსვრასა ჭოჭოხეთისასა დღეს ვდღესასწაულობთ, დასაბამსა და მიზეზსა ახლისა ცხოვრებისასა ვუგალობთ“ (VII საგალობელი) და სასოებით ვიმეორებთ მარადიული სიხარულის გამომხატველ სიტყვებს:

ქრისტე აღდგა!
ჭეშმარიტად აღდგა!

პასექი ქრისტესი
თბილისი, 2003 წ.

საშობაო ეპისტოლე

2004 წ.

საქართველოში მცხოვრებ ღვთივკურთხეული ივერიის
ყველა ერთგულ შვილს და დროებით სამშობლოს საზღვრებს
გარეთ მყოფ ჩვენს თანამემამულეთ:

„ვიცნი საქმენი შენნი. აპა, ესერა მიმიცემია
ნინაშე შენსა კარი განდებული, რომლისა
დაჭმვად ვერვინ შემძლებელ არს“ (გამოცხ. 3, 8).

 ოვლადუსამდვდელოესნო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო,
დიაკონნო, სამონაზვნო დასნო, ყოველნო კურთხეულნო შვი-
ლნო საქართველოდასა და დროებით ჩვენი სამშობლოს ფარგლებს
გარეთ მყოფნო ძვირფასო თანამემამულენო, ყველას გულითადად
გილოცავთ მაცხოვრის შობის უდიდეს დღესასწაულს, ზატიკს, რო-

მელსაც უკვე 2000 წელზე მეტია ზეიმით აღნიშნავს მთელი ქრისტიანული სამყარო.

ამ საიდუმლოს შესახებ მშვენივრად ბრძანებს წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი: „უხორცო იგი ხორციელ იქმნა, უხილავი განცხადდა, მიუწვდომელი ხელშესახები გახდა, სე ღვთისა განკაცდა, რათა ცოდვისგან ეხსნა ადამის მოდგმა“.

მოვიდა იგი ჩვენთან მორჩილი და დამდაბლებული. სასახლესა და სამეფო პატივს გამოქვაბული არჩია და ბაგასა შინა მწოლი წარუდგა სოფელს. დიახ, მან პირველი წუთებიდანვე ყველას უჩვენა მაგალითი საოცარი თავმდაბლობისა და ამ სათნოებისკენ მოუწოდა თავის მიმდევართ. მაგრამ მაცხოვრის შობა არ იყო მხოლოდ სიმდაბლის გამოვლინება, მას თან ახლდა ზეციური დიდების ბრწყინვალებაც. შორიახლოს მყოფ მწყემსებს ეჩვენათ უფლის ანგელოზი, რომელმაც უთხრა მათ, რომ იშვა იესო ქრისტე – „სიხარული ყოვლისა ერისა“ (ლუკ. 2, 10); ამასთან, ზეცით გაისმა ანგელოზთა გუნდის საგალობელი: „დიდებად მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშვდობად და კაცთა შორის სათნოებად“.

ისინი ადიდებდნენ ლმერთს, რომელმაც მხსნელი მოუვლინა ქვეყანას და უგალობდნენ მშვიდობას, რომელიც დაივანებდა ქრისტეს მორწმუნეთა შორის.

უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მშვიდობა არ შეიძლება გავაიგივოთ ჩვეულებრივ ადამიანურ სიმშვიდესა და კეთილდღეობასთან. უფლისმიერი მშვიდობა არის განწმენდილი სინდისის სიმშვიდე, ანუ, მდგრამარეობა იმ ადამიანისა, რომლის სულშიც მოხდა ფერისცვალება და თავმდაბლობითა და სინაწლით მიღებული წმინდა ზიარებით აღდგა ჩატეხილი ხიდი ღმერთთან, მოყვასსა და საკუთარ თავთან. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ეს ღვთაებრივი მშვიდობა რამდენადაც ღრმად იმკვიდრებს ადგილს ამა თუ იმ პიროვნებაში, იმდენად მკვეთრად გამოვლინდება მის ცხოვრებაში.

ღმერთს რომ შევურიგდეთ, ჰერ საკუთარი თავი უნდა შევიცნოთ, ანუ, გავაცნობიეროთ ჩვენი ცოდვები, რაც გულისხმობს პირუთვნელ, სამართლიან დამოკიდებულებას ჩვენი „მესადმი“.

როდესაც ადამიანი თავის თავს ჩაუღრმავდება, იმდენ ნაკლოვანებას აღმოაჩენს, რომ ეკარგება სურვილი სხვათა განვითხვისა. გულწრფელი სინანული კი არის აღმხოცველი ჩადენილი დანაშაულისა და ამასთან – ჩვენი შემრიგებელი უფალთან.

ამიტომაცაა სინანული, თავმდაბლობა და სამართლიანობა უპირველესი თვისებანი ქრისტიანისა. ამ სათნოებათა მატარებელი სიკეთითა და ღვთიური მადლით მოსილი უბრალოებით გამოირჩევიან. გახსოვდეთ:

სუფთა სინდისი – მუდმივი დღესასწაულია.

ამპარტავანი სძაგს უფალს.

სამართლიანობა დიდად განაპირობებს როგორც ცალკეული პიროვნების, ისე ქვეყნის სიმშვიდეს.

მძიმეა გზა სიმართლისა, მაგრამ ისაა ერთადერთი და გადამრჩენელი გზა და მას აცისკროვნებს ბეთლემის ვარსკვლავის ბრწყინვალება, – „ნათელი იგი, ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია“ (იოან. 1, 5).

ბოროტება და სიბნელე ჰყოფს ყველაფერს, თესავს მტრობასა და სიძულვილს, უნდობლობასა და მრავალ სხვა ცოდვას. ღვთის სიყვარული კი არის გამაერთიანებელი. მას არავისი შურს, ყველაფერს ითმენს და ჩვენს უძლურებებს კურნავს.

სამყაროს შექმნიდან დღემდე ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის არ შეწყვეტილა და იგი სულ უფრო და უფრო მძაფრ ფორმებს იღებს. თანამედროვე ჩვენი ყოფა კი იმდენად დამძიმდა, რომ უარყოფითმა მუხტმა მთელი მსოფლიო მოიცვა.

ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებით გათამამებულმა ადამიანმა დაივიწყა ღმერთი

და თავისი შესაძლებლობების უსაზღვრობა დაიჭერა. წარმოიშვა უკიდურესი ამპარტავნება, თავდაჯერებულობა და ქედმაღლობა, რის საფუძველზეც მოხდა ცნობიერების განშორება რწმენასა და სულიერ ფასეულობებთან. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში მხოლოდ მეცნიერულ-ტექნიკური წინსვლის ხარისხი იქცა ერისა თუ სახელმწიფოს კულტურული დონის განმსაღლვრელად; ამასთან, სულიერებისა და ზნეობრიობის უგულებელყოფის ხარჯზე ადამიანის ეგოისტური მომხმარებლური შესაძლებლობები უკონტროლოდ გაიზარდა.

რა თქმა უნდა, ტექნიკური პროგრესი თავისთავად დადებითი მოვლენაა, მაგრამ ცუდია ის, რომ საზოგადოებამ არ მოინდომა სულიერი ღირებულებების შენარჩუნება, რათა მათ შორის ბალანსი არ დარღვეულიყო.

მიწიერ კეთილდღეობაზე ფიქრმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა და დიდ სიმძიმედ იქცა. ღირსება დაიკარგა, გული გაქვავდა, სიცოცხლე გაუფასურდა. ამასთან, წარმოიშვა მუდმივი დაძაბულობისა და შიშის ატმოსფერო. ამიტომაც წერენ თანამედროვე ფილოსოფოსები, რომ ჩვენ ვცხოვრობთ კატასტროფიდან კატასტროფამდეო. მართლაც, მიუხედავად მსოფლიოში შექმნილი უსაფრთხოების სხვადასხვა მექანიზმისა, ხალხი მაინც სრულიად დაუცველად გრძნობს თავს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა ადამიანი ერთდროულად ასეთი ძლიერი და ასეთი სუსტი.

გარშემო იმდენი ცოდვა და ბოროტებაა, რომ სიკეთე ლამის დაინთქას მასში. ამ ბოლო დროს შეიმჩნევა მეტად საშიში, მევიტყოდი, საგანგაშო მდგომარეობა. კაცობრიობა ისე დაეცა, რომ საზოგადოების ნაწილისათვის ცოდვიანი ცხოვრება არათუ სირცხვილად აღარ ითვლება, არამედ ერთგვარი „პროგრესის“ გამოხატულებადაც მიიჩნევა, ზნეობრიობა კი – დრომოჭმულად. ამგვარი დამოკიდებულება სულიწმინდის გმობაა. ეს კი ისეთი დიდი ცოდვაა, რომელიც

არავის ეპატიება, არც ამქვეყნად და არც იმქვეყნად.

დედამიწა შფოთავს და მასთან ერთად – მილიონობით ადამიანი. შინაგანად დაცლილ ამ ადამიანებს ნიადაგი გამოეცალა. ისინი გრძნობენ, რომ გემი იძირება და გადარჩენის გზა თითქმის აღარ ჩანს. ზოგიერთნი ნიჩბებსდა ეჭიდებიან, მაგრამ, რა თქმა უნდა, მის იმედად მყოფნი უფრო მალე იღუპებიან. თუ გადარჩენის საშუალებათა ძიების დროსაც მათ ღმერთთან მისასვლელი გზა ვერ იპოვეს, მძიმე განსაცდელს თავს ვერასოდეს დააღწევენ.

ბუნებრივია, ჩვენ წინაშე იბადება კითხვა: როგორ მოვედით დღემდე, როგორ გადავრჩით ამ სასტიკი დაპირისპირების პირობებში. პასუხი ერთია: ჩვენი ეროვნული თვითშეგნება, მართლმადიდებლურ სარწმუნოებასა და ეროვნულ ფასეულობებთან ერთად იყო და არის საფუძველი ჩვენი გამძლეობისაც და სიძლიერისაც. ეს ღირებულებანი არ არის აბსტრაქტული ფორმულები, არამედ გზაა როგორც ცხოვრებისეული პრობლემების შეცნობის, ასევე მათი სწორი გადაწყვეტისაც. სამწუხაროდ, ხშირად ჩვენს ახალგაზრდებს შთააგონებენ, რომ ჩვენი სულიერი და ეროვნული ფასეულობანი ახლა უკვე საჭირო აღარ არის, რომ ორიენტაცია ე.წ. საერთო-საკაცობრიო ღირებულებებზე უნდა ავიღოთ, რადგან დღეს სხვა დროა. ამასთან, მათში ხელოვნურად აღვივებენ წინააღმდეგობის სულს, უნდობლობის გრძნობას, გულგრილობასა და ცინიზმს.

მადლობა ღმერთს, მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენი მომავალი თაობა ძირითადად პატრიოტულებადა განწყობილი და ადვილად არ აპყვება ამ მოწოდებას. თუმცა ახალგაზრდებს შორის არიან ისეთებიც, რომელთაც აღიზიანებთ, მაგალითად, წმიდა ილია მართლის დევიზი „მამული, ენა, სარწმუნოება“, რადგან მათთვის ეს ფასეულობანი ზედმეტად ვიწროა; არიან ისეთნიც, რომელთაც შეუძლიათ უტიფრად ისაუბრონ წმიდა ვახტანგ გორგასალზე, წმიდა დავით აღმაშენებელზე, წმიდა თამარ მეფეზე.

მადლობა ღმერთს, მათი რიცხვი მცირეა. ვთიქრობ, ამგვარ იდეებს საზოგადოებაში „სიახლის“ შემოტანის სურვილი განაპირობებს. გავა დრო, ცხოვრება მათაც ბევრ რამეს სხვაგვარად დაანახვებს და ისინიც, ღვთის წყალობით, მივლენ იმ ძველ სიბრძნემდე, რომ ამქვეყნად მხოლოდ ჭეშმარიტებაა უცვლელი და ფასეული, დიდი სისულელე კი მუდამ სისულელედ რჩება.

მოვუწოდებ ჩვენს ახალგაზრდებს ანალიტიკური, ფილოსოფიური, ღრმა აზროვნებისაკენ. „საერთოდ, ფილოსოფია ისწრაფვის, საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე შეარიგოს გონიერობა და ნებელობა ზნეობრივი მსოფლმხედველობის კრიტერიუმების გამომუშავების მიზნით“ (ნ. გროტი), ეს კი შობს ახალ იდეებს, რომელთაც ჩვენთვის უცნობ კითხვებამდე მივყავართ. ღრმა ანალიზისა და ძიების სურვილი კი ღმერთის შეცნობის დიდ შესაძლებლობას იძლევა. მაშ, „ეძიებდით, და ჰპოვოთ; ირეკდით, და განგეღოს თქუენ“ (მათ. 7, 7).

ამქვეყნად ღვთის განგებულებით აღსრულება ყველაფერი. აქედან ნაწილი სათნოა უფლისათვის, ზოგიც მისი დაშვებით ხდება, მაგრამ ორივეს საბოლოო შედეგი ეკლესიისა და, საერთოდ, მორწმუნეთათვის მხოლოდ დადებითია, რადგან, როგორც წმიდა წერილი ბრძანებს, უფლის მიმდევართ ყოველივე სასიკეთოდ წარემართებათ. მძიმე განსაცდელიც კი ქრისტიანისათვის სიკეთის მომტანია, რადგან იგი ჩვენს გამოსასწორებლადაა დაშვებული.

რა თქმა უნდა, ყოველი ხელისუფლებაც ღვთისაგან არის: კეთილიცა და ბოროტიც, ხალხის მსახურიცა და თავისი თავის მსახურიც. უფალი საზოგადოების ღირსების შესაბამისად განაგებს ამ საიდუმლოს.

გასული წლის ნოემბრის მოვლენებით დამთავრდა კიდევ ერთი ეტაპი ჩვენი ქვეყნის ისტორიისა. სამწუხაროდ, წლების მანძილზე დაშვებულ იქნა ბევრი ისეთი შეცდომა, რამაც შედეგად

მოიტანა ხელისუფლების ამგვარად შეცვლა. შეცდომებს შორის, რა თქმა უნდა, 1991 წელს პრეზიდენტის ძალით დამხობის ფაქტიც იგულისხმება. საერთოდ კი დღევანდელი დღე ძირითადი ქრისტიანული პრინციპების დარღვევამ მოიტანა.

მახსენდება უდიდესი ჩინელი ბრძენის კონფუცის დარიგება; როდესაც ჰქითხეს, თუ რას ნიშნავდა ქვეყნის მმართველობა, მან უპასუხა: იმას, რომ ქვეყანაში არის საკმარისი საჭმელი, იარაღი (ანუ, ჯარი), და არის ხალხის ნდობა.

- და თუ გაჭირვების გამო რომელიმეს უარყოფა იქნება აუცილებელი?

- მაშინ შესაძლებელია იარაღი გამოირიცხოს.

- თუ დარჩენილი ორი პირობიდანაც არჩევანი უნდა გაკეთდეს, რაზე შეიძლება ვთქვათ უარი?

- საკვებზე, – იყო პასუხი.

ეს რჩევა ყველა დროის ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს.

შევნიშნავთ, რომ ეკლესიის ფუნქცია არ არის პოლიტიკური შეფასება მისცეს მოვლენებს, რადგან ასეთი მიღვიმა არღვევს ეკლესიის, როგორც ერის ერთიანობის ქვაკუთხედს.

ეკლესია, უპირველეს ყოვლისა, სულიერად უნდა ემსახუროს ხალხს და, მიუხედავად მისი შვილების განსხვავებული პოლიტიკური ხედვისა, თავის წიაღში მათი გაერთიანება უნდა შეძლოს.

დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპი განსხვავებული აზრის შემწყნარებლობისა ეკლესიაში ოდითგან იყო აღიარებული და დაცული. ეკლესიის წევრები იყვნენ მეფეები და გლეხები, მონარქისტები და რესპუბლიკელები, დიდნი და მცირენი..., რადგან უფალში ერთია ყველა; აქ არ არის „ჰურიაება, არცა წარმართება; არა არს მონება, არცა აზნაურება; არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა“ (გალ. 3, 28). ღვთის წიაღში ერთიანდება უფლის მცნებების ყველა დამ-

ცველი, მიუხედავად თავისი პოლიტიკური, სოციალური, ეროვნული თუ ასაკობრივი სხვაობისა და ეს ქმნის ეკლესიის ერთობას. ამიტომაც ეკლესიას, როგორც ქვეყნის მთლიანობის ერთ-ერთ უმთავრეს საფუძველს, ყველა უნდა გაუფრთხილდეს.

დღეს თითქმის ყველა აღიარებს, რომ ჩვენ უნდა ავაშენოთ სამართლებრივი სახელმწიფო, რომ ქვეყანაში კანონის უზენაესობა უნდა დამკვიდრდეს, მაგრამ რატომღაც ყველა არ მიიჩნევს აუცილებლობად ღვთის მიერ ჩვენთვის დადგენილი კანონების დაცვას. გამოდის, რომ ამ ადამიანებს მათ მიერ შემუშავებული წესები უფრო სწორი ჰგონიათ, ვიდრე კაცთა ხსნისათვის ამქვეყნად მოვლენილი, ჩვენთვის ჭვარცმული იესო ქრისტეს მცნებები და დარიგებანი.

თუ გვსურს ძლიერი სახელმწიფო შევქმნათ, მაცხოვრის მეტად მარტივი, მაგრამ ღრმა შინაარსიანი რჩევა უნდა გავითვალისწინოთ: „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა... და ესე ყოველი შეგეძინოს თქეენ“ (მათ. 6, 33). ე.ი. უმთავრესია ღმერთთან დაკავშირებით სწორი ორიენტაცია ჰქონდეს ხელისუფლებას, ხალხს, ცალკეულ ადამიანს და ყოველივე დანარჩენი, მათ შორის მატერიალური კეთილდღეობაც, მიეცემათ.

ამიტომაც ყოვლად გაუმართლებელი იყო ტოტალიტარული რეჟიმი (თუმცა ესეც ღვთის ნებით დაიშვა); ასევე გაუმართლებელი იქნება უკიდურესი ლიბერალიზმიც. ჩვენ ყოველთვის დიდ შეცდომას ვუშვებდით, როცა მექანიკურად გადმოვცეონდა ამა თუ იმ ქვეყნის ცხოვრების წესი. საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინზე მდებარეობს და ბუნებრივია, განიცდის მათ გავლენას, მაგრამ ჩვენი ღირსება სწორედ ის იქნება, თუ ჭეშმარიტ რწმენასა და ეროვნულ ღირებულებებს შევინარჩუნებთ, სხვათა გამოცდილებას გავითვალისწინებთ და ამ ყოველივეს დროის მოთხოვნილებებს შევუსაბამებთ.

მასსენდება ფილადელფიის ეკლესიისადმი მიმართული უფ-

ლის სიტყვები: „აპა, მოვალ ადრე. იპყარ, რომელი-ეგე გაქუს, რაღთა არავინ მიგიღოს გვრგვნი შენი. რომელმან სძლოს, ვყო იგი სუეტად ტაძარსა შინა ღმრთისა ჩემისასა“ (გამოცხ. 3, 11-12)

დიდია ძალა და მნიშვნელობა ფილადელფიის ეკლესიის ანგელოზისადმი თქმული ამ წინაწარმეტყველებისა. როგორც ქართველ, ისე უცხოელ ღვთისმეტყველთა შორის არის აზრი, რომ ფილადელფიის ეკლესიაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უნდა იგულისხმებოდეს. თუ მართლაც ასეა, ეს კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს, რადგან გამორჩეულია უფლის დამოკიდებულება ფილადელფიის ეკლესიის მიმართ.

მიუხედავად მსოფლიოში შექმნილი საერთო მძიმე ვითარებისა, მიუხედავად ჩვენი ხალხის დიდი გაჭირვებისა, ჩვენ იმედით ვუყრებთ საქართველოს მომავალს.

ახლად არჩეულ პრეზიდენტს ხალხის მაღალი ნდობის გამო მიეცა შესაძლებლობა დიდი საქმეების აღსრულებისა. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ეკლესია ყოველთვის გვერდით ედგა ხელისუფლებას. ეს არის ჩვენი ვალიც და ვალდებულებაც ღვთის წინაშე. ჩვენ დღესაც ვაცხადებთ, რომ მომავალშიც ყოველმხრივ შევეწევით ჩვენს ერსა და მის მმართველთ საღვთო და მამულიშვილურ საქმეში. ეკლესიას დიდი ძალა აქვს. მთავარია, მისი შესაძლებლობები სრულად იქნას გამოყენებული.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ წმიდა სამების მშენებარე ტაძარი არის ღვთისაგან მონიჭებული წყალობა და ამავე დროს ნიშანი ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღდგინებისა. თუ გავიხსენებთ წარსულს, დავინახავთ, რომ სვეტიცხოვლისა და მასთან ერთად ბაგრატის, ალავერდის, იშხნისა და ბედის ტაძრები უშუალოდ დიდი საქართველოს წინარე პერიოდში აიგო (თვით ოქროს ხანაშიც კი ასეთი რამ აღარ განხორციელებულა). ვიმედოვნებთ, რომ როგორც მაშინ, ახლაც ეს დიდებული საკათედრო ტაძარი იქნება გვირგვინი

ერთიანი დიდი საქართველოსი. ოღონდ ყველამ უნდა მოვინდომოთ, რომ ვიყოთ ღმერთთან. მაშინ გახდება ღვთისმშობლის წილხვედრი ივერია ამ სასწაულის მომსწრე. ჩვენ შეგვიძლია ეს სასწაული რეალ-ობად ვაქციოთ.

ამიტომაც მოვუწოდებ საქართველოს ყველა მოქალაქეს და თითოეულ ქართველს: შენ უნდა იყო იქ, სადაც უფალია, სადაც მე-უფებს რწმენა, სასოება და სიყვარული. შენ უნდა იყო იმ წიაღში, სა-დაც ანგელოზთა და წმინდანთა დასია, რადგან გამოსყიდული ხარ მაცხოვრის სისხლით და არა გაქვს უფლება, არად ჩააგდო უფლის თავგანწირვა შენთვის.

მიქია წინასწარმეტყველის წიგნში ვკითხულობთ: „ხომ გეუწყა შენ, ადამიანო, რა არის სიკეთე და რას ითხოვს შენგან უფალი? მხოლოდ სიმართლის ქმნას და წყალობის სიყვარულს, და რომ სიბრძნითა და მორჩილებით იარებოდე შენი უფლის წინაშე“ (მიქ. 6, 8).

და განა შეუძლებელია ამის აღსრულება!

ახლაც, ამ წუთებში, ამქვეყნად იბადება მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე, დასტური კაცთა მოდგმისადმი ღვთის უსაზღვრო სიყვარულისა და ღმერთსა და ადამიანს შორის ათასწლეულობით დარღვეული კავშირის აღდგენისა. მივეგებოთ მას სიხარულით და მივართვათ ძღვნად ჩვენი გული, რათა დაივანოს იქ და ეგოს ჩვენთან განუშორებელად.

იხარეთ ორსავე სოფელსა შინა!

ჩვენთან არს ღმერთი – ემანუელი!

ამინ!

ქრისტეს შობა

თბილისი, 2004 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

2004 წ.

საქართველოს წმიდა, მართლმადიდებელი ეკლესიის
ყოველ ერთგულსა და ღვთივკურთხეულ შვილს:

„მთავარი სიბრძნე სიბრძნის მოხვეჭაა; ყოველ
მოსახვეჭელთაგან ცოდნა უნდა მოიხვეჭო.
დააფასე იგი და აგამაღლებს; პატივს შეგმატებს,
თუ გულში ჩაიკრაგ“ (იგავ. 4, 7-8).

 ოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო,
 ბერ-მონაზონნო, მეცნიერნო და მუშავნო, ხელისუფალნო
და საზოგადო მოღვაწენო, ჩვენო საყვარელო ახალგაზრდებო,
ყოველნო ღვთისმოყვარენო შვილნო საქართველოს მართლმა-
დიდებელი ეკლესიისა, ღვთისმშობლის წილხვედრი ივერიის მკ-

ვიდრნო და სამშობლოს გარეთ დროებით მცხოვრებნო ჩვენო თანამემამულენო: „კურთხევა უფლისა თქვენ ზედა, მისითა მადლითა და კაცთმოყვარებითა, ყოვლადვე, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!“

მაცხოვრის აღდგომის სიხარულით აღვსილი, ყველას გულითადად გილოცავთ პასექის ბრწყინვალე დღესასწაულს:

ქრისტე აღდგა!

უფალი ბრძანებს: „...ამისთვის შობილ ვარ და ამისთვის მოვივლინე სოფლად, რადთა ვწამო ჭეშმარიტი“ (იოან. 18, 37). ჭეშმარიტება! რა ახლოსაა და, ამავე დროს, რა მიუწვდომელია იგი. ყოველდღიურად თითქოს ვუახლოვდებით, მაგრამ ის მაინც შორეულად რჩება, ალბათ, იმიტომ, რომ ჭეშმარიტებას სადღაც გარეთ, საკუთარი თავის მიღმა ვეძიებთ და ვერ ვგრძნობთ, რომ იგი სინამდვილეში ჩვენშია.

მაშ, როგორ მივეახლოთ მას? უფლის პასუხი ასეთია: „მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოან. 14, 6). დიახ, ჭეშმარიტება თვით იესო ქრისტეშია და რამდენადაც ახლოს ვართ უფალთან, იმდენად ახლოს ვართ ჭეშმარიტებასთანაც. მის მადლს, როგორც არასდროს, ყველაზე ძლიერად სწორედ პასექის დღეებში შევიგრძნობთ.

ქრისტეს აღდგომით ჩეიმობს ღვთაებრივი მარადიული ჭეშმარიტებაც და ჩვენც მონაწილენი ვხდებით ამ საოცარი სიხარულისა. რომ არა ეს დღესასწაული, ჩვენი სარწმუნოება აზრს დაკარგავდა. ამიტომაც წერს პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ ეპისტოლე-ში: „უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ამაო სამე არს ქადაგებად ესე ჩუენი და ამაო არს სარწმუნოებად ეგე თქუენი“ (1 კორ. 15, 14).

დღეს კაცობრიობა იმდენად მოცულია მიწიერი და მატერიალური პრობლემებით, რომ სულიერი და ზნეობრივი საკითხები თითქმის აღარ ახსოვს. სულიერებას მოკლებული ადამიანი უფრო და უფრო ინთენსული ცოდვის, სიძულვილისა და სასოწარკვეთილების უფსკრულში. ყოველ ჩვენგანს დიდი დაკვირვება მართებს, რათა გამოიცნოს, სადაა ჭეშმარიტება და სად – სიცრუე. ამის გარჩევა უძველეს დროშიც უჭირდათ. ამიტომაც იყო, რომ წინასწარმეტყველმა სოლომონმა სამეფო ტახტზე ასვლის წინ უფლისგან სწორედ სიბრძნე და გონიერი გული ითხოვა, რათა ქვეყნის სამართლიანად მართვა და სიკეთისა და ბოროტების გამიჯვნა შესძლებოდა.

ამქვეყნად ცოდვა ყოველთვის არსებობდა, მაგრამ საზოგადოება მას ადრე მანვიერებად აღიქვამდა და მისგან თავის დაღწევას ცდილობდა. დღეს მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ უფლის მცნებების დარღვევა მიუღებლად აღარ მიიჩნევა, პირიქით, საჭაროდ ხდება ცოდვის პროპაგანდა და მას ადამიანისთვის დამახასიათებელ ბუნებრივ თვისებად წარმოაჩენენ. საზოგადოებაში უკვე გაჩნდა ფილოსოფიური ტერმინი – „ხრწნილებისადმი შეგუება“.

დიახ, დამკვიდრდა ე.წ. „თავისუფლება“, ანუ, პრინციპი – „ყველაფერი ნებადართულია“. ფილოსოფოსი ნიკოლოზ ბერდიაევი წერს: „ადამიანმა შეიყვარა ცრუ თავისუფლება. ამგვარ თავისუფლებას ის უჩვეულო დაჟინებით ესწრაფვის და მის გარეშე უკვე აღარაფერი სურს“.

ამ ზღვარდაუდებელი „თავისუფლების“ სახელით დღეს უცხვად გვთავაზობენ გარყვნილების ლეგალიზაციას, ბავშვების გახრწნას, უხამს კინოპროდუქციას; შეუძლებელია არ გაგაცოს ძალადობის, ყაჩაღობის, მკვლელობის პროპაგანდამ, ზოგადსაკაცობრიო, ეროვნული, ზნეობრივი და სულიერი ფასეულობების უპატივცემულობამ, რაც ჩვენს დაბალ კულტურასა და პროვინციალიზმზე

მეტყველებს. ამას არ შეიძლება ენოდოს თავისუფლება. ეს არის მონობა ცოდვისა და მანკიერებისა. ესაა გზა თვითგანადგურებისა და სულიერი სიკვდილისა.

აღნიშნული საკითხი არა მარტო ზნეობრივი პრობლემაა, არამედ სახელმწიფოებრივიც. მორალის გარეშე დარჩენილი საზოგადოება ძლიერ ქვეყანას ვერ ააშენებს. ამიტომაც ანიჭებენ ამ საკითხს ცივილიზაციულ ქვეყნებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ეს თემა ჩვენი საზოგადოებისთვისაც მეტად მტკიცნეულია. მასზე ჩვენ არაერთხელ გავამახვილეთ ყურადღება, მაგრამ ადრინდელმა მცდელობებმა შედეგი არ გამოიღო. ვიმედოვნებთ, ახალი ხელისუფლება, რომლის ნდობაც ხალხს დიდი აქცეს, გაითვალისწინებს მოსახლეობის ფართო ფენების დამოკიდებულებას და ქმედით ნაბიჯებს გადადგამს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში ჩვენი ახალგაზრდების აღზრდის საკითხი. უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს საუბარი სასწავლო პროგრამების განახლებასა და ახლის შემუშავებაზე.

ბოლო დროს მოსახლეობაში დიდი მღელვარება გამოიწვია ბავშვების სექსუალური აღზრდის პროექტმა. ის, რაც კულუარულად იყო ცნობილი, ალბათ, ვერ განხორციელდება საზოგადოების მკვეთრად უარყოფითი პოზიციის გამო. ჰერცერობით უცნობია, მოვლენები როგორ განვითარდება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სასწავლო პროგრამებზე პასუხისმგებლობა მხოლოდ განათლების სამინისტროს არ უნდა დაევისროს; განათლების რეფორმა ქვეყნის პრეზიდენტისა და მთავრობის განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს და, რადგან საქმე ერის მომავალს ეხება, მისი განხილვა ფართო საზოგადოებრიობის მსჯელობის საგნად უნდა იქცეს.

თუ ჰანსაღი, ქვეყნის ერთგული, ძლიერი თაობის აღზრდა

გვსურს, დიდი დრო უნდა დაეთმოს ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის სწავლებას, შრომის კულტურას, აზ-როვნების განვითარებას, სამშობლოსადმი თავდადებისა და ვა-ჟკაცობის ამსახველი ქართული და უცხოური ნაწარმოებების გაც-ნობას.

კარგად გვესმის, რომ არ შეიძლება მხოლოდ ძველი სტე-რეოტიპებით ცხოვრება. კერ კიდევ რომაელები ამბობდნენ: დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთადო, მაგრამ ისიც აუცილებელია, რომ ახალი ღირებულებების შეთვისებისას არ და-ვკარგოთ ჩვენი ტრადიციული და ზნეობრივი ფასეულობანი.

ცალკე უნდა შეიქმნას აღზრდის პროგრამა, რაც გულისხმობს ურთიერთობების კულტურისა და ქცევის წესების შესწავლას. დღეს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ეს მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია უგულებელყოფილია და მისთვის მხოლოდ ოჯახი 8რუნავს. საჭიროა აღზრდის საერთო მეთოდით ხელმძღვანელობდეს და ურთიერთკავშირში იყოს ოჯახიც, ეკლესიაც და სასწავლებელიც, ანუ, გამთლიანდეს ის გარემო, სადაც მოზარდი ყალიბდება.

ცნობილი ხელოვანი, შესანიშნავი მკვლევარი, წარმატებული ფერმერი ან ბიზნესმენი, კარგი მუშა, ან ნიჭიერი ახალგაზრდა როგორც ადამიანი, შეიძლება სულაც არ იყოს ზნეობრივი პიროვნება. სულიერი ღირსებების გარეშე კი ნებისმიერი ადამიანი ფასს კარგავს და მისი არსებობა ქვეყანას დიდ სიკეთეს ვერ მოუტანს. იმედია, ჩვენ არ გვსურს ასეთი თაობის აღზრდა.

როგორც პიროვნების, ისე საზოგადოების ჩამოყალიბებაში სერიოზული წვლილი დღეს ეკლესიასაც შეაქვს. ამიტომ მინდა, შევჩერდე სასულიერო პირის მნიშვნელობასა და ფუნქციაზე.

მღვდლობა მოძღვრობაა. ესაა ცხოვრება უფლისა და მოყვა-სისათვის. ჩვენს ეკლესიაში ეს განცდა ნამდვილად არის, მაგრამ,

სამწუხაროდ, ისეთი შემთხვევებიც იჩენს თავს, როცა მღვდლები თავიანთ სულიერ შვილებთან დაკავშირებით შეცდომას უშვებენ, უხეშად ერევიან მათ პირად ცხოვრებაში, ზოგჯერ კი ოჯახის შექმნას თუ ბერად აღკვეცას აიძულებენ.

ლონდონში მრავალი წელი მსახურობდა მიტროპოლიტი ანტონი (ბლუმი), რომელსაც კარგად ვიცნობდი. იგი დიდი სულიერებით გამოირჩეოდა. აი, რას წერს იგი ამ საკითხზე: „ჩემი აზრით, ამგვარი მდგომარეობა აღმაშფოთებელია, რადგან ძალადობა პიროვნებას სულიერად ამახინჯებს, ამიტომაც, უკიდურესად მკაცრი ზომები უნდა მიყიდოთ, ასეთი რამ რომ არ მოხდეს, – რადგან ბერობაც და ოჯახის შექმნაც ადამიანის თავისუფალ ნებასა და გონივრულ მიდგომას საჭიროებს“.

ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ მონასტრის წინამძღვარსა და მის მორჩილებაში მყოფ სასულიერო პირთა შორის ურთიერთობები განსხვავდება სამღვდელოებასა და მის მრევლს შორის დამოკიდებულებისაგან. ეს განსხვავება კი იმას გულისხმობს, რომ მოძღვრები თავიანთი სამწყსოს სულიერი მრჩევლები არიან და არა მათი ბედის განმკარგველნი, „სიყვარულით მწყსიდეთ თქვენდამი რწმუნებულ სამწყსოს და ნუ ეუფლებით მას“, – გვმოძღვრავს პავლე მოციქული.

სამწუხაროდ, ისიც ხდება, რომ მოძღვრები თავიანთ სულიერ შვილებს გამოყოფენ სხვა მრევლისგან და ნებას არ აძლევენ, სულიერ საკითხებზე სხვა მღვდლებსაც მიმართონ, თვითონაც შეკითხვის ან აღსარებისთვის მისულ სხვა მოძღვრის სულიერ შვილებს არ იღებენ, რითაც მრევლში განყოფა შეაქვთ. ასეთი დამოკიდებულება გაუმართლებელია და აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

მეუფე ანტონი (ბლუმი) ჭეშმარიტი მოძღვრის მსახურებას წმიდა იოანე ნათლისმცემლის მისიას ადარებს. მოძღვარს ადამი-

ანები უფალთან უნდა მიჰყავდეს და არა საკუთარ თავთან; მღვდელი არ უნდა ამაყობდეს იმით, რომ მასთან მრავალი ადამიანი დადის. უმრავლესობა ამ ადამიანებისა სულიერად გამოუცდელია: ისინი, სხვადასხვა განსაცდელით შეწუხებულნი, ნუგეშსა და თანადგომას ეკლესიაში ეძებენ. მათთან დაკავშირებით სასულიერო პირი უფლის მადლის გამტარი უნდა იყოს და არა საკუთარი იდეების მქადაგებელი; იგი ადამიანებს არა საკუთარი თავის, არამედ ქრისტეს, ეკლესიისა და სახარების გარშემო უნდა კრებდეს.

არის სამწუხარო შემთხვევები, როდესაც მოძღვარი თავის მრევლს ისეთ შთაბეჭდილებას უქმნის, თითქოს იგი სხვებზე უფრო მადლმოსილი იყოს, რითაც სხვა მღვდლების, ნებსით თუ უნებლიერ, უნდობლობას უნერგავს. როგორც ვი მოძღვარს ვინმე ამგვარ დამოკიდებულებას შეამჩნევს, უნდა განშორდეს მას და სხვას მიმართოს.

ღვთის მადლით აღვსილი სასულიერო პირი არასდროს განიკითხავს და დაამცირებს სხვას, მით უმეტეს, მღვდელს.

გახსოვდეთ, თუ ნებისმიერ ადამიანს, განსაკუთრებით ღვთი-სმისახურს, გაუჩნდება განცდა საკუთარი უპირატესობისა, ეს მისი სულიერი დაცემის დასაწყისია.

მინდა, შეგახსენოთ მაგალითი წმინდანთა ცხოვრებიდან: ღირსმა ანტონი დიდმა, ეგვიპტეში ბერმონაზვნური ცხოვრების დამაარსებელმა, შეიტყო, რომ თებეს უდაბნოში მოღვაწეობდა წმიდა ბერი პავლე თებაიდელი. მოხუცებულობის მიუხედავად, იგი თებეში გაემგზავრა, რათა მისგან კურთხევა და წმიდა ლოცვები გამოეთხოვა. პავლე თებაიდელი დაყუდებული იყო და საერთოდ არავის იღებდა, მაგრამ ანტონი დიდის თხოვნამ თავისი ქნა და კარი გააღო. ორი ცრემლმორეული მეუდაბნოე ერთმანეთს გადაეხვია. მათ ერთმანეთი არასოდეს ენახათ, მაგრამ შეხვედრისას ერთმანეთს სახელებით მიმართეს და როგორც უახლოესმა სულიერმა ძმებმა, ერთმანეთს

საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს.

პავლე თებაიდელის სიწმიდითა და სულიერი სიმაღლით შეძრული, უდაბნოში უკან დაბრუნებული ანტონი დიდი გოდებით ამბობდა: „ჰოი, როგორი უბადრუკი და გლახაკი ცოდვილი ვარ! მე ვიხილე ილია, ვიხილე იოანე უდაბნოში, ვიხილე პავლე სასუფეველში“.

ასე წუხდა თავისი უღირსების გამო ეს უდიდესი მოღვაწე ბერი, მაშინ, როდესაც ათასობით ადამიანისთვის თვითონ იყო საოცარი მაგალითი სიმშვიდის, სიწმინდის, ღვთივგანბრძნობილობის, მარხვის, ლოცვისა და სხვა მრავალ სათნოებათა.

ცნობილია ანტონი დიდის დიალოგი მის სულიერ შვილთან: წმინდა მამა ეკითხება: „შვილო ჩემო, რატომ ხარ მდუმარედ?“ იგი კი პასუხობს: „მამაო ჩემო, ჩემთვის შენი ყურებაც საკმარისია და მრავლისმთქმელი“. როგორი სიყვარული და მაღლმოსილებაა ამ სიტყვებში!

ეს გრძნობა მარადიულია და მისი ძალა ულევი. არაფერი ისე არ აახლოებს ადამიანებს, როგორც სიყვარული და წმინდა ცხოვრება. უფალი მოგვიწოდებს: „...იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ“ (იოან. 15, 12). დღეს კი საზოგადოებას დაახლოების ახალ საშუალებას – გლობალიზაციას სთავაზობენ. როგორც თ. დოსტოევსკი ამბობს: „კაცობრიობის მოთხოვნილებად იქცა მსოფლიო და საყოველთაო ერთობა“.

ჩვენ ყველანი ყურადღებითა და სიფრთხილით ვადევნებთ თვალს ამ პროცესს. თუმცა გლობალიზაცია, შესაძლოა, სხვადასხვაგვარად გავიგოთ და ამის მიხედვით, მისადმი დადებითად ან უარყოფითად განვეწყოთ.

ის, რომ პატარა სახელმწიფოები, უმეტეს შემთხვევაში, დიდი სახელმწიფოების გავლენის ქვეშ იმყოფებიან და საერთაშორისო

ურთიერთობებშიც ხშირად ძალისმიერი პოლიტიკა დომინირებს, ფაქტია, მაგრამ ისიც რეალობაა, რომ ასეთი პოლიტიკა გლობალიზაციის პირობებში დიდი ზიანის მომტანი იქნება. ყველამ უნდა გაითვალისწინოს, რომ თუკი გლობალიზაცია აღქმული იქნება, როგორც მხოლოდ უძლიერესის ძალაუფლება, მას სტაბილურობა არ მოჰყება, – პირიქით, მსოფლიოს მოიცავს დაძაბულობა. ასე რომ არ მოხდეს, გლობალიზაციის შესაძლო ნეგატიური გამოვლინებანი უნდა აღმოიფხვრას: ბატონობის პოლიტიკა ურთიერთნდობის, თანამშრომლობისა და მოლაპარაკებების პოლიტიკით უნდა შეიცვალოს, კონფლიქტური ან თავდაცვითი ტაქტიკა სამართლიან, ურთიერთხელსაყრელ და კონსტრუქციულ დიალოგად უნდა იქცეს. საჭიროა ამ პროცესებს ჩვენი ქვეყანა მომზადებული შეხვდეს. ვფიქრობ, ამისთვის საუკეთესო გზაა ჩვენი და უცხოელი მენარმებისა და მეცნიერების მიერ ერთობლივი პროექტების შემუშავება (სადაც ქვეყნის ინტერესები აუცილებლად იქნება დაცული), კულტურის მოღვაწეთა თანამშრომლობა, ცივილიზაციათა დიალოგი. საჭიროა ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის როგორც ჩვენი, ისე ნებისმიერი სხვა ერის თვითმყოფადობას, მის ეროვნულ ღირებულებებს და, ამასთან, მეზობელ სახელმწიფოებთან კონფლიქტის გარეშე, ყველას მისცემს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და შენარჩუნების საშუალებას.

ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისათვის აუცილებელია ერის გამთლიანება. ამ მიმართულებით ხელისუფლებამ პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა და ჩვენმა ეკლესიამაც თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას დაბადების 65 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებებში. ეს პროცესი კვლავაც უნდა გაგრძელდეს და გაღრმავდეს, თუმცა უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ საუკუნეების

მანძილზე გარეშე ძალა ყოველთვის ცდილობდა ქვეყნის დაყოფას და კუთხერობის ნიშნით დაპირისპირების შექმნას. დღესაც, თბილისა და აჭარას შორის წარმოქმნილი პოლიტიკური დაძაბულობა გარკვეულმა ძალებმა სცადეს ქართველებსა და აჭარლებს შორის დაპირისპირებად წარმოეჩინათ. ამ პროვოკაციას ჩვენმა ხალხმა, მათ შორის აჭარის მოსახლეობამაც, საკადრისი პასუხი გასცა, – ჩვენ ვართ ერთი ერი, ერთი სახელმწიფო, გვაქვს ერთი კულტურა და ერთი ისტორია. ჩვენი განუყოფელი ნაწილია აფხაზეთიც და სამაჩაბლოც.

როდესაც ამ პრობლემებზე ვსაუბრობთ, თავისთავად დგება სავითხი ეკლესიის როლის შესახებაც. მართლმადიდებელი ეკლესია – ეს არის ღვთის მიერ მოწოდებულ ადამიანთა ერთობა, რომლის მიზანია დაიცვას უფლის მცნებები და აღასრულოს მისი ნება. გვრჩამს, რომ ამქვეყნიურ ყოფაში სულიერი ცხოვრებისა და საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობის გარეშე პიროვნების შინაგანი სრულყოფა და ღმერთთან სიახლოვე შეუძლებელია. ეკლესია კაცობრიობისათვის უდიდესი მადლია. ესაა ღვთის წყალობა, მომნიჭებელი ცოდვათა მიტევებისა და განწმენდისა, სიკვდილზე გამარჯვებისა და ხსნისა.

საუკუნეთა მანძილზე ბოროტი ძალა სხვადასხვა სახით ებრძოდა ქრისტეს ეკლესიას. ეს ბრძოლა დღესაც გრძელდება. ხშირია შემთხვევა, როდესაც იბეჭდება ცილისმწამებლური წერილები და გამიზნულად ხდება ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის უნდობლობის გაღვივება. მათ ავტორებს ავიწყდებათ, რომ ეკლესია მაცხოვრის მისტიკური სხეულია, რომელიც კლდესა ზედა არის დაშენებული და ბჭენი ჭოჭოხეთისანი ვერ მოერევიან მას. ეკლესია არის „სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისად“ (1 ტიმ. 3, 15).

წმიდა ბასილი დიდი ასე გვარიგებს: „შენ ხარ კეთილაღნაგი ჭურჭელი, რომელმაც უფლისაგან სიცოცხლე მიიღე: ადიდე შენი

შემოქმედი, რადგან იმისთვის ხარ მოწოდებული, რომ იყო ღირ-სეული გამოვლინება ღვთის მადლისა; ეს სამყარო შენთვის ცოცხალი წიგნია, რომელიც უფლის სიდიადეს ქადაგებს და შენ, გონიერ არსებას, მის იდუმალ და უხილავ ბრწყინვალებას გაზიარებს, რათა შეიცნო ჭეშმარიტების ღმერთი“ (გრ. დიახენკო, „სარწმუნოება“, გვ. 176).

ყოველწლიურად ჩვენ ყველანი ჩეიმით ვეგებებით პასექის ბრწყინვალე დღესასწაულს, რომელსაც მუდამ ახალი, ადრინდელისგან განსხვავებული სიხარული მოაქვს. ესაა განცდა მარადიული ნეტარებისა. ყოველ წელს ჩვენს გულებში ინთება ახალი კანდელი, ცათა სასუფევლისკენ ჩვენი მომავალი მსვლელობის გზის გამნათებელი.

შეიმუსრა ბჭენი ჭოჭოხეთისანი და ჩვენ სიკვდილის დათრგუნვასა და მარადიული ცხოვრების დაწყებას ვდღესასწაულობთ.

სააღდგომო საგალობელში ვკითხულობთ: „დღეს მეუფემან წარმოსტყვენა ჭოჭოხეთი და აღადგინა კრულნი, რომელი საუკუნითგან ბოროტად პყრობილ იყვნეს მას შინა“.

მაშ, დავივიწყოთ მიწიერი განსაცდელი და ამ წარმავალი წუთისოთვლიდან თვალი მარადიულობას მივაპყროთ. მოვიგონოთ ჩვენი მშობლები და კეთილმორწმუნე წინაპრები. დაე, მარად გიცავდეთ დედის სითბო და მამის მზრუნველობა. პატივი მიაგეთ მათ, ხოლო თუ ისინი გარდაცვლილი არიან, მაინც ჩვეულებრივ ესაუბრეთ და დახმარებაც სთხოვეთ. გახსოვდეთ, მათ ყოველივე ესმით, კვლავინდებურად უყვარხართ და ლოცულობენ თქვენთვის.

სერბი მღვდელმთავარი, ნიკოლოზი წერს: „ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს დედის ღიმილი, დამტევნელი სიბრძნისა, წყალობისა, სიყვარულისა და, რაც მთავარია, მარადიულობისა, რადგან სიცილიცა და ტირილიც დროებითია და წარმავალი და მხოლოდ ღიმილია – მარადიული“.

თქვენდამი სიყვარულით გამთბარი გულით კიდევ ერთხელ

გილოცავთ ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულს.

ქრისტე აღდგა!

დაე, სიხარული სუფევდეს თქვენს სულში.

ვილოცოთ ჩვენი ძვირფასი სამშობლოს მშვიდობის, ერთობისა
და კეთილდღეობისათვის. ვილოცოთ მსოფლიოს მშვიდობისთვისაც.
უფალი შეისმენს ჩვენს ვედრებას, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 2004 წ.

საშობაო ეპისტოლე

2005 წ.

„ძალი ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნების“

(2 კორ. 12, 9).

 რისტესმიერ საყვარელნო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო,
 დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, დიდად პატიცემულო ხელისუ-
ფალნო, მართლმორწმუნენო, მკვიდრნო საქართველოდსა და სა-
მშობლოს საზღვრებს გარეთ დროებით მცხოვრებნო თანამემამუ-
ლენო, სიყვარული და სიხარული განგმრავლებოდეთ და რწმენა და
იმედი განგმტკიცებოდეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

„იხარებდ ბეთლემო, მეუფეო მთავართა იუდასთაო, რამე-
თუ მწყემსი ისრაელისა, ქერუბიმთა ზედა მჯდომარე, შენგან გამო-

გვიბრნყინდა ქრისტე, რომელმან აღამაღლა რქა ჩუენი“ (შობის სძლისპირი).

იმ იდუმალ ღამეს ანგელოზთა დასი, მარადჟამს მადიდებელი ღვთისა, საოცარი მოკრძალებითა და გაოცებით უმზერდა დედამიწაზე აღსრულებულ უდიდეს სასწაულს – კაცობრიობის მხ-სნელის დაბადებას დავითის ქალაქში; მაგრამ ღვთის განვაცება მოხდა არა დიდებითა და ბრნყინვალებით, არამედ გამაოგნებელი სიმდაბლითა და უბრალოებით. ამქვეყნად ერთი სახლიც კი არ მოი-ძებნა, რომელიც შეიფარებდა და უმასპინძლებდა ღვთისმშობელ დედასა და მართალ იოსებს. მხოლოდ პირუტყვთა თავშესაფარში აღმოჩნდა მათთვის ადგილი. გამოქვაბულში, ბაგასა შინა მწოლი წარუდგა პირველად სოფელს ღვთაებრივი ყრმა – იესო ქრისტე და ამით სიმბოლურად მიანიშნა, რომ იგი, უპირველეს ყოვლისა, არის მათთან, რომელნიც, საზოგადოებისაგან უსამართლოდ გარიყულნი, უპოვარნი და მარტოსულნი არიან.

ასეთი იყო ხვედრი წმინდა ოჭახისა და კაცთა ხსნისათვის მოვლენილი ჩვილი მაცხოვრისა. თითქოს ამ ცოდვის გამოსყიდვის მიზნით ზოგიერთ ქვეყანაში ტრადიციად აქვთ შობის ღამეს ფანჯარასთან ანთებული სანთლის დადგმა, რათა თავისთან მიიწვიონ ღამით თავშესაფრის საძებნელად სადმე ახლოს მიმავალი ყოვლად-წმინდა ღვთისმშობელი და მართალი იოსები.

შობის ღამეს ფანჯარასთან ანთებული სანთელი მიპატიჟებაა, ნიშანია იმისა, რომ ჩვენი სახლის და გულის კარი ღიაა, რათა იქ მესია დაიბადოს.

იქნებ საქართველოშიც დავამკვიდროთ ეს წესი, ოღონდ შინა-განადაც უნდა მოვემზადოთ საოცარი სტუმრების მისაღებად – გული უნდა განვიწმინდოთ ყოველგვარი ბიწისაგან, რათა მის უბრალოე-ბასა და სისუფთავეში არა მარტო იშვას, არამედ დაემკვიდროს კი-

დეც უფალი ჩვენი იესო ქრისტე. თუმცა განსაცდელისა და საცდურის სიმრავლის გამო ჩვენს დროში ამის მიღწევა ადვილი არ არის.

მაცხოვრის მონაფები ჰერ კიდევ | საუკუნეში ხედავდნენ ბოლო ჟამის მთელ სიმძიმეს; ამიტომაც გვაფრთხილებს წმიდა პავლე მოციქული: საბარელი ჟამი დადგება... ადამიანები იქნებიან თავისმოყვარენი, ვერცხლის მოყვარენი, ამაყნი, ამპარტავანნი, მგმობელნი, მშობლების ურჩნი, უმადლონი, უღირსნი, უმადურნი, უნმინდურნი, უსიყვარულონი, უნირავნი (ულოცველნი), დამსმენნი, მოუთმენელნი, სასტიკნი, მშფოთვარენი, სიმშვიდის არმქონენი, კეთილის მოძულენი, მოღალატენი, თავხედნი, აღზუავებულნი, გულისთქმათა მოყვარენი! (2 ტიმ. 3, 1-5).

და თუ ადამიანი ამ ცოდვათაგან არ გათავისუფლდა, ჭეშმარიტ თავისუფლებას ვერასდროს ეზიარება. არასწორად გაგებული თავისუფლება კი მრავალი უბედურების სათავეა.

თავისუფლებას სხვადასხვა ეპოქასა და ცივილიზაციაში სხვადასხვა გაგება ჰქონდა. თავისუფლების ფილოსოფიური გააზრებაც განსხვავებულია. მაგალითად: თუ დავსვამთ კითხვებს: თავისუფლება – მაგრამ რისგან? ანუ თავისუფლების მისაღწევად რისგან გათავისუფლებაა აუცილებელი? ანდა: თავისუფლება – მაგრამ რისთვის? ანუ, რას მაძლევს მე თავისუფლება, რატომაა იგი საჭირო? განსხვავებული მსოფლადქმის ადამიანებს მათზე სხვადასხვა პასუხი ექნებათ.

ყველაზე სრულყოფილი სწავლება კი ქრისტიანობაშია: ნუთუ არ იცით, რომ ვისაც თქვენს თავს მისცემთ მორჩილებისათვის, მისი მონები ხართ. როცა ცოდვის მონები იყავით, მაშინ თავისუფალნი იყავით სიმართლისაგან, გათავისუფლდით რა ცოდვისაგან, სიმართლის მონები გახდით... ახლა კი, როცა თავისუფლები ხართ ცოდვისაგან და ღვთის მონები გახდით, თქვენი ნაყოფი სიწმინდეა,

ხოლო ბოლო – მარადიული სიცოცხლე. ვინაიდან ცოდვის საზღაური სიკვდილია, ხოლო ღვთის მადლი – მარადიული სიცოცხლე (რომ. 6, 16-23).

ჭეშმარიტ თავისუფლებას ჩეცად აჰყავს ადამიანი, ანიჭებს რა მას მშვიდობას, სიხარულსა და ბედნიერებას; მაგრამ თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაა საჭირო, ბრძოლა უწინარესად საკუთარ თავთან და მასში ფესვგადგმულ მანკიერებებთან. ეს რთული პროცესია და იგი სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება. „სცნათ ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ“, – გვარიგებს მაცხოვარი (იოან. 8, 32).

განსხვავებულია არაეკლესიურთა დამოკიდებულება თავისუფლებისადმი:

ღვთისაგან გაუცხოებული ადამიანების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ თავისუფლება არის ის, რის უფლებასაც აძლევს მათ ხელისუფლება ან ესა თუ ის იდეოლოგია. მაგალითად, ყოფილ საბჭოთა კავშირში ანდა ფაშისტურ გერმანიაში აცხადებდნენ, რომ იქ ცხოვრობდნენ მსოფლიოში ყველაზე თავისუფლი ადამიანები. სინამდვილეში კი ეს „თავისუფლება“ ეფუძნებოდა საკონცენტრაციო ბანაკებსა და მასობრივ დახვრეტებს. ასეთია ტოტალიტარული სახელმწიფოს „თავისუფლება“.

მეორე ნაწილს კი ჰგონია, რომ თავისუფლება ყველაფრის უფლებაა, ყოველგვარი აკრძალვის უარყოფაა. მათი აზრით, თავისუფლების ცნებაში შედის ბილნისიტყვაობაც, ცილისწამებაც, უზნეო ცხოვრების წესის პროპაგანდაც; მათთვის „თავისუფალი სიყვარული“, ჩვეულებრივი ურთიერთობების გარდა, გულისხმობს აღვირასსნილ და გაუკუღმართებულ სქესობრივ კავშირებსაც, ხოლო აღმსარებლობის თავისუფლება – ნებისმიერი ტოტალიტარული ფსევდორელიგიური დაჯგუფების ტრადიციულ რელიგიებთან გათანაბრებას. ასეთი

„თავისუფლების“ შედეგი კი არის: პიროვნების დეგრადაცია, სასონარკვეთა, თვითმკვლელობები, შიდსი, ნარკომანია და სხვა უმძიმესი გამოვლინებანი.

საერთოდ, მას შემდეგ, რაც ეშმაკმა ბრძოლა დაუწყო კაცთა მოდგმას, ცდილობს, ჩვენთვის ყველაზე ამაღლებული ღირებულებების – სიყვარულის, თავისუფლების, ჭეშმარიტების, მშვიდობის, განათლების... – აღმნიშვნელი სიტყვების შინაარსობრივი დატვირთვა შეცვალოს და ისინი სრულიად საწინააღმდეგო შინაარსის შემცველ ცნებებად წარმოადგინოს, რათა ამით ადამიანებს ცოდვის ჩადენა გაუადვილოს.

ჭეშმარიტ თავისუფლებას, რომელიც ზნეობრიობის საფუძველია, უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც აქვს, რადგან ნებისმიერი სახელმწიფო ამა თუ იმ მორალის მქონე საზოგადოებას ემყარება. როგორც ძველი სიბრძნე ამბობს, სახელმწიფოსათვის უმჯობესია, მის მოქალაქეებს ჰქონდეთ მაღალი ზნეობა, ვიდრე კარგი კანონები. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ დასაშვებია, კანონები იყოს სუსტი ან ცუდი, მაგრამ ეს ნიშნავს იმას, რომ მაღალზნეობრივი საზოგადოება ძლიერი და განვითარებული სახელმწიფოს საწინდარია.

დასავლეთის განვითარებული ქვეყნებიც სწორედ ამის გათვალისწინებით ქმნიან თავიანთ კანონმდებლობასა და საზოგადოებრივი ცხოვრების წესს.

ის, რომ მსოფლიოს ტრადიციული რელიგიებიდან ყველაზე უნიკალური ქრისტიანული სწავლებაა, იმითაც დასტურდება, რომ დღეს მთელ მსოფლიოში აღიარებული ადამიანთა უფლებების დეკლარაცია სწორედ ქრისტიანულ ღირებულებებზეა დაფუძნებული.

ქრისტიანული ღირებულებები კი ყველაზე სრულყოფილი სახით მართლმადიდებელ ეკლესიაშია დაცული, რადგან იგი სამო-

ციქულო ეკლესიის სწავლებას ინახავს. მისი უნივერსალურობა ვლინდება იმით, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას საუკუნეთა მანძილზე უცვალებელი მრნამსი და სწავლება აქვს, რომელიც ეფუძნება წმიდა წერილს, საღვთო გადმოცემას, მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებების დადგენილებებსა და წმიდა მამათა მოძღვრებას. ეს მის საყოველთაობასა და უცდომელობას განაპირობებს.

ამასთან, მართალია, ეკლესია იერარქიის პრინციპს ემყარება, მაგრამ იგი არ ზღუდავს პიროვნების თავისუფლებას. ეკლესიის წევრი შეიძლება გახდეს და, ამავე დროს, საეკლესიო იერარქიის ნებისმიერ საფეხურზე დადგინდეს ესა თუ ის პიროვნება, განურჩევლად მისი სოციალური, ეთნიკური და რასობრივი წამომავლობისა; აღსანიშნავია ისიც, რომ ეკლესიაში იერარქიულ კიბეზე ასვლის საშუალება ეძლევათ იმ ადამიანებსაც, რომელთაც წარსულში გარკვეული სახის დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი, მაგრამ სინანულითა და სულიერი ფერისცვალებით ახალი ცხოვრება დაიწყეს.

პიროვნებისადმი ამგვარი დამოკიდებულება ეკლესიაში პირველი საუკუნეებიდანვე იღებს სათავეს, ანუ, იმ დროიდან, როდესაც მთელ მსოფლიოში ბატონობდა ტირანია, აბსოლუტიზმი და იმპერატივიზმი.

ეს არის ღვთივბოძებული წესი ცხოვრებისა, რომელიც უფლისმიერი მადლმოსილების გამო ჟამთა სვლას არ ექვემდებარება, მარად ახალია და „სრულყოფის“ მიზნით რაიმე ცვლილებების შეტანას არ საჭიროებს.

სამწეხაროდ, ჩვენს დღევანდელ ყოფაშიც გამოჩდნენ ე.წ. რეფორმატორული სულით შეპყრობილი ადამიანები; როგორც ფსევდოლიბერალები, ისე ფსევდოკონსერვატორები.

ფსევდოლიბერალური მოძრაობა პოსტსაბჭოთა სივრცეში თავდაპირველად ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ მიმართული ერ-

თგვარი რეაქცია იყო, რომელმაც შემდეგ კონტროლუაქციის სახით ფსევდოკონსერვატიზმი წარმოშვა.

ბოლო წლებში კი ორივე ეს მიმართულება საქართველოში გაძლიერდა და თავის სამიზნედ ეკლესია გაიხადა. მიმდინარეობდა და მიმდინარეობს საეკლესიო საკითხებზე არაკორექტული, ხშირ შემთხვევაში კი შეურაცხმყოფელი და ცილისმთნამებლური მსჯელობები. ყველაფერ ამას ერთგვარი ორგანიზებული მოძრაობის სახე აქვს და მასში მონაწილეობენ როგორც ეკლესიის წევრნი, ისე მის გარეთ მყოფი პირები.

ჩვენთვის სრულიად გაუგებარია აღნიშნულ პროცესებში იმ ადამიანთა მონაწილეობა, რომელთაც ეკლესიასთან კავშირი არ აქვთ. ვინაიდან ამისთვის მათ არც შესაფერისი ცოდნა და არც მორალური და იურიდიული უფლებები აქვთ (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აშკარაა სისხლის სამართლის დანაშაული). ხოლო ისინი, რომელნიც ეკლესიის წევრად მიიჩნევენ თავს, მაგრამ ეკლესიასა და მის იერარქიას საჭაროდ განიკითხავენ, არღვევენ უძველეს საეკლესიო წესსა და ტრადიციას, რომლის უგულებელყოფაც, ნებისმიერი მოტივით, სრულიად გაუმართლებელია. წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი ბრძანებს: „ცხოვარნი ნუ ასწავლით მწყემსთ. ნურც თქვენთვის განკუთვნილ საზომს გარდახვალთ; საკმარისია თქვენთვის, თუკი კეთილად დაიმწყსებით. ნუ განიკითხავთ სჯულისმდებელთ, რადგან არ არის ღმერთი შთოთისა და უწესობისა, არამედ მშვიდობისა და წესიერების“.

პრობლემები ყველა საზოგადოებასა და ყველა დროში იყო, არის და იქნება, ისევე როგორც ეკლესიაშიც, ოღონდ მათდამი მიდგომა და შესაბამისი ქმედებაა ორგვარი. ერთის საფუძველია სიძულვილი, მიზანი კი – ზიანის მოტანა, მეორისა – სიყვარული და გამოსწორების სურვილი. ორივე დამოკიდებულება ადვილად

იცნობა. ეკლესიასთან დაკავშირებით დღეს მიმდინარე პროცესებიც ნათლად ავლენს, თუ სინამდვილეში რასთან გვაქვს საქმე.

სიყვარულით მივმართავ წმიდა სინოდის წევრებს, მოძღვრებს, დიაკვნებს, მღვდელ-მონაზვნებს, იყავით ყურადღებიანნი და საკუთარი თავისადმი მომთხოვნი. ეცადეთ, შეცდომებს განერიდოთ და ღვთისმოშიშებით აღასრულოთ თქვენი მოვალეობა. იცოდეთ, ჩვენი ეკლესია არაკეთილისმსურველთა სამიზნედაა ქცეული, რომელნიც ცდილობენ მისი ავტორიტეტის შეღახვასა და სხვადასხვა საშუალებით ეკლესიისაგან ხალხის ჩამოშორებას. „დაყავი და იბატონე“ – ეს მზაკვრული ხერხი ხშირად გამოუყენებიათ საქართველოში და, სამწუხაროდ, მისი შედეგიც არაერთხელ გვინახავს. ყველაზე გულსატვენი სწორედ ესაა, რომ მტერი მუდამ პოულობდა მოღალატეს ჩვენში და ჩვენი ხელით ახორციელებდა თავის შავბნელ გეგმებს.

„სად არის თქვენი სარწმუნოება?“, – ეკითხება უფალი მოწაფეებს. „სად არის თქვენი სარწმუნოება?“, – ეს კითხვა ისმის დღესაც.

წამოყენებულ ბრალდებებს ემატება ისიც, რომ გარკვეული პირები ჩვენი ეკლესიის საქმიანობას ხშირად რუსეთიდან მართულ პროცესებთან აკავშირებენ, რაც პოლიტიკური პროვოკაციის სახეს ატარებს და მიზნად როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მასშტაბით, საქართველოს ეკლესიის დისკრედიტაციას ისახავს. ამგვარი ცილისწამება არაერთხელ გახმიანდა საეკლესიო კალენდრის გამოც.

ოპონენტებს ავიწყდებათ, რომ, რუსეთის გარდა, ძველ სტილზე იმყოფება იურუსალიმისა და სერბეთის ეკლესიები, ათონისა და სინას მთა, ასევე კონსტანტინოპოლის, ელადის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის მართლმადიდებელ სამრევლოთა ნაწილი.

დღეისათვის არ არსებობს ახალ კალენდართან დაკავში-

რებით მსოფლიო ეკლესიის საერთო-საყოველთაო შეთანხმება და მისი სათანადო დასაბუთება. ამიტომაც ამგვარი ნოვაცია დამღვეველ ზიანს მოუტანს ჩვენი ეკლესიის ერთობას (რისი მაგალითებიც სხვაგან არაერთი გვაქვს), რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

აღსანიშნავია ისიც, რომ I მსოფლიო საეკლესიო კრების განჩინებით, აღდგომა იდლესასწაულება გაზაფხულის ბუნიობის და იუდეველთა პასექის შემდეგ. ძველი სტილი მტკიცედ იცავს ამ დადგენილებას, მაშინ, როდესაც გრიგორიანული კალენდრით ეს დღესასწაული ზოგჯერ იუდეველთა პასექს ემთხვევა ან წინ უსწრებს მას, რაც დაუშვებელია და მსოფლიო კრების გადაწყვეტილების უხეში დარღვევაა.

საერთოდ, კალენდრის საკითხი ადვილად განსასკელი არ არის. კარგად წერს ნეტარი ავგუსტინე: „მე ვიცი, რა არის დრო, როდესაც ამის შესახებ არ მეკითხებიან, ხოლო როდესაც მეკითხებიან, რაც უფრო მეტს ვფიქრობ, მით უფრო მიძნელდება ზუსტი პასუხის გაცემა“.

რა თქმა უნდა, დამცველები მრავლად ეყოლება როგორც ახალი, ისე ძველი სტილის მიმდევართ და ისინი შეეცდებიან, დაამტკიცონ საკუთარი პოზიციის მართებულობა, მაგრამ არის რამდენიმე ისეთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რაც, ვფიქრობთ, ყველასთვის მრავლისმთქმელია:

ა) ყოველ წელს იერუსალიმში, ძველი სტილით აღდგომის წინადღეს, მაცხოვრის საფლავზე, მხოლოდ მართლმადიდებელი პატრიარქის ლოცვით, ზეციდან გარდამოღის ღვთაებრივი ცეცხლი, რაც ნათელი დადასტურებაა როგორც იულიუსის კალენდრის, ისე მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტებისა.

ბ) ყოველ 19 აგვისტოს (ძვ. სტილით 6 აგვისტოს) ღამით, ფერისცვალების დღესასწაულზე, იერუსალიმში, თაბორის მთაზე,

ზაფხულის ყველაზე ცხელ დროს, ჩნდება ღრუბელი, რომელიც წირვის დამთავრებამდე ფარავს მორწმუნეთ და ახსენებს მათ | საუკუნეში აქ აღსრულებულ ერთ-ერთ უდიდეს სასწაულს.

გ) ყოველ 19 იანვარს (ძვ. სტილით 6 იანვარი), იესო ქრისტეს ნათლისღებისა და წყალკურთხევის დღესასწაულზე, წმინდა მდინარე იორდანეში იერუსალიმის პატრიარქის მიერ წარმოთქმული ლოცვისას: „და მართლუკუნ იქცა იორდანე“, მდინარე წუთიერად, მართლაც, უკუსვლას იწყებს. ამ სასწაულის სანახავად მრავალი მორწმუნე ჩადის სხვადასხვა ქვეყნიდან.

დ) ხაზგასმით აღსანიშნავია ისიც, რომ არც ერთ წმინდა მამას, არც XVI ს-მდე (ანუ ახალი სტილის შემოღებამდე) და არც მის შემდეგ, იულიუსის კალენდრის უნივერსალურობის გამო მისი შეცვლის აუცილებლობის შესახებ საკითხი არასდროს დაუყენებია.

რაც შეეხება საერო ახალი წლის თარიღს, იგი ყველა ქვეყანაში და ყოველთვის ხელისუფალთაგან დგინდებოდა და სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა დროს აღინიშნებოდა. რამდენიმე საუკუნეა, რაც ქვეყნების უდიდესი ნაწილი ამ თარიღს 1 იანვარს დღესასწაულობს, მათ შორის საქართველოც, რასაც რელიგიური დატვირთვა საერთოდ არა აქვს. ამდენად, ბუნებრივია, რომ 1 იანვარი ეკლესიისთვისაც ახალი კალენდარული წლის დასაწყისია და მისი დაკავშირება შობის დღესასწაულთან ან სხვა რელიგიურ ზემთან შეცდომაა.

გვინდა მოსახლეობას ისიც განვუმარტოთ, რომ, მართალია, ფსევდოკონსერვატორები და ფსევდოლიბერალები ჩვენთანაც და სხვაგანაც ერთმანეთსაც ხშირად აკრიტიკებენ, მაგრამ სინამდვილეში ისინი ერთი სულისანი არიან. ესაა: ამპარტავნების, არასულიერობის, თვითნებობის, თავდაჭერებულობისა და უსიყვარულობის სული. რადიკალიზმის ორივე ფორმა ეკლესიისთვის მიუღებელია. ეკლესია ყოველთვის ემიჭნებოდა ორივე უკიდურესობას, რადგან მისი გზა

სამეუფო გზაა და გადახრა მარჯვნივ ან მარცხნივ მისთვის მიუღებელია. წმიდა გიორგი მთანმინდელი ამის შესახებ ამბობს: „...და რაჟამს ერთგზის გვიცნობიეს, არღარა მიდრევილ ვართ მარცხლ, გინა მარჯულ. და არცა მივდრკებით“.

ამ უმთავრესი სულიერი მისიის გარდა საქართველოს ეკლესია არის ქვეყნის დამოუკიდებლობის, ეროვნული თვითშეგნების და ერთიანობის ერთ-ერთი უმთავრესი გარანტი. ამ ფუნქციის აღსრულების გამოხატულება იყო, მაგალითად, აფხაზებსა და ოსებთან შერიგების დაწყება. ამ პროცესს ახლახან, 25 დეკემბერს, ჩაეყარა საფუძველი და, ვიმედოვნებთ, პრობლემების მიუხედავად, იგი შეუქცევადად განვითარდება.

ჩვენი ეკლესია საქართველოს მკვიდრი ყველა მართლმადიდებლისათვის სულიერი ერთობის ადგილია, ხოლო აქ მცხოვრებ სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენელთათვის – მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტი, რადგან სწორედ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესის წიაღიდან საზრდოობს ქართველი ერის უნიკალური ტოლერანტული ბუნება.

ასევე მშვიდობიანად თანაარსებობენ ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესია და საქართველოში არსებული სხვა კონფესიები; და ეს დადასტურებულია ორმხრივი განცხადებებითაც, რომელიც 2002 წელს გაფორმდა. მათი სურვილი იურიდიული სტატუსის მიღებისა ჩვენი მხრიდანაც არის მხარდაჭერილი და ვიმედოვნებთ, იგი მაღებანხორციელდება.

ბატონო პრეზიდენტო, ხელისუფალნო, ქრისტესმიერ საყვარელნო ძმანო და დანო, მიუხედავად პრობლემებისა, მიუხედავად გაჭირვებისა და განსაცდელისა, დღეს მთელი სამყარო მაინც სიხარულს მოუცავს, მოგვიახლოვდა ემმანუელი – ჩვენთან არს ღმერთი, რათა იმედით აღგვავსოს და გვითხრას: ნუ გეშინინ, „ძალი ჩემი

უძლურებასა შინა სრულ იქმნების“.

მაშ, გავუღოთ გულის კარი ახლადშობილ ყრმას და სასოებით მივეახლოთ მას. იცოდეთ, უფალი ისეთი ძალაა, რომელთანაც ყოველთვის მშვიდად ვიქნებით; მასთან სიღატაკეშიც მდიდარნი ვართ, მწუხარების ჟამსაც – ნუგეშინისცემულნი, უსამართლოდ დამცირებისას – ამაღლებულნი, თვით სიკვდილშიც კი – გამარჯვებულნი.

ესც გახსოვდეთ: „არც სიმდიდრე, არც სიღარიბე, არც ავად-მყოფობა თავისთავად არც გვაცხოვნებს და არც წარგვწყმედს. მთავარია, როგორია ჩვენი სულის მდგომარეობა; თუ მდიდარი ხარ, მოიპოვე ცხონება მოწყალებით, გაჭირვებულის თანადგომით, თავ-მდაბალი გულუხვობით და შეიძენ სიმდიდრეს ღმერთში. თუ ღარიბი ან სნეული ხარ, მოიპოვე ცხონება მოთმინებით, ღვთის ნების სრული მორჩილებით. ეძიე არა შენთვის, არამედ ღვთისთვის სასურველი და ამასთან ეცადე, სიკეთე მიაგო ყველას, ვინც შენს გზაზე შეგხვდება“.

მართალია, ცხოვრება ხანმოკლეა, მაგრამ თუ მოინდომებ, სახელი შენი იქნება მარადიული.

თუ გინდა გაიმარჯვო, ისწავლე მოთმინება; თუ გინდა სწორად იცხოვრო, გახსოვდეს სიკვდილი.

ვისაც არ უყვარს ჭეშმარიტება, იგი მას განსკის საგნად აქცევს.

ზოგიერთი დაუწერელი კანონი ნებისმიერ დაწერილ კანონზე უფრო მტკიცეა.

სუფთა სინდისი მუდმივი დღესასწაულია.

პოი, ღვთივურთხეულო საქართველოვ, წინასწარმეტყველი დავითის მსგავსად რჩეულთა შორის ამაღლებულო; ღვთისმშობლის საფარველით დაცულო ივერთ სამკვიდროვ, ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მიერ ქრისტეს ნათლით განბრნყინვებულო და ათთა ბევრთა და სხვა მრავალთა მოწამეთა სისხლით მორწყულო; დროშავ

სვიანო, უძლეველო, გორგასლიანო, დავითიან-თამარიანო; საიდ-უმლოთა დიდთა დამტევნელო ენავ ქართულო, ლაზარეს მსგავსად მკვდრეთით აღმდგარო; ღვთაებრივი სიყვარულის თანაზიარო სულო ქართულო, უტაბილესო ჩანგო ჩვენო, მრავალხმიანო.

შეურყეველი იდექ მტკიცედ, უფალი შენთანა!

გნამდეს, გიყვარდეს, თესე სიკეთე და დასტკბი ხელთა შენთა შრომის ნაყოფით, რათა იყო ერთიანი და მთლიანი და იხარო ორ-სავე სოფელსა შინა. ამინ!

ქრისტეს შობა

თბილისი, 2005 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

2005 წ.

გევედრებით ქრისტეს სახელით:
„შეურიგდით ღმერთს“ (2 კორ. 5, 20).

 ოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დი-
 აკონნო, ბერ-მონაზონნო, ყოველნო ერთგულნო და თავდადე-
ბულნო შვილნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა,
აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის მადლით აღვსილი ყველას
გულითადად გილოცავთ წმინდა პასექს

ქრისტე აღდგა!

რა მშვენიერია და დიდებული ეს საოცარი ზეიმი! ამ დღეს თი-
თქოს ახლდება ჩვენი რწმენა და სიყვარული, რადგან თვით უფალი

იდგამს ტახტს ჩვენს გულებში და ღვთის ამ უსაზღვრო წყალობით დაჭილდოებულნი, ჩვენც უშურველად ვუნაწილებთ სიყვარულს ყველას და ერთმანეთს ყველაფერს ვპატიობთ.

ხორციელი აღდგომით მაცხოვარმა დაამტკიცა თავისი ღვთაებრივი ძალმოსილება, მაგრამ მარტო ეს არ არის მთავარი. ამ სასწაულით მან აღდგომის შესაძლებლობა მიანიჭა მთელ კაცობრიობას. იმიტომაც მიიღო კაცობრივი ბუნება, შეიმოსა ჩვენი მსგავსი სხეულით და ეზიარა ჩვენს ყოფას (გარდა ცოდვისა), იმიტომ ქადაგებდა და ითმენდა განსაცდელს, რომ ყველასთვის ეჩვენებინა, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა, რათა დათრგუნოს ცოდვა და გაიმარჯვოს სიკვდილზე (რომელიც მხოლოდ დროებით განაშორებს ჩვენს სხეულსა და სულს) და ასევე ეჩვენებინა ისიც, თუ როგორ აღდგება მკვდრეთით ფერნაცვალი და უკვდაფებას ნაზიარები ჩვენი სხეული და სულთან ერთად ამაღლდება მეორედ მოსვლის ჟამს.

ამიტომაცაა თავისი არსით ეს დღესასწაული ყოველი მართლმორწმუნისთვის ჭოჭოხეთსა და სიკვდილზე პირადი გამარჯვების იმედის მიმნიჭებელი.

აი, რას წერს წმიდა პავლე მოციქული: „ქრისტე აღდგა მკვდრეთით და იქმნა დასაბამ შესვენებულთა... ვიღაც იტყვის, როგორ აღდგებიან მკვდრები? ან რომელი სხეულით მოვლენ?... უგუნურო, რასაც შენ თესავ, (ხომ) ვერ იცოცხლებს, თუ არ მოკვდა, ასევე მკვდრეთით აღდგომისასაც: (სხეული) ითესება ხრნილებით, აღდგება უხრწნელებით, ითესება დამცირებით, აღდგება დიდებით, ითესება სხეული მშვინვიერი, აღდგება სხეული სულიერი“ (1 კორ. 15, 20, 35-36, 42-44), „რადგან ვიცით, რომ ვინც აღადგინა იქსო, ჩვენც აღგვადგენს იქსოს მიერ“ (2 კორ. 4, 14).

მას შემდეგ, რაც უფალმა ცოდვის ტყვეობისაგან გამოგვიხსნა, ჭოჭოხეთსა და სიკვდილს ძალაუფლება მხოლოდ მათზე აქვს,

რომელნიც ქრისტეს გარეშე არიან დაშთენილნი. მათი მრავალ-რიცხოვანება ბნელეთის ძალებთან ერთადაც კი არაფერია ყოვლის-შემოქმედი და ყოვლისმომცველი ღვთისა და მის ანგელოზთა წინაშე. ამიტომაც მოგვმართავს მოციქული: „ნუ გეშინია, მცირე სამწყსოვ, რადგან უფალმა კეთილ ინება თქვენთვის სასუფევლის მოცემა“...

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ აღდგომას წინ უსწრებდა მაცხოვრის ტანკვა და ჭვარცმა. ასეთივეა ღვთის სასუფეველში დამკვიდრების მოსურნე თითოეული ადამიანის ხვედრიც. ყველამ ჩვენ-ჩვენი გოლგოთა უნდა გავიაროთ, რათა სულის ცხონება მოვიპოვოთ.

წმიდა გრიგოლ ნოსელი განმარტავს: ღვთისაგან ადამიანმა მხოლოდ სიკეთე მიიღო თვისებად, მაგრამ უფლის მცნების დარღვევის შემდეგ ცოდვა შევიდა მასში და დაიმონა. ამიტომაც თავის ჭეშმარიტ ბუნებასა და პირველსახეს ესა თუ ის პიროვნება მხოლოდ მაშინ დაუბრუნდება, თუ კვლავ სრულიად განეშორება ცოდვას, რაც ყოველთვის მტკიცნეული პროცესი იყო და არის, რადგან ბოროტი ადვილად არ თმობს ადამიანს და ათას საცდურსა და დაბრკოლებას უქმნის;

მაგრამ განსაცდელს არ უნდა შევუშინდეთ, რადგან განსაცდელში იწრთობა და იწმინდება ჩვენი შინაგანი სამყარო. პავლე მოციქული წერს: „ყოველნაირად გვავიწროვებენ, მაგრამ შევიწროვებულად არ ვგრძნობთ თავს; გამოუვალ დღეში გვაგდებენ, მაგრამ მაინც ვპოულობთ გამოსავალს. დევნილნი ვართ, მაგრამ მაინც არა მიუსაფარნი; დავრდომილნი ვართ, მაგრამ არა წარწყმედულნი. არ ვეცემით სულით... ვინაიდან ჩვენი წამიერი და მცირედი ტანკვა (იგულისხმება წუთისოფლის განსაცდელები) უზღვავსა და უსაზომო დიდებას შეიქმნავთვის, როცა ხილულს კი არ მივაპყრობთ მზერას, არამედ უხილავს“ (2 კორ. 4, 8-9, 16-18).

შევძლებთ კი ჩვენ სწორი არჩევანის გავეთებას?

გოლგოთაზე მაცხოვართან ერთად ორი ავაზაკიც აცვეს ჰვარს. ერთი მათგანი განიკითხავდა იესოს, მეორე კი გულწრფელად ნანობდა თავის დანაშაულს და სთხოვდა ქეს ღვთისას: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა“. და უთხრა იესომ: „ჯეშმარიტად გეუბნები შენ: დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში“ (ლუკ. 23, 43).

ორივე ავაზაკი სიმბოლური სახეა კაცობრიობისა, რომლის ერთი ნაწილი ისე ამთავრებს ამქვეყნიურ ყოფას, რომ არ ცნობს, არ აღიარებს ჭეშმარიტ ღმერთს. ალბათ იმიტომ, რომ სახარება „წარწყმედულთათვის დაფარულია“ (2 კორ. 4, 3). მეორე ავაზაკი კი, ცოდვით დაცემული, მაგრამ სინანულით განწმენდილი ადამის მოდგმაა, რომელიც მარადიული ნეტარებით განიხარებს უფალთან ერთად.

ისეც ხდება, რომ ის, ვინც ეზიარება მაცხოვრის ჭეშმარიტებას და აღვსილია მისი წყალობით, ხშირად საბედისწერო შეცდომას უშვებს და თავისი ნებით სცილდება უფალს. აქაც ორ ძირითად სახეს ვხვდებით, რომელთა სიმბოლოებად პეტრე მოციქული და იუდა ისკარიოტელი შეიძლება ვიგულისხმოთ.

უფლის მონაფეთა შორის პეტრე ყველაზე გულმხურვალე იყო და მთელი არსებით უყვარდა იესო, მაგრამ მაცხოვრის ჰვარცმის წინ ადამიანური სისუსტის გამო სიკვდილის შიშით უარყო იგი, რასაც შემდეგ მთელი ცხოვრების მანძილზე მწარედ განიცდიდა და გულით სთხოვდა უფალს პატიებას. მაცხოვარმა არათუ შეუნდო მას და მოწაფის ხარისხში აღადგინა, არამედ წმიდა პავლესთან ერთად მოციქულთა თავადაც დაადგინა.

იუდას ქმედების მიზეზი ნაჩქარევი გადაწყვეტილება არ ყოფილა, რადგან ის ეძებდა მარჯვე დროს, რათა გაეცა მოძღვარი.

თანაც ამ დროს იგი უკვე მოციქული იყო და უშუალოდ მაცხოვრის-გან ისმენდა ღვთის სიტყვას. ამასთან მას მიცემული ჰქონდა ძალა სასწაულთქმედებისაც, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც დაეცა საშინელი დაცემით, რადგან ღვთის დიდებას მიწიერი პატივი და ფული არჩია.

როგორც უმადური იუდა, ისე მისი ხვედრი, თვითმკვლელობა, სიმბოლური სახეა ყველა იმ ადამიანისა და მათი აღსასრულისა, რომელიც, მიუხედავად უფლის მადლთან ზიარებისა, მაინც განუდგებიან ჭეშმარიტებას და მას ამქვეყნიურ სიკეთეთ ანაცვალებენ.

სიმბოლურია ებრაელ მღვდელმთავართა დამოკიდებულებაც ისკარიოტელისა და მისგან დაბრუნებული ვერცხლისადმი. „შევცოდე, მართალი რომ გავეცი“, – ამბობს სასოწარკვეთილი მოციქულყოფილი. „ჩვენ რა? შენ იცი“, – იყო გულგრილი პასუხი. იუდას მიერ დაბრუნებული ფული, როგორც უწმინდური თანხა, მღვდელმთავრებმა ტაძარში არც კი შეიტანეს და იმით უცხოთათვის სასაფლაო იყიდეს.

„იუდა“ ყოველთვის საჭირო იყო და იქნება ავისმზრახველთათვის, მაგრამ მას (ღვთის საშინელ სამსჯავროზე რომ აღარაფერი ვთქვათ) თვით ასეთ საქმეთა შემკვეთთაგანაც კი დაფასება არასოდეს ექნება.

საყვარელნო ძმანო და დანო, ვემსგავსოთ პეტრე მოციქულს, რომელიც შეცდა, მაგრამ დაცემული დიდი სინანულისა და სიყვარულის წყალობით აღდგა და უწინდელზე მეტი მადლით შეიმოსა; ვემსგავსოთ იმ ავაზაკს, რომელმაც სიკვდილის წინ მთელი გულით შესთხოვა უფალს შეწყალება და ცხონდა.

ჩვენ გაცილებით უფრო სუსტები ვართ და ცოდვით სავსენი, ამიტომაც ხშირად ვეცემით, მაგრამ დაცემას არასოდეს არ უნდა შევეგუოთ, უნდა ვძლიოთ ცოდვას და სინანულით განვიბანოთ, რათა

უფლის სიყვარული არ მოგვაკლდეს. როგორც ამბობს ხალხური სიბრძნე: სცოდავ? – შეინანე და სასუფევლისაკენ ისწრაფე.

ბევრნი ბედნიერებას მატერიალურ კეთილდღეობაში ეძებენ. თავისთავად სიმდიდრე ცოდვა არ არის, თუ იგი გონივრულად იქნება გამოყენებული და თანაც არა მხოლოდ პირადი კეთილდღეობისათვის.

ერთ მდიდარს იმდენად უყვარდა ოქრო, რომ დასახარჯადაც ვერ იმეტებდა; შინ იკეტებოდა, ოქროს ფულს იატავზე ფენდა, ტანჩე იხდიდა და მასზე წვებოდა, რადგან ამით დიდ სიამოვნებას იღებდა.

ამის საპირისპირო მაგალითია ალექსანდრე მაკედონელი. მან მრავალი ქვეყანა დაიპყრო და მისმა ჭარმა დიდი ალათი იგდო ხელთ. როცა მხედართმთავრებს მასთან ეს სიმდიდრე მიჰქონდათ, იგი თავისთვის არაფერს იტოვებდა და მას ხალხს, ჭარისკაცებს ურიგებდა. როცა ევითხებოდნენ: შენ რაღა დაგრჩაო? პასუხობდა, ჩემთვის იმედი დავიტოვეო.

სიკვდილის წინ კი დაიბარა: საკაცებზე ხელჩამოშვებული და-ესვენებინათ, რათა ყველას დაენახა, რომ იმქვეყნად არაფერი მიჰქონდა.

გიკითხავთ კი ოდესმე თქვენი თავისთვის, რას აკეთებთ იმისთვის, რომ სცხონდეთ?

თანამედროვე ადამიანის ტრაგედია ის არის, რომ კულტურა და მეცნიერება (განსაკუთრებით, ფილოსოფია) დიდად დასცილდა ეკლესიას.

ბევრს ეჩვენება, რომ მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები და-დასტურებაა ადამიანური გონების სრულყოფილებისა და პგონიათ, რომ მეცნიერებას დროთა ვითარებაში მთელი სამყაროს საიდუმლოებათა ახსნა შეუძლია. ამიტომაც შემოქმედის რწმენა ან ნაკლებად

გაცნობიერებული ადამიანების დამახასიათებლად და დღეისათვის სრულიად ჩედმეტად მიაჩნიათ, ანდა იმდენად მისაღებად, რამდენადაც შეიძლება იგი გამოადგეთ მოსახლეობის დაბალი ფენების მართვის საშუალებად. ისინი უარყოფენ სასწაულს, რადგან ნებისმიერ სასწაულში არის ის, რასაც ლოგიკითა და მიწიერი კანონებით ვერ ახსნი.

მორნმუნეთათვის კი ცხოვრება ღვთისა და სამყაროში მისი სასწაულების აღიარების გარეშე წარმოუდგენელია. მშვენივრად თქვა გოეთემ: როგორადაც არ უნდა მოინდომოს ადამიანმა, ბუნება და მასში მიმდინარე პროცესები გონებაზე უნაშთოდ არ იყოფა, ანუ ყველგან და ყველაფერში რჩება ადგილი ირაციონალურისათვის, რწმენისათვის.

რწმენა არ გამორიცხავს მეცნიერებას: პირიქით, მის მიღწევებსა და მტკიცებულებებს იყენებს და ახალი აღმოჩენებისათვის თვითონაც იღვნის (XIX-XX საუკუნეებში არაერთი გამოგონება უკავშირდება მორნმუნე მეცნიერთა და მკვლევარ სასულიერო პირთა სახელებს). მისთვის გასაგებია, რომ ესა თუ ის თეორია ან პიპოთება შეიძლება ხვალ საერთოდ მიუღებელი აღმოჩნდეს ან უკეთესით შეიცვალოს. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ადამიანის გონება და მისი შესაძლებლობები შეზღუდულია და სრულყოფილებისაგან დაშორებული; მაშინ, როდესაც ჭეშმარიტი ქრისტიანული სწავლება ისეთივეა, როგორიც იყო პირველ საუკუნეებში, მაცხოვრისა და მისი მოწაფეების მიერ გადმოცემული და წმინდა ეკლესიის მიერ აღიარებული. ეს იმიტომ, რომ იესო ქრისტე არა მარტო სრულყოფილი ადამიანია, არამედ ჭეშმარიტი ღმერთიც და მისი სწავლება უცდომელია.

რწმენის გარეშე სიცოცხლე ძალიან ძნელი, შიშისმომგვრელი და გაუმართლებელია. სიკვდილი უაზროს ხდის მას და აუხსნელ, მტანჭველ გამოცანად აქცევს. ხშირად მხოლოდ ახლობლის გარ-

დაცვალება, მძიმე ავადმყოფობა ან სხვა რაიმე დიდი ტკივილი იხსნის ხოლმე თავდაჭერებულ ურწმუნოებს სულიერი სიბრმავისაგან.

ჩვენს საზოგადოებაში არის კიდევ ერთი კატეგორია ადამი-ანებისა, რომელიც თავს ქრისტიანებად მიიჩნევენ, მაგრამ არ სწამთ ეკლესიისა და მის გარეშე ცხოვრობენ. მათი ნაწილი თავს ვერ აღწევს გარკვეულ ფსიქოლოგიურ ბარიერს. მაგალითად, ზოგიერთს არ უყვარს ხალხთან ერთად ლოცვაზე დგომა და ამას თავის გამოჩენად მიიჩნევს, ზოგს არ მოსწონს ერთი კოვზიდან ზიარების მიღება, ანდა ვერ ხვდება, რატომ უნდა აღიაროს თავისი ცოდვები მოძღვრის წინაშე და არა ხატის წინაშე და ა.შ. ისეთებიც არიან, რომელიც ფიქრობენ, რომ ეკლესია მხოლოდ სამაგალითო, წმინდა ადამინებისაგან უნდა შედგებოდეს და რაკი აქ ჩვეულებრივ ცოდვილთაც და ზოგჯერ დამნაშავეთაც ხედავენ, აღარ სურთ ტაძარში სიარული. ამგვარი დამოკიდებულება ჰერ კიდევ პირველი საუკუნეებიდან მოდის და ამ სექტანტურ მიმდინარეობას მონტანიზმი ეწოდება.

საერთოდ, ასეთი აზროვნება რელიგიაში სრული გაუცნობიერებლობის შედეგია, რადგან ეკლესიური ცხოვრების გარეშე ქრისტიანობა იგივეა, რაც ქრისტიანობა ქრისტეს გარეშე, ხოლო ეკლესია, უპირველეს ყოვლისა, მათთვისაა, ვინც ცოდვილია და დაღუპვისაკენ მიექანება; ეკლესის განკითხვა ამგვარი ადამიანების თავის წიაღში მიღებისათვის ფარისეველთა ქრისტიანობაა, რადგან ქრისტეს, რომელიც ხშირად იყო მეზვერეებსა და ცოდვილებთან, ამის გამო სწორედ ფარისეველი განიკითხავდნენ; უფლის პასუხი კი ასეთი იყო: „არ უხმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სწეულთა“.

რა თქმა უნდა, ეკლესიაში რჩეული და სიწმინდით მცხოვრები ადამიანებიც არიან, მაგრამ მისი კარები ასევე ღიაა გადარჩენის მოსურნე ნებისმიერი ცოდვილისათვისაც. ეკლესიას ეკუთვნის კაცთა მთელი მოდგმა – დაწყებული სრულყოფისაკენ მიმავალი გზის პი-

რველ უმდაბლეს საფეხურზე მდგომთაგან იმათით დამთავრებული, რომელნიც უფრო მაღალ საფეხურებზე დგანან.

როგორც ყოველ ადამიანს, ერსაც ამქვეყნად თავისი მისია აქვს. საამაყოა, რომ მთელი ისტორიის მანძილზე ვინარჩუნებდით ჩვენს ფუნქციას, – მტრის აურაცხელი შემოსევების მიუხედავად საუკუნეთა განმავლობაში აღმოსავლეთში ქრისტიანული კულტურული სამყაროს ფორპოსტი, ხოლო ჭვაროსნული ომების დროს – მთელი ეპროპული კოალიციის ანგარიშგასაწევი მოკავშირე ძალა ვიყავით.

დღეს მსოფლიო პროცესები ახალ გამოწვევას სთავაზობს ყველას. ჩვენმა ერმაც პასუხი უნდა გასცეს გლობალიზაციის მიერ შემოთავაზებულ მოთხოვნებს და თანამედროვე მსოფლიოში თავისი ადგილი და ფუნქცია იპოვოს, რაც აუცილებლად მოითხოვს სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებას. სახელმწიფოებრივად მოაზროვნე საზოგადოების არსებობა კი ქვეყნის წარმატების საწინდარია.

მამულის მსახურება ჭეშმარიტი რწმენით ერთ-ერთი უმთავრესი ღვაწლია; ევლესისაგან სწორედ ამ ნიშნით არიან წმინდანებად შერაცხილნი: ცოტნე დადიანი, დემეტრე თავდადებული, ილია ჭავჭავაძე, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვანი.

სახელმწიფოებრივი აზროვნება, უპირველეს ყოვლისა, ღირსების, თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის გრძნობით გამოირჩევა. შეუძლებელია, საზოგადოებას შინაგანად არ სურდეს თავისუფლება და სხვაზე დამოკიდებულებას ამჟობინებდეს; შეუძლებელია, საზოგადოებას არ ჰქონდეს პასუხისმგებლობა წინაპრებისა და მომავალი თაობების წინაშე და მან შექმნას რაიმე ღირებული; შეუძლებელია, ერს არ ჰქონდეს საკუთარი ღირსების გრძნობა და სრულფასოვანი სახელმწიფო ააშენოს.

უცხო სახელმწიფოს პოლიტიკური და კულტურული გავლენის

ქვეშ ცხოვრებამ ჩვენს საზოგადოებას ეს სამი ძირითადი საყრდენი გამოაცალა. პოსტიმპერიულ საზოგადოებებს კი ხშირ შემთხვევაში არასრულფასოვნების განცდა უჩნდებათ, რაც მათ დამოუკიდებლობის მოპოვების ნაცვლად ხშირად ახალი „კეთილი“ ბატონის ძიებისავენ უბიძგებს. ამას შეიძლება პირობითად პროვინციალიზმი ეწოდოს. როცა არასრულფასოვნების განცდის გამო უპირობოდ აღიარებენ სხვის პრიმატს, ცდილობენ მაქსიმალურ დამსგავსებასა და მონურ ლტოლვას მისადმი საკუთარი ფასეულობების უგულებელყოფის ხარჯე.

ამის საპირისპირო მოვლენაა ე.წ. მესიანიზმი, რომლის გამოვლინებაა ფუნდამენტალიზმი და ფაშიზმი. ეს იდეოლოგია ამკვიდრებს თვალსაზრისს საკუთარ განსაკუთრებულობაზე და, აქედან გამომდინარე, სხვებზე მძრძანებლობისა და ბატონობის უფლებას. ორივე ეს მიმართულება უკიდურესობაა და სახელმწიფოსა და საზოგადოების კრიზისსა და სრულ კრახს იწვევს; ამიტომაც იშლებოდა იმპერიები.

ქრისტიანული სწავლებით, ჭეშმარიტია მხოლოდ სამეუფო გზა, რომელიც გამიჭნულია უკიდურესობებისაგან და წარმოადგენს ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების ერთადერთ სწორ ორიენტირს. დღესაც ასე ვითარდება ყველა წარმატებული სახელმწიფო, ეყრდნობა რა საკუთარ ტრადიციას და კულტურათა ურთიერთგამდიდრების პრინციპს.

სახელმწიფოებრივად ის საზოგადოება აზროვნებს, რომელ-საც გააზრებული აქვს „ჩვენის“ საჭიროების უპირატესობა „მეს“ და „ჩემის“ საჭიროებაზე. ეგოისტური ინტერესების მქონე ადამიანი ზურგშექცევით დგას საზოგადოებისა და სახელმწიფოს პრობლემების მიმართ. მას მხოლოდ საკუთარი სახლი აქვს დალაგებული, ბლურბლს მიღმა კი ყურადღებას არაფერს აქცევს.

სახელმწიფოებრივი აზროვნება დიდი მონაპოვარია და იგი მაღალგანვითარებული კულტურის მაჩვენებელია. ჩვენი ერისთვის ტრადიციული ეს თვისება, ბოლო 200 წლის მანძილზე ქვეყნის პოლიტიკური, შემდეგ კი ეკლესიური დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო, მეტად დაეცა. ეს პერიოდი ერთ-ერთი უმძიმესია ჩვენს ისტორიაში, რადგან მტრისგან იავარქმნილ საქართველოშიც კი, ავტოკეფალური ეკლესია ერს არა მარტო სახელმწიფოებრივ აზროვნებას უნარჩუნებდა, არამედ მაქსიმალურად უწყობდა ხელს პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვების პროცესს.

ეროვნული ცნობიერების აღორძინებას ხელისუფლებისა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევა და გარკვეული დრო სჭირდება. პროცესი ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს, რადგან ყოველ სახელმწიფოში იგი ქმნის იმ გარემოს, რომელმაც საზოგადოება აქტიური ქმედებებისათვის უნდა განაწყოს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიუხედავად, ამ საკითხს სათანადო ყურადღება დღემდე არ დათმობია, მაშინ, როცა ამის გარეშე ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროექტების წარმატებით განხორციელების შემთხვევაშიც კი, ძლიერი სახელმწიფოს შექმნა შეუძლებელია.

უნდა შეიკრას ჭაჭვი – მე, შენ, ჩვენ ერთმანეთისა და საქართველოსთვის. ამ მიმართულებით ნაბიჯები, უპირველეს ყოვლისა, უნდა გადაიდგას ჭარში და განათლების სფეროში. ასევე აუცილებელია მოსახლეობის დასაქმება – მცირე და საშუალო ეროვნული ბიზნესის განვითარება, სოფლის მეურნეობის აღორძინება, ადგილობრივი პროდუქტით ჩვენი ბაზრის შევსება და სამამულო წარმოებისათვის პრიორიტეტის მინიჭება; აუცილებელია მეცნიერების, კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის ხელშეწყობა და, ბუნებრივია, ქვეყნის მთლიანობის აღდგენისთვის ზრუნვა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა,

ჩვენს ხელისუფლებას გაცნობიერებული აქვს და სასიკეთო პროცეს-ებიც დაწყებულია.

საქართველოს ეკლესია ყოველთვის მხარში ედგა ჩვენს ხელისუფლებას და ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა ქვეყნის აღმშენებლობაში. ეს დღესაც ასეა. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდი, რომლის დევიზია: სულიერების, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება და განვითარება.

მართალია, ცხოვრება მეტად რთულია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში გული არ უნდა გავიტეხოთ. ერთმანეთის სიმძიმე უნდა ვიტვირთოთ და ასე აღვასრულოთ „შტული იგი ქრისტესი“. ერთ-ერთი რეალური საშუალება, რითიც შეგვიძლია ურთიერთს დავეხმაროთ, არის დალოცვა.

წერილობითი ან სიტყვიერი დალოცვა შეიძლება როგორც ოჯახის წევრის, შვილის, ახლობლისა, ისე ნაცნობისა თუ უცნობის. მორწმუნე ადამიანი უნდა ლოცავდეს თავის მტრებსაც; და ხდება საოცრება, ჩვენი მოძულე ნელ-ნელა მოყვარედ იქცევა.

დალოცვა არსებობს მრავალი სახის: „ღმერთმა დაგლოცოს, გაგახაროს, გაგაძლიეროს“, „ღმერთმა მოგანიჭოს ჭანმრთელობა და მრავალუამიერი სიცოცხლე“, „უფალმა არ მოგაკლოს თვისი წყალობა და მშვიდობა“, „ღმერთს ებარებოდეთ“, „უფალმა დალოცოს მთელი საქართველო და მკვიდრნი მას შინა“, „მაცხოვარმა დაგლოცოს და მტერი მოყვრად გიქციოს“, „წყალობა, მშვიდობა, სიყვარული და სიხარული სუფევდეს შენ თანა“ და მრავალი სხვა.

მთავარია, დალოცვა გულიდან მომდინარეობდეს, მხოლოდ მაშინ შეიტანთ სხვის ოჯახში სიხარულსა და მშვიდობას, სანაცვლოდ კი თქვენი სახლიც ბარაქით, სიყვარულითა და სიხარულით აივსება.

დადგა უამი, როდესაც მე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნდა დაგლოცოთ თქვენ და სრულიად საქართველო:

ღმერთო ძლიერო, მრავალმოწყალეო, მამაო, ძეო და სულონმიდაო, სამებაო, ერთარსებაო და განუყოფელო უფალო, დიდება და მადლობა შენდა! გვედრები, შეისმინე ლოცვისა ჩემისა და მოანიჭე მადლი და ძალა შენი ჩვენს ხალხს; შეცვალე მწუხარება ქართველთა ერისა სიხარულად, შფოთი და მტრობა – მშვიდობად და სიყვარულად.

სნეულნი განვურნე, უცხოეთში მყოფი თანამემამულენი მშვიდობით დააბრუნე, დალოცე და გააძლიერე ხელისუფალნი და მხედრობა ჩვენი, ერი და ეკლესია შენი და მოგვანიჭე მტკიცე და ჭეშმარიტი სარწმუნოება, სიყვარული და სასოება, სიბრძნე და თავმდაბლობა. შეგვმოსე შენი მადლით და წარსდევნე ჩვენგან და ჩვენი ქვეყნიდან ყოველი მტერი და მბრძოლი ჩვენი და აცხოვნე სული ჩვენი, ვითარცა სახიერ ხარ და კაცთმოყვარე.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრო მამულო ჩვენო, უფლის კვართის მადლით სვეტად ცხოველად გამოჩინებულო.

ჰე, ერო ჩემო, ანდრია პირველწოდებულისა და სხვათა მოციქულთა მიერ კურთხეულო და წმინდა ნინოს ქადაგებითა და ვაზის ჰვრის ძალით მოქცეულო და მადლმოსილო.

მრავალტანკულო საქართველოვ, ურიცხვ მოწამეთა ცრემლითა და სისხლით განბანილო.

გმირთა სამკვიდროვ, არ იყო შენთვის უცხო ღალატიც. ვიყავით და ვართ ბრძენნიც და უგუნურნიც, შეურაცხყოფილნიც და განლაღებულნიც, ცოდვით დამძიმებულნიც და სინანულით დამდაბლებულნიც. მამულს მოწყვეტილნი შვილნი შენნი ხმობენ ფერეიდნიდან, ტაოკლარჯეთიდან, ლაზეთიდან, ჰერეთიდან და ქვეყნის სხვა კიდეთაგან,

მონატრულნი ერთიანი საქართველოს ხილვას.

უფალო, საკვირველად მწყალობელო ჩვენო, შენ გვაძლევ ძალას, რომ დანგრეული კვლავ აღვადგინოთ, უიმედოს ნუგეში ვსცეთ, მტირალს ცრემლი მოვსწმინდოთ, არ დავემონოთ ბოროტს და მიუხედავად ათასი საცდურისა, მაინც გვახსოვდეს, რომ მხოლოდ შენა ხარ „გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“.

ჰე, უფალო, გევედრებით, კვლავაც აღხოცე ცოდვები ჩვენნი მეწამულნი და განგვასპეტაკე, ვითარცა თოვლი; შენია ცანი და ქვეყანა, შენა ხარ ანი და ჰოე, დასაწყისი და დასასრული ყოვლისა. შეგივრდებით და გთხოვთ, გაგვხადე ღირსი შენი მეუფებისა, რათა ერთგულნი მაღიდებელნი შენნი მარად ვიყოთ ღვთაებრივი სიყვარულით გარემოცულნი.

შენნი ვართ, გვაცხოვნე ჩვენ, ამინ!

ქრისტე აღდგა!

აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 2005 წ.

საშობაო ეპისტოლე

2006 წ.

„აპა ესერა, მიმიცემია წინაშე შენსა კარი განდებული,
რომლისა დაკშვად ვერვინ შემძლებელ არს“
(გამოცხ. 3, 8).



რისტესმიერ საყვარელნო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო,
დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, დიდად პატივცემულო ხელი-
სუფალნო, მართლმორწმუნენო, მკვიდრნო საქართველოდსა და
სამშობლოს საზღვრებს გარეთ დროებით მცხოვრებნო თანამემა-
მულენო, სიყვარული და სიხარული განგმრავლებოდეთ და რწ-
მენა და იმედი განგმტკიცებოდეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

კვლავაც დაგვიდგა დღე იდუმალი – შობა უფლისა ჩვენისა
იქსო ქრისტესი; ამ დიადი საიდუმლოს თანაზიარნი მუხლმოდრევით
თაყვანსა ვსცემთ ბეთლემს შობილ ყრმას და მთელი არსებით ვმად-

ლობთ მამაზეციერს, რომელმან „ესრეთ შეიყუარა... სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდშობილი მოსცა მას, რადთა ყოველსა რომელსა პრნმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებად საუკუნოდ“ (იოან. 3, 16).

მადლობას ვწირავთ უფალს იმისათვისაც, რომ მოგვანიჭა გონება და შინაგანი ხედვა, რათა სული ჩვენი ვყოთ ტაძრად, გული კი – სანთლად წინაშე ღვთისა, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დავინახოთ „გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“.

ბედნიერნი ვართ, რომ ჩვენი ერი ოცი საუკუნეა მისდევს მაცხოვრის გზას და დღემდე ერთგული დამცველია იმ რწმენისა, რომელიც იესო ქრისტემ და მისმა მოციქულებმა იქადაგეს.

მართლმადიდებელმა სარწმუნოებამ ჩამოაყალიბა არა მხოლოდ ერთიანი, ქართული სახელმწიფო და უნიკალური ქართული კულტურა, არამედ განსაზღვრა ქართველი კაცის ცხოვრებისა და აზროვნების წესიც.

დღესაც ჩვენი ხალხი, მიუხედავად ათეისტური რეჟიმის – 70 წლიანი ბატონობისა, მართლმადიდებლური კულტურის ერს წარმოადგენს. თვით მუსულმანი ქართველებიც კი საუკუნეთა განმავლობაში ინარჩუნებენ ისეთ ტრადიციებს, რომელნიც ქრისტიანული სწავლებიდან მომდინარეობენ და მამა-პაპათაგან აქვთ შესისხლხორცებული.

საერთოდ, რელიგია უდიდეს გავლენას ახდენს მსოფლიო კულტურასა და ცივილიზაციაზე, რადგან იგი აზროვნების ერთ-ერთი უმთავრესი განმაპირობებელი ფაქტორია. აზროვნება კი ქმნის კულტურას. აღსანიშნავია ისიც, რომ, თავის მხრივ, კულტურასაც შეუძლია შეცვალოს ცალკეული პიროვნების თუ საზოგადოების აზროვნება.

ამიტომაც იყო, რომ მთელი ისტორიის მანძილზე როგორც

ჩვენთან, ისე ნებისმიერ ქვეყანაში, დამპყრობლები ცდილობდნენ ხელოვნურად თავს მოეხვიათ არა მხოლოდ თავიანთი პოლიტიკური გავლენა, არამედ მოეხდინათ კულტურულ-რელიგიური ასიმილაციაც, რაც გულისხმობდა როგორც რწმენის, ასევე სიმღერის, ცეკვის, სამოსლის, ლიტერატურული ღირებულებების, სუფრის წესის და ა.შ. შეცვლას. ეს ხელოვნური ექსპანსია, რა თქმა უნდა, განსხვავდებოდა და განსხვავდება კულტურათა შორის ურთიერთგამდიდრების ბუნებრივი პროცესისგან, რაც კაცობრიობის კულტურულ განვითარებას განაპირობებს.

დღეს კულტურასა და ცხოვრების წესზე ზემოქმედების ყველაზე მძლავრ იარაღად ისეთი საშუალებები იქცა, როგორებიცაა მასმედია, კინოხელოვნება, ინტერნეტი და სხვ.

საზოგადოების, განსაკუთრებით კი მოზარდი თაობის მსოფლიმხედველობას მნიშვნელოვანნილად აყალიბებს ტელევიზია. სამწუხაროდ, მისი საშუალებით ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ცდილობენ იდეოლოგიური დატვირთვის მქონე გადაცემებით არატრადიციული ცხოვრების წესის დამკვიდრებას. წლების განმავლობაში, არატრადიციული ღირებულებების ხელოვნურად დანერგვას ხელს უწყობენ გარკვეული ძალებიც და ამას თავისუფლების, დემოკრატიისა და განვითარების პროცესად წარმოაჩენენ, რითაც დარტყმას, უპირველეს ყოვლისა, ქართულ სახელმწიფოსა და ხელისუფლებას აყენებენ.

ვფიქრობთ, სახელმწიფოსათვის არ უნდა იყოს სულერთი, თუ როგორ პიროვნებებად ჩამოყალიბდებიან მომავალი თაობის წარმომადგენლები. სიტყვის თავისუფლება და დემოკრატია არ ნიშნავს ყველაფრის უფლებას. მე მრავალ ქვეყანაში ვყოფილვარ და ისედაც ვიცი, რომ განვითარებულ სახელმწიფოებში ოფიციალური და წამყვანი ტელევიზიები თითქმის არსად არ უჩვენებენ ძალა-

დობის, ნარკომანიის, აღვირახსნილობის ამსახველ ფილმებსა და გადაცემებს. მართალია, არსებობს საკაბელო ტელევიზიები, სადაც მსგავსი მიმართულება დომინირებს, მაგრამ მათი მომხმარებლები დაბალ სოციალურ-კულტურულ ფენას განეკუთვნებიან და, ამასთან, სათანადო გადასახადსაც იხდიან.

შეუძლებელია ახალგაზრდა იზრდებოდეს ქართული ტრადიციული ღირებულებების უგულებელყოფის ატმოსფეროში და, მაგალითად, ჭარში თავისი ქვეყნის მამაც დამცველად მოგვევლინოს.

შეუძლებელია, საზოგადოება უარყოფდეს თავის მეობას, უარყოფდეს იმ ზნეობრივ საფუძვლებს, რასაც ისტორიულად ეყრდნობოდა (მაგალითად, მეგობრობის, ღირსების, უფროსის პატივისცემის, ერთგულების, ურთიერთგატანის, ქალის სიწმინდის ინსტიტუტს) და ააშენოს წარმატებული ქართული სახელმწიფო, რადგან ნებისმიერი სახელმწიფო მისი ისტორიიდან მომდინარეობს და საკუთარ ტრადიციებზეა დაფუძნებული.

ასევე შეუძლებელია ამა თუ იმ განვითარებული სახელმწიფოს ცხოვრების წესი მხოლოდ მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური წინსვლის გამოვლინებად მივიჩნიოთ და მისაბაძად ვაქციოთ, რადგან სინამდვილეში იქაური ყოფა-ცხოვრება მნიშვნელოვანნილად არის შედეგი ამ ქვეყნის კულტურის, რელიგიისა და ტრადიციისა. სხვადასხვა განვითარებული ქვეყნის საზოგადოებებს განსხვავებული ცხოვრების წესი აქვთ. ამის დადასტურებაა იაპონიის, ისრაელის, სამხრეთ კორეის, ნორვეგიისა და სხვათა მაგალითი.

ვფიქრობთ, ჩვენ ბევრი რამის სწავლა შეგვიძლია ისრაელის სახელმწიფოს მაგალითზე, რომელმაც უმოკლეს დროში მოახერხა დიდი წინსვლისათვის მიეღწია პოლიტიკურ-ეკონომიკურ სფეროში და, ამასთან, აეშენებინა ტრადიციული და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სახელმწიფო.

სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობას არა მარტო ხელი-სუფლება, არამედ ყოველი ადამიანი უნდა გრძნობდეს. ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობა აკისრია ეკლესიას, მეცნიერებს, ინტელი-გენციას, მაგრამ განსაკუთრებული დატვირთვა მაინც ახალგაზრდო-ბაზე მოდის, რადგან ახალგაზრდობა ქვეყნის მომავალია. მან უნდა შეიმუშაოს ახალი ეროვნული იდეები, ახალი პროექტები, გამონახოს ახალი გზები განვითარებისა და პრობლემების მოგვარებისათვის.

ყველამ ვიცით, რომ ახალგაზრდობისათვის, და არა მარტო მისთვის, ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას ნარკომანია წარმოად-გენს. მან დღეს ჩვენი საზოგადოების თითქმის ყველა ფენა მოიცვა. ზოგიერთს იგი არასწორი ყოფის გამოვლინებად მიაჩნია, თვით ნარკომანები კი მას ლამის ვაჟვაცობად თვლიან; სინამდვილეში ეს არის ლაჩრობა, ეს არის სირცხვილი, ეს არის შიში რეალობისადმი და თავის არიდება იმ პრობლემებისათვის, რომელთა წინაშეც ყოველი ჩვენგანი დგას. იგია ცხოვრებიდან გაქცევის მცდელობა, უარის თქმა იმაზე, რომ შესაძლებლობისამებრ სიკეთე მოუტანო ოჭახს, საყვარელ ადამიანს, საზოგადოებას და სახელმწიფოს (ჩვენ აღარაფერს ვამბობთ ნარკოტიკების გამავრცელებლებზე, რომელთა საქმიანობაც ეშმაკის მსახურებაა).

მე მესმის, რომ ეს მძიმე სენია და მისგან თავის დაღწევა ად-ვილი არაა, ამიტომაც თანავუგრძნობ მათ, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. ხელისუფლებამ, მეც და ჩვენმა ეკლესიამაც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ, ერთი მხრივ, შევიმუშაოთ სერიოზული პრევენ-ციული ზომები (განსაკუთრებით მოსწავლეებსა და სტუდენტებში), მეორე მხრივ, ამ საშინელ ურჩხულს როგორმე გამოვგლიჭოთ ჩვენი შვილები.

ამისთვის აუცილებელია, რომ ადამიანი იყოს მორწმუნე და გრძნობდეს პასუხისმგებლობას ღვთისა და ერის წინაშე; მას ასევე

უნდა ჰქონდეს დიდი სურვილი დაავადებისაგან განთავისუფლებისა და იმედი დვთის შეწევნით მიზნის მიღწევისა. აგრეთვე, უნდა ჰყავდეს მოძღვარი და სასულიერო პირს უნდა აკურთხებინოს სახლი, უნდა მარხულობდეს, ხშირად უნდა ამბობდეს აღსარებას, რათა გათავისუფლდეს ცოდვებისაგან და მიიღოს წმინდა ზიარება. დარწმუნებული ვარ, ასეთი პიროვნება აუცილებლად დაამარცხებს ცოდვიან მიდრევილებებს და გაიმარჯვებს საკუთარ თავზე.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ცოდვა დღეს არ წარმოშობილა, იგი უძველესი დროიდან არსებობდა და არსებობს, მაგრამ ადრე ცოდვას ცოდვა ერქვა და იგი სირცხვილად მიიჩნეოდა; დღეს კი სიტუაცია იცვლება და იქითვენ მიდის, რომ ცოდვის ლეგალიზება მოხდეს.

განა შეიძლება ნარკომანობა იყოს ჩვეულებრივი მდგომარეობა და ნარკომანი საზოგადოების სრულფასოვან წევრად მიიჩნეოდეს? განა შეიძლება სოდომ-გომორის ცოდვა ბუნებრივ მოთხოვნილებად შევრაცხოთ და ეს გადახრა ჩვეულებრივ მოვლენად წარმოვაჩინოთ? მაშინ რატომდა ვსჭით მკვლელებსა და ქურდებს, სხვა ბოროტმოქმედთ, მათაც ხომ მიდრევილებები აქვთ ამ დანაშაულობების მიმართ?

ასეთი ლიბერალური მიდგომის პროპაგანდა არ შეიძლება; ამას მხოლოდ ურწმუნონი თუ გაკეთებენ და ისინი, ვისაც, როგორც ამბობს პავლე მოციქული, სინდისი დამწვარი აქვთ. მართალია, მათი რიცხვი საქართველოში ჰქონდებოდი არ არის, მაგრამ ეკლესიის ვალია გააფრთხილოს ისინი და აუხსნას, რომ იმქვეყნად თავიანთ თავს საშინელ ხვედრს უმზადებენ, თუმცა არც ამქვეყნად დარჩებიან დაუსჭელნი.

მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის მთლიანობის აღდგენის საკითხი. საქართველოსთვის გარეშე ძალების მიერ თავსმოხვეული

შიდა კონფლიქტები, რომელსაც არასწორად ეთნოკონფლიქტებსაც უწოდებენ, ორასი წლის მანძილზე მტრული ძალების მიერ წარმოებული ინფორმაციული ომის შედეგიცაა.

მავანნი დღესაც ცდილობენ შეუქმნან საერთაშორისო საზოგადოებას არასწორი წარმოდგენა იმის შესახებ, თითქოს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ისტორიულად არაქართული ტერიტორიებია.

ისტორიოგრაფია, ენათმეცნიერება, არქეოლოგია... ნაწილობრივ პოლიტიზებული მეცნიერებებია და, ბუნებრივია, ყოველი ქვეყანა, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, იყენებს მათ. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია იმპერიებისთვის, რომელნიც ამ მეთოდით ცდილობენ გაიმყარონ თავიანთი პოზიციები („გათიშე და იბატონეს“ პრინციპი).

ჭერ კიდევ წმინდა ილია მართალი თავის პუბლიცისტურ წერილებში ებრძოდა პეტერბურგის უნივერსიტეტში შექმნილ ანტიქართულ ისტორიოგრაფიულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ერთიანი ქართველი ერი განსხვავებული ტომების ხელოვნურ გაერთიანებად იყო წარმოდგენილი. აღნიშნული კამპანიის გაგრძელება იყო ის, რომ იმპერიულმა ძალებმა დაიწყეს მეგრულად და სვანურად საღვთისმსახურო წიგნების თარგმნა და წირვა-ლოცვის ჩატარებაც სცადეს, მაგრამ ამ კუთხის შვილებმა და მთელმა ქართულმა საზოგადოებამ მათ საკადრისი პასუხი გასცა.

ქართული საზოგადოება წინ აღუდგა აფხაზთა მუჭაჭირობის (გადასახლების) პროცესსაც, ვინაიდან აფხაზეთი ოდითგან ჩვენი კულტურისა და სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი იყო და არის.

ასევე ჩვენი ნაწილია ოსებიც, რომლებიც საუკუნეების მანძილზე საქართველოში მშვიდობიანად ცხოვრობენ.

სამწუხაროდ, აფხაზებისა და ოსების ბოლო თაობები იმპერიულ ისტორიოგრაფიაზე გაიზარდნენ, რომელმაც მათ ქართ-

ველებისადმი არამეგობრული დამოკიდებულება ჩამოუყალიბა. ეს იყო ნელი მოქმედების იდეოლოგიური ნაღმი; ამ ნაღმმა ჩვენ დღევანდელ მდგომარეობამდე მიგვიყვანა და ძმობა და ერთობა დაგვარღვევინა. მაგრამ ჩვენ შორის არსებული ნათესაური, მეზობლური და მეგობრული ურთიერთობების გამო მტერმა მიზანს ბოლომდე მაინც ვერ მიაღწია. ამიტომაც, მიუხედავად ყველაფრისა, ძმათამკვლელი ომი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ძირითადად განიხილება როგორც პოლიტიკური დაპირისპირების შედეგი და არა ხალხებს შორის მომხდარი კონფლიქტი, რისი დადასტურებაცაა ის კეთილგანწყობა, რომელიც ორივე მხარის უბრალო ადამიანების ძირითად ნაწილში დღესაც სუფევს.

ვლოცულობთ, რომ მალე აღდგეს ნამდვილი მშვიდობა და ერთობა ჩვენს შორის.

ის ძალები, რომლებიც ტრადიციულ ღირებულებებს უპირი-სპირდებიან, ეკლესიის წინააღმდეგაც გამოდიან და სურვილი აქვთ როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო მასშტაბით იგი სხვა კონფესიების უფლებების დამრღვევად წარმოაჩინონ. ამის ერთ-ერთ მიზეზად ისინი კონსტიტუციურ შეთანხმებასაც ასახელებენ და რელი-გიური თავისუფლების მოტივით, ყველას თანასწორუფლებიანობას ითხოვენ, მაშინ, როდესაც მსგავსი სამართლებრივი მოდელი არც ერთ ტრადიციული კულტურის სახელმწიფოში არ არსებობს. მა-გალითად, არც ერთ ქვეყანაში არ არის ყველა კონფესიის დიდი დღესასწაული სახელმწიფო უქმე დღედ გამოცხადებული. არც ერთ სახელმწიფოში ჭარში არ მსახურობს ყველა კონფესიის სამხედრო მოძღვარი და ა.შ. რაც, უბრალოდ, ქაოსსა და ანარქიას გამოიწვევდა.

პირიქით, ევროპაში სწორედაც რომ სხვა მაგალითები გვაქვს: ბრიტანეთის სახელმწიფოს მონარქი, იმავდროულად ანგლიკანური

ეკლესიის მეთაურია, ხოლო ეპისკოპოსები ლორდთა პალატის წევრები არიან; რომის პაპი სახელმწიფო ვატიკანის მეთაურია; ვატიკანი კი არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება ევროპული ქვეყნების სამართლებრივი მოდელების შესაბამისად შეიქმნა და მას მხარი დაუჭირა ქვეყანაში არსებულმა ყველა ტრადიციულმა რელიგიამ. იგი იყო, აგრეთვე, საერთო-საჭარო განხილვის საგანი და, შეიძლება ითქვას, მთელი ქართველი ერის მხარდაჭერით იქნა მიღებული.

ამ დღეებში შემდგარმა წმინდა სინოდის სხდომამ ერთ-ერთ საკითხად მიიღო საქართველოს პრეზიდენტისადმი მიმართვის ტექსტი, სადაც ითხოვენ კონსტიტუციური შეთანხმების სრულად განხორციელებისათვის ორმხრივი კომისიების ამუშავებას. ვიმედოვნებთ, ეს თხოვნა მალე რეალობად იქცევა.

წმინდა წერილი გვასწავლის, რომ განსაცდელს უფალი უშვებს, რათა, როგორც ცალკეული ადამიანი, ისე ესა თუ ის ერი გამოიცადოს „ვითარცა ცეცხლში გამოწრთობილი ოქრო“.

„გამოსვლათას“ მთელი წიგნი არის მოწმობა ცოდვათა გამოისრაელის დაცემისა და სინანულით განწმენდილი ერის ღვთის მადლით კვლავ აღდგინებისა.

ქართველი ერის მთელი ისტორიაც სულიერი გზაა ეგვიპტიდან აღთქმული მიწისაკენ. ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ჩვენზე განცხადებული ღვთის სასწაულისა არის დავით აღმაშენებლის დროს ქართველთა დაცემული სამეფოს აღორძინება და იმდროინდელი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ ქცევა.

მთელ ამ პროცესს შეიძლება ეწოდოს „ძლევა საკვირველი“, რადგან თექვსმეტი წლის ყმაწვილმა, დავითმა, ტერიტორიებდაკა-

რგული, გაღატავებული, მოსახლეობისაგან დაცლილი, სულიერად და მორალურად განადგურებული ქვეყანა ჩაიბარა და ღმერთმა თავისი სიდიადე დაუძლურებულ ერში სწორედ ამ ახალგაზრდა მეფის საშუალებით განახორციელა; და კვლავ განცხადდა პავლე მოციქულისადმი ნათქვამი უფლის სიტყვები: „ძალი ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნების“ (2 კორ. 12, 9).

თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ღვთის განგებულებით, ქართველთა გამოხსნისა და აღორძინების საქმე დავითს არც დაუწყია და არც დაუმთავრებია. ამ პროცესს საფუძველი ტაო-კლარჯეთში ჩაეყარა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობით. საქართველოს აღორძინების ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი ასევე მტერთაგან დასუსტებულ ქვეყანაში სვეტიცხოვლის დიდებული ტაძრის აგება და ერის სულიერი მომზადება იყო. აი, ამ ფაქტებმა შექმნეს წინაპირობები დავითის საქართველოსთვის.

ასე რომ, კაცთათვის შეუძლებელი შესაძლებელია ღმრთისაგან, მაგრამ ერის განწმენდის გარეშე ეს სასწაული არ აღსრულდება. აუცილებელია მოხდეს სინერგია, ანუ უფლისა და ადამიანის ნებათა თანხვედრა.

საქართველო კვლავაც აუცილებლად გადარჩება და განბრნებიდება, მაგრამ ამას განახორციელებს ის თაობა, რომელიც ღვთის მცნების დამცველი და მისი ნების აღმსრულებელი იქნება. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. მაშ, გავხდეთ უფლის ნების თანაზიარნი და დიდი საქართველოს თანაშემოქმედნი!

უპირველესად, უნდა ვიცოდეთ უამი როგორც შრომისა, ისე ლოცვისა, აღსარებისა და ზიარებისა.

დიდი მნიშვნელობა აქვს შვიდგზის ლოცვას, რადგან ამ დროს ათასობით და ათიათასობით ადამიანი ერთიანდება და აღავლენს ერთობლივ ლოცვას წინაშე ღვთისა. მაცხოვარი ბრძანებს: სადაც

ორი ან სამი შეიკრიბება ჩემი სახელით, მეც მათ შორის ვარო; როცა ამდენი ადამიანი ერთად შეჰვალადებს უფალს და დახმარებას სთხოვს, რა თქმა უნდა, იგი ჩვენთან იქნება. ამიტომ მოვუწოდებ საქართველოს ეკლესიის ყველა სულიერ შვილს, როგორც ქართველთ, ისე სხვა ერის წარმომადგენელთ, რომ შვიდგზის ლოცვა გააძლიერონ და ეს იქნება დასაწყისი საქართველოს განბრნყინებისა.

დღეს 8 ეიმობს ცა და ქვეყანა, ანგელოზნი უგალობენ ახალშობილ მაცხოვარს: „დიდებად მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშვდობად და კაცთა შორის სათნოებად“, და ჩვენც მათთან ერთად აღმოვთქვამთ სადიდებელს ღვთისა:

უფალო ძლიერო, ბეთლემს შობილო, აღგვადგინე დაცემულნი და კვლავ მოგვანიჭე მადლი შენი; მოგვმადლე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩვენისა; მოგვეც სიბრძნე, სიმშვიდე, ერთგულება, ერთსულოვნება, გულის სიწრფელე, რწმენის სიმტკიცე, ჭანის სიმრთელე, მთლიანობა ქვეყნისა, შვილთა სიმრავლე, ნაყოფთა სიუხვე, ამაღლებული სიყვარული, სასოება შეურყეველი, რათა ვიხაროთ ორსავე სოფელსა შინა.

საშობაო ეპისტოლე კი მსურს დავამთავრო ბაბილონის კერპთმსახური მეფის, ნაბუქოდონოსორის მიერ ჭეშმარიტი ღვთისადმი ერთგულების გამო ცეცხლში ცოცხლად ჩაგდებული და უფლისგან სასწაულებრივად გადარჩენილი სამი ყრმის: ანანიას, აზარიასა და მისაელის ღვთისადმი აღვლენილი ლოცვით:

„აკურთხეთ, ადამის ძენო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე...

აკურთხეთ, მღვდელნო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ, უფლის მორჩილნო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ, მართალთა სულნო და სამშვინველნო, უფალი,
უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ, წმიდანო და გულით გლახავნო, უფალი, უგალო-
ბეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე... რადგან მან გამოგვიყვანა
ჭოჭოხეთიდან, მან გვიხსნა სიკვდილის ხელიდან“ (დან. 3, 82-88).

კურთხეულო საქართველო, შეისმინე სიტყვა უფლისა: „აჰა
ესერა, მიმიცემია წინაშე შენსა კარი განღებული, რომლისა დაწმვად
ვერვინ შემძლებელ არს“ (გამოცხ. 3, 8).

მაშ, გავუღოთ გული ჩვენი ნათელსა მას მიუაჩრდილებელსა
და ვიხაროთ უფალთან ერთად.

„ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა“.

ქრისტესმიერ საყვარელო ჩვენო სულიერო შვილებო, კიდევ
ერთხელ გულითადად გილოცავთ ქრისტეშობის დიდებულ დღესას-
წაულსა და ახალ წელს.

იხარეთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

ქრისტეს შობა
თბილისი, 2006 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

2006 წ.

„ღმერთითაც ვიქადით, ... ვისი წყალობითაც
გვეღირსა შერიგება“ (რომ. 5, 11).

 ოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დი-
 აკონნო, ბერ-მონაზონნო, ყოველნო ერთგულნო და თავდა-
დებულნო შვილნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა,
ყველას გულითადად გილოცავთ წმიდა პასექის ბრწყინვალე დღესას-
წაულს

ქრისტე აღდგა!

მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის.

უფალმა კიდევ ერთხელ ღირსგვეყ შევხვედროდით მაცხ-

ოვრის აღდგომის საიდუმლოებით მოცულ საოცარ ზეიმს, სათავეს ჩვენი რწმენისა და სასოებისა, ძალას ჩვენი სიყვარულისა.

ამ დღეს განსაკუთრებულ პატივს მივაგებთ ჩვენთვის ვნებულ იესოს, ბოროტის მონობისაგან ჩვენს მხსნელს, მარადიული ნეტარი ცხოვრებისა და მადლმოსილების მომნიჭებელს.

აღდგომა – ეს არის მტკიცე და შეურყეველი ქვაკუთხედი, რომელზეც დაფუძნებულია ჩვენი სარწმუნოება და ქრისტეს ეკლესია, იგია ყველაზე დიდი დადასტურება ჩვენი ცხონებისა. ამიტომაც წერს პავლე მოციქული: „ხოლო თუ ქრისტე არ აღმდგარა, ამაოა ჩვენი ქადაგება, და ამაოა თქვენი რწმენაც“ (1 კორ. 15, 14).

უფალი ჭვარს ეცვა ჩვენთვის და თავისი აღდგომით ზეცად აღა-მაღლა მთელი კაცობრიობა, რადგან მას გამოუთქმელი სიყვარულით უყვარს თითოეული ადამიანი. ყოველი პიროვნება განუმეორებელია, დაჭილდოებულია მარადიული სიცოცხლით, შემოქმედებითი უნ-არითა და თავისუფალი ნებით.

ადამიანი ღვთისაგან ნაბოძები თავისუფლების არასწორი გამოყენების გამო აღმოჩნდა ეშმაკის მონობაში. მიუხედავად ამისა, ღმერთმა თავისუფლების მაღლი ცოდვით დაცემულ ადამიანსაც კი არ წაართვა და მას შემდეგ, რაც თავისი ჭვარცმით გამოიხსნა კაცობრივი ბუნება, ყოველ ჩვენგანს საშუალება მისცა პიროვნული არჩევანის გზით კვლავ მოეპოვებინა ცათა სასუფეველი.

„თვინიერ ჩემსა არარად ძალ-გიძთ“ (იოან. 15, 5), – ბრძანებს უფ-ალი და, მართლაც, ჩვენ არ შეგვიძლია გადარჩენა ღვთის მაღლისა და მოწყალების გარეშე, თუმცა ცხონების მოსაპოვებლად მხოლოდ ღვთის ნება საკმარისი არ არის, აუცილებელია ადამიანის თავისუ-ფალი ნებაც. მაცხოვარმა კაცობრიობას ახალი აღთქმა მისცა და მანამდე უცნობ საოცარ სიმაღლეებს აჩიარა.

ეკლესიის სწავლებით, ქრისტეში ყველა ერთიანდება, მი-

უხედავად ეთნიკური, რასობრივი, სოციალური და სქესობრივი განსხვავებისა. „ქრისტეში არ არის არც იუდეველი, არც ელინი, არც მონა, არც ბატონი, არც მამავაცი და არც დედავაცი“.

ქრისტიანობამ სხვა სიმაღლით წარმოაჩინა ადამიანის ღირსება და თითოეულ მათგანს უთხრა, რომ ის ერთადერთი და განუმეორებელია, რომ სწორედ მისთვის ეწამა მაცხოვარი და მას გაუხსნა გზა ცათა სასუფევლისკენ.

პავლე მოციქული პიროვნებისათვის ღვთისაგან მონიჭებულ სამ უმთავრეს ნიჭს გამოყოფს: რწმენას, იმედსა და სიყვარულს. ამქვეყნიურ ცხოვრებაში რწმენა უმტკიცესი საძირკველია სულინმინდის ტაძრად შექმნილი კაცისათვის. რწმენა ღვთისა ნიშნავს არა მარტო იმას, რომ ღმერთი არსებობს, არამედ იმასაც, რომ უფალი ყოველივეს სიბრძნით განაგებს და ყოველივე კეთილად წარემართებათ მის მორწმუნეთ; ამასთან, უფლის ნების გარეშე ერთი ჩიტიც არ დავარდება დედამიწაზე, და არც თმის ერთი ღერი – ჩვენი თავიდან (მათ. 10, 29; ლუკ. 21, 18).

იმედი ის მადლია, რაც ძალას აძლევს ადამიანს მიწიერი ყოფის განსაცდელთა დასაძლევად და ღმერთამდე ასამაღლებლად. გაჭირვებამ არ უნდა შეგვაშინოს და სასოება არ უნდა დაგვარგვინოს, რადგან თუ გვწამს, რომ ღმერთი სიყვარულია, ბუნებრივია, უნდა გვწამდეს ისიც, რომ იგი ცუდს არასოდეს გაუკეთებს მას, ვინც უყვარს. ამიტომაც, სიხარული თუ მწუხარება, რაც ჩვენი ცხოვრების გზაზე გვხვდება, მხოლოდ ჩვენივე სიკეთისათვის არის დაშვებული, სამწუხაროდ, ამას ხშირად ვერ ვაცნობიერებთ. უფალი ბრძანებს: „ჩემი ზრახვები არ არის თქვენი ზრახვები და ჩემი გზები არ არის თქვენი გზები... როგორც ცა არის მაღალი მიწაზე, ასევე მაღალია ჩემი გზები თქვენს გზებზე და ჩემი ზრახვები თქვენს ზრახვებზე“ (ეს. 55, 8-9).

რწმენა და იმედი მხოლოდ წუთისოფლის საგზალია და ბოროტთან ბრძოლისთვის ჩვენი ღვთაებრივი საჭურველი. მათგან განსხვავებით სიყვარული სულის მარადიული თვისებაა. ეს გრძნობა ღვთაებრივი მადლის განსაკუთრებული გამოვლინებაა, რადგან როგორც მოციქული ბრძანებს: „სიყუარული ღმრთისაგან არს და ყოველი, რომელსა უყუარდეს, ღმრთისაგან შობილ არს და იცის ღმერთი“ (1 იოან. 4, 7).

მთელი გონიერით, მთელი გულითა და სულით ისე უნდა შევიყვაროთ უფალი, რომ ვერაფერმა განგვაშოროს მას, რასაც მაშინ მივაღწევთ, თუ ცოდვებისაგან განვიწმინდებით და თავდადებული სიყვარულით შევიყვარებთ ჩვენს მოყვასს. უფრო მეტიც, როგორც უფალი ბრძანებს – უნდა შევიყვაროთ თვით ჩვენი მტრებიც და კეთილს უნდა ვუყოფდეთ მათ.

ასეც ხდება: შეიძლება ადამიანმა ამპარტავნების გარდა სხვა ყველა ნაკლოვანება დაძლიოს, მაგრამ ამ უსაშინელეს ცოდვას შეუძლია გადაწონოს ყველა სიკეთე და ჩვენი სულიერი შენობა ძირფესვიანად დაანგრიოს. გეშინოდეთ მისი!

ამიტომაც თავმდაბლობა არის კიდევ ერთი უმთავრესი თვისება პიროვნებისა, იგი, ერთი მხრივ, იცავს ადამიანს ამპარტავნების სენისაგან, ხოლო მეორე მხრივ, უნარჩუნებს მას ინდივიდუალიზმს, მეობასა და ღირსებას, რათა არც საკუთარ თავს მიაწეროს თავისი მიღწევები და არც თავისი პიროვნება და თავისუფალი ნება უარყოს სრულიად.

სულიერი ცხოვრების მოსურნეთ უნდა იცოდნენ, რომ კაცობრიობის მტერი ცდილობს ღვთაებრივი სიკეთენი შეცვლილი სახით წარმოაჩინოს. ჭეშმარიტი რწმენის ნაცვლად იგი ურწმუნოებას ან ცრუ რწმენას გვთავაზობს, იმედის ნაცვლად – სასოწარკვეთილებას ან ცრუ იმედს, ჭეშმარიტი სიყვარულის წილ – უსიყვარულობას ან

მოჩვენებით სიყვარულს და ეს ყოველივე ისე არის შენიღბული, რომ ჭირს შავისა და თეთრის გარჩევა.

როცა წმინდა ანტონი დიდმა ჩვენებაში იხილა კაცთა საც-დუნებლად დაგებული ეშმაკის მახენი, აღმოთქვა: განა შეუძლია ვინმეს თავი დააღწიოს მას? პასუხად მოესმა: მხოლოდ თავმდა-ბალთ.

როგორც ცალკეულ ადამიანს, ისე ყოველ ერს, ღვთის გან-გებულებით, გარკვეული მისია აკისრია. ადამიანმაც და ერმაც უნდა გააცნობიეროს თავისი უმთავრესი დანიშნულება და მას უნდა ემ-სახუროს.

ქართველი კაცი დაჭილდობულია სიყვარულის განსაკუ-თრებული ნიჭით; ალბათ, ამიტომაა, რომ ჩვენ წილად გვხვდა მსო-ფლიოს უდიდესი სიწმინდე, უკრველი კვართი ქრისტესი, რომელიც სიმბოლოა ქრისტეს განუყოფელი ეკლესიისა, რომლის სწავლებასაც ოცი საუკუნეა შეურყვნელად იცავს ჩვენი ხალხი. ეს არის ჩვენთვის განცხადებული უმთავრესი მისია ქართველი ერისა, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა მხნეობითა და დიდი თავგანწირვით აღასრულეს. თუ როგორ ვუერთგულებთ ამ გზას, ეს დიდად არის დამოკიდებული ჩვენს მომავალ თაობაზე.

საქართველო მხოლოდ მაშინ გადარჩება და დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მსოფლიოში, თუ ის, თავის ტრადიციებზე და-ყრდნობით, შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნებულ ქართულ სახელმწიფოს.

ამ ორი პირობის შესრულება მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი არსებობისა და შემდგომი განვითარებისათვის. თუნდაც ერთ-ერთი მათგანის მოკლება უმძიმესი შედეგის მომტანი იქნება ქვეყნისათვის. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ერთა თვითმყოფა-დობის უმთავრეს ფაქტორად დღეს კულტურული არეალიდა რჩება,

რადგან მსოფლიო ინტეგრაციის პირობებში თანამედროვე ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრები თანდათან კარგავს თავის უწინდელ დანიშნულებას. კულტურა მხოლოდ მწერლობაში, ხელოვნებასა და მეცნიერებაში არ ვლინდება, არამედ მთელი საზოგადოების ცნობიერებასა და ყოფა-ცხოვრებაშიც.

გლობალიზაციის პროცესი ბუნებრივად იწვევს იმ ხალხებისა და კულტურების ასიმილაციასა და ზოგჯერ სრულ გაქრობასაც, რომელიც ვერ გამოიმუშავებენ სათანადო იმუნიტეტს, მაგრამ ეს არ არის ახალი მოვლენა. ისტორიულად ცნობილი ყველა დიდი იმპერია ცდილობდა განეხორციელებინა გლობალიზაციის ერთგვარი პროცესი. დღეს კი ამან საყოველთაო ხასიათი მიიღო. ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს ინტეგრაციისა, რადგან წარსულის დიდი გამოცდილება გვაქვს და ვიცით, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართული კულტურა არაერთი უძლიერესი იმპერიის გავლენას განიცდიდა, მაგრამ ღვთის განგებითა და ჩვენთა წინაპართა ძალისხმევით თვითმყოფადობა არასდროს დაგვიკარგავს. ეს დღესაც უნდა შევძლოთ.

კულტურის განმაპირობებელი სამი ძირითადი ფაქტორია: მამული, ენა, სარწმუნოება.

ჩვენი მამული ღვთისმშობლის წილებებიდან ივერიაა, რომელიც ჭეშმარიტ სარწმუნოებას ჰქონ კიდევ | საუკუნეში ანდრია მოციქულის მიერ ეზიარა. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „მოვიდა ანდრია ტრაპიზონსა, სოფელსა მეგრელთასა“.

ჩვენი ენა კი უძველესია და საიდუმლოებით მოცული და მას „სახარებასა შინა ლაბარე ჰქვიან“. იგი შეიძლება შევადაროთ სინათლეს, რომელიც თავის თავში მოიცავს ცისარტყელას ფერებს. ეს ფერები მსგავსია ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხის დიალექტებისა: ხევსურულისა და სვანურის, მეგრულისა და თუშურის, ლაზურისა და კახურის, გურულისა და ინგილოურის, მესხურისა და რაჭულის,

კლარჯულისა და მოხეურის, იმერულისა და მთიულურისა, რომელნიც შენაკადების მსგავსად ქმნიან ერთიანი ქართული ენის მდინარეს, ენისა, რომლითაც უძველესი დროიდან ჩვენს მიწა-წყალზე „...ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების“.

ამ სამ საგანძურს თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ, რათა ერის მთლიანობა და თვითმყოფადობა შევინარჩუნოთ.

ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელია გარკვეული პრი-ორიტეტების განსაზღვრა. ამაზეა დამოკიდებული, თუ როგორ სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდებით. ვფიქრობთ, მომავალმა თაობამ უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს სამეცნიერო, კულტურულსა და ეკონომიკურ სფეროს, რათა ჩვენი ქვეყანა სრულფასოვან სახელმწიფოდ იქცეს.

საერთაშორისო ექსპერტები ვარაუდობენ, რომ უახლოეს ათწლეულში სასმელი წყალი გახდება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი კაცობრიობისათვის. საქართველო ამ რესურსის ერთ-ერთი დიდი მფლობელია და მისი მომავალი ეკონომიკური განვითარება, ალბათ, დაკავშირებული უნდა იყოს წყალთან, კერძოდ, წყლის მსოფლიო ბაზარზე ჩვენი ადგილის მოპოვებასთან. დღეს კი უმთავრეს პრიორიტეტად უნდა იქცეს სოფლის მეურნეობის, მცირე და სამუალო ბიზნესის განვითარება; უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები, რომ ადამიანები დასაქმდნენ და გამოვიდნენ იმ მძიმე სოციალური პირობებიდან, რომელშიც დღეს იმყოფებიან.

ჩვენი დიდი რესურსია ინტელექტუალური პოტენციალიც. ქვეყანამ არ უნდა დაკარგოს ის სამეცნიერო მონაპოვარი, რაც მას გააჩნია. ამის მაგალითია ბალტიისპირეთის ქვეყნები, რომელთაც თითქმის სრულად გამოიყენეს საბჭოთა პერიოდის სამეცნიერო თუ ეკონომიკური მიღწევები, რამაც განაპირობა ამ ქვეყნების სწრაფი განვითარება. ჩვენთან პროცესები, სამწუხაროდ, სხვაგვარად განვი-

თარდა, დაიშალა ქვეყნის ეკონომიკური სისტემა და გაუქმდა მთელი რიგი საწარმოები.

არ შეიძლება იგივე ბედი ეწიოს მეცნიერებას. მრავალ დარგში საქართველოს მსოფლიოში აღიარებული მკვლევრები ჰყავს. საერთოდ, ნებისმიერი ქვეყნის განვითარებაში სამეცნიერო სფერო გადამწყვეტ როლს ასრულებს; მის ჩამოყალიბებას დიდი თანხა და დიდი დრო სჭირდება. გამოუსწორებელი შეცდომა იქნება, ქვეყანამ არ გამოიყენოს ის სამეცნიერო პოტენციალი, რომელიც მას გააჩნია.

საერთოდ, წარმატებით მხოლოდ ის ერები და სახელმწიფოები ვითარდებოდნენ, რომლებიც ალღოს უღებდნენ დროის მოთხოვნებს. სამოციანელთა მოღვაწეობით ქართველმა ხალხმა ღირსეული პასუხი გასცა რთული ეპოქის გამოწვევებს და არა მარტო ფიზიკურად გადარჩა, არამედ დამოუკიდებლობისათვის სულიერადაც მოემზადა.

XX საუკუნის ბოლოს აღორძინებულ ეროვნულ მოძრაობას მრავალი ღირსეული წარმომადგენელი ჰყავდა და ბევრმა მის იდეალებს სიცოცხლეც შესწირა. დღეს ასპარეზზე უკვე სხვა ახალგაზრდები არიან. საჭიროა არ დაიკარგოს თაობათა ერთობა და ეროვნულ ფასეულობათა დაცვა ახალი მოთხოვნების შესაბამისად გაგრძელდეს.

ჭერ კიდევ ილია ამბობდა: დღეს სხვა ომია, ომი წიგნისა და ცოდნის, ცოდვა არ არის ცეცხლსა და მახვილში გამოტარებული ქართული დროშა ჩრჩილმა და მატლმა შეჭამოს?

ეს სიტყვები დღესაც აქტუალურია, ოღონდ თანამედროვე პირობებში ვითარება კიდევ უფრო რთულდება იმით, რომ კაცობრიობამ შექმნა ბრძოლის ახალი ფორმა – ინფორმაციული ომი. ქვეყნებისა და პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირება დღეს ძირითა-

დად ამ საშუალებით ხორციელდება, მომავალში კი მას, ალბათ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

სამწუხაროდ, ჩვენმა ქვეყანამ თავის დროზე სათანადოდ ვერ აუღო ალღო ამ ახალ მოვლენას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების კონფლიქტებში, საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ჯეროვნად ვერ წარმოაჩინა თავისი სიმართლე და ინფორმაციულ ომშიც წაგებული აღმოჩნდა.

მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია; საჭიროა მთელმა საზოგადოებამ, განსაკუთრებით კი ქართულმა დიასპორებმა ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ მსოფლიომ ობიექტური ინფორმაცია მიიღოს ჩვენი ისტორიის, კულტურისა და დღეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ.

ვფიქრობთ, კარგი იქნება, თუ სხვადასხვა უცხო ენაზე შეიქმნება ინტერნეტ-გვერდები, გამოიცემა ბროშურები და წიგნები, გაიმართება შესვედრები და კონფერენციები როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, რაშიც დიდი როლის შესრულება შეუძლიათ უცხოეთში ამჟამად მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს.

მოხარულნი ვიქნებით, თუ ისინი ხელისუფლებასთან ერთად ჩვენც დაგვიკავშირდებიან და ამ მიმართულებით კოორდინირებულად ვიმოქმედებთ.

მკვდრეთით აღდგომილო მრავალმოწყალეო უფალო ჩვენო, იესო ქრისტე, ჯვარსა შენსა თაყვანსავცემთ, მეუფეო, და წმინდასა აღდგომასა შენსა ვუგალობთ და ვადიდებთ. წინაშე შენსა მუხლმოდრეკილია მრავალტანაზული, მრავალვნებული, მაგრამ შენ მიერ კურთხეული ქართველი ერი და ჩვენ, ძენი და ასულნი საქართველოდან, აღვიარებთ ცოდვათა და უსკულოებათა ჩვენთა. შენი მოწყალე თვალით გარდამოიხილე, ღმერთო, უძლურთა მკურნალო და ნაკლულევანთა აღმავსებელო, და შეგვინდევ ცოდ-

ვანი ჩვენნი, წმიდა მყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა და აცხოვნენ სახიერო სულნი ჩვენნი.

შვილთა ჩვენთა მიანიჭე სიბრძნე და კეთილგონიერება და არ მოუშალო პატივისცემა მშობელთა; სრულასაკოვანთა განუხვენ თვალნი გონებისანი, რათა გიცნან შენ, ვითარცა გზა, ჰქომარიტება და სიცოცხლე; სიბერე მათი ტკბილპყავ და განაძლიერე, რათა იხარონ კეთილითა ნაყოფითა ძეთა და ასულთა თვისთა.

ურწმუნოთ და სულმოკლეთ განუხვენ სულიერნი თვალნი; შეცდომილნი და ცოდვით დამძიმებულნი შეიწყნარენ, ვითარცა უძლები შვილნი და შეაერთენ წმიდასა შენსა მართლმადიდებელსა ყვლესიასა; უძლურნი განკურნენ, საპყრობილესა და ტყვეობასა შინა მყოფნი – განათავისუფლენ, ობოლნი და ქვრივნი დაიცევ და მიჰმადლე მათ პური არსობისა; უცხოეთსა შინა მყოფნი ქართველი მშვიდობით დააბრუნე.

სულნი გარდაცვალებულთა მამათა და დედათა, ძმათა და დათა ჩვენთა საყოფელთა მართალთასა დააწესენ; წილხვედრი ყოვლადნმინდისა ღმრთისმშობელისა, ღვთივკურთხეული საქართველო იხსენ შიდა დაპირისპირებისაგან, უცხო თესლთა მოსვლისაგან, სიყმილისა, მიწის ძვრისა და სხვა ყოვლისა ბოროტისაგან.

ღვთივკურთხეულო საქართველო, ისმინე ხმა უფლისა ჩვენისა და აღასრულე მცნებანი მისნი; წინაშე შენსა ღია არს კარი სასუფეველისა. ივერნო – გორგასლიანნო, დავითიანნო, თამარიანნო, მუდამ გახსოვდეთ პასუხისმგებლობა წინაშე ღვთისა და მამულისა. არ შედრკეთ, არ შეუშინდეთ განსაცდელს; ჰვარი, რომელიც გვიბოძა უფალმა, ბოლომდე უნდა ვიტვირთოთ და ჩვენი მისია აღვასრულოთ.

ღვთისა და მამულისათვის დამაშვრალნო მეფენო და დედოფალნო ჩვენნო, შემწეობა თქვენი დღეს განსაკუთრებით სჭირდება საქართველოს. მტერი ლამობს შერყვნას რწმენა, დაფლითოს და დაანაწევროს ჩვენი მამული, ჩვენი ენა. თქვენი ლოცვით დაიცავით და

დაიფარეთ სულიერი და ეროვნული საგანძურო ჩვენი და აღადგინეთ საბრვარნი საქართველოდანი. ერთ ძალად შეგვკრიბეთ და შესთხოვეთ უფალს ერთსულოვნება ჩვენი, რათა ვიყოთ ერთ სამწესო და უფალი ჩვენი იყოს მწყემსი ჩვენი.

მოძღვარნო და მასწავლელნო ჩვენნო, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქნო, დიდია თქვენი ღვანლი ღვთისა და ერის წინაშე, თქვენი ლოცვით განაძლიერეთ მართლმადიდებელი ეკლესია ჩვენი, რათა იგი იყოს მტკიცე შემაკავშირებელი და მაცხოვნებელი ძალა ჩვენი ერისა.

წმინდა მღვდელმთავარნო, მოწამენო, ღირსნო მამანო, მნათობნო სოფლისანო, მეოხე გვეყავით, რათა შევიცნოთ თავნი ჩვენნი, განვაგდოთ შური და ურთიერთშუღლი და მოგვანიჭოს უფალმა განცდად თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩვენისა; ამპარტავნება ჩვენი შეცვალოს თავმდაბლობით, მტრობა და მრისხანება – სიყვარულით, ცრემლი და მწუხარება – სულიერი სიხარულითა და ამაღლებით, რათა მოხდეს ჩვენი სულიერი ფერისცვალება და საქართველოს განბრნყინვება.

ყოველი ჩვენგანი უნდა იყოს ძე და ასული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, რათა ეკლესიის ლოცვით უფლის აღდგომის თანაზიარნი გავხდეთ და დავიმკვიდროთ სასუფეველი ცათა.

სულიერი სიხარულით აღვსილი კიდევ ერთხელ ყველას გულითადად გილოცავთ პასექის დიდებულ ზეიმს.

იხარეთ ორსავე სოფელსა შინა.

ქრისტე აღდგა!
ჭეშმარიტად აღდგა!

აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 2006 წ.

საშობაო ეპისტოლე

2007 წ.

„შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა
შენითა და ყოვლითა სულითა შენითა, და ყოვლითა
გონებითა შენითა... შეიყუარე მოყუასი, ვითარცა თავი
თვალი“ (მათ. 22, 37,39).

 რისტესმიერ საყვარელნო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო,
 დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, პატივცემულნო ხელისუფალნო,
მართლმორწმუნენო, მკვიდრნო საქართველოდსა და სამშობლოს
საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, სიყვარული და
სიხარული განგმრავლდებოდეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

აღსრულდა ყოვლადწმინდა სამების საღმრთო განგება, ახდა
ძველი აღთქმის წინასწარმეტყველება – „ღმერთი გამოჩნდა ხო-
რცით“ (1 ტიმ. 3,16). მაცხოვარი მოვიდა წუთისოფელში, რომელიც

ძალადობით, დაპირისპირებითა და ბოროტებით არის სავსე. მოვიდა, რათა სრულიად გარდაექმნა იგი. თვინიერ ცოდვისა, მიიღო ჩვენი დაცემული ბუნება, რათა საღმრთო სიყვარულის ძალით ჩვენი შინაგანი ფერისცვალება მოეხდინა, შეიმოსა ადამიანური სხეულით, რათა კაცთა მოდგმა მარადიული ტანკვისაგან ეხსნა.

ბეთლემში შობილი ყრმისაკენ მიმავალი გზა ხსნილია ყველა-სათვის. ერთნი ცოდნისა და ინტელექტის, ანუ მოგვთა გზით მიდიან; სხვანი განსაცდელისა და მწუხარების ბილიკს მიუყვებიან; მესამენი, მწყემსთა მსგავსად, თავმდაბლობითა და ლოცვით მიემართებიან. რა თქმა უნდა, არსებობს სხვა გზებიც.

საზოგადოების ნაწილი კი საპირისპირო მიმართულებით მიდის და ბნელეთისაკენ მიექანება, თუმცა ამას თავიდან თითქმის არავინ აცნობიერებს, რადგან ეშმაკი ათასგვარი საცდურით აბრუებს ადამიანებს და ცოდვის ჭაობში ღრმად ითრევს.

ჩვენს დროში მისი ქმედება უფრო დახვეწილი გახდა და სიკეთისა და ბოროტების გარჩევა კიდევ უფრო გაჭირდა. ამიტომაც აუცილებელია, კარგად გავაცნობიეროთ, რა გარემოში ვცხოვრობთ, რომელი ტენდენციებია მნიშვნელოვანი, რა არის მისაღები და რა უარსაყოფი, ქვეყნისთვისაც და ჩვენთვისაც რა არის პირველი რიგის ამოცანა, რა – შემდეგ გასაკეთებელი საქმე?

ტელევიზის, მობილური კავშირგაბმულობის, კომპიუტერისა და ინტერნეტის განვითარებამ მანძილი და დრო მკვეთრად შეამცირა. ეკონომიკა თანდათან კარგავს მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და იქმნება ტრანსნაციონალური კომპანიები, რომელთაც, ძირითადად, საკუთარი მიზნები ამოძრავებთ და არა სახელმწიფო ინტერესები. მიმდინარეობს კულტურათა ასიმილაციის პროცესიც. ეს ყველაფერი მრავალსახოვანი გლობალიზაციის გამოვლინებაა.

ასეთ ვითარებაში ჩვენი ხალხი პრობლემების წინაშე დადგა. ეს არის დროის გამოწვევა. კონკრეტული ძალა არ ჩანს, მაგრამ ცრუ თავ-ისუფლებაზე დაყრდნობით, მასმედის საშუალებებით (სერიალებით, მდარე ტელე-პროდუქციით) ხდება ზემოქმედება ჩვენი საზოგადოების, განსაკუთრებით კი მომავალი თაობის ცნობიერებაზე, რათა მასში დაინერგოს არაეროვნული, არაერისტიანული მსოფლმხედველობა, რაც შედეგად გამოიწვევს ჩვენი ეთნოფსიქიკის შეცვლას და ერთიანი ქართველი ერის დაშლასა და გადაგვარებას.

უნდა გავაცნობიეროთ, რომ შეტევა ხორციელდება თითოეული ადამიანის აზროვნებაზე. ამიტომაცაა ყოველი ჩვენგანის გული და გონება ამ ბრძოლის ასპარეზი. ესა თუ ის პიროვნება ან რჩება ქართველად, ან, თავისი შინაგანი სისუსტისა და მიმბაძველობის გამო, იცვლის ღირებულებათა სისტემას.

ეს ისეთივე მნიშვნელობის ომია, როგორიც ჩვენს მამა-პაპათ გამოუვლიათ.

მოგმართავთ ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, შეინარჩუნეთ ჩვენი თვითმყოფადობა, ჩვენი ტრადიციული ქრისტიანული ცხოვრების წესი. გახსოვდეთ, მთავარი ბრძოლა ბოროტან მოგებულია. უფალი ბრძანებს: „ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა“ (იოან. 16, 33). მაში, იბრძოლეთ, ჩვენი გმირი წინაპრების მსგავსად, რათა საკუთარ თავში და თქვენ გარშემო დაიცვათ თქვენი წილი საქართველო. დღეს ეგ ომია თქვენი დიდგორი, თქვენი ბასიანი.

უნდა იცოდეთ, რომ ქართული იდეა ორ უმთავრეს სვეტს ეყრდნობა. ესაა სულიერი ღირებულებები (რაც გულისხმობს მართლმადიდებელ სარწმუნოებასა და მის წეს-ჩვეულებებს) და ეროვნულ-კულტურული ფასეულობები, რითაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყანა.

ქართულმა იდეამ რომ ხორცი შეისხას და განვითარდეს,

საჭიროა გაერთიანდეს სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ეკლესიის ძალისხმევა.

ახლა კი შევჩერდები იმ მიმართულებებზე, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს:

ტერიტორიული მთლიანობა მუდამ იყო ქვეყნის პრიორიტეტი. იგი დღესაც ჩვენი ხელისუფლებისა და ყოველი ჩვენგანის მთავარი საზრუნავია. თანამედროვე ეტაპზე ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ურთიერთობები და მსოფლიო თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის დამკვიდრება. თუმცადა, უპირველეს პრობლემად მაინც საქართველოს ერთიანობისათვის ზრუნვა რჩება და არ არსებობს მისი სანაცვლო სხვა ღირებულება.

ქვეყნის განვითარების აუცილებელ პირობას ეკონომიკური სიძლიერე წარმოადგენს. ეს ის მთავარი საკითხია, რომელიც ჩვენმა სახელმწიფომ დროულად უნდა გადაჭრას. ამასთან, ჩვენ უნდა მოვძებნოთ ჩვენი ადგილი მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში.

არაერთხელ გვითქვამს, რომ საქართველოს გააჩნია მეტად ძვირფასი ბუნებრივი რესურსი მტვრარი წყლის სახით, რომლის მნიშვნელობაც და ღირებულებაც ახლო მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ამიტომ, ვფიქრობთ, საყოველთაო პრივატიზაციის პროცესში, ეს ბუნებრივი რესურსი და მისი ექსპლოატაცია აუცილებლად სახელმწიფო სექტორში უნდა დარჩეს და გამოყენებულ იქნას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

ცნობილია, რომ მთელ მსოფლიოში მოთხოვნილება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე მკვეთრად გაიზარდა და დიდი მოგების მიღების მიზნით მოდიფიცირებული და გენური ინჟინერიით მიღებული პროდუქტების წარმოებაზე ორიენტირებული ქვეყნების სოფლის მეურნეობა მაღალ სტანდარტებს ვეღარ აკმაყოფილებს. ჩვენ საერთაშორისო ბაზარს უნდა შევთავაზოთ ეკოლოგიურად

სუფთა პროდუქტი. ეს დიდ მოგებას მოუტანს ხალხს და ააღორძინებს სოფელს.

ზოგიერთმა პატარა სახელმწიფომ თავი დაიმკვიდრა მონინავე ტექნოლოგიების ათვისებით. მაგალითად, სამხრეთ კორეამ, ისრაელმა, ფინეთმა... ეკონომიკის ამ დარგში სერიოზული განაცხადისათვის ჩვენს ქვეყანასაც გააჩნია ინტელექტუალური რესურსი. ქართული ფუნდამენტური მეცნიერული სკოლები აღიარებული იყო როგორც ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ასე რომ, ჩვენი მეცნიერული პოტენციალი შეიძლება პრაქტიკულად იქნას გამოყენებული, თუკი მას სათანადო პირობები შეექმნება.

საერთოდ, მეცნიერებასა და განათლებას ქვეყნის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწავლის პროცესში ხდება მომავალი თაობის ფორმირება პიროვნებებად. ამიტომაც სკოლა და, ზოგადად, სასწავლებელი მარტო ცოდნას კი არ უნდა აძლევდეს მოზარდს, არამედ მან უნდა აღზარდოს იგი და თავისი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქედ ჩამოაყალიბოს. ამ საქმეში მეტად დიდია ოჯახისა და ეკლესიის როლი. სასწავლებელი, როგორც ხალხის მიერ დაქირავებული დაწესებულება, ვალდებულია, თავისი საქმიანობა საზოგადოების ინტერესების შესაბამისად წარმართოს და რადგანაც საზოგადოებას ფაქტობრივად ოჯახთა ერთობლიობა და ეკლესია (რომლის წევრია ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა) შეადგენს, განათლების სისტემა ეკლესიისა და ოჯახის ტრადიციულ ღირებულებებს უნდა შეესაბამებოდეს (ვისაც სურვილი აქვს განსხვავებულ გარემოში აღზარდოს შვილები, შეუძლია ეს კერძო სასწავლებლებში განახორციელოს). ეს არის სწორედ იმის საწინდარი, რომ მომავალი თაობა ავაცილოთ თუნდაც ისეთ საშინელ სენს, როგორიც ნარკომანია და სხვა მანკიერებანია.

ნარკომანია ჩვენი დიდი ტკივილია, რომელიც ერის სულიერ

და დემოგრაფიულ გენოციდს იწვევს. ჩვენ არაერთხელ შევხებივართ ამ თემას და ყოველთვის აღვნიშნავდით, რომ ამ მიმართულებით პირველი რიგის ამოცანას პრევენციული ნაბიჯების გადადგმა წარმოადგენს. ჩვენ ყველამ ერთად უნდა შევქმნათ ნარკოტიკის მიმართ უარყოფითი განწყობა. უნდა დავანგრიოთ ცრუ სტერეოტიპი იმის შესახებ, თითქოს ნარკომანობა პრესტიჟულია.

ნარკომანობა სირცხვილია!

ნარკომანი არის ავადმყოფი, საცოდავი, ლაჩარი, სუსტი ადამიანი, რომელიც ეშმაკის ბადეშია მოხვედრილი და ნარკოტიკზე მიძაჭვულობის გამო ხშირად ბოროტმოქმედებასაც სჩადის, ციხეში ხვდება და თავის მდგომარეობას კიდევ უფრო იმძიმებს.

მინდა, ნაწილობრივ ციხეში არსებულ მდგომარეობასაც შევეხო.

დღეს იქ მძიმე პირობებია. ცივილიზაციულ ქვეყნებში ციხე გამოსწორების ადგილს წარმოადგენს. იმედია, ჩვენი პენიტენციალური სისტემაც მაღლ ამ სტანდარტებს დაუახლოვდება. ამისთვის კი, პირველ რიგში, უნდა გაიმიჯნოს საშიში ბოროტმოქმედი ეკონომიკური თუ სხვა, შედარებით მსუბუქი სახის დანაშაულის ჩამდენისაგან. კარგი იქნება, თუ ასეთი პატიმრებისათვის აღდგება სასტელის მოხდა მიმაგრების ადგილებში და ამისთვის საქართველოს მაღალმთიანი დაუსახლებელი რეგიონები გამოიყენება. ეს, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს პატიმართა გამოსწორებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას და, მეორე მხრივ, ამ ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკურ ათვისებასა და განვითარებას.

რაც შეეხება მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევთ, ციხეში მათთვისაც უნდა არსებობდეს ისეთი გარემო, რომელიც შეუქმნის მათ ცხოვრების წესის შეცვლის განწყობას.

ვფიქრობთ, პენიტენციალურ სისტემაში შრომის დანერგვა და

სასულიერო პირის უფრო აქტიურად ჩართვა დიდ შედეგს მოიტანს, რისი გამოცდილებაც უცხოეთის ქვეყნებში კარგა ხანია აქვთ.

ცნობილია, რომ ციხის გავლენა მის გარეთაც ვრცელდება. ზოგიერთისთვის კრიმინალური მსოფლმხედველობა ერთგვარ დადებით მოვლენასაც ვი წარმოადგენს, რაც შეცდომაა. ეს არის ღმრთის მცნების უარმყოფელი დიდი ცოდვა. ეს არის დანაშაული მოყვასის წინაშე. წმიდა პავლე მოციქული გვასწავლის: „ნუთუ არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღმრთის სასუფეველს?... ვერც მპარავნი... ვერც მტაცებელნი...“ (1 კორ. 6, 9-10).

სამწუხაროდ, ქუჩა, უბანი, გარემო, ზოგჯერ მავნე ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს, რაც მათში ცრუ ღირებულებების დამკვიდრებით არის გამოწვეული. ახალგაზრდების ნაწილი, მიმბაცველობით ან თავისი წრის ზემოქმედებით, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ იქცევა. თუმცა ბევრი მათგანი ეკლესიაში დადის (ხოლო ვინც არ დადის, რწმენის მიმართ პატივისცემა მაინც აქვს), მაგრამ ეს სათანადოდ ვერ აისახება მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე. სამეგობროებში არსებულ ასეთ მდგომარეობაზე მისი თითოეული წევრი არის პასუხისმგებელი, განსაკუთრებით ვი ისინი, რომელნიც ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობენ. ისინი კარგად უნდა დაუფიქრდნენ თავიანთ ცხოვრებას, რათა, ნებსით თუ უნებლიერ, ეშმავის მსახურნი არ გახდნენ.

საზოგადოება ისეთია, როგორი ავტორიტეტებიც ჰყავს.

ფაქტია, რომ ღირსეული პიროვნებები ჩვენთან სათანადოდ არ არიან დაფასებულნი. მათ ნაცვლად წინ წამოწვეულნი არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც მნიშვნელოვანი არაფერი აქვთ გაკეთებული (ყოველ შემთხვევაში დღეისათვის) ან ისინი, რომელნიც უგულებელყოფენ სულიერ ღირებულებებს. ახალგაზრდები უფრო იცნობენ ტელე-შოუების გმირებს, ვიდრე მათივე თაობის ნიჭიერ პოეტებს,

მხატვრებს, კულტურის მოღვაწეთ, მეცნიერებს და, ზოგადად, ღირსეულ ადამიანებს. ეს ძირითადად მასმედიისგან მომდინარე ნაკლია და უნდა გამოსწორდეს.

მიუხედავად ასეთი პრობლემებისა, პიროვნებასა და საზოგადოებას მაინც ბევრი რამის შეცვლა შეუძლიათ.

XX საუკუნის დასაწყისში, გასაბჭოების პერიოდში, როცა აქტიურად შეუტიეს ტრადიციულ ღირებულებებს, ახალგაზრდა მამულიშვილებმა, რომლებიც შემდეგ ცნობილი საზოგადო მოღვაწენი გახდნენ (პავლე ინგოროვა, კონსტანტინე გამსახურდია, ვახუშტი კოტეტიშვილი, ალექსანდრე აბაშელი), ჩამოაყალიბეს „ჩოხოსანთა“ საზოგადოება. ეროვნული სამოსის ტარება იყო ერთგვარი პროტესტის ფორმაც და მათი მსოფლმხედველობის დემონსტრირების საშუალებაც. შემდგომ პერიოდში ამ მაგალითს, მართალია ერთეულებმა, მაგრამ მაინც სხვებმაც მიბაძეს. დღეს ეს მოძრაობა ახალ ეტაპზე გადავიდა და საზოგადოების ფართო ფენა მოიცვა. მისასალმებელია, როდესაც ცნობილი ადამიანები საერო და საეკლესიო დღესასწაულებზე ეროვნულ ტანსაცმელს იცვამენ (ეს კარგი ტრადიცია ევროპის ბევრ ქვეყანაში დიდი ხანია არსებობს). სულ უფრო იზრდება ახალგაზრდების რიცხვი, რომელნიც ჩოხით იმოსებიან და ჯვრისწერის დროსაც ამ სამოსს იცვამენ. დღეს ჩოხოსანთა საზოგადოებას გაცილებით მეტის გაკეთება ძალუძს, ვიდრე მის წინამორბედთ.

რა თქმა უნდა, ჩვენ მარტო ეროვნული სამოსის ტარებით არ უნდა შემოვიფარგლოთ. როგორც აღვნიშნეთ, აუცილებელია ავალორძინოთ ქართველი კაცის ჩვეული ცხოვრების წესი. საჭიროა, თუნდაც ჩვენი ყოფისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის პირვანდელი სახით აღდგენა, როგორიცაა ქართული სუფრა. დამოუკიდებულობის დაკარგვის შემდეგ იგი ისევე, როგორც სხვა ტრადიციები, გარკვეულწილად, შეიღახა; სინამდვილეში კი მისი არსი მთლიანად

ქრისტიანულია და გამორიცხავს როგორც თრობას, ისე დღეს არსებულ სხვა მანკიერ გამოვლინებებს. კარგად აღზრდილი ადამიანი არ დათვრება და ამით თავს არ დაიმცირებს.

ეკლესიური ცნობიერებიდან გამომდინარე, კარგია, რომ ჩვენს სუფრაზე თანდათან მკვიდრდება სადღეგრძელოთა შინაარსი და ტრადიციული თანამიმდევრობა, რაც იწყება უფლის სადიდებლით და მთავრდება ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხსენებით. ამასთან ყოველი სადღეგრძელო დალოცვაა, ლოცვის ერთგვარი სახეა. ქართული სუფრის ღრმა სულიერ ხასიათზე მიუთითებს ისიც, რომ ყოველთვის ხდება გარდაცვლილთა მოხსენიება.

ქრისტიანული სუფრა არის ადამიანთა ერთობისა და თანადგომის, ჭირისა და ლხინის გაზიარების ადგილი, სადაც უფალი მყოფობს. ამიტომაც პურობა იწყება და მთავრდება ლოცვით.

ქართული სუფრა არის ქრისტიანული სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის გამოხატვის უნიკალური ინსტიტუტი.

ყოველ ერს, ისევე როგორც ცალკეულ პიროვნებას, ღმრთისაგან სხვადასხვა მადლი და ნიჭი აქვს ბოძებული და მასზეა დამოკიდებული, თუ როგორ გამოიყენებს მათ.

ქართველმა კაცმა სიყვარულის ნიჭი განავითარა.

ახალ აღთქმაში ღმერთის ყველაზე მთავარ თვისებად სწორედ სიყვარულია დასახელებული. „ღმერთი სიყუარული არს“ (1 იოან. 4, 16). აქვე ვკითხულობთ: სიყვარული ყოვლისმომცველია, არ ამპარტავნობს, არ ზვაობს, სულგრძელია და ტკბილი, არ მრისხანებს, ყოველივეს ითმენს, არავისი შურს, ჭეშმარიტებით ხარობს, იგი ადამიანის მთავარი მამოძრავებელი ძალაა, რომელიც უკვდავებასთან არის წილნაყარი. იმედი და რწმენა სიკვდილის შემდეგ განქარდება, ხოლო სიყვარული მარადიულად იარსებებს.

პავლე მოციქული იმასაც ბრძანებს, რომ, თუ სიყვარული არა

გვაქვს, ფუჭია ქვეღმოქმედებაც, სასწაულთმოქმედების უნარიც, მოსაგრეობაც, თვით მოწამეობრივი აღსასრულიც კი, რადგან უსიყვარულოდ ყველა სიკეთე უქმ იქმნების.

გავიხსენოთ სახარება: იუდამ გასცა მაცხოვარი, პეტრემაც სამკერ უარყო იგი. შემდეგ ერთმაც შეინანა და მეორემაც, მაგრამ იუდა წარწყმდა იმიტომ, რომ უსიყვარულო იყო ქრისტესთან გატარებული მისი ცხოვრება და, აქედან გამომდინარე, უნაყოფო მისი სინანული; პეტრეს სინანული კი სწორედ მისი მხურვალე სიყვარულის გამო იქნა შეწყნარებული.

მიუხედავად სხვადასხვა სირთულისა და განსაცდელისა, სიყვარული ნეტარებასა და სიხარულთან არის დაკავშირებული; და რაც უფრო დიდია სიყვარული, მით მეტია ნეტარებაც და სიხარულიც.

ყველაზე აღმატებულია ღმერთის სიყვარული.

ამ სიყვარულის დამტევნელნი დიდი სულიერი მოღვაწენი არიან, რომელნიც მძიმე მოსაგრეობის პარალელურად, ღმრთეებრივ ნათელთან ლოცვითი თანაზიარებით უსაზღვრო ნეტარებას ამქვეყნადვე აღწევენ.

სამშობლოსა და ერის ჭეშმარიტად მოყვარული ადამიანებიც დიდ სიხარულს გრძნობენ, როდესაც თავიანთ მიზანს, თუნდაც სიცოცხლის ფასად, ერთგულად ემსახურებიან.

შეიძლება ითქვას, რომ მოყვასის სიყვარული ერთგვარად პირველი საფეხურია. იოანე ღმრთისმეტყველი ბრძანებს: ვისაც „არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, როგორღა შეიყვარებს ღმერთს, რომელსაც ვერ ხედავს?“ (1 იოან. 4, 20).

ღმერთი, სამშობლო, მოყვასი – ეს არის ერთმანეთისაგან გამომდინარე იერარქია და უწყვეტი ჭაჭვი; თუ ღმერთის ადგილი სხვა რამემ, თუნდაც სამშობლომ, დაიკავა, ზემოთ აღნიშნული თანამიმდევრობა ირღვევა და პატრიოტიზმი უკვე ხელოვნურად გამოგონილ

ღირებულებებს ეფუძნება, რომელთაც შეიძლება კარგი სახელიც ერქვას, მაგრამ შედეგად ისეთ მანკიერ გამოვლინებებს ვიღებთ, როგორიცაა ფაშიზმი, რასიზმი და შოვინიზმი ან კიდევ ტრადიციული ფასეულობების სრულ უარყოფას – კოსმოპოლიტიზმს. ამ ორ უკიდურესობას გამორიცხავს ღმრთის რწმენა, რომელიც ჭეშმარიტ პატრიოტიზმს განაპირობებს.

მოციქული გვასწავლის: „თუ ვინმე იტყვის, რომ უყვარს ღმერთი, მაგრამ სძულს თავისი ძმა, ცრუა“ (იოან. 4,20). ამდენად, მხოლოდ ღმერთის სიყვარული ხიბლია და თავს იტყუებს იგი, ვისაც ეს ასე ჰგონია. ოდენ მოყვასის სიყვარული კერპთაყვანისმცემლობაში გადადის; საკუთარი თავისადმი გადამეტებული სიყვარული კი ეგო-იზმსა და ნარცისიზმს შობს.

ადამიანი სიყვარულის ღმრთეებრივ ნიჭს მაშინ ეჩიარება, როცა ამ გრძნობას თავისი „მე“-დან მოყვასისაკენ მიმართავს. გაცილებით დიდ სიმაღლეზე კი მაშინ ადის, როდესაც მოყვასს, როგორც საკუთარ თავს შეიყვარებს; „არავისა აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვინც სულს დასდებს თავისი მეგობრებისთვის“ (იოან. 15, 13), – ბრძანებს უფალი.

მოყვასისათვის სიყვარული და თავდადება ქართველი კაცის ცხოვრების წესად იქცა და, ბუნებრივია, მისი საახლობლო წრე მეტად ფართოა. იგი მოიცავს სისხლისმიერ და ნათელმირონობით ნათესაობას, მეტვარეობას, მოყვრობას, მოგვარეობას, მეზობლობას, მეგობრობასა და სხვ. ასეთი ურთიერთობა უნიკალურია როგორც ქრისტიანულ სამყაროში, ისე მთელ მსოფლიოში. ფაქტია, რომ ქართველ კაცს არა აქვს მოწინააღმდეგის სიძულვილი, რაც ბოლო პერიოდის მოვლენებმაც დაადასტურა. მაგალითად, ძმათამკვლელი ომი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ჩვენს ხალხში დაპირისპირებული მხარეების მიმართ გაბოროტებაში არ გადაზრდილა და იგი დღესაც

მზად არის მათთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარები-სათვის. ამის მიზები კი ისაა, რომ შენდობისა და პატიების, საკუთარი შეცდომების აღიარებისა და სხვისი მწუხარების გაზიარების დიდი უნარი გვაქვს. ეს კარგად ჩანს „ვეფხისა და მოყმის“ ბალადაშიც.

ტოლერანტობა ჩვენი ბუნებიდან მომდინარეობს და მისი სწავლა არასოდეს დაგვჭირდება.

დაიწყო ახალი 2007 წელი, რასაც ოფიციალური სახელმწიფო კალენდრით თითქმის მთელი მსოფლიო აღნიშნავს. თუმცა, შეიძლება ბევრი ვერც აცნობიერებს, რომ ეს წელთაღრიცხვა მაცხოვრის დაბადებას უკავშირდება.

დიახ, 2007 წლის წინ აღსრულდა ქრისტეშობის საიდუმლო – „ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყანა, რომ მისცა თვისი ძე მხოლოდ შობილი“ (იოან. 3, 16). დაუსაბამო იგი დროში იშვა, ყოვლისმპურობელმა და ყოვლისშემოქმედმა მონის სახე მიიღო, რათა მისი სიყვარულით აღვსილნი და ამაღლებულნი საღმრთო წიაღს კვლავ ვზიარებოდით.

საერთოდ, ღმრთის ყველა ქმედებას მხოლოდ სიყვარული განაპირობებს.

ადამისა და ევას სამოთხიდან გამოძევების მიზეზიც სიყვარულიდან მომდინარეობს. მათ ღმერთის ყოვლისმომცველ სიყვარულში შეეპარათ ეჭვი და რადგან შემოქმედის მცნება დაივიწყეს და ეშმავს დაუკერეს, ისინი საკუთარი ნებით მოაკლდნენ საღმრთო სიყვარულს, რაც უფალთან მათ ერთობას განაპირობებდა; ხოლო დაცემულ მდგომარეობაში მყოფნი უკვდავების ხის ნაყოფის შექმით მარადიულად რომ არ წარწყმედილიყვნენ, უფალმა თავისი სამყოფლისაგან განარიდა.

მაცხოვარმა განკაცებით დედამიწაზე ის სიყვარული მოიტანა, რომლის მსგავსიც მანამდე კაცობრიობამ არ იცოდა და რომელთანაც

თანაზიარებით მოგვეცა სამოთხეში დაბრუნების შესაძლებლობა. „გაძლევთ თქვენ ახალ მცნებას, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი... როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ“ (იოან. 13, 34), ოღონდ აუცილებელია, რომ მოვიპოვოთ სიწმინდე და შევიმოსოთ ჭეშმარიტი სიყვარულით, რადგან ამ თვისებების გარეშე ღმერთს ვერ მივემსგავსებით და ჩვენივე ნებით, საკუთარ თავს მის მაცხოვნებელ მადლს განვაშორებთ.

საუკუნეთა მანძილზე საქართველო გადაარჩინა მოყვასის, ღმრთისა და მამულისადმი თავდადებულმა ქრისტიანულმა სიყვარულმა, რისი მაგალითიც აურაცხელია ჩვენს ისტორიაში. როგორი იქნება ჩვენი ხვალინდელი დღე დამოკიდებულია იმაზე, თუ ჩვენ როგორ არჩევანს გავაკეთებთ, მივიღებთ ბოროტის მიერ შემოთავაზებულ მოჩვენებით სიყვარულსა და ცრუ ღირებულებებს, თუ ცოდვასა და სიკვდილზე გამარჯვებული ღმერთის მხარეს დავდგებით. ჩვენი ადგილი კარგად რომ გავაცნობიეროთ, უნდა გავარჩიოთ – ჩვენი მისწრაფებანი და ქმედებანი შეესაბამება თუ არა უფლის სწავლებას.

ღმერთო ძლიერო, სიტყვაო, უწინარეს ყოველთა საუკუნეთა მამისაგან შობილო და ქალწულისაგან მარიამისა ხორცშესხმულო, მოიხილე მაღლით ერსა ზედა წილხვედრსა დედისა შენისასა და ისმინე მუხლმოდრეკით თხოვნა ესე: გევედრებით, გვიხსენ ცოდვათაგან და ბოროტთა განგრახვათაგან ჩვენთა, გული განგვისპეტავე, გონება განგვინათლე, სული განგვიწმიდე, შეცდომილნი მოგვაქციენ, სულიერნი და ხორციელნი სწეულებანი ჩვენნი განკურნენ და შეგვზღუდენ საღმრთოდთა შჯულითა შენითა; მოიხილე ჩვენზედა, სახიერო, და სიყვარულითა შენითა უოხქნოდთა დაცემულნი კვალად აღგვადგინენ და ტაძრად სულისა წმიდისა გამოგვაჩინე, რათა ვიყოთ ჭეშმარიტი მსახურნი მოყვასისა, მამულისა და ღმრთისა.

სახელისა შენისათვის, აღდეგ, უფალო, შეწევნად ჩუენდა და დააყენე კუერთხი უშჯულოთა; გარე-წარაქციე ყოველნი მტერნი და

მაჭირვებელნი ჩუენნი, რომელთა განიგდეს წილი სამკვიდრებელსა შენსა ზედა. მოიხსენე ვედრება დედისა შენისა და ყოველთა წინაპართა ჩუენთა, რომელთა იღუანეს სახელისა შენისათვის და დასთხიეს სისხლი თვისი; მათი ლოცვით აღადგინე მამული ჩვენი – საქართველო – პირველსავე დიდებასა და დაიცევ საზღვარნი მისნი უცხოთესლთა ზედა მოსვლისაგან.

ჰე, უფალო, იხილე და მოხედე ვენახსა ამას და განამტკიცე ესე, რომელი დაასხა მარჯუენემან შენმან, რათა ჩუენცა ყოველნი, მკვიდრნი ღმრთივკურთხეული ივერიისა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებნი ქართველნი, შენს ზეციურ ნათელსა და საღმრთო სიყვარულს ზიარებულნი, ვგალობდეთ:

„დიდებად მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშვდლებად და კაცთა შორის სათნოებად“.

ქრისტეს შობა
თბილისი, 2007 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

2007 წ.

„ესე არს დღე, რომელ ქმნა უფალმან;
ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ ამას შინა”
(აღდგომის საგალობელი).

 ოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო,
დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ძმანო და დანო, მკვიდრნო სა-
ქართველოდა და დროებით უცხოეთში მცხოვრებნო თანამემამუ-
ლენო, ზეციური სიხარულით აღვსილი გულითადად გილოცავთ
აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

ქრისტე აღდგა!

პოდ, დიდებულო პასექო ქრისტესო, მომნიჭებელო სიხარ-

ულისაო, განმაახლებელო სულისა, გულისა და გონებისა ჩვენისაო, დაადგერ ჩუენთანა, რათა გიცნათ შენ, უფალო, ვითარცა ერთადერთი გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე.

მაშ, განვიწმიდოთ ბოროტებისაგან და მივეახლოთ დაუღა-მებელ ნათელს, „რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად“ და გვყოფს მეცნიერად კეთილისა და ბოროტისა.

უფალო ჩვენო, იესო ქრისტე, გუშინ ვგლოვობდით ვნებასა და ჭვარცმასა შენსა, დღეს კი – ვზეიმობთ სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველსა აღდგომასა შენსა;

ჰოდ, ბოროტებავ, უძლურია ძალა შენი წინაშე ღვთისა!

ადამის მოდგმავ, დაცემულო, მაგრამ უფლის მადლით წარ-წყედისაგან ხსნილო, გიხაროდენ,

ქრისტე აღდგა!

„სადა არს, სიკუდილო, საწერტელი შენი, სადა არს, ჭოჭოხ-ეთო, ძლევად შენი! აღდგა ქრისტე და დაირღუ შენ; აღდგა ქრისტე და დაეცნეს ეშმაკნი; აღდგა ქრისტე და იხარებენ ანგელოზნი; აღდგა ქრისტე და ცხორებად მოქალაქობს; აღდგა ქრისტე და არცაღა ერთი მკუდართაგანიღა არს საფლავსა შინა; აღდგა ქრისტე მკუდრეთით და იქმნა იგი დასაბამ შესუენებულთა“ (წმიდა იოანე ოქროპირი).

დაე, აღდგომილი მაცხოვრის მაცხოვნებელი მადლი მოეფი-ნოს სრულიად საქართველოს და მთელ მსოფლიოს!

როგორც წმინდა წერილი გვასწავლის, ღმერთმა ადამიანი შექმნა „ხატად და მსგავსად თვისსა“ და მას, სხვა მრავალ ნიჭთან ერთად, თავისი ერთ-ერთი უმთავრესი თვისება – თავისუფლებაც უბოძა, ანუ შესაძლებლობა არჩევანისა – იყოს ღმერთთან ან იცხ-ოვროს მის გარეშე. არჩევანის შესაძლებლობა ანგელოზთა ცხრავე დასსაც ჰქონდა მინიჭებული.

უფლის ერთ-ერთმა უპირველესმა ანგელოზმა, თავის მიმყოლ დასთან ერთად, ამპარტავნების ცოდვის გამო ღვთის გარეშე არსებობა მოინდომა, რამაც მათი დიდი დაცემა და ბუნების სრული სახეცვლილება გამოიწვია – უფლისაგან ბოქტული ყველა სათნოება მათ თავიანთი ნებით დაკარგეს და იქცნენ ღვთისმბრძოლ არსებებად, რითაც საშინელი მარადიული ხვედრი განუწესეს საკუთარ თავს.

არსობრივად იგივე შეცდომა დაუშვეს პირველქმნილმა ადამმა და ევამაც. მათაც ამპარტავნების ცოდვის გამო განიზრახეს ღვთის მსგავსნი გამხდარიყვნენ და მიუხედავად უფლის გაფრთხილებისა, მაინც შეჭამეს აკრძალული ხის ნაყოფი, რასაც მოყვა მათი გულის, სულისა და გონების შინაგანი ერთობის სრული დარღვევა, სიწმინდის შებღალვა და ღმერთთან კავშირის გაწყვეტა.

მაგრამ ადამის მოდგმას, დაცემულ ანგელოზთაგან განსხვავებით, მიეცა შესაძლებლობა სულის ხორცში ყოფნის გამო (ამჟვეყნად ხორციელად მყოფობის ჟამს), გამოესყიდა დანაშაული და მაცხოვრის მსხვერპლშეწირული სიყვარულის მადლით, გულწრფელი სინანულით, აღსარებითა და ზიარებით ცოდვათაგან გათავისუფლებული კვლავ ძველ დიდებას დაბრუნებოდა.

აი, ამისი საშუალება მისცა ძე ღვთისამ და ძე კაცისამ ადამის მოდგმას თავისი ჭვარცმითა და მკვდრეთით აღდგომით.

დღეს ჩვენ სწორედ ამას ვზეომობთ. და რაკი იესო ქრისტე მთელი კაცობრიობისათვის ენამა, აღდგომის დღესასწაული ნებისმიერი ადამიანისთვის ყველაზე დიდი სიხარულის მომნიჭებელი ზეიმია, იგია ღმერთთან შერიგებისა და თითოეული ჩვენგანისათვის სასუფევლის დამკვიდრების შესაძლებლობის დადასტურება.

და რა შეიძლება იყოს კაცთათვის ამაზე მნიშვნელოვანი და სანატრელი?!

მაგრამ როგორც ედემში, აქ, ამ წუთისოფელშიც, ადამიანს მიცემული აქვს თავისუფალი ნება და თითოეულმა ჩვენგანმა პი-

რადად უნდა აირჩიოს, მარადიული ნეტარების მოპოვება სურს, თუ ცოდვის მონობა, რომლის შედეგიც მარადიული სატანკველია.

ადამიანი ყოველ წუთს, ყოველ წამს დგას არჩევანის წინაშე – გაიმარტვოს საკუთარ თავზე, თავის დაცემულ ბუნებაზე, თუ კიდევ უფრო დაიმძიმოს მდგომარეობა და წარწყმედისაკენ მიმავალ გბაზე სცლა განაგრძოს.

უნდა ვიცოდეთ, რომ არსებობს ცოდვის სხვადასხვა სახე: ზოგი შედარებით მსუბუქია, ზოგიც – იმდენად მძიმე, რომ სულიერ სიკვდილს იწვევს. ყველაზე საშინელი კი – სულინმინდის გმობაა.

ზოგჯერ ადამიანი გულს იმშვიდებს, მცირე დანაშაული მაქვს და ღმერთი მაპატიებსო, მაგრამ ჩვენი ცოდვები, მსუბუქიც რომ იყოს, თუკი ისინი მრავლად გვაქვს, საგრძნობლად დააზიანებს ჩვენს შინაგან სამყაროს. ერთი მუჭა სილა წონით უმნიშვნელოა, მაგრამ სილით სავსე ტომარა – სატარებლად მძიმე.

ის, ვინც კლავს, ვინც ქურდობს, ვინც მრუშობს, ვინც ნარკოტიკებს იღებს და სხვა მძიმე დანაშაულზეც არ ამბობს უარს, მომაკვდინებელ ცოდვას სჩადის; მათ შესახებ წმიდა პავლე მოციქული ბრძანებს: „კერპთმსახურება, მწამვლელობა, მტრობა, შუღლი, შური, მრისხანება, განხეთქილება, მწვალებლობა, სიძულვილი, მკვლელობა, მემთვრალეობა, ლირწება” და სხვა მისთანათა მოქმედი სასუფეველს ღვთისას ვერ დაიმკვიდრებენ (გალ. 5, 20-21).

არიან ორმაგი სტანდატრებით მცხოვრები პიროვნებებიც, რომლებიც უშუალოდ თვითონ მომაკვდინებელ ცოდვებს ერიდებიან, მაგრამ უბნეო გზით ან სხვათა ტანკვა-წამების ხარჯე მოპოვებული შემოსავლით ცხოვრობენ, რითაც უდიდეს სასტელს უმზადებენ საკუთარ თავს.

სულინმინდის გმობის ცოდვაში იმყოფებიან უღმერთონი – ათეისტები და თვითმკვლელნი (შეურაცხადთა გარდა), ღმერთის

შესახებ მწვალებლური სწავლების დამნერგველნი და საერთოდ, ის ადამიანები, რომელნიც ნებისმიერი ცოდვის, მით უმეტეს მომაკვდინებელი დანაშაულის, ცხოვრების წესად დამკვიდრების მოთავენი ან ხელშემწყობნი არიან.

ისინი უნდა აცნობიერებდნენ, რომ ანტიქრისტეს სწავლებას ავრცელებენ, რაც მათ ღვთისმგმობ და სულინმიდის მოწინააღმდეგ ძალად აქცევს: „ყოველი ცოდვა და გმობა მიეტევებათ ადამიანებს, მაგრამ სულინმიდის გმობა არ მიეტევებათ მათ” (მათ. 12, 31). „და ვინც აცდუნებს ერთ მცირედთაგანს, რომელსაც მე ვწამვარ, უჭობს წისქვილის დოლაბი დაჰკიდონ კისერზე და ბლვის უფლულში დანთქან” (მათ. 18, 6).

ადამიანის შესაძლებლობებს საზღვარი არა აქვს. იგი შეიძლება ზეცამდეც ამაღლდეს და შეიძლება ქვესკნელამდეც დაეცეს, მაგრამ ყველაზე ცოდვილმა კაცმაც უნდა იცოდეს, რომ ფეხზე წამოდგომა შესაძლებელია და ამიტომ უფლის შეწევნით, გამოსწორების იმედი არ უნდა დაკარგოს. ამის საწინდარი კი არის ის, რომ ადამიანში არ კვდება სინდისი (მას ღვთის ხმასაც უწოდებენ) და ეს გრძნობა ყოველთვის მიახვედრებს მას, სწორად იქცევა თუ არა.

რომაელთა მიმართ ეპისტოლეში პავლე მოციქული ბრძანებს, რომ წარმართებსაც კი „რჭულის საქმე გულის ფიცარზე უწერიათ, რასაც მოწმობენ მათი სინდისი და მათი აზრები, რომლებიც ხან ბრალს დებენ, ხან კი ამართლებენ ერთიმეორეს” (რომ. 2,15)

სწორედ სინდისი აღძრავს ჩვენში სინანულის გრძნობას და აღსარების მაღლით იწყება პიროვნების განწმენდის პროცესი. რაც უფრო ძლიერია სინდისის ხმა და ადამიანი უსმენს მას, მით უფრო ნაკლებ შეცდომებს უშვებს იგი.

რა არის ამქვეყნად ჩვენი მთავარი დანიშნულება?

მორწმუნეთა პასუხი ასეთია: ადამიანის ნებისა და ღვთის ნების

თანხვედრა, მათი შერწყმა, ანუ სინერგია, რათა პიროვნება ღვთის ნების აღმსრულებელი გახდეს და მაცხოვართან თანაზიარებით სულიერად გადარჩეს. ამისი შესაძლებლობა ყველას აქვს: ხელისუფალსა და მეცნიერს, მიწის მუშავსა და დამლაგებელს, ექიმსა და წარმოების ხელმძღვანელს, ჰარისკაცს, მოსწავლესა და სტუდენტს, მდიდარსა და ღარიბს, მოხუცსა და ახალგაზრდას. მთავარია მან შეიცნოს ჭეშმარიტება და თავისი სულიერი და ფიზიკური შრომით სათნო ეყოს უფალს.

ასევე ყველასა აქვს შესაძლებლობა იმისა, რომ აქვე, ამქვეყნად, მოიპოვოს ისეთი სიწმინდე, რომ განიღმრთოს და მასზეც განცხადდეს მაცხოვრის სიტყვები: „აპა, ეგერა, სასუფეველი ღმრთისად შორის თქუენსა არს” (ლუკ. 17, 21).

სხვებისათვის ვი სიცოცხლის მთავარი აზრი მიწიერი ცხოვრებიდან მაქსიმალური სიამოვნების მიღებაშია, რადგან არა სწამთ სიცვდილის შემდგომი სიცოცხლისა, არა სწამთ ღვთისა და ბუნებრივიცაა, რომ ასეთი აზროვნების გამო თავს ერთგვარად თავიანთი მოთხოვნილებებისა და ინსტიქტების დაკმაყოფილების უფლებას აძლევენ; და ეკარგებათ განცდა მეგობრობის, ერთგულების, თავდადების, მოწყალებისა და თვით სამშობლოს სიყვარულისაც... ასეთი ადამიანისათვის არ შეიძლება არსებობდეს რაიმე ამაღლებული გრძნობა და ღირსება, რადგან მისთვის ყველაფერი წარმავალია, ყველაფერს ეგო-ს, „მეს” პრინციპით საბღვრავს და შეძლებისდაგვარად თავისი მიწიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ცდილობს, თვლის რა, რომ გარდაცვალებით ყველაფერი მთავრდება.

ჩვენს საზოგადოებაში ასეთი აზროვნების დამკვიდრებას ხელი 70-წლიანმა ათეისტურმა რეჟიმმა შეუწყო, თუმცა ქართველი ადამიანი ბუნებით საოცრად ღვთისმოსავია და ამიტომაც მოხდა მოკლე დროში სარწმუნოებისაკენ ერის შემობრუნება, რაც ქვეყნის

დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდს დაემთხვა. ეს პროცესი კი მრავალ განსაცდელთან იყო დაკავშირებული. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ დამოუკიდებლობააღდგენილი საქართველოს | პრეზიდენტი გარდაცვალებიდან 14 წლის შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ მიწას. ჩვენ ამჟამადაც გარდამავალ პერიოდში ვიმყოფებით. ახლა ყალიბდება საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს და ჩვენი საზოგადოების ღირებულებათა სისტემა. კომუნისტური რეჟიმის დროს არ არსებობდა დამოუკიდებელი საზოგადოება და იგი პარტიული იდეოლოგიით იმართებოდა, ხოლო დემოკრატიული მმართველობისას თვითონ საზოგადოების და პიროვნების პრინციპებსა და ძალისხმევაზეა დამოუკიდებული, როგორ გარემოში მოუწევთ მათ ცხოვრება.

ასე რომ, არჩევანი კვლავ ჩვენი გასაკეთებელია.

პიროვნების მსგავსად, ამა თუ იმ ერისა და კულტურების ხვედრსაც მათი არჩევანი განაპირობებს და ამაში ყველა თანასწორი და თანაბარუფლებიანია.

ქართველი ერი, უძველესი ქართული ენა სათავეს პრეისტორიული ხანიდან იღებს.

ის, რომ ჩვენ დღემდე მოვაღწიეთ ჩვენი ცხოვრების წესითა და ტრადიციებით, ჩვენი წინაპრების ღვთისსათონ არჩევანის შედეგია;

მოციქულთა მიერ ნაქადაგები ქრისტიანობის აღიარებამ სხვადასხვა ქართველური ტომი ერთი რწმენით, ერთი ენით, ერთი კულტურით ერთიან ქართველ ერად შეადუღაბა და უნიკალური, თვითმყოფადი და მრავალფეროვანი ქართული ცივილიზაცია შექმნა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ზოგადქრისტიანული კულტურის განვითარებაში;

საზღვარგარეთ ქართველებმა ადრეული საუკუნეებიდანვე განამრავლეს კულტურულ-საგანმანათლებლო კერები. უკვე V საუ-

კუნიდან იერუსალიმის მახლობლად არსებობს პეტრე იბერისა და მისი მასწავლებლის, იოანე ლაზის მიერ შექმნილი სამონასტრო სავანე, რომელიც ლაზთა მონასტრის სახელით არის ცნობილი. გარდა ამისა, ქართველები წმიდა მიწაზე 40-ზე მეტ ტაძარს ფლობდნენ; ჩვენ მონასტრები გვქონდა, აგრეთვე, კონსტანტინოპოლში, ეგვიპტეში, კვიპროსშე, საბერძნეთში, ბულგარეთში..... რაც მაშინდელ მსოფლიო ცივილიზაციასთან აქტიური ურთიერთობის საშუალებას გვაძლევდა და ეროვნული კულტურის ჩამოყალიბებაშიც გვეხმარებოდა.

უნდა ითქვას, რომ წელს ჩვენს ერთ-ერთ უდიდეს სიწმინდეს, – მცხეთის ჭვრის მონასტერს, 1400 წელი უსრულდება და ეს თარიღი იუნესკოს მიერაც აღინიშნება. მისი სრული ანალოგითაა აშენებული მარტვილის VII საუკუნის ეკლესია, რომელიც დღესაც ჭყონდიდელ ეპისკოპოსთა საკათედრო ტაძარია. იგი უმნიშვნელოვანეს სულიერ და პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა მთელი ჩვენი ისტორიის განმავლობაში.

ათასწლეულების მანძილზე ჩვენი ერი მტერთან გამუდმებულ ომებში მხოლოდ ღვთის იმედით იყო, რადგან არც სხვათა მსგავსად გვყავდა სადმე თანამოძმე ან მუდმივი სტრატეგიული მოკავშირე და არც მრავალრიცხოვანი და ეკონომიკურად შეძლებული დიასპორა გვიმაგრებდა ოდესმე ზურგს.

მიუხედავად ამისა, XIX საუკუნემდე სუვერენული სახელმწიფოებრივი მმართველობა და ეკლესიის ავტოკეფალია შევინარჩუნეთ და რუსეთის იმპერიის მიერ 106 წლის მანძილზე უკანონოდ გაუქმებული ეკლესიის დამოუკიდებლობა საერო და სასულიერო პირების ძალისხმევით 90 წლის წინ აღვიდგინეთ, რამაც დიდი სტიმული მისცა ქართველ ერს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

საერთოდ, ქართული სამყარო ძირითადად მართლმადიდე-

ბლურმა სარწმუნოებამ შექმნა და დაიცვა. მართლმადიდებლობა არის ჩვენი ისტორიული არჩევანი. იგია ჩვენი ცნობიერებისა და ცხოვრების წესის საფუძველი და სავსებით ლოგიკურია, რომ დღესაც ჩვენი სახელმწიფოს ატრიბუტიკაში ქრისტიანული სიმბოლიკა დომინირებს: ხუთი ჯვარი მაცხოვრის ხუთ ჭრილობაზე მიუთითებს. ქვეყნის უმაღლესი სამართლებრივი დოკუმენტი – კონსტიტუცია კი მართლმადიდებელ ეკლესიას განსაკუთრებულ იურიდიულ და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ სტატუსს ანიჭებს, რაც დამოუკიდებელი საქართველოს და მისი ხალხის ნების გამოხატულებაა.

„არა გეცრუვნეთ შენ, სიწმინდით მშობელო ჩვენო კათოლიკე (საყოველთაო) ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩვენო, მართლმადიდებლობაო”, – ასეთი იყო დავით აღმაშენებლის საქართველოს სულისკვეთება; სულისკვეთება იმ მეფისა, რომელმაც ღმრთის შემწეობით შეძლო ჩვენი სამშობლო ყველა დროის ქართველისათვის საოცნებო სახელმწიფოდ ექცია, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იმისათვის, რომ დავითის საქართველოში მშვიდობიანად ეცხოვრათ მუსულმანებს, ებრაელებს, სომხებსა და სხვა ეთნიკურ თურელიგიურ უმცირესობებს.

შემწყნარებლობა დღესაც ჩვენი უმთავრესი თვისებაა – ესაა ჩვენი არჩევანი.

სწორედ ჩვენი რაინდული და ტოლერანტული ბუნების გამო იყო, რომ მიუხედავად დაპირისპირებისა და ომებისა, ქართველები ყოველთვის დიდი პატივით სარგებლობდნენ არაბების, სპარსელების, მონღოლების, ოსმალების... პოლიტიკურ წრეებში. იგივე იყო მიზეზი იმისაც, რომ წმიდა მიწაზე მუსულმანთა გაბატონების შემდეგ, XIII-XIV საუკუნეებში, იერუსალიმის მაჰმადიანი მმართველები ქრისტიანთაგან მხოლოდ ქართველებს აძლევდნენ უფლებას, გაშლილი დროშებით, ცხენზე ამხედრებულნი, ბაჟის გადაუხდელად

შესულიყვნენ წმიდა ქალაქში და მაცხოვრის საფლავის კლიტეთა მფლობელნიც ყოფილიყვნენ. ჩვენ ეს პატივი ომით არ მოგვიპოვებია. იგი იყო ქართული დიპლომატის შედეგი, რასაც საეკლესიო ურთიერთობებიც განაპირობებდა.

სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ეკლესია დღესაც ცდილობს შეასრულოს ე.ნ. „სახალხო დიპლომატის” მისია და იყოს მშვიდობის დესპანი იმ რთულ სიტუაციებში, რომელშიც საქართველოს თანამედროვე პირობებში უწევს ყოფნა.

ამით იყო განპირობებული ჩვენი ჩასვლა მოსკოვში. ეს არის მიზები არაბულ ქვეყნებში ჩვენი მომავალი ვიზიტისაც. რელიგიურ ლიდერებთან ღია და გულთბილი შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობაშიც ანალოგიურ დამოკიდებულებას იწვევს და მათში საქართველოსადმი კეთილგანწყობა ჩნდება.

ყველასთვის მიუღებელია, რომ პოლიტიკური დაძაბულობა გადაიზარდოს ხალხებს შორის მტრობაში, განსაკუთრებით კი რელიგიურ დაპირისპირებაში, რადგან იგი პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებთან შედარებით ძნელად გამოსასწორებელია და ჩვენც ვცდილობთ ეს თავიდან ავიცილოთ.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს რომ არ ჩამოვრჩეთ, საჭიროა ინფორმაციის ფლობა და ანალიტიკური აზროვნება, მითუმეტეს, დიდი სახელმწიფოების დაინტერესების სფეროში მყოფი ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა.

ამიტომაც ანალიტიკური აზროვნება საჭიროა ბავშვობიდანვე ისწავლებოდეს. ამ საგნის შემოღება დიდად დაეხმარება ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდებს, ადვილად დაეუფლონ თავიანთ მომავალ სპეციალობებს.

რაკი ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბება ადრეული ასაკიდან იწყება, კარგი იქნება, თუ საბავშვო ბაღებში, ბატონ დიმიტრი

უჩნაძის განწყობის თეორიაზე დაყრდნობით, პატარებს გავუღვივებთ როგორც ერთმანეთის, ისე საერთოდ, ადამიანის თანადგომის სურვილს, პატიების უნარს, უფროსის პატივისცემას, მამულის სიყვარულს. ეს დამოკიდებულება გაჰყვებათ მათ სკოლაშიც და მთელ ცხოვრებაშიც.

სკოლაში აუცილებლად უნდა იყოს ფსიქოლოგი, რომელიც პედაგოგებსა და მშობლებთან ერთად დააკვირდება მოსწავლეს და დაეხმარება ღვთისაგან ბოძებული ნიჭის გამოვლენასა და განვითარებაში.

აღზრდის საქმეში მასწავლებელს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც არ შეიძლება სკოლაში შემთხვევითი ადამიანები მუშაობდნენ. სამწუხაროდ, ამას ჩვენთან სათანადო ყურადღება არ ექცევა, რის გამოც ყველაზე მეტად მომავალი თაობა ზიანდება. მასწავლებელს ბავშვები უნდა უყვარდეს და მშობელივით უნდა მოექცეს მათ. ამასთან, თვითონაც უნდა შეაყვაროს მათ თავისი თავიც და თავისი საგანიც. აუცილებელია, რომ იგი არ შემოიფარგლოს მხოლოდ საგნის სწავლებით და ცხოვრებისთვისაც მოამზადოს ისინი. ამ მიზნით მოსწავლეებთან უნდა ჩაატაროს კლასგარეშე შეხვედრები და საუბრები მათ მომავალზე, იმ პრობლემებზე, რომელნიც შეიძლება ცხოვრებაში შეხვდეთ; ასწავლოს ავისა და კარგის გარჩევა, ასწავლიდეს სწრაფი რეაგირების კულტურას.

მიმაჩნია, რომ ყველაზე მაღალი ხელფასი საშუალო და უმაღლესი სკოლების პედაგოგებს უნდა ჰქონდეთ, რადგან ისინი აყალიბებენ ქვეყნისა და ერის მომავალს და არ არსებობს სხვა, ამაზე მეტად საპასუხისმგებლო პროფესია. პედაგოგის საქმიანობა უნდა იყოს პრესტიჟული და ეს წოდებაც დიდი შრომის ფასად უნდა მიენიჭოს ამა თუ იმ ადამიანს.

თუ ამ პრინციპებით ვიხელმძღვანელებთ, გონიერ, ანალიტი-

კური აზროვნების უნარის მქონე თაობას გავჩრდით, რაც დაეხმარება მას 8ნეობრივად ჭანსაღ პიროვნებებად ჩამოყალიბებაშიც, რადგან ადამიანი, შეგნებულად თუ არ ემსახურება ბოროტებას, ადრე თუ გვიან აუცილებლად გააცნობიერებს, რომ ეს ცხოვრება მხოლოდ გამოცდა და მომზადებაა მარადიულობისათვის და უარს აღარ იტყვის ყველაზე ძვირფასზე – უფლის სიყვარულზე.

როგორი იქნება თქვენი არჩევანი?

ტექნოლოგიური პროცესების განვითარებამ ადამიანის ცნობიერებისა და ცხოვრების წესის განსაზღვრის ყველაზე მძლავრ ბერკეტად მასმედია აქცია; ამიტომაც, აუცილებელია, რომ აღმზრდელობითი ფუნქცია მანაც იტვირთოს.

ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მასმედია ზრუნავს, რომ სახელმწიფო და კერძო არხებით (სპეციალიზებული მაუწყებლობის გარდა) საზოგადოებას მიაწოდოს 8ნეობრივი და, საერთოდ, დადებითი ღირებულებების მქონე ტელეპროდუქცია და ფილმები, რასაც ჩვენთან, სამწუხაროდ, ნაკლები ყურადღება ექცევა.

ამასთან, ჩვენი ტელესივრცე ძირითადად დატვირთულია პოლიტიკური და საინფორმაციო მიმართულებებით. საზოგადოებას კი ასევე სურს უყუროს ისტორიულ, სამეცნიერო, შემეცნებით-კულტურულსა და ახალგაზრდულ გადაცემებს. ეს იყო ჩვენი მიზანი, როდესაც მხარი დავუჭირეთ დამოუკიდებელი ტელემაუწყებლობა „ივერიას“ შექმნას, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდის პატრიონაჟით საცდელი გადაცემებით უკვე გადის ეთერში. იგი უნდა იქცეს ოჯახის ტელევიზიად, რომელიც ყველა თაობისთვის მისაღები იქნება და ყველა ფენის ინტერესებს შეძლებისამებრ დაავმაყოფილებს. ამასთან, მან მოსახლეობაში და, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა თაობაში, სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებას უნდა შეუწყოს ხელი. მისი განვითარება და წარმატება ჩვენი

საზოგადოების თანადგომაზეა დამოვიდებული.

ყოველი ადამიანის სულიერი წინსვლა და წარმატება დიდად განაპირობებს მთელი ქვეყნის აღორძინებასა და კეთილდღეობას. ერთმანეთის დახმარებითა და თანადგომით, გულმოდგინე შრომით მრავალი სასიკეთო საქმის კეთება შეიძლება. თითოეულ ჩვენგანს სხვადასხვა ნიჭი აქვს ბოძებული უფლისაგან და იგი ღვთისა და ქვეყნის სამსახურისათვის უნდა გამოვიყენოთ.

ხარობს დღეს წმიდა ეკლესია და უგალობს მკვდრეთით აღ-დგომილ ჩვენს მაცხოვარს, რომელმაც სიკვდილით სიკვდილი და-თრგუნა და მოგვანიჭა აღდგომის სიხარული.

„აღდგომისა დღე არს, განვბრნყინდებოდეთ დღესასწაულსა ამას და ურთიერთარს შევიტკბობდეთ“ (აღდგომის საგალობელი).

უფალო ძლიერო, სახიერო, სულგრძელო და მრავალმო-წყალეო, რომელსა არა გნებავს სიკვდილი ცოდვილისა, არამედ ყოველთაგან მოელი სინანულსა და კაცთათვის განგიმზადებიეს სასუფეველი ცათა, ისმინე ლოცვისა ჩვენისა: გევედრები მეუფეო, შეუნდე უსჯულოებად ერსა ჩვენსა შეცოდებულსა, რათა მადლითა შენითა შევუდგეთ მცნებათა შენთა აღსრულებასა; განამტკიცე სარწ-მუნოება გულთა შინა ჩვენთა, აღგვავსე სიყვარულითა და იმედითა შენითა;

ჰე, უფალო, განმრავლდა და განძლიერდა განსაცდელი სოფ-ლისა ამის და დაუძლურდა გონება ჩვენი; მოგვხედე და განგვამტკიცე ძალითა შენითა.

ძმანო და დანო ჩვენნო, მკვიდრნო ყოვლადწმიდისა ღვთის-მშობლის მამულისანო, ეძიებდეთ სიმართლეს, შეიყვარეთ უფალი „ყოვლითა გულითა, ყოვლითა სულითა და ყოვლითა გონებითა“, რათა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა თქვენისათა აღასრულოთ ნება მისი.

ძმანო და დანო, აფხაზნო, ოსნო, ჩვენო ხორცინო და სისხლნო! არ გვძლიოს მტრობამ და სიძულვილმა. ჩვენ მუდამ გვაახლოებდა ურთიერთთანადგომა და სიყვარული. ილოცეთ და განძლიერდით. ჩვენი ძლიერება კი ჩვენს ერთობაშია. მწამს, ურთიერთნდობას და პატივისცემას კვლავ მოვიპოვებთ და სხვა ერის წარმომადგენლებთან ერთად ბედნიერნი ვიქნებით მშვიდობიან და განუყოფელ საქართველოში!

„განიძარცუე სამოსელი გლოვისა შენისად და შეიმოსე სამკაული სიხარულისა შენისა, ქალაქო წმიდაო, რამეთუ „აპა ესერა, მწუხარსა განისვენა ტირილმან და ცისკარსა ამას მოიწია სიხარული აღდგომისად ” (მელენტი ეპისკოპოსი, სააღდგომო პომილია).

ქრისტე აღდგა!
ჭეშმარიტად აღდგა!

აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 2007 წ.

საშობაო ეპისტოლე

2008 წ.

ღვთივკურთხეულ ქართველ ერს და ყოველთა
მკვიდრთა საქართველოდასთა

„ქრისტეს შობას ვადიდებთ; ქრისტესა ზეცისასა
მივეგებვოდეთ; ქრისტესა ჩუენ, ქუეყანისანი, აღვა-
მაღლებდეთ, ღმერთსა დიდებულსა და აწ სიხარუ-
ლით ვუღაღადებდეთ, რამეთუ დიდებულ არს“.

 ოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძ-
ღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ყოველნო საერო და-
სნო, მკვიდრნო საქართველოდასა და დროებით ჩვენი ქვეყნის საზღ-
ვრებს გარეთ მცხოვრებნო, ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო!
აღსრულდა საიდუმლო განვითარება – ძე ღვთისა, შობილი

უნინარეს ყოველთა საუკუნეთა, რომელსაც ვერ იტევს ცანი და ქვეყანა, დაიბადა ბაგაში, ბეთლემის გამოქვაბულში!

„დღეს ქრისტე იშვების ბეთლემს ქალწულისაგან უბინოდსა; დღეს დაუსაბამოდ დაიბადების, სიტყუად ხორცთა შეისხამს; ძალნი ცათანი აქებენ სიხარულით და ჩუენ, ქუეყანისანი, თაყუანისვცემთ და მათთანა ვღალადებთ და ვიტყვით: დიდებად მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშვიდობად და კაცთა შორის სათნოებად“ (შობის საცისკრო საგალობელი).

ჰოდ, საოცრება, „ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდშობილი მოსცა მას“ (იოან. 3, 16).

დიდება და მაღლობა შენდა, უფალო!

შენ გვიჩვენე მაგალითი მოთმინებისა და სიმდაბლისა, მაგალითი ბოროტებასა ზედა გამარჯვებისა. მაშ, „გიხაროდეთ, ერნო, განმტკიცდით და ნუგეშინისცემულ-იქმნენით“.

მხსნელი გამოჩნდა ყველასათვის. მისთვის არ არის „არც ელინი, არც იუდეველი, არც წარმართი“. ბეთლემს შობილმა იესომ გააერთიანა სხვადასხვა ერებად დაყოფილი კაცობრიობა.

წმიდა წერილის მიხედვით, ამა თუ იმ ერის წარმოშობა კონკრეტულ პიროვნებას უკავშირდება. ამიტომაც, ესა თუ ის ერი მკვეთრი თავისებურებით გამოირჩევა – აქვს თავისი ხასიათი, ტრადიციები და კულტურა.

უძველესი ერების ერთი ნაწილი აღარ არსებობს, მეორე ნაწილმა კი სათავე დაუდო მონათესავე ხალხებს, რომლებიც დღეს სხვადასხვა სახელმწიფოს სახით არსებობენ, მაგრამ ერთი წარმოშობისანი არიან.

მცირერიცხოვნობის მიუხედავად, ჩვენი ერიც უძველესია და ეს, ჭეშმარიტად, ღვთის წყალობაა.

საერთოდ, ერის სახეს, მის მეობას რამდენიმე ფაქტორი

განაპირობებს: წარმომავლობის გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს რელიგიას. განსხვავებული რელიგია ერთი და იმავე საწყისის მქონე ერს განსხვავებულ კულტურებად აყალიბებს, ზოგჯერ კი ურთიერთ-დაპირისპირებულადაც.

ერის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია ენა. ენასა და ერს შორის, შეიძლება ითქვას, იგივეობის ნიშანია. ჩვენი ენა ისევე, როგორც ჩვენი ხალხი, პრეისტორიულ ხანაში იღებს სათავეს. კუთხ-ური მრავალფეროვნებისა და, ხშირად, პოლიტიკური გა-თიშულობის მიუხედავად, ქართველი ერი საუკუნეთა მანძილზე ერთ, განუყოფელ ორგანიზმად რჩებოდა და ერთ სულიერ სხეულად აღიქმებოდა (გავიხსენოთ ფარნავაზისა და ქუჭის ისტორია). ქრისტიანობამ და საქართველოს ეკლესიამ კი საბოლოოდ ჩა-მოაყალიბა ერთიანი ქართველი ერი ერთი ენით, ერთი კულტურით, ცნობიერებითა და ცხოვრების წესით.

ერს, ისევე როგორც პიროვნებას, აქვს ღირსების გრძნობა. ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანის მიწიერი კეთილდღეობა ღირ-სებაზე უარის თქმის შედეგია, მაგრამ ასეთი ქმედება მთელი ცხოვრების განმავლობაში მძიმე ტვირთად აწვება პიროვნებასაც და ერსაც და იწვევს მის სულიერ დეგრადაციას. საზოგადოება, რომელიც ღირსების განცდას მოკლებულია, განწირულია გადაგვარებისათვის. ამიტომაც არის ეს თვისება ერის არსებობის ერთგვარი გარანტი.

ჩვენ ეს გრძნობა განსაკუთრებით გამოკვეთილად გვქონდა და ამანაც გადაგვარჩინა. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ბრძოლა წავაეთ და მრავალი წელი დამპყრობელთა უღლის ქვეშ ვიყავით, ჩვენი ხალხის დიდ ნაწილს ღირსება არ დაუკარგავს, რაც თავისუფლებისათვის ჩვენს მუდმივ ბრძოლას ასაზრდოებდა. რა თქმა უნდა, მოღალატებიც ყოველთვის იყვნენ, მაგრამ ისინი საზოგადოებისთვის მიუღებლად ცხადდებოდნენ.

სამაგალითო შვილები კი ხშირად საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ ერის ღირსებას და უდიდეს გავლენას ახდენდნენ ქვეყნის განვითარებაზე; გავიხსენოთ თუნდაც ქეთევან წამებული. არა მარტო საქართველოს, შუა საუკუნეების მთელ ქრისტიანულ სამყაროს არ ჰყავს ასეთი დიდი მოწამე.

მის პერიოდში კახეთი თითქმის დაცარიელებული იყო. ნაწილი მოსახლეობისა სპარსელებთან ომს შეეწირა, ნაწილი კი ირანში, ფერეიდანში იძულებით გადაასახლეს; ქართლში მუსულმანი მმართველები ისხდნენ. მათ საამებლად და შაპის „წყალობის ხალათის“ მისაღებად ქართველ თავადაზნაურთა ნაწილი გამუსულ-მანებას და ისპაპანში წასვლას ერთმანეთს ასწრებდა. დასავლეთ საქართველოშიც მძიმე მდგომარეობა იყო, სამთავროებს შორის ურთიერთშუღლი და ადამიანებით ვაჭრობა მძვინვარებდა.

მართალია, ქვეყანა სულიერად დაცემულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ მეფე თეიმურაზ I გაუტეხელობითა და ქეთევან დედოფლის საარაკო გმირობით ქართველებმა ღირსების დიდი ომი მოიგეს.

მიუხედავად სარწმუნოებრივი სხვაობისა, ღირსების გრძნობა ყველა ადამიანს თანაბრად აქვს მიცემული და მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, გამოავლენს თუ არა ამ თვისებას. ამ ნიჭს ყველა ერი და კულტურა მიაგებს პატივს. მონღოლთა ნოინს ღირსების პატივისცემა რომ არ ჰქონოდა, ვერ გამოიხსნიდა ცოტნე დადიანი თანამებრძოლებს წამებით სიკვდილისაგან.

მაღალი ღირსებისა და ვაჟკაცობის მაგალითია სალადინი. სალადინი ეგვიპტის სულთანი იყო, რომელმაც წმიდა მიწიდან განდევნა ჰვაროსნები, მაგრამ ეს ომი იმდენად ღირსეულად წარმართა, რომ თვით ქრისტიანთა შორისაც დიდი პატივისცემა დაიმსახურა.

ერის ღირსებასა და მის სიმტკიცეს ღირსეული ადამიანები

განაპირობებენ; ბეღნიერია ის ქვეყანა, სადაც ასეთი პიროვნებების სიმრავლეა.

საქართველომ ამ მხრივაც საოცარი მაგალითი უჩვენა მსოფლიოს XI საუკუნეში, როცა ჭალალ ედდინმა დაიპურო თბილისი, მაგრამ მისი მოსახლეობა ვერ აიძულა ქრისტიანული სიწმინდეები შეელახათ. 100 000 ქართველმა სიკვდილი ამჟობინა რწმენისა და ღირსების უარყოფას.

მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიას არ ახსოვს ისეთი ფაქტი, რომ ერთ დღეს ამდენი ადამიანი წამებულიყო სარწმუნოების დასაცავად!

დღეს დრო შეიცვალა და მასთან ერთად ბოროტის ბრძოლის მეთოდებიც. დღეს ეროვნული ღირსების შელახვისა და სარწმუნოების შეცვლისთვის ძალადობრივ ფორმებს აღარავინ იყენებს. ჩვენი ტრადიციებისა და ცხოვრების წესის გადაგვარება სხვადასხვა მეთოდით ხორციელდება და ამაში დიდ როლს, სამწუხაროდ, მასმედია ასრულებს.

მასმედიის სახელს მრავალი კარგი საქმეც უკავშირდება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ტელეგადაცემებით და პრესითაც ხდება ცოდვის დემონსტრირება, ლეგალიზება და იმ აზრის დამკვიდრება, თითქოს ეს ადამიანის ჩვეულებრივი თვისებაა. ხდება ავხორცობისა და უღირსების არა მარტო მისაღებ, არამედ სამაგალითო მოვლენად წარმოჩენა; იქმნება უზნეო ცრუ ავტორიტეტები, რომელნიც თავისი ანტიეროვნული და ანტიქრისტიანული ქმედებების გამო წახალისებულნი და დაჰილდოებულნი არიან.

ჩვენთან ხშირად ლაპარაკობენ ამა თუ იმ უფლებებზე, მაგრამ ძალიან წაკლებად – მოვალეობასა და პასუხისმგებლობაზე. ყველას აქვს არა მარტო უფლება, არამედ – პასუხისმგებლობაც; პასუხისმგებლობა უფლის, სამშობლოს, ოჯახის წინაშე, გაჭირვე-

ბული თუ დაცემული მოყვასის წინაშე.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ თუ პირადული ცოდვა (რომელსაც სწავლების სახე არა აქვს) მხოლოდ ამა თუ იმ ინდივიდის პრობლემაა და ღვთის წინაშე მის საბოლოო ხვედრს განსაზღვრავს, საჭაროდ ცოდვის სწავლება და დანერგვა მთელ საზოგადოებას რყვნის და ღუპავს, ღირსების გრძნობას უღახავს და წინსვლის სურვილს უკარგავს. ამიტომაც საზოგადოება ვალდებულია, დაიცვას როგორც თავისი თავი, ისე შთამომავლობა.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ამ მხრივ ხელისუფლებას ეკისრება.

რაც შეეხება ეკლესიას, იგი ყოველ ცოდვის ჩამდენს სინანულისაკენ მოუწოდებს და სხვათაგან მის განკითხვას კრძალავს, ხოლო მოქცეულს – სიყვარულით და სიხარულით იღებს. ცოდვის ცხოვრების წესად დამნერგავს და ასეთი სწავლების საჭაროდ გამავრცელებელს ვი, დაუნდობლად ებრძვის მხილების მახვილით, რათა დაიცვას სამწყსო და ამ ადამიანსაც (ან ადამიანთა ჭგუფს) დაეხმაროს ეშმაკის მსახურებისაგან გათავისუფლებაში.

ასე რომ, დღეს თითოეული ჩვენგანი დგას არჩევანის წინაშე, დატოვოს „ჩვეულებისამებრ მამულისა სვლად“ თუ გაითავისოს თავს მოხვეული ცრუ კულტურა? გაუძლოს ინფორმაციულ ზენოლას, თუ შეინარჩუნოს წინაპართა ღვაწლით დღემდე მოტანილი ღირებულებები?!?

საკუთარი ტრადიციებისა და პრინციპების ერთგულების და, ამავე დროს, განვითარებული სახელმწიფოს შექმნის მაგალითია თუნდაც ქუვეითი და ისრაელი.

მატერიალურ-ტექნიკური პროგრესის პარალელურად ეს სახელმწიფოები მტკიცედ იცავენ თავის მეობას და ღირსეული ადგილი უკავიათ მსოფლიო თანამევობრობაში.

ინებოს ღმერთმა, დღეს მიმდინარე გლობალურ პოლიტიურ-

ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებში ჩვენც ჩვენი თვითმყოფადი სახე შევინარჩუნოთ და საქართველო საქართველოდ დარჩეს.

რა არის სამშობლო, როგორ აღვიძვამთ მას?

ჩვენი სამშობლო არის ჩვენი გენი, ჩვენი ენა, ლვთისა და მო-
ყვასისადმი გამოვლენილი ჩვენი სიყვარული, ჩვენი წარსული, აწმყო
და მომავალი.

საქართველო არის ჩვენი მოგებული თუ წაგებული ბრძოლები,
წინაპართა დადებითი და უარყოფითი თვისებები.

საქართველო არის მტკიცე ოჯახი, ნათესავების თანადგომა
და მათი კავშირი;

საქართველო არის ქვეყანა, სადაც მეგობრისთვის თავს სწი-
რავენ და სადაც მეზობელი ოჯახის წევრად არის მიჩნეული; სადაც
ნათელ-მირონობა და ძმადნაფიცობა სისხლისმიერ ნათესაობაზე
მეტია.

საქართველო ჩვენი უნიკალური ფლორა და ფაუნაა, ჩვენი
მთა და ჩვენი ბარია, ჩვენი უდაბნოა, ჩვენი წყალი და ზღვაა.

საქართველო ურღვევია, როგორც კვართი უფლისა!

თითოეული ჩვენგანი ატარებს მას. საქართველო მე ვარ, იგი
ჩემშია და მე მასში!

თუმცა, მიუხედავად ასეთი დამოკიდებულებისა, ყოველთვის
უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს სამშობლოზე უზენაესი ღირებუ-
ლება – ქვეყნის, მთელი კაცობრიობისა და სამყაროს შემოქმედი –
ყოვლადწმინდა სამება.

დიახ, როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმა გვასწავლის, რომ
უპირველესი მცნება არის:

„გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით და
მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით და მთელი შენი ძალით“
(მარკ. 12, 30-31).

ეს ნიშნავს, გვიყვარდეს ღმერთი მთელი შესაძლებლობით,

მთელი არსებით ანუ მასზე წინ არავინ და არაფერი არასდროს არ უნდა დავაყენოთ.

„ვისაც მამა ან დედა ჩემზე მეტად უყვარს, არ არის ჩემი ღირსი; და ვისაც ძე ან ასული ჩემზე მეტად უყვარს, არ არის ჩემი ღირსი“ (მათ. 10, 37), – ბრძანებს მაცხოვარი.

რატომ არის ასეთი მკაცრი მოთხოვნა?

იმიტომ, რომ თუ ღვთისადმი ჩვენს სიყვარულს სხვა ვინმეს ან რაიმეს სიყვარული ჩაენაცვლა, ისეთივე შეცდომა მოგვივა, როგორიც ადამმა და ევამ დაუშვეს სამოთხეში, ანუ ჩვენ ჩვენი ნებით განვაყენებთ თავს შემოქმედისაგან და სულიერად დავიღუპებით, რადგან მის გარეშე არაფრის ქმნა არ ძალგვიძს. იგია ვენახი, ხოლო ჩვენ რტონი ვართ (იოან. 15, 5).

ღმერთი თვითარსია. იგია სიცოცხლის, სიყვარულისა და სხვა საერთოდ ნებისმიერი სიკეთის სათავე; ყველა სხვა ქმნილება, მათ შორის, ანგელოზები და ადამიანებიც არ არიან თვითარსნი. ისინი მარადიული სიცოცხლისათვის აუცილებლად საჭიროებენ შემოქმედთან მტკიცე კავშირს, რაც მხოლოდ სიყვარულით შეიძლება განხორციელდეს, თუ როგორ უნდა მოხდეს ეს, მშვენივრად განმარტავს იოანე მახარებელი: რადგან – „ღმერთი სიყვარულია, და სიყვარულის მკვიდრი ღმერთში მკვიდრობს, ხოლო ღმერთი – მასში“ (1 იოან. 4, 16), „ვისაც მე ვუყვარვარ, – ამბობს მაცხოვარი, – დაიცავს ჩემს სიტყვას, და მამა ჩემი შეიყვარებს მას, და მივალთ და მასთან დავივანებთ“ (იოან. 14, 23), ხოლო, ვინაიდან „ღმერთი არავის არასოდეს უხილავს, თუ ერთმანეთი გვიყვარს, ღმერთი ჩვენში მკვიდრობს“ (1 იოან. 4, 12).

დაცემულმა ანგელოზმა და მისმა მიმყოლმა ძალებმა თავისი ამპარტავნებით ჭეშმარიტი სიყვარული სრულად დაკარგეს, რის შედეგადაც ეს გრძნობა ეგოისტურ ვნებად გადაექცათ. სწორედ

ამაშია მათი, და საერთოდ, უღმერთო და ცოდვილი ადამიანების ტრაგედია;

თუ ჭეშმარიტი სიყვარული გაცემას, სხვისთვის მსახურებას და თავგანწირვას გულისხმობს, ეგოისტური სიყვარული საკუთარი მოთხოვნილებებისა და სურვილების დაკმაყოფილებისკენ მიიღოვის, რაც სხვადასხვა ცოდვის მიზეზი ხდება. ეს კი თავისთავად იწვევს ღვთაებრივი სიყვარულის დაშრეტას, სიცოცხლის წყაროსთან კავშირის გაწყვეტას და თვითგანადგურებას.

ჭეშმარიტი სიყვარულისკენ სწრაფვაც და ეგოისტურ ვნებებში დანთქმაც ამქვეყნადვე იწყება. პირველის ბოლო ღმერთთან ერთობაა, მეორისა – ეშმაკთან თანაბიარება; სამწუხაროდ, საზოგადოების დიდი ნაწილი ამას ვერ აცნობიერებს.

საერთოდ, ადამიანი ნეტარებისთვის არის შექმნილი და მისკენ ლტოლვა ჩვენს არსებაშია შთანერგილი. მაგრამ ცოდვით დამძიმებულ პიროვნებას ნეტარებაზეც დამახინჯებული წარმოდგენა აქვს და ცდილობს, ეს მოთხოვნილება მიწიერი საცდურით – სიმდიდრით, პატივით, თანამდებობით, ნარკოტიკებით, სიმთვრალით, მრუშობით და სხვა მრავალი ცოდვით დაიკმაყოფილოს.

თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ამ ყველაფერს წილი არა აქვს ჭეშმარიტ სიყვარულთან; ისინი მხოლოდ დროებით ქმნიან ილუზიურ სამყაროს, რომელიც შემდეგ ქრება და სანაცვლოდ რჩება დაუკმაყოფილებლობის დიდი განცდა, რაც შეიძლება სა-სონარკვეთილებად იქცეს.

სწორედ ეს არის სულის ჭოკოხეთური მდგომარეობა; და თუ ადამიანმა ცოდვითი მიდრევილებები არ გამოასწორა, იმქვეყნად მის დახმარებას უფალიც ვერ შეძლებს, რადგან ასეთ კაცს ღმერთან და ღვთაებრივთან ურთიერთობა აღარ ანიჭებს ნეტარებას და სამოთხეში რომც მოხვდეს, კიდევ უფრო დაიტანჯება.

მაგალითისთვის ვიტყვით, რომ თამბაქოს ან ნარკოტიკების მუდმივად მომხმარებელს, საუკეთესო გარემოშიც კი მათ გარეშე ყოფნას ამ სანამლავის ქონა და თუნდაც ყველაზე მძიმე პირობებში ცხოვრება ურჩევნია. მაში, განვერიდოთ ცოდვას და ეშმაკის საცდურთ. პავლე მოციქული გვარიგებს:

„ნუთუ არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღმრთის სასუფეველს. ნუ შეცდებით: ვერც მეძავნი, ვერც კერპთმსახურნი, ვერც მემრუშენი, ვერც ჩუკენი, ვერც მამათმავალნი, ვერც მპარავნი, ვერც ანგარნი, ვერც მემთვრალენი, ვერც მაგინებელნი, ვერც მტაცებელნი ვერ დაიმკვიდრებენ ღმრთის სასუფეველს“ (1 კორ.6, 9-10).

თუმცა იესო ქრისტე ყველასადმი მაინც სიყვარულით არის გამსჭვალული. „ნებსით არა მნებავს სიკვდილი ცოდვილისა, არამედ მოქცევა და ცხონება მისი“, – ბრძანებს იგი.

უფალი ცდილობს განსაცდელით მაინც აუხილოს თვალი ადამიანს. ამიტომაც ის პრობლემები, რაც თითოეულ ჩვენგანს ცხოვრების გზაზე ხვდება, მხოლოდ ღვთის სიყვარულიდან მომდინარეობს და მიზნად ისახავს ჩვენს გამოსწორებას, ჩვენს წინსვლას. „ვინც მიყვარს, მას ვამხილებ და ვწვრთნი. მაში, ეშურებოდე და შეინანე“, – ამბობს უფალი (გამოცხ. 3, 19).

ესეც უნდა ვიცოდეთ: ყველაზე დიდი განსაცდელიც კი, რომელშიც შეიძლება ნებისმიერი პიროვნება ან ქვეყანა აღმოჩნდეს, უმცირესია იმასთან შედარებით, რასაც ის, თავისი სულიერი მდგომარეობიდან გამომდინარე, იმსახურებს.

ამიტომ ქრისტიანი თუნდაც პატიმარი იყოს, ან დევნილი, ან მძიმედ სწეული, თუნდაც შვილმკვდარი მშობელი, ყოველდღიურ ლოცვებში ამბობს: „გმადლობ შენ, წმიდაო სამებაო, რამეთუ მრავლისა სახიერებისა და სულგრძელებისა შენისათვის, არა თანაწარმწყმიდე უსჯულოებათა შინა ჩემთა, არამედ ჩვეულებისამებრ კაცთმოყვარე მექმენ მე...“

მსურს, ციხესთან დაკავშირებულ პრობლემებს შევეხო ზოგადად. პატიმრობა ადამიანისთვის ერთ-ერთი მძიმე სასჯელია. სამწუხაროდ, საქართველოში ასეთ მდგომარეობაში მრავალნი იმყოფებიან, რაც ისედაც მცირერიცხოვან ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორებაზე, რა თქმა უნდა, უარყოფით გავლენას ახდენს. ამას ემატება ისიც, რომ საპყრობილები არსებულ მძიმე პირობებს ქვეყნის სოციალური გაჭირვება კიდევ უფრო აუტანელს ხდის. ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში ციხე პატიმრის გამოსწორებას ისახავს მიზნად. ჩვენთან კი, ჰერკერობით, ეს ვერ ხორციელდება. ვითარებას ისიც ართულებს, რომ შედარებით მსუბუქი და უკიდურესად მძიმე დანაშაულის მქონე ადამიანები ერთად იხდიან სასჯელს.

ჩვენ ადრეც ვწერდით და კვლავაც ვიმეორებთ, რომ სასურველია, მცირე დანაშაულის მქონე პირების განცალკევება და შედარებით მსუბუქ რეჟიმში ან მიმაგრებაში გადაყვანა, რათა მათ დასაქმების საშუალებაც ჰქონდეთ და ოჭახთან კავშირიც შეინარჩუნონ.

ეს ალბათ მომავლის საქმეა; ამჟამად კი მინდა მივმართო ნებისმიერ პატიმარს, ნებისმიერ გაჭირვებულს, საერთოდ ყველა ადამიანს: თქვენ გყავთ ყოვლისშემძლე, ყოვლისმომცველი, სიკეთის, სიხარულის, მშვიდობის, სიბრძნის, ბედნიერების მომნიჭებელი უერთგულესი თანამდგომი – შემოქმედი ჩვენი და ღმერთი ჩვენი, რომელიც არასდროს არ მიგატოვებთ.

ჩვენ მხოლოდ უნდა ვისწავლოთ მასთან ურთიერთობა. უნდა ვისწავლოთ მისი ნამდვილი სიყვარული, რომ ჩვენსა და მას შორის დამყარდეს კავშირი და მაშინ ვერავითარი განსაცდელი ვერ მოგვერევა.

მაშინ, ჩავიხედოთ ჩვენს გულში, გადავხედოთ ჩვენს განვლილ გზას და გავცეთ პასუხი კითხვას: გვაქვს კი ჭეშმარიტი ერთგულება ღვთისა?! გვაქვს კი განცდა იმისა, რომ არავისჩე და არაფერზე არ

გავცვლით მის სიყვარულს, და შევძლებთ, პავლე მოციქულის სი-
ტყვების გამეორებას:

„ვერც სიკვდილი, ვერც სიცოცხლე, ვერც ანგელოზნი, ვერც
მთავრობანი, ვერც ძალნი, ვერც აწმყო, ვერც მომავალი, ვერც სი-
მაღლე, ვერც სიღრმე, ვერც რაიმე სხვა ქმნილება ვერ განგვაშორებს
სიყვარულს ღმრთისას“ (რომ.8, 38-39).

თუ ასეთი სარწმუნოება გვაქვს, ნეტარება ჩვენ!

და თუ არა, ვეცადოთ, დღეიდანვე დავიწყოთ ფიქრი და
ზრუნვა გამოსწორებისათვის და უფალთან დარღვეული კავშირის
აღდგენისათვის. მაშ, კიდევ ერთხელ გავიმეოროთ და გავითავისოთ
დარიგება, რომელიც შემოქმედმა პირველად მოსე წინასწარმეტყვე-
ლის პირით განუცხადა თავის ერს, და ძალისამებრ ჩვენისა, ვეცადოთ
აღვასრულოთ იგი:

„ისმინე ისრაელო, და ეცადე შეასრულო, რომ კარგად იყო
და დიდად იმრავლო ქვეყანაში...

გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი მთელი შენი გულითა და
სულით, მთელი შენი შეძლებით. გულში გქონდეს ეს სიტყვები...,
ჩააგონებდე შენს შვილებს და უთხრობდე სახლში ჭდომისას, გზაზე
სიარულისას, დაწოლისას და ადგომისას. შეიბი ნიშნად ხელზე და
ტვიფრად შუბლზე. წააწერე შენი სახლის წირთხლებს და კარებს.
უფლის, შენი ღმერთის გეშინოდეს და მას ემსახურებოდე“ (რჭლ. 6,
3-9,13).

წინასწარმეტყველთა და წმინდანთა ცხოვრება თვალსაჩინო
დადასტურებაა ღვთის თავდადებული სიყვარულისა. გავიხსენოთ
თუნდაც მამამთავარი აბრაამი, რომელიც სწორედ იმიტომ იქნა
გამორჩეული, რომ მან მთელი გულით შეიყვარა შემოქმედი და
არაერთხელ დაადასტურა ეს თავისი ცხოვრებით: უფალზე მინდო-
ბილმა დატოვა სამშობლო, ნათესავები და გაემართა ღვთისგან მი-
თითებულ სრულიად უცხო ქვეყანაში, სადაც მრავალი განსაცდელი

გამოიარა. იგი წლების განმავლობაში უდრტვინველად, რწმენითა და სასოებით ითმენდა უშვილობასაც, რაც ებრაელთა შორის ღვ-თის სასკელად ითვლებოდა, ხოლო როცა მას მოხუცებულობაში აღთქმული ძე შეეძინა, ღვთის მოთხოვნის შესაბამისად, უყოფმანოდ მიიყვანა იგი უფლის სამსხვერპლოდ. ღმერთმა მისი მორჩილება და რწმენა შეიწირა, ისაავს სიცოცხლე შეუნარჩუნა და, აბრაამის მადლით, ებრაელთა ერთ-ერთ მამათმთავრად ჰყო იგი.

ღვთისადმი ასეთი ერთგულებისა და სიყვარულისათვის კი თავად აბრაამი უფალმა ხალხების მამად გამოირჩია და დიდად განამრავლა.

როცა ისრაელიანთა ერი აბრაამისა და სხვა წინასწარმე-ტყველთა მიერ ნაქადაგები ღვთის გზით მიდიოდა, ყოველთვის იმარტვებდა და ბედნიერი იყო, ხოლო როდესაც შემოქმედს ეურჩე-ბოდა, სხვადასხვა განსაცდელში ვარდებოდა.

ღმერთი კვლავაც ასე წვრთნის თავის სამწყსოს – ახალ ის-რაელს, ქრისტიანებს, როგორც წმიდა მამები უწოდებენ, და ეს ჩვენს ისტორიაშიც ნათლად გამოვლინდა.

მაშ, გულით შევიყვაროთ უფალი და დავიცვათ მისი მცნებები, რათა ღმერთმაც შეგვიყვაროს და „რჩეულ ერად“ გამოგვაჩინოს. „მოახლოვდა ძილისაგან ჩვენი გამოფხიზლების შამი... ახლა უფრო ახლოა ჩვენთან ხსნა... განვიშოროთ ბნელის საქმენი და შევიმოსოთ ნათლის საჭურვლით“ (რომ.13, 11-12).

აღივსენით სასოებით, არ შეუშინდეთ სირთულეებსა და გან-საცდელს, ბოროტება დათრგუნულია, მას სძლია ბეთლემში შობილმა მაცხოვარმა.

ღმერთს ებარებოდეთ!

იხარეთ ორსავე სოფელსა შინა.

შობა ქრისტესი

თბილისი, 2008 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

2008 წ.

„აღორძინდით და გამრავლდით და აღავსეთ
ქუეყანად“! (დაბ. 9,1)

„მარადის ვაკურთხევდეთ ქრისტესა და ვუგალობდეთ
აღდგომასა მისსა“ (აღდგომის საგალობელი)

 ოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დი-
 აკონნო, ბერ-მონაზონნო, ყოველნო ერთგულნო და თავდადე-
ბულნო შვილნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა,
საქართველოს მკვიდრნო და დროებით სამშობლოს გარეთ მცხო-
ვრებნო თანამემამულენო

ქრისტე აღდგა!

შეიმუსრა ჭოჭოხეთი და განქარდა სიკვდილი!

მაშ, შევიდეთ სახლსა მას სამეუფოსა, განვიცადოთ ზეიმი
ზეიმთა და დღესასწაული დღესასწაულთა – პასექი უფლისა!

„ესე არს დღე, რომელ ქმნა უფალმან,

ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ ამას შინა“.

ამიერიდან უცხონი აღარა ვართ „არამედ წმიდათა თანამო-
ქალაქენი და ღმერთის სახლეულნი; მოციქულთა და წინასწარმე-
ტყველთა საფუძველზე დაფუძნებულნი, რომლის ქვაკუთხედი არის
თავად იესო ქრისტე“ (ეფეს. 1, 19-20), ეკლესია კი სხეულია მისი.

ამ ეკლესიის შესახებ უფალი ჩვენი ბრძანებს, რომ ბჯენი ჭო-
ჭოხეთისანი ვერ მოერევიან მას. ეკლესია, უპირველეს ყოვლისა,
ჭეშმარიტი სარწმუნოების მქადაგებლობას გულისხმობს; ამიტომაც
ამბობს წმიდა მაქსიმე აღმსარებელი, რომ მაცხოვარმა ეკლესია
უნდა „მართლადსარებასა სახელისა მისისასა“. მის წინააღმდეგ
ბრძოლა კი ნიშნავს ამ სწავლების წინააღმდეგ მოქმედებას, მის
შერყვნას ან შეცვლას, რასაც ეშმაკი სხვადასხვა ცრუ ფსევდოქრის-
ტიანული მოძღვრების გავრცელებით თავიდანვე ცდილობდა და
ცდილობს დღესაც.

ერთ-ერთი ასეთი მიმართულება იყო განკაცებულ ღმერთთან
დაკავშირებით მცდარი აზრის დანერგვა, რაც უმთავრესად ორი
სახით გამოვლინდა:

ერთის მიხედვით, მაცხოვარი მხოლოდ ადამიანი არის, მეო-
რის მიხედვით კი – მხოლოდ ღმერთი. ჭეშმარიტი სწავლების შესა-
ბამისად კი ქრისტე ერთდროულადაა სრული ღმერთიც და სრული
კაციც.

საერთოდ, მართლმადიდებლობა ყოველგვარი უკიდურესო-
ბებისგან გამიჯნული სამეუფელ გზაა. აქედან გამომდინარე, მისთვის
დამახასიათებელია თავგანწირვა, მაგრამ მიუღებელია ფანატიზმი,

დამახასიათებელია შემწყნარებლობა, მაგრამ მიუღებელია ფსევ-
დოლიბერალიზმი (ყველაფრის დაშვებულობა).

ორბუნებოვნების წინააღმდეგ ბრძოლა იყო არა მხოლოდ
თეოლოგიური საფუძვლების დარღვევის, არამედ სრულიად განსხ-
ვავებული ცხოვრების წესის დანერგვის მცდელობა.

მაცხოვრის ორბუნებოვნება ნიშნავს ღმერთის მიერ ადამიანის
აღიარებას თანაშემოქმედად და ამასთან, ჩვენი კაცობრივი ბუნების
განმსჭვალვას უზენაესი საღვთო ღირსებით. თუმცა ამას უნდა მი-
ვაღწიოთ, რისთვისაც გვმართებს ძლიერი ნებელობის გამოვლენა
და თავდაუზოგავი ღვანლი; ეს კი საკუთარ თავთან და ბოროტის
მიერ დაგებულ ათასგვარ საცდურთან გამუდმებულ ბრძოლას გუ-
ლისხმობს; ამიტომაც ამქვეყნიურ ეკლესიას მებრძოლი ეკლესია
ენოდება, ზეციურს კი – მოზეიმე.

მაგრამ რადგან ეს სოფელი ბოროტსა ზედა დგას, იგი სხვა
დინებით მიდის, რომელსაც სინდისის ქეჭნის გარეშე უშფოთველად
მიუყვება ადამიანთა დიდი ნაწილი ისე, რომ ვერც აცნობიერებენ,
რისთვის მოვიდნენ ამქვეყნად.

მაცხოვარი გვაფრთხილებს „სასუფეველი ცათად იიძულების;
და რომელი აიძულებდენ, მათ მიიტაცონ იგი“ (მათ. 11,12), თუმცა
იქვე გვანუგეშებს: „ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა“
(იოან. 16,33).

ღვთის მიერ მონიჭებული თავისუფალი ნებით ადამიანი
არჩევანს თავად აკეთებს და სვლაც სასუფეველისკენ ან ჭოჭოხე-
თისაკენ ყველასთვის აქედან, ამ წუთისოფლიდან იწყება. იმას, თუ
მარადიულობაში სად დავიმკვიდრებთ ადგილს ჩვენი ამქვეყნიური
ცხოვრების წესი განსაზღვრავს, მაგრამ პიროვნებას შეუძლია, სიც-
ოცხლის ბოლოსაც კი რადიკალურად შეცვალოს თავისი მდგომა-
რეობა.

გავიხსენოთ იესო ქრისტესთან ერთად ჰვარცმული, მონანული ავაზაკი, რომელმაც პირველმა დაიმკვიდრა ზეციური სასუფეველი; გავიხსენოთ იუდა ისკარიოტელი, რომელიც მოციქულის პატივში იყო ამაღლებული და სხვა მოწაფეთა მსგავსად სასწაულებსაც ახდენდა, მაგრამ საკუთარი არჩევანით ჭოჭოხეთის მკვიდრი გახდა.

ამ ორი ადამიანის ყოფამ ერთ ეპოქასა და სივრცეში განვ-ლო. ერთი მათგანი მაცხოვრის უახლოესი მოწაფეთაგანი იყო და ღვთის მადლს ეზიარებოდა, მეორე კი ყაჩაღობდა და უღმერთოდ ცხოვრობდა.

მათი აღსასრული ურთიერთსაწინააღმდეგო აღმოჩნდა!

თუმცა ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ ასეთი მაგალითები ერთეული, გამონაკლისი შემთხვევებია; ისინი, ერთი მხრივ, ნუგეშის მიმცემია ცოდვით დამძიმებული ადამიანებისათვის, ხოლო მეორე მხრივ, გაფრთხილებაა ღვთისსათნოდ მცხოვრებთათვის.

ადამიანი ხედავს მხოლოდ სახეს კაცისას, ხოლო ღმერთი – გულს და სწორედ გულის სიმართლითა და სიწრფოებით განსჯის ყველას. შეიძლება კაცი, ერთი შეხედვით, კეთილ საქმეთ იქმოდეს, მაგრამ ამას ანგარება ედოს საფუძვლად, ხდება ისეც, რომ ზოგი-ერთის მიუღებელი ან გაუგებარი ქმედება სინამდვილეში უანგარო თავდადებიდან მომდინარეობს. ამიტომაც ჩვენს შეფასებებში შეიძლება შევცდეთ.

ყველას პირუთვნელი და მიუკერძოებელი მსაჭული კი ყოვლადწმინდა სამებაა. ამიტომაც მთავარია, ადამიანი თავის სინდისთან და ღმერთთან იყოს მართალი და მაშინ უფლის თანადგომას ყოველთვის იგრძნობს. „იღვაწე სიმართლისათვის და ღმერთი იბრძოლებს შენთვის“, – გვასწავლის ბიბლია.

ის, ვინც სასუფევლისკენ მიმავალ გზას ადგას, ამ პრინციპით ცხოვრობს: „ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, აბა, მე დღეს ვის რა ვარგე“? (წმიდა ილია მართალი).

ადამიანის აქტიურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, დემოკრატიული სისტემის პირობებში; იგი უფლებას იძლევა, საზოგადოებამ თავისი შეხედულებისამებრ მოაწყოს საკუთარი გარემო: სასწავლებელი, სამსახური, უბანი და სხვა, აირჩიოს ხელი-სუფლება და, აქედან გამომდინარე, თავისი ცხოვრების წესიც.

ხალხს შეუძლია შეცვალოს მისთვის მიუღებელი მდგომარეობა, რისი მაგალითებიც უკვე გვაქვს; ამის შედეგია თუნდაც ის, რომ ე.წ. „reality show“-მ, მიუხედავად დიდი რეკლამისა და ფინანსური მხარდაჭერისა, მოსახლეობაში აღიარება საბოლოოდ მაინც ვერ ჰქოვა. იგივე შეიძლება ითქვას სექსუალურ უმცირესობათა მცდელობაზე, მოეწყოთ მსვლელობა თბილისში. ფეხი ვერც დასმენის გზით სასჯელისაგან გათავისუფლების მეთოდმა მოიკიდა...

ჩვენმა საზოგადოებამ მკაფიოდ გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ამგვარი ცხოვრების წესის მიმართ.

ასე რომ, თუ მოვინდომებთ, ღვთის შეწევნით, სასიკეთო შედეგის მიღწვევა ყოველთვის შეიძლება.

ქრისტიანობა სხვისთვის ცხოვრებაა, საკუთარ მოთხოვნილებებზე, ზოგჯერ ელემენტარულზეც კი, უარის თქმაა. ჩვენს ქვეყანას კი არა მარტო ამგვარად მოქცევა, არამედ ყველა დროში სჭირდებოდა თავგანწირვაც. ამიტომაც გვყავს ამდენი წმიდანი. სწორედ მათი წყალობით გადავრჩით. ახლანდელი ჩვენი ყოფა კი თითოეული ოჯახისგან, უპირველეს ყოვლისა, ითხოვს იმ ღვაწლს, რასაც მრავალშვილიანობით ქვეყნის მსახურება ჰქვია.

დღევანდელ პირობებში ამის განხორციელება რომ ძალიან ძნელია, ვიცით, მაგრამ იგი ერის გადარჩენის გარანტიაა და საქართველოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი.

სწორედ დემოგრაფიული ვითარების გამოსწორების მიზნით შევთავაზეთ ჩვენს მოსახლეობას, რომ პატრიარქი ყოფილიყო ყოველი ახლად დაბადებული მესამე და შემდეგი შვილის ნათლია.

უახლოეს პერიოდში კი ეკლესიისაგან განსაკუთრებით და-ილოცება და ერისათვის თავდადებულის წოდება მიენიჭება იმ ოჯა-ხებს, რომელთაც ოთხი და მეტი შვილი ჰყავთ.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენს ისტორიაში სამშობლოსათვის ერთგული მსახურების მრავალი მაგალითია, მაგრამ, ამავე დროს, იყვნენ ხალხისთვის უცნობი გმირებიც, რომელნიც სწორედ დაფარ-ული ღვაწლის გამო არიან ღვთის წინაშე განსაკუთრებით დაფარ-ბულნი და განდიდებულნი; ასეთივე ღვაწლის მტვირთველი იქნება დღეს ყოველი მრავალშვილიანი ოჯახიც.

მაგრამ საკითხის გადასაწყვეტად მარტო ერის რიცხვობრივი გამრავლება არ არის საკმარისი. საჭიროა მომავალი თაობის სწო-რად აღზრდა და მათთვის სათანადო განათლების მიცემა.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მდგომარეობა არ გა-მოსწორდება, თუ არ მოგვარდება მასწავლებლების სოციალური პრობლემები.

ჩვენ ადრეც არაერთხელ ვთქვით და ახლაც ვიმეორებთ, რომ აუცილებელია, პედაგოგის პროფესია გახდეს პრესტიული და მაღალანაზღაურებადი, შეიცვალოს სასწავლო პროგრამები, ქრისტიანული სწავლება შეტანილ იქნას სკოლაში და ეკლესიამაც, შესაძლებლობისამებრ, აქტიური მონაწილეობა მიიღოს მოსწავ-ლების სულიერ-ზნეობრივი აღზრდის საქმეში. მით უმეტეს, რომ ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ეს სფერო ამ ქვეყნის ტრადიციულ რელიგიას აქვს გადაცემული და ამისთვის კაპელანის ინსტიტუტიც არსებობს (კაპელანი დასავლეთში გავრცელებული ტერმინია და ეწოდება სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურაში, კერძოდ, ჭარში, ციხეში, სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებებში მოღვაწე სასუ-ლიერო პირს).

მოგეხსენებათ, ბავშვებისათვის შესაბამისი განათლების მი-

ცემა განსაკუთრებით უჭირთ მრავალშვილიან ოჯახებს. მათთვის და ჩემი ნათლულებისთვის ჩვენ შევეცდებით ამ პრობლემის ნაწილობრივ მოგვარებას უფასო ბაგა-ბაღების, სკოლების, სხვადასხვა სასწავლო ცენტრისა და სპორტული წრის გახსნით. ბუნებრივია, ამისთვის აუცილებელია, გვქონდეს შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი შენობები.

და რადგან ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა ამის საშუალებას არ იძლევა, თანადგომის გარეშე მიზანს ვერ მივაღწევთ. ვიმედოვნებთ, ხელისუფლება გაითვალისწინებს საქმის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და სათანადოდ დაგვეხმარება, რაც ქვეყნის წინსვლისათვის გადადგმული სერიოზული ნაბიჭი იქნება.

მივმართავთ ბიზნესმენებსაც, მოსახლეობის შეძლებულ ფენას, საერთოდ ყველას, ვისაც ეროვნული ინტერესები ამოძრავებს, რათა ისინიც ამოგვიდგნენ მხარში.

ჩვენ დიდი მადლობა გვსურს გადავუხადოთ იმ ქველმოქმედთ, რომელთა შრომით და სახსრებით დღეს არაერთი ტაძარი და მონასტერი აშენდა საქართველოში. ეს, მართლაც, მადლმოსილი საქმეა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ზემოთ აღნიშნული სოციალური პროექტების დაფინანსება. ვიმედოვნებთ, მათი მონდომება ამ მიმართულებითაც შედევიანი იქნება, რითაც ჩვენს სამშობლოს ყველანი დიდ სამსახურს გავუწევთ.

საერთოდ, ღვთისმსახურების შემდეგ სოციალურ სავითხებზე გრუნვა ეკლესიისათვის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. მორწმუნე ბიზნესმენთ კი შევახსენებთ, რომ თვით ღვთისმოსაობა და პირადი რელიგიურ-ზნეობრივი ცხოვრება არაფერს ნიშნავს, თუ ადამიანს არა აქვს მოყვასის სიყვარული, რაც, უპირველეს ყოვლისა, მისადმი თანადგომაში უნდა გამოვლინდეს.

„ურთიერთარს სიმძიმე იტვრთეთ და ესრეთ აღასრულეთ შეს-

ლი იგი ქრისტესი“, – ბრძანებს წმიდა პავლე მოციქული (გალ. 6, 2).

წმიდა ილია მართალმა, რომელმაც XIX საუკუნის საქართველოს ჭვარი იტვირთა, თავისი ეპოქის სატკივრის წამალი სამ სიტყვაში გამოთქვა: „მამული, ენა, სარწმუნოება“. ამ დევიზით მან ერს უმთავრესი ფასეულობანი შეახსენა და თავისი მოღვაწეობით ჩვენი გადაგვარების მოსურნეთ გზა გადაუკეტა.

ილიასეულ ამ უმნიშვნელოვანეს ღირებულებებს ჩვენს დროში, ვთიქრობ, ადამიანის პრობლემაც დაემატა.

ეს იმან განაპირობა, რომ დღეს პიროვნებამ, შეიძლება ითქვას, ფუნქცია და დანიშნულება დაკარგა, რაც, ერთი მხრივ, მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა, მეორე მხრივ კი, კაცობრიობის სულიერმა დეგრადირებამ გამოიწვია. მას ფაქტობრივ წაერთვა ყველაზე მთავარი რამ, თავისუფლება. ადამიანი თავისი გამოგონებების მსხვერპლი გახდა და იმდენად შეიზღუდა, რომ პირადი ცხოვრებაც კი კონტროლირებადი გაუხდა.

ასეთი რამ არც ერთ ეპოქაში არ მომხდარა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგია, მაგალითად, პლასტიკური ქირურგიის განვითარება, რამაც შესაძლებელი გახადა ბევრი დაავადების განკურნება და მძიმე ტრავმების შედეგების თითქმის სრულად გამოსწორება. ეს მისასალმებელია, თუმცა ამ დარგში მიღწევებმა ასევე შესაძლებელი გახადა სქესის შეცვლაც, რაც ღვთის განგებულებაში ადამიანის ჩარევაა და ამდენად სრულიად დაუშვებელია.

იგივე შეიძლება ითქვას გენურ ინჟინერიასთან დაკავშირებით. საოცარი შედეგი მივიღეთ დაავადებათა პრევენციასა და დიაგნოსტიკაში, მაგრამ გენების მანიპულირებით და გენმოდიფიცირებული პროცესების შექმნით მეტად საშიში ნაბიჭი გადაიდგა.

ამ მიმართულების მომხრეები ხშირად ამტკიცებენ, რომ ისინი

იმავე საქმიანობას ეწევიან, რასაც, მაგალითად, სელექციონერები, რომელთაც უკეთესი ჭიშები გამოჰყავთ.

მართალია, გენების გადაცემა სელექციის დროსაც ხდება, მაგრამ მხოლოდ ერთი სახეობის ან მონათესავე სახეობის ინდივიდებს შორის. სელექციის დროს ბრინჯი შეიძლება შექვარდეს მხოლოდ ბრინჯის სხვა ჭიშებთან, მაგრამ არა, მაგალითად, ვაშლთან.

გენური ინჟინერიის შემთხვევაში კი ეს ბარიერი მოხსნილია; გენი გადააქვთ მცენარიდან მცენარეში, მცენარიდან ცხოველში, მცენარიდან, ცხოველიდან ან ბაქტერიიდან – ადამიანში და ა.შ.

ამ დამახინჯებულ გენებს კი აქვთ გამრავლების უნარი, რაც ღვთის მიერ ათასწლეულების განმავლობაში დაწესებული სახეობათ-შორისი საზღვრებისა და წესრიგის დარღვევას იწვევს, ეს კი გამოუსწორებელ შედეგს მოუტანს გარემოს და ჩვენს სულიერ სამყაროსაც დააზიანებს.

გამოსავალი ერთია. მიუხედავად ასეთი პროდუქტების სიიაფისა და ჩვენი გაჭირვებისა, უარი უნდა ვთქვათ მათ გამოყენებაზე. ამასთან, ვიმედოვნებთ, ხელისუფლება ამ საკითხს მეტ ყურადღებას მიაქცევს და გაატარებს ქმედით ღონისძიებებს, რათა ჩვენი სოფლის მეურნეობა ნატურალური პროდუქტების წარმოების გზით განვითარდეს, რაც შეიძლება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მძლავრ ბერკეტადაც იქცეს, რადგან მსოფლიოში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე მოთხოვნილება სულ უფრო და უფრო იზრდება.

თუ ეს განხორციელდა, იგი დიდ სტიმულს მისცემს როგორც სოფლის მეურნეობის წინსვლას, ისე ამ სფეროში გადამამუშავებელი ბიზნესის განვითარებას და საერთაშორისო ბაზარზეც ქართულ პროდუქციას თავის ადგილს დაუმკვიდრებს.

სამწუხაროდ, 18-წლიანმა გარდამავალმა პერიოდმა ჩვენი

საზოგადოების დიდ ნაწილში მოშალა სურვილი და განწყობა შრო-
მისადმი.

არადა, ნებისმიერი საქმის წარმატებისათვის განწყობას
გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი საშუალებით ხდება
ამა თუ იმ მიმართულებით ჩვენი სულიერი და ფიზიკური ძალების
მობილიზება (დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია). ადამიანს შეუ-
ძლია თავისი ენერგია მოახმაროს აღმშენებლობას ან ნგრევას, ანდა
დატოვოს იგი გამოუყენებელი.

შრომასთან დაკავშირებით ამჟამად არსებული უარყოფითი
განწყობა აუცილებლად უნდა შეიცვალოს და ჩვენ საოცარ შედეგს
მივიღებთ, რადგან როცა ამა თუ იმ საქმისადმი მზაობა არსებობს, გა-
რემო პირობები ხელს რომც არ უწყობდეს, მიზანი მაინც მიიღწევა.

ამის საუკეთესო მაგალითი ჩვენი ისტორიაა.

ჩვენი წინაპრების განწყობამ რწმენის ერთგულებისა და
ქვეყნის დაცვისადმი შეგვაძლებინა (ყოველგვარი ლოგიკის საწი-
ნააღმდეგოდ) არა მარტო ის, რომ ფიზიკურად გადავრჩენილიყვით,
არამედ ისიც, რომ თვითმყოფადი ქართული სამყარო შეგვენარჩუ-
ნებინა.

ამ წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი კი დაუღალავი
შრომაც იყო.

შრომის მიზანი და შედეგი მარტო კეთილდღეობის მიღწევა არ
არის. იგი სულიერ განვითარებასაც უწყობს ხელს. ცხოვრების ეს წესი
თვით შემოქმედმა დაგვიდგინა. ამიტომაც მონასტრულ ტიბიკონებში
შრომას დიდი ყურადღება ექცევა.

განსაკუთრებით სასარგებლოა ისეთი საქმიანობა, რომელიც
ბუნებასთან კავშირშია; მიწასთან, მცენარეებთან, ცხოველებთან
მიმართებაში სიყვარულზე დაფუძნებული ურთიერთობა ადამიანს
აკეთილშობილებს და კურნავს, რადგან ღმერთმა ამ სამყაროს გვი-
რგვინად შეგვქმნა და მასზე პასუხისმგებლობაც დაგვაკისრა.

ადამიანი მოვალეა გაუფრთხილდეს და ყოველდღიური საქ-
მიანობისას დალოცოს მიწაც, მოსავალიც, პირუტყვიც... ეკლესიაში
კი ამისთვის სპეციალური ლოცვებია დადგენილი.

ასე ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები და ამიტომაც ბუნებასთნ
ერთობაში იყვნენ.

თანამედროვე ადამიანმა ეს დამოკიდებულება უხეში მომხმა-
რებლური მიდგომით შეცვალა, რაც, თუ არ გამოსწორდა, დაღუპავს
კაცობრიობას.

ყველაფერში ზომიერების დაცვაა საჭირო. ამას კი ვერ შევძ-
ლებთ, ღმერთთან კავშირი თუ არ გვექნა. ის, თუ რამდენად შორს (ან
ახლოს) ვიქნებით მისგან, მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, რადგან
მაცხოვარი ყოველთვის ახლოსაა ჩვენთან.

ასე რომ, ნებისმიერ ჩვენს ქმედებას, ჩვენს სიტყვასა და გუ-
ლისზრახვას უნდა შევხედოთ როგორც ნაბიჭს, გადადგმულს ზე-
ცისკენ, ანდა ჭოჭოხეთისკენ. მართალია, ეს ცხოვრება სწრაფწარმა-
ვალია, მაგრამ საკმარისია იმისათვის, რომ მოვიპოვოთ მარადიული
ნეტარება ან სამუდამოდ დავკარგოთ იგი.

მაში, მოვუსმინოთ წინასწარმეტყველთა და წმიდა მამათა
დარიგებებს, რათა შეძლებისდაგვარად დავიცვათ ჩვენი შინაგანი
სამყარო დამანგრეველი ცოდვებისაგან: ამპარტავნების, თავის-
მოყვარეობის, განკითხვის, შურის, ცილისწამებისა და სხვა სიბი-
ლნეთაგან, რომელთა მარწუხებშიც მოქცეული და დამონებულია
თანამედროვე ადამიანი:

„შიში უფლისა დასაბამია სიბრძნისა და მორჩილება წინ უძ-
ღვის დიდებას“ (იგავ. 15,33).

მოწყალება ისეთი მაღამოა, რომელიც ყველანაირ განსა-
ცდელს უწამლებს.

მოწყალების შემდეგ უდიდესი სათნოებაა მაღლიერება ღვ-
თისა და ადამიანებისადმი.

განვითხვის ცოდვა ცეცხლივით დაგწვავს.

სადაც ამპარტავნებაა, იქვეა პატივმოყვარეობაც. შური კი მათი შვილია.

ის, ვინც ცილისმწამებელია, პირდაპირ დემონს ემსახურება.

ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი, ხოლო თავმდაბალთ მოსცემს მადლს.

მან, ვინც ისწავლა მოთმინება, ისწავლა თითქმის ყველაფერი;

მთელი სიბრძნე კი უფლის ამ დარიგებაშია: შეიყვარე ღმერთი ყოვლითა გულითა, გონებითა, ყოვლითა სულითა და ძალითა შენითა (მათ. 22, 37); შეიყვარე მოყვასი, ვითარცა თავი შენი (მათ. 22, 39).

ჩვენ, რა თქმა უნდა, ცხოვრებაში ბევრჯერ შევცდებით; მთავარია, დაცემის შემდეგ მოვინდომოთ და შევძლოთ ადგომა. ამასთან, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ბედნიერებისათვის ვართ მოწოდებულნი და გვაქვს შესაძლებლობა, შევაღოთ ზეცის კარიბჭე, ვიხმიოთ ტრაპეზი უფლისა და მისი სიყვარულით დავტკბეთ.

რა უნდა იყოს ამაზე მნიშვნელოვანი?!

რა ძალამ უნდა დაგვაბრკოლოს ამის მისაღწევად?!

ძე ღვთისა გვიწვდის ხელს და თავისთან გვიხმობს.

ვინ შეიძლება ვამჯობინოთ მას?!

შევთხოვ შემოქმედს, მკვდრეთით აღდგომილმა მაცხოვარმა თითოეული ჩვენგანის გულში დაიდგას ტახტი და თითოეულ ჩვენგანში ძლეულმა ბოროტმა სულმა იულიანე განდგომილის მსგავსად აღმოთქვას: „შენ გაიმარჯვე გალილეველო!“

ღვთაებრივი სიხარულით აღვსილი კიდევ ერთხელ გილოცავთ.

ქრისტე აღდგა!

ჭეშმარიტად აღდგა!

აღდგომა ქრისტესი

თბილისი, 2008 წ.

საშობაო ეპისტოლე

2009 წ.

ბეთლემო, იხარებდ, რამეთუ ხე იგი ცხოვრებისად
შენს შორის აღმოცენდა დღეს
(საშობაო საგალობელი)



ოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძ-
ღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ყოველნო საერო და-
სნო, მკვიდრნო საქართველოდასა და დროებით ჩვენი ქვეყნის საზ-
ღვრებს გარეთ მცხოვრებნო, ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო!

ადამსა და ევას, სამოთხიდან განდევნის შემდეგ, შემოქმედმა
აღუთქვა, რომ კაცთა მოდგმას მაცხოვარს მოუვლენდა და ეს აღთქმა
მან სხვადასხვა დროსაც რამდენჯერმე გაიმეორა. ებრაელთა ერი
მოთმინებით ელოდა ამ წინასწარმეტყველების აღსრულებას და აი,
ახდა მამამთავარ იაკობის ნათქვამი: „არ წაერთმევა კვერთხი იუდას,

...ვიდრე არ მოვა მისი მფლობელი და ის იქნება იმედი ხალხთა“
(დაბ. 49, 10).

რომის იმპერიის ნაწილად ქცეულ იუდეაში, იმპერატორ ავგუსტუს ოქტავიანეს დროს, მმართველად დაინიშნა წარმოშობით იდუმიელი ჰეროდე, რომელსაც ხალხი ტირანად და დავითის ტახტის უზურპატორად მიიჩნევდა. სწორედ ჰეროდეს მეფობის ჰერიოდში დავითის ქალაქ ბეთლემში მწირ, მიტოვებულ გამოქვაბულში, ბაგასა შინა იშვა მხსნელი სოფლისა, უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

აღსრულდა მიქიას წინასწარმეტყველებაც:

„შენ კი, ეფრაათას ბეთლემო, უმცირესი ხარ იუდას ათასეულთა შორის, მაგრამ შენგან გამოვა ხელმწიფე ისრაელში და ძველთგან იქნება მისი წარმოშობა, საუკუნო დღეებიდან“ (მიქ. 5, 1).

როგორი უბრალოებითა და სიმდაბლითაც მოევლინა მაცხოვარი ამ ქვეყანას, მისი შობა პირველთ ასეთივე მადლის მქონე ადამიანებს ეუწყათ. არა საზოგადოების რჩეულნი-მწიგნობარნი, ფარისეველნი ან უხუცესნი, არამედ უბრალო მწყემსები გახდნენ ღირსნი, მოესმინათ ანგელოზთა საოცარი საგალობელი: „დიდებად მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშვდობად და კაცთა შორის სათნოებად“ და პირველებს ეხილათ ზეციური ყრმა.

სახარება გვამცნობს, რომ შემდეგ ახალშობილი იესოს თაყვანისაცემად აღმოსავლეთიდან ვარსკვლავს წამოყოლილი მოგვებიც მოვიდნენ და ძღვნად მოართვეს ოქრო (როგორც მეფეს), გუნდრუკი (როგორც ღმერთს) და მური (როგორც ადამიანს). მათი სახით უფალი წარმართთაც „გამოუჩნდა“, რადგან ამ ხალხშიც დიდი იყო მესიის მოლოდინი და, ამასთან, თავიდანვე განცხადდა, რომ იესო განვაცდა არა მარტო „რჩეული ერისთვის“, არამედ სხვა ხალხებისთვისაც, ანუ მთელი კაცობრიობისათვის.

დაკარგული ცხოვარის შესახებ სახარებისეული იგავი ნათლად

წარმოაჩენს ადამიანთა გადარჩენისათვის უფლის მიერ გაღებული მსხვერპლის არსა: მწყემსი კეთილი ტოვებს 99 ცხვარს (იგულისხმება ანგელოზთა დასი) და მიღის მთებში დაკარგული ერთი ცხვრის (ცოდვებში დანთქმული კაცობრიობის) მოსაძიებლად და როცა იპოვის დავრდომილსა და უღონოს, მხრებზე შეისვამს და აბრუნებს უკან.

მწყემსის მხრებზე შესმული ცხვარი სიმბოლოა სულიერად დავრდომილი, ღონემიხდილი ადამის მოდგმისა, რომელსაც უფლის დახმარების გარეშე არ შეუძლია ცოდვათაგან განწმენდა და ღვთის საუფლოში დაბრუნება.

დიახ, იესო ქრისტემ „თავს იდო ჩვენი ცოდვები და იტვირთა ჩვენი სატანჯველნი“, – როგორც ბრძანებს ესაია წინასწარმეტყველი (ეს. 53, 4).

მაგრამ ღმერთი განკაცდა არა მარტო იმიტომ, რომ გვასწავლოს გზა ჭეშმარიტი და გვიჩვენოს მაგალითი ცხოვრებისა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმისათვის, რომ დაგვაკავშიროს თავისთან და თავისი ღვთაებრივი მადლით ჩვენი დაზიანებული, დაცემული შინაგანი სამყარო განაახლოს და აღადგინოს.

როგორ ხდება ეს?

– საეკლესიო საიდუმლოთა აღსრულებით, რომელთა შორის უპირველესი არის ნათლობა.

ერთადერთი ერი, რომელიც ქრისტეშობამდე აღიარებდა ჭეშმარიტ ღმერთს, იყვნენ ებრაელები. მათ უფალი წინასწარმეტყველთა საშუალებით არიგებდა და სწორად სვლის გებს აძლევდა. ძველი აღთქმა იცნობს უდიდეს წინასწარმეტყველთ: მოსეს, დავითს, ესაიას, იერემიას, იეზეკიელს, დანიელს, ილიასა და სხვებს, რომლებიც, მართლაც, გამორჩეული და საოცარი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ გარდაცვალების შემდეგ სამოთხის ღირსნი ვერ გახდებოდნენ, რადგან, სხვათა მსგავსად, ადამისა და

ევასგან მემკვიდრეობით მიღებული პირველქმნილი ცოდვით იყვნენ
დამძიმებულნი. წმიდა წერილი ხომ ბრძანებს: „ვინ შექმნის წმიდას
უნმიდურისაგან? არავინ“. (იობი. 14, 4) და ისინიც, როგორც სხვა
მრავალნი მართალნი, მოელოდნენ მესიას, რომელსაც ღმერთსა
და ადამიანს შორის გაჩენილი უფსკრული უნდა ამოევსო და მიწიდან
ზეცისკენ მიმავალი კიბე აღემართა.

ებრაელ ერში უშვილობა ღვთის სასკელად სწორედ იმიტომ
ითვლებოდა, რომ მიაჩნდათ, თუ თვითონ არა, თავისი შთამომავალი
მაინც მოესწრებოდა მხსნელს და მისი ლოცვით აღმოყვანებული
იქნებოდა ჭოჭოხეთის სკრელიდან.

და აი, იშვა ემმანუელი – ჩვენთან არს ღმერთი, რომელმაც
კაცთა მოდგმას ზეცის კარიბჭენი გაუხსნა. ვიმეორებ, პირველ რიგში,
ნათლობით, რადგან ნათლობის მადლით აღიხოცება ადამისა და
ევას პირველქმნილი უდიდესი ცოდვა და ნათლობამდელი ყველა სხვა
ცოდვაც; ადამიანი ხდება უბინო და ენიჭება სულინმინდის ბეჭედი.

ეს არის უდიდესი წყალობა ღვთისა. ეს არის პიროვნების
მეორედ შობა და სულიერი დაბადება ქრისტეში; ამის გარეშე ცხო-
ნება არ არსებობს; ამიტომაც ბრძანებს მაცხოვარი: „ჭეშმარიტად,
ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც არ დაიბადება ხელახლა (წყლისა და
სულისაგან), ვერ იხილავს ღმერთის სასუფეველს“ (იოან. 3, 3,5).

ასე რომ, ნათლობა აუცილებელია, მაგრამ ეს საკმარისი არ
არის, რადგან, თოთოეული ჩვენგანი, ბოროტის გავლენით, ყოვ-
ელდღიურად მრავალ ცოდვას სჩადის, რაც მის სულს დაღუპვას
უქადის.

იესო ქრისტე, საეკლესიო საიდუმლოებების საშუალებით, სა-
ოცარ მადლს გვანიჭებს ეშმაკის მახეთაგან თავის დასაღწევად; ამ
მადლთა შორის უმთავრესი არის სინანული;

ამა თუ იმ მიზეზის გამო სინანულის განცდა ყველა ადამიანს

აქვს, მაგრამ ქრისტიანული სინანული განსხვავებულია; იგი გულისხმობს ღმერთთან დარღვეული კავშირის აღდგენის მიზნით ცოდვათაგან განწმედის დიდ სურვილს.

„შეინანეთ!“ – ქრისტეს გამოჩენამდე მოუწოდებდა ხალხს იოანე ნათლისმცემელი და მათ წყლით განბანდა.

„შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა!“ – ბრძანებს პირველივე ქადაგებაში მაცხოვარი.

დიახ, სინანულია სწორედ ის მთავარი ფუნდამენტი, რასაც უნდა დაეფუძნოს ჩვენი ქრისტიანული ცხოვრება. ადამიანები ეკლესიაში ხშირად მოდიან გასაჭირის გამო, ან ავადმყოფობისგან განკურნების სურვილით, ან, თუნდაც, სხვათა მიბაძვით, მაგრამ მათში თუ ჭეშმარიტმა სინანულმა არ გაიღვიძა და ღვთისადმი ჩვენი დამოკიდებულება ამ გრძნობას არ დაეფუძნა, რწმენა მალე გაფერმკრთალდება და ასეთნი ეკლესიიდანაც თავისი ნებით განდგებიან.

ამა თუ იმ საზოგადოებაში მრავლად არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ეკლესიის გარეშეც ცხონდებიან, რადგან სხვებივით ცუდს არაფერს სჩადიან.

მაგრამ მათი ყოფა ღმერთთან შერიგებისთვის სულაც არ არის საკმარისი. ჰერ ერთი, ეს „სიკარგე“ შედარებითია და სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი უცოდველი არიან; მეორეც, თითოეულმა ჩვენგანმა შეწყალება უნდა ითხოვოს უფლისაგან და თანაც, მთელი სიცოცხლის მანძილზე, რომ ჭოჭოხეთისთვის არ გაიწიროს.

ზეციდან გადამრჩენელი კიბეა დაშვებული და თუ ბოლო საფეხურამდე კარგად არ ჩავჭიდებთ მას ხელს (ანუ თუ უფლის მცნებებს არ დავიცავთ), ცხოვრების ქარიშხალი უფსკრულში გადაგვჩეხს. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, რომელ საფეხურზე ვდგავართ; ნებისმიერ სიმაღლეზე მყოფი ადამიანი შეიძლება დაშორდეს ღმერთს და ჩამოვარდეს კიბიდან.

სულიერ ზეაღსვლას კიდევ ერთი თავისებურება ახლავს; რაც უფრო მაღლა ადის პიროვნება, მით უფრო ნათლად აცნობიერებს სა-კუთარ ცოდვებს და, შესაბამისად, უფრო ღრმა სინაწყლიც ეუფლება (ჩაიხედეთ თქვენს გულებში, და მიხვდებით, როგორია თქვენი სუ-ლიერი მდგომარეობა).

ბევრს არ ესმის, ასე რატომ ხდება.

მსურს, შეგახსენოთ აბბა დოროთეს საუბარი ქალაქ ლაზის ცნობილ პიროვნებასთან.

მოძღვარმა ჰკითხა მას, თუ როგორ ადამიანად მიაჩნდა თავი თავის ქალაქში.

– გავლენიან და ყველასგან დაფასებულ ადამიანად, – იყო პასუხი.

– და თუ წახვალ კესარიაში, იქ როგორ მიგიღებენ?

– იქაურ დიდებულთა შორის უკანასკნელად.

– ანტიოქიაში?

– ჩვეულებრივ ადამიანად.

– კონსტანტინოპოლის სამეფო კარზე?

– თითქმის არაფრად.

ეს მიწიერი კეთილდღეობისათვის დამახასიათებელი კატე-გორიებია; ასევე ხდება სულიერ ცხოვრებაშიც, – წერს აბბა დოროთე,

– რადგან, რაც უფრო ახლოს ხარ ღმერთთან, მით უფრო მეტად გრძნობ, რომ სინამდვილეში არარაობა ხარ.

ჭეშმარიტი და ღრმა სინაწყლი არ გულისხმობს უიმედო გლო-ვასა და სასოწარკვეთას, რადგან ამ დროს ხდება მთელი სისავსით გაცნობიერება ღვთაებრივი სიყვარულისა და, რა თქმა უნდა, საკუ-თარი უძლურებისაც.

წმიდა მამები ამ მდგომარეობას მტირალ სიხარულსაც უწო-დებენ; მას, მართლაც, მოაქვს სიხარული, ნუგეში და მშვიდობა სუ-

ლისა, თანაც ისეთი, რომელსაც ამქვეყნიური ვერანაირი ნეტარება ვერ შეედრება. „ღმერთის სასუფეველი საჭმელ-სასმელი კი არ არის, (ანუ მიწიერი კეთილდღეობა), არამედ სიმართლე, მშვიდობა და სიხარული სულითა წმიდითა“, – გვასწავლის პავლე მოციქული (რომ. 14, 17).

გულწრფელი სინანულითა და მოძღვრის წინაშე თქმული ალსარებით, ნათლობის მსგავსად, ადამიანი სულიერი ბიწისაგან განიწმინდება (უნდა ვეცადოთ, თვეში ერთხელ მაინც ვეზიაროთ ამ საიდუმლოს, რომ სული არ გაგვიუხეშდეს და შინაგანი თვალისჩინი არ დაგვეშრიტოს).

რატომ არის აუცილებელი აღსარება ვთქვათ მოძღვართან? რა საჭიროა ჩემსა და ღმერთს შორის შუამავალი? განა არ შეიძლება ხატან ვაღიარო ჩემი ცოდვები? – ამ კითხვებს ხშირად გაიგონებთ მორწმუნე, მაგრამ არაეკლესიურ ადამიანებში.

მათ პასუხად შევახსენებთ თავისი მოწაფეებისადმი მაცხოვრის მიერ თქმულ სიტყვებს: „ჭეშმარიტად, გეუბნებით თქვენ: რასაც შევრავთ ქვეყანასა ზედა, შეკრული იქნება ცათა შინა და რასაც გახსნით ქვეყანასა ზედა, გახსნილი იქნება ცათა შინა“ (მათ. 18, 18).

ეს ნიჭი შეკვრისა და ცოდვათა მიტევებისა მოციქულებმა ხელ-დასხმით გადასცეს თავის მოწაფეებს, იმ მოწაფეებმა თავის მოწაფეებს ... და ასე მოდის ეს უწყვეტი ჭაჭვი დღემდე. რომ ავიღოთ მართლმადიდებელი ეკლესიის ნებისმიერი მოძღვარი და მივყვეთ მის ხელ-დამსხმელთა გენეალოგიურ რიგს, აუცილებლად მივალთ რომელიმე მოციქულამდე. და ეს უწყვეტობა მადლისა არის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი.

ასე რომ, სასულიერო პირს, რომელსაც შეჩერებული არა აქვს მღვდელმოქმედება, თვით იესო ქრისტესაგან აქვს მონიჭებული უფლება ცოდვათა შენდობისა. ეს უფლება არა აქვს საერო იერარ-

ქიის ნებისმიერ საფეხურზე მდგომ არც ერთ პიროვნებას, მათ შორის, არც მეფეს.

მოძღვარი არის ერთგვარი შუამავალი ამა თუ იმ პიროვნებასა და ღმერთს შორის. იგი, შეიძლება, არ აკმაყოფილებდეს ჩვენს მოთხოვნებს, მაგრამ არავინაა შეზღუდული, მოძებნოს სხვა სასულიერო პირი, რომელთანაც ბოლომდე გაიხსნება. სულიერ ურთიერთობაში კომფორტს განსაკუთრებით ისინი საჭიროებენ, რომელთაც ეკლესიური ცხოვრება ახალი დაწყებული აქვთ. შემდგომ ეტაპზე ადამიანისთვის მნიშვნელობა უკვე აღარ აქვს, ვის ეტყვის იგი აღსარებას; მან იცის, რომ თუ რწმენით მიმართავს მოძღვარს, უბრალო მღვდლის-განაც საოცარ სიბრძნეს მოისმენს, რადგან აღსარების საიდუმლოს დროს უფალი უხილავად თვითონ ისმენს ჩვენს ნათქვამს და, ჩვენი რწმენისა და სიწრფელის შესაბამისად, მოგვაგებს მადლს მოძღვრის მეშვეობით.

რაც არ უნდა მძიმე ცოდვა გვქონდეს ჩადენილი, არ უნდა მოგვერიდოს მისი თქმისა, რადგან ღვთის წინაშე ისედაც არაფერია დაფარული. მთავარია, ჩვენ რას განვიცდით და რომელი ცოდვის გამო ვითხოვთ შენდობას. უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ცოდვა არ არის ჩვენი თვისება. ეს არის ბოროტის გავლენით განხორციელებული ქმედება, ხოლო ჩვენი ერთგულება ქრისტესადმი სწორედ იმაში უნდა გამოიხატოს, რომ მას ცოდვის შესაბამისი სინანული ვაჩვენოთ და თუ ღირსნი ვართ, მოძღვრის მიერ დადებული სასჯელიც (ეპიტიმია) მორჩილებითა და სიყვარულით მივიღოთ, როგორც წამალი ჩვენი განკურნებისა.

ზოგიერთები ამა თუ იმ ვნებაზე ამბობენ, ეს ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა და მას რატომ უნდა ვებრძოლოთო. ამასთან, ჩვენს საზოგადოებაში ხშირად ეს სიტყვა, – ვნება, – დადებით კონტექსტში მოიხსენიება და ტელევიზიისა თუ პრესის საშუალებით

მკვიდრდება აზრი, რომ, მაგ., მრუშობა, სიცრუე, განკითხვა, დიდებისმოყვარეობა, ამპარტავნება, მამათმავლობაც კი... ადამიანის თვისებებია და მათში დანაშაულებრივი არაფერია.

ეს ტყუილია!

იოანე კიბისაღმწერელი (ისევე როგორც სხვა მამები), განმარტავს, რომ ვნებები ბინია სულისა, რომელიც გულს ჩვეულებად ექცა ხშირად გამეორების გამო. ამავე მიზეზით გვექმნება ილუზია, რომ ისინი ჩვენი გულიდან მომდინარეობენ.

სინამდვილეში ცოდვა, ვნება, – ეს ჩვენი სულის დაჩირქებული, გახრწნილი ზედნადებია, რომელიც უნდა მოვიკვეთოთ სინანულით, აღსარებითა და ზიარებით (ასევე სხვა საეკლესიო საიდუმლოთა აღსრულებით).

ადამიანს ძალუძს დაამარცხოს საკუთარ თავში ხანგრძლივად არსებული ყველაზე მძიმე ცოდვაც კი და საბოლოოდ განდევნოს იგი. უფრო სწორედ, მას ამის განხორციელება ღვთის შეწევნით შეუძლია. რადგან, თუ არა მოწყალება უფლისა, ჩვენ ვერც სათანადო სინანულს შევძლებთ, ვერც გულწრფელ აღსარებას ვიტყვით და, მით უმეტეს, სათანადოდ ვერ მოვემზადებით ევქარისტიისათვის, რომლის დროსაც მაცხოვრის ხორცსა და სისხლს ვეზიარებით და ჩვენი სული მასპინძელი ხდება უფლისა.

თვით იესო ქრისტე შემოდის ჩვენში, რომ განგვამტკიცოს, განგვაძლიეროს და ახალ სულიერ სიმაღლეზე აგვიყვანოს, სულიერი და ხორციელი კურნება მოგვანიჭოს და ჭეშმარიტი სიბრძნე მოგვმადლოს. ამას ეწოდება სინერგია – ადამიანური და ღვთაებრივი ნების გაერთიანება.

ამ მადლს, ამ წყალობას საუკუნეების განმავლობაში ელოდა კაცობრიობა; იგი ახლა ჩვენ წინაშეა და მის გარეშე არ უნდა დარჩეს არავინ, რადგან ეს, ფაქტიურად, უარყოფაა ღვთისა (თუნდაც რომ

ადამიანს თავი მორწმუნედ მიაჩნდეს).

ამიტომაც ბრძანებს მაცხოვარი: „თუ კი არ შექამთ კაცის ძის ხორცს, და არ შესვამთ მის სისხლს (ანუ არ მივიღებთ ზიარებას), არ გექნებათ სიცოცხლე თქვენში. ხოლო ვინც შექამს ჩემს ხორცს, და ვინც შესვამს ჩემს სისხლს, ის ჩემშია. და მე მასში. ეს არის პური, რომელიც გარდამოხდა ზეცით... ამ პურის მჭამელი იცოცხლებს უკუნისამდე“ (იოან. 6, 53,56,58).

მაგრამ, ამ საიდუმლოს მისაღებად განსაკუთრებულად უნდა მოემზადოს ახალგაზრდაც და ასაკოვანიც, ხელისუფალიც და ინტელიგენტიც, მუშაც, გლეხიც და სასულიერო პირიც, რათა არ ექცეს იგი სასკელად.

ცხონების გზას ნებისმიერი ადამიანი თავისუფალი ნებით ირჩევს. ისინი, რომლებიც არ ისმენენ იესოს დარიგებებს, ოდესმე აუცილებლად გაიგონებენ მის მკაცრ სიტყვებს: „წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვს და ანგელოზთა მისთათვს“ (მათ. 25, 41).

დიახ, ღმერთი გულმოწყალეა, მაგრამ – სამართლიანიც, უსასრულოდ შემნდობია, მაგრამ – მართლმსაჯულიც.

ყოვლადწმიდა სამებამ მოანიჭოს თითოეულ ჩვენგანს ჭეშმარიტების გზით სვლის უნარი და დაგვიფაროს გეენის ცეცხლი-საგან!

ეს ყოველივე ბევრისათვის ცნობილია და მასში ახალი არაფერია, მაგრამ ამას ვწერ „უძლებ შვილთათვის“, რომ დაუბრუნდნენ „მამის წიაღს“ და, ვიდრე გვიან არ არის, ცხოვრების წესი შეცვალონ.

ჩვენ ისედაც მეტად რთულ დროს გვინევს ამქვეყნად ყოფნა. მართალია, საქართველოს მძიმე პერიოდები თავისი არსებობის მანძილზე თითქმის სულ ჰქონდა, მაგრამ მაშინ ადამიანებს რწმენა უფრო მტკიცე ჰქონდათ და თან განსაცდელთა ასეთი სიმრავლეც არ იყო;

ახლა ჩვენს ხალხს მოუნია პოსტსაბჭოთა გარდამავალი პე-
რიოდის სიმძიმის გადატანა, ცხოვრების ერთი წესიდან მეორეში
გადასვლა, უმუშევრობა, შიმშილი, ომი, მორალური კრიტერიუმების
შეცვლა, ძალადობისა და სიცრუის მორევში მოხვედრა... აღარაფერს
ვამბობ ვიწრო ოქანურ და პირად პრობლემებზე.

სამწუხაროდ, ჰურჯერობით არც ხვალინდელი დღე იძლევა
უკეთესი მომავლის იმედს, რადგან მთელი მსოფლიო გლობალურ
ეკონომიკურ კრიზისში შედის, რომელიც შეიძლება სისტემურ კრიზ-
ისად იქცეს, ანუ არსებული სისტემა სხვამ, პრინციპულად ახალმა,
სისტემამ შეცვალოს.

ხდება მსოფლიოსა და ცალკეული ქვეყნების რეგიონალიზაცია,
ანუ გარკვეულ ჰგუფებად დაყოფა; ხოლო, იმის მიხედვით, თუ რა პრინ-
ციპი უდევს საფუძვლად ცალკეული გაერთიანების შექმნას, შეიძლება,
ესა თუ ის ქვეყანა რაღაც მიმართულებით (მაგ., გაზის ან ნავთობის მოპ-
ოვებით) ერთ გაერთიანებაში მოხვდეს, ხოლო მეორე მიმართულებით
(მაგ., კოსმოსის ათვისების სფერო), – სხვა გაერთიანებაში. ამასთან,
მოსალოდნელია დაგუფებებს შორის დაპირისპირებების გამწვავება
გავლენის სფეროების გასაფართოვებლად.

ისტორიის თანამედროვე ეტაპი მომხმარებლური საზოგადო-
ების ღირებულებათა ზეობის დროცაა. მისთვის მთავარია მიწიერი
კეთილდღეობა და არა სულიერი სიმდიდრე. ამიტომაცაა, რომ
გამართლება ეძებნება მატერიალური გამდიდრების ყველა საშუა-
ლებას.

დიახ, დღეს ბაზარზე საქონლისა და მომსახურეობის შეუზღ-
უდავი წარმოება კი არა, ფული ბატონობს და თუ ეს მომხმარებლური
პროცესი დროზე არ შეჩერდა, საზოგადოება კატასტროფის წინაშე
აღმოჩნდება.

სისტემური კრიზისის თავიდან აცილების მიზნით დასავლ-

ეთმა კურსი ეკონომიკის სფეროში სახელმწიფო სექტორის შედარებით გაძლიერებაზე აიღო, რაც თავისუფალი ბაზრიდან უფრო რეგულირებად ბაზარზე გადასვლას გულისხმობს და, ბუნებრივია, ცალკეული სახელმწიფო ეფექტური მართვის საკუთარი მექანიზმის ძიებას დაიწყებს.

ჩვენც უნდა გამოვნახოთ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზები.

როგორც ამ დარგის სპეციალისტები ამბობენ, აუცილებელია, სამუალო და მცირე საწარმოთა დონეზე, მართვის სწორ სისტემაზე დაყრდნობით, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი დარგის სწრაფი განვითარება.

ის, რომ ჩვენი ხელისუფლება სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის წინსვლისთვის გარკვეულ ნაბიჭებს დგამს, მისასალმებელია, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრია.

აქ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ რამდენიმე მიმართულებას შევეხები.

საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა. ის მდგომარეობა, რაც ამ კულტურების მიმართ დღეს არის, დამღუპველია, როგორც სულიერი, ისე მატერიალური თვალსაზრისით. ჩვენი წინაპრებისთვის ღვინო და პური, გარდა თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობისა, მაცხოვრის ხორცისა და სისხლის სიმბოლოს უკავშირდებოდა და, ამიტომაც ქართველ გლეხს მათდამი ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა და განსაკუთრებულადაც უვლიდა; და ეს უნდა აღდგეს.

დღეს კი მავანნი კახელ გლეხს სოლიდურ თანხას სთავაზობენ, რომ მან შვილივით ნაგარდი ვაზი აჩეხოს და სანაცვლოდ საბამთრო ან სხვა კულტურა დარგოს; ამასთან, ყურძნის მოყვანის ინტერესს იმითაც უკლავენ, რომ მოსავლის ჩაბარებისას მინიმალურ ფასსაც

არ აძლევენ. ასე არ უნდა გაგრძელდეს. იქნება გამოსავლად იქცეს გლეხურ მეურნეობებში დამზადებული სუფთა ღვინის ექსპორტი სახელმწიფოს მიერ.

რაც შეეხება ხორბალს, მისი ადგილობრივი წარმოება კატასტროფულად არის შემცირებული და ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების მხოლოდ 9% აკმაყოფილებს; სამწუხაროდ, ამ 9%-შიც არ შედის ჩვენი ტრადიციული ადგილობრივი ჭიშები.

მეტად სავალალოა, მაგრამ ფაქტია, რომ უნიკალური ქართული ხორბალი სრული გაქრობის პირასაა. არადა, ჩვენგან წადებულ თესლს სხვა ქვეყნები თავისად წარმოაჩენენ და ამით ამაყობენ; ხოლო საქართველოში ექსპორტირებული ხორბალი და პურის ფქვილი, რომელიც მოხმარებული პროდუქციის 91% შეადგენს, იმდენად დაბალი ხარისხისაა, რომ ჭანმრთელობისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

საქმე შემდეგშია: მსხვილ ტრანსნაციონალურ კომპანიებს, რომლებიც დაინტერესებული არიან, რომ ხელოვნური მეთოდებით (გენური ინჟინერია, შხამ-ქიმიკატები, მცენარის ზრდის სტიმულატორები და ასე შემდეგ) მიღებული საკუთარი ჭარბი პროდუქციისათვის გასაღების ბაზრები გააფართოვონ და სხვა ქვეყნებში ადგილობრივი ბუნებრივი პროდუქციის წარმოება შეაფერხონ, საქართველოც სურთ თავისი გავლენის სფეროდ და მათი სურსათის იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნად გადააქციონ; მით უმეტეს, რომ აქ, ხალხის დაბალი მსყიდველუნარიანობის გამო, იაფფასიანი, უხარისხო ნაწარმის გასაღება პრობლემას არ წარმოადგენს.

ამ ტენდენციას ჩვენ ჩვენი პოზიცია და ინტერესები უნდა დავუპირისპიროთ. სოფლის მეურნეობის აღორძინების მიზნით სახელმწიფოს პოლიტიკა, მართალია, მნიშვნელოვანია (ვგულისხმობ სახელმწიფო დოტაციებს, სარწყავი წყლითა და საძოვრებით

უზრუნველყოფას, რაიონებში უფასო საკონსულტაციო ცენტრების ამოქმედებას), მაგრამ თვით მოსახლეობასაც შეუძლია ზომების მიღება, – მან უარი უნდა თქვას ჭანმრთელობისთვის მავნე პროდუქციაზე, თვითონ უნდა დაიწყოს მიწის დამუშავება და შექმნას მცირე საწარმოები.

ყველამ იცის, რომ, ხელოვნური ტექნოლოგიების საპირი-სპიროდ, დღეს უკვე სერიოზული ბიძგი მიეცა ეკოლოგიურად სუ-ფთა პროდუქციას და მათზე მოთხოვნილებაც და ფასიც მთელ მსო-ფლიოში ყოველწლიურად იზრდება.

ვფიქრობ, ჩვენთან ეკოლოგიურად სუფთა და კონკურენტუ-ნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების კარგი შესაძლებლობა გვაქვს და ამ სახით – მსოფლიო ბაზარზე მყარად დამკვიდრების პერსპექტივაც. ამიტომაც, ვიდრე ჰერ კიდევ შემო-რჩენილია უნიკალური ქართული სასოფლო-სამეურნეო ჭიშები (არა მარტო ყურძნისა და ხორბლის, არამედ ლობიოს, კარტოფი-ლის, საერთოდ, ბოსტნეულის, ხილისა და საქონლის), თითოეულმა ჩვენგანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ეს საქმე რეალობად იქცეს. ამით ჩვენ ჩვენს სიმდიდრესაც შევინარჩუნებთ და მომავალი თაობების ჭანმრთელობასაც დავიცავთ.

აღნიშნულის შესახებ მე ადრეც ვწერდი, მაგრამ დღეს ეს უკვე აუცილებლობად იქცა. მით უმეტეს, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიც აქეთვენ გვიბიძგებს, რადგან მისგან გამოწვეული დეფი-ციტი, პირველ რიგში, აღბათ, კვების პროდუქტებს შეეხება.

როდემდე გაგრძელდება ამდენი პრობლემები? – ბუნებრივია, ყველას გულში ეს კითხვა ტრიალებს.

– ეს ჩვენზეა დამოკიდებული.

არაერთხელ მითქვამს, რომ საქართველო ღვთის განსაკუ-თრებული მფარველობის ქვეშაა, მაგრამ ვართ კი დღეს იმ სულიერ

სიმაღლეზე, რომ ჩვენი თხოვნა ისმინოს უფალმა?

- არც სხვები არიან უკეთესები, – იტყვის მავანი
- ჩვენ ბევრი მოგვეცა და ბევრიც მოგვეთხოვება.

არაერთხელ მითქვამს ისიც, რომ საქართველო, წმიდა მამების თქმით, ბოლოებამს გაბრწყინდება, მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს? მატერიალური კეთილდღეობით? ამით ხომ დღევანდელი მსოფლიოს მრავალი ქვეყანა იწონებს თავს და რა, ეს არის გაბრწყინება?

– რა თქმა უნდა, არა; იგი გულისხმობს მთელი ერის სულიერ ამაღლებას.

ის, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი თავს მორწმუნედ მიიჩნევს, კარგია, მაგრამ, ეს არ არის საკმარისი, რადგან ეკლესიური ცხოვრებით ყველა არ ცხოვრობს. ამასთან, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გავითავისოთ ის მცნება, რომელიც ჰერ კიდევ წინასწარმეტყველ მოსეს პირით გამოუცხადა ოჩეულ ერს შემოქმედმა: „ისმინე ისრაელო! ერთია უფალი, უფალი, ჩვენი ღმერთი. გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი მთელი შენი გულითა და სულით, მთელი შენი შეძლებით.

გულში გქონდეს ეს სიტყვები, რომელიც დღეს გამოგიცხადე. ჩააგონებდე შენს შვილებს და უთხრობდე სახლში ჭდომისას, გზაზე სიარულისას, დაწოლისას და ადგომისას. შეიძი ნიშნად ხელზე და ტვიფრად შუბლზე. წააწერე სახლის წირთხლებს და კარებს“ (რკლ. 6, 4-9).

წმიდა მარკოზ მახარებელი კი წერს: ერთ-ერთი მწიგნობრის კითხვაზე, – რომელია უპირველესი მცნება, – მაცხოვარმა უპასუხა:

ისმინე, ისმინე ისრაელ! უფალი ღმერთი ჩვენი ერთი უფალია! და გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით, და მთელი შენი სულით, და მთელი შენი გონებით, და მთელი შენი ძალით, – აი, უპირველესი მცნება! (მარკ. 12, 29-30).

– რა იგულისხმება ამაში?

– ეს ნიშნავს, რომ არავინ და არაფერი ღმერთზე წინ არ უნდა დავაყენოთ!

„ვისაც მამა ან დედა ჩემზე მეტად უყვარს, არ არის ჩემი ღირსი; და ვისაც ძე ან ასული ჩემზე მეტად უყვარს, არ არის ჩემი ღირსი!“ – ბრძანებს მაცხოვარი (მათ. 10, 37).

– რატომაა ასეთი მკაცრი მოთხოვნა?

– იმიტომ, რომ სიყვარული ნიშნავს მთელი არსებით სწრაფვას მისადმი, ვინც გიყვარს. თუ ჩვენ ღმერთზე წინ სხვას დავაყენებთ, მისი გულისთვის რაიმე მიზეზით როდესმე დავივიწყებთ უფალს და სულიერად დავიღუპებით.

ჩვენი გული და სული მთლიანად უნდა მივუძღვნათ შემოქმედს, რათა ადგილი აღარ დავუტოვოთ ბოროტს და არ მივცეთ საშუალება ამა თუ იმ საბაბით განგვაშოროს ღმერთს, როგორც ეს თავის დროზე ადამსა და ევას დაემართათ.

ღმერთი თავად სიყვარულია და ჩვენც ნამდვილი სიყვარულით ცხოვრებას გვასწავლის. ეს სიყვარული დიდად განსხვავდება მიწიერი სიყვარულისაგან, რომელიც „ეგო“-ზეა ორიენტირებული და „მეს“ წარმოჩენას ემსახურება.

„მე უნდა ვიყო მდიდარი“, „მე უნდა ვიყო დათასებული“, „მე ვარ ნიჭიერი“, „მე მინდა“, „მე შემიძლია“, „მე გაძლევთ გარანტიას“... ამ წესით მცხოვრებ ადამიანებს ავიწყდებათ, რომ ჩვენი დამსახურება სულაც არ არის თუნდაც ის, რომ ვსუნთქავთ, დავდივართ, ვხედავთ, ვგრძნობთ, ვაზროვნებთ...

მარტო ჩვენგან არ მომდინარეობს არც ის, რომ გვყავს მშობლები, ოჭახი, შვილები, ნათესავები, ვართ ამა თუ იმ ერის წარმომადგენლები და ვმეტყველებთ ამა თუ იმ ენაზე... მით უმეტეს საერთოდ არ ვეხებით კოსმიური სამყაროს წესრიგს, სადაც ყველაფერი მოძრაობს

და თან ყველაფერი ერთმანეთთან საოცარ ჰარმონიაშია.

ყოველივე ამის შემოქმედი რომ ღმერთია, ამას თანდათან თანამედროვე მეცნიერებაც აცნობიერებს.

სულ ცოტა ხნის წინ მკვლევრები მიიჩნევდნენ, რომ ხელში ეპყრათ ჭადოსნური გასაღები და ნებისმიერ საიდუმლოს ფარდას ახდიდნენ. ახლა კი, დოქტორ შილტის სიტყვებით რომ ვთქვათ, აღი-არებენ, რომ „10 წლის წინ უფრო მეტი იცოდნენ სამყაროს შესახებ, ვიდრე ეს დღეს იციან“, რადგან ყოველი აღმოჩენა ასჭერ უფრო მეტი ახალი საიდუმლოებების წინაშე აყენებს მათ.

ყოვლადწმიდა სამების ძალა რომ ოდნავ მაინც გავაცნობი-ერთ, დედამიწის ტრაექტორიის შესახებ მეცნიერული გამოკვლევის შედეგებს გაგახსენებთ: ჩვენი პლანეტა და ჩვენც მასთან ერთად, სივრცეში ერთდროულად სამი მიმართულებით გადავადგილდებით: დედამიწა შეუჩერებლივ ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო 1000 კმ.სთ. სიჩქარით; მზის გარშემო – 30 კმ. წმ. სიჩქარით, ხოლო მზის სისტემის პლანეტებთან და ჩვენს გალაქტიკასთან ერთად სხვა გალაქ-ტიკებთან მიმართებით, – 20 კმ. წმ-ში სიჩქარით. ამისი წარმოდგენაც კი არ ძალუს ჩვენს გონიერას. და ნუთუ შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ეს ყველაფერი თავისით ხდება?!

შეგახსენებთ იმასაც, რომ ანდრომედას ნისლეულის სახე-ლწოდებით ცნობილ გალაქტიკათა სიმრავლეში მხოლოდ ერთ-ერთია ჩვენი გალაქტიკა, რომელიც, თავის მხრივ, ასობით მილიონ ვარსკვლავს მოიცავს; ამ მილიონობით ვარსკვლავთა შორის არის მზის სისტემაც თავისი 9 პლანეტით, ანუ დედამიწითაც, სადაც ჩვენ ვიმუოფებით.

ო, რა პატარები ვართ ღვთის წინაშე! ამიტომაც ჰერ კიდევ 30 საუკუნის წინ აცნობიერებდა დავით წინასწარმეტყველი და ამიტომაც სულშეძრული ასე მიმართავდა ღმერთს-ყოვლისმპურობელს: „შევხე-

დავ შენს ცას – შენი თითების ნაღვანს, მთვარეს და ვარსკვლავებს, რომლებიც დააფუძნე. რაი არს კაცი, რომ მოიხსენებ? ან ძე ადამიანისა, რომ ყურადღებას აქცევ?“

ამის პასუხი, ალბათ ისაა, რომ უფალი იმდენად დიდია, მის-თვის სიმცირე არ არსებობს (ისევე როგორც, სულიერად მაღალ საფეხურზე მდგომი პიროვნებისთვის პატარა ცოდვები).

მაშ, როგორ არ უნდა დავაფისოთ ის მსხვერპლი, რომელიც შემოქმედმა ჩვენთვის გაიღო და ძე თვისი საყვარელი ჩვენს გადა-სარჩენად მოავლინა.

უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ცანი მოდრიკნა და კაცობრივი ბუნება მიიღო, ჰვარს ეცვა და ეწამა, რომ სიცოცხლის ხედ აღმოცენებულიყო და ამ ხის ნაყოფის მიმღებთ (ანუ მცნებების აღმასრულებელთ) შევესისხლხორცებინა, რომ ქრისტიანმა საკუთარი კეთილდღეობისათვის კი არა, სხვისთვის უნდა იცხოვროს. რომ ადამიანებისადმი მსახურებაშია ჩვენი გადარჩენა და უფლისადმი ჩვენი სიყვარულის დადასტურება. ამიტომაც მეორე მცნებად დაგვიდო: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი!“, ხოლო „ვისაც უყვარს მოყვასი, მან აღასრულა სჯული“ (რომ. 13, 8).

„თუ ვინმე იტყვის, რომ უყვარს ღმერთი, მაგრამ სძულს თავისი ძმა, იცრუა; რადგან თუ არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, როგორღა შეიყვარებს ღმერთს, რომელსაც ვერ ხედავს?“ (1 იოან. 4, 20).

„ღმერთი სიყვარულია“ და „რომელი ეგოს სიყუარულსა ზედა, ღმერთში მკვიდრობს, ხოლო ღმერთი – მასში“ (1 იოან. 4, 16).

ჭეშმარიტი სიყვარული ადამიანს ენიჭება სულიწმიდით, („ღმერთის სიყვარული განთენილია ჩვენს გულებში სულიწმიდის მიერ“ – რომ. 5, 5). იგია უძლურთა მკურნალი, ნაკულულევანთა აღმავსებელი და ნუგეშინისმცემელი უსაზღვრო მაღლი, რომლისადმიც ლოცვას

(„მეუფეო ზეცათაო“) ყოველდღე გულმოდგინედ უნდა წარმოვთქვამდეთ, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი ჩვენი ღვთის სათნო საქციელი ჩვენი დამსახურება კი არ არის, არამედ იგი სულინმიდის შეწევნით ხორციელდება; ამისთვის უნდა ვმადლობდეთ მას და ვცდილობდეთ, ჩვენი სიტყვა და საქმე (ჩვენი შესაძლებლობისამებრ) იყოს გამოხატულება მოყვასისადმი ღვთის ზრუნვისა, ღვთის სიყვარულისა, ღვთის სიმართლისა.

ჩვენ ყველანი მართალია, უფლის წინაშე ინდივიდუალურად ვცოდავთ, მაგრამ, ამავე დროს ვცოდავთ, როგორც ქრისტიანთა კრებული.

დავთიქრებულვართ იმაზე, ვართ თუ არა ჩვენ ის საზოგადოება, რომელიც მოსაწონია ღვთისათვის?

სხვადასხვა ერი შემოქმედმა სხვადასხვა ნიჭით დააჭილდოვა. ჩვენ აქედან უფრო მეტად სიყვარულის უნარი განვავითარეთ (ყველაზე მთავარი თვისება ღვთისა), ეს მადლი საუკუნეების განმავლობაში ათას განსაცდელს გამოვატარეთ და დღესაც, მრავალი პრობლემის მიუხედავად, ღვთის შეწევნით, შევინარჩუნეთ.

ამის თქმის საფუძველს მაძლევს თუნდაც ის, რომ თითქმის 20-წლიანი გარდამავალი მძიმე პერიოდის პირობებში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განვითარებული მოვლენების მიუხედავად, ჩვენი ერი არავის მიმართ მტრობის სურვილით არ აღძრულა; საშინელ ჭირვარამგამოვლილი დევნილი მოსახლეობაც სულით არ დაცემულა და არ გაბოროტებულა.

ამიტომაც მჰერა, ათასი საცდურის მიუხედავად კვლავაც შევძლებთ ღვთის გზით სიარულსა და მის ულევ სიყვარულთან ნამდვილ თანაზიარებას.

ჩვენს თავს მოწევნული განსაცდელი ჩვენი გამოსწორებისათვის არის დაშვებული და ამიტომაც, სიმძიმის მიუხედავად, თავმდ-

აბლობითა და მადლობით უნდა მივიღოთ.

თუმცა ქართველი ერი ვერასოდეს შეეგუება შექმნილ უსა-
მართლობას. ჩვენ ყველასთან მშვიდობა გვინდა, მაგრამ არა ტერ-
იტორიების დაკარგვის ხარჯზე.

ისიც მჭერა, ადრე თუ გვიან, აფხაზებიც და ოსებიც მიხვდები-
ან, რომ მათი გადარჩენა საქართველოსთან ერთობაშია და ეს დღე
მით უფრო მაღლე დადგება, რაც უფრო მაღლე მოხდება მათიც და
თითოეული ჩვენგანის, – საერთოდ ჩვენი საზოგადოების, შემდგომი
სულიერი ამაღლება.

საქართველო აუცილებლად გამთლიანდება და გაბრწყინ-
დება!

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა შვილს,
– ქართველთ და არაქართველთ, სამშობლოს მკვიდრთ და უცხოეთში
მყოფთ, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის მცხოვრებთ, – სრულიად
საქართველოს, მთელ მართლმადიდებელ სამყაროსა და მსოფლიოს
გულითადად ვულოცავთ იმედის, სიხარულისა და ნუგეშის მომცემ
საყოველთაო დღესასწაულს – ქრისტეს შობას.

დღეს, 8 გიმობს ცა და დედამინა, კაცთა მოდგმა და ანგელოზთა
დასი;

დღეს დღეა სიყვარულისა, დღეა ღმერთთან და ერთმანეთ-
თან შერიგებისა, ევას გლოვის დასასრულისა და ჩვენი მეოხისა და
მთარველის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის გამობრწყინვებისა.

მაშ, მივუძღვნათ ჩვენი გული ბეთლემში შობილ ყრმას და
შევიყვაროთ იგი ყოვლითა სულითა, ყოვლითა გულითა, ყოვლითა
გონებითა და ყოვლითა ძალითა, რათა კეთილი გვეყოს ჩვენ და
ვიხარებდეთ ორსავე სოფელსა შინა, ამინ!

შობა ქრისტესი
თბილისი, 2009 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

2009 წ.

„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს
ხმელსა ნედლად“ (რუსთაველი)



ოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძ-
ღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ყოველნო საერო და-
სნო, მკვიდრნო საქართველოდსა და დროებით ჩვენი ქვეყნის სა-
ზღვრებს გარეთ მცხოვრებო ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო!

ქრისტე აღდგა!

ეს სიტყვები პირველად ანგელოზმა ახარა კვირას, გამთენიი-
სას, საფლავთან მისულ მენელსაცხებლე დედებს;

ქრისტე აღდგა!

სიხარულით გაოგნებულმა დედებმა ამცნეს მოციქულებს;

ქრისტე აღდგა!

მოციქულებმა ეს სასწაული სასწაულთ შორის მთელ მსოფლიოს მოჰყვინეს;

და ჩვენც, არა მიწიერი სიხარულით აღვსილნი, ყველას გასაგონად ვხმობთ:

ქრისტე აღდგა!
ჭეშმარიტად აღდგა!

— მაგრამ რა არის ჩვენი ზეიმის მიზეზი?

— ის, რომ სიკვდილი განქარდა და ბჭენი ჭოჭოხეთისა შეიმუსრა; რომ დამთავრდა გარდაცვლილთა მარადიული სიკვდილის ტყვეობაში ყოფნა და ქრისტეს ყველა ჭეშმარიტ მადიდებელს ცხონების შესაძლებლობა მიეცა.

ამიტომაც ამიერიდან აღარ გვეშინია სიკვდილისა, ვიცით, რომ მოვა უამი, როდესაც სხვა მართლმორწმუნე მიცვალებულთა მსგავსად ჩვენც აღვდგებით საფლავიდან, რათა აღარასოდეს მოვკვდეთ.

მავანი იტყვის: როგორ აღდგებიან მკვდარნი? — პავლე მოციქული მას ასე პასუხობს: „განა არ იცი, უგუნურო, რასაც შენ თესავ, ვერ იცოცხლებს, თუკი არ მოკვდა? ასევე მკვდართა აღდგომისასაც: ითესება ხრწნილებაში, აღდგება უხრწნელებაში; ითესება დამცირებაში, აღდგება დიდებაში; ითესება უძლურებაში, აღდგება ძლიერებაში; ითესება სხეული მშვინვიერი, აღდგება სხეული სულიერი“ (1 კორ. 15, 35-36, 42-44).

ასე რომ, აღდგომის დღესასწაული ნათელი დადასტურებაა მომავალში ჩვენი მკვდრეთით აღდგომისაც და განლორთობისაც.

უნდა ვიცოდეთ, რომ მართალთა სულების სავანეს ეწოდება ზეციური, ანუ მოზეიმე ეკლესია, ხოლო დედამიწაზე არსებულ მართლმადიდებელ მორწმუნეთა კრებულს – მებრძოლი ეკლესია.

მოზეიმე და მებრძოლი ეკლესია – ეს არის ორი ნაწილი ქრისტეს ერთიანი სხეულისა, რომელიც ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ამასთან, მისი ღვთაებრივი მადლით არის მოცული და გაერთიანებული.

გარდაცვლილთა სულებთან ჩვენ ლოცვითი ურთიერთობა გვაქვს; ასევე მართალთა სულნიც უფლის წინაშე აგრძელებენ მოღვაწეობას და მიწიერი მებრძოლი ეკლესიისა და მისი წევრების შემწენი და ღვთის წინაშე მეოხნი არიან.

ყოვლადწმიდა სამებასთან ყველაზე ახლომდგომი და მთელი კაცობრიობისათვის ყველაზე დიდი შუამდგომელი ყოვლადწმიდა ღვთისმშობელია; ბედნიერია ჩვენი ერი, რომ საქართველო მისი განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ იმყოფება.

სასუფეველი ღვთისა იიძულების, – გვასწავლის მაცხოვარი; ამიტომაცაა, რომ ადამიანის სურვილსა და მონდომებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს; ეს ასე იყო ყოველთვის.

გავიხსენოთ, ორმოცი წელი დასჭირდა ებრაელ ერს აღთქმულ ქვეყანამდე მისვლისათვის, თუმცა მათ ღმერთთან მოლაპარაკე მოსე და სიწმინდით შემოსილი აარონი წინამძღვრობდნენ.

დიახ, შრომისა და ღვაწლის გარეშე ვერც უფლის მიერ ბოძებულ მიწაზე დაემკვიდრა ძველი აღთქმის ისრაელი და ვერც სასუფეველს მოიპოვებს ახალი აღთქმის ნებისმიერი ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს იგი.

ჩვენ ვამბობთ: ჩვენთან არს ღმერთი და ეს ჭეშმარიტად ასეა,

მაგრამ იმისათვის, რომ ჩვენც ვიყოთ ღმერთთან, საჭიროა სწორად ცხოვრება.

ჩვენ ვამბობთ: ივერია ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრია, მაგრამ ეს წილხვდომილობა ჩვენს დროშიც რომ გამოვლინდეს, საჭიროა შესაბამისი სულიერი ნაბიჯების გადადგმა.

ებრაელებიც ამაყობდნენ და მაცხოვრის წინაშეც იქადოდნენ, რომ აბრაამის შთამომავალნი იყვნენ. იესო ქრისტემ კი უპასუხა, რომ აბრაამისა და წინასწარმეტყველთა შვილობა მათი საქმეების აღსრულებაში, ანუ სწორად ცხოვრებაში მდგომარეობს და არა მხოლოდ გენეტიკურ ნათესაობაში, რადგან ამ წინასწარმეტყველთა მკვლელებიც აბრაამის შთამომავალნი იყვნენ.

როგორ უნდა მივხვდეთ, სწორად ვცხოვრობთ თუ არა?

ადამიანს უნდა ჰქონდეს რეალური შეგრძნება იმისა, რომ ის არის მართალი სამშობლოს, მოყვასისა და თვით მტრების წინაშეც;

რაც შეეხება ღმერთთან დამოკიდებულებას, უფალთან მიმართებაში მართალი საერთოდ არავინაა, რადგან ცოდვისგან თავისუფალნი არც წმინდანები არიან;

ესა თუ ის პიროვნება ოდენ ჭეშმარიტი სინანულითა და ღვთის მოწყალებით განმართლდება. დიახ, მხოლოდ გულწრფელი სინანულითა და აღსარებით შევძლებთ აღვხოცოთ ჩვენი შეცოდებანი და მივაღწიოთ იმ მდგომარეობას, რომლის შესახებაც დავით წინასწარმეტყველი ბრძანებს: „ნეტარ არს რომელსა არა შეერაცხაცოდვები“ (ფსალმ).

უფალთან ჩვენი დამოკიდებულება, მართალია, ინდივიდუალურია, მაგრამ საზოგადოებისთვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და კვლავაც აქვს ხელისუფალთა რწმენას ან ურწმუნოებას.

ამის მაგალითად ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი რთული მონაცემთი მინდა შეგახსენოთ, კერძოდ, XVII საუკუნე, როცა ერთმანეთის ახლო ნათესავი ორი ქართველი მეფე – როსტომ ხანი და თეიმურაზ I – მოღვაწეობდნენ.

როსტომმა ქრისტიანობა უარყო; გარშემოც ასეთნი შემოიკრიბა და უზნეოდ მცხოვრებს სურდა, ხალხიც მასავით გადაგვარებულიყო. მის დროს „გამრავლდა სიძვა და არაწმიდება, ცოდვა იგი სოდომ-გომორული და დედათა თანა-აღრევა...“ ამასთან, ვინც ასე იქცეოდა, მეფისგან დაფასებული იყო, ხოლო სიმართლისმომქმედნი, ცოდვისმოძულენი და წრფელნი გულითა, იჩაგრებოდნენ (ქართლის ცხოვრება).

როსტომ ხანის 26 წლიანმა ბატონობამ ქვეყანა სულიერი დაღუპვის პირამდე მიიყვანა, მაგრამ ერმა დაძლია ეს განსაცდელი. ამისი ხელშემწყობი ერთ-ერთი ფაქტორი ისიც იყო, რომ ამავე პერიოდში მეფობდა თეიმურაზ I, რომელმაც საოცარი ცხოვრება განვლო.

ღვთისა და ქვეყნის ერთგულებისთვის თეიმურაზ მეფეს შაჰაბასმა წამებით მოუკლა დედა, – დიდმოწამე ქეთევან დედოფალი, ორი მცირეწლოვანი ვაჟი და ქალიშვილი, ხოლო მესამე ვაჟი, დავითი, სამშობლოსთვის ომს შეეწირა.

მტერთაგან შევიწროვებულ თეიმურაზს რამდენჯერმე მოუწია თავისი სამეფოს დატოვება, მაგრამ მარცხს არასოდეს ურიგდებოდა; პირველივე შესაძლებლობისთანავე ბრუნდებოდა და განახლებული ძალით, სიტყვით და საქმით ემსახურებოდა ქვეყანას.

ჭარმაგი მეფე 71 წლის ასაკში ბერად აღიკვეცა. რაკულის მტკიცე დამცველს ბოლო გამოცდის ჩაბარება სპარსეთში მოუწია, სადაც ქრისტეს აღმსარებლობისათვის შეიპყრეს და ციხეში დაატყვევეს. აქ იგი მალევე გარდაიცვალა.

რწმენისა და მამულის ერთგულებით, ვაჟკაცობითა და სიმტ-

ვიცით თეიმურაზი ღვთისა და ეროვნული მეობისათვის გაუტეხელი ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. ამ თვისებების გამო მას სანიმუშო მაგალითად მიიჩნევდა არა მარტო თავისი ერთგული ხალხი, არამედ შინაური თუ გარეშე მტერიც. „თათრებსაც ბევრსა ერწმუნა, მივლენ უნთებენ სანთელსა... მისებრი სახელოვანი დედამ სხვა ვერვინ შობოსა“, – წერს არჩილ მეფე.

წარსული იმიტომ გავიხსენეთ, რომ იგი გაკვეთილი უნდა იყოს ჩვენი დღევანდელი და მომავალი ცხოვრებისა და საქმიანობისათვის.

ახლა განვიხილოთ, თუ რას ნიშნავს ქრისტიანული თვალსაზრისით ადამიანის სწორი დამოკიდებულება სამშობლოს მიმართ.

თითოეული ჩვენგანი უნდა ეცადოს გააკეთოს მაქსიმუმი იმისა, რისი პასუხისმგებლობაც მას აკისრია. ესაა მისი მსახურება ქვეყნის მიმართ.

ყველაზე მეტი უფლებები და პასუხისმგებლობა კი, რა თქმა უნდა, ხელისუფალთ აქვთ. მათ ქვეყნის ტერიტორიული უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან ერთად მოეთხოვებათ სულიერი და ეროვნული ღირებულებების დაცვა და განვითარება, შემდეგ კი – ხალხის მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა, რაც გულისხმობს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას, ჭანდაცვის სისტემის უზრუნველყოფას, განათლების ხელშეწყობას და სხვა.

ქვეყნის კეთილდღეობა დიდად არის დამოკიდებული მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობაზეც. ჩვენ მათთან აუცილებლად უნდა გავაღრმავოთ კავშირი, რის წინაპირობადაც უნდა იქცეს კულტურათა შორის დიალოგი; ერთმანეთის სულიერი, მეცნიერული და მატერიალური ფასეულობების წარმოჩენა ხელს შეუწყობს ჩვენ შორის არსებული სხვა საკითხების გადაწყვეტასაც.

საერთოდ, სახელმწიფო უნდა განვითარდეს და მისი იდეო-

ლოგიის განმსაზღვრელი უნდა იყოს არა გარე გეო-პოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეროვნული ინტერესები. ამ ინტერესებს უმნიშვნელოვანესად უნდა მიიჩნევდეს როგორც ხელისუფლება, ისე პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მასმედია. იგივე ითქმის ჩვენს თითოეულ მოქალაქებეც.

ჩვენ ჩვენი მეობა უნდა დავიცვათ, რათა არ ვიქცეთ სხვათა მიზნების განსახორციელებელ ბრძანი იარაღად. ეს ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების გარანტიაა.

გემოთ ჩამოთვლილ ინსტიტუტებში ეროვნული მიმართულების გაძლიერებისათვის კი საჭიროა ქართული ბიზნეს-სექტორის გაფართოება და შეძლებული საშუალო ფენის შექმნა.

სამწუხაროდ კი, ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, საარსებო მინიმუმით ან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს; არადა საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს ეკონომიკის და, მით უმეტეს, მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინებისათვის. სხვაგვერო რომ არაფერი ვთქვათ, ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის ნაწარმი თუ მათი გადამუშავებით მიღებული კვების პროდუქტები სერიოზულ შემოსავალს მოუტანს ქვეყნას, ოღონდ აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან დახმარება სუბსიდიებისა და გრძელვადიანი კრედიტების სახით.

გვინდა ხელისუფლებას ერთი წინადადებაც შევთავაზოთ:

მოგეხსენებათ, მსოფლიო გლობალური კრიზისი საკმაოდ მნვავედ შეეხო ქართულ ბიზნესს და, საერთოდ, მოსახლეობას. ბუნებრივია, აუცილებელია ქმედითი ჩარევა, რათა თავიდან ავიცილოთ სამუშაო ადგილების შემდგომი შემცირების საფრთხე.

2009 წლიდან სახელმწიფოს მიერ გადასახადების კლეისკენ გადადგმული ნაბიჭი კარგი ფაქტი იყო, მაგრამ, აღბათ, უფრო

შედეგიანი იქნება საგადასახადო ამნისტიის გამოცხადება, რომელიც საქართველოში მოქმედ ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს გაათავისუფლებს სანქცია-საურავებისაგან.

რა თქმა უნდა, თუ ეს ნაბიჭი გადაიდგა, იგი სერიოზულად შეამსუბუქებს როგორც მეწარმეების, ასევე მოქალაქეების საგადასახადო ტვირთს და წაახალისებს მათ ეკონომიკურ აქტივობას.

საერთოდ კი, რაც არ უნდა მძიმე იყოს ჩვენი მდგომარეობა, სულით არ უნდა დავეცეთ და სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩავვარდეთ, რადგან ცალკეულ პიროვნებებსაც და ერსაც განსაცდელი ან რწმენაში განსამტკიცებლად ეძლევა, ან მცდარი გზიდან მოსაბრუნებლად.

ჩვენს თავს დატეხილი განსაცდელი უმეტეს შემთხვევაში სწორედ მეორე მიზეზით იყო ხოლმე განპირობებული. ეს დღესაც ასეა. ბუნებრივია, პრობლემებისგან თავის დაღწევის საშუალებაც ჩვენს ხელთაა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველას თავისი წილი პასუხისმგებლობა აკისრია. ამიტომაც ყველამ თავისი წილი შეცდომები უნდა გამოასწოროს.

მოყვასის მიმართ ჩვენი სამართლიანი მიდგომა ასეთი უნდა იყოს: „ყველაფერში, როგორც გსურთ, რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისევე მოექცით მათ“ (მათ. 7, 12).

რა მოკლე განმარტებაა, მაგრამ როგორი მრავლისმომცველი!

ეს სიტყვები ყოველთვის გახსოვდეთ და ცხოვრების წესად გქონდეთ.

უნდა ვეცადოთ იმასაც, რომ არ ვიყოთ გულგრილნი სხვათა მიმართ გამოჩენილი უსამართლობის მიმართ და დავიცვათ ტყუილუბრალოდ დაჩაგრული ადამიანი.

რაც შეეხება მტერთან მიმართებაში ჩვენს დამოკიდებულებას,

აქ განვითარების ოთხი საფეხური არსებობს:

პირველი – შეურაცხმყოფელს შენც სათანადო პასუხს სცემ (რაც ძველაღთქმისეული ანგარიშსწორებაა, – „კბილი კბილისა წილ“ და ახალი აღთქმისთვის მიუღებელია);

მეორე – მოყენებული გულისტკივილისათვის სამაგიეროს არ მიაგებ, მაგრამ შინაგანად მრისხანებ;

მესამე – დამცირებას უდრტვინველად იტან;

მეოთხე – შენ მიმართ ჩადენილ უსამართლობას აღიქვამ, როგორც შენს სხვა ცოდვათა გამოსასყიდს, მადლიერი ხარ უფლისა და შინაგანად ხარობ.

დაფიქრდი რომელ საფეხურზე დგახარ და მიხვდები როგორი ქრისტიანი ხარ.

„შეიყვარე მტერი შენი“, – გვასწავლის მაცხოვარი. ხოლო ვისთვისაც ეს სიტყვები გაუგებარი და მიუღებელია, მათ პავლე მოციქული ასე არიგებს: „იღოცე შენი მტრებისთვის და ნუ სწყევლი მათ“. ამით თქვენ მათ თავზე მოგიზგიზე ნაკვერჩხლებს აგროვებთ. ღმერთი სამართლიანია და ყველას დამსახურებისამებრ მიაგებს. ჩვენი შეურაცხმყოფელიც (და საერთოდ, ნებისმიერი ბოროტმოქ-მედი) დაუსკელი არ დარჩება, ოღონდ ამას ჩვენს ნაცვლად უფალი გააკეთებს; „ჩემია შურისგება“, – ბრძანებს იგი.

ემსგავსეთ ფუტკარს, – გვასწავლის პაისი ათონელი, – რომელიც მხოლოდ ყვავილებს ხედავს და სიტკბოს აგროვებს თაფლისთვის და არა – ბუზს, რომელიც ნაგავს და ათასგვარ სიბინძურეს ეძებს და იმით იკვებება.

დიახ, სამართლის ქმნა და სიმართლის მსახურება აუცილებელი პირობაა ყოველი ქრისტიანისთვის. ღმერთი სიმართლით მცხოვრებთ მადლით მოსავს, ცრუთ და თვალთმაქცეთ კი – განეშორება.

თუმცა ისეც ხდება, რომ სიცრუის გზით მავალნი ზოგჯერ წარმატებულნი ჩანან; მაგრამ არ დაბრკოლდეთ, ეს დროებითია; სიმართლე ბოლოს მაინც, აუცილებლად, იზეიმებს და ყველას თავის ადგილს მიუჩენს.

იცოდეთ ისიც, რომ შეიძლება კეთილდღეობა უბედურებაზე საშიში იყოს და, პირიქით, უბედურებამ შეიძლება კაცს კეთილდღეობაზე მეტი სიკეთე მოუჭანოს.

ოცნლიანი გარდამავალი პერიოდით დაღლილი, გაწამებული და გაღატაკებული ჩვენი მოსახლეობა ხშირად ჩივის: ნეტავ არ დავბადებულიყავ, როდემდე უნდა ვეწამო? სად არის სამართალი? სულ მე რატომ უნდა ვიტანჯო?... რაც უმძიმესი ცოდვის, – მცირედმორწმუნეობის გამოვლინებაა და არასწორი ცხოვრებისა და აზროვნების შედეგია.

უფალი ხომ იმაზე მძიმე ჭვარს არ მოგვცემს, რისი ტარებაც არ ძალგვიძს.

ამასთან, მოვლენებს სულიერი თვალით უნდა შევხედოთ. განა ნებისმიერ დროში ნებისმიერი აღმსარებლობის პიროვნებამ არ იცოდა და არ იცის, რომ ყოველივე წარმავალია: ახალგაზრდობაც და სილამაზეც, ჭანმრთელობაც და ავადმყოფობაც, სიმდიდრეც და სიღარიბეც, პატივიც, თანამდებობაც და თვით სიცოცხლეც?

ასე რომ, ნუ დარდობ და შფოთავ იმისთვის, რაც დღეს არის და ხვალ აღარ იქნება.

თუ გსურს ნამდვილი კეთილდღეობა მოიპოვო (და თანაც მარადიულად), სასუფეველი ღმრთისა უნდა ეძიო, – ანუ უფლის მცნებებით ცხოვრებას უნდა ესწრაფო, რადგან „სასუფეველი ღმრთისად არა არს საჭმელი და სასმელი, არამედ სიმართლე და მშვიდობა და სიხარული სულითა წმიდითა“ (რომ. 14, 17), – აი, ეს უნდა დავიმახსოვროთ.

ჩემო საყვარელო შვილებო, ძენო და ასულნო ღვთისმშობლის წილხვედრი ღვთივკურთხეული ივერიისა: კახელნო და აფხაზნო, აჭარელნო და თუშნო, ჰერნო და სვანნო, ოსნო და მთიულნო, მე-გრელნო, გურულნო, სამაჩაბლოსა და სამცხე-ჯავახეთის მკვიდრნო, ყოველნო ჩვენნო თანამემამულენო, მაშ, შეიყვარეთ სიმართლე და მშვიდობა, განიძარცვეთ ცოდვის სამოსელი და ემსახურეთ ჭეშმარიტებას, რომ „სიმართლე იგი შკულისად აღესრულოს“ თქვენ შორის (რომ. 8, 4).

ჭოჭოხეთის დამსხვრეულ ბჭეთა ზედა ამაღლებული და არ-ამინიერი ნათლით მოსილი, მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი გვიხმობს, რათა მისი მადლით განმართლებულნი, ვითარცა ფინიკნი, აღვყვავდეთ და ვითარცა ნაძვი ლიბანისა განვმრავლდეთ.

ქრისტე აღდგა!
ჭეშმარიტად აღდგა!

აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 2009 წ.



უნმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
ილია II-ს აღსაყდრებიდან 30 და დაბადებიდან 75 წლის საიუბილეო კომისია

ტექსტი დასაბეჭდად მოამზადეს:
გვაცემა კოდლიტარებ
გრიგოლ რუხაძემ

ტექსტი მუშაობები:
შონაბონი ელენი (ნაფეტვარიძე)
ნინო კვანტალიანი
ნინო აბანაშვილი
მზა ჩხაძე
რუსულან ჩირგაძე
მარგო ინასარიძე
ბელა გვილაძე

გამოშვები რედაქტორი:
თინათინ მხეიძე

ფოტო:
იურა მეჩითოვა

დიზაინი:
შ.პ.ს. „ინორინი“

არტ დირექტორი
არჩილ თურმანიძე

დიზაინერი
ნატო ყუბანეიშვილი

კომპიუტერული უბრუნველყოფა:
ივლიტა ექვთიმიძვილისა

დაბეჭიდილია:
SIA "Jelgavas Tipografija" რიგა, ლატვია



© საქართველოს ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული
კვლევის საერთაშორისო ცენტრი

ISBN 978-9941-0-1041-5
ISBN 978-9941-0-1043-9

UDC (ჟავ) 27-475.5+27-282.5
9-726